

სოსო სიგუა

კულტურის საფუძვლები

III





საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

სოსო სიგუა

კულტუროლოგიის
საფუძვლები

III

„მწერლის გაზეთი“
თბილისი – 2013

UDC (უაკ) 008
ს – 476

პროფ. სოსო სიგუას ნაშრომი „კულტუროლოგიის საფუძვლები“ სამი წიგნისაგან შედგება:

1. „კულტურის გენეზისი“,
2. „კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიები“,
3. „კულტურა და გლობალიზაცია“.

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ მესამე წიგნს.

რედაქტორები – პროფ. იგორ კვესელავა
პროფ. რევაზ მიშველაძე

რეცენზენტები – პროფ. იური ბიბილეიშვილი
პროფ. მურმან თავდიშვილი
პროფ. ალექსანდრე მღებრიშვილი

ISBN 978-9941-0-2769-7 (ტომეულის)
ISBN 978-9941-0-5200-2 (მესამე ტომის)

კულტურა
და
გლობალიზაცია

დრო და კულტურა

არაფერია მზისქვეშ ახალი – თაობა მიდის, თაობა მოდის, ქვეყანა კი იგივე რჩება, – გვეუბნება ეკლესიასტე. ირღვევა და იშლება ეს ქვეყანაც, ეს კლდეები, ეს ტაძრები, ეს ქალაქები, იშლება და ისევ აღდგება.

არსი რჩება, ფორმები სახეს იცვლის – ეს არის მუდმივი წრებრუნვა, მუდმივი გასხლტომა სიკვდილის ხელებისაგან.

სახეს იცვლის კულტურაც. ამ პროცესს მტკივნეულად აღიქვამს თანამედროვე, რომლის მზერა შეეზარდა მყარ საგნებს, მყარ ტრადიციებს. მას ეჩვენება, რომ ყველაფერი იღუპება, არადა – ნანგრევებიდან ამოდის სიცოცხლის ხე და მწვანე ფოთლებით იმოსება.

კულტურა და მასის ინტერესები

მასა კონსერვატიულია, შემოქმედი – მეამბოხე: მასა ამთვისებელია და მომხმარებელი, შემოქმედი – ინდივიდი, მისგან გამოსული და მისი მოპირისპირე. ადამიანს უნდა თავად იმოქმედოს, გადაადგილდეს, გარემო იყოს მყარი ან ეს სიმყარე თავად შეცვალოს, თავის ნებას დაუმორჩილოს.

იგი ვერ იტანს ქაოსს, ნაცნობი და შეჩვეული წესრიგის აყირავებას. მაგრამ კულტურის მოთხოვნილების რეალიზება ხდება გარემოსთან მიმართებით: როცა სუბიექტიდან მოდის ნება – უნდა შეუხამოს გარე სამყაროს, პოლიტიკურ და რელიგიურ სისტემებს; როცა გარემო იძლევა მითითებებს, დაკვეთებს ან სიგნალებს – მაშინ სუბიექტს უნდა აღმოაჩნდეს მათი მიმღეობის უნარი, რაც არის შინაგან სწრაფვებთან თანხმობანება.

მასის მიმართება არტეფაქტებთან პრაგმატულია, ნაკარნახევია პრაქტიკული მოთხოვნილებით, საარსებო აუცილებლობით. კულტურშემოქმედი ითვალისწინებს ამ ინტერესებს და აძლევს ელიტარულ გააზრებას.

ელიტარული წრე ვიწროა. მაგრამ იგი აყალიბებს მოდას, სტილს, გემოვნებას. აქ ხდება იდეების წარმოქმნა და ფორმირება, მიმართულებათა და მიმართებათა განსაზღვრა (შდრ. – ქრისტე და

ქრისტიანობა, მუჰამედი და მუსულმანობა, მარქსი და მარქსისტული იდეოლოგია).

ეს ჰგავს ატომის ბირთვის გახლეჩას, რომელიც გამოჰყოფს უდიდეს ენერგიას თუ სამყაროს დიდ აფეთქებას, რისგანაც იშვინენ გალაქტიკები და ვარსკვლავები.

ისეც ხდება, რომ სუბიექტი არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევს – ელტვის მხოლოდ თვითგამოხატვას, სხვადქცევას, რაც ზოგჯერ რომელიმე დროსთან ჰპოვებს საერთო სიმებს.

კულტურის სახეცვლილებაც არის როგორც რევოლუციური, ისე ევოლუციური. რევოლუცია უკავშირდება ძლიერ ინდივიდებს, რომელნიც ძალაუფლების ნების კარნახით ცვლიან სისტემას, არსებულ წესრიგს, ცვლიან იდეოლოგიასა თუ ხელოვნებას, იწყებენ ახალ ეტაპს, რასაც მოსდევს საზოგადოების პოლარიზება, დაპირისპირება თანამედროვეობასთან. პოლიტიკაში მას ახლავს დიდი მსხვერპლი, რელიგიაში – სექტანტური განდგომა, ხელოვნებაში – თაობათა დაპირისპირება, საზოგადოებაში – კონფლიქტი და მარტოობა.

კულტურა, რომელზეც ამდენს ვსაუბრობთ, სხვა იყო წარმართი ელინელისათვის, სხვა იყო ასკეტი ქრისტიანისათვის თუ „მსოფლიო სევდით“ შეპყრობილი რომანტიკოსისათვის. ავანგარდისტიკისთვის ეს არის სულაც ანტიკულტურა.

ევოლუციური პროცესი თვალისათვის ლამის შეუმჩნეველია. იგი აყალიბებს კონსერვატიულ, უცვლელ, მყარ წარმოდგენებს, ამკვიდრებს მშვიდ და წყნარ ცხოვრებას. მაგრამ ხელოვნებაში ასეთი თანდათანობითი განვითარება წამგებიანია.

ფაქტიურად ეს არის მხოლოდ გაგრძელება. განვითარება კი არის გარდატეხა და მისი ხაზი ტეხილი და ზიგზაგოვანია.

ამ პროცესს ახლავს მშობლიური ღირებულებების გადაფასება, ტრადიციის ცალმხრივი განვითარება, ერთი ტენდენციის უნივერსალიზება. ასეთ სწრაფებს, იდეალებს, ტრავმებს, იმპულსებს კი წარმოშობს არა განონასწორებული, გარემო, არამედ – ტრაგიკული დრო. მღვრიე ჟამი იძლევა განახლებისა და განვითარების სტიმულს, თუმცა ადამიანთა მასას ამყოფებს მუდმივ ფორიაქში.

კულტურის ატმოსფეროს უამრავი ფაქტორი აყალიბებს. მათი მუტაცია ცნობიერ–არაცნობიერად ხორციელდება. დღეს რაც შეუძლებლად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება ცხოვრების ნორმა გახდეს, გაბატონდეს კულტურის სისტემაში. სიახლეს ელტვის ახალი თაობა,

რომლის მეამბოხე სული ყველაზე მგრძნობიარე კამერტონია და ირეკლავს დროის უმცირეს ნიუანსებს.

XX საუკუნემ გადაიტანა ორი მსოფლიო ომი, მრავალი რევოლუცია, გაუძლო სოციალურ ექსპერიმენტებს, ფაშიზმსა და ბოლშევიზმს, მიაღწია ერების განთავისუფლებას, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის ტრიუმფს.

შესაბამისად იცვლებოდა კულტურა, კულტურისადმი მიმართება, იცვლებოდა სულიერი ღირებულებები, მოდა და გემოვნება.

ახლა ვდგავართ გლობალიზაციის პრობლემათა სპექტრის წინაშე.

ასე რომ – ყოველ დროში სახელმწიფოსა და კულტურას პასუხი უნდა გაეცა ახალ და მტკივნეულ, სასიცოცხლო მნიშვნელობის კითხვებზე.

დექტატორული სახელმწიფო ამკვიდრებდა თავისი თვალსაზრისის შესატყვის კულტურას, ამკვიდრებდა სწრაფად და ეფექტურად, სხვათა იგნორირების, რეპრესირებისა და ჩაგვრის ხარჯზე; დემოკრატია კულტურას თავისუფლებას ანიჭებს, სახელმწიფო მას არ წარმართავს. ამიტომ მისი იდეალები დუნედ, თანდათან და შეუმჩნეველად იკვეთება.

ამას შეიძლება მოჰყვეს კულტურის გაუფასურებაც, რადგან მასობრივი პლურალიზმი არღვევს ნორმებს, ყველა ქმნის მიკროსამყაროს, სხვათაგან იზოლირებულს; აქ იკმაცოფილებს თავის ამბიციას, აქ აყალიბებს მიმართებათა სისტემას, რასაც საბოლოოდ მაინც მოსდევს საერთო ტენდენციის გამოკვეთა. ეს უფრო შეუძლია მასკულტურას, რომელიც ეუფლება საზოგადოებას, სწრაფად იმორჩილებს მის გულისყურს. მაგრამ ასევე სწრაფად ხუნდება და ძველდება. მაგ., ესტრადისა და კინოს ვარსკვლავებს, სპორტის ვარსკვლავებს აღმერთებენ, ტაშს უკრავენ მილიონები. მაგრამ მათი ბედის ბორბალი სწრაფად სცილდება ზენიტს და ახალი ვარსკვლავები იკავებენ ადგილს ცის კაბადონზე.

ამგვარი ვარსკვლავთცვენა მუდმივი პროცესია და აკმაცოფილებს მასების სიახლის წყურვილს. კონსერვატიული ელიტკულტურა კი თანდათან გამოდის ჩრდილიდან. იგი მასობრივად ვერ გავრცელდება, თუმცა დიდხანს ცოცხლობს.

კონსერვატიზმი არის არა ძალა, არა განვითარების ზამბარა და სტიმული, არამედ – საყრდენი პროგრესისათვის.

ლუდოვიკო XIV–ის თუ ნაპოლეონის საფრანგეთს, ვიქტორიანულ

დიდ ბრიტანეთს, ჰიტლერის გერმანიას თუ სტალინის საბჭოთა კავშირს თავიანთი მკვეთრად გამოხატული, სხვათაგან გამორჩეული კულტურა ჰქონდათ, განსხვავებული მორალი და ეტიკეტი.

ისინი ტრადიციების მინაზე იდგნენ, მაგრამ ცალმხრივად ავითარებდნენ, ასეთი ტენდენციით წარმართავდნენ მასების ხედვას, მათ ინტერესებს.

დრომ შეცვალა ყოფის სტილი ჩვენს თვალწინაც: მაგ., დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა ქვეყანაში ეტანება ჯინსებს; ქუდს თითქმის არავინ იხურავს (გავიხსენოთ რუსთაველი: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამდღე ვლიდეს“); ცილინდრი ძველ თაობას ნაჰყვა, ისევე როგორც გალიფე, კიტელი და აზიური ჩექმები; აღარც ჰალსტუხია ყოველდღიურობის ატრიბუტი; აკადემიურ და რომანტიკულ სტილს ავინროგებს სპორტული სტილი; პალტო და ლაბადა შეცვალა ტყავისა და ქსოვილის ქურთუკებმა, ცხენი და ეტლი – მანქანამ, ტროსტი – მანქანის გასაღებმა.

ასეთი ცვალებადობა არ ხდება ვინმეს დიქტატით. იგი მოაქვს დროს, რომელშიც სინთეზირებულია ელიტისა და მასის ხედვა, გემოვნება, ვითარების აღქმა, პრაქტიციზმი, სიახლე და ფანტაზია.

კონცენტრირებული სივრცე – დრო

დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, როგორც კარუსელი, ისე გვატრიალებს. იგი მუდამ განუმეორებელი და ამოუხსნელი გვეჩვენება.

ზოგი რამ, რაც პათეტიკური და მშვენიერი გვეგონა, ყალბი და სასაცილო ყოფილა, ხოლო რაც არ მოგვწონდა – არც ისე დასაწუნი აღმოჩენილა ხოლმე.

ათასი ფაქტორი, რაც კულტურის ფორმებს აყალიბებს, დღეს გლობალიზაციის ელფერით არის აღბეჭდილი, როცა დედამიწა დაპატარავდა და დრო შეიკუმშა, როცა ერები და სახელმწიფოები აღარ არიან ერთმანეთისათვის უცხონი, როცა ცდილობენ განავითარონ ის, რაც აერთიანებთ, და უკუაგდონ ის, რაც ერთმანეთისაგან სთიშავთ.

გლობალიზაციის ეპოქის დრო – სივრცე კულტურას გაერთმინებულეიანებისაკენ უბიძგებს. ამ ერთობას ესწრაფიან ადამიანის გონი და ინსტინქტები. მაგრამ იგივე გონი და ინსტინქტები, ამავდროულად, ცდილობენ თვითგადარჩენას და ებრძვიან უნიფიკაციას.

ორიგინალობა ინდივიდის გენეტიკური თვისებაა. მაგრამ გენეტიკა უშვებს მუტაციას, რასაც კულტურის სფეროში შეესაბამება ექსპერიმენტი.

ორიგინალობას ანუ თავისთავადობას განსაზღვრავს არა მხოლოდ თანდაყოლილი, მემკვიდრული ნიშან-თვისებანი, არამედ – თავის ტვინის ფუნქციონირებაც.

ეგოისტური ბირთვი, რომელსაც ინსტინქტები აყალიბებენ, ეურჩება დამსგავსებასა და გათანაბრებას. იგი ცდილობს სხვის დამორჩილებასა და შთანთქმას, რაც ვლინდება ომსა და ძალადობაში, რათა თვითონ კი არ დაემსგავსოს, არამედ – სხვა დაიმსგავსოს.

დღეს ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ვირტუალურმა კავშირებმა დაახლოვა შორეულ კონტინენტებზე მცხოვრები განსხვავებული რასის, ეროვნების, რწმენის ადამიანები.

მანძილი მაქსიმალურად შემცირდა და ლამის დროში გადავიდეს. სივრცე დაძლია ენერჯიამ და ის, რასაც რომელიმე მონარქი თვეების მანძილზე ელოდა, ვირტუალურად შეიძლება წუთში აღასრულოს, რეალურად კი – რამდენიმე საათში. შეკუმშული დრო-სივრცე ცვლის უსასრულოდ განფენილ დედამიწას.

რამდენი დრო იყო საჭირო მაგელანის ან კოლუმბის ექსპედიციისათვის, რა მანძილი უნდა გაევლოთ მათ ან რომელიმე იმპერატორს და ახალი, უცხო მიწების დამპყრობელს. მოვლენების სიხშირეს წელავდა დრო. მაგრამ ახლა თვალს ეპატარავება დედამიწა და მზერა გარბის კოსმოსისაკენ. სიჩქარემ შეცვალა დროის ძველი მიმდინარება. ახლა ადამიანს უნდა ყველაფერი ერთბაშად მოასწროს, ყველგან იყოს, ყველაფერს მისწვდეს, ხოლო კალენდარული დრო არ გაზრდილა. იგი ისევ დღელამეში 24 საათია. არც ბიოლოგიური რიტმი გამოცვლილა – ადამიანი ძილს ჯერაც ვერ გადაჩვევია.

ინფორმაციის კასკადი არ იძლევა დაფიქრების საშუალებას. ჩვენ არ შეგვიძლია ფაქტების კორიანტელში გზა გავიკვალოთ. სისწრაფე სპობს სიმყარეს და ამიტომ ფუნდამენტალიზმი იცვლება მუდმივი მოძრაობით. თვალი აკვირდება არა საგნებს, არა საგნის არსს, არამედ – მათ სწრაფ მონაცვლეობას, როცა ნაკადები ერთმანეთს სდევნენ და სდევნიან. ასეთ დროს ხშირია უზუსტობა, ზერელობა, მოჩვენებითობა.

ცნობიერება მოძრაობს მანქანური სიჩქარით. მაგრამ ასეთივე სისწრაფით ძველდება გუშინდელი მიღწევები. იცვლება მოდები.

იცვლება გემოვნება. ცხადია, რჩება კონსერვატიული, მყარი საყრდენები, მაგრამ მათაც უტევს ოკეანის შტორმი და ემუქრება ჩაძირვით.

შეკუმშული დრო–სივრცე აუფასურებს ადგილობრივ ფეტიშებს, ლოკალურ ლიდერებს, ძველ კერპებს. გამარჯვებული ქვეყნის კულტურის ინდუსტრია ურიცხვი არხით და უსწრაფესად იჭრება ჩვენს ცნობიერებაში. კომპიუტერის ვირტუალური სივრცე, ინტერნეტ–პროგრამები, სოციალური ქსელები აახლოებენ წარმოდგენებს, სწრაფად ცვლიან ინფორმაციას, რა დროსაც გეოგრაფიულად უშორესი წერტილები ერთ წარმოსახვით სამყაროში ერთიანდება, როგორც ანტიკური ჰადესი თუ ქრისტიანული ზეციურ სულთა საუფლო.

თვითმფრინავმა, ტელეფონმა, ტელევიზიამ, კომპიუტერმა დაძლია სივრცე, რაც ისტორიულად სთიშავდა ადამიანებს და შორს მყოფი თითქოს დაკარგულიც იყო. თუ თვალი შორავს, გულიც შორავს, – გვეუბნება „ვისრამიანი“.

დღეს მანძილი მოსპო ტექნიკამ და უცხოობაც შეამცირა. მაგრამ შეამცირა უშუალობა, გრძნობა და ყველაფერი რაციონალურ გათვლას, ანგარიშიანობას, პრაგმატულ კავშირებს დაუმორჩილა.

ადამიანს შეუძლია უყვარდეს ვირტუალურად, მოქმედებდეს ვირტუალურად და არც გამოვიდეს თავისი „კარცერ–ლუქსიდან“, ისე ჰყავდეს უამრავი მეგობარი.

იგი ერთდროულად არის მსოფლიო მოქალაქე, ყველას ახლობელი, ამავე დროს – მარტოსული, ყველასგან მიტოვებული, რომლის ოცნებაში გაერთიანდა ქვესკნელი და მწვერვალი, ფიქრი და სამყარო, სილამაზე და სიმახინჯე.

ეს პროცესი თანაბრად არ ვითარდება და უკავშირდება ცივილიზაციის ბუმს. ამიტომ ძველ კულტურულ უთანაბრობას ემატება ახალი ტექნიკური დისპროპორცია. ეს ვლინდება კულტურის სტრუქტურასა და კონცეფციებში, სხვადასხვა სახის უსისხლო რევოლუციაში.

კულტურაც ისევე ცოცხლობს, ვითარდება და იღუპება, როგორც ბიოლოგიური სხეული (ედუარდ მაიერი).

ეს პროცესი დღეს დაჩქარებულია, რადგან კონცენტრირებული დრო–სივრცე და უხვი ინფორმაცია სიახლეს სწრაფად ახუნებს.

მისი შემქმნელი არის ტექნიკა, ტექნიკური პროგრესი, რომელიც

ცვლის და აუფასურებს ძველ ცოდნას, ჰუმანიტარულ განათლებას, სულსა და ღმერთებს. თანამგზავრულმა სისტემამ შესაძლებელი გახადა ტელეპროგრამების მობილიზება და გავრცელება. მიკროინტეგრალური სექემების მოდელირებით კი შეიქმნა თანამედროვე კომპიუტერი.

ტექნიკური პროგრესი – გლობალიზაციის საფუძველი

გლობალიზაციის მოდელები ოცნებად რჩებოდა. აღსრულება სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვდა, რასაც ახლდა ნგრევა და სისასტიკე. მხოლოდ ახალ დროში შეიცვალა სიტუაცია, როცა ტექნიკურმა პროგრესმა ზღაპარი სინამდვილედ აქცია. პირველივე ნაბიჯები ფანტაზიას ამინიერებდა, როცა ოკეანის გადალახვა შესძლეს. მცირეოდენი წინსვლა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ადამიანს ამერიკის კონტინენტზე დაედგა ფეხი – მხოლოდ ნავებით ვერავინ გადასერავდა წყნარ ოკეანეს. ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი პირველრიგშიაისახებოდასამხედრომრეწველობაში. ცეცხლსასროლი იარაღი ენაცვლებოდა მშვილდისარს. ჯერ ისევ რჩებოდა მახვილი. მაგრამ თოფი, ზარბაზანი, რევოლვერი ზრდიდა საბრძოლო ეფექტს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ებრძოდნენ ველურ, პრიმიტიულ და ჩამორჩენილ ტომებს. ინდიელებს ცხენოსანი აფრთხოვდათ, თორემ ზარბაზანი ხომ მთლად ღმერთების რისხვა ეგონათ.

იმარჯვებდა ის, ვინც იყო შეიარაღებული. შეიარაღება ტექნიკის განვითარებას უკავშირდებოდა, ტექნიკა – სამეცნიერო აზროვნებას. ყოველი ხელისუფალი ცდილობდა მაქსიმალურად კარგად ყოფილიყო აღჭურვილი. საბრძოლო ტექნიკის წარმოება ფინანსებს მოითხოვდა. ამიტომ დაპყრობითი ომები კიდევ უფრო ზრდიდა სამხედრო პოტენციალს. ტექნიკური პროგრესი, პირველყოვლისა, სამხედრო საქმეში იჩენდა თავს და შემდეგ გადადიოდა სამოქალაქო ცხოვრებაში.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო სწრაფად და მძლავრად იწევდა წინ ტექნიკა. ორთქლმავალი, მანქანა, ელმავალი, თვითმფრინავი, ელექტრონი, ლაზერი, მაზერი, ცათამბჯენები, საზღვაო ლაინერები, ავტომატი, ტანკი, ტყვიამფრქვევი, პროსპექტები და მაგისტრალეები, რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, კომპიუტერი, ატომური ენერჯია, ბალისტიკური რაკეტა, ფანტასტიკასაც რეალობად გარდაქმნიდა.

პირველი ორთქლის მატარებელი 1825 წელს გამოჩნდა ინგლისში, პირველი ავტომობილი – ძრავიანი თვითმავალი ეტლი – 1885 წელს გერმანიაში (კონსტრუქტორები – დაიმლერი და ბენცი), პირველი სინემატოგრაფი – პარიზში 1895 წელს (ძმები ლიუმერები), პირველი თვითმფრინავი – 1903 წელს (კონსტრუქტორ-მფრინავები ამერიკელი ძმები რაიტები), პირველი კომპიუტერი – 1945 წელს აშშ-ში (პენსილვანიის უნივერსიტეტი), პირველი ატომური ბომბიც – 1945 წელს აშშ-ში (შექმნის ხელმძღვანელი რ. ოპენჰაიმერი).

1948 წელს ეცნობა მეცნიერება ნ. ვინერის „კიბერნეტიკას“ და კ. შენონის ინფორმაციის თეორიას („კავშირის მათემატიკური თეორია“).

1969 წლის 21 ივლისს მთვარეზე დაფრინდა ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-11“ და ნილ არმსტრონგმა მთვარის ზედაპირს დაადგა ფეხი (მთავარი კონსტრუქტორი ვერნერ ფონ ბრაუნი, გერმანული ფაუ-2-ის კონსტრუქტორი).

1800 წელს მსოფლიოში გამოდიოდა 100 სამეცნიერო ჟურნალი, 1950 წელს – 100.000, 1975 წელს – 200.000...

ინფორმაციის ზღვაში იძირება მეცნიერი, თითქოს აზრს კარგავს ძიება და გამოგონება. ტექნიკა კი მუდმივად წინ იჩქარის. სიახლის გამოყენებით უფრო ეფექტური ხდება სამრეწველო პროდუქციის წარმოება, ბიზნესი, გადაადგილება, სახელმწიფოებისა და ხალხების კონტაქტი, ინფორმაციის მიღება და გაცვლა-გამოცვლა, კონტროლი, წარმოების თუ საზოგადოების ორგანიზება, ადმინისტრირება.

რომ არა ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია ისევ იმპერიული მოდელის გამოხატულება იქნებოდა. ახალმა დრომ ნებაყოფლობით დააახლოვა ადამიანები, დაამსხვრია კარჩაკეტილობა და გაავრცელა საერთაშორისო მოდელები და სტანდარტები. ამას მოჰყვა ნაციონალური ატრიბუტიკის შემცირება და ზოგჯერ გაქრობაც. მაგ., ფაქტიურად აღარ არსებობს ნაციონალური ტანსაცმელი. ევროპული კოსტუმი, პალტო, შარვალი, პერანგი, ფეხსაცმელი, ჰალსტუხი სდევნის ეროვნულ რეკვიზიტებს. მათ მხოლოდ საპარადო ფუნქცია შერჩათ. მაგ., არავის უკვირს, რომ კავკასიური ჩოხა-ახალუხი, აზიური ჩექმები, ბოხოხი და ქამარ-ხანჯალი მხოლოდ ბუტაფორიაა.

ის, რაც აკლდა ერთ ქვეყანას, აიღო მეორისაგან და ასე შეიქმნა ფერადი მოზაიკა. ასე უფრო მრავალფეროვანი, სრულყოფილი და კომფორტული გახდა ცხოვრება, თუმცა დაიკარგა ის, რამაც ვერ გაუძლო კონკურენციას, ვერ გახდა დროის შესატყვისი.

კულტურის გავრცელებას, კულტურის ნიმუშების ტირაჟირებას ახდენს ტექნიკა. სანამ ნიგნის ბექედვას დაიწყებდნენ, სანამ გუტენბერგის გალაქტიკა შეიქმნებოდა, ტექსტები ხელნაწერებად ვრცელდებოდა. ხელნაწერების რიცხვი მცირე იყო. ეს იწვევდა მათ მოსპობას. ბექედვის დაწყების შემდეგ გაფართოვდა ნიგნის გეოგრაფია. ხოლო თარგმანის მეშვეობით იგი ჩაერთო გლობალურ ფარვატერში. თვით ბექედვის პროცესიც ვითარდებოდა. შავ-თეთრ ბექედვას სცვლიდა ფერადი ბექედვა, რაც ამალღებდა რეპროდუქციის ხარისხს. ლინოტიპის ადგილი დაიკავა კომპიუტერმა, რაც აიოლებს ტექსტის აკრეფას, შრიფტების შერჩევასა და განლაგებას.

ბექედვის სისწრაფემ და სიმსუბუქემ გზა გაუხსნა ხალტურის მასობრივ ტირაჟირებასაც. მაგრამ ეს ცივილიზაციის თანმდევი პროცესია, რომელიც ეწევა საკრალურის პროფანაციას.

მთლიანად ტექნიკაზეა დამყარებული კინოხელოვნება, როგორც გადაღება, ისე ჩვენება. მუნჯი კინო კიდევ უფრო იოლად აკავშირებდა სხვადასხვა ერებს. ჩარლი ჩაპლინის იუმორი, პანტომიმური მოძრაობა და მოქმედება ყველგან სიხარულს იწვევდა. ეს სიხარული, ეს სიხალისე აერთიანებდა ადამიანებს, მილიონებს ერთნაირ განწყობილებას უქმნიდა. ამიტომ გადადიოდა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, არღვევდა საზღვრებს, კლასობრივ იერარქიას, თაობათა ზღუდეებს. შემდეგ კინოს ამეტყველებამ შექმნა ბარიერი.

მსოფლიოში მოქმედებს უამრავი სატელევიზიო არხი. ისინი თანამგზავრული სისტემით გადაეცემა ყველა კონტინენტს, ისევე როგორც რადიოტალღები. კომპიუტერი, ინტერნეტქსელი, სოციალური პროგრამები, ინტერნეტბიბლიოთეკა, ჟურნალი და გაზეთი ერთიან ვირტუალურ სივრცეს აყალიბებენ. ამ სივრცეში ყველა თანაბარია, შეიძლება ყველა ერთმანეთს დაუკავშირდეს, გადასცეს თავისი აზრები და შეხედულებები. სახლიდან გასვლა არც არის საჭირო, თითქოს ჭუჭრუტანიდან ვუყურებთ ვარსკვლავთა სამყაროს.

ის, რაც სულთა საუფლოდ იყო მიჩნეული, ახლა ამ წარმოსახულ გარემოში არის გაშლილი.

გლობალიზაციას ყველაზე მეტად აჩქარებს ის დარგები, რომლებიც გადააქვს ტექნიკას ანუ ცივილიზაციურად არის გაშუალებული.

XIX საუკუნის ბოლოდან, როცა წარსულს ბარდებოდა ცხენი, მახვილი და ეტლი, როცა მოტორმა და ბორბლებმა აამოძრავა სამყარო,

დაიწყო ცნობიერების მანქანური მოდელირებაც. მხატვრებმა ქვეყანა დაინახეს გეომეტრიულ ფორმებში – კუბების, სამკუთხედების, მართკუთხედების, ოთხკუთხედების, ხაზების, სფეროების სახით; ფუტურისტებმა და კონსტრუქტივისტებმა ადამიანის ადგილზე მოათავსეს მანქანა, შემოიტანეს მათემატიკური ფორმულები; მუსიკოსებმა ხმაურით აავსეს მაჟორული და მელანქოლიური მელოდიები; პროზაიკოსებმა წესრიგი დაარღვიეს და მღვრიე ცნობიერება აქციეს დომინანტად; პოეტებმა ლირიზმსა და სიმღერას ფიქრი, განსჯა და ქუჩის რიტმები არჩიეს.

საბოლოოდ კი ტექნიკამ და კომფორტული ცხოვრების კულტმა შვა ნიჰილიზმი ინტელექტისა და ესთეტიზმის მიმართ, ნიჰილიზმმა – კლასიკური ჰარმონიისა და სიმეტრიის უარყოფა, აბსურდული ყოფის ამაოება (იხ. „ელექტრონული გალაქტიკა“).

დღეს პროგრესის კატალიზატორია ინფორმატიკა და მიკროელექტრონიკა. მათი მეშვეობით იზრდება შრომის ნაყოფიერება, იცვლება მართვის, მომსახურების, მუშაობის სტილი, ადვილდება მიზნის მიღწევა და ვრცელდება მასობრივი კომფორტი.

ადამიანი კოსმოსში გაიჭრა, მთვარეს დაადგა ფეხი. მაგრამ ამას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, რადგან ზეცაში ვერაფერი ჰპოვეს. მას აღელვებს ის, რაც აქ ხდება, რაც ხდება პიროვნების სულში, თავის გარშემო, ის, რაც სჭირდება.

ზოგ ნეოთომისტს მიაჩნდა, რომ ტექნიკა არის ღმერთის აზრის გაელვება, რადგან იგი თავის დიქტატს უმორჩილებს ყოფის ყოველ მხარეს, სინამდვილესა და ოცნებას, ფიქრსა და მოქმედებას. თანდათან კი ადამიანიც ემგვანება მანქანას და იცლება გრძნობებისაგან, თუმცა ჰგონია, რომ მისი მეშვეობით იმორჩილებს ბუნების ფარულ ძალებს. მაგრამ ისიც, რომ ბუნების ნაწილია და, მაშასადამე მასაც განაგებს ტექნიკა. იგი აწარმოებს ენერგიას, პროდუქტებს, ხელს უწყობს მასობრივი კომფორტის გავრცელებას, სწრაფ კავშირებსა და გადაადგილებას, აღმოჩენებს, თავდაცვასა და თავდასხმას, აიოლებს ცხოვრებას.

ტექნიკამ შექმნა ურბანული რეალობა, თანამედროვე ქალაქები, შუშისა და მეტალის არქიტექტურა, ზებგერითი საჰაერო ლაინერები, კოსმოსური ხომალდები და თანამგზავრები (იხ. „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“).

თანამედროვე ახალგაზრდისათვის ისე ბუნებრივია მაცივარი,

მობილური ტელეფონი, პლასტმასი და სინთეტიკა, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, კომპიუტერი, ლიფტი, ვატერკლოზეტი, გათბობა, გაზი და ელექტრონი, ცივი და ცხელი წყალი X თუ XV სართულზე, რომ ეს თითქოს ყოველთვის არსებობდა.

ეს კარგია, ამაზე არავინ ამბობს უარს. მაგრამ ადამიანი ხდება არა ტექნიკური საგნების გამგებელი, არამედ – ნაწილი. ტექნიკა მბრძანებლობს მასზე, მის სურვილსა და ქცევაზე. ბუნება იცვლება ტექნიკური ლანდშაფტით და ადამიანს ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ.

ამას ეგზისტენციალისტები გაუცხოებას ეძახიან. ასე რომ ტექნიკის გაჩენაში ღმერთთან ერთად ეშმაკიც მონაწილეობს (შპენგლერი, ჰაიდეგერი, იასპერსი, დესაურეი, ელიული). ფაუსტს მეფისტოფელი დღესაც სჭირდება.

იყო დრო, როცა ვერ იტანდნენ რკინიგზასა და გვირაბებს, ეიფელის კოშკი სიმახინჯედ მიაჩნდათ, მაგრამ ტექნიკის დემონმა სწორედ მას შემდეგ იჩინა თავი.

ტექნიკა, მისი გამოყენების წესი აკავშირებს და აერთიანებს ადამიანებს, გეოგრაფიულად დაცილებულ პუნქტებს და ხელს უწყობს ფსიქიკისა და ქცევის სტანდარტიზებას, სულის რობოტიზებას, უცნობ სიმრავლეთა დაყვანას ნაცნობ ერთეულებამდე, ერთი ფერის გაბატონებას, რაზეც ოცნებობდნენ ბოლშევიკები.

საბჭოთა კავშირში ახალი ფერისცვალება დაიწყო 1956 წლიდან, 60–იან წლებში. შემეცირდა იდეოლოგიური ბარიერი და სოციალისტური კულტურის გვერდით აღმოცენდა ნეიტრალური კულტურა, რომელსაც სათავე დასავლეთში ჰქონდა. ცხადია, იდეოლოგიური დოგმების კრიტიკა იკრძალებოდა, მაგრამ ნეიტრალური კულტურა თავისი არსითა და ფორმებით, ირიბად, ფარულად სწორედ სოციალიზმის პრინციპებს აქარწყლებდა.

ასე მოხდა საქართველოშიც.

გლობალიზაციის პრობლემაზე, მასობრივ და ელიტარულ კულტურებზე, გუტენბერგის გალაქტიკასა და დროის ბიუჯეტზე, ტექნიციზმსა და ილუზიების ფაბრიკაზე, სტრუქტურალისტურ ანექსიასა და პიროვნების პროგრამირებაზე ვწერდი ჯერ კიდევ 1974 წელს (იხ. „სამეცნიერო–ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“).

მაშინ გლობალიზაციის სივრცე ლოკალიზებული იყო სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკებით. ხოლო არსი იყო სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი.

მას ევროპელი და ამერიკელი იდეოლოგების გავლენით ყურადღება მიაქციეს მარქსისტმა ავტორებმა, რუსმა მეცნიერებმა.

კარგად ესმოდათ, რომ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი შლიდა ზღვარს იდეოლოგიებს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აუქმებდა კლასობრივ ბრძოლას, ამკვიდრებდა საყოველთაო მოდელებს აზროვნებასა და რეალობაში, არღვევდა ნაციონალურ ფორმებსა და ტრადიციებს, რაც ანტიკომუნისტურ მოვლენად ჩანდა.

ამიტომ ფრთხილად ცდილობდნენ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის შეგუებას სოციალიზმის ინტერესებთან, რათა ამ უნივერსალური განმაახლებელი ძალის გააზრება არ დარჩენოდა კაპიტალისტურ სამყაროს.

მაგრამ დაიშალა სსრკ და სოციალიზმის ბანაკიც. ხოლო სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და ტოტალური რეკონსტრუირება შეივსო ამერიკანოცენტრისტული იდეოლოგიით და იქცა გლობალიზაციად.

გლობალიზაციას მიყვავართ კომუნიზმის მსგავს ერთობასა და ნიველირებამდე, ინდივიდუალობის წაშლასა და უნიფიკაციამდე.

დემოკრატია კულტურაა, გლობალიზაცია – ცივილიზაცია. დღეს გლობალიზება უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე დემოკრატია. მაგრამ გლობალიზების აღმავალ პროცესში უნდა დავინახოთ და განვასხვავოთ ორი მიმართულება:

ერთი, რომელიც ბუნებრივია და ნელა მიმდინარეობს, მეორე, რომელიც ხელოვნურად არის დაჩქარებული, იდეოლოგიურად მოტივირებული და ორგანიზებული.

საზოგადოების წიაღში ჩნდება იდეა, რომელიც იდეოლოგიად იქცევა და გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, კულტურის ფორმებზე, მიმართულებებზე, პრობლემებზე.

ასე იქმნებოდა გლობალიზაციის მოდელები.

I. გლობალიზაციის მოდელები: ერთიანი მსოფლიო

გლობალიზაცია ახალი ცნებაა. მაგრამ მარადიულია ოცნება მსოფლიო ბატონობაზე, რაც არ ასვენებდათ ძლევამოსილ იმპერატორებს, ყაენებსა და სულთნებს.

მსოფლიო ბატონობა კი ძველი დროის გლობალიზაციაა, როცა ერთი ერი, ერთი სახელმწიფო ძალადობით ცდილობდა სხვათა არსებობისა და კულტურის წარხოცვას, საკუთარი წარმოდგენების დამკვიდრებასა და გაფეტიშებას.

ცაბაოთი, ებრაელების უფალი, მოუწოდებდა თავის რჩეულ ერს, როცა ქალაქს დაიპყრობდნენ, მოესპოთ ყველა – დიდი და მცირე;

ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთამდე მივიდა, ნაპოლეონი თავს დაესხა ეგვიპტესა და რუსეთს, ჰიტლერის არმიები იდგნენ ლამანშიდან და საჰარიდან სტალინგრადამდე, დიდი ბრიტანეთი ფლობდა ავსტრალიას, აშშ–ს, კანადას, ინდოეთს, ახალ ზელანდიას, გერმანული ტომები მოედვნენ დამხობილ რომის იმპერიას.

ტერმინ გლობალიზაციას არ მიმართავენ ისტორიული პროცესების აღსანიშნავად. მაგრამ ფაქტი ერთია – ყოველთვის არსებობდა ოცნება და პრაქტიკული ცდა ერთიანი მსოფლიოს შესაქმნელად.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მუდამ არსებობდა გლობალიზების ტენდენციები, რაც სწრაფად იწყებოდა და ჩერდებოდა შუაგზაზე. შემდეგ ამოქმედდებოდა საპირისპირო ან ახალი გლობალიზების ტალღა, რომელიც სძირავდა ძველს, მაგრამ ისიც შუაზე წყვეტდა მოძრაობას.

ეს პროცესი პერიოდულად მეორდება, როგორც ინტეგრირება და დიფერენცირება. თანამედროვე გლობალიზაცია უსისხლო პროცესია და ემყარება არა იარაღს, არამედ – ტექნიკურ პროგრესს, ცივილიზაციის კულტურას, ერთა ურთიერთდაახლოებას, ადამიანის უფლებათა დაცვას.

როგორც ადრე, ისე შემდეგ იმპერიულ ამბიციას, კოლონიურ ექსპანსიას ეძლეოდა იდეოლოგიური გამართლება. დღეს გლობალიზაციის პროცესს ისე წარმართავს დასავლეთი, რომ არ ავინყდება „განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე საკუთარი, არაპროპორციულად მაღალი მოგების მიღება“, რომ „ინდუსტრიულად

უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა უარი თქვეს საკუთარ ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების პროდუქცია მიეღოთ, რომ ინარჩუნებდნენ კვოტას სხვადასხვა პროდუქციაზე. ამავე დროს ისინი მოითხოვდნენ, რომ ამ ქვეყნებს მდიდარი ქვეყნებიდან საკუთარ ბაზარზე ექსპორტი არ შეეზღუდათ“, – წერს ჯოზეფ სტიგლიცი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აშშ-ის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ცალკეული ორგანიზაციები, მაგ., მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თუ მსოფლიო ბანკი ძირითადად გამოხატავენ აშშ-ის ინტერესებს. ეს ინვესს პროტექსტს, არეულობასა და კონფლიქტს, ინვესს გამოსვლებს როგორც ამ ორგანიზაციების, ისე თავად აშშ-ის წინააღმდეგ (მაგ., მუსულმანურ ქვეყნებში).

ამას აქვს რამდენიმე მიზეზი, გარდა ნაციონალურ სახელმწიფოთა ბუნებრივი წინააღმდეგობისა: აშშ ცდილობს თავის ძალასა და გავლენას დაუმორჩილოს გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესი; ეს მოახდინოს სწრაფად, მოახდინოს თავის მიერ აღზრდილი ადგილობრივი კადრებით, რომლებიც ყალიბდებიან როგორც ლიდერთა პრივილეგირებული კასტა (მაგ., საქართველოში).

ინტეგრირება და გლობალიზაცია

სახელმწიფო და საზოგადოება ინტეგრირებით იქმნება. სხვა მხრივ იგი ისევე ჩაკეტილი დარჩება, როგორც უძველესი კლანი. მაგრამ კლანთა შეერთებით წარმოიშვა ტომი, ტომთა კავშირი, პრასახელმწიფო.

რაც გადის დრო, ინტეგრაცია უფრო აუცილებელია. უამისოდ სამოქალაქო საზოგადოება და პროგრესი ვერ იქნება. მაგრამ პარალელურად, როგორც ვთქვით, მოქმედებს დამშლელი ძალები. მათი დაძლევით, გადალახვით ხდება ინტეგრირება. ეს არის ურთიერთმეღწევა, გამოცდილების გაზიარება და გადატანა, ვინრო თვალსაწიერის გაფართოება.

ინტეგრირება გარკვეულ დონემდე საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. როგორც გარემოსთან მუდმივი კონტაქტის გარეშე ვერ იარსებებს ინდივიდი, ისე საზოგადოება ესწრაფვის ინტეგრირების პროცესის დაჩქარებასა და გავრცობას.

ადამიანთა ჯგუფების, ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირებით ყალიბ-

დება სახელმწიფო. მისი საფუძველი არის ერის ცნება. მაგრამ დღეს ირღვევა საზღვრები, შეხედულებები, ტრადიციები და ტრადიციული ინტეგრირება გადადის გლობალიზაციაში.

ინტეგრირება მეტწილად ძალადობით ხდებოდა, როცა დამპყრობელი დამარცხებულს თავს ახვევდა თავს წარმოდგენებს. ეს იყო გზა ასიმილაციისაკენ. გლობალიზაცია ნებაყოფლობითი პროცესია, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით მოქმედებს ყველა სახელმწიფოში და მათ მიაქანებს ერთიანი სივრცისაკენ.

ინტეგრირება კულტურაზე სასიკეთოდ მოქმედებდა. ლოკალურ გარემოში იგი სპობდა განკერძოებას, ეთნოგრაფიზმსა და იზოლირებას.

სხვათა გამოცდილების გადმოტანით უფრო ავითარებდა იმ ტენდენციებს, რაც შესაძლებელი იყო უცხოსაც მიეღო.

ჩვენ ვნახეთ თუ როგორ ჩაიკეტნენ თავიანთ მატერიკზე ინდიელები, აფრიკელი და ავსტრალიელი ტომები, როგორ იმოქმედა ამ ფაქტორმა მათ ინტელექტუალურ უნარზე, არა მხოლოდ მიღწეულ შედეგებზე. შემდეგ იჩაგრებოდნენ ევროპელების მიერ, მიზეზად კი სწორედ მათ ჩამორჩენილობასა და ველურობას თვლიდნენ.

გლობალიზაცია გაერთმინებელიანებაა, რომელსაც მიმართულებას აძლევს პოლიტიკა და კულტურა. ამ პროცესში კულტურას უმცირდება ეროვნულ თვისებათა მარაგი, შემოდის საერთაშორისო მოდელები, როგორც ენაში ინტერნაციონალური ლექსიკა, ზოგ დარგში ჭარბად (მაგ., არქიტექტურაში), ზოგ დარგში – ნაკლებად (მაგ., ლიტერატურაში). ის ტენდენციაც, რომელიც ამოდის ნაციონალური სიღრმიდან, ეროვნული ტრადიციებიდან, თუ არ იქნა მოდერნიზებული, მისადაგებული ახალი დროის სულისკვეთებასთან, უცხო და გაუგებარი დარჩება ლოკალურ წრეშიც, არათუ ზოგად სფეროში. უამისოდ ველარც წინ წავა, ხოლო კონსერვირება და შეჩერება რეგრესს მოასწავებს, რადგან, ერთი მხრივ, ველარ ააქტივებს შემოქმედებით ძალებს, მეორე მხრივ – სხვა აღწევს ახალ წარმატებას და წარმოიშობა დისბალანსი.

გლობალიზებით შესაძლებელი ხდება საკაცობრიო ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანება, საყოველთაო პროგრესი და მოახლოებულ კატასტროფათა აცილება. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულ ასპექტში იგი აყენებს მრავალ მწვავე კითხვას, რაც ხდება ასპარეზი ახალი კონფლიქტებისა და კრიზისებისათვის.

გლობალიზაციას უფრო ემორჩილებიან განვითარებადი ქვეყნები. გლობალიზაციის ყოველი მოდელი აყალიბებს შესაბამის კულტურას (მაგ., სოციალისტური კულტურა).

რელიგიური მოდელი

მსოფლიოში ვერცერთი რელიგია ვერ გაბატონდა. მაგრამ ყველა მათგანი ცდილობდა სივრცის გაფართოებას, თავის რჯულზე სხვათა მოქცევას. ამისათვის მიმართავდა დარწმუნებას, ქადაგებას, მოსყიდვას, ძალადობას, სიკეთეს, სათნოებას.

ერთი რელიგია მეორისადმი შეუწყნარებელი იყო.

ერთი ძირიდან მოდიან იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. მათი შემქმნელები გენეტიკურადაც ნათესავი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ქრისტე და მუჰამედი ერთმანეთისადმი შეურიგებელი იყვნენ და მათ ბრძოლებს უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.

კათოლიკე მისიონერები მთელ მსოფლიოში დადიოდნენ, რათა ურწმუნონი მოექციათ ქრისტეს რჯულზე. ხოლო მართლმადიდებლები კათოლიკობაზე გადაეყვანათ (მათ შორის – საქართველოშიც).

პროზელიტები ყველგან იყვნენ. მისიონერთა თავგანწირვას ჰქონდა გარკვეული ეფექტი. მაგრამ ვერ შეძლო ბუდიზმის, ისლამის ან კონფუციუსის მიმდევართა შეზღუდვა, მათი დამარცხება.

რელიგია იმარჯვებდა იქ, სადაც მახვილი მიუძლოდა და ძალადობრივად იწყებდა რწმენის დამკვიდრებას. ასე მოხდა ისლამის გავრცელება, რომელიც არაბთა რჯული იყო. მომთაბარე ბედუინებმა შეძლეს მახლობელი ტომების და ხალხების დამორჩილება და თავიანთი ქვეყნის საზღვრები გასწიეს ესპანეთიდან შუააზიამდე. ბევრმა ქვეყანამ დაკარგა წინაპართა რელიგია. მაგ., ზოროასტრული ირანი მუსულმანური გახდა. შემდეგ კი ოსმალეთთან ერთად იქცა მუჰამედის მცნების მედროშედ. თვით თურქებმა დაივიწყეს წინაპართა რწმენა და მიიღეს მუსულმანობა, რამაც სიმტკიცე მიანიჭა მათ იმპერიას.

საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იღვწოდნენ და იბრძოდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ერთ რწმენაზე მოექციათ მსოფლიო. ყველა აღიარებს უმაღლეს ერთს, რომელსაც ჰყავს თავისი ძე თუნარმომადგენელი მინაზე. იგი იმუშავებს, მისი სახელით ფორმდება ახალი თვალთახედვა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მიჰყვებიან მილიონები. მაგრამ

ეს განსხვავებული თვალთახედვა სთიშავთ მორწმუნეებს. თვით ქრისტიანობის წიაღშიც ვერ ხერხდება ერთიანობის აღდგენა. 1948 წელს შეიქმნა პროტესტანტული და მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო საბჭო. მაგრამ ეკუმენისტურ მოძრაობას არ უერთდებიან სხვა ქრისტიანული ეკლესიები (მაგ., კათოლიკური) და ამიტომ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ქართული სამოციქულო ეკლესიაც იყო ერთხანს მსოფლიო საეკლესიო კავშირის წევრი (1997 წლამდე).

ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა უამრავი სექტა. სექტის წევრებს ერთმანეთის სიყვარული და სოლიდარობა აქვთ. მაგრამ სასტიკად უსწორდებიან მეორე სექტის წევრებს, რომელთა ცხოვრების წესსა და წარმოდგენებს ვერ ჰგუობენ. ერთხანს ჩვენში შემოვიდა და გავრცელდა იელოველთა რწმენა. 2003 წელს სახელმწიფომ მათი ორგანიზაცია დაარეგისტრირა. სწორედ ამის შემდეგ დაეცა იელოვას მოწმეების აქტივობა, როცა ეგონათ, რომ პირიქით მოხდებოდა.

დიფერენცირება რელიგიის შიგნით ისტორიულად ხელს უშლიდა მის შემდგომ გავრცელებას, ახალი მრევლის ათვისებას. ეს იყო დაპირისპირება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის, სუნიტებსა და შიიტებს შორის. მაგ., 1613 წელს, როცა რუსეთში გამეფდა მიხაილ რომანოვი, ხოლო პატრიარქი გახდა მამამისი ფილარეტი, კათოლიკეების დაპატიმრება დაიწყო, ხოლო სხვა ქვეყნის მართლმადიდებლებს გადანათვლას აიძულებდნენ.

ერთი რელიგიით ვერ გაერთიანდა კაცობრიობა. მაგრამ რამდენიმე ძირითად რელიგიას (მაგ., ქრისტიანობა, მუსულმანობა, ბუდიზმი) და მათ უამრავ სექტას დამორჩილებული ჰყავს მსოფლიო.

აშშ–ს არა აქვს ოფიციალური რელიგია, როგორც ვთქვით, იტალიას – კათოლიციზმი, რუსეთს – მართლმადიდებლობა ან არაბულ ქვეყნებს – მუსულმანობა. მაგრამ 2003 წლის გამოკითხვით მოსახლეობის 90 პროცენტს სწამს ღმერთი.

ეს მაშინ, როცა აშშ–ში მოქმედებს 1.300–ზე მეტი რელიგია, სექტა და კულტი. საქართველოში 81% თავს მიიჩნევს რელიგიურ პიროვნებად, ათეისტად – 6%, ხოლო რელიგიურ ცხოვრებას მისდევს 30%.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ერთია ღმერთის რწმენა, მეორე – იმის გაგება თუ რა როლს ასრულებს უფალი ადამიანის ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით ევროპაში ინდიფერენტიზმი ბატონობს: დიდ ბრიტანეთში 18% თვლის, რომ ღმერთი განსაზღვრავს მის ცხოვრებას;

საფრანგეთში ასე ფიქრობს 14%, გერმანიაში – 16%. ეს ნიშნავს, რომ ფანატიზმი აღარ არსებობს და ღმერთს ადამიანი მიიჩნევს კულტურის ნაწილად. ამიტომ სუბკულტურების მიერ დიფერენცირებულ ღმერთს აღარა აქვს გამაერთიანებელი ძალა.

ამის გამო ვრცელდება რელიგიური პლურალიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ კონფესიები მშვიდად თანაარსებობენ: ერთი ბუდაზე ლოცულობს, მეორე – ქრისტეზე; ერთი კათოლიკეა, მეორე – ბაპტიستي, მესამე – მართლმადიდებელი, მეოთხე – იელოველი. მაგრამ ეს არ იწვევს კონფლიქტს, ყველას თავისებურად სწამს უფალი და თავისებურად განადიდებს უზენაესს.

რელიგიური რადიკალიზმის დაძლევათ კი რწმენას ძალა ეკარგება.

რელიგია თავისი არსით კოსმოპოლიტური მოვლენაა, როგორც ქრისტიანობა, ისე ისლამი (შდრ – მუჰამედი ამბობს: „ყოველი მუსლიმი ერთმანეთის ძმა და დაა! თქვენი ღმერთი ერთია: თქვენ ყველა ადამის შვილები ხართ. არაბს არარაბის მიმართ და არაარაბს არაბის მიმართ არავითარი უპირატესობა არა აქვს. ყველა თანასწორია“).

მაგრამ ძლიერი ხელისუფალი მას აყენებს თავის სამსახურში მართვისა და გავლენის გავრცელებისათვის. ამიტომ ხდებოდა რელიგიის ნაციონალიზება. პატარა ერისათვის იგი თავდაცვის იარაღიცაა, როცა მოძალადე სხვა კონფესიას განეკუთვნება. ქართველს მუსულმან აგრესორთა წინააღმდეგ ქრისტეს ჯვარი ძალას ჰმატებდა. ამის შედეგად კი რწმენა გადავიდა ნაციონალისტურ მესიანიზმში და ეს გაცხადდა იოანე ზოსიმეს ცნობილ ენკომიაში.

ათასი წლის შემდეგ ამასვე იმეორებს ჩვენი კათოლიკოს–პატრიარქი.

როგორც არაერთხელ ვთქვით, კულტურა გამოვიდა რელიგიის წიაღიდან და ეს წარმომავლობის ნიშანი მას დღემდე შერჩა (მაგ., განსხვავება ქრისტიანულ და მუსულმანურ კულტურებს შორის).

განმანათლებლობის დროიდან მცირდება რელიგიის გავლენა, ნელდება რელიგიური ფანატიზმი და მასებს ახალ სამოქმედო პროგრამას აწვდიან იდეოლოგიები. ისინი ენაცვლებიან რელიგიურ კონსერვატიზმს და ცდილობენ პასუხი გასცენ დროის მიერ წამოჭრილ პრობლემებს, რაც საერთოა სხვადასხვა ერისათვის. იდეოლოგიაში წამყვანია პრაგმატიზმი, მაგრამ ინარჩუნებს მისტიკურ ნაკადსაც (მაგ., ნაციონალ–სოციალიზმში – არიული რასის მითი, სოციალიზმში – კომუნიზმის აშენების იდეა).

იმპერიული მოდელი

როგორც ვთქვით, რელიგია იქ იმარჯვებდა, სადაც სახელმწიფო აღწევდა წარმატებას. მხოლოდ რელიგიური აფეთქება, როგორც ეს მოხდა ქრისტიანობასა და მუსულმანობაში, არ კმარა. რწმენას მახვილი უნდა შეშველებოდა, სისხლისღვრა, ტერიტორიის მიტაცება, ქვეყნის დაპყრობა გამართლებული უნდა ყოფილიყო. ეს მეომარს მეტ რწმენასა და ენერგიას აძლევდა, უზრუნველყოფდა ქვეყნის მთლიანობასაც, რადგან რწმენის მიღმა იდგა უზენაესი და შეუცნობელი ძალა.

ერთი მეფე, ერთი ღმერთი, ერთი სახელმწიფო, ერთი ენა – ასეთი იყო იმპერიების სლოგანი და ამ იდეის აღსასრულებლად სწირავდნენ სიცოცხლესა და ძალას. განუზომელი მსხვერპლი ახლდა ამ ლაშქრობებს, თუმცა მსოფლიო იმპერია ვერ შეიქმნა. მაგრამ ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ადამიანური პოტენციალის ამოქმედებისა და კონცენტრირებისათვის, რასაც მოჰქონდა პროგრესი. ასეთი ძალმომრეობისა და ძალადობის გარეშე ასპარეზი ვერ ექნებოდა ენას, კულტურას, ცივილიზაციას, ტექნიკას და კაცობრიობა დარჩებოდა თავის სოფლებსა და ქოხებში მიმოფანტული.

როცა არსებობდა რომის იმპერია, ყველა გზა რომში მიდიოდა. ის იყო კულტურის ცენტრი, ის ასხივებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს. სხვა ყველა ბარბაროსი იყო.

რომაულ სივრცეში ჩამოყალიბდა ერთიანი ცივილიზაცია.

როცა დიდი ბრიტანეთი კოლონიებად ინაწილებდა მსოფლიოს, როცა პორტუგალიელები და ესპანელები იპყრობდნენ ამერიკის კონტინენტს, როცა ევროპელები ძარცვავდნენ აფრიკას, ეს მხოლოდ სისხლისღვრა როდი იყო, არამედ – კულტურის გავრცელებაც. ეს პროცესი სასტიკი იყო, მაგრამ გარდაუვალი. უამისოდ ეროვნული, ტომობრივი თუ ენობრივი კარჩაკეტილობა ვერ დაირღვეოდა – ნებაყოფლობით არავეინ დათმობდა თავის ღმერთებს, რწმენას, მიწას.

ეგოისტური ბირთვის დათრგუნვის გარეშე ადამიანთა ურთიერთობა ვერ იარსებებს. მაგრამ იმპერიული მოდელი არ სცნობს თანასწორობას. აქ არის მეტროპოლია და კოლონია, ცენტრი და პერიფერია. ადამიანური ღირებულებები, ფასეულობები, ღირსებები არის კოლონიზატორთა ხელში. ისინი თავს თვლიან უმაღლეს რასად, კულტურ-ტრეგერებად. ამიტომ თეთრკანიანი თუ ყვითელკანიანი იყო მონობისა და ჩაგვრის ობიექტი.

მკაცრად იყო განსაზღვრული რელიგიური, რასობრივი, ნაციონალური და სოციალური იერარქია.

მმართველი ელიტა არ ითვალისწინებდა მასების ინტერესებს: ელიტა აპრიორულად განასახიერებდა მთელს ერს, რომელიც მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

იმპერიის სამსახურში იდგა რელიგია და შესაბამისად მის მიერ ფორმირებული კულტურაც.

იმპერიული მოდელი არსებობდა ძალადობისა და ომების ხარჯზე (იხ. „სახელმწიფო და ომი“). მაგრამ დემოკრატიზების პროცესმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოსპო იმპერიალიზმი და კოლონიალური სისტემა (მაგ. 1960 წელს გაერომ 17 ყოფილი კოლონია მიიღო თავის წევრად).

იმპერიული მოდელიც ისტორიის კუთვნილებაა.

იდეოლოგიური მოდელი

ახალ დროში მოქმედებას წინ უსწრებს იდეოლოგიური კონცეფციები, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო, კლასები, საზოგადოებრიობა, კულტურა. იდეოლოგია ხშირად ებრძვის ან უგულველყოფს რელიგიას, თუმცა მის ზეგავლენას თავს მაინც ვერ აღწევს. ამასთან ერთად ინახავს იმპერიულ ოცნებასაც.

ასე რომ იდეოლოგია იერთებს რელიგიურ და იმპერიულ იდეებსაც და დროის შესაბამისად გარდაქმნის. ზოგჯერ კი ემყარება კიდეც (მაგ., ევროპოცენტრიზმი). ხშირად მას ახდენა არ უწერია და რჩება თეორიულ თვალსაზრისად. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე აღელვებს ადამიანთა ოცნებას. თუ მიეცემა საშუალება, ძველი მრწამსი ახალი ძალით იფეთქებს.

ასე მოხდა, როცა პანგერმანიზმი ნაციონალ-სოციალიზმად იქცა. გერმანელმა ფილოსოფოსებმა, კულტურის მოღვაწეებმა, გენერლებმა შექმნეს ეს მოძღვრება, რასაც ამზადებდა ამ ერის დიდი ისტორია. მათ მოახერხეს ცოდნის ყოველ სფეროში, ხელოვნების ყოველ დარგში განსაკუთრებული წარმატების მიღწევა, ადამიანურ ურთიერთობათა რაციონალიზება, წესრიგისა და დისციპლინის შემუშავება. შემდეგ კი გაერთიანებაც შეძლეს.

გერმანელები 600 წელი ებრძოდნენ რომის იმპერიას და ბოლოს

დაამხეს კიდეც. გერმანული ტომები მოედნენ მთელს ევროპას და არაერთი სახელმწიფო დააარსეს რომის იმპერიის ნანგრევებზე.

მათგან ერთმა – გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიამ XIX საუკუნემდე მოატანა. მისი მემკვიდრეა დღევანდელი ავსტრია.

გერმანული ტომები მონაწილეობდნენ საფრანგეთის (ფრანკები), ინგლისის (ანგლო-საქსები), იტალიის, ესპანეთის სახელმწიფოებრივ ფორმირებაში. მათი შთამომავლები არიან ნორვეგიელები, შვედები, ჰოლანდიელები, დანიელები, შვეიცარიელები, ფლამანდიელები, ისლანდიელები.

გაერთიანებულ, ძლევამოსილ გერმანიას უნდა ეცხოვრა ვიწრო ევროპულ სივრცეში. მაშინ როცა ინგლისელები, ესპანელები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, ფრანგები ვრცელ კოლონიებს ფლობდნენ სხვადასხვა მატერიკზე; ენერჯისა და ინტელექტის სიჭარბე, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ტერიტორიის სიმცირე აიძულებდა საზღვრების გაფართოებას (ძველი პაროლი – „Drang nach osten“).

პანგერმანიზმი ამკვიდრებდა ოდინის ძეთა განსაკუთრებულ მისიას. ამ შეგნებით იყო გაჟღენთილი არა მხოლოდ ინტელექტუალი ან გენერალი, არამედ – რიგითი გერმანელიც. საკუთარი უპირატესობის შეგნება იძლეოდა ბიძგს მოქმედებისათვის. როცა ეს განცდა დოქტრინად იქცა და გადავიდა პოლიტიკაში, ომი გარდაუვალი იყო.

XX საუკუნეში გერმანიამ გადაიხადა ორი უდიდესი ომი, ორი მსოფლიო ომი. არნახულ დანაშაულთან და სისხლისღვრასთან ერთად ისტორიას დარჩა სიმამაცისა და ინტელექტუალური გმირობის უამრავი მაგალითი. მათ ახალი გეზი მისცეს ცივილიზაციას.

პანგერმანიზმი იყო როგორც ევროპოცენტრიზმის განვითარება და დაკონკრეტება, ისე ამბოხი ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ (შდრ – კათოლიციზმი და ლუთერანობა, რომის იმპერია და გერმანული ტომები).

ევროპოცენტრიზმის ფუძე არის ელადა და რომი, ისევე როგორც პანგერმანიზმისათვის.

როგორც მკითხველმა იცის, ბერძენისა და რომაელისათვის ყველა არათვისტომი, ყველა უცხოელი იყო ბარბაროსი – ქვესკნელში მცხოვრები. შუასაუკუნეების ევროპელისათვისაც ევროპა იყო ქვეყნის ცენტრი, ევროპეიდული თეთრი რასა – უმაღლესი ღირსებისა, კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელი.

ამ მსოფლგანცდას განამტკიცებდა ქრისტიანული რწმენა, რათა დათრგუნული ყოფილიყო წარმართობა და ველურობა, მოძალებული

მუსულმანობა, რომელიც ფეხს იკიდებდა ევროპის კონტინენტზეც.

ნეგროიდული და მონგოლოიდური რასები, ინდიელები ევროპელს მიაჩნდა დაბალი ღირსების ხალხებად, მუსულმანები – ურჯულოებად. ამის შედეგად თვლიდნენ თავიანთ ცივილიზაციურ უპირატესობას. ევროპეიდის რჩეულობის იდეა კი იყო სხვათა განადგურების, მოსპობის, დამონების, მათი მიწების მიტაცების გამართლება.

მოგვიანებით, როცა აღმოაჩინეს ძველი აღმოსავლეთი, ეგვიპტე და მესოპოტამია, ინდური და ჩინური კულტურები – ევროპა დაინტერესდა აღმოსავლეთით. შემდეგ აფრიკული და ამერიკელ ინდიელთა ცეკვისა და სიმღერის რიტმები, მითები და ლეგენდებიც შემოიჭრა. ამან თითქოს შეავსო ევროპელის მგრძობელობა და თვალსაწიერი, რათა დაეძლია ცივი რაციონალიზმი.

ევროპელები ერთმანეთის სისხლს ღვრიდნენ, ერთმანეთს სტაცებდნენ ტერიტორიებს, წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს. მაგრამ აზიელების თუ აფრიკელების მიმართ ერთსულოვანი იყვნენ, რომ ისინი ცივილიზაციის დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში განათლება და კულტურა ევროპას უნდა შეეტანა. შემდეგ, როცა აღმოჩნდა შორეული წარსული, როცა გაეცნენ დაპყრობილ ხალხთა ცხოვრებას, შენელდა ანტაგონიზმი. ხოლო ევროპოცენტრიზმის კრიზისმა გააცხოველა ინტერესი ორიენტალური სამყაროსადმი, აფრიკულ და ინდიელ ტომთა მოტივებისადმი, რათა ეპოვნათ დაკარგული მიწიერი საწყისი.

ევროპოცენტრიზმი გლობალურ მოვლენად აქციეს გერმანიამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც ლამის მსოფლიო იმპერია შექმნა და ყველგან გაავრცელა ინგლისური ენა, ანგლიკანური ეკლესია, ევროპული ცხოვრების წესი.

მაგრამ ბრიტანული კოლონიალიზმი ხიშტებზე იდგა. როგორც კი გაბატონდა ლიბერალური ღირებულებები, დაიშალა კიდეც. ოღონდ სწორედ ლიბერალიზმის წყალობით აღიარებენ დღესაც მთელი რიგი ქვეყნები (მაგ., კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია) თავიანთი სახელმწიფოს მეთაურად დიდი ბრიტანეთის დედოფალს.

ევროპოცენტრიზმის ზეობას განამტკიცებდა კულტურა, ქრისტიანობა, ლიტერატურა და ხელოვნება, მუსიკა და ფილოსოფია, ცხოვრების წესი.

სსრკ აკრიტიკებდა ევროპოცენტრიზმს, დასავლეთის ქედმაღლურ დამოკიდებულებას აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მათი კულტურისადმი (მაგ., შალვა ნუცუბიძე თავის წიგნს „რუსთაველი და

ალმოსავლური რენესანსი“ მიიჩნევა ევროპოცენტრიზმის დაძლევის (ცდად).

ზოგი მოაზროვნისათვის კაცობრიობის ისტორია – ეს მხოლოდ ევროპეიზმის ისტორიაა.

დღეს ევროპულ კულტურას არ სჭირდება ძალდატანებით გავრცელება. მისკენ თავისთავად ისწრაფიან სხვადასხვა კონტინენტის შვილები, აღიარებენ მის უპირატესობას, ცივილიზაციურ ღირებულებას და ლიბერალური ევროპა ნელ–ნელა გახდა ადამიანური ცნობიერების უნივერსალობის სინონიმი.

ქართველობაც ყოველთვის ესწრაფოდა ევროპასთან სიახლოვეს. IV საუკუნიდან, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, დასავლეთს ქართველთა თვალში ბიზანტია განასახიერებდა. მაგრამ მანამდეც, ჯერ ბერძენი, შემდეგ – რომაელი იყო განათლებისა და კეთილშობილების სინონიმი.

პარალელურად მძლავრობდა ირანული კულტურის ზეგავლენა, რაც დროდადრო სძლედა ელინურ–რომაულს. მაგრამ IV საუკუნიდან ერთადერთი ნებაყოფლობითი ორიენტირი იყო ბიზანტია. აქ გადამწყვეტი იყო ჯერ დიოფიზიტური, შემდეგ – მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

საქართველო დაიშალა მას შემდეგ, რაც დაეცა კონსტანტინეპოლი, განყდა კავშირი ქრისტიანულ ევროპასთან.

შემდეგ გამოჩნდა ახალი იმედი – რუსეთი, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია, ყოფილიყო მესამე რომი: ეგებ რუსეთს შესძლებოდა მუსულმანური ექსპანსიის შეჩერება.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველო საბოლოოდ დაუბრუნდა ქრისტიანულ დასავლეთს და ერთადერთი ორიენტირი გახდა ევროპა, ევროპული სულიერი იდეალები.

ანთროპოლოგიურად, რწმენით, ისტორიით, გეოგრაფიულად საქართველო არის ევროპის ნაწილი და მის მომავალსაც განსაზღვრავს ევროპასთან ყოფნის პერსპექტივა.

ევროპოცენტრიზმს განუდგნენ სლავიანოფილები. მათ მიიჩნიეს, რომ რუსეთს ევროპისაგან განსხვავებული გზით უნდა ევლო, რათა განემტკიცებინა თვითმყოფადობა (რუსული პატრიარქალობა, მართლმადიდებლობა, კონსერვატიზმი), რასაც ზოგი ევრაზიულ კულტურას უწოდებს (ნიკოლაი ტრუბეცკოი).

ისინი უპირისპირდებოდნენ „ზაპადნიკებს“, რომლებიც ხსნას ისევ ევროპისაგან ელოდნენ.

ევროპოცენტრიზმის გაშლაა მასონობა, სიონიზმი და სოციალიზმი. მასონობა ფარულად ესწრაფოდა ჰუმანისტური იდეალებით კაცობრიობის გაერთიანებას, ნაციონალიზმის დაძლევას და განდობილთა მიერ მსოფლიო მმართველობას. ამ იდეას იზიარებდა მრავალი მოაზროვნე (მაგ., ვოლტერი, ლესინგი, ფიხტი, მოცარტი, ჩერჩილი).

მასონობა იყო განმანათლებელთა ეზოტერული იდეების პრაქტიკაში გადატანის ცდა. ისინი თავიანთ ისტორიას უკავშირებდნენ სოლომონის ტაძრის მშენებლობას იერუსალიმში, ტამპლიერებისა და როზენკროიცერების რაინდულ ორდენებს. მასონობა თავისუფალ ქვისმთელთა საძმოდ იწოდებოდა და ამიტომ აქცევდნენ არქიტექტურას განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ ეწადათ მისტიკური სიბრძნითა და განათლებით კაცობრიობა ექციათ ერთ ოჯახად; როგორც ქვები ცემენტით, ისე შეედუღებინათ ერები და ხალხები.

სიონიზმი ებრაული ნაციონალისტური იდეოლოგიაა, რომლის მიზანი იყო ყველა იუდეველის დაბრუნება აღთქმულ მიწაზე, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი ჩანდა, სიონისტები ცდილობდნენ ყველა ქვეყნის მთავრობაში შეღწევას, ამ ხერხით მსოფლიოს იდეოლოგიურ გაერთიანებას (შდრ – ლენინის მთავრობა და პერმანენტული, მსოფლიო რევოლუციის იდეა).

ამ მხრივ სიონიზმი ენათესავება მასონობას. მათვე უკავშირდება სოციალიზმი. ისიც ერთი იდეოლოგიით ცდილობდა კაცობრიობის გაერთიანებას და საამისოდ ირჩევდა რევოლუციის გზას, სოციალური პრობლემების ძალისმიერ გადაჭრას, ჩაგრულთა ხსნას.

იგი ინტერნაციონალურ მოძრაობად ითვლებოდა.

მარქსისტები ოცნებობდნენ მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებაზე. კლასთა თანასწორობაზე, მჩაგვრელთა ლიკვიდირებაზე, ამქვეყნიურ სამოთხეზე, რომელსაც კომუნიზმი ერქვა.

თითქოს არც აინტერესებდათ კონკრეტული ერის ბედი.

ამ მიზნით შეიქმნა I, II, III, 2.5, IV ინტერნაციონალი. მათგან განსხვავდება სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელმაც უარი თქვა მარქსისტულ იდეოლოგიაზე.

ოციანი წლების ბოლშევიკები ებრძოდნენ პატრიოტებს, სამშობლოს ისტორიას, ოჯახს, სიყვარულს, მშობლიურ კულტურას, რელიგიურ

რწმენას, ტრადიციებს, საზღვრების ურღვევობის პრინციპს, ე. ი. ჰგავდნენ დღევანდელ გლობალისტებს.

ისინი თავს მიიჩნევდნენ ინტერნაციონალისტებად და ამიტომ კრძალავდნენ რომელიმე ერის უპირატესობის ქადაგებას ან ეროვნულ დისკრიმინაციას.

ასევე განურჩეველი იყვნენ რასებისადმი.

მათ ინტერნაციონალიზმი გააიგივეს კოსმოპოლიზმთან (შდრ – ვაჟა–ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

სსრკ ეომებოდა მესამე რაიხს. მაგრამ გერმანული ენა და კულტურა დიდად იყო დაფასებული საბჭოეთში. არც გერმანული სახელმწიფოებრიობა დამდგარა ეჭვქვეშ. მაგრამ სსრკ ქმნიდა სოციალისტურ კულტურას, რომელიც მკვეთრად იდეოლოგიური იყო და არ ცნობდა შემოქმედის თავისუფლებას.

შემდეგ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გადაფარა რუსულმა შოვინიზმმა, რუსი გახდა „უფროსი ძმა“. კომუნიზმის იდეა იქცა კონკრეტული ერის იდეოლოგიად, რათა ასე გაბატონებულიყვნენ მსოფლიოში (მაგ., რუსეთი და ჩინეთი).

გლობალური მსოფლიოს მოდელი იყო სსრკ, რომლის გავრცობა ვერ მოხერხდა არათუ კაპიტალისტურ სამყაროზე, არამედ – სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზეც კი (მაგ., იუგოსლავია).

სოციალიზმს რუსეთში დახვდა პანსლავიზმი, ოცნება რუსი ხალხის მესიანიზმზე. ჩინეთში იგი იქცა ჩინოცენტრიზმად, რომელმაც დაიწყო გრძელვადიანი, მსოფლიოს დემოგრაფიული, უსისხლო დაპყრობა, რათა თავისი მილიარდნახევრიანი მოსახლეობით შესძლოს მსოფლიოს დამორჩილება, შემდეგ კი სულაც მონგოლოიდად გარდაქმნას ადამის მოდგმა.

ჩინეთის კანონმდებლობა ზღუდავს ერთზე მეტი შვილის ყოლას. ამიტომ ჩინელები მიდიან საზღვარგარეთ და იქ მრავლდებიან. მაგ., ერთხანს ისინი საკმაოდ იყვნენ საქართველოშიც.

საზღვარგარეთ დამკვიდრებისა და გამრავლებისათვის ჩინელები თავიანთი ხელისუფლებისაგან ლებულობენ დახმარებას, შელავათიან კრედიტებს.

ევროპოცენტრიზმის ნაირსახეობად მიაჩნიათ ამერიკანოცენტრიზმი. მაგრამ ეს იყო ადრე. კარგა ხანია ამერიკანოცენტრიზმი ამერიკას თვლის კულტურისა და ცივილიზაციის ციტადელად, რომელიც ქმნის ახალ, განსხვავებულ კულტურას.

აშშ-ის მოსახლეობის 20–20 პროცენტს შეადგენენ ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და იტალიელები. ამ ქვეყნის ენაა გერმანიკული ჯგუფის ინგლისური. მაგრამ დრო მას აცილებს მშობლიურ ძირს და თანდათან გამოიკვეთა ამერიკული ვარიანტი. ჩამოყალიბდა ამერიკელი ერი, რომელსაც უკვე მხოლოდ წარმომავლობა აკავშირებს ევროპასთან. ამერიკელებმა საუკუნეთა მანძილზე შექმნეს ზეძლიერი სახელმწიფო ახალი ტრადიციებით, ინტერესებით, თავისუფლების პრინციპებით და ახლა თავად განსაზღვრავენ სამყაროს მდინარებას. ამიტომ უწოდებდა ფრ. ნიცმე ამერიკას „ევროპის ქალიშვილს“.

თავიდან არც არავინ ხედავდა განსხვავებულ ამერიკანისტულ სწრაფვას. მაგრამ ამერიკული ცივილიზაცია წინ გაიჭრა, ცათამბჯენებით ზეცას დაემუქრა, დოლარით მსოფლიო ბაზარი დაიპყრო და შემდეგ გაჩნდა კითხვა ამერიკული კულტურის თვით-მყოფადობაზეც.

ევროპელებს თუ სტანჯავთ სევდა წარსულზე, ამერიკული რომანტიკა მომავალზე ოცნებაა, რომელსაც არ სჭირდება ჰამლეტის ნაღველი.

ამერიკელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ინტელექტუალები თვლიან, რომ სწორედ მათ ხვდათ წილად, რომ დედამიწაზე საბოლოოდ დაამკვიდრონ მშვიდობა და კეთილდღეობა, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპები, ბოლო მოუღონ ერებს შორის გაუთავებელ შუღლსა და კონფლიქტებს.

ახლა ისინი გამოდიან ბებერი ევროპის მსხნელის როლში. ამერიკის რევოლუციას ადარებენ ებრელების ეგვიპტიდან გამოსვლას, ჯორჯ ვაშინგტონს – მოსეს. ქმნიან თავიანთ ნაციონალურ მითს, რომლის მთავარი თარიღებია – დამოუკიდებლობის დღე, ვაშინგტონის დაბადების დღე, მაღლიერების დღე.

„ამერიკული ოცნება“ (შდრ – „ქართული ოცნება“), რომ აშშ გახდეს ამქვეყნიური სამოთხე. ამას აღწევენ კიდევ ცივილიზაციის ტრიუმფით, საყოველთაო კეთილდღეობით, სამხედრო ძლიერებითა და ადამიანის უფლებათა დაცვით.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ისინი არიან მათი შთამომავალნი, ვინც ეძებდა თავისუფლებას ამ მიწაზე. მათ ეს შეძლეს და ახლა ისინი არიან თავისუფლების მისიონერები. მიწა, რომელიც ჰპოვეს მათმა წინაპრებმა, იყო ველურებით დასახლებული, მწირი და უდაბური. მათ აითვისეს ეს უცხო კონტინენტი, რომელსაც მიაგნო ქრისტიანული

კოლუმბმა. განმინდეს იგი და გამოავლინეს ადამიანის გონის ახალი პოტენციალი.

მაგრამ ასპარეზზე გამოვიდა ახალი იდეოლოგიაც – ეს არის აფროცენტრიზმი.

აფრიკა ფაქტიურად ამერიკის შემდეგ აღმოაჩინეს და აითვისეს. მანამდე იცნობდნენ მხოლოდ ნილოსის აუზსა და ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლს. შემდეგ, როცა განვითარდა ტექნიკა, დაიწყეს ოკეანისა და უდაბნოს ძლევა.

აფრიკა თეთრი კოლონიზატორების ხელში აღმოჩნდა. შავკანიანი მოსახლეობა მონად აქციეს. ისინი, როგორც პირუტყვი, ისე გადაჰყავდათ ამერიკის კონტინენტზე და იქაც სასტიკად ექცეოდნენ.

მხოლოდ 150 წლის წინათ აიკრძალა მონობა. მაგრამ შემდეგაც გაგრძელდა ზანგების დისკრიმინაცია.

II მსოფლიო ომის შემდეგ გაიღვიძა „შავმა კონტინენტმა“, დალენა ბორკილები და თავისუფლებას ეზიარა. შავკანიანები თეთრების სიძულვილს სიყვარულით ვერ უპასუხებდნენ. თავისუფლებისაკენ სწრაფვამ მათ წიაღში მოამწიფა ნეგრიტიანული ნაციონალიზმი.

შავკანიანები სწავლობდნენ ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს, რუსულს, სწავლობდნენ ევროპის, ამერიკის, სსრკ–ის უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტი მოსკოვში), იძენდნენ ცოდნას, ქმნიდნენ თავიანთ ინტელიგენციას (მაგ., ლეოპოლდ სენგორი, სენეგალის პირველი პრეზიდენტი, პოეტი და ფილოსოფოსი, აფროცენტრიზმის იდეოლოგი, წლების მანძილზე იყო საფრანგეთის მთავრობის მინისტრი).

მათ არ იკმარეს თანამედროვე შავკანიანთა განფენის რუკა და თავიანთ რასას მიაკუთვნეს სემიტებიც – ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბაბილონელები.

ასე შეიქმნეს ისტორიული საყრდენი, თუმცა აფროცენტრიზმის პირველი იდეოლოგები იყვნენ ამერიკელები – ბლაიდენი და კრამელი, გერმანელი ფრობენიუსი.

აფროცენტრისტები დაუპირისპირდნენ ევროპოცენტრისტებს, განასხვავეს ეს ორგვარი მგრძნობელობა და აზროვნება, გამოარჩიეს აფრიკული კულტურის სპეციფიკა, როგორც ბუნებრივი და მიწიერი. თუ ევროპელი უპირისპირდება ობიექტს, კლავს და სპობს, აფრიკელი არ სცნობს დისტანციას. იგი ბუნების შვილია, ცხოვრობს ობიექტთან ერთად და არ ებრძვის მას; მთელი სხეულით განიცდის სამყაროს

რიტმს და ეს კოსმიური შეგრძნება აწყნარებს ნერვებს. იგი ვლინდება როგორც როკვა და სიმღერა, მუდმივი მოძრაობის რიტმი.

ზოგი თვლის, რომ აფრიკა არის არა კონტინენტი, არამედ – კონცეფცია, რომ აფრიკის გაგრძელებაა მანჭეტენის გეტოები და ლონდონის გარეუბნები, კარიბის კუნძულები და რიო-დე-ჟანეიროს კვარტალები.

აფროცენტრიზმი პერსპექტივაში თავს მიიჩნევს მომავლის კულტურად, ეს მაშინ, როცა ამერიკანიზმი დღევანდელობაა, ხოლო ევროპეიზმი დაბერდა და დაისს მიუახლოვდა.

აზიოცენტრიზმის განშტოებებია არაბული ნაციონალიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, პანთურქიზმი.

ამ ჭიდილში, კონკურენციასა და დაპირისპირებაში გამარჯვებულია გლობალიზაციის ამერიკული მოდელი, რომელმაც ყველაზე ეფექტურად შეაერთა ძალა, გონი, ეკონომიკა, ტექნოლოგია, იდეოლოგია, მთელს მსოფლიოში გადაანანილა თავისი კადრები და ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც ახალი რომი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა „ცივ ომში“ გამარჯვების შემდეგ (ზ. ბუეზინსკი, ჰ. კისინჯერი).

ტექნიკურ–ეკონომიკური მოდელი

ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესი იდეოლოგიისა და ძალდატანების გარეშეც აახლოებს ერებსა და სახელმწიფოებს. ეს არის ნელი, ბუნებრივი, გარდაუვალი პროცესი, რომლის მიზანია სახელმწიფოთა ჰარმონიული, კეთილმეზობლური თანაარსებობა. მაგრამ „აგრესიული გლობალიზმი“ ამ სტიქიური მიმდინარეობის მართვას ცდილობს, რასაც მივყავართ დაჩქარებულ უნიფიკაციამდე.

„აგრესიული გლობალიზმის“ არსი ამერიკანოცენტრიზმია, რომელიც აშშ–ის სახელმწიფოებრივი ძლიერებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით არეგულირებს მიმდინარე პროცესს.

ტექნიკა და ეკონომიკა არის საყრდენი თანამედროვე დემოკრატიისა და პოლიტიკისათვის. წარმოება და ბაზარი შეუქმნევლად აახლოებს ადამიანებსა და სახელმწიფოებს, როგორც საარსებო ინტერესების

რეალიზება, რომელსაც ახლავს როგორც წარმატება, ისე მარცხი. მწარმოებელს სახელმწიფო და კანონები სჭირდება, რათა ხელი არ შეეშალოს. იგი თავისი პროდუქციით, თავისი ნაწარმით არჩენს და ავითარებს საზოგადოებას.

სახელმწიფოს სიძლიერეს კი განსაზღვრავს ეკონომიკა. მეწარმე ეძებს გასაღების ახალ ბაზრებს, ეძებს იაფ ნედლეულსა და მუშახელს. ამიტომ წარმოება გადააქვს სხვა, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ეს არის ორმხრივი მოგება – ბიზნესმენი, ინვესტორი ავითარებს თავის წარმოებას, ხოლო ქვეყანა, სადაც იგი აგებს ფაბრიკა–ქარხნებს, ეცნობა და ეუფლება ახალ ტექნოლოგიებს, ლეზულობს მეტ მატერიალურ ანაზღაურებას, ყიდულობს უახლეს საქონელს, ამოიწვევ ჩამორჩენილი ეროვნული ეკონომიკა.

ბიზნესმენი კი გადადის ისევ ახალ გარემოში, იმატებს ახალ ობიექტებს, სადაც ფულს დააბანდებს, აითვისებს ბაზრებს. ამის შედეგად კი ყალიბდება საწარმო და სავაჭრო საერთაშორისო ქსელი. ბანკები, კომპანიები, ფირმები, კონცერნები, კარტელები ეუფლებიან მთელ მსოფლიოს, აარსებენ ფილიალებსა და წარმომადგენლობებს. მაგ., „სტანდარტ ოილ ოვ ნიუ–ჯერსი“, „კრაისლერი“, „ფორდი“, „ნესტლე“, „როიალ დაშჩელი“, „იუნილევერი“, „ლევი შტრაუსი“, „ერიქსონი“, „სიმენსი“, „გრიუნდიკი“, „ფილიპსი“, „ჰიტაჩი“...

ეს სახელები ის სიგნალებია, რაც ყველამ იცის და ეს ცოდნა აერთიანებს ადამიანთა ინტერესებს, როგორც პაროლი.

მათი წარმატება ხელს უწყობს საერთო პროგრესსა და კეთილდღეობას, ჩნდება მეტი მოთხოვნა, დაკმაყოფილების საშუალება, წარმოების გაფართოების პერსპექტივა, რითაც იქსელდება გლობალური სისტემა.

ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარ მიმართულებად მიიჩნევენ საერთაშორისო ვაჭრობას, ფინანსურ ოპერაციებსა და წარმოების ფაქტორებს.

წარმოებისათვის აუცილებელია ნედლეული. მაგრამ დღეს მთავარია მისი მალალტექნოლოგიური გადამუშავება. ამიტომ რუსეთი, რომელიც ფლობს ყველაზე მეტ ბუნებრივ ნედლეულსა და სასარგებლო წიაღისეულს, დიდად ჩამორჩება იაპონიას, რომლის წარმოება თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული.

ეკონომიკური გლობალიზაცია ემყარება ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერებისა და ცივილიზაციის მიღწევებს, მათი მონაცემების

რაციონალურ გამოყენებას, რათა შესაძლებელი გახდეს მაქსიმალური წესრიგისა და კეთილდღეობის მიღწევა.

შრომა და შრომის ორგანიზაცია, უახლესი ტექნოლოგიები, დიზაინი, ვაჭრობა, მარკეტინგი აერთიანებს წარმოებისა და განაწილების სტადიებს.

ეკონომიკა არ არსებობს ბუნების, ბუნებრივი პირობების გარეშე, რაც გულისხმობს ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებას. ინვესტორი, რომელიც მოდის ჩინეთიდან და საქართველოში აშენებს ელექტროსადგურებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ გარემოს, ნაკლებად იცავს ეკოლოგიურ წონასწორობას. ასევე იქცევა თურქიც, რომელიც ჭოროხზე აშენებს ჰიდროელექტროსადგურს. არც მას აინტერესებს, ამ მშენებლობის შედეგად დაზიანდება თუ არა ჭოროხის შესართავთან შავი ზღვის სანაპირო, სადაც მდინარე შლამს ველარ ჩაიტანს. აქსიტყვას ამბობს სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია დაიცვას თავისი ტერიტორია, თავისი მოქალაქეები, მათი მომავალი.

ამერიკული კვლევების თანახმად, ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნებია – რუსეთი, აშშ, საუდის არაბეთი, ირანი, ჩინეთი, ბრაზილია, ავსტრალია, ერაყი და ვენესუელა.

რუსეთის საერთო მარაგის ღირებულებაა 75,7 ტრილიონი, აქედან – ნავთობი 60 მლრდ ბარელი (7 ტრილიონი \$), გაზი – 47,6 ტრილიონი კუბ. მეტრი (19 ტრილიონი \$), ტყე – 1, 95 მლრდ აკრი (28 ტრილიონი \$).

დღეს, როცა არსებობს ერთიანი საინფორმაციო სივრცე, როცა კაცობრიობას კი არ თიშავს, არამედ – აერთიანებს ზღვა, ჰაერი და ხმელეთი, როცა შეიძლება სახლების, სანარმოების, ფაბრიკა-ქარხნების სწრაფი და ეფექტური მშენებლობა, სწრაფი გადაადგილება, სწრაფი ფულადი მიმოქცევა – ტექნიკური პროგრესი არის ეკონომიკური პროგრესის საფუძველი.

კაპიტალი და ფინანსები გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში, სძლევს დაბრკოლებებს, უეცრად თავჩენილ კრიზისებს, ეგუება ახალ-ახალ კანონებს, უძლებს დაბეგვრის განსხვავებულ წესებს, ზრდის დასაქმებულთა რიცხვს, ზრდის ხელფასებს, შესაბამისად მატულობს პენსიებიც (პენსია შემოიღო ბისმარკმა, როგორც მოქალაქეობრივი სოლიდარობით გამოხატული ანტიკაპიტალისტური ელემენტი).

ბიზნესის ცივილიზაცია ერთმანეთს ამგვანებს სანარმოებს, მალა-ზიებს, არქიტექტურას, კინოხელოვნებას, ტელევიზიას, ესტრადას, ფერწერულ კომპოზიციებს, ქალაქებსა და ქვეყნებს. მაგ., თითქოს

ამერიკის გაგრძელებაა იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, დუბაი, კუვეიტი...

როცა ბაზარი ღიაა, არის თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობა, რასაც მოსდევს გლობალიზაცია, ნებაყოფლობითი კავშირები, ურთიერთგაცნობა.

მაგ., ფოლადჩამომსხმელი გერმანული კონცერნის „ტისენ–კრუპის“ კომპანიები მსოფლიოს 80 ქვეყანაშია, სადაც მუშაობს 182. 425 ადამიანი. 2010–2011 წლების საქონელბრუნვა იყო 49 მლრდ ევრო.

მსოფლიოს აერთიანებს ინტერნეტქსელი, თანამგზავრული სატელევიზიო სისტემა, საფონდო ბირჟები, საკრედიტო ბარათები, დოლარი და ევრო, ინგლისური ენა.

ამ პირობებში სრულად რეალიზდება სმითის, რიკარდოს, მარქსის თეორიები. მარქსისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ეკონომიკას, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შექმნას, რომლითაც უნდა მიეღწია მსოფლიო პროლეტარიატის კეთილდღეობისა და ერთიანობისათვის. ამისათვის იქმნებოდა ინტერნაციონალები, პარტიები, ხდებოდა რევოლუციები, შეიარაღებული ინტერვენცია და რეპრესიები, ძალადობით გარეკვა აღქმული ქვეყნისაკენ.

კომუნიზმი იყო მარქსისტული გლობალიზაცია, რაც მიუღწეველი დარჩა.

ზოგი თვლის, რომ დღეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებობს არა გლობალიზაცია, არამედ – ინტერნაციონალიზაცია. ამჯერად ტერმინებს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ყალიბდება მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ბაზარი, რომელიც იოლად გადადის საზღვრებზე, იოლად აღწევს მახლობელ თუ შორეულ სახელმწიფოებში; ერთმანეთს ეხლართება უამრავი ბანკი, ფირმა და საწარმო, რომლებიც რეგისტრირებულია მსოფლიო სხვადასხვა კუთხეში.

მათი კონკურენტუნარიანი პროდუქცია იჭრება ყველა კონტინენტზე. ადამიანი იძულებულია შეასრულოს მსოფლიო ბაზრის კანონები, დაემორჩილოს მათ.

იაფი და მოდური საქონელი სდევნის ადგილობრივ ნაწარმს, ანგრევს ეროვნულ ეკონომიკას და, სურს თუ არა, საზოგადოებას აქცევს გლობალიზაციის ტყვედ.

მკვეთრად ირღვევა იმპორტ–ექსპორტის ბალანსი.

ასე ხდება კულტურაშიც. მაგ., ჩვენ გაცილებით მეტს ვიღებთ ევროპული თუ ამერიკული კულტურიდან, ვიდრე გავგაქვს ან ვქმნით.

ასეთი ცალმხრივი კონტაქტი აჩქარებს დამსგავსებას, არღვევს თავისთავადობას. მაგ., ჩვენი მოდერნიზაციები გატაცებული იყვნენ ევროპული კულტურით, აითვისეს მათი გამოცდილება და შეუფარდეს ქართულ სინამდვილეს. მაგრამ ამას არავითარი ინტერესი ევროპაში არ მოჰყოლია, არც მაშინ, როცა ბოლშევიზმი მათ მოსპობით დაემუქრა.

ეს იყო როგორც ევროპოცენტრიზმის გამოვლენა, ისე ჩვეულებრივი პრაგმატიზმი: როცა თარგმნიდნენ და დიდი ტირაჟით ბეჭდავდნენ, დიდად მაღლიერი იყვნენ; როცა ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები გამოდიოდნენ, დარბაზი ტაშით ინგრეოდა, იბეჭდებოდა აღტაცებული რეცენზიები, მაგრამ რამდენიმე დღეში ეს არავის ახსოვდა (გავიხსენოთ ქართული დოკუმენტური ფილმი „მსოფლიო ტაშს უკრავს“).

ადამიანი მუდამ ოცნებობდა, რომ მეტი სარგებელი მიეღო ნაკლები შრომით, უმცირეს ძალთა ხარჯვით.

ამას აღწევენ უახლესი ტექნოლოგიები.

მაგრამ პროდუქციის სიუხვე, ჭარბწარმოება ინვესტს გაუფასურებას, ინფლაციას, უმუშევრობას, რომელსაც აღარა აქვს ლოკალური სფერო.

გლობალიზაციის განმსაზღვრელია წარმოება და ბაზარი. მაგრამ კრიზისსაც წარმოშობენ, რომლის რეგულირება უჭირს ძლიერ სახელმწიფოსაც. ასე რომ ნაციონალური სახელმწიფო აწყდება მრავალ ბარიერს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან. მას უწევს სტრუქტურის ტრანსფორმირება, რათა გაითვალისწინოს მრავალგვარი ინტერესები, უწევს ლავირება, რათა აიცილოს კონფლიქტები და მიაღწიოს წარმატებას. მაგ., საქართველოში ეს გაკეთდა სახელმწიფო საკუთრების უცხოური კომპანიებისათვის მიყიდვით, მათი ინვესტიციებისათვის შეღავათიანი პირობების შექმნით, სხვადასხვა სახის კრედიტების მიღებით.

სახელმწიფო ხდება მსოფლიო ეკონომიკის განუყრელი ნაწილი, რომლის რყევა მკვეთრად აისახება ქვეყნის მდგომარეობაზე, ხოლო წარმატება – ნაკლებად. ამიტომ უწევს სახელმწიფოს ფუნქციების, სუვერენიტეტის, მიმართებათა სისტემის სახეცვლა.

ადამიანი მართავს მანქანას, ცოცხალ ორგანიზმს, საზოგადოებას, სახელმწიფოს, მართავს სხვადასხვა ხერხებითა და ბერკეტებით, მართავს ცალკეულ ტენდენციებს; სასურველს უქმნის უკეთეს პირობებს, რათა გამოიყოს, გამოიჩინოს, როგორც კონტრკულტურა.

ასე ხდება გლობალიზაციის მიმართაც.

ზოგი თვლის, რომ იდეოლოგიების შეჯახება შეცვალა ცივილიზაციების შეჯახებამ (მაგ., ს. ჰანთინგტონი). მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი ამ სიმწვავესაც გაანელებს.

გლობალიზაციამ გარდაქმნა საზოგადოება და სახელმწიფო, პიროვნება და კულტურა. მეტნაკლებად ეს პროცესი შეეხო ყველა ქვეყანას. მაგრამ ყველაზე გლობალიზებულად მიაჩნიათ სინგაპური და ბელგია.

ენა – ბარიერი

გლობალიზაციას, ხალხების დაახლოებას, ხალხთა კავშირს ყველაზე მეტად აბრკოლებს ენა. ეს არ არის ბარიერი ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტისათვის. მაგრამ ელიტა საზოგადოების უმცირესი ნაწილია, ხოლო მასები – მილიარდები. უდიდესმა ნაწილმა იცის მხოლოდ მშობლიური ენა. ენების რიცხვი კი, როგორც ადრე ვთქვით, ათასობითაა. ამას ერთვის დიალექტების სიმრავლე, რაც ხდება ადამიანთა გაუცხოების მიზეზი.

ელიტამ ეს იცის და ტოლერანტულია ენობრივი განსხვავებისა და სიმრავლის მიმართ. მაგრამ მასა მტკივნეულად რეაგირებს, რადგან ენა არის კომუნიკაცია. როცა არ გესმის ენა, კონტაქტს ვერ ამყარებ, სხვას ვერ უგებ, სხვა ვერ გიგებს, რასაც მოსდევს კონფლიქტი და გათიშვა.

ამიტომაც აურია ენა უფალმა ბაბილონის გოდოლის მაშენებლებს. ახალი გოდოლი რომ აღიმართოს, საჭიროა თანხმობა ანუ ერთი ენა. რაც უნდა ამტკიცო, რომ ინგლისური არის საერთაშორისო ენა და მისი მეშვეობით ყველა შევძლებთ საერთო კომუნიკაციის შექმნას, მაინც არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, ინგლისური იცის მცირე ნაწილმა, თანაც – არა მშობლიურზე უკეთ. ახლო მომავალში არც არის პერსპექტივა, რომ იგი მშობლიურის ტოლფასად ეცოდინება საზოგადოების საგრძნობ ნაწილს.

თავად ინგლისში საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო ენა იყო ფრანგული ანუ ენის გავრცელების ლოკალს განსაზღვრავს ქვეყნის ძლიერება.

დღეს ევროკავშირს აქვს სამი სამუშაო ენა – ინგლისური, გერმანული და ფრანგული.

ელიტა დამთმობია, ლოიალური და მერყევი – თავისი ცოდნის გამო, მაგრამ მასები ინსტინქტურად ერთგულობენ მშობლიურსა და პირველხილულს, მას, რაც იციან, მას, რასაც იცნობენ. არადა – მათ ცოტა იციან, მცირე რამეს იცნობენ. ეს არის კონსერვატიზმის საყრდენი, ეს არის დამცავი ჯავშანი.

კომპიუტერი, ინდუსტრია, პოლიტიკა, ტურიზმი, ესტრადა, ტელევიზია უფრო და უფრო მეტად ავრცელებს ინტერნაციონალურ ლექსიკას, სინტაქსურ ფორმებს, ავრცელებს ქალაქად და სოფლად, სახლებსა და ქოხებში, მოხუცის თუ ყმანვილის ცნობიერებაში. მათ მოაქვთ საერთო განწყობილება, რაც შეუმჩნევლად ამცირებს მშობლიურ წარმოდგენებს. ენას ეძალება ბარბარიზმი, შერყვნილი ფორმები. მათი მოგერიება შეუძლებელია, იმდენი უხილავი ნასვრეტიდან იჭრებიან. ისინი მოჰყვებიან ცივილიზაციას, ტექნიკის ტრიუმფს, ახალ საგნებს. მათ ყველა ეტანება – კომფორტი, კარგი ცხოვრება, კარგი ბინა და მანქანა ყველას უნდა. ტექნიკური პროგრესი ყველაფერს აერთიანებს, ყველაფერს ათანასწორებს.

შეუმჩნევლად, ნელ–ნელა, თვალსა და ხელს შუა იცრიცება მშობლიური წარმოდგენები, საგნები და სიტყვები, იცრიცება და ხელიდან გეცლება.

რაც უფრო წინ მიდიხარ, მით მეტად სწყდები მშობლიურ ძირებს და უერთდები იმ ერთგვარობას, რასაც ადრე კოსმოპოლიტიზმი ერქვა. მაშინ ეს იყო მომავლის ნაადრევი დაწყება და აშკარა დაპირისპირება ნაციონალურ სულთან. დღეს ყველგან ერთნაირი სერიული გარემო მზადდება და ამ გათქვეფის პროცესს ყველაზე მკვეთრად აკავებს ენა, არა მხოლოდ ჩამორჩენილი, არამედ – მაღალკულტურულიც.

მაგ., ჩინელი არ დათმობს თავის მეტყველებას, არ გადავა ინგლისურზე. არც გერმანელს, ფრანგს ან ესპანელს ექნება სურვილი, რომ ერთი რომელიმე ენა გაბატონდეს. მხოლოდ ჩინელი და ამერიკელი ოცნებობს ერთი ენით მსოფლიოს ამეტყველებაზე. ეს უკავშირდება ამ ქვეყნების როგორც წარმატებას, ისე დემოგრაფიულ ექსპანსიას და კაცთა მოდემის ერთად ყოფნის პერსპექტივას. ეს პერსპექტივა როგორი იქნება, დღესაც ბუნდოვანია, ისევე როგორც კომუნიზმის განთიადი. მაგრამ სახელმწიფოები და ერები რომ იცვლებიან, ეს ყველასათვის აშკარაა. იცვლებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან, ერთმანეთს ემსგავსებიან.

ამ ერთად ყოფნის გზაზე, როცა ყველგან ერთნაირი ბინა, მანქანა,

ავეჯი, პროსპექტი, შენობა, ტელეფონი და ტანსაცმელია, მაინც რჩება ურთიერთგამთიშველი ფაქტორი – ეს არის ენა. ეს იცოდნენ XIX საუკუნეში და ამიტომ იგონებდნენ ხელოვნურ ენებს (მაგ., ესპერანტო, რომელიც 1887 წელს შექმნა ექიმმა ლ. ზამენჰოფმა).

ხელოვნურმა ენებმა ვერ გაამართლა, დიდ სახელმწიფოებს სულაც არ სურდათ საკუთარი დაეკარგათ, ბუნებრივი უარეყოთ და მინდობოდნენ იმ ექსპერიმენტს, რომელიც მასებს არ სწამდათ.

მოხდა პირიქით – ებრაელებმა აღადგინეს მრავალი საუკუნის წინათ დაკარგული ივრითი.

ენა არის გამაერთიანებელი ფაქტორი სახელმწიფოებრივ სივრცეში. სახელმწიფოს კი ქმნის ერთი ძირითადი ერი და მისი სახელი ეძლევა ქვეყანას. მაგრამ ქვეყნებს შორის კავშირისათვის იგი, როგორც უცხოობის საფუძველი, დაბრკოლებად იქცევა. ამგვარი დაბრკოლება, როგორც ჯავშანი, იცავს ერს, რათა შეინარჩუნოს თავისთავადობა და სხვებთან არ აღირიოს.

მაგ., ნიუ-იორკის მცხოვრებთა 47% ლაპარაკობს თავის წინაპართა ენაზე.

ამიტომ გლობალისტები ებრძვიან სახელმწიფო ენას და ცდილობენ მის დაკნინება-დანაგვიანებას. საქართველოში ქართული ენა კონსტიტუციაში ფიქსირდება სახელმწიფო ენად, მაგრამ კანონი ვერ მიიღეს. გაუქმდა ქართული ენის პალატა, სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისია, მკვეთრად შეიზღუდა უნივერსიტეტებში ქართული ენის სწავლების არეალი, პრესა და ტელევიზია ამკვიდრებენ მღვრიე, ბარბარიზებულ, ვულგარიზებულ მეტყველებას, ახალგაზრდა მწერლები – უხამს სტილს და ამას ამართლებენ სიტყვის თავისუფლებით (იხ. „უხამსი მწერლობა – მიზეზთა შედეგი“).

რელიგია თავისი არსით კოსმოპოლიტურია და სახელმწიფოებს ტიპოლოგიურად აერთიანებს. ენა ნაციონალური მოვლენაა და მისი ინტერნაციონალიზება მხოლოდ დიდი სიფრთხილით თუ შეიძლება. ჭარბი უცხო კონტაქტები ენას უკარგავს ექსპრესიას, მგრძობელობას, იგი ველარ ითვისებს ახალ საგნებს და რჩება მხოლოდ კომუნიკაციის, გაგებინების საშუალებად.

ენა გაუცხოების მინიმუმს იძლევა ნაციონალურ სივრცეშიც. ეს არის დიალექტური მეტყველება, ეს არის იდიოლექტი. მაგრამ თვით გეოგრაფიული გარემოც ცვლის ენას (მაგ., ქალაქი და სოფელი,

მთა და ბარი). ცვლის ინტელექტუალური გარემო, ზემოქმედებს პროფესიული ინტერესები. ურბანული პუნქტების დაცილება (მაგ., თბილისში, ბათუმში თუ ქუთაისში განსხვავებული ინტონაციით, ლექსიკითა და აქცენტით საუბრობენ), ოჯახი, პიროვნების ფსიქიკა, ხასიათი, განათლება.

დირექტივებით ენას ვერცერთი დიქტატორი ვერ აკრძალავს. იგი იარსებებს მანამ, სანამ ცოცხლობს ამ ენის შემოქმედი ხალხი. მხოლოდ ერის ასიმილირება, გადაგვარება, აღრევა სპობს ან რადიკალურად ცვლის მეტყველებას. ამიტომ აქვს პირველადი მნიშვნელობა საზოგადოების ფორმირებას, ახალ მენტალიტეტს, სახელმწიფოს ტრანსფორმაციას (მაგ., სულხან-საბას „სიტყვის კონა“ გვაჩვენებს თუ როგორ შეცვლილა ქართული ენა ბოლო 300 წლის მანძილზე).

არ არის იმედი, რომ განვითარებული ნაციონალური ენები გადაშენდებიან, თუნდაც უახლოეს ათასწლეულში. ამიტომ ავრცელებენ ინგლისურს, როგორც პერსპექტივაში მეორე სახელმწიფო ენას, როგორც ეს ხდებოდა სსრკ-ში რუსული ენის მიმართ (მაგ., რესპუბლიკების კომპარტიის ცეკა და სუკი ფუნქციონირებდა რუსულ ენაზე).

მათ კონკურენციაში წარმატება ელის ინგლისურს, რომელსაც აქვს დიდი სახელმწიფოებრივი, მატერიალური და კულტურული მხარდაჭერა. იგი ამოძრავებს გლობალიზმის მთელ არსენალს (მაგ., სინგაპურის ოფიციალური ენებია – ინგლისური, მალაიური, ჩინური, ტამილური).

ინგლისური იქნება მსოფლიო საკომუნიკაციო საშუალება, როგორც მთავარი ენა გაეროსა და ევროსაბჭოში, მშობლიური ენა – შინ გამოსაყენებელი.

ასეთ როლს ასრულებს ჰუმანიტარებისათვის სემიოტიკა. იგი ინტეგრალური მეცნიერებაა, ისევე როგორც კულტუროლოგია და სწორედ ზოგადობისა და ტერმინოლოგიის გამო მიეცა პოლიტიკური დატვირთვა, ჩაერთო გლობალიზაციის პროცესში.

სემიოტიკა – სიმბოლურ – ნიშნადი ენა

მეცნიერული აზრის დიფერენცირება, დარგების განტოტვა მივიდა იმ ზღვრამდე, რომლის შემდეგ აუცილებელი იყო გამაერთიანებელი

მოდელი. უამისოდ გაუცხოების ნაპრალი საბოლოოდ გათიშავდა ახალ ტენდენციებს, ძიება იქცეოდა თვითმიზნად.

ადრე ფილოსოფია იყო აზროვნების ფუძე. შემდეგ მას გამოეყვნენ ძირითადი მეცნიერებები, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო თუ მათემატიკური. ფილოსოფიას შერჩა უზოგადესი კატეგორიები, აბსტრაქტული ცნებები. მან ახალი იმპულსი შეიძინა მაშინ, როცა სიცოცხლეს, ადამიანურ არსებობას მიაპყრო მზერა. მაგრამ ეს მაინც ვერ აკავშირებდა გათიშულ სფეროებს, იმდენად დიდი იყო დაყოფა და დაცილება.

საჭირო ხდებოდა გამაერთიანებელი ცნებებისა და კატეგორიების ძიება, რომელსაც წარმოქმნიდა მეცნიერების, პოლიტიკის თუ ხელოვნების პროგრესი. თავისთავად ყველა დარგი დეტერმინირებული იყო, მაგრამ ერთმანეთის არაფერი გაეგებოდათ. მაგ., ფსიქოლოგიაში გაჩნდა მრავალი სკოლა. ყველა თავის სიმართლეს ამტკიცებდა და ყოველი მათგანი რალაც დოზით შეიცავდა ჭეშმარიტებას. მაგ., ფსიქოანალიზი, გეშტალტფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი, განწყობის ფსიქოლოგია, ანალიზური ფსიქოლოგია, ხალხთა ფსიქოლოგია, შემოქმედების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია.

ყოველი მათგანი ისედაც ზოგადს ეძებდა. ხოლო ამ ზოგადთა ჯვამი იქნებოდა უზოგადესი, რომელსაც თავისი სახელი უნდა დარქმეოდა. ასე მივიდა აზრის ძიება პოლიტოლოგიასა და კულტუროლოგიამდე. პარალელურად ასევე ხდებოდა ლინგვისტიკაში, ესთეტიკაში, ლიტერატურისმცოდნეობაში. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა კვლევის მეთოდის დამუშავება, კონცეფციის შექმნა, რომელიც მოერგებოდა კონკრეტულ მასალას, ამავე დროს – წარმოაჩენდა ფარულ კავშირებს, რაც მიემართებოდა ადამიანის გონს, ცნობიერების მოძრაობას.

ეს იქნებოდა გახედვა წარმოქმნილი დარგების მიღმა, მათი გაფანტვის შეჩერება და ახალი შეჯვარება, სინთეზი და ინტეგრირება.

ასე წარმოიშვა ჯერ სტრუქტურალიზმი, შემდეგ – სემიოტიკა – მოძღვრება ნიშნათა სისტემასა და მნიშვნელობაზე.

სემიოტიკა ისევე შეესატყვისება გლობალიზების პროცესს, როგორც ავანგარდიზმი და მასკულტურა, როგორც პოლიტოლოგია და კულტუროლოგია.

ჩარლზ პირსი ხაზს უსვამდა ნიშნის უნივერსალობას, ყოველი აზრი თუ ემოცია მიაჩნდა ნიშნად, როგორც საგნის პრედიკატი; ერნესტ

კასირერისათვის ასეთი კოდი იყო სიმბოლო; ემილ ბენვენისტს ნიშანი მიაჩნდა სინამდვილის რეპრეზენტაციას. თვით ნიშანს აქვს პოლივალენტური მნიშვნელობა, რასაც ნათლად ავლენს მხატვრული აზრი.

ერთი მხრივ, სემიოტიკა აღადგენს არქაულ სიმბოლურ–ნიშნად ენას, ოღონდ ახალი ცნებებით, მეორე მხრივ – სწორედ ახალი, უნიფიცირებული ცნებებით, ერთიანი ტერმინოლოგიით ამკვიდრებს გლობალიზებულ აზროვნებას. იგი ხელოვნურია და სულს ვერ ეგუება. მაგრამ გამოხატავს ერთიანობის იდეას, რათა ასე დაიძლიოს ნაციონალური ბარიერი და მაქსიმალურად გახდეს ურთიერთმაკავშირებელი, როგორც აზრის, ისე მეტყველების დონეზე. მას აინტერესებს არა ესთეტიზმი ან წარმოდგენა საგანზე, არამედ – საგნის არსი, ამ არსთა კავშირი.

ამასვე ცდილობდა სტრუქტურალიზმი. მაგრამ სემიოტიკა უფრო დასცილდა ტრადიციას და შემოიტანა მეტი ტერმინოლოგიური პირობითობა, რომელსაც სიზუსტეს ანიჭებს ინფორმაციის მათემატიკური მოდელირება.

ნელ–ნელა გადავდივართ აბსტრაქციების სფეროში. ქურუმის ბნელმეტყველება და სიმბოლური ენა სულიდან ამოდიოდა. ამიტომ ინახავდა იდუმალებას. სემიოტიკოსი ინტელექტუალურ მანიპულაციებს გადმოსცემს უცხო ენობრივი მონაცემებით, რაც ვერ აღწევს სულის სიღრმემდე, რჩება გონების ველზე. ამიტომ აკლია მიმზიდველობა და დამაჯერებლობა. მას არ ჰმოსაავს ღვთაების შარავანდედი და ადგას მხოლოდ ტექნიკის სინათლე. ტექნიკას კი ეშმაკეულ ემანაციად მიიჩნევენ, რომელიც საჭიროა და აუცილებელი. მაგრამ სულს ეუცხოება.

ყოველი მოცემულობა – სურათი, რიტუალი თუ ქცევა ზოგი სემიოტიკოსისათვის არის ტექსტი. მხატვრული ტექსტი მისი მხოლოდ ერთი სფეროა. მაგრამ არც ეს უდრის ტრადიციულ ლიტერატურას. იგი უფრო არტეფაქტია ანუ სემიოტიკა ეძებს ფარულ მაერთიანებელ კავშირებს ნიშანთა სახით, ქმნის სამეცნიერო ესპერანტოს, როგორც გლობალიზაციის შესატყვისს.

ასე შეცვალა ბუნებრივი ხელოვნურმა, გრძნობა – ინფორმაციამ, საგანი – ნიშანმა.

სემიოტიკა (მაგ., ფრანგული „ტელ კელის“ ჯგუფი) შეესაბამება ავანგარდისტულ ხელოვნებას. ამიტომ სამეცნიერო ინფორმაცია,

ვულგარიზებული და გამარტივებული, გადააქვთ ლიტერატურაში, მხატვრობაში, კონოფილმებში.

სემიოტიკა ინტელექტუალური ელიტის სამეცნიერო ენაა. მასას კი პირველ რიგში მასმედია აძლევს გასაგები ენით სულიერ საზრდოსა და სატყუარს.

* * *

ამრიგად, იდეოლოგია, ტექნიკა, ეკონომიკა არ სცნობენ განმასხვავებელ ნიშნებს, სახელმწიფოთა საზღვრებს, რასებად და ერებად დაყოფას, მოქმედებენ სხვადასხვა მიმართულებით და ესწრაფიან საბოლოო მიზანს – ერთიან, გლობალიზებულ კაცობრიობას.

როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად ხდება სახელმწიფოს ტრანსფორმაცია, საზოგადოების რეფორმირება და ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბება, შესაბამისად – კულტურის სახეცვლა: მასობრივის გავრცელება და ელიტარულის მასში ჩაძირკვა.

II. სახელმწიფოს ტრანსფორმაცია: დემოკრატია და უნიფიცირება

სახელმწიფოს სტრუქტურა, იდეოლოგია და ორიენტირი აისახება კულტურაში. აქ მთავარია არა დამოკიდებულება, იმპერატორის თუ პრეზიდენტის აზრი, როგორც ეს იყო ტოტალიტარულ ქვეყნებში, არამედ – შექმნილი ატმოსფერო, ჩამოყალიბებული ცნობიერება, ფორმირებული საზოგადოება, რომელიც წარმოშობს შესატყვის კულტურას.

გლობალიზაცია მოქმედებს სახელმწიფოს სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე, სახელმწიფო – საზოგადოებაზე და პირიქით. ორივე ერთად კი არის კულტურის მაფორმირებელი ძალა: ადრე ზეცაში ღმერთი იყო, მიწაზე – უფლის მონაცვლე მონარქი. ახლა ხალხი ირჩევს თავის მწყემსსა და წინამძღოლს.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ტრანსფორმაცია პირდაპირ თუ ირიბად თავს იჩენს კულტურის არსში. შემდეგ კულტურა ნერგავს ადამიანთა ცნობიერებაში პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ იდეალებს, ხშირად – თავად კულტურ–შემოქმედთა უნებურადაც.

ამიტომ შევეხოთ ორიოდ სიტყვით პოლიტიკურ პრობლემატიკასაც.

სახელმწიფო მანქანა

სახელმწიფო იქმნებოდა თავდაცვისა და თავდასხმისათვის. დამპყრობელი იყო ის, ვისაც სასიცოცხლო ინსტინქტები არ ასვენებდა, ვისაც ძალა ჰქონდა. სუსტი გადარჩენაზე ფიქრობდა და მოძალადეს ემორჩილებოდა.

სახელმწიფოს ფორმები იცვლებოდა (მაგ., იმპერია, რესპუბლიკა, ფედერაცია, კონფედერაცია). იცვლებოდა მმართველობის ფორმებიც (მაგ., საპრეზიდენტო და საპარლამენტო, მონარქია და კონსტიტუციური მონარქია), დამკვიდრდა ხელისუფლების მონაცვლეობა არჩევნების გზით, სხვადასხვა დონეზე და განსაზღვრული ვადით. მაგრამ არ შეწყვეტილა ფიქრი და დებატები მმართველობის სრულყოფაზე, ძალაუფლების ფორმირებაზე. მითი მმართველის ღვთაებრივ ჩამომავლობაზე ხელისუფალს ძალაუფლებას უნარჩუნებდა, შველოდა შიდა წესრიგის დასაცავად. ამას განამტკიცებდა

სოციალური იერარქიაც, ურთიერთდამოკიდებულება მჩაგვრელ კასტასა და ჩაგრულ მასებს შორის. მაგრამ უცხო აგრესიისაგან ვერ იცავდა თუ სახელმწიფოს არ ჰქონდა ბრძოლის უნარი.

ყველა სახელმწიფოსათვის თავდაცვის საუკეთესო ფორმა იყო თავდასხმა, აგრესია, უცხო მიწების შემოერთება, უცხო ხალხის დამონება, მათი ქონების მითვისება. ზოგი თავის ძალას ეფექტურად იყენებდა (მაგ., რომაელები), ზოგი დროებით წარმატებას აღწევდა (მაგ., ჰუნები, ვიკინგები, ვანდალები).

საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა საზღვრები, ქრებოდა ერები და ენები. მათ ადგილს იკავებდა ახალი ძალა. უცვლელი იყო სახელმწიფოს ზოგადი სტრუქტურა, სადაც განმსაზღვრელი არის ერი, რომლის სახელიც ეძლევა ქვეყანას, რომლის ენაზეც ფუნქციონირებს სისტემა. მეტნაკლებად სხვებიც მონაწილეობენ ქვეყნის აღმშენებლობასა, მმართველობასა თუ ომებში, მაგრამ ისინი აკეთებენ ძირითადი ერის საქმეს (მდრ – ქართველთა როლი ოსმალეთის, სპარსეთის, სსრკ და რუსეთის ისტორიაში).

მმართველობის ეფექტური ფორმა იყო იმპერია. მაგრამ ახალ დროში, როცა გაიზარდა მასების თვითშეგნება და დადგა დემოკრატიზების აუცილებლობა, მწვავედ დადგა თავისუფლების პრობლემაც. ხალხთა კონგლომერატი იშლებოდა და თავად იმპერიაც თავის წიაღში აყალიბებდა დემოკრატიზების მოთხოვნილებას (მდრ – პერესტროიკის პერიოდი სსრკ–ში).

ამავდროულად ახალი ტექნიკის მიხედვით ხდებოდა იმპერიული სტრუქტურის მოდერნიზება. ამ ექსპერიმენტს ტოტალიტარიზმს უწოდებენ, სადაც ყველაფერი ცენტრალიზებულია და იდეოლოგიას დამორჩილებული (სტალინიზმი სსრკ–ში, ფაშიზმი – გერმანიასა, იტალიისა და ესპანეთში, მაოიზმი – ჩინეთში, მუსულმანური ფუნდამენტალიზმი – ჰომეინის ირანსა და თალიბების ავღანეთში), სადაც „ბარბაროსული ცეზარიზმი“ განაგებს მილიონების ბედს. იგი ქმნის თავის შესატყვის ხელოვნებას, სადაც ერთიანდება რომანტიკა, რეალიზმი და ჰეროიკა.

უმალესი მმართველი (ბელადი, ფიურერი) არა მხოლოდ განაგებს ქვეყანას, არამედ – თავად არის იდეების წყარო, სტიმული და შთაგონება. ტოტალიტარული ხელისუფლება თავისთავს ინიშნავს, თანაც – უვადოდ და კულტურისაგან მოითხოვს განდიდებას.

არცერთი სახელმწიფო არ არსებობს თავდაცვის სისტემისა და

სპეცსამსახურების გარეშე. მათი ეფექტური მუშაობა არის ქვეყნის სიმტკიცისა და სიძლიერის გარანტია. ხოლო ფუნქციონირებას განსაზღვრავს არა მხოლოდ იდეოლოგია, კანონები და სამთავრობო გადაწყვეტილებები, არამედ – საიდუმლო ინსტრუქციები, შპიონაჟის სისტემა.

მაგ., აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში, რომელიც მთელ მსოფლიოშია გაფანტული, მუშაობს 120 000 კაცი. ბიუჯეტი შეადგენს 60 მლრდ დოლარს.

სააგენტო ახორციელებს რადიო-ელექტრონულ დაზვერვას, მოიპოვებს რადიო-სიგნალებს, ტეხს შიფრებს, ევალბა დაშიფვრა და კოდირება, ფარული მოსმენები და ვიდეო გადაღებები, აღწევენ ბინებსა და ოფისებში.

იგი ფუნქციონირებს რადიო-ლოკალურ კომუნიკაციებსა და ინტერნეტქსელში. იყენებენ ასეულობით კოსმოსურ სატელიტურ ანტენას, წყალქვეშა ნაგებს, გემებს, სამხედრო ბაზებს...

შესაბამისად სააგენტო იყოფა სამმართველოებად და განყოფილებებად, სადაც ინფორმაციას ფილტრავენ, ახდენენ კლასიფიცირებას და არქივში ინახავენ.

ამ მეცნიერულ ანალიზს იყენებს სახელმწიფო.

დემოკრატი მმართველები ემორჩილებოდნენ ხალხის არჩევანს და იცოდნენ, რომ გართულებული და უაღრესად დიფერენცირებული სახელმწიფო სტრუქტურა მოითხოვდა რეგლამენტირებულ ცვა-ლებადობას, ძალაუფლების გადანაწილებას და კოლექტიურ აზრს. ადრევე გაჩნდა კაცთა თანასწორობის მაცდური იდეაც, რომელსაც სოციალისტური უტოპია დაერქვა.

სოციალიზმი სწორედ ჩაგრულთა იდეალებს გამოხატავდა. თანასწორობის, ერთობის, ძმობის იდეები იმორჩილებდა მასების გულის-ყურს დანყებული 1789 წლიდან, საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან. ბევრი სისხლი დაიღვარა ადამიანის უფლებათა დასაცავად. მმართველობის დემოკრატიზებისათვის მანამდეც მრავალი აჯანყება მომხდარა, მაგრამ ეს იყო სტიქიური ამბოხი და შურისძიება, არა გააზრებული მოქმედება პროგრესისათვის.

მაგ., როცა პუგაჩოვი აწყობდა გლეხთა აჯანყებას, მან თავი პეტრე მესამედ გამოაცხადა, რათა ხალხი მიემხრო. მას არც სოციალური პროგრამა გააჩნდა, არც რაიმე კონკრეტული სამოქმედო გეგმა. თუ მოხდებოდა სასწაული და დაამხობდა ეკატერინე მეორეს, იმპერატორი

გახდებოდა და იმავე მეთოდებით გააგრძელებდა ქვეყნის მართვას.

სოციალისტებისათვის სახელმწიფო იყო მჩაგვრელთა მანქანა ჩაგრულთა წინააღმდეგ. ამიტომ როცა სოციალური კლასები გაქრებოდა, სახელმწიფოს ფუნქცია ამონურული იქნებოდა. მანამდე კი სწორედ სოციალისტ-ბოლშევიკებმა შექმნეს ყველაზე ზუსტი, მონესრიგებული და სასტიკი სახელმწიფო მანქანა, როცა ქვეყანას განაგებდა არა კანონი, არამედ – იდეა. ეს იდეა კი ეკუთვნოდა ერთ კაცს. ამ მხრივ მას მხოლოდ გერმანული ნაციონალ-სოციალისტური სისტემა თუ შეედრებოდა.

ორივე სოციალიზმისა და მუშათა კლასის სახელით მოქმედებდა. ერთი იყო ნაციონალისტური, მეორე – ინტერნაციონალური. ორივე ზღუდავდა კერძო საკუთრებას, პიროვნების თავისუფლებას.

ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ პერსპექტივაში სახელმწიფო უნდა მომკვდარიყო. ეს მაშინ მოხდებოდა, როცა მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებდნენ და კლასობრივი ანტაგონიზმი მოისპობოდა. მაშინ აღარ იარსებებდა ომების წყარო და ქვეყნად მშვიდობა, სიკეთე, ჰარმონია დაისადგურებდა. მანამდე კი საჭირო იყო ტოტალიტარული რეჟიმი, პოლიცია, ერთპარტიული სისტემა, ქვეყნის გარდაქმნა სამხედრო ბანაკად ანუ მშვიდობისათვის უნდა მიეღწიათ ძალადობით.

ასე უნდა მომდარიყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მაგრამ რადგან ამის მიღწევა ვერ ხერხდებოდა, სიტყვა ეძლეოდა რეპრესიასა და აგრესიას. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ენირებოდა სამხედრო სამზადისს, არ კმაროდა აღზრდა და პროპაგანდა.

მეორე მსოფლიო ომმა და ატომურმა იარაღმა ყველას აჩვენა, რომ კაცობრიობა თვითგანადგურების ზღვართან მივიდა და რომ დასაშვები შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ლოკალური, შეზღუდული მასშტაბის ომები. კოლონიალიზმის დაშლა, ახალი ქვეყნების გაჩენა, მუდმივი ფიქრი განიარაღებაზე აისახებოდა სახელმწიფო სტრუქტურაზეც.

დასავლეთის სახელმწიფოებმა და აშშ-მ შეინარჩუნეს და განავითარეს ჰუმანისტური იდეალები მმართველობის სფეროშიც.

ძნელი სწორედ ქვეყნის დემოკრატიული მართვაა, როცა წარმატებას უნდა მიაღწიო კანონებისა და ადამიანის უფლებათა დაცვით, ძალაუფლების განაწილებით, ოპოზიციასთან დისკუსიით, საერთაშორისო სისტემაში ჩართულობით, თანაც, ეს უნდა მოასწრო განსაზღვრულ ვადაში, არჩეულ პერიოდში.

ეკონომიკურ სასწაულს ჰიტლერიც აღწევდა; უზარმაზარი ტერიტორიის ინდუსტრიალიზება შესძლო სტალინმაც, მაგრამ ბარბაროსული სისასტიკით და განუზომელი მსხვერპლის ფასად. თანაც, მათ ტაიტნოტი არ ემუქრებოდათ.

ეკონომიკურმა აღმავლობამ, დემოკრატიზების პროცესმა, ადამიანის უფლებათა დაცვამ გააცხოველა კავშირები ქვეყნებს შორის. ხოლო სივრცე – დროის ძლევამ წამოსწია გლობალიზაციის ნებაყოფლობითი პრინციპი.

გლობალიზაციამ კი მოითხოვა მკაცრი სახელმწიფო სისტემის ლიბერალური ტრანსფორმაცია, იძულების შეცვლა ნებაყოფლობით, პიროვნების თავისუფლების დაცვით.

აქ მთავარი იყო არა ერთი დოქტრინა, არამედ – კოლექტიური აზროვნება, იდეების მოძრაობა. ევოლუციურ პროცესს აყალიბებდა მრავალი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი, ეკონომისტი და იურისტი. საერთო ძალისხმევით, თაობათა მანძილზე, ომისა და მშვიდობის პერიოდებში იცვლებოდა სახელმწიფო სტრუქტურა. ზოგი გლობალისტი იყო, ზოგი – ანტიგლობალისტი, რათა იდეებისა და პრაქტიკის თავისუფალ შეჯიბრში გამოჩენილიყო ღირსება და ნაკლოვანება (მაგ., ჰავიერ სოლანა, რომელიც ებრძოდა ევრო გაერთიანების პროცესს, შემდეგ თავად გახდა მისი ერთ-ერთი ლიდერი).

ზოგი ქვეყნისათვის გლობალიზაცია შოკის მომგვრელი აღმოჩნდა (მაგ., გერმანია), ზოგი პირიქით – უფრო მოერგო ახალ სიტუაციას (მაგ., აშშ) და გარდაქმნა თავის იდეოლოგიად, როგორც მარქსიზმი – სსრკ-მა.

სახელმწიფო და ომი

ომი უკავშირდება სახელმწიფოს. სახელმწიფო წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც გაჩნდა მშვილდ-ისარი, შუბი და ბრინჯაოს მახვილები, როცა ამ პირველადი ტექნიკით შესაძლებელი გახდა ვინრო ოიკუმენის გაფართოება, სხვა ტომის მიწის ათვისება და ცხვარ-ძროხის მიტაცება.

ომის გარეშე ადამიანთა ერთობა და გენეტიკური ერთგვარობა ვერ ჩამოყალიბდებოდა. მაგრამ ეს იყო შორეულ ეპოქებში, როცა ომებს არ

ჰქონდა გლობალური მასშტაბი და არ ახლდა ტოტალური მსხვერპლი. ისტორიულად ომს ჰქონდა გადამწყვეტი პროგრესული მნიშვნელობა კაცთა გაერთიანების, ცივილიზაციის, აზროვნების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უდიდესი მსხვერპლის შედეგად. ოლონდ ეს იყო წარსულში (იხ. „ომი და პროგრესი“ I ნიგნში, „სისხლიანი მარსი და შემოქმედი“ ნიგნში – „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

ომების შედეგად ტომი ტომს ერწყმოდა, კულტურა–კულტურას ფერს უცვლიდა, ყალიბდებოდა განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც იძენდა კრებად ნიშან–თვისებებს.

ისტორია ინახავს ამის უამრავ მაგალითს.

მაგ., ვანდალების გერმანული ტომები სკანდინავიიდან გადავიდნენ ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, შემდეგ – III საუკუნისათვის დუნაის დინებას დაუყვნენ. V საუკუნეში დასავლეთისკენ დაიძრნენ, დაარბიეს გალია და ესპანეთი, გადავიდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში და იქ თავიანთი სამეფო დააარსეს; 455 წელს დაანგრეს და გაძარცვეს რომი.

ასე მოითარეშეს მთელი ევროპა, მაგრამ VI საუკუნეში ბიზანტიელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, დასუსტდნენ და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ასე გაქრნენ ისტორიის არენიდან ვანდალები. მაგრამ მათი სახელი დღემდე ცოცხლობს თაობათა მემსიერებაში.

ძველ დროში ომებს ასევე ჰქონდა კონსოლიდირების, ერთა გაძლიერებისა და სახელმწიფოთა წარმოქმნის მნიშვნელობა.

მაშინ ინტეგრირების სხვა საშუალება არ არსებობდა. ტექნიკის განვითარება ზრდიდა ომების მასშტაბს, მსხვერპლთა რიცხვს, მეტი ტერიტორიის სრულად ათვისების შესაძლებლობას. ამიტომ ომი, რომელიც იყო ცალკეული რეგიონებისა და ცალკეული მოქალაქეების ტრაგედია, მაგრამ ზოგადად პროგრესის მომტანი, დღეს კაცობრიობას მოსპობით ემუქრება.

კომუნისტები მშვიდობას ქადაგებდნენ, მოითხოვდნენ სადავო საკითხების დიალოგით მოგვარებას. ამავე დროს, ჯერ ლიად, შემდეგ ფარულად რევოლუციის ექსპორტს უჭერდნენ მხარს, საჭიროდ თვლიდნენ მთელი მსოფლიოს განითლება. პერმანენტული რევოლუცია მთლიანად არასოდეს უარუყვიათ, უბრალოდ – ელოდნენ მომენტს, რათა ძალა გამოეყენებინათ, არასასურველი ხელისუფლება

ძალადობით დაემხოთ (მაგ., 1979 წლის დეკემბერში შეჭრა ავღანეთში, 1991–1992 წლებში ხელისუფლების დამხობა საქართველოში, ომის შემდეგ – აღმოსავლეთ ევროპის გაკომუნისტება).

რევოლუცია სისხლი და ძალადობაა, რასაც მოსდევს ყველაზე საშინელი დაპირისპირება – სამოქალაქო ომი (შდრ – შოთა ნიშნიანიძე: „გიყვარდა მოხმობა გარდასულ გრიგალთა და სამოქალაქო ომები გიყვარდა“).

მეორე მსოფლიო ომმა 60 მილიონზე მეტის სიცოცხლე შეინირა, კიდევ უფრო მეტი დაიჭრა და დასახიჩრდა, დაინგრა და დაინვა ქალაქები და სოფლები.

მესამე მსოფლიო ომი კი შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს. მაგრამ სწორედ ატომური და სარაკეტო შეიარაღება იცავს წონასწორობას. თერმობირთვული იარაღი გახდა კონფლიქტების რეგულატორი. ატომური ომის საფრთხე აიძულებთ დიდ სახელმწიფოებს, რომ დაკმაყოფილდნენ ლოკალური კონფლიქტებით და თავი აარიდონ ურთიერთდაპირისპირებას, არჩიონ შეთანხმების ლოგიკა ძალის ლოგიკას.

ომის სათავე ადამიანის ბუნებაშია, მის აგრესიულ ინსტინქტებში, სწრაფვაში ძალისა და ძალაუფლებისაკენ, როცა ერთს მილიონები ემორჩილება. მაგრამ ამ უმაღლეს ერთს დესპოტია და დიქტატურა თუ არ ექნა დამყარებული, თუ შიშის ნაცვლად დემოკრატიული ნორმებით მართავს ქვეყანას, ნაკლებად მოსალოდნელია ვნებათა მასობრივი აფეთქება და გოტალური სისხლის წყურვილი, რაც მილიონებს მიერეკება სასაკლაოზე.

ომი და კონფლიქტი რომ არ არსებობდეს, არ კმარა დემოკრატიული კანონები, უნდა შეიცვალოს კაცთა ინსტინქტები, რაც უკავშირდება თავდაცვას, გადარჩენას, საკუთარი მოდგმის გამრავლებას, უკეთეს ცხოვრებას.

1928 წელს დაიდო ბრიან–კელოგის პაქტი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას. ამ პაქტს 62–მა ქვეყანამ მოაწერა ხელი. მიუხედავად ამისა, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ომის მიზეზი ისტორიულადაც არსებობს: ყველა ქვეყნის ტერიტორია სადავოა მეზობლებს შორის, იმდენად ხშირად შეცვლილა საზღვარი. ამ პრეტენზიას ფარულად ყველა ქვეყნის პოლიტიკოსი თუ ხელმძღვანელი ატარებს.

როცა სახელმწიფოს აქვს ძალა და ჰყავს აგრესიული ლიდერი, მოით იწყებს ისტორიული უსამართლობის (როგორც თავად თვლის) გასწორებას. დღეს ამგვარ სწრაფვას ახშობენ საერთაშორისო თანამეგობრობა და ორგანიზაციები, მოსალოდნელი ატომური კატასტროფის საფრთხე. ამიტომ ყველა თანხმდება, რომ საზღვრები გადახედვას არ ექვემდებარება, საზღვრები არ უნდა შეიცვალოს. ხოლო დაკარგული ტერიტორიების სიმწვავე უნდა გაანელოს დემოკრატიზების პროცესმა, სახელმწიფოთა ურთიერთდაახლოებამ, მიმოსვლის გაიოლებამ, კულტურამ და საყოველთაო კეთილდღეობამ.

ომს იწყებს ძლიერი ან დამონებული ერი. ძლიერს სჭირდება მეტი ტერიტორია, ქონება, ბაზარი, ზემოქმედების არეალი. დამონებული ესწრაფვის თავდახსნას, თავისუფლებას, საკუთარი ინდივიდუალობის განვითარებას.

სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია სპობს აგრესიას, ომის გაჩაღების შესაძლებლობას და იცავს პოლიტიკურ წესრიგს, ქმნის პირობებს ეკონომიკისა და კულტურისათვის.

დეცენტრალიზება

დეცენტრალიზება იწვევს სახელმწიფოს აგრესიისაგან განტვირთვას.

დეცენტრალიზება დემოკრატიის თვისებაა. ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება ნიშნავს სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას უმაღლესი ერთიდან ხელისუფლების ერთეულებზე. მაგ., ადრე იმპერატორი განაგებდა და წყვეტდა ყველაფერს. შემდეგ ხელისუფლება განიყო საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად. აქაც მოხდა დაყოფა: აღმასრულებელი მთავრობა, რომელსაც წარმართავს პრემიერ-მინისტრი, მხოლოდ იგი გართულებულ ცხოვრებას, სინამდვილის დახლართულ სფეროებს, სპეციფიკურ დარგებს ვერ სწვდება. ამიტომ ჰყავს კვალიფიციური სპეციალობის მინისტრები, მინისტრებს – მოადგილეები.

როგორც ვთქვით, ძველ დროში მართვა იოლი იყო – ერთპიროვნული ბრძანებებითა და განკარგულებებით. მაგრამ სინამდვილის განტოტვამ, ტექნიკურმა პროგრესმა, ინფრასტრუქტურების გართულებამ მმართველი აიძულა ავტოკრატიას შელეოდა და მართვის

სრულყოფისათვის ძალაუფლება გადაენაწილებინა. ფორმალურად ასე ხდებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოებშიც.

ეს ტენდენცია წარმოშობოდა არასამთავრობო, პარტიულ, შემოქმედებით ორგანიზაციებს, პროფესიულ გაერთიანებებს. ისინი აყალიბებდნენ თავიანთ დაქვემდებარებულ ფილიალებს.

მართვის დეცენტრალიზება ვრცელდება არა მხოლოდ ვერტიკალში, არამედ – ჰორიზონტალშიც. როცა ქვეყანა ცენტრიდან იმართებოდა, ეს აუცილებელი იყო. სხვაგვარად ქაოსი და კონფლიქტი გარდაუვალი იქნებოდა. დღეს სამყაროს მრავალი ცენტრი აქვს. იგი მოძრავია და ცვალებადი. ერთმა ატომურმა წყალქვეშა ნავმაც კი შეიძლება მსოფლიო კატასტროფა გამოიწვიოს. ქრება ცენტრისა და პერიფერიის ცნება, სოფლისა და ქალაქის ცნება. ტელევიზია, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, თვითმფრინავი ამჭიდროებს დაცილებულ წერტილებს. სკაიპით შენს თვალწინ ზის ნიუ-იორკელი მოქალაქე და თითქოს მიღმა ქვეყნიდან გიყურებს და გესაუბრება.

პიროვნების უფლებების დაცვა, ინდივიდის როლის გაზრდა ხელს უწყობს სახელმწიფო მანქანის დასუსტებას, ტოტალიტარიზმის საფრთხის დაძლევას, მეტ თავისუფლებას.

მაგრამ მრავალი ცენტრის დაშლისა და გაუფასურების შემდეგ ჩნდება ახალი მონსტრი – ეს არის გლობალური, უკიდევანო სამყარო. იგი სპობს ძველ ღობეებს და შარაგზებს, მშობლიურ ბილიკებსა და მოედნებს. ის არაა მშობლიური, მაგრამ თითქოს არც უცხოა, არც უცნობია.

ტრადიციული დეცენტრალიზების შემდეგ იწყება ტოტალური გლობალიზაცია. ტრადიციული ცენტრები კი იმიტომ ისპობა, რომ მათ არ დააბრკოლონ გაერთმნიშვნელებების პროცესი, როგორც საოკეანო ლაინერი – ზღვაში გაფანტულმა კუნძულებმა.

დეცენტრალიზების გამოხატულებაა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნა და ფუნქციონირება ანუ დეცენტრალიზების ხარჯზე გზა ეხსნება ახალ ცენტრალიზებას. ეს არის როგორც სტიქიური, ისე გააზრებული პროცესი, რეფორმა და ექსპერიმენტი.

საერთაშორისო ორგანიზაციები და სუვერენიტეტი

საერთაშორისო ორგანიზაციები ნებაყოფლობით იქმნება. იგი შეიძლება იყოს სახელმწიფოთაშორისი ან არასამთავრობო, სამეცნიერო თუ საბანკო, სამართლებრივი თუ ეკონომიკური. მათ აქვთ თავიანთი წესდება, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების წესს. ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას დამფუძნებელი აქტის (წესდების) პრინციპები და შემდგომი შეთანხმებები.

ამჟამად მსოფლიოში მოქმედებს 300 სამთავრობოთაშორისო, 4.700 არასამთავრობო საერთაშორისო, 10.000 ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია.

განსაკუთრებით ცნობილია გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ნატო, არაბთა ლიგა, საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ჰააგის ტრიბუნალი, სტრასბურგის სასამართლო, ფიფა, უეფა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, იუნესკო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, წითელი ჯვარი, მშვიდობის სახლი, საერთაშორისო ამნისტია.

„ცივი ომის“ დროს არსებობდა ვარშავის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც უპირისპირდებოდა ნატოს.

საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება ეროვნული ორგანიზაციების უფლებათა დელეგირების ხარჯზე, როცა იკვეცება საკუთარი უფლებები. მაგ., ევროპის საფეხბურთო ორგანიზაცია უეფა აერთიანებს ეროვნულ ფედერაციებს. ისინი ვალდებული არიან დაემორჩილონ უეფას წესდებას, დაიცვან მიღებული თამაშის წესები, საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატი შეუსაბამონ ევროპის ჩემპიონატის გრაფიკს თუ სხვა სამატჩო ტურნეებს. ასევე იქცევიან სხვა სპორტული ორგანიზაციებიც.

როცა შეიქმნა ნატო, ევროსაბჭო, ევროკავშირი – ეს ნიშნავდა ევროპის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეზღუდვას, რათა ასე ჩამოყალიბებულიყო მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანება.

შემდეგ იყო ცდა, რომ ევროკავშირს ევროსთან ერთად ჰქონოდა თავისი კონსტიტუცია. მაგრამ რეფერენდუმზე ვერ გავიდა. კონსტიტუცია რომ მიეღოთ, ევროკავშირს კონფედერაციული სახელმწიფოს სახე მიეცემოდა.

საერთაშორისო ორგანიზაციები გარედან ზემოქმედებენ სახელმწიფოზე და აიძულებენ, დაიცვას არსებული პოლიტიკური

წესრიგი, ე. წ. თამაშის წესები, უწესებენ სანქციებს, სახელს უტეხენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში და პირიქით – უქმნიან რეკლამასა და ავტორიტეტს.

შიგნით კი აქტიურობენ ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, პარლამენტარები, ცალკეული პირები, რათა მთავრობის კურსი არ იყოს ამოვარდნილი საერთაშორისო კონტექსტიდან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ისინი მრავალ ქვეყანაში მოქმედებენ. ავრცელებენ თავიანთ გამოცდილებას, ეწევიან საქველმოქმედო მოღვაწეობას, იყენებენ ადგილობრივ კადრებს და მათ ასწავლიან საერთაშორისო სისტემაში ფუნქციონირებას. შედეგად გლობალიზაციას ემატება ახალი ელემენტი. მათი სიმრავლით იქსელდება ნაციონალური სახელმწიფოები, რომელთაც ცენტრი აქვთ ქვეყნის მიღმა.

ისინი დემოკრატიის დაცვის საბაზით იძლევიან რეკომენდაციებს, აკვირდებიან პოლიტიკურ პროცესებს და ზეგავლენასაც ახდენენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს აშშ, რომლის ფინანსები და პოლიტიკური ზეგავლენა აძლევს მიმართულებას არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას, გაეროს თუ ევროსაბჭოს.

გაეროს ან ევროსაბჭოს არ შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ დიდ სახელმწიფოებზე. მეტწილად ეს ეხება უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრებს (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი). მათ აქვთ ვეტოს უფლება და აქვთ ატომური იარაღი.

საუკუნის წინათ ოცნებობდნენ ევროპის შეერთებულ შტატებზე. ეს ვერ შეიქმნა. მაგრამ ჩამოყალიბდა ერთა ლიგა. მსოფლიო ომმა იგი დაშალა, როგორც ქმედითუუნარო. ომის შემდეგ გაჩნდა გაერო, ნატო, ვარშავის ბლოკი, „საერთო ბაზარი“, არაბთა ლიგა, დსთ, ევროსაბჭო, ევროკავშირი.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირები უფრო იქმნება იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც აქვთ მონათესავე კულტურა, საერთო რელიგია და ტრადიციები, ტერიტორიული სიახლოვე.

ერთიანობის იდეა სახეს იცვლიდა, მაგრამ არ ქრებოდა. ამ ერთიანობის სტიმული იყო სსრკ, სოციალისტური ბანაკი, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა დასავლურ ცივილიზაციას. ერთი აგრესიული ბლოკი წარმოშობდა მეორე –თავდაცვით ბლოკს.

ქართველი მწერლებიც ოცნებობდნენ თუ როდის აფრიალდებოდა ეიფელზე ნითელი დროშა.; ერთიანობისა და გადარჩენისათვის ევროკავშირის სახელმწიფოები იძულებული გახდნენ დაეთმოთ თავიანთი ეროვნული ვალუტა (მაგ., ფრანკი, მარკა. მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა სტერლინგი). ეს თავისთავად მტკივნეული იყო დიდი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის.

ევროგაერთიანებას ჰყავდა მილიონობით მოწინააღმდეგე. ეს იყო ექსპერიმენტი, რომელსაც უნდა მოესპო ტრადიციული კონფლიქტი სახელმწიფოთა შორის. ამიტომ სახელმწიფო საზღვარი ფორმალობად იქცა და მას ძირითადად საბაჟოს ფუნქცია დაეკისრა. ამან შეანელა ფარული დაპირისპირება, რაც მოსდევს საუკუნეთა მანძილზე სახელმწიფოებს და უკავშირდება ტერიტორიულ დაყოფას, ტერიტორიების ძალადობრივ გადაწინააღმდეგობას და შემდეგ მათი ხელშეკრულებებით დაკანონებას. მაგ., საფრანგეთსა და გერმანიას შორის კონფლიქტს იწვევდა ელზას–ლოტარინგიის საკითხი და ამას მოჰყვა სამი ომი ამ ორ ქვეყანას შორის.

სახელმწიფოს დეცენტრალიზება ზრდის საერთაშორისო ორგანიზაციების როლს და პიროვნებას ანიჭებს რეალურ თავისუფლებას, როცა მას თავისი ქვეყანა მიაჩნია სამყაროს ჰარმონიულ ნაწილად, როცა იგი სხვას, უცხოს არ აღიქვამს მტრად. მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება მაშინაა ეფექტური, როცა იცნობს ერის სპეციფიკას (მაგ., ჯ. სტიგლიცის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მხოლოდ დააზარალა რუსეთი).

ამასთან ერთად დიდი ერები იბრძვიან თავიანთი კულტურითაც. კულტურის უკუგდება შეუძლებელია (მაგ., დასავლეთ ევროპა ცდილობს ამერიკული მასკულტურის განეიტრალებას). ირღვევა სახელმწიფოთა კულტურის სუვერენიტეტი, რასაც ვერ გააპროტესტებ.

საინფორმაციო იმპერიალიზმი იოლად აღწევს წარმატებას. საერთოდ კი, სახელმწიფოს ტრანსფორმირებას წინ უსწრებს საზოგადოების წიაღში აღმოცენებული კონტრკულტურა, რომელიც აღწევს უნივერსალიზებას. ამის შემდეგ არჩევნების თუ რევილუციის გზით მოდის ხელისუფლებაში ახალი ძალა და იწყებს მმართველობის გარდაქმნას. ეს პროცესი უკავშირდება რისკსა და ექსპერიმენტს. მაგრამ როცა არსებობს ასეთი ექსპერიმენტის არაერთი მაგალითი და, შესაბამისად – საერთაშორისო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა, მაშინ იზრდება წარმატების ალბათობა.

დღეს სავალდებულოა დემოკრატიული მმართველობა. მაგრამ ამას საკმარისად არ მიიჩნევენ – ასევე აუცილებელია დემოკრატიული მმართველობის უნიფიცირება, რასაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ფედერაცია და სუვერენიტეტი

სახელმწიფო თმობს თავის უფლებებს ქვეყნის შიგნითაც. მაგ., სსრკ შედგებოდა 15 რესპუბლიკისაგან. რესპუბლიკებს ჰქონდათ ავტონომიები და ავტონომიური ოლქები; აშშ 50 შტატის გაერთიანებაა, რომელთაც ჰყავს გუბერნატორი, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება; მხარეებისაგან შედგება გვრ, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობის კონსტიტუციური გაფორმებაა; საფრანგეთში 21 რეგიონია, იტალიაში – 22, პორტუგალიაში – 2; დიდი ბრიტანეთის სამეფოს აქვს ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეა, უელსის ასამბლეა, შოტლანდიის პარლამენტი; ფედერაციული რესპუბლიკაა ინდოეთი.

სსრკ ფორმალურად აერთიანებდა ფედერაციისა და კონფედერაციის ნიშნებს. ფაქტიურად კი უნიტარული სახელმწიფო იყო. რეალურად რომ განხორციელებულიყო ეს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მართლაც სანიმუშო იქნებოდა. იგი თითქოს ითვალისწინებდა ყოველი ერისა და ეროვნების ინტერესებს, რათა დაჩაგრულად არავის ეგრძნო თავი. თითქოს ხალხებმა მართლაც მოიცილეს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელი. მაგრამ ეს სჭირდებოდა ფასადურ საბჭოთა დემოკრაციას, რომელსაც ახშობდა ოცნება კომუნიზმზე. ეს კი გულისხმობდა ენების, ერებისა და სახელმწიფოების კვდომას.

ფედერაციას არ ცნობდა მეფის რუსეთი – იგი იმპერია იყო.

ამ მხრივ თავის რეგიონებს მეტ თავისუფლებას აძლევდა ოსმალეთის იმპერია. მაგ., ახალციხის ფაშებს (ისინი ქართველები იყვნენ) შეეძლოთ დამოუკიდებელი საბრძოლო მოქმედება, რაც წარმოუდგენელი იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორისათვის.

როცა ნაპოლეონი თავს დაესხა მამულუკებს, მაშინ ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. მაგრამ ამის გამო სტამბოლს საფრანგეთისათვის ომი არ გამოუცხადებია.

დიდ ბრიტანეთსაც ჰქონდა ფედერაციისა და კონფედერაციის

მოდელი. ამიტომ აერთიანებდა იგი დომინიონებს, აყალიბებდა თანამეგობრობას, დათმო საკუთარი სახელიც. შედეგი ის არის, რომ როგორც ვთქვით, არაერთი ყოფილი კოლონია დღესაც თავისი ქვეყნის მეთაურად აღიარებს დიდი ბრიტანეთის დედოფალს და ისევ სცნობს გენერალ-გუბერნატორს.

ასეთი ფედერაციები დღევანდელი გაეროსა და ევროკავშირის წინამორბედაა, როცა სახელმწიფო უარს ამბობს სუვერენიტეტის ნაწილზე და იზიარებს საერთაშორისო ორგანიზაციების გადამწყვეტილებებსა და მოთხოვნებს. ყოველთვის ეს არც ხდება, როცა ეჯახება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ან ვერ შელევია იმპერიულ ამბიციებს.

მაგ., თურქეთი არ თმობს კვიპროსს, რუსეთი – სოხუმსა და ცხინვალს. ეს მაშინ, როცა დიდმა ბრიტანეთმა დათმო არა მხოლოდ უამრავი კოლონია, არამედ – ირლანდიაც კი და ლამის თავადაც დაიშალოს და დარჩეს მხოლოდ ინგლისი.

ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალებაა რეგიონალიზმის პრინციპი, რაც ეროვნებათა საფუძველზე ყველაზე სრულად გაიაზრა სტალინმა, ოლონდ სნორ დაყოფას თავადვე წაართვა რეალური შინაარსი.

ვინ განსაზღვრავს რეგიონალური ხელისუფლების ლეგიმიტაციას – ცენტრი თუ რეგიონი? ორივე შემთხვევაში ბალანსი ირღვევა. როცა ცენტრია მსაჯული, მაშინ იზღუდება რეგიონის თავისუფლება; თუ რეგიონის არჩევანია გადამწყვეტი, მნიფდება სეპარატიზმის საფრთხე (მაგ., კვებეკი – კანადაში, ბასკეთი და კატალონია – ესპანეთში, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – საქართველოში, ჩეჩნეთი – რუსეთში).

ასეთ დროს თავისთავად იღებენ სიტყვას საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა ისინი იძლევიან მხოლოდ რეკომენდაციებს. ხოლო ძალდატანება დიდ ქვეყანაზე (მაგ., რუსეთის ფედერაციაზე) არ შეუძლიათ. პატარა და სუსტი ქვეყანა კი (მაგ., საქართველო) იძულებულია რეკომენდაცია ულტიმატუმად მიიღოს.

1999 წელს „ევროპის პოლიტიკური კვლევების ცენტრში“ დამუშავდა მაიკლ ემერსონის „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ კონცეფცია. იგი აყენებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაწილეობით სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობის იდეას. არსებითად ეს უნდა ყოფილიყო კონფედერაცია (ამისი მსგავსი იდეა

შემდეგ გაახშირნა მიხეილ სააკაშვილმა), რათა ამ გზით გადაჭრილიყო სეპარატიზმისა და ეკონომიკის პრობლემები.

„ასიმეტრიული ფედერაციის მოდელი“, როგორც მას თავად ავტორები უწოდებდნენ, არ იქნა გაზიარებული. ეს პროექტი ჩავარდა და ამის შემდეგ ევროსაბჭოს რაიმე არსებითი ინიციატივა არც გამოუჩინია.

დღეს სახელმწიფოები ქვეყნის შიგნითაც თმობენ სუვერენიტეტის ნაწილს, რათა შეინარჩუნონ მთლიანობა. ეს არის არსებობა კომპრომისის ხარჯზე, კომპრომისი კი კეთდება ჰუმანიზმისა და დემოკრატიის სახელით, აგრესიული ინსტინქტების გარდასახვით. მაგრამ როცა ეს ხდება ძალადობით, ძალმომრეობით – ემსახურება რომელიმე დიდი ქვეყნის ინტერესებს. მაგ., ავვისტოს ავანტიურის შემდეგ რუსეთის ზოგიერთმა პოლიტიკურმა წრემაც წამოაყენა კავკასიის კონფედერაციის იდეა, რომლის საფუძველი უნდა ყოფილიყო სამივე სახელმწიფოს დაშლა. პრეზიდენტი უნდა არჩეულიყო ერთი წლის ვადით და მორიგეობით (როგორც ეს იყო მიღებული ტიტოს შემდეგ იუგოსლავიაში, როგორც ეს არის ევროკავშირში).

ქვეყნის (მთავრობის) მეთაურის ასეთი არჩევის პრინციპი წამოაყენეს გაცილებით ადრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა, რასაც უარყოფითად შეხვდნენ II ინტერნაციონალის ლიდერები (მაგ., კარლ კაუცკი).

ფედერაციული სახელმწიფო სტრუქტურა არის საუკეთესო საშუალება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, შიდაკონფლიქტების აღსაკვეთად, ეკონომიკური და კულტურული პროგრესისათვის, როცა ყველა ხალხის ეგოიზმი, ნაციონალური ინტერესები გათვალისწინებულია და დაკმაყოფილებული. ეს ნიშნავს ცენტრის მიერ ძალაუფლების გადანაწილებას, ეროვნული უმცირესობების უფლებათა აღიარებასა და დაცვას.

რეალური ფედერაცია კი თითქოს არის გლობალიზებული მსოფლიოს მომავალი მოწყობის მოდელი, როცა ძალაუფლება იქნება არა ძალმომრეობის საგანი, არამედ – ნებაყოფლობითი მსახურება ადამიანთა ინტერესების დიფერენცირებისა და დაცვისათვის. მაგრამ როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ქრილში ფედერაცია მიდის სახელმწიფოებრივი პოლიცენტრიზმისაკენ, რომელიც იქნება ევროკავშირის მსგავსი სტრუქტურა. საქართველოში ეს გაგებულ იქნა არა ძალაუფლების რეგიონებზე გადანაწილების, არამედ თავად

ცენტრის, ხელისუფლების დაშლის თვალსაზრისით (მაგ., პარლამენტი – ქუთაისში, მთავრობა – თბილისში, საკონსტიტუციო სასამართლო – ბათუმში, თავად აჭარის პარლამენტი – ჩაქვში).

ასეთი პოლიცენტრიზმი ხელს უწყობს პრეზიდენტის ავტორიტარულ მმართველობას.

ძალაუფლებას როგორც კი ჩამოსცილდება პრივილეგია და ზეგავლენის საშუალება, როგორც კი იქცევა მხოლოდ შრომატევად სამსახურად, შეწყდება ხელისუფლებისაკენ სწრაფვა და იოლად იფუნქციონირებს სახელმწიფო სტრუქტურა, აღარ მოხდება მისი დეფორმირება. მაგ., დღეს საზოგადოებას საერთოდ არ აინტერესებს (და არც სჭირდება) ვინ არის ევროკავშირის ან ევროსაბჭოს ხელმძღვანელი. აქ მთავარია კოლექტიური აზრი, კოლექტიური მმართველობა. მსგავსი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული ლენინს, როცა ქმნიდა პოლიტბიუროს: პოლიტბიურო მაღლა იდგა ცეკას გენერალურ მდივანზე, რადგან იგი იყო ცეკას და არა პოლიტბიუროს გენერალური მდივანი. მაგრამ ამგვარი დემოკრატია გავრცელებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ბოლშევიკებს შორის.

ამავე დროს არსებობს ლიდერის გამოყოფის პრინციპი. მაგრამ მისი მოქმედება იფარგლება საშუალო დონით. ლიდერთა აქტივობა და კონკურენცია კი ამავე დროს არის ერთმანეთის კონტროლი, რათა არ გადავიდეს ახალ ცეზარისზმში.

სეპარატიზმი – გლობალიზაციის მოკავშირე

მონოეთნიკური სახელმწიფო თითქმის არ არსებობს. ეროვნული უმცირესობა ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს (მაგ., საქართველოში). ამიტომ ბუნებრივად დგება უმრავლესობისა და უმცირესობის დემოკრატიული თანაარსებობის რეგულირების პრობლემა.

ამის გარეშე მწვავე კონფლიქტები გარდაუვალია, რამაც შეიძლება გახლიჩოს ქვეყნის მთლიანობა. ზოგჯერ საქმეს ვერ შველის ვერც ფედერაცია, ვერც კონფედერაცია, იმდენად ძლიერია გამთიშველი ძალები.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ მრავალი საერთაშორისო დოკუმენტია მიღებული (მაგ., გაეროს 1950 წლის

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, იუნესკოს 1960 წლის კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1992 წლის ევროპული „ჩარჩო-კონვენცია“, 1992 წლის ევროპის ქარტია, 1996 წლის ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლების შესახებ).

ერთი მხრივ, ამ დოკუმენტების დაცვა აუცილებელია, მეორე მხრივ – ასეთი ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი ხელს უწყობს უმცირესობათა სეპარატისტულ სწრაფვას, მითუმეტეს მაშინ, როცა გვერდით ისეთი წამქეზებელი ეგულება, როგორიცაა რუსეთი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმცირესობათა ენობრივი უფლებების დაცვას, ოღონდ ისე, რომ არ შეიზღუდოს სახელმწიფო (ოფიციალური) ენის ფუნქციონირება (მაგ., 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი, 1998 წლის ოსლოს დოკუმენტი).

ეს ჰგავს ცეცხლისა და წყლის მორიგებას.

სახელმწიფო ენა აერთიანებს ქვეყანას. თუ ყველა ეროვნულმა უმცირესობამ ცალ-ცალკე გამოიყენა მხოლოდ თავისი ენა (მაგ., საქართველოში სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, რუსებმა), ეს სახელმწიფოს დაშლას მოასწავებს. ამიტომ ზოგან (მაგ., იტალიის ცალკეულ რეგიონებში) ორენოვანია საჯარო მომსახურება. ამასთან ერთად რეკომენდებულია, რომ უმცირესობამ ისწავლოს უმრავლესობის ენა.

როცა ერაყში დაამხეს სადამ ჰუსეინი, პრეზიდენტად აირჩიეს ქურთისტანის პატრიოტთა გაერთიანების გენერალური მდივანი ჯალალ თალაბანი, ეთნიკური უმცირესობის ლიდერი.

ეს, ერთი მხრივ – ქურთების აგრესიას დააცხრობდა, მეორე მხრივ – ერაყელების ნაციონალიზმს ალაგმავდა. ასე შეიძლება სეპარატიზმის თავიდან აცილება, ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება (მაგ., საქართველოს პრეზიდენტი რომ გახდეს აფხაზი).

მხოლოდ ფიქრი იმაზე, რომ გლობალიზაცია ბოლოს მოუღებს ეთნოკონფლიქტებს და გადაჭრის საზღვრების პრობლემას – გაუმართლებელია.

აშშ, გაერო, ნატო, დასავლეთი ევროპა „ცივი ომის“ პერიოდში რადიკალურად იყვნენ დაპირისპირებული საბჭოთა კავშირთან. ისინი მიესალმებოდნენ სოციალისტური ბანაკის დემონტაჟს, პერესტროიკას, კომპარტიის გაუქმებას, აღვივებდნენ რესპუბლიკებში ნაციონალიზმის კერებს. აქეთკენ იყო მიმართული მთელი პროპაგანდა, რადიოარხები „თავისუფლება“, „თავისუფალი ევროპა“,

„ბი-ბი-სი“, „გერმანული ტალღა“, „ამერიკის ხმა“, რომელიც მაუნყე-ბლობდა 44 ენაზე...

ისინი ებრძოდნენ ბოლშევიზმის ექსპორტს, კომუნისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თურმე არ სურდათ სსრკ-ის დაშლა. პრეზიდენტ ბუშს ეგონა, რომ ეს გამოიწვევდა კონფლიქტებს, დაარღვევდა სტაბილურობას. ეს უნდა მომხდარიყო თანდათან და არა უცებ ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე.

სხვა საკითხია რეგიონული, მცირე მასშტაბის სეპარატიზმი, რაც ვერ დაარღვევს მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ნესრიგს. სეპარატიზმი ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომა და განკერძოებაა, რომლის მიზანია ქვეყნისაგან ჩამოცილება და ცალკე სუვერენული ერთეულის შექმნა. ეს მაშინ, როცა აღარ სჯერდება ავტონომიას ან უფლებების დაცვას.

სეპარატიზმს კრძალავს და ებრძვის ყველა ხელისუფლება. მაგრამ იგი არსებობს, ღიად თუ ფარულად, მრავალ სახელმწიფოში. დაპირისპირების აღსაკვეთად დიდი ყურადღება ექცევა რეგიონალური დემოკრატიის კონცეფციის დამკვიდრებას. ამიტომ მეტის მოთხოვნა – ტერიტორიული ცვლილება, საზღვრების დარღვევა დაუშვებლად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ისტორიული კატაკლიზმების დროს საამქარაოზე გამოდიან სეპარატისტები და მხარდამჭერებსაც ჰპოვებენ.

ასე მოხდა სსრკ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დაშლა, რაც იყო როგორც კომუნისტური იდეოლოგიის კრახი, ისე პანსლავიზმის დამარცხება.

ერთი მხრივ აღიარებენ, რომ გაეროს მიერ დადასტურებული საზღვრები უცვლელია, მეორე მხრივ სცნობენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. პოლიტიკოსები ამ ორი შეუთავსებელი დებულების შეთანხმებას პრაგმატულად ეკიდებიან. მაგ., რუსეთმა სცნო აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ სისხლში ჩაახრჩო ჩეჩნების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ეს მაშინ, როცა სოხუმი და ცხინვალის საქართველოს მიღმა არასოდეს არსებულა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც ქართველია, ხოლო ჩეჩნეთი XVIII საუკუნის ბოლოს დაიპყრო რუსეთმა და მუდამ ომით უწევდა მისი შენარჩუნება.

დღეს გადაჭრით სეპარატიზმს არ ებრძვიან. მიზეზი ის არის, რომ დაშლა, დეცენტრალიზება ასუსტებს სახელმწიფოს მონოლითურ

სტრუქტურას. ხოლო მყიფე ერთეულებს ამოფარებული მმართველობა, სიმბოლური საზღვრები ხელს უწყობენ სახელმწიფოს ტრანსფორმაციას, გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებას.

ასეთ დროს გლობალიზმი ხელს უწყობს ნაციონალიზმს, ოღონდ დროებით. სუსტი სახელმწიფო დამოკიდებული ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებზე, იქნება ეს გაერო, ნატო თუ ევროსაბჭო. თუ არ შეასრულებს მათ მითითებას, სეპარატიზმი შეიძლება სხვა რეგიონებსაც მოედოს. თუ იქნება მორჩილი და სხვათა ნების მიმყოლი – დროებით მაინც შეჩერდება დაშლის პროცესი, ყოველ შემთხვევაში – ნაციონალიზმი დაითრგუნება.

სეპარატული ერთეულები ისედაც განწირული არიან გლობალიზაციისათვის. უამისოდ მათ არავინ მიხედავს, ვერ მიაღწევენ ვერც ეკონომიკურ, ვერც პოლიტიკურ წარმატებას.

დაქუცმაცებულ, დანანევრებულ ქვეყანას გლობალიზაციის ტალღა იოლად გადაუვლის. ხორვატია, სერბია, კოსოვო თუ მაკედონია გაცილებით სუსტი სახელმწიფოებია, ვიდრე იუგოსლავია. იგივე ითქმის სსრკ-ის ყოფილ 15 რესპუბლიკასა და თავად სსრკ-ზე.

საქართველოსაც ასუსტებს აფხაზური და ოსური სეპარატიზმი. ამიტომ ის რჩება საერთაშორისო ძალების იმედად ან უნდა დაჰყვეს რუსეთის ნებას. თავად ოსები და აფხაზები კი განწირული არიან ასიმილირებისათვის.

ასე რომ სეპარატიზმი და ეთნოკონფლიქტები გლობალიზაციის მოკავშირეა. მაგრამ გლობალიზებულ მსოფლიოში აზრს კარგავს როგორც ნაციონალური სახელმწიფო, ისე სეპარატული ერთეულები – ყველა ერთი ბობოქარი გაერთმნიშვნელიანების პროცესში ითქვიფება: „გლობალიზაცია ნიშნავს ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული საზოგადოების ერთიანობის რღვევას“ (ულრიხ ბეკი).

ჩვენ არ ვიცით, რა იქნება ათასი წლის შემდეგ, მაგრამ დღეს ნაციონალური ინტერესების იგნორირება, მითუმეტეს – ხელყოფა, ინვესს ახალ კონფლიქტებსა და დაპირისპირებას.

მიგრანტთა ნაკადები

ეროვნული სახელმწიფო სახეს იცვლის, კარგავს სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, ან მცირდება მათი ოდენობა. მათ ადგილს იკავებს საერთაშორისო ატრიბუტიკა, რომელიც არავის ეუცხოება. ასეთი სახელმწიფო არის მსოფლიო ფედერაციის ერთი შტატი. ასეთი ფედერაცია სიმბოლურად არსებობს – იგი არ არის არც გაერო, არც ევროსაბჭო. მათ მიღმა დგას ძლიერი ქვეყანა, დომინანტი სახელმწიფო, რომელიც ამ მსოფლიო ორკესტრის დირიჟორია.

ამჟამად ეს არის აშშ. მასთან ჭიდილში დამარცხდა სსრკ და დაიშალა. უფრო ადრე პრეტენზია ჰქონდა გერმანიას. მომავალში ჩინეთი ეცდება პირველობის პალმის წართმევას.

სახელმწიფოთა ურთიერთშეღწევა სხვადასხვა არხით ხორციელდება. ერთ-ერთია მიგრანტული და ემიგრანტული ნაკადი, რომელიც ნებაყოფლობით თუ იძულებით სტოვებს თავის სახელმწიფოს და თავს აფარებს სხვა ქვეყანას – ეს არის პოლიტიკური ემიგრაცია, ეკომიგრანტები, ბიზნესმენები თუ სამუშაოს მაძიებელი.

ომებისა და რევოლუციების დროს უამრავი ადამიანი, ზოგჯერ მილიონობით (მაგ., რუსები) გარბოდა სამშობლოდან და ეძიებდა მყუდრო ნავსაყუდელს. აგერ ჩვენს თვალწინ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 20% ემიგრანტია. ისინი გაფანტული არიან რუსეთში, ევროპის ქვეყნებში, აშშ-სა და კანადაში. მათ შეაქვთ ახალ გარემოში თავიანთი ნიჭი, განათლება, წარმოდგენები. თავადაც იძენენ სიახლეს, იმაღლებენ კვალიფიკაციას, იცვლიან შეხედულებებს და თუ უკან დაბრუნდებიან, მოიტანენ ცხოვრების განსხვავებულ წესს, სხვაგვარ ცოდნას, ახალ მიმართებებს.

ემიგრანტობა ქართველების თანამდევი ბედისწერა იყო. პოლიტიკური არეულობის გამო ისინი გაფანტული იყვნენ რუსეთში, სპარსეთში, ოსმალეთში, დასავლეთ ევროპაში, მამელუკებად იყიდებოდნენ აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე, ემსახურობდნენ სხვა ქვეყნების ძლიერებს. მაგ., სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია. ქართველი ემიგრანტის შვილია ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, რომელიც იყო ნატოს ჯარების მთავარსარდალი და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბების უფროსი.

კიდევ უფრო ძნელი იყო სომხების, ჩრდილო კავკასიელების ხვედრი.

1724 წელს დამარცხებული ვახტანგ VI.1. 200 მხლებელთან ერთად

რუსეთში გადაიხვეწა. დაბრუნება მათ არ ეწერათ. შთამომავლები გარუსდნენ. როცა რუსეთმა შეიერთა ქართლ-კახეთი, ბაგრატიონები რუსეთში გაასახლა; როცა 1921 წელს დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხელისუფლება და თანმხლები პირები ევროპას შეეფარნენ.

ისინი ლევილის სასაფლაოზე განისვენებენ.

იძულებითი და ნებაყოფლობითი ემიგრაცია, გადაადგილება, მოქალაქეობის შეცვლა ჩვეულებრივი ისტორიული პროცესია, რომელსაც ტრაგიზმთან ერთად სიკეთეც ახლავს.

დღევანდელი ამერიკისა და ავსტრალიის მოქალაქენი ემიგრანტების შთამომავლები არიან, რომელთაც ჯერაც ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა.

როცა ევროპელი კოლონიზატორები ჩადიდნენ სხვა კონტინენტებზე, იქ იმორჩილებდნენ და იმონებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ჩაგრავენ და ხოცავდნენ (განსაკუთრებით – ინდიელებს). მაგრამ შეჰქონდათ ცივილიზაცია და კულტურა, აშენებდნენ ქალაქებს, კულტურის ცენტრებს. თანდათან ადგილობრივ მცხოვრებსაც უჩნდებოდა ინტერესი, რომ სწვეოდა ევროპას, ესწავლა იქაურ უნივერსიტეტებში, ესწავლა ევროპული ენები, შეეძინა უახლესი ცოდნა.

ევროპელებიც სწავლობდნენ აფრიკას, აზიას, ამერიკას, ავსტრალიას, იქაური ხალხებისა და ტომების მითოლოგიას, ეთნოგრაფიას, რელიგიას. ეს იწვევდა დაახლოებას მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის, დაპირისპირების შენელებას, განსხვავების შემცირებას.

სწორედ ევროპამ აღმოაჩინა და გადაარჩინა აზიის, ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის ხალხების კულტურები.

კოლონიზატორთა ტალღა მიგრანტებისა და ემიგრანტებისაგან შედგებოდა, არა მხოლოდ მმართველებისა და ჯარისკაცებისაგან.

ემიგრაცია ამძაფრებს ნაციონალურ გრძნობას, როცა ეს პროცესი იძულებითია და იცი, რომ ველარ ნახავ სამშობლოს. მაგრამ როცა ჩადიხარ სასწავლებლად, სამუშაოდ, სტუმრად, ტურისტად, ან როცა იცი, რომ ნებისმიერ დროს შეგიძლია დაუბრუნდე შენს ქვეყანას, მაშინ დაცილებას სიმძაფრე აღარ ახლავს. სიმძაფრეს ანელებს საინფორმაციო ქსელიც – ტელეფონი, ინტერნეტი, ტელევიზორი, რაც ქმნის ახლობლობის გრძნობას. როცა ნათესავს ან მეგობარს ხედავ და ესაუბრები, მანძილი მცირდება, ქრება და თითქოს ერთი ქალაქის სხვადასხვა კვარტალში ცხოვრობთ.

გფრ–ში ჩასულია 10 მლნ თურქი. ისინი იქ სამუშაოს ეძებენ. მაგრამ ბევრი რჩება, ქმნის ოჯახს და თუკი დაბრუნდებიან, ნაკლებად ექნებათ როგორც ნაციონალიზმი, ისე მუსულმანური ფუნდამენტალიზმი.

მათგან განსხვავებით აშშ–ში მექსიკელები ქმნიან თავიანთ ოლქებს, პოლიტიკურ ჯგუფებს, სპორტულ კავშირებს, საბაზრო სტრუქტურას, ამკვიდრებენ დღესასწაულებს (მაგ., ქალწულ გვადელუპეს კულტი).

ეს არის მექსიკის გაგრძელება მეზობელ ქვეყანაში და არავის სურს, დაბრუნდეს თავის სამშობლოში, რომელიც იქვე გვერდითაა (შდრ – სომხები და აზერბაიჯანელები საქართველოში).

ემიგრანტული და მიგრანტული ნაკადები, ლეგალური თუ არალეგალური, ქმნიან თავიანთ დიასპორებს, აგრძელებენ თავიანთ კულტურას, აარსებენ ეკლესიებს, თეატრებს, ბეჭდავენ წიგნებსა და გაზეთებს (შდრ – 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში). მათი რიცხვი დღეს 150 მილიონს ამეტებს.

აშშ–ში ემიგრანტთა მხარდასაჭერად ჩამოყალიბებულია დახმარების კომიტეტები, სოლიდარობის ჯგუფები, ადვოკატთა კანტორები. ემიგრანტები ითვისებენ ადგილობრივი ცხოვრების წესს, ენას, კულტურას.

ისინი კარგა ხანს კუნძულებად არიან გაფანტული, მაგრამ თანდათან დაიშლებიან, გაიწოვებიან და გაქრებიან უკიდევანო ოკეანეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური ნაკადის გადინებას, „ტვინის იმპორტს“. მაგ., ამერიკული ატომისა და წყალბადის ბომბები შექმნეს ევროპელმა მიგრანტებმა.

მხოლოდ 1955–1965 წლებში აშშ–ში გადასახლდა 53.000 მეცნიერი. მათ ადგილობრივ კადრებთან შეერთებით შექმნეს უდიდესი სამეცნიერო პოტენციალი.

ესპანელმა პიკასომ მთელი ცხოვრება პარიზში გაატარა, ამერიკელმა ჰემინგუემ – კუბაში, ირლანდიელმა ჯოისმა – ჟენევაში, ქართველმა რობაქიძემ – ბერლინსა და ჟენევაში, ინგლისელმა ჩაპლინმა – აშშ–სა და შვეიცარიაში.

ემიგრანტები იყვნენ ბალმონტი, ბროდსკი, ბუნინი, მერეჟკოვსკი, ბერდიაევი, გიპიუსი, სოლჟენიცინი, თომას მანი, სხვადასხვა დროის მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწეები (მაგ., ლენინი და ტროცკი, კერენსკი და ჟორდანია).

ასევე ჭარბად გადაადგილდებიან, ნებაყოფლობით იცვლიან სახელმწიფოებს სპორტსმენები. ისინი ხშირად იცავენ სხვა ქვეყნის

კლუბების ინტერესებს. მაგ., გერმანელი თამაშობს ინგლისში, ინგლისელი – გერმანიაში, იტალიელი – საფრანგეთში, ფრანგი – იტალიაში.

ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძე იყო ეროვნული ნაკრების კაპიტანი, მაგრამ იცავდა „მილანის“ ღირსებას, მარადონა – არგენტინის ნაკრების კაპიტანი თამაშობდა „ნაპოლში“.

უცხოეთში თამაშობდნენ ზიდანო, კრუიფი, პლატინი, დი სტეფანო, პუშკაში, რონალდო.

ამ დღეებში მსახიობმა დეპარდიემ მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, რადგან ფრანგული კანონმდებლობით უნდა გადაეხადა შემოსავლის 75%.

მიგრაციას ახლავს შერეული ქორწინებები და ეს თანამედროვე ფრატრიები უფრო აკავშირებთ ქვეყნებს. 1960 წელს გფრ–ში ყოველი ოცდამეხუთე იყო შერეული ქორწინება, 1994 წელს – ყოველი მეშვიდე (ულრიხ ბეკი). აქ იგულისხმება როგორც განსხვავებული ერის, ისე რასის შვილთა ქორწინება.

ამ მხრივ უფრო მრავალფეროვანია აშშ, სადაც ისტორიულად თავს იყრის და თავსდება მიგრანტული ნაკადები. ამის შედეგად ჩნდებიან მეტიხები, მულატები, კვარტერონები (თეთრკანიანისა და მეტიხის ნაჯვარი), ოქტორონები (თეთრკანიანისა და კვარტერონის ნაჯვარი), სხვადასხვა ერის შვილთა შთამომავლები ანუ ერები და რასები ერთმანეთში ითქვიფება და ყალიბდება გლობალიზებული დროის რასა და ერი, ახალი მოდელი სახელმწიფოსი.

ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება, ერთეებიან ახალი ნაკადები და მიემართება ანთროპოლოგიური გლობალიზაციისაკენ, რაც წაშლის რასების განსხვავებულ სახეს. ამას კი მოჰყვება ენათა რიცხვის შემცირება ან მათი როლის დაკნინება, თუ არ მოხდა მორიგი აფეთქება ანუ დიფერენცირება. მაგრამ ეს იქნება დიფერენცირება ინტეგრირების შემდეგ ანუ ახალ საფუძველზე.

სიმბოლური საზღვრები

ძველდროში სახელმწიფოებს შორის გეოგრაფიული საზღვარი არსებობდა – მთა, მდინარე, ზღვა, უდაბნო, შემდეგ – სადაც მთავრდებოდა ძირითადი ერის დასახლებანი. ყველაზე მკაცრი საზღვრები ჰქონდა სსრკ–ს, თითქოს

ამ უკიდევანო ქვეყანას გარს ეკრა კაციჭამიების სამყარო. უზარმაზარი ტერიტორია მტკიცედ იყო შემოსალტული, მავთულხლართებით დაცული, შეიარაღებული ძალებით და ტექნიკით გამაგრებული, რათა არავინ გაკარებოდა (მაგ., 1983 წელს, ანდროპოვის დროს, რუსებმა ჩამოაგდეს სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავი მხოლოდ იმიტომ, რომ შემოვიდა სსრკ-ის საჰაერო სივრცეში. დაიღუპა 269 ადამიანი).

ესეც არ იკმარეს და შექმნეს მრავალკილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი, სადაც შესვლა ნებართვის გარეშე შეეძლოთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს. საქართველოში დახურულ ზონას განეკუთვნებოდა ასპინდა და ახალციხე, სარფი და კვარიათი. უცხოეთში წასვლა შეიძლებოდა მხოლოდ ტურისტად, ისიც მკაცრი ფილტრაციისა და შეზღუდვის შედეგად, ან დელეგაციის შემადგენლობასა და სპორტულ შეჯიბრებებზე.

ევროკავშირის ქვეყნებს საზღვრები სიმბოლურად აქვთ და დიდად არ განსხვავდება ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრებისაგან.

ევროკავშირის სივრცეში ამ გაერთიანების მოქალაქეებისთვის გადაადგილება უვიზოა. ასეა დსთ-შიც, მხოლოდ საქართველო იყო გამონაკლისი.

რკინის კედელი, რაც სსრკ-მ და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა შემოივლეს, დღეს აღარ არსებობს.

საზღვარი განარჩევს ტერიტორიებს, რაც არის საარსებო სივრცე, რომლის შემდეგ იწყება სხვის მიწა. ადრე ეს სხვა – მტერი ან უცხო იყო. დღეს საზღვარი ძირითადად კეტავს მიგრანტთა ტალღას, უვიზო გადაადგილებას, დამნაშავეთა სამყაროს მოძრაობას, აკონტროლებს ტვირთების გადატანას, არეგულირებს მგზავრთა ნაკადს (მღრ – გაყოფილი გერმანია და ბერლინი).

ადამიანს შეუძლია სახლი ჰქონდეს ნიუ-იორკში, პარიზში, თბილისში, ერთდროულად იყოს საფრანგეთისა და საქართველოს მოქალაქე; თუ აქვს საშუალება, როცა სურს მაშინ გაფრინდეს ვენაში, დაათვალიეროს ეგვიპტის პირამიდები, ენვიოს ლუვრსა და რომს, ინადიროს აფრიკაში.

ადამიანი ისევე წყნარად სტოვებს სახელმწიფო საზღვარს, როგორც ფრინველი. იგი ეწევა პოლიგამიურ ცხოვრებას, იცვლის ქალაქებს, სასტუმროებს, ქვეყნებს.

ადამიანს აღარა აქვს ნაციონალური ბიოგრაფია. მაგ., ამერიკის პრეზიდენტის ობამას მამა კენიელი შავკანიანი იყო, დედა – თეთრკანიანი

ამერიკელი, მამა – მუსულმანი, დედა – იუდეველი, თავად – ქრისტიანი, ბაპტისტი.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი არის უნგრული წარმოშობის ებრაელი ფრანგი, აღმსარებლობით – კათოლიკე.

არც სტალინი ყოფილა რუსი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი არ გამოხატავდა რუსი ხალხის ინტერესებს და თავის ენერგიას არ ახმარდა წითელი იმპერიის ძლიერებას; რომის იმპერიას ჰყოლია ბარბაროსული წარმოშობის იმპერატორები, მაგრამ ისინი ლათინიზებული მმართველები იყვნენ და თავიანთი სამშობლო აღარც აგონდებოდათ.

ახლა სხვა სიტუაციაა და უცხო წარმომავლობის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, თეორიულად მაინც, ხელს უწყობს ნაციონალიზმის შენელებას. მეორე მხრივ – ეს ნიშნავს თავად ერის ტოლერანტობას.

თანამედროვე ადამიანი აღარ არის მიჯაჭვული წინაპართა მიწას. მისთვის დედამიწა არის გავრცობილი სამშობლო.

იგი, ისევე როგორც მისი უძველესი წინაპარი, ეწევა მომთაბარე ცხოვრებას, გადაადგილდება მთელს მსოფლიოში, ცხოვრობს სასტუმროში, საკუთარ იახტასა და გემზე (როგორც ბერძენი მილიარდელი ონასისი), თვითმფრინავში (როგორც ჩვენი პრეზიდენტი). თან აქვს ტელეფონი და ლეპტოპი.

შეუძლია სულაც შინ იჯდეს, სახლში იყოს გამოკეტილი და ვირტუალურად მთელ მსოფლიოს წარუდგეს, ჩაატაროს საბანკო ოპერაციები, გასცეს განკარგულებები, ჩართული იყო ცხოვრების ილუზიურ რიტმში.

სამყარო მისთვის არის მრავალსართულიანი, მრავალბინიანი კორპუსი. იგი მიწას მოწყვეტილი ტურისტია, რომელიც შეიძლება დაეხეტებოდეს მთელ მსოფლიოში, როგორც აგასფერი.

ასე იქცევა, ასე ცხოვრობს საზოგადოების მცირე ნაწილი. მაგრამ ამას გვისახავენ მომავლის პერსპექტივად.

საზღვრების არსებობა და მათი ურღვევობა ქვეყნის სუვერენობის ნიშანია. ძალადობრივი გადალახვა კონფლიქტს ან ომს მოასწავებს. საზღვრის დაცვა, რომელ ტერმინსაც შევეჩვიეთ, უფრო საბჭოური ცნებაა. ევროპაში არიან პატარა და ჯუჯა სახელმწიფოები (მაგ., ლუქსემბურგი, მონაკო), რომელთაც არათუ სიმბოლური საზღვრები აქვთ, არამედ თავადაც სიმბოლურად არსებობენ. მათ არავინ

ემუქრებოდა წალეკვით მანამდეც, ვიდრე ევროკავშირი შეიქმნებოდა. წარმოიდგინეთ, რომ გვერდით ჰყოლოდათ რუსეთი, როგორ სწრაფად გაქრებოდნენ ეს ქვეყნები, გაქრებოდნენ ისე, რომ ავტონომიასაც ვერ ეღირსებოდნენ.

როცა საზღვარი სიმბოლური ხდება, აზრი არა აქვს მის შეცვლას ან დარღვევას. ეს კი ანელებს მოძმეთაგან დაცილების სიმწვავეს, დაკარგული ტერიტორიების ტრაგიზმს (მაგ., თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწები, იქ მცხოვრებ თანამემამულეთა ბედი), ამცირებს ასიმილირების პერსპექტივას. ეს კი შესაძლებელი ხდება კულტურული კონტაქტებით, ეროვნული ენისა და ცნობიერების შენარჩუნებით (მაგ., საინგილოში).

მაგრამ პრობლემები აქაც თავს იჩენს. მაგ., დღეს როცა შეიძლება სქესის წინასწარგანსაზღვრა, ჩინელები მასობრივად აჩენენ ვაჟებს. უახლეს ხანში იქ გოგონების დეფიციტი იქნება. ამიტომ ჭაბუკები იძულებული იქნებიან საცოლე სხვა ქვეყნებში ეძებონ.

თავიანთ სამშობლოში მათ ისედაც ეზღუდებათ მრავალშვილიანობა. ამას მოსდევს რელიგიური აღრევაც. მაგ., მუსულმანები მასობრივად მკვიდრდებიან ევროპაში და ავინრობენ ქრისტიანობას: როცა ქრისტიანი ქალი თხოვდება მუსულმანზე, იცვლის აღმსარებლობას. მაგრამ ასე არ ხდება, როცა ქრისტიანი ვაჟი ირთავს მაჰმადის მიმდევარს; მიწის გაყიდვით კი პატარა ქვეყანა კარგავს საარსებო სივრცეს.

საზღვრის გადაკვეთის გაიოლებას მოსდევს ტრეფიკინგის მსხვერპლი, პროსტიტუციის, ნარკომანიის, ტერორიზმის ზრდა.

საერთაშორისო თანამეგობრობა იმიტომ იცავს საზღვრების ურღვევობის პრინციპს, რომ ეს არის სტაბილურობის გარანტია. საერთოდ უმთავრესად ითვლება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება. ეს, ცხადია, თითქმის ვერ ხერხდება. მაინც იმართება უთვალავი შეხვედრა, კონფერენცია, გაერო და ევროსაბჭო ლებულობენ დადგენილებებს. მაგრამ საქმე წინ არ მიდის (საკმარისია გავიხსენოთ პალესტინა–ისრაელის კონფლიქტი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა). ეს არის ერთგვარი ფსიქოთერაპია, სიტყვითა და დაპირებებით ჭრილობების მოშუშება, როცა პრობლემა დრომ ანუ მომავალმა თაობებმა უნდა გადაჭრან (მაგ., კვიპროსის, ყარაბახის პრობლემა).

ისინი სხვაგვარად შეხედავენ კონფლიქტის მიზეზებსა და შედეგებს, აღარ ექნებათ ძველებური დაპირისპირება, ხოლო გლო-

ბალიზაცია უფრო დაახლოებს ქვეყნებს. ჯერჯერობით კი საჭიროა სტაბილურობის შენარჩუნება, რათა ადამიანებმა შეძლონ მშვიდობიანი ცხოვრება.

ტრანსნაციონალური პრობლემები

კაცობრიობას სურს თუ არა, აერთიანებს პრობლემები, რომელთა გადაჭრა ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ან თუ შესძლებს – მხოლოდ ნაწილობრივ. ეს ეხება დიდი პოტენციალის სახელმწიფოებს (მაგ., აშშ). პატარა სახელმწიფოები ვერ უმკლავდებიან სტიქიურ კატასტროფებს თუ ფინანსურ კრიზისებს. მაგ., საბერძნეთს როცა კოლაფსი დაემუქრა, იგი ევროკავშირის სახელმწიფოებმა იხსნეს; როცა სპიტაკი მიწისძვრამ დაანგრია და დაიღუპა 25.000 კაცი, მთელმა მსოფლიომ გაუწოდა დახმარების ხელი.

ასეთი კატასტროფები იშვიათია. მაგრამ გლობალური დათბობა, რაც მოაქვს ტექნიკისა და წარმოების განვითარებას, ყველას თანაბრად ემუქრება. ტემპერატურის თუნდაც 1–2 გრადუსით აწევა გამოიწვევს ყინულის დნობას არქტიკასა და ანტარქტიდაში. რადიკალურად შეიცვლება კლიმატი. აინევს წყლის დონე ზღვებსა და ოკეანეებში. ეს ჩაძირავს კონტინენტების ნაწილს.

ამ პრობლემის წინააღმდეგ ცალკე აღებული ვერც აშშ იბრძოლებს. აქ აუცილებელია ძალთა კონცენტრირება, ყველა სახელმწიფოსა და ტერიტორიის ჩართვა. მიწა, რომლისათვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა, რომელზეც უცხოვრია ამდენ თაობას, შეიძლება სიცოცხლისათვის უვარგისი გახდეს თუ ქვეყნად ჟანგბადი გამოილევა, თუ კოსმოსური მტვერი შემოიჭრება ატმოსფეროში ან კომეტა დაეჯახება დედამიწას.

ფანტაზიორი თავად ეძებს თავის დასაკლავ დანას.

ადამიანი მთვარეზე ავიდა, გზას იკვლევს სხვა პლანეტებისაკენ. არსებობს მილიარდი გალაქტიკა და თითოეულ გალაქტიკაში მილიარდი ვარსკვლავია. ასე რომ ამ ფანტასტიკურ სრბოლაში, ფანტასტიკურ სიმრავლეში არაფერს ნიშნავს დედამიწის არც არსებობა, არც გაქრობა.

ადამიანი ჩეხავს ტყეებს (მაგ., ჯუნგლებში ყოველწლიურად ისობა 17 მლნ ჰექტარი ტროპიკული ტყე), ძარცვავს წიაღისეულს, ქვანახშირს, ნავთობს. მათი მარაგი ილევა და ახლო მომავალში

ადამიანს არ ეცოდინება რა არის ნავთი ან ბენზინი. გამონაბოლქვით იბურება ინდუსტრიული ქალაქები. ელექტროენერჯის მეტი და მეტი მოხმარება ადამიანს აიძულებს, რომ ააშენოს ატომური ელექტროსადგურები, რაც მუდმივი საფრთხის საგანი იქნება (გავიხსენოთ ჩერნობილის ტრაგედია).

სომხეთის ატომური ელექტროსადგური რომ აფეთქდეს, მთელ კავკასიას დალუპვა ელის. ასე რომ ეს არ არის ერთი ქვეყნის პრობლემა. ასევე დამლუპველია ატომური იარაღის გავრცელება. გარდაუვალი საფრთხე ყველას სიფრთხილისაკენ მოუწოდებს. მაგრამ არავინ იცის რას იზამს, ვთქვათ, ირანი, თუ ატომურ იარაღს დაეუფლება. მან შეიძლება ლოკალური პრობლემის გადაჭრა მოინდომოს ამ იარაღით, რაც უეჭველად გლობალურ კატასტროფას გამოიწვევს.

ხიროსიმა და ნაგასაკი კაცობრიობას ახსოვს, როგორც სასტიკი გაფრთხილება. ეს სიმშვიდის ჟამს. მაგრამ თუ ატომურ ქვეყანას მარცხი დაემუქრა, შეიძლება წარმატების მისაღწევად, გადარჩენის მოტივით, გასწიროს მეტოქეც და მასთან ერთად მთელი კაცობრიობაც.

ახლა ისიც ვახსენოთ თუ რამდენი მილიონი ავადმყოფობს ან შიმშილობს, როგორ იზრდება მსოფლიოს მოსახლეობა, როგორ არ ჰყოფნის მრავალმილიარდიან მსოფლიოს საკვები. მომავალში კიდევ უფრო გამრავლდება ადამის მოდგმა და ვერც ქიმიური ტექნოლოგიები, ვერც მიწა და წყალი, ვერც წარმოების მაქსიმალური გაფართოება ვერ უშველის მათ რჩენას.

მალთუსი კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

მსოფლიომ აქაც ერთად უნდა ეძებოს გამოსავალი. მაგრამ თუნდაც წარმოების განვითარება არ არის ხსნა. ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი, მოთხოვნილების დისბალანსი სად და როდის წარმოიშობა – ვერავინ იტყვის. ამას აღნიშნავენ მაშინ, როცა ფაქტი მომხდარია და ინყებენ ანალიზს, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს. ეს დროებითი ღონისძიებაა, რომლისგანაც გონიერმა მმართველმა შეიძლება გამოიყვანოს ქვეყანა (მაგ., 20–იანი წლების გერმანია, 30–იანი წლების „დიდი დეპრესია“ აშშ–ში) და მიაღწიოს ეკონომიკურ სასწაულს (მაგ., იაპონია, სამხრეთი კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, ომის შემდგომი გერმანია). მაგრამ ვერავინ განჭვრეტს, ეს როდემდე გაგრძელდება.

ნავთობის ბუმმა 70–იანი წლებიდან არაბული ქვეყნები ააყვავა. მაგრამ ილევა ნავთობი, ისევე როგორც გაზი და ქვანახშირი და ალბათ 40–50 წლის შემდეგ მათაც კრიზისი დაემუქრებათ. ენერგორესურსის

კრიზისი გარდაუვალია. ამიტომ ერთხანს ნუგეშად მიაჩნდათ ატომური ენერჯია. მაგრამ ჩერნობილის ტრაგედია და აფრთხილებს მსოფლიო.

ყველა ცდილობს, რომ ქვეყანას განაგებდეს გონი. მაგრამ ინსტინქტები მაინც იფეთქებენ და ეთნოკონფლიქტები უსასრულოდ გაგრძელდება. წარსულის მემკვიდრეობისაგან განკურნება მეტისმეტად ძნელია. ისტორიულად დაგროვდა პრობლემები: დაკარგული ტერიტორიები, შეურაცხყოფილი რელიგიური თუ პატრიოტული გრძნობა მასებს ისევ საბრძოლველად განაწყობენ.

სიტუაციასთან შეგუება არავის უნდა. როგორც ამბობს ბიბლია – მამათა სჭამეს კანახი და კბილნი შვილთა მოეკვეთნეს.

ასე ხდება მსოფლიოს მრავალ კუთხეში – ეს იქნება იუგოსლავიის ქვეყნები, პალესტინა – ისრაელი, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი თუ სომხეთი.

გლობალიზაციის პროცესი აშუშებს ასეთ ჭრილობებს. როცა საზღვრები პირობითი ხდება, როცა ტერიტორია აღარ სთიშავს ადამიანებს, როცა სახელმწიფო არსებობს როგორც ერთი დიდი კონცერნი თუ სავაჭრო პალატა – დაკარგულად აღარ მიიჩნევ ტაო-კლარჯეთს, საინგილოს თუ ლორე-ტაშირს. მაგრამ ეს წარმოშობს სხვა პრობლემებს, რაც განადამიანებს უკავშირდება.

ადამიანში მუდამ იარსებებენ რეცესიული გენები, განადგურების ინსტინქტები. კერძო დონეზე ისინი მართავენ ადამიანს და უბიძგებენ მოქმედებისაკენ, დანაშაულისა და სისხლისღვრისაკენ, ნარკოტიკებისა და მკვლელობისაკენ, რაც გადადის ტერორიზმში. ტერორისტი სიცოცხლეს არად მიიჩნევს. მაგ., მუსულმანი შახიდი თავის რწმენას ეწირება და სჯერა, რომ საიქიოში წარმტაცი ჰურიები ელოდებიან.

გლობალიზებულ სამყაროში ადამიანი უფრო დაუცველია ტერორისტისა და ფანატიკოსისაგან (მაგ., შარშან ნორვეგიელმა ბრეივიკმა 77 კაცი მოკლა და მიუსაჯეს მხოლოდ 20 წელი და ამასაც გაატარებს კომფორტულ ციხეში). ფსიქიკური დაავადებისაგან სწული ვერ განიკურნება იდეებითა და თეორიებით (მაგ., კანიზალისტური ატავიზმი).

გენური ინჟინერია ცდილობს მემკვიდრეობით დაავადებათა მოსპობას. ადრე ევგენიკა ცდილობდა ჯანსაღი თაობის გამოყვანას. ახლა კლინიკებს მიმართავენ. ქირურგიული ჩარევით, მედიკამენტებით, ფსიქოთერაპიით, ყოფითი პირობების მონესრიგებით თითქოს

შეიძლება მანკიერების დაძლევა. მაგრამ ეს შეიძლება ერთეულების მიმართ მოხდეს. ექსპერიმენტები კი გრძელდება და შეიძლება ადამიანმა ის ტოტი მოჭრას, რომელზეც ზის, დაარღვიოს გენეტიკური წესრიგი, დაარღვიოს სიკვდილ-სიცოცხლით რეგულირებული პროგრესი.

ძველ დროში ეპიდემიები მუსრს ავლებდა მილიონებს. დღევანდელობას სხვა დაავადებები მოეძალა (მაგ., კიბო, შიდსი, შიზოფრენია), რომელთაგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

ასე რომ არსებობს უამრავი პრობლემა, რომლის გადაჭრას მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესების შეერთება და გონივრული წარმართვა თუ შეიძლება.

ცხადია, კონფლიქტებსა და პიროვნულ პრობლემებს ვერავინ აღმოფხვრის. მუდამ იარსებებს სიყვარული და სიძულვილი, სიკეთე და ბოროტება, სილამაზე და სიმახინჯე, შესაბამისად – გულდანყვეტილი და გახარებული, განამებული და გამარჯვებული. იგივე ითქმის ჯანმრთელობისა თუ ლოკალურ, სახელმწიფო პრობლემებზე, რაც სხვისთვის გაუგებარია ან არ აინტერესებს.

ფეოდალიზმის დროს ადამიანი მარტივად ცხოვრობდა. გლეხი ემსახურებოდა ბატონს, ამუშავებდა მის კუთვნილ მიწას, უვლიდა ცხვარ-ძროხას, ცოლი უქსოვდა ტანსაცმელს, ჰქონდა მიწური, ჰყავდა მრავალი შვილი და თუ იყო მშვიდობა, ასეთ იდილიაში ატარებდა წუთისოფელს. იგი შორს იდგა კომფორტული ცხოვრებისაგან, რომელიც ჰქონდა არისტოკრატისა. მხოლოდ ავანტიურისტები, ვაჭრები, ყაჩაღები და მეროჭიკე ბერები დაეხეტებოდნენ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან – მეორეში.

გლეხი და თავადი დამოკიდებული იყო ამინდსა და მშვიდობაზე, მიწაზე.

ახლა, გლობალიზაციის დროს, ვალუტის კურსის ცვალებადობას, ინფლაციას, ეკონომიკურ კრიზისებს ვერ უძლებენ სახელმწიფოები, არათუ ცალკეული პირები. ყველა ერთმანეთზე დამოკიდებული, რაც, ერთი მხრივ – შველის ცალკეულ სახელმწიფოს, მაგრამ, მეორე მხრივ – კრიზისში ითრევს იმ სახელმწიფოს, რომელსაც არაფერი ემუქრებოდა.

ამისი მაგალითია საბერძნეთის კრიზისი, რომლის მოქალაქენი გამოდიან ევროკავშირის წინააღმდეგ და თვლიან, რომ დამოუკიდებლად უკეთ მოუვლიდნენ თავიანთ პრობლემებს. არც

გერმანიას ან საფრანგეთს სიამოვნებით, რომ უნევთ ზედმეტი თანხის გაღება ჩაძირული მოკავშირის ამოსაყვანად.

გლობალიზაციას მოაქვს თავისი ეკონომიკური პრობლემები, არა მხოლოდ ნაციონალური. ვრცელ ტერიტორიაზე, დემოკრატიული მმართველობის პირობებში, სხვადასხვა სახელმწიფოში ჭირს ერთიანი ვალუტის მოქმედება, ერთიანი პოლიტიკის გატარება. კრიზისი სადმე მაინც იჩენს თავს.

ხშირად პიროვნების თავისუფლება ასუსტებს სახელმწიფოს. მხოლოდ ტექნიკაზე დამყარებით ძნელია ქვეყნის აყვავება და თავდაცვა, ადამიანთა ეგოიზმის შეკავება და მართვა.

მრავალი პრობლემა აქვს აშშ-საც, მიუხედავად ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერისა: მსოფლიოში 41-ე ადგილზეა ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ. ყოველი მესამე იბადება ქორწინების გარეშე, ყოველი მეთერთმეტე ამერიკელი კვდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, განვითარებულ ქვეყნებს შორის მოსწავლეებს აქვთ ყველაზე ცუდი საბაზო ცოდნა, არის უამრავი ფსიქოპათი, მანიაკი, ლესბოსელი, მამათმავალი.

აი, რას გვეუბნება სტატისტიკა:

„ამერიკელ უფროსკლასელთა 65% სექსუალურ ცხოვრებას ეწევა ქორწინების გარეშე და გაუკუღმართებული სახით; 75% სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის აღრიცხვაზეა პოლიციაში; მოზარდთა 45–50% აბორტს იკეთებს; მოსწავლეთა 10% ჰომოსექსუალიზმშია ჩაბმული; მოზარდთა შორის 3,5 მილიონი ლოთია; 1000 ამერიკელი ახალგაზრდა ყოველდღე ცდილობს თვითმკვლელობას“ (სერგი საჯაია).

ასე რომ, არც დემოკრატია, არც ეკონომიკა, არც გლობალიზაცია არ არის პანაცეა.

ტრანსნაციონალური სახელმწიფოსაკენ

მშობლიურ მიწისგან მოწყვეტილ ადამიანს არ ანუხებს ნოსტალგია. ეს თავისუფლებაა. მაგრამ უსაზღვრო თავისუფლება ადამიანურ ნიშან-თვისებათა დაკარგვაა. ადრე ამას ინვევდა დანაშაული. ახლა ტექნოკრატია არაფერს აშავებს, მაგრამ არც არავინ და არაფერი უყვარს, რობოტად არის ქცეული.

ასეთი რობოტები შექმნიან ტრანსნაციონალურ სახელმწიფოს, თვლიან გლობალისტები, რომელიც მაგნიტივით მიიზიდავს სხვა სახელმწიფოებს. იგი არ იქნება ერის ცნებაზე დამყარებული ინსტიტუტი. აქ წამყვანი გახდება საერთაშორისო ორგანიზაციები, კორპორაციები, სინდიკატები, დემოკრატიის პრინციპები, პიროვნების თავისუფლება, მოქმედება კანონის ჩარჩოებში – ასე ესახებათ გლობალისტებს მომავალი.

გლობალიზაციას ადრე იმპერიალიზმად ნათლავდნენ, ახლა ამერიკანიზაციას ეძახიან, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს საზოგადოებასთან გარიგებას და ეროვნულობის პრიმატს.

კაპიტალი, ისევე როგორც იდეები, გადადის ქვეყნიდან ქვეყანაში. სინდიკატებს, კორპორაციებს თუ სპორტულ ორგანიზაციებს აქვთ ფილიალი მრავალ ქვეყანაში. შესაბამისად იქ დასაქმებულია მრავალი ქვეყნის მოქალაქე. მათი ცენტრი არის ლონდონსა თუ ჩიკაგოში, მაგრამ გადასახადს უხდებიან იმ მთავრობას, რომლის ტერიტორიაზეც ფუნქციონირებენ. ისინი ამზადებენ პროდუქციას, რომელიც მთელ მსოფლიოში იფანტება და იყიდება ნაციონალურ ვალუტაზე. შემდეგ იგი ლეზულობს დოლარის თუ ევროს სახეს. მსოფლიო არის ერთი მთლიანი სანარმო და მთლიანი ბაზარი, სადაც ყველა ეტანება საჭირო და არა მაინცდამაინც ეროვნული წარმოების საქონელს.

პოლიტიკური თუ ეკონომიკური გლობალიზება ელიტის სფეროა. მაგრამ იგი თანდათან, ნელ–ნელა ჩადის დაბალ ფენებში, როგორც წვიმის წყალი მიწის სიღრმეში.

კომფორტული ცხოვრების კულტი ადამიანს აცლის ძირებს. იგი თითქოს ფერად ღრუბლებში დაცურავს. მას ჰბაძავენ, მას მიჰყვებიან ლეგიონები, განსაკუთრებით – ახალგაზრდები.

მაგრამ უნდა დაიცვან ცხოვრების თუ თამაშის წესები – ეს არის კანონმორჩილება, უარი ძალადობას, ქსენოფობიას, ნარკოტიკებს, კარჩაკეტილობას.

პიროვნება, ისევე როგორც ხელისუფლება, შეზღუდულია დემოკრატიული ცნებებით, მიჰყვება გონებას (და არა ინსტინქტების, ვნებების, გრძნობების აფეთქებას), კონსტიტუციას, კანონს. ამიტომ ამ საყოველთაო რობოტიზებულ წესრიგში, ტექნოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ არეგ–დარევა შეაქვს ქარიზმატულ ლიდერს. აქ ლიდერი არჩეულია გარკვეული ვადით და ემორჩილება უმრავლესობის საპარლამენტო გადაწყვეტილებას, კანონებს,

კოლექტიურ განსჯასა და კოლექტიურ აზრს. იგი პირველი პირი – პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი – არის დროებით (მაგ., აშშ-ში) და სიმბოლურად (მაგ., პრეზიდენტი ფრ-ში).

კანონის დამრღვევს იმპიჩმენტი (გავიხსენოთ რიჩარდ ნიქსონი) ან პატიმრობა ელის (გავიხსენოთ სამხრეთ კორეის წარმატებული პრეზიდენტები).

გლობალიზებულ სამყაროს ეძლევა ამერიკული სახე. არავინ იცის ეს როდემდე გასტანს. სულერთია, მას შეცვლის ჩინეთი თუ აფრიკა, გლობალიზება გაგრძელდება, რაც რეალურად ნიშნავს ტრადიციული, ეროვნული სახელმწიფოს კვდომას და მის გარდაქმნას საერთაშორისო ორგანიზაციათა კონგლომერატად. ამ მიზანს საქართველოში ახორციელებდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი – ძალადობით და თვითნებურად.

გლობალიზაცია სტიქიური პროცესია, მაგრამ მას ფორმას და მიმართულებას აძლევენ პოლიტიკოსები და იდეოლოგები. ამიტომ მიიჩნევენ, რომ „გლობალურ მმართველობით სისტემას გლობალური მთავრობა“ უნდა ჰყავდეს (ჯ. სტიგლიცი).

III. საზოგადოების რეფორმირება: უსისხლო რევოლუცია

სახელმწიფოს ტრანსფორმაციის პარალელურად გლობალიზაცია ცვლის საზოგადოების მენტალიტეტს, მის ჰაბიტუსს. ეს პროცესი იწყება სტიქიურად, შემდეგ კი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ეძლევა მიმართულება. საფუძველი, როგორც ვთქვით, არის ტექნიკური პროგრესი, ტექნიკის ტრიუმფი, ტექნიკური საშუალებებით ფანტაზიის რეალიზება.

ახალი მენტალიტეტი

საზოგადოება შედგება მრავალი სუბკულტურისაგან. იყოფა რასის, ეროვნების, მდგომარეობის, ქონების, სქესის, აღმსარებლობის, პარტიულობის, პროფესიის ნიშნით. ამგვარ დიფერენცირებას ახლავს განსხვავებული თვალსაზრისიც, რაც ინდივიდუალურ სამყაროთა სიმრავლეში გამოიხატება. ინდივიდი კი მიკროსამყაროა.

საზოგადოება ქმნის თავისი ინტერესებისა და გემოვნების შესატყვის სტილს, მოდას, მენტალიტეტს, კულტურას. სულერთია, მიჰყვები მდინარებას თუ უპირისპირდები, მისი მოთხოვნილებანი მაინც გადამწყვეტია და როგორც ბედისწერა, უჩინრად განაგებს ჩვენს ფიქრებს, შეგნებასა და მოქმედებას, ჩვენს ინდივიდუალობას.

შესაბამისად წარმოიშობა სუბკულტურები და კონტრკულტურა.

ადრე კულტურა მოქმედებდა საზოგადოებაზე, ახლა საზოგადოების დიქტატი და მოთხოვნილებანი განაგებს კულტურას. სხვა მხრივ – მას მომხმარებელი არ ეყოლება, რადგან ყველაფერი კომერციაა.

მაგრამ თუ საზოგადოება არ იქნა მომზადებული გლობალიზაციის პრინციპების მისაღებად, ვერც მთავრობა, ვერც საერთაშორისო ორგანიზაციები ვერაფერს გახდებიან.

მთავარი შემაკავებელი ფაქტორებია ენა, ტრადიციები და კონსერვატიზმი.

მათი უგულებელყოფა, მათი დარღვევა ბადებს კონფლიქტს თაობებს შორის. მაგ., მუსულმანი ვერ ეგუება თუ შვილი მუჰამედს უარყოფს და ქრისტეს იწამებს; დედ-მამა განიცდის, რომ შვილმა

დაივინყა მშობლიური ენა, რომ უცხო ნესები შეითვისა, რომ უზნეო ქალი შეერთო, რომ ტაშს უკრავს მოძალადეს.

ასე იყო გუშინ, ასეა დღესაც.

ამიტომ მოქმედებს მრავალი არხი ცნობიერების შესაცვლელად, ახალი მენტალიტეტის ჩამოსაყალიბებლად.

ერთხანს ევროპაში აქტიურობდნენ „ახალი მემარცხენეები“, ინტელიგენცია და სტუდენტობა, რაც ჰერბერტ მარკუზეს ახალ რევოლუციურ ძალად მიაჩნდა. მაგრამ დამარცხდა პროტესტის სუბკულტურა. სტუდენტური რადიკალიზმი მიჩნეულ იქნა დემოკრატიიდან გადახვევად.

საზოგადოების რეფორმირება უნდა მომხდარიყო მიტინგების და დემონსტრაციების გარეშე.

ევროპამ და ამერიკამ ჯერ აჯანყება უარყვეს, შემდეგ – აგრესიული სოციალური პროტესტი. მათ საზოგადოების შესაცვლელად სხვა, უსისხლო გზა მოძებნეს.

უსისხლო რევოლუცია მრავალი კომპონენტისა და ექსპერიმენტისაგან შედგება. ზოგი სტიქიურად მოაქვს ცხოვრებას, ზოგის დამკვიდრებას კი გლობალიზმის იდეოლოგიები და პრაქტიკოსები ცდილობენ.

ტრადიციულისა და ეროვნულის მოსპობით შეიქმნება ახალი ადამიანი, რომელსაც ექნება სხვაგვარი ღირებულებები, ყველასათვის მისაღები და გასაგები. ჩამოყალიბდება მმართველი ელიტა, რომლის ნევრებს ექნებათ ისეთივე იდუმალი კონტაქტი, როგორც მასონებს, შეეძლებათ იმუშაონ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ნებისმიერ კონტინენტზე. ისინი ამაღლებული იქნებიან იმ სოციალურ დაყოფაზე, რაც ისტორიულად არსებობს ყველა ქვეყნის საზოგადოებაში.

ამ ოცნების რეალიზება დანყებულია, მაგრამ გასავლელია ვრცელი გზა, დასაძლევია მრავალი პრობლემა. გლობალიზაციის ლამაზი ფასადის მიღმა იმალება მრავალი უკეთურება; სხვადასხვა ქვეყანაში ცდილობენ ცინიზმის, ნიჰილიზმისა და ვულგარიზმის დამკვიდრებით ტრადიციული, კონსერვატიული ღირებულებების გაუფასურებას.

ეს არის „აგრესიული გლობალიზმის“ მოქმედების მეთოდი და შედეგი.

ასე ყალიბდება მასობრივი საზოგადოება.

ამ მხრივ საგრძნობი ფუნქცია აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც დაიკავეს ძველი საზოგადოებრივი ორგანი-

ზაციების (მაგ., შემოქმედებითი კავშირების) ადგილი, მასმედია და მასკულტურას.

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი გრანტებით არსებობს. გრანტებს გასცემენ უცხოური, მეტწილად – აშშ–ის ორგანიზაციები. იგი გულისხმობს პროექტს, რომელსაც მოიწონებს დამფინანსებელი. მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა უპირისპირდებოდეს იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომელშიც განხორციელდება.

მაგრამ, როგორც წერს ერთი პუბლიცისტი, ნიგოზი უფასოდ მხოლოდ სათაგურშია.

წარდგენილი პროექტი თუ არ ეთანხმება დემოკრატიზებასა და გლობალიზებას, მხარს არავინ დაუჭერს. ამიტომ ყოველი ასეთი ორგანიზაცია ჩასმულია ზოგად მოდელში და არის მისი ერთი დეტალი.

ამ დეტალებისაგან მექანიზმს ცენტრი აწყობს, რაც პერიოდულად გადაეცემა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ნაციონალურ სახელმწიფოებს.

არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ამასთანავე, მათი პოზიცია და თვალსაზრისი ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე. კადრების აღზრდასა და შერჩევაზე (მაგ., ჩვენში „თავისუფლების ინსტიტუტი“, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, „ახალგაზრდა იურისტების ასოციაცია“).

არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი ხელს უწყობს საზოგადოების როგორც რეფორმირებას, ისე სტაბილურობას, აბალანსებს მასასა და მმართველ ფენას, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს.

საზოგადოების წიაღში კი ერთმანეთს ებრძვიან გლობალისტები, ლიბერალები, რადიკალები, სხვადასხვა რწმენის, ზნეობის, ინტელექტუალობის, მატერიალური შეძლების, საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები, მმართველები და მართულები.

გლობალისტები მიიჩნევენ, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს ოჯახში, ხელოვნებაში, საზოგადოებაში, სახელმწიფო მმართველობაში, სქესთა ურთიერთობაში, ინდივიდის ცნობიერებაში, პარალელურად ტექნიკური და ეკონომიკური აღმასვლისა.

გლობალიზმის ერთ–ერთი მიმართულებაა პიროვნების ინსტინქტებზე ზემოქმედება, მათი შეუმჩნეველი შეცვლა. ასე ექცეოდნენ სსრკ–ში დისიდენტებს, როცა მათ აპატიმრებდნენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებდნენ.

კომუნისტები თვლიდნენ, ადამიანი არანორმალური უნდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მოსწონებოდა. ამიტომ საჭიროებდა ასეთი ხალხი შესაბამის მკურნალობას. ფსიქოტროპული წამლები მოქმედებენ ჰორმონალურ სისტემაზე, ჰორმონები – ინსტინქტებზე და ადამიანს უქრება გაბრაზება, გაღიზიანება, აგრესია, დაპირისპირების სურვილი. იგი მორჩილი ხდება, სხვის ნებასა და აზრზე დამოკიდებული.

ასეთი ტრანკვილიზატორი თუ ნარკოტიკი იმალება გენმოდიფიცირებულ, ქიმიური ტექნოლოგიით დამუშავებულ საკვებში, სხვადასხვა სახის მედიკამენტებში, რასაც უხვად ღებულობს საზოგადოება.

ამავე როლს ასრულებს ყვითელი პრესა, ტელევიზია, სერიალები, პოპ–მუსიკა, სხვადასხვა სახის შოუ, ცივილიზაციის მიღწევათა მრავალფეროვანი სპექტრი, სექსი, კომფორტული ცხოვრება, პრობლემების გაიოლება (იხ. „ელექტრონული გალაქტიკა“).

ადამიანს უჩნდება ნიჰილიზმი ტრადიციული ღირებულებებისადმი და მიუხედავად ტოლერანტობისა, ცინიკურად უყურებს იმ კერპებს, რომლებზეც მშობლები ლოცულობენ. იგი სიახლეს ესწრაფვის, არნახულსა და დაუფერებელს.

ასეთი კი არის გლობალიზაცია, რომელსაც არა მხოლოდ გონებით, არამედ – გულითაც მიენდობა. მაგრამ აქ დგება თავად მოსახლეობის რაოდენობის საკითხი. ჭარბი მოსახლეობა, ზრდის ტემპები, პრობლემებს უქმნის როგორც ცალკეულ ქვეყნებს, ისე გლობალიზაციის პროცესს. მილიარდების გამოკვება მომავალში კიდევ უფრო გაჭირდება. უფრო ძნელია მილიარდების ცნობიერების გადაკეთება, მენტალიტეტის შეცვლა. გლობალისტებისათვის უმჯობესია, რომ მსოფლიოში ცხოვრობდეს არა 8, არამედ – 2 მილიარდი ადამიანი. მათთვის გაცილებით იოლია მატერიალური კეთილდღეობის შექმნა. კონფლიქტებიც ნაკლები იქნება, არც ეკოლოგიური წინასწორობა დაირღვევა, აღარც სმოგის ღრუბელი დაახრჩობს ადამიანებს.

უმცირესობა ბედნიერად იცხოვრებს უმრავლესობის ანუ დაუბადებელი ბავშვების ხარჯზე. მაგრამ ეს იქნება მომავალში ანუ ოცნებაში. ჩინგის ხანსაც, ადოლფ ჰიტლერსაც, იოსებ სტალინსაც ანუხებდათ ჭარბი მოსახლეობა. განადგურება – ეს იყო ბარბაროსული ექსპერიმენტი. ახლა მას ცვლის დაგეგმვა, როგორც ეს ხდება ჩინეთში. ადრე დემოგრაფიული წონასწორობა სტიქიურად იყო

მიღწეული. ახლა ეს რაციონალურად, უსისხლოდ, უკონფლიქტოდ უნდა განხორციელდეს.

ახალი მენტალიტეტი იშლება და ვითარდება ადამიანის უფლებათა დეკლარირებულ და აღიარებულ პრინციპებზე.

ადამიანის უფლებები

მას შემდეგ, რაც 1948 წელს გაერომ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, დაიწყო პიროვნების ორგანიზებული დაცვა სახელმწიფოსაგან. ტოტალიტარულ ქვეყნებში სიცოცხლეს ჩალის ფასი ჰქონდა. იგი სრულიად უმწეო იყო და როცა ხელისუფალს მოესურვებოდა, მაშინ შეეძლო თავისი მოქალაქე გაენირა.

სსრკ ისტორია აურაცხელი ასეთი ფაქტისაგან შედგება.

კაპიტალისტური სამყარო კი, რომელიც თითქოს ყველგან მშრომელებს, იცავდა ადამიანის უფლებებს, მოითხოვდა თანასწორობას, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, სქესისა, პოლიტიკური შეხედულებისა, ქონებრივი ცენზისა, განათლებისა. ასეთი ხერხით შეიძლებოდა კონტროლის გადატანა სოციალისტურ ბანაკშიც, რომელიც სიტყვიერად დემოკრატიისა და თავისუფლების აპოლოგეტი იყო.

ეს თავიდან შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ თანდათან, რაც სსრკ ჩაერთო საერთაშორისო სისტემაში და გახშირდა კონტაქტები, მომნიფდა ამგვარი კონტროლის აუცილებლობა, რაც გაფორმდა კიდევ გაეროს ადამიანის უფლებათა 1966 წლის პაქტებით და ჰელსინკის დეკლარაციით (1975).

მათ ხელს აწერს საბჭოთა კავშირიც. ამის შემდეგ იწყება დისიდენტური მოძრაობა სოციალისტურ ქვეყნებში, რომელმაც დიდი მასშტაბი მიიღო პოლონეთში და „სოლიდარობის“ სახელითაა ცნობილი. საქართველოში ზ. გამსახურდიას თაოსნობით ჩამოყალიბდა ჰელსინკის კავშირი.

მიუხედავად დასავლეთის მტკიცე პოზიციისა, კომუნისტები დისიდენტებს მკაცრად ექცეოდნენ. ისინი არ სცნობდნენ განსხვავებულ აზრს, პლურალიზმს, საჯაროობას (გავიხსენოთ ალექსანდრ სოლჟენიცინი, ანდრეი სახაროვი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა), მრავალპარტიულობას, რეალურ არჩევითობას, საბაზრო ეკონომიკას, მაქსიმალურად ზღუდავდნენ კერძო საკუთრებას.

ადამიანის უფლებათა დაცვას ჰქონდა მეორე ასპექტიც. იგი თავისუფლებათა სრული აღიარება იყო და მოქალაქე, თუ დაიცავდა კანონს, დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოზე, ხელისუფალთა თვითნებობაზე. მას შეეძლო თავისი ნიჭისა და უნარის სრული განვითარება, თავისუფალი განსჯა, მოქმედება, გადაადგილება, პროფესიის არჩევა, დასაქმება.

ეს კი შეუძლებელია კერძო საკუთრების გარეშე, რომელსაც ემყარება თანამედროვე გლობალიზაცია, განსხვავებით კომუნისტური გლობალიზაციისაგან, რომელშიც ადამიანი სახელმწიფოს ტყვე იყო.

კომუნისტების დროს მოქალაქეს ბინა უფასოდ ეძლეოდა, მაგრამ დროებით სარგებლობაში. იგი მემკვიდრეობით გადადიოდა შვილზე, ოღონდ გაყიდვა არ შეიძლებოდა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კერძო საკუთრება დაცულია. იგი საარსებო საფუძველია, რაც პიროვნებას ღირსებას ანიჭებს და უქმნის მოქალაქეობრივ რეპუტაციას.

თითქოს საკუთრება ეწინააღმდეგება გლობალიზების პროცესს, რომელიც ყველაფერს აერთიანებს. ბიზნესმენს შეიძლება სახლი თუ სანარმო ჰქონდეს დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ჰყავდეს იახტა, თვითმფრინავი, მანქანები, ჰქონდეს კონცერნი თუ ჰოლდინგი, ანუ თავისუფალი პიროვნებაა. მაგრამ იგი არ არის მმართველი. ამას ვერც შესძლებს ობიექტების სიმრავლისა და სპეციფიკის გამო, თანაც – თუ თავად იქნა მმართველი, ეს თავისუფლებას წაართმევს, დროს დააკარგვინებს.

საკუთრება მართვის გადაცემით არის გაშუალებული და გლობალიზაციის პროცესში ჩართული. ბიზნესმენი ღებულობს წილით განსაზღვრულ მოგებას. თავისუფალი, მატერიალურად უზრუნველყოფილი პიროვნება უფრო იოლად მიჰყვება მდინარებას და ემორჩილება ახალ სტაბილურ ცხოვრებას. არადა – თითქოს პირიქით უნდა იყოს. მაგრამ აქ მოქმედებს დაკარგვის შიში, პერსპექტივის გრძნობა.

ასე რომ, თავისუფლება ფარდობითი ცნებაა ანუ როგორც ფილოსოფოსები გვეუბნებიან, აუცილებლობის შემეცნება და მისი პრაქტიკული გამოყენება.

პიროვნების თავისუფლება სახელმწიფოს აძლევს დემოკრატიულ სახეს. მაგრამ ინვესს მმართველობის ლიბერალიზებას, როცა სახელმწიფო ველარ ერევა პირად ცხოვრებაში. ასეთ დროს სახელ-

მნიფო ანგარიშს უწევს მრავალ ფაქტორს, მრავალ დეტალსა და ნიუანსს. ტოტალიტარულ რეჟიმს ამგვარი სიფრთხილე და სიზუსტე არ სჭირდება. იქ ერთი პირი ნყვეტს არათუ ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი ქვეყნის ბედს: პიროვნება არის უზარმაზარი მანქანის ჭანჭიკი, რომლის შეცვლა და გადაგდება ყოველ წუთს შეიძლება.

ადამიანის უფლებათა დაცვით ფორმირებული საზოგადოება ცვლის სახელმწიფოს აზრსა და სტრუქტურას. ამიტომ იგი მზად არის გლობალიზაციის პრინციპების გასაზიარებლად. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ერევიან პოლიტიკური პროცესების რეგულირებაში, რათა ამხილონ ძალადობა:

1992 წლის იანვარში, როცა საქართველოში მოხდა გადატარიალება, ქვეყნის სათავეში მოვიდა სამხედრო-კრიმინალური ხუნტა. ისინი ძალუფლებას არ თმობდნენ. მაშინ ამოქმედდა ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია ჰუმან რაიტს ვოჩი. პარალელურად გააქტიურდნენ განდევნილი პრეზიდენტის მომხრეები და ხუნტას დამხობით დაემუქრნენ. წესრიგის დასამყარებლად, ადამიანის უფლებათა დასაცავად ხუნტას მიეცა სამი დღე, რაც საამისოდ არ კმაროდა.

წესრიგისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად მოძალადე ხელისუფლება იძულებული იყო მიტინგები და დემონსტრაციები დაეხვრიტა. ეს კი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა იყო და ასეთი ხელისუფლება დემოკრატიული ვერ იქნებოდა. ამიტომ იგი საერთაშორისო მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდა. ეს კი გზას უხსნიდა ედუარდ შევარდნაძეს, რათა ხელთ ეგდო ძალაუფლება და ჩამოეცილებინა როგორც განდევნილი პრეზიდენტის, ისე ხუნტის მმართველობა.

აქ მოხდა რუსეთისა და აშშ-ის ინტერესების თანახვდომა: რუსეთს პრეზიდენტად არ სურდა ზვიად გამსახურდია – მას ფართო მასები მხარს უჭერდნენ და ვერ შეძლებდა ცხინვალისა და სოხუმის მიტაცებას; აშშ-ს ზვიად გამსახურდიას ნაციონალიზმი ხელს უშლიდა გლობალისტური ტენდენციების განვითარებაში, რაც მაშინ ასე გამოკვეთილი არ იყო. მათი კანდიდატურა იყო შევარდნაძე.

ეს კონკრეტულ ერთ შემთხვევაში. ზოგადად კი ყველაფერი იქმნება ადამიანის მიერ და ადამიანისათვის. ამდენად არის აქტუალური მისი უფლებების დაცვა დედამიანის ყოველ კუთხეში, ყველა რეჟიმის დროს.

ადამიანის უფლებათა დაცვისათვის აუცილებელია საზოგადო-

ებრივი შეგნება, ქრისტიანული სათნოება და მიმტვევებლობა, რასაც დღეს ტოლერანტობას უწოდებენ.

რადიკალიზმი და ტოლერანტობა

საზოგადოება, რომელსაც მართავს ან აყალიბებს ავტოკრატიული რეჟიმი, რადიკალური და შეურიგებელია განსხვავებული წესრიგისადმი. იგი სცნობს და აღიარებს მხოლოდ თავისი ცხოვრების წესის მსგავს წესს, ერთ რელიგიას, ერთ პარტიას, ერთ შეხედულებას. ამას მიიჩნევს ერთსულოვნების გამოხატულებად (შდრ. ნაცნობი ლოზუნგი: „კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმით მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო“), ხოლო განსხვავებული აზრების სიმრავლეს თვლის შეცდომად.

ეს არის დაპირისპირებისა და კონფლიქტის საფუძველი. იგი გზას უხსნის აგრესიულ ინსტინქტებს. ავტოკრატიული რეჟიმი აძლიერებს ამ ინსტინქტებს და უძებნის იდეოლოგიურ გამართლებას. მაგ., საბჭოთა კავშირში კაპიტალისტი იყო მუშათა კლასის სისხლის მწოველი. ამიტომ იგი უნდა გაენადგურებინათ. „მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმაჩნია ადამიანად“, – წერდა ერთი ცნობილი ქართველი მწერალი; ნაციონალ–სოციალისტისათვის ებრაელი დამნაშავე იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ის ებრაელად დაიბადა (შდრ – ლოზუნგი: „ებრაელები და ტილები უნდა განადგურდნენ“).

ასევე შეუწყნარებელი იყო დასავლური სამყარო კომუნისტების მიმართ. ამგვარი პოლარიზება სახელმწიფოებს შორის ზრდიდა ომის საფრთხეს. როცა კომკავშირელმა პავლიკ მოროზოვმა დააბეზლა მშობლები, მას ეგონა, რომ კარგი საქმე გააკეთა (სამწუხაროდ, ერთმა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა პავლიკ მოროზოვი თავის იდეალად მიიჩნია), რადგან ასე იყო მონამღული იდეოლოგიის მიერ. როცა ქართველი პოეტი წერდა, მოვკლავ მამას და დავახრჩობ დედას, რევოლუცია თუკი მიბრძანებსო, ისიც შეურიგებელი რადიკალიზმით იყო მოშხამული.

ძველ დროში პიროვნება თავად იყო განმსჯელი და სამართლის აღმსრულებელიც. სახალხო კრება და უხუცესი იძლეოდნენ ამის დასტურს, რაც ბიბლიაში ფორმულირებულია როგორც სისხლი სისხლისა წილ, თვალი თვალისა წილ ანუ სამაგიეროს გადახდა – შურისძიება (სისხლის ძიება) ღირსებად ითვლებოდა.

შურისძიება გამორიცხავს სასამართლოს, სასჯელის გაშუალებას. სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ასპექტში იგი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით – პოლიტიკურ წრეებში და იყენებენ საკუთარი იდეებისა თუ ზრახვების მისაღწევად.

XX საუკუნეში გერმანიასა და რუსეთს ერთმანეთს შორის ჰქონდათ ორი უდიდესი ომი. პირველი რუსეთის დამარცხებით დამთავრდა, მეორე – გერმანიის განადგურებით. ამ ომებში დაიხოცა მილიონობით ადამიანი, დაინგრა უამრავი ქალაქი, განადგურდა მატერიალური ქონება. მიუხედავად ამისა, მათ პოლიტიკას მოაშორეს საშინელი წარსული და ერთმანეთის მოკავშირენი გახდნენ.

რადიკალიზმისა და დაპირისპირების გაგრძელება ერს დაღუპავს. საჭიროა საკუთარ ტკივილებზე ამაღლება და პერსპექტივის ძიება (მაგ., საქართველოს ურთიერთობა თანამედროვე თურქეთთან). რადიკალური განწყობითა და აზრებით კარის მეზობელთანაც კი შეუძლებელია თანაარსებობა, არათუ სახელმწიფოებს შორის.

დემოკრატია ყველა ერში პარალელურად მიმდინარე პროცესია და ერთის ტოლერანტობას ხვდება მეორის ტოლერანტობა.

შურისძიება, რასიზმი, ნაციონალიზმი, ქსენოფობია შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სამოქალაქო საზოგადოება ემორჩილება კონსტიტუციურ წესრიგს, საკანონმდებლო ნორმებს. ამიტომ უმცირესობის აზრიც ისევე პატივსაცემია, როგორც უმრავლესობისა. სუბკულტურები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მათდამი მიმართება თუ რადიკალიზმს დაემყარა, კონფლიქტი გარდაუვალია. წესრიგის ცნობა არის ტოლერანტობის გამოვლენა, როცა შემწყნარებელი ხარ იმის მიმართ, ვინც, შენი აზრით, სწორად არ იქცევა, არ ცხოვრობს ისე, როგორც სასურველია, როცა არ მოგწონს მისი მორალი ან ეტიკეტი, რელიგიური რწმენა ან პოლიტიკური კრედო.

დემოკრატიულ საზოგადოებას სიმტკიცეს ანიჭებს ტოლერანტობა, ავტოკრატიულს – რადიკალიზმი. განსაკუთრებით შეუწყნარებელია ისლამური ფუნდამენტალიზმი როგორც განსხვავებული რწმენის, ისე თავისი სინმინდებებისადმი დამოკიდებულების გამო (გავიხსენოთ სალმან რუშდის დევნა „სატანური სურების“ დაბეჭდვისათვის).

საზოგადოების ინტეგრირების წინაპირობა არის ტოლერანტობა, შემგუებლობა, შემწყნარებლობა, რასაც სოციოლოგიაში განსაზღვრავენ ბოგარდუსის შკალით. მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ ჰომოსექსუალის, ნარკომანის თუ შიდსით ავადმყოფის მიმართ.

ასეთი ხალხი საზოგადოებისაგან გარიყულად მიიჩნეოდა. ამიტომ მათდამი ნორმალური დამოკიდებულება, მშვიდი თანაარსებობა აჩვენებს საზოგადოების ტოლერანტობის ხარისხს, როცა არ ერევი სხვის პირად ცხოვრებაში, არ განსჯი მას იმიტომ, რომ არ ცხოვრობს შენსავით, შენი მორალითა და შეხედულებით ანუ მოქმედებს პრინციპი – ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ!

ასე ისპობა კონფლიქტების წყარო. საქართველოს სახალხო დამცველთან ტოლერანტობის ცენტრიც კი არსებობს, თუმცა ვთვლით, რომ ისტორიულად ვიყავით ტოლერანტული ერი. ეს სწორია, მაგრამ თავად დრო ცვლის ამ ცნებას, მასში შეაქვს ახალი შინაარსი. ეს უფრო ეხება ზნეობრივ შემწყნარებლობას, ქრისტიანული ღირსების კოდექსს.

პატარა ერის ტოლერანტობა საკუთარი უმწიბრობის დაფარვის ცდაც არის, რათა არ გააღრმავოს კონფლიქტები. სასურველია დიდი ერის ტოლერანტობა (მაგ., რუსეთის), მან გაგრძობინოს, რომ მართლაც გცნობს და გაფასებს.

ასევეა საზოგადოებაშიც, სადაც უმრავლესობას ყოველდღიური კონტაქტები აქვს სხვადასხვა სახის უმცირესობასთან.

პიროვნული შეუგუებლობა იოლად გადადის ეროვნულ აგრესიაში, როცა საქმე ეხება ეროვნულ უმცირესობასთან ურთიერთობას (მაგ., სომხების ეთნიკური წმენდა აზერბაიჯანში, აზერბაიჯანელების ეთნოწმენდა სომხეთში. ასევე მოხდა ქართველების მიმართ აფხაზეთში).

ყველაზე შემზარავი გენოციდი XX საუკუნეში იყო ნაციონალ-სოციალისტების მიერ ებრაელების მასობრივი განადგურება, ისევე როგორც ადრე ამერიკელი ინდიელებისა და აფრიკელი შავკანიანების ამოხოცვა თეთრკანიანი ევროპელების მიერ.

მაგრამ ეს ისტორიაა, როცა მახვილი ადგენდა სიმართლეს.

ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ და ეროვნულ შეურიგებლობას. ამ თვალსაზრისით ყველა ერს ახასიათებდა რადიკალიზმი, რასაც მოსდევდა კონფლიქტები, შეიარაღებული დაპირისპირება, ომები.

დღეს ასეთი აგრესია აღარ არსებობს. ქრისტიანი არ გმობს ვინმეს იმიტომ, რომ ის მუსულმანია ან იუდეველია. მაგრამ რადგან არსებობს ამგვარი განყოფა, ტოლერანტობა მიდის გარკვეულ ზღვრამდე. უცხოობის მინიმუმი მანამდე იარსებებს, სანამ ქრისტიანი დადის ეკლესიაში, ბუდისტი – პაგოდაში, ებრაელი – სინაგოგაში,

მუსულმანი – მეჩეთში. რელიგიური გრძნობა და რწმენა, მითუმეტეს – მსახურება, იძლევა განსხვავებას. მაგრამ ეს რჩება პირადი ცხოვრების ნაწილად, რომელსაც შეიძლება არ იზიარებ. ოღონდ ეს არ ცვლის ურთიერთობებს, არ სპობს ღიმილსა და თავაზიანობას.

ასევე მიუღებელია ქსენოფობიური დამოკიდებულება, ერთი ერის აღმატების ქადაგება მეორეზე, მითუმეტეს – ძალადობა, რაც იყო ომების მიზეზი, საომარი სულისკვეთების ფორმირება. ცხადია, ერთი ერი უფრო ძალმოსილია, ვიდრე მეორე. ერთს უფრო დიდი კულტურა და ისტორია აქვს, ვიდრე მეორეს. ამისი თქმა არც უნდა ინვევდეს რადიკალურ განწყობას, გაღიზიანებას, აგრესიას, რადიკალურ აზრებსა და მითუმეტეს – მოქმედებას.

ერისნაცონალური ინსტინქტების აღზევებასაკუთარი განუმეორებლობის ქადაგებაა, სხვათა დათრგუნვისა და განადგურების მოთხოვნილება, რაც ხდებოდა ისტორიულად, როგორც ამას იდეოლოგიურად ამართლებდნენ და ასაბუთებდნენ ნაციონალ-სოციალისტები.

მშვიდობიანი თანაარსებობის შესანარჩუნებლად, მშვიდობიანი მსოფლიოს მისაღწევად აუცილებელია სოციალური, ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობა. რელიგიებს შორის მხოლოდ ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევრები არიან ძველებურად შეუწყნარებელი, რასაც მოსდევს კონფლიქტები და ტერორისტული მოქმედება (მაგ., ცათამბჯენების დანგრევა ნიუ-იორკში ისლამისტების მიერ).

კონფლიქტის მოსაწესრიგებლად თანამედროვეობა ერთადერთ სწორ გზად დიალოგს მიიჩნევს, როცა ხდება განსხვავებული პოზიციებისა და აზრების შეჯერება, ურთიერთდაახლოება, ახსნა და განმარტება.

ხშირად ეს არის მხოლოდ ფსიქოთერაპია, მაგრამ ასე მაინც შეიძლება რადიკალიზმის შეჩერება და დაშოშმინება.

ზოგჯერ ტოლერანტობის მოთხოვნა მიდის ადამიანურ გრძნობათა სტერილობამდე, როცა უმნიშვნელო ფრაზას ტრაგედიადა აქცევენ ხოლმე:

ერთხელ ლევან ბერძენიშვილმა მათიას იორშს „უნგრელი ებრაელი“ უწოდა. ამის გამო მას ბოდიში მოახდევინეს, თუმცა იორში მართლაც არის უნგრელი ებრაელი!

ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი საარჩევნო კამპანიის დროს თქვა – ქართველებს განსაკუთრებული გრძნობა გვაქვს მშობლიური მიწისადმიო. აი, სომხები ამდენი ხანია აქ ცხოვრობენ, მათი სამშობლო აქვე გვერდით არის, მიკვირს, რატომ არ მიდიანო!

მიხილ სააკაშვილს წამოსცდა ქართულში იდიომად ქცეული ფრაზა – „ზანგები ხომ არ ვართო!“

დავით დარახველიძემ დააზუსტა: „სიძედ მირჩვენია რაჭველი მყავდეს, ვიდრე ზანგიო!“ და ახლა ამაზე ატეხეს ისტერია.

ხოლო როცა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რუსები შარდსაც დალევენო, ეს მართლაც იყო შეურაცხმყოფელი ნათქვამი.

რობერტ სტურუა ქსენოფობიური ბრალდებით გაანთავისუფლეს რუსთაველის თეატრიდან, ეს მაშინ, როცა აღიზარდა კომუნისტი ხელოვანის ოჯახში და ბაბუა ჰყავდა ბოლშევიკი ფუნქციონერი.

ქსენოფობიური გადახრა ბუნებრივია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის თუ საომარი მოქმედების დროს. ეს ზრდის ერის კონსოლიდაციას და ამალღებს საომარ სულისკვეთებას. მაგ., სსრკ-ის დაშლის დროს რომ არ ყოფილიყო ანტირუსული მონოდებანი, თუ იტყოდნენ, რომ კრემლი კარგად გვეპყრობაო, მაშინ სსრკ არ დაიშლებოდა და არც არავინ გამოვიდოდა დამოუკიდებლობის მოთხოვნით. მაგრამ ეს აფრთხოვდათ ავტონომიებს.

საომარი მენტალიტეტი განსხვავებულია მშვიდობიანი მოქალაქის მენტალიტეტისაგან, ისევე როგორც საარჩევნო რიტორიკა – შემდგომი პერიოდისაგან.

ტოლერანტობა კარგია, რათა არ გაჩნდეს კონფლიქტი. მაგრამ თუ მტერი თავს დაგესხა, მაშინ მეორე ლოყის მიშვერა მხოლოდ დალუპვის საწინდარია.

ვნებათა კალაპოტში მოქცევა ყოველთვის ვერ ხერხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ნებადართულია. მაგ., სპორტული შეჯიბრების დროს, რაც ზოგჯერ ტრაგიკულად მთავრდება, როცა აგრესია გადადის ძალადობაში: 1985 წლის 29 მაისს ევროპის საფეხბურთო თასის მოსაპოვებლად ერთმანეთს ხვდებოდნენ ტურინის „იუვენტუსი“ დალივერპულის „რეი“. ტრიბუნებზე გულშემატკივრებმა ატეხეს ჩხუბი, ჩამოანგრირეს ბეტონის კედელი და ლობე.

დაიღუპა 28 და დაიჭრა 250 გულშემატკივარი.

ასევე დიდი მსხვერპლი მოსდევს ზოგჯერ საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს, როცა სიშმაგე და ვნებათა ღელვა პიკს აღწევს (მაგ., საყოველთაოდ ცნობილი 1989 წლის 9 აპრილი; 1992 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ხუნტამ დახვრიტა მიტინგები მეტრო „დელისთან“ და „დიდუბესთან“, დემონსტრაცია – ცირკთან).

დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის, როცა უამრავი ინტერესი ერთმანეთს არის გადახლართული, როცა ესოდენ ხშირია რეალური და ვირტუალური კონტაქტები, აუცილებელია ტოლერანტობა, რაც არის იგივე ტრადიციული ქრისტიანული სათნოება, მიმტევებლობა და თანადგომა. ამის მისაღწევად აუცილებელია ნაციონალიზმის დაძლევა, ქსენოფობიის აღმოფხვრა, ეგოისტური ინსტინქტების გარდასახვა, ოღონდ არა საკუთარი ქვეყნის არსებობის ხარჯზე.

თითქოს ტოლერანტობას ხელს უშლის ეგოიზმი, ეგოისტური ინსტინქტების გამოვლენა. მაგრამ ეს მაშინ, როცა ეგოიზმი ვითარდება ღირსების მიმართულებით. ხოლო ეგოიზმი პრაგმატიზმის მიმართულებით ხელს უწყობს გათითოკაცებას, ეს აბრკოლებს კონკრეტული იდეის გარშემო შემოკრებას. ხოლო ასე დაშლილი ერთეულებისაგან უფრო იოლია გლობალური საზოგადოების ფორმირება, რომელსაც მართავს უჩინარი ხელი.

ასეთ დროს იღვიძებს, თავს შეგვახსენებს ნაციონალიზმი, ეროვნული გადარჩენის ინსტინქტები, გადარეცხილი და ჩამქრალი რომ გვეგონა.

ნაციონალიზმი – გლობალიზაციის მტერი

ნაციონალიზმი და გლობალიზმი შეუთავსებელი ცნებებია, როგორც ყინული და ცეცხლი. ნაციონალიზმი ტრადიციული სახელმწიფოს საფუძველია, რომელიც იცავს თავის ენას, ადათს, რელიგიას, კულტურას, ტერიტორიას, საზღვრებს. ამ ნიშნებით არის ერთი სახელმწიფო მეორისაგან გამიჯნული.

სახელმწიფო რომ დასუსტდეს, უნდა მოირყეს ერის მონოლითური ბუნება, ერი უნდა გარდაიქმნას. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ნაციონალიზმის აკრძალვა (შდრ – სლობოდან მილოშევიჩისა და ზვიად გამსახურდიას ბედი), მისი დაკავშირება ფაშისტურ იდეოლოგიასთან, პატრიოტიზმის დისკრედიტირება.

ქვეყნებს შორის ისტორიული დაპირისპირება მთავრდებოდა ტერიტორიების გადანაწილებით, დაკარგვითან შემოერთებით. ამიტომ ყოველი სახელმწიფო ცდილობს თავისი იდეოლოგიის გამომუშავებას, რომელიც შეუნარჩუნებს ინდივიდუალურ სახეს. ეს განსაკუთრებით

უჭირს პატარა და სუსტ ქვეყანას. თავი რომ გადაირჩინოს, ის უფრო ემყარება ისტორიას, მშობლიურ წარმოდგენებს, ცდილობს არ აჰყვეს მოძალბებულ გლობალიზაციას.

ამდენად – ნაციონალიზმი ებრძვის გლობალიზაციას, რომელიც მას წაღვევით ემუქრება. არადა – გლობალიზაცია ურიცხვი, ხილული და უხილავი არხებით იჭრება სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, ადამიანთა ცნობიერებაში. საერთო პროცესისაგან გამოთიშვა შეუძლებელია. ეს შეიძლებოდა ძველ დროში. ახლა მსოფლიო ერთიანი სისტემით არის დაქსელილი. განკერძოებას მოჰყვება უეჭველი ჩამორჩენა. საერთაშორისო ორგანიზაციები, ერთი მხრივ, თრგუნავენ ნაციონალიზმს, მეორე მხრივ – იცავენ ქვეყანას გარე თუ შიდა აგრესიული ძალებისაგან, უნარჩუნებენ წონასწორობას, ხელს უწყობენ ეკონომიურ კეთილდღეობას, პოლიტიკურ სტაბილობას.

ნაციონალიზმი არ გამოირიცხავს სხვა ქვეყნების მიღწევების ათვისებას, ეს იქნება ტექნიკის, კულტურის თუ ცივილიზაციის სფერო.

მიზეზი სწორედ ნაციონალური ეგოიზმია, რათა ერი იყოს უფრო ძლიერი, არ ჩამორჩეს სხვას, კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესს.

ასე რომ, ხდება პარადოქსი – ნაციონალიზმი გადადის ინტერნაციონალიზმში, ნაციონალისტი აღმოჩნდება ინტერნაციონალისტი.

ლიტერატურა ყველაზე კონსერვატიული დარგია, მაგრამ აქაც აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გადმონერგვა და მშობლიური წარმოდგენების მოდერნიზება.

რა იქნებოდა ქართული ლიტერატურა, რომ არ შემოსულიყო რომანტიზმი, სიმბოლიზმი, ავანგარდიზმი, არ ყოფილიყო გამოყენებული ევროპული გამოცდილება, ევროპული აზროვნება, ევროპული ცხოვრების წესი. მაგრამ მოდერნიზება არ უნდა ნიშნავდეს მშობლიურის დაკარგვას (შდრ – გ. ტაბიძისა და კ. გამსახურდიას შემოქმედება).

ქართულ მწერლობას დასაბამიდან ჰქონდა კონტაქტი უცხოეთთან. ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, საეკლესიო ლიტერატურა შთაგონებული იყო ბიზანტიური მწერლობით. შემდეგ ბიზანტიურის ადგილი დაიკავა სპარსულმა პოეზიამ. XIX საუკუნიდან ახალი ორიენტირი გახდა რუსულ-ევროპული გზა. უცხოური მოდელები უნდა მორგებოდა ქართულ მასალას, ქართულ სინამდვილეს. განსაკუთრებით ეს ითქმის მოდერნისტულ და ავანგარდისტულ

სკოლებზე, სოციალისტურ რეალიზმზე. მაგრამ უცხოური მოდელები იტვირთებოდა ქართული რეალებით, სახელებით, პრობლემებით, ივსებოდა ისტორიის აჩრდილებით, რაც სხვებისათვის ძნელი აღსაქმელიც იყო. ეგონათ, რომ ქართველ მწერლებს, პოლიტიკოსებსა და მოღვაწეებს ჭარბად ჰქონდათ ნაციონალიზმი და ისტორიზმი. ეს იმიტომ, რომ ქვეყანას დაკარგული ჰქონდა თავისუფლება. ღირსების ამაღლებისა და გამოფხიზლებისათვის საჭირო იყო რადიკალიზმი და ნოსტალგია, საკუთარი განსაკუთრებულობის შეგრძნება.

გამარჯვებული ერების წინაშე არ დგას მსგავსი პრობლემა და არც აქვთ მსგავსი გამახვილებული გრძნობა. მაგ., ლევ ტოლსტოი პატრიოტიზმს საერთოდ ზედმეტად მიიჩნევდა ლიტერატურისათვის.

ნაციონალიზმი გლობალიზაციის მტერია. ოღონდ ნაციონალიზმით შემოზღუდვა რეგრესია, ხოლო გლობალიზაციით გატაცება – თავის დაკარგვა. იდეალია მორიგება მშობლიურსა და უცხოს შორის, ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის. ოღონდ რაც გადის დრო, ეს უფრო ჭირს, იფანტება ნაციონალური სულის მარაგი და გლობალური მოდელები იპყრობენ ცნობიერებას.

ის, ვისაც უყვარს მშობლიური გარემო, ტრადიციები, ენა, ლიტერატურა – ვერ თმობს მათ. ამიტომ ბრძოლას უცხადებენ ამ სიყვარულს. როცა გულგრილი ხარ – არც დათმობა გეძნელება.

გლობალიზმი არ ემუქრებათ ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი. ისინი ცდილობენ თავიანთი დიქტატს დაუმორჩილონ სატელიტი ქვეყნები, გაავრცელონ თავიანთი გლობალიზების მოდელი. მაგრამ იქაც იცვლება განწყობილება და დამოკიდებულება, იქაც ძლიერია დასავლეთის მასკულტურის ზეგავლენა. გლობალიზაციის შემოტევა ზოგან ამძაფრებს ნაციონალიზმს, ზოგან – ანელებს.

გლობალიზაციის იდეოლოგიები არჩევენ პოლიეთნიკურ საზოგადოებას, მმართველებად – სხვადასხვა აღმსარებლობის, ეთნიკური წარმოშობის, უცხოეთში აღზრდილ პირებს. მათ თუ მოსპობილი არა, საგრძნობლად მაინც ექნებათ შემცირებული სიყვარული იმ ქვეყნისადმი, რომლის მოქალაქედაც იწოდებიან. ამგვარი კოსმოპოლიტიზმი ანელებს ეროვნულ აგრესიას, ანელებს დაკარგულ ტერიტორიებზე სევდას და შურისძიების გრძნობას. შედეგად ისპობა ომების წყაროც, რაც საბედისწერო გახდება ატომისა და ბალისტიკური რაკეტების ეპოქაში.

ერის საარსებო ქვაკუთხედი არის ოჯახი. ქვეყანა ოჯახებისაგან

შედგება, ეს მისი მიკრომოდელია. ამიტომ უნდა შეიცვალოს ოჯახის შინაარსი ან იგი შეცვალოს თავისუფალი ცხოვრების იდეამ, დროებითმა ან შემთხვევითმა კავშირებმა. არათუ ნაციონალისტური, ნაციონალურიც ზედმეტი ხდება, – თვლიან გლობალისტები.

ამ ფონზე სრული გაუგებრობაა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური პარტია. ეს მაშინ, როცა იგი სწორედ ანტინაციონალური მოვლენა იყო და აგრესიული გლობალიზმით თავს იწონებდა, სიტყვიერად ქადაგებდა ქართველთა გამორჩეულობის იდეას, რომ თითქოს რაც გაკეთდებოდა, პირველი იყო ევროპაში თუ არა, ახლო აღმოსავლეთში. საქმით კი სპობდა ეროვნული სულიერების კერებს (მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი). ეს დაახლოებით იგივეა, როცა აგვისტოს კატასტროფა გამარჯვებად გამოაცხადა და ტერიტორიების დაკარგვა ზეიმით აღანიშნინა დაბნეულ მოსახლეობას!

სწრაფი გლობალიზმი ნაციონალიზმის და დემოკრატიზმის ნიღბით – ასეთი იყო პრეზიდენტის სამოქმედო პროგრამა. საამისოდ მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ე. წ. განათლების რეფორმა.

საერთოდ ბრძოლა ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ყველა ხელისუფალის (ზ. გამსახურდიას გარდა) საყვარელი თემაა და კარიერის ტრამპლინი, დაწყებული სოციალ–დემოკრატებიდან, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის განახევრება XX საუკუნეში.

ნაციონალიზმის დასაძლევად, გასანეიტრალებლად უმოკლესი გზაა სექსუალური რევოლუცია და ოჯახის შიგნიდან აფეთქება, ეროვნული უჯრედების დაშლა.

ოჯახი და გენდერი

კაცობრიობის ერთ ნახევარს ქალები შეადგენენ – ისტორიულ პერიოდში დაჩაგრული და გაღმერთებული, შეურაცხყოფილი და პატივცემული: ქალი – დედა, ქალი – სატროფო, ქალი – მეუღლე, ქალი – შვილი.

დემოკრატიის პირობებში უფრო ჩანს თუ როგორ ილახებოდა ქალის უფლებები. უკვე ვწერდით ამისათვის (იხ. „პატრიარქატი და ქალის ჩაგვრა“, „ამბივალენტური ქალი“). ახლა დავამატოთ, რომ 208 წელს საეკლესიო კრებამ ქალებს წერა–კითხვა აუკრძალა.

ცხადია, ეს არ იცოდა ლუარსაბ თათქარიძემ, რომელსაც წიგნი ქალის საქმედ მიაჩნდა, რომ სცოდნოდა, დიდად გაცეცხული დარჩებოდა.

ადრე ბევრს მსჯელობდნენ ქალთა ემანსიპაციაზე, ქალისა და კაცის თანასწორობაზე, ფემინიზმზე. ეს საკითხი ყველაზე ადრე გადაჭრეს ბოლშევიკებმა. მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე დაიწყეს ქალთა პრობლემის მოგვარება. მაგრამ ისე გათამამდნენ და აგრესიული გახდნენ ემანსიპირებული ქალები, რომ ოჯახს დაუპირისპირდნენ და კაცების დაჩაგვრა დაიწყეს (შდრ. მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“).

ლენინი იძულებული გახდა ეს პროცესი შეეჩერებინა. ევროპასა და ამერიკაში სუფრაჟისტი ქალების მრავალმხრივი აქტიურობის შემდეგ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მათ მოიპოვეს საარჩევნო უფლება. შეძლებულ და გაუთხოვარ ქალებს კი შეეძლოთ ესწავლათ უნივერსიტეტში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს არსებობდა გარკვეული კვოტა ქალებისათვის ხელისუფლებაში, არჩევით ორგანოებში. ისინი სამსახურებრივად მამაკაცის თანასწორი იყვნენ. მათი ღირსება დაცული იყო, არ არსებობდა შრომით ანაზღაურებაში სქესის ნიშნით განსხვავება, ქალი 55 წლისა გადიოდა პენსიაზე, კაცი – 60–ისა.

მაგრამ ქალის წარმოებაში ჩართვამ, საზოგადოებრივმა აქტივობამ, მამაკაცთან ფაქტიურმა გათანაბრებამ მას ტვირთი დაუმძიმა, რაც ჩაგვრის ახალი ფორმა აღმოჩნდა.

ქალის რეპროდუქციულ, ბიოლოგიურ ფუნქციას დაერთო მწარმოებლური და საზოგადოებრივი ფუნქციები. გაჩნდა დილემა – ამ ფუნქციების მოხსნა ქალს ისევ იმ მდგომარეობაში აბრუნებდა, რომელშიც იყო, როცა მეძავს მიიჩნევდნენ ბოროტებად, ქალწულს – სინმინდედ, ხოლო დედას – აღმწარმოებლად.

თითქოს დასრულდა ქალის სოციალური დათრგუნვა. მაგრამ შრომა და პასუხისმგებლობა მოემატა. ხოლო ბევრ ქვეყანაში ვერ მიიღო მამაკაცის შესაბამისი ანაზღაურება.

ადამიანის კეთილდღეობას განსაზღვრავს სამი ინდიკატორი – სტატუსი, დროის ბიუჯეტი, ხელფასი. ამ უფლებათა მოპოვებისა და ბალანსირებისათვის ზრუნვა ისევ გაგრძელდა. ამან და სექსუალურმა რევოლუციამ, მამაკაცის აქტივობის შენელებამ წარმოშვა გენდერი – ქალთა ჩაგვრისადმი სოციალურ-კულტურული მიდგომა.

მას იწყებს ეგზისტენციალისტი სიმონა დე ბოვუარი, სარტრის მეუღლე.

ისტორიულ პერიოდში დაკანონდა მასკულინური (მამაკაციური) უფლებები, ხოლო ფემინური (ქალური) მას დაემორჩილა. ოჯახის უფროსად ტრადიციულად მიიჩნევა მამაკაცი, თუმცა დრომ შეარყია ეს ადათი. მაგ., ფრანგების 30% თვლის, რომ ოჯახის უფროსი ქალია.

ამიტომ ყურადღება მიექცა ოჯახს, ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, ოჯახურ ძალადობას, რაც მართლაც არსებობს და ქალის საზოგადოებრივმა გააქტიურებამ კიდევ უფრო გაამწვავა. ქალის ოჯახიდან გასვლამ, სამსახურმა, გადაადგილებამ ნიადაგი მოამზადა ეჭვისა და კონფლიქტისათვის.

შვილების გადასარჩენად ქალი მიდის უცხოეთში, რათა გახდეს ძიძა, შინამოსამსახურე, მომვლელი, მეძავი, ტრეფიკინგისა და სექსის ინდუსტრიის მსხვერპლი.

მატერიალურად უზრუნველყოფილი, ემანსიპირებული ქალი დადის რესტორანში, ეწევა სიგარეტს, ატარებს მანქანას, ჰყავს ბევრი ნაცნობი მამაკაცი, გადადის ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ხან – მარტო, ხან – მეუღლესთან ან საყვარელთან ერთად.

ასევეა მამაკაციც. ცოლი და ქმარი ცხოვრობენ თავიანთი ინტერესებით. ისინი აღარ არიან ერთსულ და ერთხორც, როგორც ამბობს რელიგია. ასეთ დროს ჩნდებიან პარტნიორები, რომლებიც ავსებენ წარმოქმნილ სიცარიელეს. ეს აღრმავებს კონფლიქტს და ოჯახი იშლება, რაც თავისთავად მტკივნეული პროცესია, განსაკუთრებით – შვილებისათვის. მაგრამ გაყრას წინ უძღვის ძალადობა, მოსდევს მატერიალური პრობლემები, დეპრესია და სასონარკვეთა.

ქალის უფლებათა დასაცავად 1993 წელს გაერომ მიიღო დეკლარაცია, რაც განმტკიცდა პეკინის 1995 წლის ქალთა IV მსოფლიო კონფერენციამ. ამას დაერთო ევროსაბჭოს 2002 წლის რეკომენდაციები, რაც სავალდებულო გახდა წევრი ქვეყნებისათვის.

სექსუალური რევოლუციის საფუძველზე მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც ზრდიან ქალის უფლებებს და აკნინებენ კაცის ფუნქციას. საქართველოშიც მიიღეს კანონი, რომლის თანახმად ქალს ენიჭება სექსუალური თავისუფლება. იგი შეუზღუდავად მოქმედებს თავის არჩევანში. მაგ., შეუძლია ღამე სახლში არ გაათიოს, დილით კი სახლში მოიყვანოს პარტნიორი, ვისთანაც ღამე დარჩა. ქმარმა ეს ფაქტი გაგებით უნდა მიიღოს, კეთილმოსურნედ შეხვდეს ცოლსა და მის საყვარელს; თუ ეხამუშება, არ არის საჭირო ჩხუბი და აყალ-მაცალი, შეუძლია გასცილდეს ცოლს უხმაუროდ.

ასეთი ტოლერანტობის შედეგია ქალის გენდერული შურისძიება. ახლა უკვე კაცი იჩაგრება, რომელიც ძველებური აგრესიით ველარ მოქმედებს, ველარ სწევს წინააღმდეგობას. საბჭოთა კანონიც ქალის მხარეს იყო, ახლა – მითუმეტეს.

ირღვევა ფალოსის გარშემო სტრუქტურული სიმბოლური წესრიგი (ჟაკ ლაკანი).

გენდერი თითქოს ზრდის ქალის უფლებებს, იცავს მას, ააქტივებს როგორც საზოგადოების წევრს. მაგრამ მამაკაცის სტერილობის მოთხოვნა ასუსტებს ოჯახს. ამიტომ აქ წამოიწევა სხვა პრობლემა – ეს არის ოჯახის რღვევა, როცა ლაპარაკობენ ბავშვის უფლებებზე, რომ თურმე ხშირად დედა და მამა ცუდად ექცევიან შვილებს, რომ დასაცავია ძალადობისაგან არა მხოლოდ ქალები, არამედ – შვილებიც.

ასე მოხდება ოჯახური ბირთვის გაქრობა, რაც უფრო მოერგება გლობალიზაციის პროცესს (ცნობისათვის – საქართველოში ოჯახს ენდობა 90%). ოჯახი მაინც მოვალეობა და ბორკილია. ოჯახისაგან თავდახსნილი კი თავისუფლად მოძრაობს. მას არავინ ზღუდავს არჩევანში, სექსუალური თავისუფლება ანიჭებს რეალურ თავისუფლებას. არც ქალი, არც კაცი არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ იქნება.

ხოლო ეს მიმართულია მასკულინური საზოგადოებისა და კულტურის წინააღმდეგ. ერთგულების გაუქმებისა და ოჯახის აფეთქების შედეგად კაცი კარგავს თავისთავადობასა და ძალაუფლებას, სახელმწიფო – საყრდენს.

ფემინისტური ძალა უფრო იოლი სამართავია, ვიდრე მასკულინური. ამიტომ მიიჩნევენ აუცილებლად, რომ უნდა გაიზარდოს ელჩი, მინისტრი, დეპუტატი ქალების რიცხვი, ქალები დაინიშნონ პროკურორებად, მოსამართლეებად, თუნდაც ეს უფრო შეეფერებოდეს მამაკაცს (მაგ., შინაგან საქმეთა მინისტრი, სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრი). აქაც პროცენტული შეფარდებით ცდილობენ ბალანსის დადგენას, სულერთია – ამდენი პროფესიონალი ქალი არის თუ არა.

მამაკაცური სანყისის დათრგუნვა ქვეყანას აქცევს იოლ სამართავად, მდინარების მორჩილ მიმყოლად, რომელსაც არა აქვს სურვილი დაიცვას თავისი პრინციპები და ღირებულებები.

ამას მოსდევს ქალის გამამაკაცება, კაცის გაქალება, სქესის, მორალის, ორიენტაციის აღრევა.

დემოკრატიის, თავისუფლების, გენდერის საფარველქვეშ, სექსუალური რევოლუციის შედეგად, ტოლერანტობის მოთხოვნით ინდივიდი, საზოგადოება, სახელმწიფო ჰკარგავს სასიცოცხლო უნარს, საბრძოლო თვისებას და ემორჩილება გლობალიზების აგრესიულ ძალას. ამგვარი ტენდენცია ისევ მცირე ერებისათვის არის დამლუპველი. მაგ., ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო შენელდა გამრავლების ტემპი, შემცირდა ქორწინებები და გახშირდა განქორწინებები. სოციალური პრობლემები, მასობრივი უმუშევრობა ხელს უშლის დაქორწინებას, ზრდის მიგრაციას. შედეგი ის არის, რომ საქართველო შეჰყავთ მომაკვდავი ერების პირველ ათეულში.

ცოლის ქმრისადმი მორჩილებას მოითხოვს ინდური „მანუს კანონები“, ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, ყურანი. რელიგია განქორწინებას კრიტიკულად ეკიდება, კრძალავს მეძაობას, სექსუალურ გადახრას, ამორალურ ცხოვრებას. რელიგია დღესაც დიდი ნდობით სარგებლობს (მაგ., საქართველოში 93% თავს აკუთვნებს რომელიმე აღმსარებლობას, თუმცა რელიგიური ცხოვრებით ცხოვრობს 30%).

ამიტომ გლობალიზაციის მიზანი რელიგიური რწმენის შესუსტებაა. ეს უნდა მოხდეს ძირითადი რელიგიების შემდგომი დიფერენცირებით, სექტების ნაქეზებით, რათა აღმსარებლობას არ ჰქონდეს გამაერთიანებელი ძალა, არ იყოს სახელმწიფოს ოფიციალური დოქტრინა, როგორც ეს არის ისლამურ ქვეყნებში (მაგ., ირანში).

როცა ქრისტიანობა ან ისლამი უამრავ სექტად დაიშლება, მას აღარც ზნეობაზე ექნება ზეგავლენა, დარჩება ცალკეულ პირთა რწმენად. ამის შემდეგ ოჯახსაც აღარ ექნება ბაზისი. სეკულარიზებული მორალი მერყევი და ცვალებადია, იოლად აჰყვება ტკბილ და მღვრიე ცხოვრებას.

ოჯახის დაშლას ახლავს კონფლიქტი და დისკომფორტი, დროებითი სექსუალური კავშირები, დროებითი პარტნიორები, შვილთა ფსიქიკური ტრავმა. ამიტომ რელიგიურ საწყისზე დაყრდნობით ოჯახის განმტკიცების, მრავალშვილიანობის, ხალხების დაახლოების აუცილებლობაც გაჩნდა ევროპაში (მაგ., ტუზეს მოძრაობა, ნეოკატეხუმენური მოძრაობა).

ქალის უფლებების დაცვა არ ნიშნავს ოჯახის დაცვას, პირიქით – ბევრი მას ოჯახის ინსტიტუტის დასამხობად იყენებს.

სექსუალური რევოლუცია

გლობალიზაციისათვის ერთ-ერთი საყრდენი ზნეობის სფეროში არის სექსუალური რევოლუცია. იგი მოიტანა მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა, ტექნიკურმა პროგრესმა, დემოკრატიის პროცესებმა, რაც აისახა ჰორმონების დისბალანსში.

ევროპაში საამისო ნიადაგი ადრევე იყო მომზადებული. თავისუფალი სექსი აქ ყოველ დროში არსებობდა, მაგრამ მას ახშობდა ქრისტიანული მორალი (იხ. II ნიგნში – „კრიზისი და პროგრესი“).

მეორე მსოფლიო ომში უამრავი მამაკაცი დაიღუპა და დასახიჩრდა. ყველაფერმა ფასი დაკარგა, მათ შორის – პურიტანული და კონსერვატიული ცხოვრების წესმა. ამავე დროს ტექნიკურმა პროგრესმა და მასობრივმა კომფორტმა გააიოლა ცხოვრება, შეამსუბუქა ზნეობრივი არტახები. ქიმიური ტექნოლოგიებითა და კონსერვანტებით მიღებული საკვები, უძრობა, მედიკამენტები და ნარკოტიკები, დაძაბული ცხოვრების რიტმი, ნერვიულობა და დეპრესია აღუნებდა მამაკაცის კუნთოვან სისტემას. დაირღვა ჰორმონების პროპორცია, რასაც მოჰყვა სექსუალობის დაქვეითება და იმპოტენცია.

ქალებს საზოგადოებრივმა აქტივობამ და ნევროზმა, სექსუალურმა შიმშილმა არეული ცხოვრებისაკენ უბიძგა. ისინი ჩართული აღმოჩნდნენ პროსტიტუციაში სკოლის ასაკიდანვე. გაჩნდა ბოიფრენდისა და გელფრენდის ინსტიტუტი.

ქალიშვილობის ცნება, რომელზეც ჩვენში ახლა მსჯელობენ, იქ დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, ისევე როგორც რუსეთში. იაპონიაში სულაც ბავშვობაში ხდება დეფლორაცია.

თავისუფალმა ცხოვრებამ წარმოშვა ვენერული დაავადებისა და შიდსის საფრთხე. აუცილებელი გახდა მათი თავიდან ასაცილებლად ახალგაზრდობის გაცნობიერება, პრეზერვატივისა და აბორტის საწინააღმდეგო საშუალებების ფართო რეკლამირება.

1991 წლიდან აშშ-ში დაიწყო პრეზერვატივის ტელერეკლამა. ამ მხრივ ჩვენში განსაკუთრებით პოპულარული იყო გერმანული „ზიკო“.

ქორწინებას წინ უსწრებს სექსუალური კავშირი, რასაც აღარა აქვს ფარული ფორმა. ოდესღაც ემა ბოვარი და ანა კარენინა თავს იკლავდნენ ქმრისათვის ღალატის გამო, ვერ უძლებდნენ შინაგან დრამას. დღეს ასეთი რამ იუმორის სფეროში გადადის.

პროსტიტუციის ლეგალიზება და რეგულირება მოხდა პარტნიორის არჩევით, რომელიც იცვლება დროში. მაგრამ მოცემულ მომენტში ერთია.

კინოფილმები, რეკლამები, ტელევიზორი, პოდიუმები, ესტრადა, ბორდელი, რესტორანი ექსპლუატაციას უწევს ქალის შიშველ სხეულს, რათა ეროტიკის მუხტი გადაეცეს აუდიტორიას. მაგრამ ჭარბ და ხშირ სიშიშველეს ახლავს უკუეფექტი და ინვესს მამაკაცთა გაუცხოებას.

ქალის გააქტივება გამონვეული იყო, როგორც ვთქვით, მამაკაცური ბუნების შესუსტებით, რაც განვითარდა ჰომოსექსუალიზმის მიმართულებით. კაცს შეუწებდა ლტოლვა ქალისადმი, ქალიც გულგრილი გახდა კაცისადმი, რამაც გააძლიერა ლესბოსური სიყვარული.

ლეგალიზებული ჰორნოგრაფია, აღვირახსნილი ცხოვრება, სქესთა აღრევა, რასაც შეესაბამება ბილწისიტყვაობა მასმედიასა და ლიტერატურაში, თითქოს კომპლექსების დაძლევაა, ადამიანის უფლებათა, პიროვნული თავისუფლების რეალიზება. ასეთ დროს კულტურისათვის ადგილი აღარ რჩება, რაც სწორედ ინსტინქტებისა და ლტოლვების შეკავება და სუბლიმირებაა. მაგრამ გლობალიზმი სცნობს არა ზნეობას, არამედ – კანონებს.

ევროპასა და ამერიკაში ჰომოსექსუალიზმმა იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ საზოგადოება იძულებული გახდა, შეგუებოდა მას. ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობაა, მაგრამ მას ადრე განიხილავდნენ როგორც მხოლოდ გარყვნილებას და კანონით ისჯებოდა, განსაკუთრებით – ტოტალიტარულ სახელმწიფოებში.

ოსკარ უაილდი ასეთი უზნეობის გამო ციხეში იჯდა. ახლა ჰომოსექსუალისტებმა თავიანთი იდეოლოგია გამოიმუშავეს და ერთ-სქესიან ქორწინებასაც მიაღწიეს.

ერთსქესიანი ქორწინება ნებადართულია არგენტინაში, ბელგიაში, ესპანეთში, ისლანდიაში, კანადაში, შვეციაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ–ში...

განსაკუთრებულ პატივში ჰყავთ ჰომოსექსუალისტები ჰოლანდიაში. ჰოლანდიის მოქალაქე ვერ გახდება ის, ვინც შეუწყნარებელია ჰომოსექსუალიზმის მიმართ და იცავს ტრადიციულ მორალს. ამას იმითი ხსნიან, რომ სექსუალური ცხოვრება ითვლება პირად საქმედ, რომელშიც ჩარევა მიჩნეულია ადამიანის უფლებათა დარღვევად.

ჰომოსექსუალია, თავისივე აღიარებით, პარიზის მერი, გათხოვდა

ცნობილი მომღერალი ელტონ ჯონი, გათხოვდა გფრ–ის ერთ–ერთი მინისტრი და მას გაბედნიერება მიულოცა კანცლერმა ანგელა მერკელმა!

აშშ–ის ზოგიერთ შტატში ერთსქესიანთა ქორწინების მოწმობიდან ამოიღეს ცოლისა და ქმრის ცნებები. მათი ადგილი დაიკავა ახალმა, აბსტრაქტულმა ცნებებმა – „პარტნიორი–ა“ და „პარტნიორი–ბ“.

მათ ბავშვის აყვანის უფლებაც აქვთ.

ყალიბდება ანდროგენის ტიპი.

ექსპერიმენტი ადამიანის ბიოლოგიასაც შეეხო: მედიცინაში გაჩნდა მამაკაცის დედობის იდეა. ფრანგების 35–მა პროცენტმა განაცხადა, რომ ღირდა დაფიქრება ამ საკითხზე. დღეს შესაძლებელია ამ ოცნების აღსრულებაც.

სექსის ინდუსტრია იგონებს ახალ ფორმებს და ითრევს ახალ თაობებს. დაიწყო ქალის კაცად და კაცის ქალად გადაკეთება. ამას ხსნიან შესაბამისი სექსის ჰორმონების სიჭარბით და მას უნდა მიეცეს ადეკვატური სახე:

ადრე ქალი ყველა კაცს უნდოდა, მაგრამ არა ქალად ქცევა, ახლა ქალი აღარ უნდათ, მაგრამ ქალად გადაკეთება კი ენატრებათ.

გლობალიზაციის პროცესისათვის მისაღებია სქესთა აღრევა. დღეს სქესის ნიშნით, სექსუალური გადახრის გამო დისკრედიტირება ისევე მიუღებლად ითვლება, როგორც ეროვნების ან კანის ფერის მიხედვით. განმამაკაცებელი მასალა იოლი სამართავია, უფრო კანონმორჩილია, უფრო ტოლერანტია. მისთვის მთავარია კომფორტი და თავისი სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გლობალიზმი იძლევა ამის საშუალებას, პირობებს, გამართლებას:

ზოგჯერ ტელევიზია პირდაპირ ეთერში უჩვენებს ბავშვის დაბადებას, ჰომოსექსუალთა ხვევნა–კოცნას, მამაკაცის სექსს ცხოველებთან, ქალისა და კაცის სექსს, სექსის სხვადასხვა ფორმებს, სტიპტიზ–სცენებს, გადასცემს პორნოფილმებს.

თავისუფალი ცხოვრების ტალღას მიჰყვა სკოლაც: ბავშვებს ასწავლიან სექსუალური ურთიერთობის ანა–ბანას, უხსნიან თუ რა არის ინცესტი, როგორ ხდება სექსუალური კავშირი, რა არის ჰომოსექსუალიზმი, როგორ ისარგებლონ პრეზერვატივით, უვითარებენ ეგოისტურ ინსტინქტებს.

საზოგადოებაში ვრცელდება ინსტრუქციები თუ როგორ მოიქცეს მეძავი, რა ჩაიცვას, როგორ იმუშაოს ქუჩაში, ბინაში, მანქანაში,

სასტუმროსა თუ საუნაში, როგორ შეარჩიოს პარტნიორი, როგორ დაიცვას თავი.

ჰომოსექსუალისტებს განაკუთვნიებენ სექსუალურ უმცირესობას. მაგრამ ისინი ცდილობენ არეალის გაფართოებას და მიღწეულს არ სჯერდებიან. მათ უნდათ ხელისუფლებაში წამყვანი პოსტების დაკავება, რათა ერთმანეთს გამოუცხადონ ღია თუ ფარული სოლიდარობა და ის, რასაც ესწრაფვოდნენ მასონები, ახლა თავად აღასრულონ.

ევროპასა და ამერიკაში იმართება გეი-პარადები, ყალიბდება გეი-კლუბები. მაგრამ არსებობს სანინალმდეგო მოძრაობაც. მაგ., ამას წინათ, 2012 წლის 17 ნოემბერს, საფრანგეთის 75 ქალაქში ერთდროულად გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები ჰომოსექსუალური ქორწინებისა და ასეთი ოჯახების მიერ ბავშვის აყვანის წინააღმდეგ; ევროკავშირში ლეზულობენ კანონს სექსიზმის წინააღმდეგ მასმედიასა, რეკლამასა და სადაზღვევო ბიზნესში, რაც იცავს სქესობრივ თანასწორობას.

სექსუალურ რევოლუციას მოაქვს თავისი სტილი და მოდა, რასაც პროპაგანდას უწევს მასმედია, კინო-ინდუსტრია, პოპ-მუსიკა; მასზეა მორგებული კანონები.

სექსუალურ თავისუფლებას, სირცხვილის გადალახვას მიიჩნევენ საზოგადოების ნევროზებისაგან განმუხტვის ეფექტურ საშუალებად, რაც ადრე კულტურაში გარდასახვით ხდებოდა.

ის, რაც ფროიდს ქვეცნობიერში განდევნილად მიაჩნდა, ცნობიერში ამოვიდა. სამაგიეროდ კომფორტმა, ჰედონიზმმა და ეროტიკამ მაღალი იდეალები ქვეცნობიერში ჩაძირა ანუ არარაობად აქცია.

სექსუალური რევოლუციით ფრთაასხმული ქალები, რომელთაც გუშინ ბოზებს ეძახდნენ, სექსუალური უმცირესობის წევრი კაცები, რომელთაც პედერასტებად იხსენიებდნენ, თავიანთი ზრახვების სრულ რეალიზებას აგრესიული გლობალიზმისაგან მოელიან.

განათლების სისტემის უნიფიცირება

საზოგადოების ფორმირებისათვის მაინც ყველაზე მთავარია განათლების მოდუსი.

განათლების სისტემა გარკვეულ სივრცეში ყოველთვის იყო

უნიფიცირებული, ერთიან დოქტრინას დამორჩილებული. ქრისტიანობა, ისლამი თუ ბუდიზმი სკოლას თავის წიაღში იგულვებდა და შესაბამის რელიგიურ სისტემას განახორციელებდა.

როგორც ვთქვით, იდეოლოგიზებულ ქვეყნებში – ჰიტლერულ გერმანიაში, სსრკ-ში, სოციალისტური ქვეყნების ბანაკში თავიანთ სივრცეს აყალიბებდნენ. საქართველოს, უზბეკეთის, ყაზახეთის თუ ლიტვის სკოლის მოსწავლე ერთნაირ ყელსახვევს, კომკავშირელისა და ოქტომბრელის ნიშნებს ატარებდა, ერთნაირ სახელმძღვანელოებს სწავლობდა. განსხვავებას ქმნიდა მხოლოდ ენა.

განათლების სისტემის უნიფიცირება სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივი ფაქტია, რადგან ხელიდან ვერ გაუშვებს მომავალ თაობას. ამას იგი არქმევს მერმისზე ზრუნვას. მაგრამ ფარულად იგულისხმება იდეოლოგიური ფაქტორი თუ როგორ აღიზარდოს ახალი თაობა. ავტოკრატიულ ქვეყნებში ეს აშკარაა და თვალში საცემი, დემოკრატიულ ქვეყნებში – ფარული და ძნელად დასანახი.

აღსანიშნავია, რომ ჯორჯ სოროსის „ღია საზოგადოებამ“ საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო განათლების პროგრამით. ეს იყო ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩვენში.

გლობალიზაცია მოითხოვს განათლების სისტემის უნიფიცირებასაც, რათა ჩვენი ატესტატი თუ უმაღლესი სკოლის დიპლომი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. როცა დედამიწის ყველა წერტილში გადაადგილდება ადამიანი, როცა ხშირია და ელვისებური კონტაქტები, იგი ვერ იქნება ერთ გეოგრაფიულ პუნქტზე მიბმული. მან შეიძლება ისწავლოს ინგლისში, იმუშაოს აშშ-ში, ავსტრალიაში თუ საქართველოში. ეს რომ ასე მოხდეს, დიპლომს უნდა ჰქონდეს სათანადო სერტიფიკატი, მოქალაქეს შეძენილი განათლება უნდა დაეხმაროს, ხელი კი არ შეუშალოს. ეს კი შეიძლება მაშინ, როცა ეს დიპლომი მიღებულია და აღიარებული განათლების სისტემის საფუძველზე, თუ სტუდენტმა აითვისა ძირითადი საგნები, დაიცვა დროის გარკვეული ინტერვალი და საფეხურებრივი სისტემა (მაგ., ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). ამიტომ არის შემოღებული საქართველოში ბოლონიის პროცესის სისტემა, რაც გულისხმობს განათლების ერთიან მოდელს. ამიტომ ის დიპლომი, რომელსაც სტუდენტი აიღებს თბილისში, უნდა გამოადგეს ლონდონსა, პარიზსა თუ ვაშინგტონში.

სკოლაში ინერგება ინგლისური ენა და კომპიუტერი, რათა მომავალი

თაობა მზად იყოს გლობალიზაციის პროცესში ჩასართავად. მისგან მოითხოვენ საკომუნიკაციო ცოდნის მინიმუმს, რათა შესძლოს მომსახურება.

თვლიან, რომ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ სჭირდება თავისი სამეცნიერო კადრები. ისინი ამთვისებელი არიან, განსაკუთრებით – განვითარებადი ქვეყნები. მეცნიერებას ქმნიან დიდი სახელმწიფოები, კერძოდ – აშშ. საკმარისია მისი თარგმნა და პოპულარიზება. ნაწილობრივ ეს მართალიც არის. მაგ., საქართველოს არ გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი, შესაბამისად – აღარც სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მასშტაბური სამეცნიერო კვლევებისათვის. ასეთ თვალსაზრისს ეწირება ჰუმანიტარული მეცნიერებაც. მას ყურადღება ექცევა იმდენად, რამდენადაც წაადგება გლობალიზაციის პროცესს.

მზადდება არა სპეციალისტები, არამედ – მენეჯერები და კომუნიკატორები.

ერთნაირი პროგრამები და სწავლის მეთოდები, ერთნაირი სახელმძღვანელოები, ინგლისური ენა, კომპიუტერი, ამერიკული ოცნება, კარგი ცხოვრების კულტი, ტექნიკით გაერთიანებული მსოფლიო ყველგან ერთმანეთის მსგავს ცნობიერებას ნერგავს, რომლის შემდგომი ძერწვა იოლია, როგორც შემთბარი ცვლისა, როცა მომხდარია სექსუალური რევოლუცია და სამშობლოს გრძნობა ზედმეტია.

უნიფიცირების იდილიას განამტკიცებს ცოდნის მასობრიობა, დილექტანტიზმი, მოჩვენებითობა, რაც მის გაუფასურებას ნიშნავს.

მაგ., მხოლოდ საქართველოში რამდენიმე ასეული სხვადასხვა დონის უნივერსიტეტია, 60–ზე მეტი „აკადემია“.

როცა პატარა საქართველო ყოველწლიურად უშვებს 10.000 დიპლომირებულ კურსდამთავრებულს (შდრ – სოლომონ დოდაშვილის სწავლის პერიოდში პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტს ჰყავდა მხოლოდ 122 სტუდენტი!), როცა უამრავი დოქტორანტი იცავს დისერტაციას – ეს არის დემოკრატიის სახელით განათლების დისკრედიტაცია. ასე რომ, უნიფიცირება მასობრიობაა, მასობრიობა – გაუფასურება. მაგრამ ეს არის დემოკრატია, რომელიც არ სცნობს კასტურ პრივილეგიას და მონოპოლიას, საიდუმლო სიბრძნეს. ეს არის ტკბობა დღევანდელი დღით, არა ბრძოლა მაღალი იდეალებისათვის ან ფიქრი სულის ხსნასა და მარადიულ სასუფეველზე.

თითქოს ჩვენი საზოგადოება ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამას მოითხოვს როგორც ჰუმანიტარული, ისე ტექნიკური დარგები.

ახალი ტექნოლოგიები სხვაგვარად ვერ განვითარდება. მაგრამ იცვლება თავად ცოდნის მოცულობა. ხოლო ჭარბი კლასიფიცირება და მასობრიობა, როცა გამოყენება შეუძლებელია, როცა ობიექტი არ არსებობს, ესეც აუფასურებს მის მნიშვნელობას.

შეძენილი ცოდნა, თუ პრაქტიკაში არ გადავიდა, კონსერვდება და თანდათან იღვევა. მაგრამ ზერელე ცოდნა, დილექტანტური განათლება ადამიანს აცილებს წიგნისაგან. კომპიუტერი კი იძლევა ინფორმაციას, არა მყარ, ფუნდამენტურ ცოდნას. შედეგად ადამიანს ალარა აქვს ინტელექტუალური ბაზისი და რომც ჰქონდეს სურვილი, არ არის მზად რთული მსჯელობის ათვისებისათვის. ის ორიენტირებულია გართობისა, კომფორტისა და ახალი ინფორმაციებისაკენ.

სწავლების ამერიკული მოდელი იძლევა ზოგად განათლებას, გერმანული მოდელი – ფუნდამენტურ ცოდნას. პირველი სჭირდება მასებს, მეორე – სპეციალისტებს. მაგრამ ცოდნის ნიველირება და მასობრივი გავრცელება ინვესს უკურეაქციას – იგი კარგავს იდუმალებასა და საზოგადოებრივ ინტერესს.

უნიფიცირებული განათლების სისტემა ახალთაობას ზრდის გლობალისტური სულისკვეთებით, სადაც სიყვარულის ადგილს იკავებს პრაგმატიზმი.

ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება

ცოდნა ყოველთვის ვინრო წრის ხელში იყო, რომელიც უნდა სხვებს გადასცემოდა. ქურუმთა წრეში ეს იყო ხელდასხმული, უნივერსიტეტში – სტუდენტი.

წიგნისა და მასმედიის სიმრავლემ გაავრცელა მრავალგვარი ცოდნა, მსუბუქი და ზერელე, ტყუილი და მართალი, მეცნიერული და სენსაციური.

გრაფომანები, ხალტურისტები, ფალსიფიკატორები, აკვიატებული იდეებითა და წარმოდგენებით შეპყრობილები წერენ სენსაციურ წიგნებს, თხზავენ უცნაურ თეორიებს, ალაგებენ ტომებს. ბეჭდვის გაიოლება და სიტყვის თავისუფლება, რეკლამირება ზღვარს შლის სიმართლესა და სისულელეს შორის.

ინფორმაციის ზღვაში ძნელდება ფასეულისა და ღირებულის გამოჩენვა, გამოჩენვა და გადარჩევა.

როცა წერა–კითხვის მცოდნე საზოგადოების მცირე ნაწილი იყო, ხოლო ინფორმაციის გადაცემა–შეზღუდული, მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცოდნას. ახლა, როცა მას პროგრესი იმორჩილებს და ყოველ დარგს თავისი სპეციალისტი ჰყავს, საზოგადოება სარგებლობს მიღწეული შედეგებით, ეწევა მათ ექსპლოატაციას. მაგ., მობილური ტელეფონი ყველას სჭირდება, ყველა სარგებლობს, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის მისი მუშაობის მექანიზმი. დამზადება კი შეიძლება მხოლოდ სპეციალიზებულ საწარმოში.

მობილური ტელეფონი, რომელმაც ერთი სუნთქვით შეკრა მსოფლიო, რასები და ერები, ისეთივე ჩვეულებრივი ნივთი გახდა, როგორც არის რადიო ან ტელევიზორი. ადამიანს იგი პრაქტიკული მიზნისთვის სჭირდება და სულაც არ ფიქრობს, რომ ტექნიკის საოცრებაა.

ცოდნა გადავიდა პრაქტიკულ სფეროში და საგნებად იქცა. ეს საგნები ახალი დროის აუცილებელი ნივთებია. მობილური ტელეფონი, ელექტრონული თუ საპარსი, ავტომობილი, ლიფტი, მეტროპოლიტენი, ვატერკლოზეტი ყოველდღიური ყოფის ატრიბუტებია. თანამედროვე ადამიანი მათ გარეშე ვერ იცხოვრებს. ისინი ცოდნის მატერიალიზებაა, თეორიის პრაქტიკული ხორცშესხმა. მაგრამ თავად ცოდნა, რომელიც მასობრივი გახდა, ისე როგორც ცოდნის ნაყოფი, უკვე აზრს კარგავს. იგი აღარ იწვევს კრძალვას, აღფრთოვანებას ან შეძენის სურვილს.

ამ ნიველირებისა და უნიფიცირების ფონზე მაინც გამოიკვეთება სიახლენი. მაგრამ მისი შემოქმედნი იქნებიან გლობალისტები ან ისინი, ვინც სცნობენ და იწონებენ კოსმოპოლიტურ ღირებულებებს.

გლობალისტური კულტურის ბაზისი იქნება ზოგადი, ზერეღე და ინფორმაციული ცოდნა, როგორც კომუნიკაციის საშუალება.

ალბერტ აინშტაინს ღმერთს ადარებდნენ. იგი პლანეტის ყველაზე პოპულარული მოაზროვნე იყო. მაგრამ დღეს მხოლოდ ვინრო წრეში იწვევს ინტერესს. ის, რაც ახსნილია, ის, რაც მიღწეულია ვერ იქნება შთაგონების, აღტაცებისა და გატაცების საგანი. ის წარსულს ეკუთვნის. წარსული კი დავიწყებაა. ცოდნის შექმნა და მოპოვებაც პრაქტიციზმით არის ნაკარნახევი.

ამის გამო ჩნდება ნიჰილიზმი და ცინიზმი ინტელექტისა და ინტელექტუალიზმის მიმართ. ეს ყოველთვის იყო მასის თვისება. მას აზროვნებას მუდამ ერჩია მოქმედება, რადგან ეს არის პრაქტიკა და სიცოცხლის უნარი.

საბოლოოდ ვღებულობთ, ერთი მხრივ, პროგრამირებულ, ზომბირებულ მოქალაქეებს, მეორე მხრივ, მმართველთა, მენეჯერთა, ლიდერთა კასტას, რასაც აფორმებს კანონი.

ასეთია გლობალისტური ინტელექტუალიზმის დიფერენცირების შედეგი.

პროგრამირება და ზომბირება

გონიერ ადამიანს ყველაფერი აინტერესებს, რაც ხდება გარშემო, აკვირდება ბუნებას, შენობებს, ქუჩებს, გამვლელებს.

ცხოველს ეს არ აინტერესებს. იგი რეაგირებს მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელ მოქმედებაზე, საფრთხეზე, საკვებზე. მაგრამ არ სჭირდება პროსპექტი, ხეივანი, შადრევანი ან ქანდაკება.

ასევეა ფსიქიკური ავადმყოფიც. იგი ცხოვრობს თავისი შინასამყაროთი, გარემოსთან კონტაქტი აღიზიანებს, აეჭვებს და აშინებს. საფრთხესა და საკვებზე ისიც რეაგირებს. მაგრამ გარემოს მრავალი სპექტრის აღქმა არ შეუძლია, ე. ი. ინფორმაციის გაცვლა გარემოსთან მისთვის არ არსებობს, ვერ ასხვავებს ნამდვილსა და ილუზიურს. ამის გარეშე ფსიქიკა ნორმალური და ადექვატური ვერ იქნება. მას სჭირდება იმპულსებისა და სიგნალების ბალანსირება, ინფორმაციის მუდმივი ცვლა, შინაღელვისაგან განმუხტვა და გარემოვლენებით აღვსება.

ზომბირებული ადამიანიც მარტოა, ჩაკეტილია თავის თავში და ცხოვრობს ვირტუალური სამყაროთი, რომელსაც ლებულობს კომპიუტერის მონიტორიდან. იგი უსმენს, უყურებს, აკვირდება, მაგრამ არაფერზე რეაგირებს, არაფერს გრძნობს, არაფერს ესწრაფვის.

საჭიროა მხოლოდ ფული და თავისუფალი დრო.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მერი შელი (პოეტ პერსი ბიში შელის მეუღლე) ფანტაზიით ქმნიდა მახინჯ გიგანტს ფრანკენშტაინს, ჰაინრიხ ჰაინე–ადამიანის კოპირებულ მანქანას, რომელიც ითხოვდა სულის ჩადგმას.

რობოტი პროგრამირების მიხედვით მოძრაობს და მოქმედებს. რობოტებს მეტწილად იყენებენ სერიული წარმოების საამქროებში, სადაც შრომის მავნე პირობებია, იყენებენ კოსმონავტიკაში, ატომურ მრეწველობაში. მათ მართავს მანიპულატორი ანუ რობოტი არის მექანიკური მონა. რობოტის მსგავსად სტერილურ ადამიანს

ამოცლილი აქვს სული და ეგოისტური ბირთვი, დაკარგული აქვს ინდივიდუალური „მე“, სამშობლოს გრძნობა, რელიგიური რწმენა, ტრადიციების სიყვარული. ისტორიული მეხსიერება ნისლით იბურება. თითქოს ისინი ადამიანს აღარ სჭირდება, თითქოს ისინი ხელს უწყობენ ეროვნულ განკერძოებას. განკერძოება და უცხოობა კი შეიძლება კონფლიქტების ნყარო აღმოაჩნდეს, რაც სთიშავს ადამიანებს. გლობალიზმით პროგრამირებული მოქალაქე კი გამოსულია ეროვნული ჩარჩოდან და მისთვის მახლობელია ცივილიზაციის ყოველი მონაპოვარი.

გლობალიზების ელემენტები ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია. ისე ვიხსენებთ იულიუს კეისრის თუ ნაპოლეონის ომებს, აუსტერლიცსა და ვატერლოოს, დიდ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, ეგვიპტურ პირამიდებს თუ ნოტრდამს, თითქოს ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყოს. ეს სახელები ეკუთვნის ყველას, ვისაც მათი აღქმა შეუძლია. ისინი კაცობრიობის კულტურისა და ისტორიის კუთვნილებათა, არა მხოლოდ რომელიმე ერისა.

მაგ., ბროდსკის განცხადებით, იგი იყო ეროვნებით ებრაელი, როგორც პოეტი – რუსი, როგორც ესსეისტი – ამერიკელი.

როცა კულტურის ადგილს იკავებს ცივილიზაცია, ადამიანი სულისაგან იცვლება, კარგავს განცდის უნარს და ფაქტებს გონებაში ისე განურჩევლად ინახავს, როგორც საჯარო რეესტრი.

იგი ცოცხლობს დღევანდელი დღითა და პრაგმატული კავშირებით, რეალობის მახინჯი აღქმით.

ინფორმაციის სიუხვე დამაბნეველია. დეტალებისა და ფაქტების სიმრავლე ხელს უშლის არსებითის პოვნას, აქცენტების განაწილებას. შესაბამისად ცხოვრობენ ცალმხრივი მონაცემებით და არასწორი მიმართებებით, ანდა – ინფორმაცია თავად იქცევა დემონად, რომელიც მართავს ადამიანს.

ბუნების ექსპლოატატორი (ლესლი უაიტი) თავის გამოგონებას ემონება. როგორი იქნება მომავალი?

გლობალიზებულ საზოგადოებაში დაბადებულს აღარ ექნება პირველადი ტრავმა, აღარც გმირობის მაგალითი. შესაბამისად – აღარც სწრაფვა განვითარდება, აღარც კომპენსირება. ზედმეტად ჩათვლის თავგანწირვას, უფრო სწორად – აღარ ექნება ძალა თავგანწირვისათვის.

იგი რეალური თუ ვირტუალური გადაადგილებით შეიქმნის

ბიოგრაფიას. მას ყველგან მიესვლება, მაგრამ ეს პუნქტები არც მშობლიური იქნება, არც უცხო. სადღეისო რეალობითაც შესაძლოა, დედა თურქეთში მუშაობდეს, მამა თბილისში ცხოვრობდეს, ვაჟი ამერიკაში სწავლობდეს, ქალიშვილი გერმანიაში გათხოვდეს.

მათ გაერთიანებთ ფეისბუქი და სკაიპი, მობილური ტელეფონი და ფულადი გადარიცხვები.

შორეული ახლოვდება, ახლობელი უცხოვდება.

ადამიანი არსებობს და არც არსებობს. მას აცვია ფრანგული პიჯაკი, ამერიკული ჯინსი, გერმანული ფეხსაცმელი, იტალიური პერანგი, იძენს ჩინურ პროდუქტებს, უყურებს ამერიკულ ფილმებს, სვამს კახურ ღვინოს, სწავლობს ლურსმულ წარწერებს, ატარებს გერმანულ „მერსედესს“, ცხოვრობს ნიუ-იორკსა, ლონდონსა და მიუნხენში; ეროვნებით ქართველია, მაგრამ აქვს აშშ-ის მოქალაქის პასპორტი ანუ ადამიანი კარგავს ეროვნების განცდას, ადგილის სიყვარულს; მსოფლიო წარმოუდგენია, როგორც სამშობლო და მანქანის მსგავსად შედგება სხვადასხვა მარკის ნიშნებისაგან.

ასეთ ადამიანს არ აინტერესებს საზღვრები, ეროვნული ტრადიციები და იდეოლოგია. იგი გლობალიზებული ტექნოკრატია, Homo Faber-ი.

ადამიანი კარგავს არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ – ფიზიონომიას და შეიძლება გენეტიკური მოდელირებაც, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს თავად ადამიანის ჯიშის არსებობას.

შეცვლილი ცხოვრების პირობები და გარემო, კომფორტი და უძრავობა, საკვები, ნარკოტიკები, მედიკამენტები ცვლის ფსიქონერვულ, ძვალკუნთოვან, ენდოკრინულ სისტემებსაც. შედეგად მრავლდება ფიზიკური (მაგ., სიმსივნე, ინფარქტი, ინსულტი) და ფსიქიატრიული დაავადებები (მაგ., შიზოფრენია), ნევროზი და დეპრესია, სექსუალური გადახრა.

გენმოდულირებული ადამიანის აღქმა და სახელმწიფოებრივი განცდაც მოდიფიცირებული იქნება. როგორც ქვეყანას ეცლება საზღვარი, ისე ერღვევა გენოტიპს ჯავშანი.

შეიძლება მისი, როგორც მანქანის, შეკეთება (ტუჩების, ცხვირის, თმის, კბილების კორექცია), ენერჯის აღდგენა (მაგ., სექსუალობის), ფსიქიკური დაავადების კორექტირება (მაგ., შიზოფრენიის), ცალკეული ორგანოების გადანერგვა (მაგ., თირკმელის) ან შეცვლა პლასტმასის ნაწილებით (მაგ., გულის სარქველების), სქესის შეცვლა, კლონირება, როცა იქმნება ადამიანის ასლი.

ამგვარი შეკონინებული ან სტერილური ადამიანი ლიდერად ვერ გამოდგება. ლიდერი იქნება ისეთი პირი, რომელსაც აქვს გლობალიზაციის პრინციპებისათვის ბრძოლის უნარი, ვინც მბრძანებლობს, როგორც ნიცშეს ზეკაცი. ოღონდ მბრძანებლობს ამ იდეისათვის. ასეთი ლიდერებისაგან შეიქმნება მმართველი ელიტა.

აქაცხდება დაყოფა—გლობალიზმის მეტროპოლიად და პერიფერიად. პერიფერიის ლიდერი დენაციონალიზაციის გასაგრძელებლად სასურველია იყოს ეროვნული უმცირესობიდან გამოსული ან ჰქონდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური დეფექტი, ან — დარღვეული სექსუალური ორიენტაცია, ან იყოს რელიგიური უმცირესობის მიმდევარი, იმყოფებოდეს შერეულ ქორწინებაში, განათლება ჰქონდეს მიღებული საზღვარგარეთ, ცუდად ან საერთოდ არ იცნობდეს თავისი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას.

რაც შეეხება მეტროპოლიას, ამჯერად — აშშ-ს, იგი აყალიბებს თავის ნაციონალიზმს, ნაციონალურ კულტურას, ტრადიციებს, რომელთაც იცავს. მას არ სჭირდება ქარიზმატული ლიდერი.

ასევე ცდილობდნენ კომპარტია და ნაციონალ-სოციალიზმი ახალი ექსპერიმენტული ჯიშის გამოყვანას: ეს იყო კომუნისტი ჩეკისტი და არიელი ესესელი.

პროგრამირებას და ზომბირებას ვერ ექნება ვრცელი არეალი. იგი დაიმორჩილებს ელიტას, მაგრამ მასას ისევ შერჩება მინიერი განცდები, ისევ შეაშფოთებს მტერთა შურისძიება და მეგობართა ცილისწამება (ლერმონტოვი), ისევ შესძრავს სიყვარული, „რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (დანტე).

კანონის უზენაესობა

თუნდაც ქვეყანა დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდეს, — ამბობდნენ რომაელები, ვინაიდან სახელმწიფო ვერ იარსებებს კანონისა და კანონიერების გარეშე. მათ მოიხმარს ძალა. ამიტომ უკავია თემიდას ერთ ხელში სასწორი, მეორეში — მახვილი. სუსტი ქვეყანა კანონის იმედად ვერ დარჩება, მათ არავინ დაიცავს. მაგრამ ძლიერ ქვეყანას თუ უსამართლო კანონები განაგებს, ეს უფრო საშიშნელებაა. ეს იქნება რეპრესიის გამართლება, რასაც

მიმართავენ ტოტალიტარული, ავტოკრატიული რეჟიმები.

ქვეყანა და საზოგადოება იმართება და კონფლიქტები რეგულირდება კანონებით, რომელთა საფუძველია კონსტიტუცია. კონსტიტუცია ქვეყნის სიმტკიცეზე მეტყველებს. იგი არის ერთიანობის, სტაბილობის, სამართლიანობისა და წესრიგის გარანტი. ამიტომ პოლიტიკურ რყევებს არ უნდა ექვემდებარებოდეს. მაგ., აშშ–ის კონსტიტუციაში შეტანილია მხოლოდ 26 შესწორება, მათგან 10 – 1791 წელს.

სტალინის უმაღლესი საბჭოც ღებულობდა ბევრ სამართლიან, ზოგ უსამართლო კანონს. უსამართლო ზუსტად უნდა აღსრულებულიყო, სამართლიანი – რამდენადაც საჭირო იქნებოდა. მანამდე მსჯავრდებული უნდა შემზადებულიყო – წამებით მიეცა ბრალმდებელისათვის სასურველი ჩვენება.

აღიარება მტკიცების დედოფალია, – აცხადებდა ვიშინსკი, სსრკ გენერალური პროკურორი. აღიარებას წამებით აღწევდნენ, როცა პატიმარსა და დასაპატიმრებელს გამოგონილ საბრალდებულ სიუჟეტურ სქემაში ადგილი და ფუნქცია ჰქონდა მიჩენილი.

სასტიკი დრამა იდგმებოდა არა სცენაზე, არამედ ციხის საკნებში.

დემოკრატიულ სამყაროში სხვა ვითარებაა. აქ კანონი მოქმედებს ჩადენილი დანაშაულისათვის, არა მხოლოდ როგორც სასჯელი, არამედ იმისთვისაც, რომ არ განმეორდეს, გაფრთხილდეს საზოგადოება.

რომაული პრინციპი ისევ ძალაშია – სამართალი უნდა აღსრულდეს.

გლობალიზაციის პროცესში ჩართული სახელმწიფოს პარლამენტი ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის პოზიციიდან პედანტური სიზუსტის კანონებს ღებულობს. შემდეგ მკაცრად მოითხოვს მათ აღსრულებას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

ასე ეძლევა კანონიერი გზა გლობალიზაციას.

გლობალისტები აცხადებენ კანონის უზენაესობას, ისინიც მოითხოვენ მათდამი მორჩილებას. ყველა დროში კანონი გამოიყენება საზოგადოების სათანადო არტახებში მოსაქცევად, იდეოლოგიურად ფორმირებული მოქალაქეების სუბიექტური ნების დასათრგუნავად, ეკონომიკის რეგულირებისათვის.

კანონს ემორჩილებიან კოსმოპოლიტი ლიდერებიც, გაფანტული მობილური ინდივიდები, მომთაბარე მენეჯერები და ბიზნესმენები, ცვალებადი ბუნების პარტიები თუ ინდიფერენტული ადამიანები.

თავისუფლება კანონის კალაპოტში, ზნეობა უნდა დაექვემდებაროს კანონს, ყველაფერი ნებადართულია, რაც კანონით არ არის აკრძალული, – ასეთია გლობალიზმის სამოქმედო პოსტულატები.

კანონი საბოლოოდ აფორმებს გლობალიზების პროცესს, აჩვენებს რატენდენციას მისაღები, ვინ არის ზედმეტი, ვინ არის წარმმართველი, ვინ კიდევ – მიუღებელი ან დამნაშავე.

* * *

ფორმირებული მასობრივი საზოგადოება მასკომუნიკაციების სპექტრითა და ქსელით ამკვიდრებს მასკულტურას, ერთდროულად და ერთიანი განცდით. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ – თავად მასკულტურა ავრცელებს ისეთ იდეებსა და ფორმებს, რაც განამტკიცებს საზოგადოების ახალ მოდუსს.

IV. კულტურის გლობალიზება: ელექტრონული გალაქტიკა

ტექნიკა და ფანტაზია

ჩვენ ხშირად ვწერთ დაშლაზე, ტრადიციების მოსპობასა და შენაცვლებაზე. ცენტრისა და დიქტატის მოხსნა თითქოს თავისუფლებაა. რეალურად კი ამ პროცესის მიზანია ძველი – რელიგიური, ნაციონალური, სახელმწიფოებრივი ცნობიერების ადგილზე ახალი ღირებულებების დამკვიდრება, თანაც – ფორსირებული ტემპით.

ანგარიში აღარ ეწევა იმას, ახალი ძველს სჯობია თუ არა. მთავარია იყოს განსხვავებული პოზიცია, სხვაგვარი კულტურა, რაც კაცობრიობის გამოცდილებასთან მიმართებით არის ანტიკულტურა. ოღონდ ეს ანტიკულტურა იქნება ყველასათვის საერთო, ყველასათვის ერთგვარი და გასაგები, არ არის აუცილებელი, რომ იყოს მოსაწონი.

ეს იგივეა, რაც ქრისტესა და ანტიქრისტეს ანტინომია.

ამ ფუნქციას ასრულებენ პოპ–არტი, ავანგარდისტული და ნეო–ავანგარდისტული მიმართულებები (იხ. „მასობრივი და ელიტარული კულტურები“), მასმედიის საშუალებანი – ინტერვიზია და ინტერნეტი.

ისინი ამოდიან ტექნიკიდან, ტექნიკის მიხედვით მოდელირებული ფსიქიკიდან, ემყარებიან ტექნიკის შესაძლებლობას, როგორც გადმოცემისა და შესრულების, ისე გავრცელების თვალსაზრისით.

ამიტომ ეძახიან მათ ერთობლიობას „კულტურის ინდუსტრიას“ (თეოდორ ადორნო), „ელექტრონულ გალაქტიკას“, „ელექტრონულ ტექნოლოგიებს“ (მარშალ მაკლუენი).

გლობალიზმმა შექმნა შესაბამისი საინფორმაციო სპექტრი და ქსელი, შექმნა კულტურა – მსუბუქი და დემოკრატიული. ერთი მხრივ, იგი თავად არის ნიმუში, როგორც ერთიანი მოვლენა, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ნიველირებას, სტანდარტიზებას, ბარიერების მოშლას.

აჩქარებულ, გაერთიანებულ დროში აღარ არის ფიქრისა და დაკვირვების საშუალება. მათ ცვლის ინფორმაცია, ინფორმაციის სიხშირე და ცვალებადობა. ეს ინფორმაცია ყველას მისწვდება, მისწვდება უმცირეს დროში დედამიწის ყოველ წერტილში, რადგან როგორც ინგლისელები ამბობენ, დრო ფულია. ამერიკელები კი აცხადებენ, რომ ჭემმარიტია ის, რაც სასარგებლოა.

პრამატისტიკების ამ იდეას მიიჩნევენ ბიზნესის ქვაკუთხედად.

პრამატისტი ჯონ დიუი თვლის, რომ ინტელექტის ფუნქციაა არა ობიექტების ასახვა, არამედ – ამ ობიექტებთან ეფექტური და სასარგებლო მიმართებების დამყარება.

გლობალიზაციას მოაქვს ეკონომიკური და ინფორმაციული სიკეთე. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, კარგია და ჭეშმარიტი; მასკულტურას, შოუ–ბიზნესს მოაქვს დიდი მოგება, მაშასადამე, ისიც კარგია და ჭეშმარიტი. ეს არის ვესტერნი, დეტექტივი, ტელესერიალი, ეროტიკული და საშინელებათა ფილმები, პოპ–მუსიკა, სუპერმენი და შოუმენი.

კიჩ–პროდუქციამ უნდა გაგაოცოს, ზედმეტია, რომ მოგწონდეს ან გიყვარდეს. იგი ამისათვის ეწევა ქვეცნობიერი სამყაროს, ინსტინქტების ექსპლოატაციას, იყენებს ვულგარულ ფორმებსა და მეტყველებას (მაგ., ერთ–ერთ გამოფენაზე წარმოადგინეს ლანგარზე დადებული განავალი).

ესთეტიზმის ადგილი დაიკავა ანტიესთეტიზმმა, კლასიკის წესრიგი შეცვალა ქაოსმა და ანარქიამ, გუტენბერგის გალაქტიკა – ელექტრონულმა გალაქტიკამ.

გლობალიზაცია კულტურასა და ხელოვნებას აცლის ნაციონალურ ნიშან–თვისებას. საამისოდ ტექნიკური მოდელირება კარგია და სასურველი, ასევე – ინსტინქტების აღზევება, მათი ნატურალისტური სტილიზება, მღვრიე ყოფითი, დაუხვწნავი მეტყველება, როგორც დემოკრატიის შესატყვისი; მუსიკაში – ჯაზი და როკი, მხატვრობაში – აბსტრაქციონიზმი, ლიტერატურაში – ნატურალიზმი და ნეო–ავანგარდიზმი, ესთეტიზმის სანაცვლოდ – ანტიესთეტიზმი, ჰეროიკის სანაცვლოდ – ცინიზმი და ნიჰილიზმი, ლირიზმის სანაცვლოდ – ინდიფერენტიზმი, გამირის სანაცვლოდ – ანტიგამირი.

გლობალისტურ კულტურას ავრცელებენ მასმედია, კინემატოგრაფი, დიზაინი, არქიტექტურა, ესტრადა, პოლიტიკური და ეკონომიკური თეორიები და აძლევენ ერთიანი ელექტრონული გალაქტიკის სახეს.

მასკულტურა არის დინამიური, რევოლუციური ძალა, რომელიც შლის ზღვარს კლასებს, ტრადიციებს, გემოვნებას შორის, სპობს განსხვავებას და აყალიბებს ერთსახოვან კულტურას (დუაიტ მაკდონალდი). ზოგი ვარაუდობს, რომ საერთაშორისო ძმობის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა დაშვება ინსტინქტების დონეზე,

რადგან ინსტიტუტები ყველას ერთნაირი აქვს (ბერნარდ როზენბერგი). ანტიინტელექტუალური, ექსტატიური მასხელოვნების სინონიმი გახდა როკ-რევოლუცია.

ერთი მხრივ, თანამგზავრული სისტემა და მასკომუნიკაციის ქსელი ერთ მთლიანობად აქცევს დედამიწას, ერთდროულს ხდის მოქმედებას, მეორე მხრივ, თავად კულტურის დარგებში ვითარდება და იმარჯვებს სტრუქტურული ნიველირება.

ასეთა დროს აქტუალობას იძენს სპორტი და ტურიზმი, სხვადასხვა მხარეების არა წარმოსახვითი, არამედ – რეალური გაცნობა, უცხო ხალხთან კონტაქტი, ისტორიული მემკვიდრეობის ხილვა, დაპირისპირების შეჯიბრებად გარდასახვა.

ელექტრონული ერთიანობის იდეა ჩნდება იტალიური ფუტურიზმიდან, რომელმაც ადამიანის ადგილზე მანქანა მოათავსა და მანქანური ცნობიერებით, მავთულის ფსიქო-ნერვული სისტემით გამართა ხელოვნება. მაგრამ ასეთივე რადიკალიზმი შეიტანა კომუნიკაციის სფეროში და ამიტომ მომხმარებელი ვერ ჰპოვა. ეს იგრძნეს დადაისტებმა და სიურრეალისტებმა. მათ ქვეცნობიერი სამყაროს მოძრაობა, მისი სტილიზება მიიჩნიეს სანიმუშოდ. ესეც არღვევდა აკადემიზმსა და მიღებულ წესრიგს („მოჰკალი, იქურდე, შეიყვარე რამდენიც გინდა!“). კონსტრუქტივისტებმა კი მანქანა მიიჩნიეს რაციონალიზმისა და სიზუსტის მაცნედ. მათ მზერა წარმართეს სინამდვილის კონსტრუირებისაკენ, ახალი არქიტექტურისა და ტექნიკური ლანდშაფტის შესაქმნელად („ძირს მხატვრული ტრადიციები, გაუმარჯოს ტექნიკოს-კონსტრუქტივისტს“!).

კონსტრუქტივისტებმა მშვენიერებას დაუპირისპირეს ინჟინრის ფარგალის, სახაზავისა და ფორმულის სიზუსტე.

„ცნობიერების ნაკადსაც“ ქვეცნობიერი სამყაროს მოდელირება აინტერესებდა, რაც საერთო იქნებოდა ყველასათვის. მაგრამ აქაც კომუნიკაციის პრობლემამ იჩინა თავი. ასოციაციები, ფრაგმენტული ფრაზები, დანყვეტილი მეტყველება გზას ვერ იკვლევდა მასებისაკენ. ავანგარდიზმი უნდა შელეოდა ინტელექტუალურ ძიებებს და მომხმარებლის ინტერესებს დამორჩილებოდა.

ამან წარმოშვა პოპ-არტი, ახალი სუბ-კულტურა, მასკულტურის ფორმები და გმირები. ელექტრონულ გალაქტიკას ნიადაგი მოუმზადა საზოგადოების ნიაღში მიმდინარე ძვრებმა, ხოლო ასპარეზი შეუქმნა მასმედიის გლობალურმა ქსელმა.

ცოდნა, კულტურა, შემოქმედება ემყარება ცნობიერების აქტივობას, ცნობიერება–მეხსიერებას. მეხსიერება ნანახის რეპროდუქციაა, ნანახის ტილოზე თუ ქალაღზე გადატანა – მხატვრობა, სიმბოლური აღნიშვნა – ანბანი და შრიფტი.

ჯერ იყო მხატვრობა – ხელი, ტილო, საღებავი, ფუნჯი; შემდეგ გაჩნდა ქსილოგრაფია – ხის მასალაზე კვეთა (გრავირება), XIX საუკუნიდან – ლითოგრაფია, ქვიდან და ლითონიდან ანაბეჭდი. ეს სჭირდებოდა გაზეთისა და ჟურნალის ილუსტრირებას. ფოტოგრაფიაც სურათების ანაბეჭდი იყო, ოღონდ ჯერ ფირზე, ფირიდან – ქალაღზე, ხოლო ფოტოკადრების ამოძრავება – კინემატოგრაფი, რაც ახალ პერსპექტივას შლიდა.

ასე ავითარებდა ტექნიკა ფანტაზიას, სამყაროს აღქმასა და თვითგამოხატვას, ვიდრე სანახაობა იქცეოდა ელექტრონულ გალაქტიკად.

კოლექტიური შემოქმედება თავისი სივრციდან აძევებს ავტორს. კინოფილმს ჰყავს მთავარი რეჟისორი და მისი სახელით გადის სცენაზე. მაგ., ფრენსის ფორდ კოპოლამ გადაიღო „ნათლია“. მაგრამ მის შექმნაში მონაწილეობდა უამრავი ადამიანი – სცენარისტები, მხატვრები, კომპოზიტორები, ოპერატორები, ტექნიკური მუშაკები, მსახიობები.

ნახევარი საუკუნის წინათ გადაიღეს „კლეოპატრა“, რომელიც იმდროისათვის რეკორდული თანხა – 40 მლნ დოლარი დაჯდა. ეს თანხა მოხმარდა ფილმის გადამღები კოლექტივისა და დეკორაციების დაფინანსებას.

ასევე მრავალი ადამიანი ამზადებს ტელეგადაცემებს (მაგ., „სი–ენ–ენ“–ს ჰყავს 10.000 თანამშრომელი), ანსამბლების კონცერტებს, მათ რეკვიზიტებს (მაგ., ჯექსონის საესტრადო აპარატურა იწონიდა 375 კგ–ს).

ეს მაშინ, როცა ლექსს, რომანს თუ ტრაგედიას წერს ერთი ავტორი. ხოლო ბეჭდვის ან სცენაზე გადატანის პროცესი მოთხოვს მრავალ ხელს, როცა ხდება ტირაჟირება.

დღეს მომხმარებელს სულაც არ აინტერესებს თუ ვინ არის ინტერნეტში განთავსებული მასალის ავტორი. ეს არც ძველ დროში სჭირდებოდა ვინმეს (მაგ., ვინ გამოიგონა ტელევიზორი ან როგორ შეიქმნა მობილური ტელეფონი), მხოლოდ პერგამენტსა და ქალაღზე გადატანილმა სიტყვამ შეინახა შემოქმედის სახელი, როგორც ტაძრის კედელზე ამოტივთრულმა მარჯვენამ.

ელექტრონული გალაქტიკა ამ თვალსაზრისითაც იმეორებს უძველეს, კოლექტიური რიტუალის პრაქტიკას, როცა ყველა მონაწილე შემოქმედი და შემსრულებელი იყო ანუ მასა იყო უპიროვნო ავტორი.

ფანტაზია მასაში გადააქვს ტექნიკას. მაგრამ ფანტაზიაც ტექნიკის ფრთებს ისხამს, ხდება ტექნიციისტური (მარინეტი). ამიტომ თვლიან, რომ ტექნიკა ჩაყლაპავდა კულტურასა და ხელოვნებას (ჰერბერტ მარკუზე, ლუის მამფორდი), რომ ადამის მოდგმა უნდა განიკურნოს პოეზიის წყლულისაგან (ფრიდრიხ ნიცშე, გიომ აპოლინერი), რომ ხელოვნება უკვე მკვდარია (მარტინ ჰაიდეგერი), რომ ნიჰილიზმი, აბსურდი და არარა გზას გაუხსნის ჭეშმარიტ ჰუმანიზმს (მარტინ ჰაიდეგერი, ჟან პოლ სარტრი, ალბერ კამიუ, სემუელ ბეკეტი).

მასმედია, როგორც ობობას ქსელი

გლობალურ სამყაროსთან ზიარებისათვის, ერთიანი და ერთდროული ველის შესაქმნელად განსაკუთრებით ეფექტურია მასმედიის საშუალებანი – პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი.

ჯერ პრესა იყო ლიდერი, შემდეგ – რადიო. მალე ორივე დაჩრდილა კინემატოგრაფმა. მაგრამ მათ გადაასწრო ტელევიზიამ. ბოლოს კი ყველა უკან მოიტოვა კომპიუტერმა.

როგორც ჩინელი მეცნიერები აღნიშნავენ, კომპიუტერთან დიდხანს მუშაობა ვნებს ჯანმრთელობას, ცვლის თავის ტვინს, შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია და ფსიქიკური გადახრაც კი.

მომხმარებელი ინტერნეტზე ისე ხდება დამოკიდებული, როგორც ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე. ეს არის ზომბირების საფუძველი.

მსოფლიოში კი ყოველწლიურად იზრდება ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვი. 2012 წლისათვის მათმა რაოდენობამ 2 მლრდ–ს გადააჭარბა, საქართველოში – 1,5 მლნ–ს, ჩინეთში – 485 მლნ–ს.

ადამიანები ერთმანეთს ნაკლებად ხვდებიან. ისინი კონტაქტობენ სკაიპითა და ფეისბუქებით, რაც სძლევს მანძილს.

განსაკუთრებით პოპულარულია ინტერნეტი ახალგაზრდებს შორის.

მსოფლიოში 2011 წლის ბოლოსათვის იყო 555 მლნ ვებგვერდი, ფეისბუქს მოიხმარდა 800 მლნ., ტვიტერს – 225 მლნ.

გაჩნდა გაზეთებისა და წიგნების ელექტრონული ვერსიები, ყალიბდება ვიდეო-ბიბლიოთეკები. პრესის ან წიგნების გადაადგილება და გადატანა აღარ არის აუცილებელი.

მალე ლექტორიც ზედმეტი გახდება. პროფესორი ვიდეოკასეტაზე ჩაწერს ლექციას და კომპიუტერი წარუდგენს აუდიტორიას – ცოცხალი კონტაქტები სტუდენტებთან აღარ ექნება.

კომპიუტერის ენა ინგლისურია და ეს ფაქტორი კიდევ უფრო უწყობს ხელს ერთიანი სივრცის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გლობალური ბანკის ათვისებას.

ინტერნეტი, ერთი მხრივ – განუსაზღვრელ მასშტაბს აძლევს კონტაქტებს, მაგრამ ეს კონტაქტები ვირტუალურია, მეორე მხრივ – ზღუდავს და ამცირებს რეალურ კავშირებს. ადამიანს ჰგონია, მთელს მსოფლიოს ხედავს, ესაუბრება, უსმენს, ამ დროს – მარტოა. მაშველი ისევ ინტერნეტია.

გლობალური სისტემიდან გამორთული ადამიანი ჩამქრალ ნათურას ჰგავს. ის ცოცხლობს იმ ინფორმაციითა და ემოციით, რასაც აწვდის ინტერნეტი. ამიტომ გლობალიზაციაზეც დამოკიდებული ხდება, იმ იდეებზეც, რაც შემოაქვს სოციალურ ქსელებს, ინფორმაციის გაცვლას.

ადრე სენსაცია იყო მაგნიტოფონი, რომელმაც შეცვალა გრამოფონი და პატეფონი. მაგნიტური ფირი გერმანელებმა გამოიგონეს, მათვე დაიწყეს მაგნიტოფონების გამოშვება, რომელიც საკმაოდ მძიმე და მოუქნელი იყო.

შემდეგ დადგა ვიდეოს ერა. ბაზარი გაივსო აუდიო და ვიდეო კასეტებით, რამაც ხელი შეუწყო პორნოგრაფიის, ტურიზმისა და სადიზმის გავრცელებას.

ბოლოს გამოჩნდა კომპიუტერი თავისი ინტერნეტ-პროგრამებით, სოციალური ქსელებით, სკაიპითა და ფეისბუქით, ვებგვერდებით.

კომპიუტერში გაერთიანდა ტელევიზორი, ტელეფონი, მაგნიტოფონი, რემინგტონი, ფოტოგრაფია, ტელეფაქსი, ქსეროქსი, წიგნი, პრესა, ბიბლიოთეკა, მსოფლიოს დეტალიზებული რუკა.

იგი საყოველთაოც არის და ინდივიდუალურიც, ხელს უწყობს როგორც განკერძოებას, ისე მასობრივ ჩართულობას, როგორც გართობას, ისე შემეცნებას. რეალურად კი ეს არის მარტოობის ილუზიური გარღვევა.

როგორც დღეს მსჯელობენ კომპიუტერის დადებით და უარყოფით

თვისებებზე, ისე დაობდნენ 40–50 წლის წინათ ტელევიზიაზე, ტელეხედვის მავნებლობაზე, გაცილებით ადრე კი – წიგნზე, კითხვის დამლუპველ ჩვევაზე.

ტელევიზია ცეცხლივით მოედო მსოფლიოს. არ არის ოჯახი, ერთი ტელევიზორი მაინც რომ არ ჰქონდეს და ვერც ვერავის წარმოუდგენია მის გარეშე არსებობა.

ტელეინდუსტრიაში ჯერ საკაბელო ტელევიზია შემოვიდა, შემდეგ თანამგზავრული სისტემის საშუალებით თეფშმა შეცვალა ანტენა და კაბელი.

თანამედროვე ადამიანისათვის ინფორმაცია ისეთივე საარსებო წყაროა, როგორც რესურსი და ენერჯია. სწორედ ინფორმაციის კომპიუტერულმა პროგრამირებამ აქცია ახალგაზრდა ბილ გეიტსის „მაიკროსოფტი“ მსოფლიოს უმდიდრეს ფირმად.

ინტერნეტის მსგავსად, ტელევიზიაც ინტელექტუალური თამაშია, როცა ადამიანი ინფორმაციებით ერთობა, ლეზლობს სიამოვნებას, ეცნობა სიახლეებს.

გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელეარხები გლობალურად ავრცელებენ მსუბუქ, პოპულარულ მასალასა და ენევიან პოლიტიკური და ეროტიკული თემების ექსპლოატაციას, ეძებენ სენსაციურ ამბებს, იჭრებიან პირად ცხოვრებაში, ცნობილ პირთა ურთიერთობებში, ერთმანეთში ურევენ ტყუილ–მართალს, სერიოზულსა და სასაცილოს, მომხმარებელს აცნობენ სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრებას, გადმოსცემენ გამომწვევი ფორმით, რათა ასე მიიზიდონ საზოგადოების ყოველი ფენა, გაართონ და გააბრუნონ მაყურებელი და მსმენელი.

ადამიანს შეუძლია ყველგან ისარგებლოს მაგნიტოფონით, პრესით, პორტატული ტელევიზორით, ლეპტოპით – ზღვაზე თუ ჰაერში, მანქანაში თუ თვითმფრინვაში; მობილური ტელეფონით ჰქონდეს მუდმივი კონტაქტი ყველგან და ყველასთან.

ტელევიზიამ მახლობელი გახადა კონტინენტები და სახელმწიფოები. ადამიანები ერთიანი განცდით შეაკავშირა ტელესერიალებმა, რაც მასკულტურის ნაწილია და ხელოვნებას არ განეკუთვნება, თუმცა ზოგს აქვს შემეცნებითი ღირებულება (მაგ., 30–სერიიანი „ჩინგის ხანი“).

ამასთან ერთად ტელევიზია ქმნის ელექტრონული დროის ფოლკლორს, მითებსა და ლეგენდებს.

როგორც აღნიშნავენ სოციოლოგები, საშუალო ამერიკელი კვირაში 8 საათს ანდომებს პერიოდიკის გაცნობას, ხოლო ტელევიზორს უთმობს 26 საათს.

ფილმებს ისევ უჩვენებენ კინოთეატრებში. მაგრამ უფრო ეფექტური გამავრცელებელია ტელევიზია, რომელსაც იზოლირებულ ბინაში შემოაქვს შორეული სამყაროს სუნთქვა, ახალი ამბები, გასართობი პროგრამები.

80-იან წლებში გაჩნდა ერთ-ერთი პირველი ამერიკული ტელესერიალები – „დალასი“ და „დინასტია“, შემდეგ – ფრანგული „შატოვალონი“.

ამის შემდეგ ტელესივრცე წაღეკა სერიალებმა. სსრკ-ში პირველი იყო „მარიანა“, რომლის როლის შემსრულებელს მოსკოვი ტრიუმფით შეეგება. გაცეხულმა კასტრომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ტელესერიალებს აქვთ ბანალური და სენტიმენტალური სტერეოტიპი – ეს არის ოჯახური დრამა, კარგი ცხოვრება, სიყვარული და ღალატი, კონფლიქტი და მეგობრობა, რაც იპყრობს ფართო მასების გულისყურს.

ამიტომ მაყურებელი ვერ სცილდება ტელეეკრანს. თუ გადართავს სხვა პროგრამაზე, იქ ახალი სერიალი ელოდება. თუ გამოტოვა რამდენიმე სერია, არც ამითი შავდება რაიმე.

სერიალები ერთმანეთს ენაცვლებიან. შუალედებში კი ჩართულია საინფორმაციო გადაცემები, პოლიტიკური ამბების რეესტრი.

ეს არ ეხება სპეციალიზებულ არხებს, რომლებიც აშუქებენ პოლიტიკურ ცხოვრებას, ისტორიას, ესტრადის სიახლეებს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს, ბუნებას, სპორტს, კულტურას, ბავშვთა სამყაროს.

ასეთი სპეციალიზებული პროგრამებით ტელეარხები თავს აღწევენ დუბლირებას და იკრებენ მაყურებელს, ავრცობენ მის ინტერესებს.

ტელევიზია ცოცხლობს რეკლამებით, რაც თანამგზავრული სისტემის სატელიტური ანტენებით მთელ მსოფლიოს ეფინება.

საბჭოთა კავშირში რეკლამა არ არსებობდა, რადგან ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ხოლო საბაზრო ეკონომიკა იბრძვის ადგილის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად, კონკურენციის დასაძლევად, თავისი პროდუქციის წარმოჩენისა და სწრაფი გასაღებისათვის.

რეკლამა კიდევ იმიტომაა საჭირო, რომ მომხმარებელმა მიაგნოს

მისთვის სასურველ საქონელს, საგანთა სიმრავლიდან გამოყოს და გამოარჩიოს იგი.

რეკლამა, რომლის ფასი და ხანგრძლივობა სხვადასხვაა, ავსებს მასმედიის ბიუჯეტს. მაგ., „სი-ენ-ენ“-ის ბიუჯეტი 2012 წელს იყო 30 მლრდ დოლარი, ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებლისა – 50 მლნ ლარი.

ტელევიზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანიმაციურ ფილმებს. უოლტ დისნეის გამოგონება სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მოზარდებისათვის ინტელექტუალური გართობის საუკეთესო საშუალებაა. მათი რეალობაში გაგრძელებაა ატრაქციონები (მაგ., დისნეი-ლენდი).

ისინი ზემოქმედებენ მოზარდების ფსიქიკაზე, გემოვნებასა და ხედვაზე.

მასმედიის სპექტრი, ე. წ. IV ხელისუფლება ემსახურება საზოგადოების როგორც ინფორმირებას, ისე დეზინფორმირებას, რათა რეკლამირებით, მასალისა და პიროვნებების აქცენტირებით გზა გაუკაფოს აქტუალურ იდეას, შექმნას ვარსკვლავი და ლიდერი, შეცვალოს ან შეინარჩუნოს მენტალიტეტი და ცხოვრების წესი, თავის ობობას ქსელში გახვიოს მსოფლიო.

აქაც განმსაზღვრელია ამერიკული მასმედია, რომელიც პოლდინგების სახით აერთიანებს ტელე და რადიოარხებს, ჟურნალებსა და გაზეთებს. იგი მობილური და კონცენტრირებულია, ოპერატიული მედიამასალითა და ინფორმაციებით მსოფლიოს თავს ახვევს ამერიკული ცხოვრების წესს.

პოპ-მუსიკა და შოუ-ბიზნესი

ხალხს აინტერესებს პური და სანახაობა, გართობა და სიამოვნება. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ინსტინქტურ სწრაფვებს პასუხობს საესტრადო მუსიკა, რომელსაც გადააქვს მსუბუქი განწყობილებები, პოპულარული ჰანგები, სიტყვები და მოტივები.

ისინი სწვდებიან მასების გულისყურს, ინვევენ აღტკინებას, წრეგადასულ სიხარულს, აღძრავენ ენერგიას და ერთიანი გრძნობით აკავშირებენ სხვადასხვა რასისა და ერის შვილებს.

ელექტრონული მუსიკა ძლევს ყოველგვარ ბარიერს, მისი ჟღერა ესმით ყველა კონტინენტზე.

ესტრადა ყოველთვის პოპულარული იყო. ახალგაზრდების აღზნებული ფანტაზია ხარბად ისრუტავს უცხოურ რიტმებსა და მელოდიებს, თუმცა ესპანური, იტალიური თუ ფრანგული შეიძლება ცოტას ესმოდეს.

რიტმი და მელოდია ერებისა და თაობების გამაერთიანებელია.

როცა ვისმენთ ედიტ პიაფს, არცა აქვს მნიშვნელობა, რაზე მღერის იგი, იმდენად გვიმორჩილებს მელოდიის ძალა.

როცა ბითლზების სიმღერა შემოიჭრა სსრკ-ში, ინგლისური თითქმის არავინ იცოდა, მაგრამ ჰანგი და მუსიკის ინსტრუმენტირება ყველას იტაცებდა. ბითლზების შავი როლინგსტონი, მოშვეებული თიმები და მელანქოლიური მზერა მოდად იქცა.

მაშინ გრამფირფიტები და მაგნიტოფონი ავრცელებდა მუსიკას. შემდეგ სცენიდან რადიოსა და ტელევიზიაში გადავიდა ესტრადა. ამერიკულმა ტელეარხებმა ვიდეოკლიპი გამოიგონეს, რათა მოკლე და ეფექტური, ასოციაციური სიუჟეტები ეჩვენებინათ მაყურებლისათვის.

აუდიოჩანანერის გვერდით გაჩნდა ვიდეოჩანანერი, რომელიც მუსიკას გამოსახულებით, სურათებით განმარტავდა და აკონკრეტებდა.

უკვე არა მხოლოდ მოსმენა, არამედ – საესტრადო სიმღერების ხედვაც შეიძლებოდა. ტელეპროგრამები დაიპყრო მუსიკალურმა კომპიზიციებმა, მუსიკალურმა კომედიებმა და ფილმებმა.

მუსიკა სინამდვილიდან გაქცევაა და მოქმედებს როგორც ნარკოტიკი, – ამბობდა როკ-გიტარისტი ამერიკელი ერიკ კლეპტონი.

სცენაზე კი ერთმანეთს ერწყმოდა სიმღერა, ინსტრუმენტული მუსიკა, როკვა და კლოუნადა, ჰანგი და სანახაობა ანუ ერთ მთელად იკვროდა ხმაურიანი, მჩქეფარე მიკრო-სამყარო, ელექტრონით აჟღერებული და გაძლიერებული.

აუდიტორია იმეორებს სიმღერის რიტმიკას, მელოდიებს და ერთიანი განწყობილება ყალიბდება. ელექტრული ნათება და ხმაური სისხლივით უვლის აგზნებულ დარბაზს, სტადიონს თუ მოედანს. აქ ყველა მონაწილეა, როგორც ეს იყო უძველეს სისხლიან რიტუალში. მონაწილე განიმუხტება მორჩილი ცხოვრებით დაგროვილი აგრესიული ენერჯისაგან, აგრესიული ინსტინქტებისაგან, ხმას უერთებს თავისუფლებისაკენ მონოდებას.

პოპ-ვარსკვლავი უძღვება ამ პროცესს, როგორც შლეგი ქურუმი.

მუსიკის ენა ყველას ესმის, ისევე როგორც ფერწერა. მხოლოდ პროფესიონალიზმი ქმნის ბარიერს. მაგრამ ფერწერა სტატიკაა და ელექტრონს ვერ გაყვება, მასას ვერ გადაეცემა. შეზღუდულია მისი გავრცელების არეალი, მითუმეტეს – აბსტრაქტული სურათები.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა კინო მუნჯი იყო, ეკრანზე ჟღერდა მუსიკა, რაც განწყობილების ფორმირებას უწყობდა ხელს.

ეს იყო კლასიკური მუსიკა. შემდეგ გავრცელდა ჯაზი – ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავების მუსიკა. ჯაზს შეენაცვლა როკი, როკს – ბიგ-ბიტი.

ვიდეოკლიპს აკეთებენ სცენარისტი, რეჟისორი, მხატვარი, ასრულებენ მომღერლები და მუსიკოსები, იღებენ ოპერატორები. კარგი ვიდეოკლიპის გადაღება მილიონობით დოლარი ღირს. იგი გადაიცემა ტელევიზიებით, იჭრება ყველა სახელმწიფოში და უცებ ხდება პოპულარული.

ვიდეოკლიპი „ვარსკვლავის“ ჩამოყალიბების ეფექტური ხერხია, მითუმეტეს მაშინ, როცა რეკლამირებული მომღერალი ნიჭიერია, როცა ანსამბლი უკვე იხვეჭს პოპულარობას (მაგ., 1983 წელს სამ თვეში გაიყიდა ჯექსონის 23 მლნ. ფირფიტა).

ასე გაიცნეს მსოფლიოს ყოველ კუთხეში სინატრა, მაიკლ ჯექსონი, ელტონ ჯონი, ფრედი მერკური, ელვის კოსტელო, სტივ უანდერი, მაიკ ჯაგერი, ედიტ პიაფი, მირეი მათიე, ტინა ტერნერი, ელვის პრესლი, ანსამბლები – „ბითლზები“, „როლინგ სტოუნზი“, „სტინგი“, „პოლისი“, „ვერიტიმეიქსი“, „მოდერ ტოკინგი“...

ვარსკვლავებისა და ანსამბლების ფირფიტები, აუდიო და ვიდეოკასეტები, კომპაქტდისკები, რადიო და სატელევიზიო რეკლამები აღწევენ ცივ ციმბირში თუ ცხელ აფრიკაში.

მსოფლიოს თიშავს სიტყვა, აერთიანებს მუსიკა. წიგნს აღარ კითხულობენ, მუსიკას უსმენენ და უყურებენ.

გართობის ინდუსტრია აკავშირებს სხვადასხვა ერებისა და თაობების გულისცემას. იგი ერევა პოლიტიკაშიც, მონაწილეობს საარჩევნო ბატალიებში. მაგ., ნიქსონი სურათს იღებდა ელვის პრესლისთან, მიტერანი – მირეი მათიესთან, რეიგანი – ჯექსონთან.

ვარსკვლავის მასობრივი პოპულარობა, ფანების ტაში და ისტერია ამკვიდრებს მათი ქცევის, ჩაცმის, სიმღერის, მუსიკის სტილს, რასაც სანიმუშოდ მიიჩნევენ ახალგაზრდები. მაგრამ მოდა და თინეიჯერული ასაკი სწრაფად გადადის. ახლა სხვა ვარსკვლავები

სხდებიან კაბადონზე. ამ პერიოდული მონაცვლეობის უამს რჩება სიახლის მოლოდინი და ერთიანობის მხურვალე გრძნობა.

შოუ-ბიზნესი, შოუ-სპექტაკლები, შოუ-კონცერტები, ტელე-მართონები, სპორტული რეპორტაჟები მასკულტურის ყველაზე ეფექტური ნაწილია. მას ემორჩილება პრესა და წვლილი შეაქვს ამ ინდუსტრიის რეკლამირება-განვითარებაში.

ცხოვრება, რომელიც წარმოგვედგინა როგორც რიტუალი, გახდა შოუ-სპექტაკლი, გართობა და სანახაობა.

შოუ-ბიზნესს მოაქვს დიდი მოგება როგორც პროდიუსერებისა, ისე აქტიორებისათვის – ვარსკვლავი იქმნის თავის სამყაროს. მისი სახელი სჭირდებათ, მას ეთაყვანებიან, მას ემსახურებიან, ახვევენ ლეგენდების საბურველში, რთავენ სარეკლამო რგოლებში, ართმევენ ავტოგრაფებს, ინტერვიუებს, მასზე აკეთებენ სატელევიზიო გადაცემებს. მაგრამ იგი თავისი პოპულარობის ტყვე ხდება, იძულებულია დაიცვას რეჟიმი, დაემორჩილოს პროდიუსერსა და პირად ექიმს, საგასტროლო გრაფიკს, აუდიტორიის მოთხოვნებს, საგადასახადო კანონს, ე. ი. ეწირება თავის ბიზნესს.

ასევეა სპორტსმენიც. ისიც მუდმივ ფორმაში უნდა იყოს. ფეხბურთელი, რომლის კარიერა 10–12 წელი გრძელდება, კვირაში ორ მატჩს ატარებს. ამიტომ მოქცეულია მკაცრ რეჟიმში და თავისუფლად ვერ იცხოვრებს, თავისუფლად ვერ გადაადგილდება, უნდა დაიცვას კვების, ვარჯიშის, დასვენების გრაფიკი.

საზოგადოება ვარსკვლავისაგან მოითხოვს მუდმივ სიახლესა და შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენებას. თუ ფორმიდან ამოვარდა, მას შეცვლის სხვა ვარსკვლავი, რომელიც აუდიტორიას თავაზობს ახალ რიტმსა და გრძნობას. ახლა მის გარშემო დატრიალდება შოუ-ბიზნესის კარუსელი, ახლა ის უნდა დაიფერფლოს სცენაზე.

ჩამქრალი ვარსკვლავი აღარ ჩანს ცის კაბადონზე და დავინყებას ეძლევა.

ესთეტიკოსები და კრიტიკოსები მუდამ დაობენ ხელოვნების ნიმუშის ღირებულებაზე. კრიტერიუმი სხვადასხვაა, მაგრამ უპირატესია გემოვნება. გემოვნება მეტწილად სუბიექტურია. შესაბამისად ირღვევა და იცვლება ფასეულობათა იერარქია.

შოუ-ბიზნესისა და მასკულტურის ღირსების საზომი და კრიტერიუმი გუნდის, სოლისტის, ანსამბლის, აქტიორის, ავტორის პოპულარობაა. პოპულარობას კი განსაზღვრავს ფულადი შემოსავალი, გაყიდული

ნიგნი, კასეტა, რეკლამებიდან, კონცერტებიდან მიღებული ჰონორარი. ეს არის მყარი სტატისტიკა, რომელიც შეიძლება არ პასუხობდეს ესთეტიკურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განაგებს ელიტარულ კულტურას. მასკულტურის ღირსება კი მოგების ოდენობაა, რასაც ფანები თანაბრად აფასებენ.

კრიტიკიუმი ფულია!

ყველას ხიბლავს მწვერვალების სიდიადე. მაგრამ მათი სიმაღლე და სიცივე აფრთხობს ადამიანს, ურჩევნიათ შორიდან უმზირონ.

მხოლოდ ერთეულები სძლევენ მათ ციცაბოებს.

სამაგიეროდ, ყველას უყვარს ბარის სითბო, სადაც ჩქეფს ცხოვრება – ლალი და მშვენიერი, სასტიკი და დაუნდობელი.

ასეა კულტურაშიც, მის ელიტარულ და მასობრივ ფენებში.

ნეო–ნატურალიზმი და ნეო–ავანგარდიზმი

კულტურის ფორმები ყოველთვის ესწრაფვოდა დაახლოებას, ერთიანი სააზროვნო ველის შექმნას. ასე იქმნებოდა მოდა, სტილი ცნობიერებასა და ყოფიერებაში. რელიგია თუ იმპერია ავრცელებდა იდეებს, რაც უზრუნველყოფდა მათ გავლენასა და ზემოქმედებას.

ხელოვნებაშიც დროდადრო იფეთქებდა ახალი სტილი, რაც ცეცხლივით ედებოდა სხვადასხვა ქვეყნებს. მაგ., როცა ევროპაში რომანტიზმი ჩაისახა, იგი სწრაფად გავრცელდა ამერიკასა და რუსეთის იმპერიაში. ასევე უეცრად იპყრობდა ტერიტორიებს იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, მოდერნისტული და ავანგარდისტული სკოლები (მაგ., ფუტურიზმი, კუბიზმი, სიურრეალიზმი).

ხელოვნება ცოცხლობდა მუდმივი ტრანსფორმაციებით, ძიებითა და ექსპერიმენტით. იდეა და არსი, რომელიც გადადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში, ნაციონალური მასალით ივსებოდა. ეს ბადებდა ერთიანობის გრძნობას, ხელს უწყობდა ხელოვანთა სოლიდარობასა და კონსოლიდირებას (მაგ., სოციალისტური გლობალიზაციის ნიმუში გ. დანელიას კინოფილმი „მიმინო“).

ამ ინტეგრაციას ახლდა დიფერენცირებაც, გათიშვა და კონფლიქტი. მაგ., დადაისტი ვერ იტანდა სიმბოლისტს, სიმბოლისტი – ნატურალისტს, ნატურალისტი – იმპრესიონისტს. მაგრამ ამცირებდა ეროვნულ განსხვავებებს.

ასე რომ, ყალიბდებოდა ინტეგრაციის მოდელები, განსხვავებული რელიგიური თუ იმპერიული ინტეგრირებისაგან. ეს იყო ნებაყოფლობითი, სტიქიური ურთიერთსწრაფვა და ურთიერთგანლტოლვა. მაგ., ქართველი მოდერნიზების სოლიდარობა ევროპელი და რუსი ავტორებისადმი, მათი გამოცდილების ათვისება და მიბაძვა (ვრცლად იხ. „მოდერნიზმი“, თბ., 2008).

მაშინ არ არსებობდა გლობალური მასკომუნიკაცია, ერთიანი ტელესივრცე და ინტერნეტი. პრესა და წიგნი იყო ურთიერთგაცნობისა და დაახლოების საშუალება ან ჩასვლა კულტურის ცენტრებში, იქ სწავლა და მუშაობა, როგორც ამას აკეთებდნენ ქართველი ხელოვანები XX საუკუნის დასაწყისში (მაგ., ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, კონსტანტინე გამსახურდია).

როცა გაჩნდა კინემატოგრაფი, ეგონათ, რომ თეატრი მალე მოკვდებოდა, თეატრს ზოგი ადარებდა შუაგზაზე გაშხლართულ ლემს.

კინო იყო სენსაცია, და როცა ეკრანზე წამოვიდა პირველი მატარებელი, დამფრთხალი დარბაზი ფეხზე წამოცვივდა.

მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები, მსახიობები კინოსაკენ ისწრაფოდნენ. კინო უყვარდათ ლენინს, სტალინს, ჰიტლერს.

კინოვარსკვლავთა სახელები ყველას პირზე ეკერა.

ტექნიკურმა სრულყოფამ ფილმები ჯერ აამეტყველა, შემდეგ – გააფერადა. კინოინდუსტრიის განვითარებამ, გადაღების გაიოლებამ და დაფინანსების ზრდამ ჩამოაყალიბა ახალი ჟანრები და ფორმები.

აქაც ამინდს ქმნიან ამერიკული კინოსტუდიები. ისინი იპყრობენ მსოფლიო ბაზარს და ცდილობენ თავიანთ ქვეყანაში არ შეუშვან ევროპული თუ აზიური კინოპროდუქცია. მაგ., ინდოეთი იღებს ამერიკაზე მეტ კინოფილმს. მაგრამ ევროპულ და ამერიკულ ფილმებს ისინი კონკურენციას ვერ უწევენ: მათი სტილი, პრობლემატიკა, გემოვნება დასავლეთის მაყურებელს ნაკლებად იზიდავს.

განსაკუთრებით პოპულარულია ფანტასტიკური, პორნოგრაფიული, განგსტერული, სლემერული ფილმები. მათი თემატიკა, პერსონაჟები, სიუჟეტები, კონფლიქტები სტანდარტულია, შესაბამისად – ყველასათვის გასაგები.

ეფექტი ეფუძნება „შეძრწუნების ესთეტიკას“.

გლობალიზაციის პროცესი შეეხო ხელოვნების ტრადიციულ დარგებსაც. აქ იგი განვითარდა სპეციფიკური ფორმებით, ანტიესთეტიკური ექსპერიმენტებით, ნატურალიზმის რეანიმაციითა

და ავანგარდიზმის მორიგი სახეცვლილებებით (იხ. „ექსპერიმენტი – ესთეტიკური და ანტიესთეტიკური“).

თანამედროვე მასკულტურას ქმნიან არქიტექტორი, დიზაინერი, მოდელორი, შოუმენი, ჯაზმენი, როკმენი, მედკორექტორი, დეკორატორი, კინორეჟისორი და მსახიობი.

მხატვარი, პოეტი, დრამატურგი, ესთეტიკა მათი მსახურია.

პოეზიას აღარ კითხულობენ. ერთხანს, 60–იანი წლების ინგლისში, თითქოს აღიძრა ინტერესი, მაგრამ მალე ისევ მიივიწყეს. არც „ამხანაგთა სათრეველი“ ლექსი უნდათ, მითუმეტეს – დრამატული და ინტელექტუალური. ასეთ დროს პოეტი ირგებს კლოუნის ნიღაბს: იგი, როგორც პიერო თუ არლეკინო, ჟონგლიორობს, ლაზლანდარობს, ბილწნიტყვაობს, დასცინის პოეზიას, რათა ასე მაინც მიიქციოს ყურადღება, ვინმე გააცინოს და იქნებ დააფიქროს კიდევ.

ლექსი არის საჭირო როგორც ტექსტი ესტრადისათვის. რომანი ცოცხლობს. მაგრამ უფრო სასურველია როგორც მასკულტურის მასალა, როგორც სცენარი ფილმისათვის.

დრამატურგია ლიტერატურიდან გადავიდა თეატრსა და კინოინდუსტრიაში, ტელევიზიაში.

გლობალიზებულ სივრცეში მწერალი ისევე აღმოჩნდა ზედმეტი, როგორც პლატონის სახელმწიფოში.

თეატრიც, ლიტერატურაც მაყურებლისა და მკითხველის მისაზიდად ცდილობს ტრადიციის ირონიზებას, გადააზრებას (მაგ., ჩვენში ცნობილი პლენცდორფის „ახალი ვერტერის ახალი ვნებანი“), კლასიკის ექსპერიმენტულ წარმოდგენას (მაგ., რობერტ სტურუას სპექტაკლები), რათა შეცბუნებამ და გაოცებამ აღძრას აზრი, აზრმა – ემოციები.

ამიტომ ამჯერად მშვენიერს ცვლის საინტერესო, რაც არის „მოლოდინის გამტყუნების“ ესთეტიკა.

ასეთი ხედვა მასობრივ კულტურასაც აძლევს ინტელექტუალურ ელფერს. მაგრამ მათ გატანას სჭირდება ეფექტური რეკლამა. ახლა რეკლამაა შუამავალი ხელოვნებასა და მასებს შორის, როგორც ადრე იყო კრიტიკოსი, რათა მიიზიდოს მომხმარებელი.

მაგ., სოთბის აუქციონზე ედვარდ მუნკის „კივილის“ პასტელით შესრულებული ვერსია 120 მლნ დოლარად გაიყიდა, პაბლო პიკასოს „შიშველი ქალი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“ – 106.6 მლნ დოლარად.

ამ სურათებს მხოლოდ ბიზნესმენი თუ შეიძენდა.

პოპ-არტის ნიმუშები მასაში, დედამინის სხვადასხვა ნერტილში გააქვს კომუნიკაციის გლობალურ ქსელს. იგი ახდენს ხედვისა და აღქმის კონცენტრირებას. მაგრამ საამისოდ საჭიროა ისეთი ფორმები, ისეთი სტრუქტურები, რაც იოლად ძლევს ნაციონალურ და ენობრივ ბარიერებს.

ამან განაპირობა ნატურალიზმისაკენ მიბრუნება. ნატურალიზმის სანყისი იყო მატერიალისტური ცოდნა, სოციალ-დარვინიზმი, ბიოლოგიური ინსტინქტებისა და იმპულსების მოდელირება, რაც ახალ სიტუაციაში აღმოჩნდა საუკეთესო ხერხი ერთიანობის მისაღწევად, კულტურის მასობრიობისათვის.

ფუტურიზმმა და კუბიზმმა პირველად მოუხმეს მანქანას, გეომეტრიულ ფიგურებს, რკინას და ფოლადს – ჭარბი ესთეტიზმისა და ელიტარობის დასაძლევად (ვრცლად იხ. „H₂SO₄“-დან „მემარცხენეობამდე“).

ტექნიკურმა ესთეტიკამ შექმნა დიზაინი, რაც არის მშვენიერების იდეალის გადატანა ოცნების სფეროდან რეალობაში, სიტყვის, ფერის, ბგერის, პროპორციისა და ჰარმონიის საგნებად ქცევა.

ახალმა ესთეტიკამ წამოსწია, ერთი მხრივ, ტექნიციზმი, რაციონალიზმი და პრაქტიციზმი (მაქს ბენზე, ავრამ მოლი, მანფრედ ტილი), მეორე მხრივ, ქაოსი და დისჰარმონია (ანჯელო გულიელმი), სექსი და ინსტინქტები.

პირველი განვითარდა კიბერნეტიკისა და ინფორმაციის თეორიის მიმართულებით (მაგ., „კონკრეტული პოეზია“), მეორემ ხელოვნება გააიგივა ცხოვრებასთან, ყოფით ენასთან და პოპ-არტის კულტურა ჩამოაყალიბა, რომელმაც შეინარჩუნა ფსიქოანალიზი. აჩქარებული და კონცენტრირებული დრო, დროის ნერვიული პულსაცია ექსპერიმენტებს მოითხოვს და აჩენს კიდეც (მაგ., ჩვენში ტ. ჭანტურიას პოეზია, გ. დოჩანაშვილის პროზა).

მაშინ, როცა შოუ-ბიზნესი მილიარდებს ატრიალებს და იმორჩილებს მთელ მსოფლიოს, როცა რეკლამა და დიზაინი თვალს იტაცებს, როგორც ტექნიკით კონსტრუირებული ლანდშაფტი, ხელოვნება ღებულობს ასეთ გამოწვევას – ის ცდილობს ექსპერიმენტებით, არნახული ფორმებითა და უცნაური ხედვით შეაცბუნოს მასმედია, მკითხველი, მაყურებელი (მაგ., პოპ-არტის ლიდერის რობერტ რაუშენბერგის ყველაზე ცნობილი სურათია თხის ფიტული, რომელსაც წამოცმული აქვს ავტომობილის საბურავი).

ამჯერად მოქმედებს „სენსაციის ესთეტიკა“. მაგ.: ზოგი მხატვარი ხატავს საკუთარი სისხლით.

ექსცენტრიკა არის ექსპერიმენტის საექსპლოატაციო მასალა, რაც გადაწვდა სტილსა და მეტყველებას.

ეს არის როგორც განდგომა და პროტესტი, ისე ინტელექტუალური ჩართვა.

ამგვარ ძიებას ახლავს ბანალობა, ვულგარობა, სექსი და ეროტიკა, სიტყვებით თამაში, სიუჟეტის, კომპოზიციისა და ხასიათების დაშლა, ინტელექტუალური წესრიგის აფეთქება და მიბრუნება ინსტინქტებისადმი, მათი წამოწევა, მათი სტილიზება, შეგნებული ქაოსის წარმოქმნა (პოპ ნიშნავს დარტყმას, აფეთქებას), ირონია, ჟარგონი, ცინიზმი და ნიჰილიზმი, როგორც თამაში.

ექსპერიმენტი აფართოებს ხელოვნების სივრცეს. ეს შეეხო რელიგიურ თემატიკასაც (მაგ., როკ-ოპერა „იესო ქრისტე – სუპერ-ვარსკვლავი“). ზოგი (მაგ., ამერიკელი ლ. ფიდლერი) მოითხოვს ზღვარის წაშლას მასობრივ და ელიტარულ კულტურებს შორის, ტექნოლოგიურ რეალობასა და მითებს შორის.

მოდერნისტები უარყოფდნენ რეალისტებსა და ნატურალისტებს, ავანგარდისტები – მოდერნისტებს. მათ ერთმანეთისაგან სთიშავთ რომანტიკა, ესთეტიზმი, ტექნიციზმი.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ნეო-ავანგარდისტებიც ებრძვიან მოდერნისტულ ესთეტიკას და მოკავშირედ იგულვებენ გარდასული დროის ნატურალიზმს, რომელსაც ექსპერიმენტულს უწოდებდა ემილ ზოლა.

ახალმა დრომ ხომ მოიტანა ახალი ცოდნა ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის თუ ტექნიკის დარგებში. ამ ცოდნის მხატვრული მოდელირება თავისთავად არის ექსპერიმენტი.

ავანგარდიზმი ჩაიძირა ნატურალიზმში და მათი ნაერთი არის მასობრივი კულტურა, რომელმაც გამოიმუშავა თავისი მიმართებები, ანტიესთეტიკური ესთეტიკა, თავისი ჟანრები (იხ. „მასკულტურის ფორმები“). ამ ტენდენციამ კარგა ხანია შემოატანა ქართულ ლიტერატურაშიც.

ხელოვნებას შეუერთდა დიზაინი, რეკლამა, პროდუქციის გაფორმება, გარემოს ტექნიკური ორგანიზება, ირონიზებული ინტელექტუალური ნაკადი.

მასკულტურასაც სჭირდება თავისი პროფესიონალი, თავისი საქმის ოსტატი. ჩვენში ამ მხრივაც არეულია სტანდარტები:

კაცი დღეს მწერალია, ხვალ – მუსიკოსი, ზეგ – მხატვარი. შემდეგ შეიძლება ხელოვნებას ჩამოსცილდეს, პროფესორად მონათლონ და რომელიმე უნივერსიტეტში სტუდენტებს გადასცეს თავისი ეკლექტური გამოცდილება. მაგ., როგორ წერდა ერთ დღეში რომანს.

როგორც ვთქვით, ესთეტიკა გავიდა ხელოვნებიდან და ტექნიკის საშუალებით გარდაქმნა გარემო – ქუჩა, ბაღი, ბინა, ტრანსპორტი, ავეჯი, ყოფითი ნივთები. მაგრამ თავად დარჩა გულგამოცლილი და ზედმეტი, ვინრო წრის საკუთრება, როგორც ეს იყო ძველად.

ხელოვნება ისევ ხაზგასმული ანტიესთეტიზმით ან სამეცნიერო ფანტასტიკით, ეროტიკითა და პორნოგრაფიით, დოკუმენტურობით ცდილობს ყურადღების მიქცევას და დაკარგული პოზიციის დაბრუნებას. ეს კი მოითხოვს მუდმივ ძიებას, ექსპერიმენტს, მუდმივ ავანგარდულ მზადყოფნას, ახალი ტექნიკური არსენალის გამოყენებას, ფანტაზირებას ფანტასტიკის თუ შეშლილობის ზღვარზე.

ამიტომ გაერთიანდა მასობრივ კულტურაში ნეო-ავანგარდიზმი და ნეო-ნატურალიზმი, რასაც პოსტ-მოდერნიზმს უწოდებენ ხოლმე.

ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი

გლობალისტური დროის ელექტრონული კულტურა ურბანისტულ ცენტრებში იქმნება. იგი ცივილიზაციის კულტურაა, რომელმაც შეცვალა გარემო, ლანდშაფტი, ცხოვრების წესი. ტექნიკის პროგრესმა დაიწყო ახალი ცენტრალიზება და იგი გადასცა მსოფლიოს, დაუმორჩილა ქვეყნები, თაობები, ხედვა და გემოვნება.

კულტურა და ცივილიზაცია ქალაქით იწყება, რომელიც აყალიბებს ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას (ჰ. სპენსერი, ე. დიურკჰაიმი, მ. ვებერი).

რამდენადაც განვითარებულია ტექნიკა და ეკონომიკა, იმდენად არის ქალაქი ურბანული, ლამაზი და მრავალრიცხოვანი.

ქალაქის დაცემა უკავშირდება სახელმწიფოს დაცემას.

როცა სახელმწიფო ძლიერია, სოფლიდან მიგრაციის ტალღა ისწრაფის ქალაქისაკენ. ეს არის საუკეთესო ნაწილი – ენერგიული და უნარიანი. მას აქვს ახალი სივრცის ათვისებისა და დაპყრობის წყურვილი. კონკურენცია, ბრძოლა ადგილის დამკვიდრებისათვის, ინფორმაციის გაცვლა ააქტიურებს გონებას.

მოსახლეობის ზრდა ინტერესებსაც ზრდის. იწყება შრომის დანაწილება. სოფელში ეს არ არის. იქ ყველა ოჯახი მიკროსამყაროა და ყველა ყველაფერს აკეთებს – არის მევენახეც, მესიმინდეც, ხელოსანიც, მებაღეც, მესაქონლეც.

შრომის განაწილება ავითარებს პროფესიონალიზმს, რაც მიდის წარმოების ავტომატიზაციამდე.

დღისით სმოგით დაბურული და ღამით ელექტრონული რეკლამებით აელვებულ ქალაქი პირველ რიგში მაინც არქიტექტურაა, შენობები, სტადიონები, პროსპექტები, მაღაზიები, პარკები. მათ აშენებს და ცვლის ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი. მეგაპოლისი ქალაქიც არის და ბალიც.

XX საუკუნის დასაწყისიდან ადამიანი ისწრაფვის ზეცისაკენ, სულთა საუფლოსაკენ. რაიტისა და კორბუზიეს არქიტექტურა მსუბუქია და ნათელი. მრავალსართულიანი რკინის, ალუმინისა და შუშის კედლები ცისკენ აჭრილი ოცნებაა, რომელმაც გოტიკური, ბაროკოული თუ მოდერნული სტილი შეცვალა, გახდა უფრო ეფექტური და მობილური, უფრო რაციონალური, განტვირთული მორთულობისაგან.

ძველი არქიტექტურა თუ ხელოვნებაა, რომლის საუკეთესო ნიმუშები სასახლეები, ტაძრები და ეკლესიებია, ახალი სამეცნიერო მონაცემებს ემყარება (მაგ., ნიადაგის სიმყარე, მასალის გამძლეობა და ხარისხი). კვარტალები და კორპუსები კარკასული, მზიდი და საზიდი კონსტრუქციებით სერიულად შენდება.

ძველად თუ ქალაქი სტიქიურად ფართოვდებოდა, ახლა დაგეგმარება აუცილებელია. ადრე თუ ქუჩებს ანგარიში არ ენეოდა, ახლა მოზღვავებული ტრანსპორტი აფიქრებს არქიტექტორს, რომ გეომეტრიული კონსტრუქციის მრავალსართულიანი შენობები შეუხამოს მაგისტრალებსა და ქუჩებს. ასევე შესაბამისად გადაწყვიტოს ოთახების შიდა განლაგება, ინტერიერი, შიდა კომუნიკაციები.

ურბანიზმი, ინდუსტრია, არქიტექტურა, დიზაინი, ავეჯი, ტრანსპორტი ნერგავს ფუნქციონირების საერთო რაციონალურ სტილს, ქალაქის ზოგად სტრუქტურას, რომელიც ერთმანეთს ჰგავს ნიუ-იორკსა და ტოკიოში, ჩიკაგოსა და ბერლინში, ვაშინგტონსა და სინგაპურში. ადამიანი მათ ემორჩილება ანუ, როგორც ვთქვით, ექცევა ტექნიკის სასიამოვნო ტყვეობაში.

ურბანიზმის, თანამედროვე ქალაქის დაგეგმარებისა და აშენების

მრავალი კონცეფცია არსებობს, მრავალ მოდელსა და პროექტს იცნობს დღევანდელი მოქალაქე.

მათგან მნიშვნელოვანია რაიტისა და ლე კორბუზიეს ტრადიციები, ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლა (უ. ტომასი, რ. პარკი, ლ. ვირტი), ამერიკული ცათამბჯენების კოსმოპოლიტური სტილი, რაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა (მაგ., ნიუ-იორკის 102 სართულიანი ემპაიერი, რომელიც აშენდა ერთ წელიწადსა და ოთხ დღეში), რათა მიწის სიმცირე და სიძვირე დაეძლიათ ზეცისკენ სწრაფვით.

ურბანიზმს, პოსტინდუსტრიულ და ინდუსტრიულ საზოგადოებას მოაქვს ცხოვრების ახალი წესიც, რასაც ასე განმარტავენ:

ინდივიდებს შორის მეორეხარისხოვანი კონტაქტების უპირატესობა, ნათესაური კავშირების შესუსტება; ოჯახის სოციალური მნიშვნელობის შეკვეცა; მეზობლობის გაქრობა, სოციალური სოლიდარობის ტრადიციების დაკარგვა, სოციალური კონტროლის შემცირება, ზედაპირული და ანონიმური ურთიერთობები; ადამიანებისადმი საქმიანი დამოკიდებულება, რაც არის შრომის განაწილებისა და სპეციალიზების შედეგი (ლ. ვირტი).

პროგრამირებული და ზომბირებული ინდივიდი კანონებს ემორჩილება, უფროსის ვნებათა და გრძნობათა აფეთქებას, მრავალსართულიანი კორპუსის კეთილმონყობილ ბინაში ცხოვრობს, როგორც კომფორტულ კარცერში; ტელევიზია და კომპიუტერი მთავარი გასართობია, მანქანა—გადაადგილების საშუალება, ცხოვრება—თამაში. ახლობლები ჰყავს სამსახურში; მათთან აქვს საქმიანი ურთიერთობა; მკაცრად იცავს დროის ბიუჯეტს, დრო ზუსტად აქვს განაწილებული, როგორც შრომისა, ისე დასვენებისათვის, როგორც ოჯახისა, ისე ახლობლებისათვის (იხ. „პროგრამირება და ზომბირება“).

გარემოც სტანდარტულ საგნებს გვთავაზობს:

სერიულად მზადდება ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ავეჯი და ქაღები, თეფშები, ჭიქები თუ დანა—ჩანგლები, ბეჭდები და საყურეები; სუპერ-მარკეტები ბრწყინავს ნაირგვარი პროდუქციის ეტიკეტებით; თვალს იტაცებს გამორჩეული დიზაინი; რეკლამების ცეცხლში იწვის ღამის ქალაქი. ყველაფერი ისე მასობრივად ვრცელდება მთელს მსოფლიოში, როგორც აუდიო და ვიდეო კასეტები, ფილმები და ტელესერიალები, ვრცელდება და ერთიან მოდას, ერთიან გემოვნებას ამკვიდრებს.

მსგავსი გარემო, ნივთები, ინფორმაცია აყალიბებს მსგავს წარმოდგენებს, ფსიქიკასა და ცნობიერებას. ნიველირებას, ერთი მხრივ, ესწრაფვის ადამიანის ბუნება, მეორე მხრივ – ეურჩება. ეს ინვესს ახალ ნევროზებს, ფსიქიკურ და სექსუალურ გადახრას, რაც ზოგჯერ ტრაგიკულად განიმუხტება (მაგ., აშშ-ში ამ დღეებში ერთმა ახალგაზრდამ დახოცა ოცი ბავშვი და ექვსი მასწავლებელი).

ტრანსფორმირებული სახელმწიფოები, ახალი მენტალიტეტის საზოგადოება, ტექნოკრატი მოქალაქენი ტყუპის ცალით ჰგვანან ერთმანეთს (გავიხსენოთ მაქს ფრიშის „Homo Faber“).

როგორც ურბანიზმი და არქიტექტურა, ისე ურბანული ცხოვრების წესი აერთიანებს ადამიანთა ინტერესებს, ხედვასა და სულისკვეთებას. გლობალიზებული ინდივიდები მეტნაკლებად ერთნაირად ცხოვრობენ ნიუ-იორკსა და ჰონკონგში, ჩიკაგოსა და პარიზში, ერთნაირად ფიქრობენ და აზროვნებენ.

კონსტრუირებული გარემო და ლანდშაფტი, ტრანსპორტი და ყოფითი ნივთები, ქუჩა და შენობა არის ახალი რეალობა. იგი ხელოვნებიდან გამოვიდა, ოცნება იყო და სინამდვილედ იქცა. ის, რაც ადრე ერთეულებს ეკუთვნოდათ, დღეს ყველასათვის ხელმისაწვდომია: ელიტარული გახდა მასობრივი, არისტოკრატიული – დემოკრატიული. ამას ამკვიდრებს ურბანიზმი და ურბანული ცხოვრების წესი, რაც მეგაპოლისების სახით აერთიანებს ვირტუალურად შეკავშირებულ ადამის მოდგმას.

ღირებულებათა კოლაფსი

ელიტარულმა კულტურამ არსებობის შესანარჩუნებლად, ყურადღების მისაზიდად ექსპერიმენტული გზა არჩია. მას დარჩა დამფასებელი, მაგრამ ერთობ ცოტა. მშვენიერების მუდმივმა ძიებამ, მისმა ვირტუალურმა ხილვებმა აღმოაჩინა ანტიმშვენიერება, როგორც სიმბოლიზმმა – სიმახინჯე.

როგორც ვწერდით, ხელოვნებას დაეუფლა ირონია, ცინიზმი, ნიჰილიზმი, ყოფიერების აბსურდულობის განცდა, როცა ყველაფერმა ფასი დაკარგა.

ასე რომ, იგი თავად ამბობს უარს თავის წარსულზე.

პრაგმატულ და პრაქტიციკისტულ საზოგადოებას ხელოვნება

სჭირდება იმდენად, რამდენადაც გაართობს, სჭირდება არა ხელოვანი-რეოლუციონერი, არამედ – ხელოვანი-კლოუნი, არა სულიერება, არამედ – ხმაური და მოძრაობა, რიტმი და როკვა, არა სიცოცხლის აზრის ძიება, არამედ – ტკბილი ცხოვრება.

რელიგიები სექტებად იშლება. ყველა სექტა თავის რწმენის ჭეშმარიტებას ქადაგებს, ასე მოძღვრავს თავის მრევლს.

მსოფლიოში არსებულ 3–000–მდე სექტას უკვე უღმერთობა უფრო გააერთიანებს, ვიდრე ღმერთის რწმენა.

ფილოსოფოსები ისე გაერთნენ ჭეშმარიტების ძიებაში, რომ ერთმანეთისა აღარ ესმით და, როგორც სკეპტიკოსები ამბობენ, არც არავის აინტერესებს მათი განსჯა, აბსტრაქტული, ცხოვრებისაგან დაცილებული ცნებები.

ხელოვნებამ, რელიგიამ, მეცნიერებამ ფილოსოფიას ყველაფერი წაართვეს და ასე განძარცული დატოვეს.

თუ პრაგმატულ საზოგადოებას ტაძარი სჭირდება როგორც კულტურის დეკორი, უფლის სახელი – როგორც ფსიქოთერაპია, ფილოსოფიას არც სარგებლობა მოაქვს, არც სიკეთე, არც ჭეშმარიტება.

მეცნიერება ტექნიკაში გადავიდა, ტექნიკად ამეტყველდა. მაგრამ რალა დარჩა საკვლევი, თითქოს ყველაფერი მოპოვებულია, შესაქმნელი – შექმნილია, აღმოსაჩენი – აღმოჩენილი.

ატომური ბომბით კაცობრიობა თავის აღსასრულს მიუახლოვდა. იგი ჯერჯერობით მშვიდობის რეგულატორია, მაგრამ ერთხელაც იქნება და ხმას ამოიღებს.

ისტორიასა და პრეისტორიას იკვლევენ, ეძებენ ენისა და აზროვნების საწყისებს, ეძებენ დაკარგულ დროს, ეძებენ უკვდავების წამალს. მაგრამ პრაგმატულ და პრაქტიცისტულ საზოგადოებას უფრო ის აინტერესებს, როდის გაიზრდება ხელფასები და პენსიები, როდის დაინევს ფასები ან როგორი ამინდი იქნება ხვალ...

კულტურა ცივილიზაციად იქცა.

მასობრივი კულტურის ქაოსსა და ანარქიაში აღარც წიგნი ფასობს, აღარც კლასიკური მუსიკა და კლასიკური ლიტერატურა.

მხატვრები კი ცდილობენ გაგვაოცონ ანტიესთეტიზმით, უცნაური ფორმებით, ვულგარული კოლაჟით, რათა ასე ჩარჩნენ ჩვენს მესხიერებაში: მთავარია ვიღაცას ახსოვდე, არა აქვს მნიშვნელობა – როგორ.

ელექტრონული გალაქტიკის ცაზე მრავლდება ჩამქრალი

მნათობები. ციმციმებენ ის ვარსკვლავები, რომელთაც აცოცხლებთ ფული და ტაშისცემის ენერგია. მალე ისინიც ჩამოცვივა და ახლები აენთებიან.

კულტურა პატივსაცემად მიაჩნიათ იმდენად, რამდენადაც მოემსახურება ცივილიზაციას, რამდენადაც დასჭირდება ურბანიზმის ინდუსტრიას.

ამიტომ ლოგიკური ცოდნის, ისტორიული მეხსიერების დაცვისა და გავრცობის სანაცვლოდ ფანტაზია ფალსიფიცირების საშუალებაა.

ტყუილი და მართალი, კარგი და ცუდი, ყალბი და ნამდვილი, სუროგატი და ორიგინალი ერთმანეთში ირევა და იმარჯვებს ის, რომელიც უფრო ეფექტურად აკმაყოფილებს მდაბალ ინსტინქტებს და შესაბამისად – მეტი ფული მოაქვს.

ასე რომ, დადგა ღირებულებათა კოლაფსის ჟამი.

ამას უფრო ამწვავებს ნაციონალური კულტურების ბედი. გლობალური გაერთმნიშვნელობების დროს, როცა კონკურენცია ეროვნული საზღვრებიდან გავიდა, კიდევ უფრო დამძიმდა პოეტის, მხატვრის თუ რეჟისორის ხვედრი.

მათ შინაც ეჭვით უყურებენ, გარეთ როგორ შეხედავენ ალტაცებით. მითუმეტეს – რა იქნება ხვალ?

საყოველთაო ნიჰილიზმი, ეკლეზიასტეს ამაოება გზას უხსნის გლობალიზაციას, რომელიც გვპირდება უკონფლიქტო, მშვიდ, ტკბილ, ბედნიერ ცხოვრებას.

ეროვნული კულტურა უკავშირდება ერის ბედს. ერი კი, როგორც ვთქვით, ქმნის სახელმწიფოს. მაგრამ თუ მივინებდით გლობალიზაციის ტალღებს, ერი დაკარგავს თავისთავადობას და სახელმწიფო იქცევა ადმინისტრაციულ ერთეულად, ეკონომიკურ რეგიონად. ყველაფერი იქცევა წარსულად, ისტორიად, რომელსაც მხოლოდ მუზეუმები შეიფარებენ.

ამიტომ გლობალიზაციის ამ შეუქცევად მართონში ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნის კულტურა ეძებს თავის ადგილს, რათა არ ჩაიკარგოს და მოდერნიზებით შეინარჩუნოს ნაციონალური მოდუსი, რათა ისევ ჰყვაოდეს სიცოცხლის ხე, მწვანე ფოთლებით შემოსილი.

2012 წელი, ნოემბერი–დეკემბერი

მესამე ნიგნში გამოყენებული ლიტერატურა

- ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005
ამერიკის შესწავლის საკითხები, III, თბ., 2005
ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2010, I.
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი, I, II, თბ., 1999
უ. ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ., 2001.
ნ. ბარათაშვილი, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და მსოფლიო წესრიგი, თბ., 2004.
გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა, თბ., 2005; II, თბ., 2007
დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX ს.), თბ., 1988
ნ. დევდარიანი, ლერწმის სტრატეგია, თბ., 2008
ს. დალი, სალვადორ დალის იდუმალი ცხოვრების ამბავი, თბ., 2012
ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003
ჰ. დევისი, ბიტლზი, თბ., 2011
ლ. ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, თბ., 2011
გ. ვაჩნაძე, ვიდეოს ერა. საუკუნე პირველი, თბ., 1988
ი. კვესელავა, კულტურა და პოლიტიკა, ნიგნში: კულტუროლოგია, თბ., 2010
მ. კვესელავა, ასერგასის დღე, I-III თბ., 1968–1974
კ. კუტუბიძე, სახელმწიფო სუვერენიტეტი და გლობალური ინტერესები, თბ., 2002
ლი კუან იუ, მესამე სამყაროდან პირველში: სინგაპურის ისტორია: 1965–2000, თბ., 2012
ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბ., 2008
რ. მიშველაძე, კულტურა, პოლიტიკა, თბ., 2010
ნ. მანდელა, საუბრები საკუთარ თავთან, თბ., 2012
მეცნიერებისა და ტექნიკის ჰორიზონტები, თბ., 1973
გ. მჭედლიშვილი, მითების ტყვეობაში, თბ., 2012
ს. ს. მონტეფიორე, სტალინი. წითელი მეფის კარი, თბ., 2012
რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი, №1–2, 2009
თ. ნამიჩიშვილი, ა. ფრანგიშვილი, კულტურა და მეცნიერება ნიგნში: კულტუროლოგია, თბ. 2010
გ. სანიკიძე, ნ. კიდურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია თბ., 2001.

- ს. საჯაია, საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?! თბ., 2008
- ს. სიგუა, ეპოქა და სტილის პრობლემა, თბ., 1976
- ს. სიგუა, ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1994
- ჯ. სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ., 2012
- კ. უოლცი, ადამიანი, სახელმწიფო და ომი, თბ., 2003
- გ. ფანჯიკიძე, იქ, სადაც ცხოვრობდნენ ადამ და ევა, თბ., 1980
- ფ. ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999
- ა. ჩიკვაიძე, პოლიტიკური ჭადრაკი, თბ., 2004
- ა. შპეერი, ჰიტლერი, მოგონებები, თბ., 2012
- ვ. ჭანია, პოლიტოლოგიის საფუძვლები, თბ., 2000
- ე. ჯაველიძე, უკუნეთი, თბ., 2001
- ს. ჰანთინგტონი, ცივილიზაციათა შეჯახება?! თბ., 1997
- პ. ჰერსტი, გ. ტომპსონი, გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი. თბ., 2005
- გ. ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, ცოდნის ეკონომიკა და მართვა, თბ., 2010
- Борьба идей в эстетике, м., 1974
- Л. Гастригин, П. Граве, Кибернетика как она есть (Кибернетика и психика). М., 1975
- П. Гуревич, Культурология, М., 2001.
- Ле корбузье, Архитектура XX века, М., 1970
- А. Кукаркин, Буржуазная массовая культура, М., 1978
- Дж. Джекобс, Закат Америки, М., 2006
- Б. Виппер, Производство искусства в мире художественной культуры, М., 1988
- Семиотика и художественное творчество, М., 1977
- Многоликая глобализация, М., 2004
- Е. Михайлов, США. Проблема больших городов, М., 1972
- Искусство и Научно-технический прогресс, М., 1973
- Дж. Сорос, О глобализации, М., 2004
- М. Паренти, Власть над миром, М., 2006
- А. Тойнби, Постигание истории, М., 1991
- О, Яницкий, Урбанизация и социальные противоречия капитализма, М., 1975

დამატებანი

დამატებით ნაწილში ნაჩვენებია კულტურების დაახლოების პროცესი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სფეროში, რაც არის დღევანდელი გლობალიზაციის ტენდენციები და ადრეული ინტეგრირების პრაფორმა.

ეპოქა და სტილის პრობლემა

(მონოგრაფიიდან – „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“)

ეპოქები ცნობიერებაში მკვიდრდებიან ნაირგვარი სტილური ფორმებით. დროის რიტმს მეტნაკლები სიჭარბით გრძნობს ყოველი ხელოვანი; ზოგადი მოვლენა იშლება კონკრეტულ მოდელებად. რენესანსი – ეს გრანდიოზული გამჟღავნებაა ადამიანის სულიერი აქტივობისა. მასში წარუვალი სახეები აღბეჭდეს გენიოსებმა, მაგრამ მათ შორის არსებობდა უხილავი მსგავსება. ეს იყო ეპოქის სტრუქტურით დალდასმული მთლიანობა.

სასიცოცხლო წესრიგის შეცვლით ემხობოდნენ ფორმალიზებული იდეები. საზოგადოებრივი დინების ყოველი შემობრუნება შობს ადექვატურ ზედნაშენს. მას ევალება ახალი ვითარების დამკვიდრება-ცა და გამართლებაც. შეიძლება ის მარადისობის წინაშე პირნათელი არც გამოვიდეს, მაგრამ ცხოვრების ლოგიკა ზოგჯერ შეცდომებსაც კანონებად გარდაქმნის, შემდეგ დამკვიდრებული შეხედულებანი ვითარდებიან სანყისი ენერჯის დოგმატიზებით. განვითარების სპირალური პროცესი სისტემებს მოიცავს. ლიტერატურისათვის უცნობია მარადიული აღმასვლა. აქ განვითარება გაუკეთესებას არ უდრის. როგორც ადამიანის ცხოვრების თუნდაც ერთფეროვანი დღეები სავესებით ერთმანეთს არა ჰგვანან, ისე არ შეიძლება ერთი ხელოვანის შემოქმედება ასლი იყოს მეორისა. არსთა მაქსიმალური თანხვედომა გამორიცხულია, ხოლო შეხვედრის წერტილები შესაძლოა ნებისმიერ შემოქმედს აღმოუჩინოთ თუნდაც ანტიკურ სამყაროსთან.

1. კულტურა და ეპოქის რიტმი

20-იანი წლების დრამატიზმი, ძველისა და ახლის ბრძოლა, სოციალური და პოლიტიკური შინაჭიდილი სტილურ ფორმებად მიიღო სიტყვაკაზმულმა მწერლობამ. ალ. ბლოკის „თორმეტნი“ თუ გ. ტაბიძის „ჯონ რიდი“ იწერება ნერვიული ეპოქის კარნახით. დრო არ იძლევა დაფიქრების საშუალებას. ყოველივე ინგრევა. ეს არის ნგრევის სიხარული, კოსმიური ალტყინება. ლიტერატურაში იჭრება განადგუ-

რების უხეში ესთეტიკა და გადაშენების პესიმიზმი. ერთ მოვლენას ორი მსოფლმხედველობა განსხვავებული ტონალობით შეიგრძნობს. თვით რეალობა იძლევა საზრდოს ფანტაზიისა და ფორმებს მისი მდგომარეობისა. ამ დროს უხერხულია არისტოკრატიული მანერებით საუბარი. „ვინ – ვის?“ ეს მიძიმე კითხვა ნიშნავს ზრუნვას ნამდვილი არსებობის გადასარჩენად.

პროლეტარულმა პოეზიამ იგრძნო ცეცხლოვანი სივრცეების მაჯისცემა, თუმცა მოსმენა და გადმოცემა ვერ შეძლო. რთული სააზროვნო ფორმები წინა ხაზზე ვერ დადგებოდნენ, მათ არ შეეძლოთ ჯარისკაცებად ამხედრება. ამიტომაც არ მიიღო რევოლუციამ მოდერნისტული და ავანგარდისტული კულტურა. ზოგჯერ სტილი განურჩეველია შინაარსისადმი. ხოლო მოდერნისტული ხელოვნება არათუ იდეურად, სტილურადაც მიუღებელი აღმოჩნდა. მასების პრიმიტიული გემოვნება მოითხოვდა ისეთსავე მარტივ და ყოველდღიურ საზრდოს, როგორცაა მშვიერისათვის პური და წყალი.

30-იანი წლებიდან სოციალისტური აღმშენებლობის პათოსმა მოიცვა ქვეყანა. ნელ-ნელა განწყდა კონტაქტი ბურჟუაზიულ დასავლეთთან. ხუთწლედების რომანტიკით შეთრთოლდა ახალი სამყარო. სიბნელისაგან თავდაღწეული მასები შეერჩვივნენ მზის სინათლესა და სიმკაცრეს. აღდგენა სჭიროდა განადგურებულს, შექმნა – შეუქმნელს, მიღწევა – მიუღწეველს, შუშდებოდა იარები. სოციალისტური კულტურა ქმნიდა თავის არსებობის დამამტკიცებელ ძეგლებს. პროლეტარულ ენთუზიაზმს ცვლიდა ლოგიკური განსჯა და დაფიქრება. ნგრევის ადგილი დაიკავა აღმშენებლობამ. თუ ადრე უარიყოფოდა თითქმის ყოველივე და სანაცვლოდ დეკლარაციები გვეძლეოდა, ამჯერად უკუგდებამ პრაქტიკული ხასიათი მიიღო. ეს იყო შემოქმედებითი დაძლევა წარსულის მემკვიდრეობის ინერციისა, რაც მოასწავებდა ახალ ფასეულობათა შექმნას. სიტყვიერი უარყოფა იოლია, ხოლო მოხსნილი რელიქვიების ადგილას ახლების მიტანა – ფანტასტიკურად ძნელი. საკუთარი ინდივიდუალობის დადგენა მოასწავებს არსებულის ზოგჯერ ხელალებით მოხსნას. სუბიექტურად ამგვარი პათოსი მომგებიანია, რათა მოხერხდეს მეტი თვითმყოფადობის მიღწევა.

კონტაქტის განყვეტა ბურჟუაზიულ თანამედროვეობასთან ამ ნიშანსაც გულისხმობდა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები 30-იან წლებში შეიქმნა.

მეორე მსოფლიო ომმა ამოაგდო ქვეყანა ნორმალური კალაპოტიდან. ყველაფერი ბენვზე ეკიდა. ინგრეოდა მშრომელთა კლასების მიერ კოლოსალური ენერჯის გაღებით აგებული ციტადელები. მრისხანე ჟამი შობდა რომანტიკის ახალ ცეცხლს. ვერავინ მოიცლიდა მონუმენტების წარმოსადგენად. მოვლენების სწრაფი მსვლელობა პუბლიცისტურ ფორმებში პოულობდა ახალ სასიცოცხლო გაგრძელებას. პოეზია მეტის ძალით დაეუფლა არენას. სახოტბო ნაკადი ხალხის გულიდან დაძრული სიყვარული იყო. მაგრამ რადგანაც მწვერვალი შორიდან უფრო დიადი ჩანს, აუცილებელია ეპოპეის აღსაქმელად დისტანციის დაცვა. ომის წლებში თვით ომის თემაზე ვერ მოესწრო გლობალური ძეგლების აღმართვა. შემდეგ ისევ აღდგენითი პერიოდი დაიწყო. ლიტერატურა უტილიტარიზმში ჩაიძირა. ხოტბამ ფორმალური ჟღერადობა შეიძინა. თითქოს დაიშრიტა წყაროსთვალვი მწერლობისა. 30–იან წლებში შემუშავებული ფორმები გაშაბლონდნენ. ახალი და დიდი სტილი ვერ მოიძებნა. დროის დინებამ ანგარიში გაუსწორა რკინითა და სისხლით დაფერილ რომანტიკას. დასაზღვრულ სივრცეში გამოკეტილი აზრი იძლეოდა უსასრულო ვარიაციებს თავისი თავისა.

60–70–იანი წლები მრავალმხრივ მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს არათუ ნათლად გამოიკვეთა გაკვალული გზის კონტურები, არამედ მომავლის რეალური სანიშნოებიც გამოჩნდა. ისევ გაიჭრა სარკმელი ევროპისაკენ. ქვეყანა შევიდა სამეცნიერო–ტექნიკური რევოლუციის აღმავალ ფაზაში.

დაშვებული შეცდომები შეცდომებად ჩაითვალა. ლიტერატურამ კრიტიკულად შეხედა მის უკან გართხმულ შორეთს. ეს იყო ჯანსაღი აზრის გამოღვიძების დასტური. როცა თითქმის არაფრისაგან საოცრება იქმნებოდა, დიახაც აღაგზნებდა ხალხს ხოტბა და დითირამბი, მაგრამ როცა მინელდა ენთუზიაზმი, გააფთრება და ბრძოლა შეცვალა შრომამ, ოდა და პანეგირიკი ყალბად აჟღერდა. ჟამთა მსვლელობა გარკვევით გვარწმუნებს, რომ ზოგჯერ, რაც გუშინ აუცილებელი იყო, დღეს სრულიადაც არ გვჭირდება და პირიქით. ომის ქარცეცხლში გახვეულ ადამიანს ფიქრისათვის დრო არ რჩება. ის მოქმედებს მარტოოდენ, ეს სწრაფვა მეტწილად ინსტინქტურია. მაგრამ დგება სიმშვიდის ატმოსფერო. ძველი შეცდომებიც ნათლად გამოვლინდება. შორეულ დღეებს ფერადი ილუზიის საბურველი ედებათ. იოლია ან გარდასული საგნების ფანტაზიით გაცოცხლება და ნებისმიერი ამოძრავება.

საერთაშორისო პოლიტიკური დაძაბულობის შენელება, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის (სტრ) დაჩქარებული ტემპი, დეიდოლოგიზაციის პათოსი იძლევა პირობებს ლიტერატურაში ახალი ნახტომისათვის. არსებობს ობიექტური სიტუაცია, რომელსაც უნდა დაერთოს სუბიექტური აგზნება. სასიცოცხლო ეპოქალური იდეები დღეს ხელახლა განიცდება, ახლებურად შუქდება.

60-იანი წლებიდან საბჭოთა ლიტერატურისათვის, სოციალური რევოლუციების პარალელურად, აღმოცენდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიერ აღძრული პრობლემები. ჩვენი ეპოქის გლობალურ და განმსაზღვრელ ტონუსად იქცა სტრ. მან დაიმორჩილა ცნობიერების ყოველი სფერო, დაიწყო მიმდლავრება ბუნებისადმი. შეგუების პერიოდი წარსულმა ჩაიბარა. შეიცვალა ლიტერატურის ზოგადი სტრუქტურა, შეიცვალა მიმართება საგნებთან.

2. ტექნიციზმის ესთეტიკა

სტრ ლიტერატურაში იჭრება მრავალი გზით: ა) მეტწილად მისი გავლენა არაცნობიერია. ხელოვანი ვერც კი გრძნობს სიტუაციის შეცვლის მიზეზს; თითქოს ჩნდება ურთიერთობის ახალი ფორმები. აქ არც დაბნევა არის გამორიცხული. ცხოვრების უცნობი რიტმი წონასწორობას ართმევს ინდივიდებს. შორეული ისევ რომანტიკულად ანათებს. მახლობელი ნივთები წვრილმანი პრაქტიციზმით ქუცმაცდება. ისახება კონფლიქტების კონტურები. აწეწილი სინამდვილე ლიტერატურას ანიჭებს ქაოსურ სახეს; ბ) წამოიწევა ტექნიკური თემატიკა. რომანტიკული ეფემერები, ბუნების იდილია, მაღალფარდოვანი ჰაეროვნება იბურება ტოქსიკური შხამებით. აისახება ტექნიზებული გარემო. პრობლემა ისევ გაუცნობიერებელია. მხოლოდ სააზროვნო მასალა იცვლება. სამყაროს ტრადიციული ატრიბუტი ფერმკრთალდება. ქარხანა და ლაბორატორია, ინსტიტუტი და ფაბრიკა, ტელევიზია და რადიო, კინო და თეატრი პერსონაჟების ახალი სამოქმედო გარემოა. ზოგჯერ მიიღება ანაქრონული სინთეზი: რეალური გარემო გამოიხატება ძველი მოდელებით, ხოლო თანამედროვე ფორმებით იშლება მოძველებული შინაარსი; გ) ხანაც ცნობიერდება მიმდინარე პროცესი. კულტურის პრობლემების ინტელექტუალური აღქმა წარმოშობს სინამდვილის შესაბამის ხელოვნებას. მდგომარეობის უწყვე-


ტი განახლება ლიტერატურას აიძულებს, ისწრაფოს სრულქმნისაკენ. შეიმეცნება სინამდვილის სასიცოცხლო ტენდენციები.

სტრ არ არის მოკლევადიანი. ჯერჯერობით ის პერმანენტულ და გლობალურ მოვლენად რჩება. სტრ–ის პირველი ეტაპი მოიცავს XX საუკუნის პირველ ნახევარს, რომელიც მეტწილად თეორიული ასპექტით წარმოდგინება (აღმოჩენები ფიზიკაში ორი საუკუნის მიჯნაზე, ფარდობითობის თეორია, ბირთვული რეაქტორის შექმნა...). მერმე მეცნიერება ღრმად გაიჭრა სინამდვილის სივრცეებში. დაირღვა კაზინეტური მყუდროება. დაიწყო რეალობის მასობრივი ტექნიციზება. ბუნებას ჩამოსცილდა პირველქმნილი საბურველი. II ეტაპი იშლება 40–იანი წლების მეორე ნახევრიდან (ელექტრული გამომთვლელი მანქანები, კიბერნეტიკა, სინთეტიკა, კოსმონავტიკა...). ის ჯერ არ ამოწურულა. მაგრამ უკვე ვდგავართ III ეტაპის ზღურბლთან.

სტრ ინტერნაციონალური მოვლენაა. ის როდია ჩაკეტილი ნაციონალურ ჩარჩოებში. სადღეისოდ მისი მსვლელობა არის უწყვეტი და გლობალური, რითაც მოსპობისა და გადაშენების გზაზე დგება ეროვნული თავისებურებანი. ყველაფრის გაერთმინშენელიანება მიძიმე ტვირთად დაანვა პატარა ერებს. ისინი იძულებული არიან დაემორჩილონ გაბატონებული მდგომარეობის, ცნობიერების, კულტურის, გემოვნების კარნახს. ადამიანური გონება ბუნების კვალდაკვალ ქმნის ახალ, ხელოვნურ ბუნებრიობას. ყოველი წარმატება მეცნიერული აზრისა აჩქარებს სტრ–ის ტემპს. სამეცნიერო პოტენციალის ოპერატიული გამოყენება ახალ მიღწევათა სანინდარია.

ბურჟუაზიის იდეოლოგებმა მრავალ ხერხს მიმართეს, რათა „ლპობადი კაპიტალიზმი“ დაღუპვას გადარჩენოდა. სტრ–მ შეამაგრა იმპერიალიზმის დარღვეული სხეული. დღეს დასავლეთში ბევრი ქმნის თეორიას კაპიტალიზმთან სოციალიზმის შეზრდის შესახებ. სტრ, ცხადია, წარმოშობს მსგავს და ზოგად სტრუქტურებს. მაგრამ ეს შეეხება ტექნიკურ დისციპლინებს, სამყაროს მოდელირებას და მხოლოდ ნაწილობრივ – ფსიქიკასა და ცნობიერებას. მაგალითად, შეიქმნა საერთაშორისო თანამედროვე არქიტექტურული სტილი, გრძელდება კიბერნეტიზების პროცესი და ა. შ. ზუსტ მეცნიერებათა განვითარება მსოფლმხედველობას ჰმატებს ახალ–ახალ არგუმენტებს. სტრ არ არის იდეოლოგიური ფენომენი. იგი ნაყოფია მეცნიერული აზრის უსასრულო მიღწევათა. მაგრამ შლის იდეოლოგიურ ბარიერებსაც და ამკვიდრებს ავანგარდისტულ ხელოვნებას.

სტრ–ის ლიტერატურაში შემოღწევა გრაფიკულად ასე გამოისახება:



თანამედროვე ლიტერატურის განსხვავებული ხასიათი ამ მოტივებითაც აიხსნება. მასში არსებობს ეპიგონური ნაკადი. მაგრამ ჯანსაღი ტენდენცია მუდამ სინამდვილის მძაფრი შეგრძნებით მიიღება. სტრ წარმოშობს პრობლემების მორიგ ციკლს. თანამედროვეობას სჭირდება მათი დიფერენცირებული წარმოდგენა. უხერხულია სულ ლოზუნგებით საუბარი. ზოგჯერ არსის საფუძველიც მოისინჯება, კრიტიკამ უნდა გააცნობიეროს ნისლში ასვეტილი საგნები. აქ ბუნდოვანება არ არის შარავანდედი. ქართული ლიტერატურა კვლავ ექცევა ზოგადი პროცესების კურსში. ტრადიციას მოვლა სჭირდება და შენახვა, მაგრამ ის მიაგავს აკვანს, რომელსაც უარყოფს ბავშვი, როცა სიარულს ეჩვენება.

3. მომავლის ნაადრევი დაწყება

იტალიურმა ფუტურიზმმა ფასეული ვერაფერი შექმნა. დარჩა მარტოოდენ სენსაციური დეკლარაციები. თითქოს გაშარჟდა ისტორიის წინაშე მარინეტი. მაგრამ შებრუნდა ჟამი, შეიცვალა ასახვის ბუნებრივი ობიექტები. მეცნიერებისა და ცხოვრების კიბერნეტიზებამ ახლებურად გაანათა ზაუმური ქმნილებანი. მომავალი ნაადრევად დაიწყო, ხელოვნურად დაჩქარდა მათემატიკის ლიტერატურაში შემოყვანა. მაშინ საამისო მონაცემებს არც ლიტერატურა და არც ცხოვრება არ იძლეოდა. ისევ მძვინვარებდა სიმბოლიზმის ინერცია. არისტოკრატიული, წმინდა ხელოვნება ვერ იგუებდა ფორმულებით დეფორმირებულ პოეზიას. ანტიესთეტიზმი იყო რეაქცია დადგენილი ნორმების წინააღმდეგ. ეს დინება სწორედ იტალიაში უნდა ჩასახულიყო, სადაც გრანდიოზული წარსული შთამომავლობას გამსრეს ტვირთად დაემუქრა. მუზეუმად ქცეული ქვეყანა არსებობის უნარს

ჰკარგავდა. მოჰქროდა რკინის მტვერში გახვეული დღეები. მას უნდა ერუქებინა მომავალი ტრადიციებით შებორკილი ადამიანისათვის. ჩასახული სიმპტომები ფუტურისტებმა ნაადრევად იგრძნეს. ამიტომაც ვერ შეძლეს მათი პოეტური მოდელირება. ზედიზედ გაჩნდა ხელოვნების რთული და ძნელად გასაგები მიმართულებანი – დადაიზმი, სიურრეალიზმი, აბსტრაქციონიზმი, „ცნობიერების ნაკადი“. ყველაზე უმემკვიდრეოდ ფუტურიზმი გადაეგო. მან პირველმა გადაადგა უცნობი სივრცისაკენ გროტესკული ნაბიჯები.

ჩვეულებრივ, – გზის მიგნება უფრო ძნელია, ვიდრე მასზე გავლა. ფუტურიზმის არსის ტრანსფორმირებული გადანახვა შთამომავლობას სჭირდებოდა, რათა მსგავსი კურიოზები აეცდინა, როცა ჩამოდგებოდა მასობრივი ტექნიციზმის პერიოდი.

4. ინტელექტუალური ბაზისი

ხელოვნებაში დამკვიდრდა რაციონალური სანყისი. სამეცნიერო ინფორმაციის მოზღვავებამ შეასუსტა მგრძნობელობა. იშვა ემოციის ახალი სახე. ბუნებრივი განცდა ლამის გაუქმდა. გონებრივმა აბსტრაქციამ მოადუნა კონტაქტი მიწასთან. მთლიანი წარსული მოექცა ხელოვნის ცნობიერებაში. სინამდვილის დეფორმირება მრავალგვარი სტრუქტურით გახშიანდა. რთული ეპოქა რთულ გააზრებას მოითხოვს (ა. მალრო). ეს სტილური თანაფარდობის პრინციპია. საგანი იძლევა გასაღებს. როცა ფაქტებს ზედმინევენით ვიცნობთ, წერა თითქმის შეუძლებელია. თანამედროვე ეპოქა ურთულესი ინფორმაციებით გადაიტვირთა. შეუძლებელია გლობალური ჭვრეტა. არისტოტელე ამთლიანებდა ცოდნის ყოველი ძირეულ დარგს. ინყებოდა დაშლა სინთეზური აღქმისა. დღეს ლიტერატურის კონკრეტულ პერიოდზეც კი ჭირს ზოგადი და სწორი სურათის შემუშავება. ადამიანი წაღეკა ინფორმაციის ზღვამ. ხელოვნებამაც შექმნა ურთულესი სტრუქტურები. პ. პიკასოს ალგებრული ფერწერა თანამედროვე სამყაროს მოდელია. ჯ. ჯოისის მღვრიე და ბნელი სტილი განიცდის ვითარების ჰარმონიასა და დისჰარმონიას. მოვლენების მიკროსკოპული კვლევა თითქოს სწამლავს მკითხველის გემოვნებას. აუცილებელია, აუდიტორიას გააჩნდეს ინტელექტუალური მარაგი. მოდერნისტული ხელოვნება ტკბობის საგანია მხოლოდ განვრთნილი გონებისათვის. კლასიკური

რომანების ესთეტიკური აღქმა ძალუძს ნებისმიერ ადამიანს. ისინი წარმოადგენენ რეალობის შესაბამის სიცოცხლეს. მოდერნისტები და ავანგარდისტები არბიან დროისა და სივრცის ზემოთ: უნდა ითქვას არსებულზე მეტი. მიკროსკოპი და ტელესკოპი თანაბრად ძვირფასია. მაგრამ ფოტოგრაფიაც საჭიროა. ტრადიციული ლიტერატურა ერთგვარად ფოტოგრაფიას დაემგვანა. ამიტომ მკითხველი, როცა ხელს ჰკიდებს თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშებს, უნდა ფლობდეს ცოდნის სავალდებულო მინიმუმს. მასების გემოვნება უნდა აინიოს ახალ ზღვრამდე. გაბატონებული გემოვნება მერყევია. ხელოვანი მას ვერ დაენდობა. იქმნება ინდივიდუალური კრიტერიუმი შეფასებისა. კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკა მსმენელისაგან მოითხოვს გარკვეულ მომზადებას. დღევანდელი ფერწერის აღქმა მაცურებლისათვის საძნელოა. ოპერას ყური უნდა შეეჩვიოს, რათა არ გვეხამუშოს სტილიზებული მეტყველება, ქცევა და სიმღერა. ლიტერატურაც კარჩაკეტილი ვერ იქნება. მეცნიერების მორიგი ნაკადი მასში ჰპოვებს გარდასახვას (შდრ – ნიცშეანობის და ფროიდიზმის გავლენა ლიტერატურაზე). ამიტომ პირველწყაროს არსებობა მაინც უნდა ვიცოდეთ, რათა შედეგი ბანალური ან გაუგებარი არ გვეგონოს. მცდარი ესთეტიკური სისტემითაც მოსალოდნელია, რომ ნამდვილი ხელოვნება შეიქმნას. მახინჯი ხელოვნებაში შეიძლება იდეალად იქცეს, მაგრამ ეს ცხოვრების საზომად არ გამოდგება. დღეს მეცნიერება ფანტასტიკურად გართულდა. ამ საერთო ტენდენციას მისდევს ლიტერატურა. თუმცა, ამ მხრივაც ჩამორჩება ზუსტ ცისციპლინებს. მათემატიკების აღმავალი ტალღა კი მკითხველისაგან მკაცრად მოელის, რომ სცნონ იგი.

5. სტრუქტურალისტური ანექსია

მეცნიერება განუხრელად ელტვის სიზუსტეს. ტრადიციული ჰუმანიტარული დისციპლინები დასკვნებს იძლეოდნენ ბუნებრივი ენის ბაზაზე. მაგრამ ბუნებრივი ენის მოდელირება ყველას განსხვავებულად წარმოედგინა. სილოგისტიკა უტყუარობის გარანტიას არ იძლეოდა. საერთო შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა. აუცილებელი გახდა უზოგადესი მეთოდების ძიება, მათემატიკური მოდელების შემოტანა. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ჰუმანიტარული დარგები

ნელ–ნელა მათემატიკის გავლენის ქვეშ მოექცნენ. შეიქმნა მათემატიკური ლოგიკა, კიბერნეტიკა, ინფორმაციის თეორია, სემიოტიკა... კიბერნეტიკის რევოლუციური მნიშვნელობა შეიძლება შედარდეს კოპერნიკის, დარვინის, მარქსის აღმოჩენებს (გ. კლაუსი). ნორბერტ ვინერმა შეცვალა სამეცნიერო წარმოდგენები. მათემატიკებამ წარმოშვა სულიერ ფასეულობათა შესწავლის ორი ფორმა: ა) სემიოტიკა და ბ) ინფორმაციის თეორია. სემიოტიკა კიბერნეტიკაზე ადრე აღმოცენდა და მისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა: მხოლოდ ბოლო დროს დაახლოვდნენ. შეისწავლება ნიშანთა სისტემა, ნიშანი და დენოტატი. კომუნიკაციას განიხილავს სამი პლანი – სინტაქსური, სემანტიკური, პრაგმატული. სტრუქტურალიზმი თავდაპირველად ლინგვისტიკამ გამოიყენა (ფერდინანდ დე სოსიური, პრალის სკოლა...), შემდეგ კი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ყოველ დარგში შეიჭრა. დასავლეთში სტრუქტურალისტური პოეზიის ცნებაც კი ჩამოყალიბდა. საბჭოთა მეცნიერებაში სტრუქტურალიზმს გზა გაეხსნა 60–იანი წლებიდან. ეს წლები მისი საყოველთაო გავრცელების პერიოდიც არის. დღეს სტრუქტურალისტური მეთოდებით სწავლობენ მითოსს, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას, ენას, ლიტერატურას, ლიტერატურის თეორიას, სოციოლოგიურ მოვლენებს, მუსიკას, კინოს. როგორც აღნიშნავენ, ამ მეთოდის აბსოლუტიზება არ შეიძლება, მაგრამ გამოყენება აუცილებელია. სტრუქტურალიზმი ძლიერია მიკროანალიზით მხატვრული ნაწარმოების ელემენტებისა: ესთეტიკური ფენომენის ჭრილი საკმაოდ სიზუსტით შეიმეცნება. ამავე დროს ის იჩემებს და ესწრაფვის პრაქტიკულ განხორციელებას ობიექტურობის პრინციპებისა. შეისწავლება მოდელი შემოქმედის მხატვრული აზროვნებისა. ზოგჯერ ესთეტიკური მდგომარეობა ციფრებითა და ფორმულებით გამოიხატება. დღეს სტრუქტურალიზმმა დაიკავა ასპარეზი ფრანგულ სალიტერატურო კრიტიკაში. მან ერთგვარი სნობიზმის სახეც მიიღო (ა. სტილი). სტრუქტურალიზმი კონფლიქტში მოექცა ტრადიციულ მეცნიერებასთან. ურთიერთუარყოფა გრძელდება. ლიტერატორის მოდერნიზებამ გამოიწვია შემსწავლელი მეთოდებისა და ხერხების მოდერნიზებაც. ასახვის ობიექტების ტრანსფორმირებამ შეცვალა ამსახველის სტრუქტურა.

სტრუქტურალიზმი რთული და წინააღმდეგობრივი მიმდინარეობაა: თითქმის ყველგან ორიგინალური ფორმები აქვს მიკვლეული. თანამედროვე ეტაპზე მას ერთვის ინფორმაციის თეორია, როგორც ნაწილი

კიბერნეტიკისა, რითაც იდეენება ტრადიციულობის ელემენტები. ნაწარმოების კიბერნეტიკული შესწავლა ემყარება სიგნალისა და ინფორმაციის ცნებებს, რომლებიც მნიშვნელობას იძენენ მართვის პროცესში. ყოველი ქცევა ინფორმაციაა. კიბერნეტიკის ენა ფორმალიზებულია. მასში სუფევს სიმბოლური პირობითობა. ამიტომ ჭირს და ხელოვნურად კი გვეჩვენება ამ ხერხებით ნაწარმოების ანალიზი. ქრება და გვეკარგება ესთეტიკური განცდა. მაგრამ სემიოტიკისა და ინფორმაციის თეორიის ანბანის ცოდნა აგვაცილებს მრავალ უხერხულობას, რაც ჩვენში წარმოიშობა ხოლმე. მომავალში კიდევ მეტად გაიშლება მათი სამოქმედო არე, გაგრძელდება ლიტერატურის სტრუქტურალისტური ანექსია, მეცნიერების კიბერნეტიზება. თუ ჩვენს ჩამორჩენას ბოლო არ მოელო, დავრჩებით იზოლირებული მიმდინარე პროცესებისაგან. სტრ მარტოოდენ ელექტრულ გამოთვლელ მანქანებს, კოსმოსურ ხომალდებს, რობოტებსა და ატომგულის რეაქტორებს არ გვთავაზობს – მის მოქმედებას გააჩნია ფანტასტიკური სოციოლოგიური ასპექტებიც. გვმართებს მათი შემეცნება და გათვალისწინება. როგორც რთულდება ცხოვრება, ისე რთულდება ხელოვნება, ისე რთულდება მეცნიერება. ჩვენი ეპოქა უნაპირო მათემატიზების ელფერიტაა გარემოცული. ყოველი საოცრება („ატომის ერა“, „კიბერნეტიკის საუკუნე“...) მას უკავშირდება. ადამიანი მარადჟამს ისწრაფვოდა მარტივიდან რთულისაკენ, არცოდნიდან – ცოდნისაკენ, ამ სწრაფვამ დაიმორჩილა ხმელეთი, ზღვა და ზეცა. კაცმა მთვარეს დაადგა ფეხი.

ასეთი ფაქტის მომსწრე ადამიანს ვერ დააოკებს ლეგენდა ალზევანს მიმავალისა, თუმცა ის ოცნებას მუდამ ეხლება, როგორც ბავშვობის გახსენება.

6. ვერტიკალური ჰორიზონტალობა

მოიხსნა დროის პრობლემა, შესუსტდა თანამედროვე ადამიანის ფიზიკური აქტივობა. მსოფლიო ტელეფონების სისტემით დაიქსელა. ინტერვიზიას შეუძლია ერთდროულად მობილიზება მილიარდზე მეტი ადამიანისა: მთელი დედამიწა ერთი ინფორმაციით გარინდდება. სტრ ტოტალურ ცენტრალიზებას ახდენს. გართულებულია მოძრაობა. ტრანსპორტის ურიცხვი სახეობა ბრუნავს დედამიწის გარშემო. რადიოტალლებით დაცხრილულია სამყარო. რაც დრო გადის, მით უფრო

ნაკლები ფიზიკური ენერგია იხარჯება. წარმოების ავტომატიზება ადამიანს მხოლოდ გონებრივ სამუშაოს უტოვებს. სახიფათოდ მცირდება ფიზიკური დატვირთვა, მატულობს ინფარქტების რიცხვი. კიბო და გულის დაავადებანი ეპოქის პროდუქტია. გამონაბოლქვი გაზებით ინამლება ჰაერი. ზოგან ტარდება ექსპერიმენტი, რომ ადამიანი მიუბრუნდეს ველოსიპედს. ატომური იარაღის გამოცდები შხამავს ბუნებას. ურბანიზებულია განვითარებული ქვეყნები. ინგლისის მოსახლეობის 80%–ზე მეტი ქალაქად ცხოვრობს. ქალაქში ადამიანი თითქოს მონყვეტილია მშობელი მიწისაგან. ასფალტი, რკინა, ბეტონი, მინა, სინთეტიკა, საზოგადოებრივი თუ კერძო ტრანსპორტი, ყოველდღიური და ნერვიული ურთიერთობა ათასებთან, კინო, ტელევიზია, რადიო, სპორტი, ნიგნისა და პრესის ნიაღვარი ნელა–ნელა ადამიანის არსებაში აღმოაცენებს რობოტს. ბუნებრივი ბუნება ლამის გაჰქრეს. ისახება ღონისძიებანი, რათა დეფორმირებულ, რუხ ერთფეროვნებად ქცეულ ქალაქებს დაუბრუნდეს მწვანე ფერი. სტრ განურჩეველია ყოველივეს მიმართ. ის არის თავისთავადი და მძვინვარე ძალა, რომელიც ერთდროულად ანადგურებს და აშენებს. სტრ ორსახოვანი ფენომენია. ის, რაც ბედნიერების მომტანად გვეგულება, შეიძლება მასობრივი უბედურების წყარო აღმოჩნდეს. ტექნიციზმისადმი დამონება ადამიანს ართმევს სასიცოცხლო თვისებებს.

„რკინის ეშმაკი“ (ო. შპენგლერი) ნელ–ნელა იკავებს ადამიანის ადგილს. თავისუფალი დრო შეიკვეცა. უთვალავი ინფორმაცია ერთად მოვარდა. მონოლითი შეგრძნებები ველარ ანალიზდება. გააზრიანება დაფიქრების გარეშე ვერ მოხერხდება. ხოლო ცხოვრების რიტმი იმდენად არის ნერვიული, ცვალებადი, დიფერენცირებული, რომ გონება შეეჩვია მანქანურ აზროვნებას. თითქოს ყველაფერი ერთ ნამში უნდა მოესწროს. მარადისობა შეიკუმშა. „ფსიქოლოგიური ავტომატიზმი“ თავისუფალია გონების კონტროლისაგან (ა. ბრეტონი). ხელოვნება სულში მოქცეულ ინფორმაციათა ტალღას ინტუიციურად წამოშლის. გონება, ერთგვარად, გამომთვლელ მანქანას დაემგვანა. ერუდიციით, ყოველდღიური წვრილმანებით, ბანალურ საგნებთან მიმართებებით პროგრამირდება ცნობიერება. შთაგონების გაელვება გვიჩვენებს ფსიქიკაში გარდატეხილი ინფორმაციის ანარეკლს.

თანამედროვე გართულებული ცხოვრება ხელოვნების ტრადიციულ ფორმებს ნაკლებად ეგუება. საერთაშორისო მასშტაბით შეიმჩნევა განფაბულების ტენდენცია, კლასიკური რომანის საბოლოო რღვევა,

ტიპების, პერსონაჟების, ხასიათების გაბუნდოვანება, მიდრეკილება ხან სტილიზებული, ხანაც გაპრიმიტივებული მეტყველებისადმი, დამკვიდრებულ სალექსო ფორმათა გადაგვარება. ეს პროცესი ბუნებრივია და ლოგიკური, ხოლო რამდენად კარგი – სხვა საკითხია. თანამედროვე მწერალი მეტწილად სინამდვილეს იცნობს ჭვრეტითა და წიგნებით. ამიტომ წამოინევა ფსიქოლოგიზმი, რომელიც ურთულეს სააზროვნო სტრუქტურებს გვანვდის.

ფროიდისტული კომპლექსები, იუნგისური არქეტიპები, გეშტალტფსიქოლოგია ლიტერატურაში ქმნიან ვრცელ უნივერსალიებს. ფსიქოლოგიზება ვერ იარსებებს, თუ რომანისტი მწვავე ფაბულურ კონსტრუქციებს ჩაეჭიდა. ეს ნაკლებ ეფექტური გამოვა. რემინისცენციები, ასოციაციითა თავისუფალი თამაში, პაროდირება, ლირიკული განაკადები, შინაგანი მონოლოგები გვაზიარებენ პერსონაჟების ვნებათა ღელვას: პროცესი კი არ იხატება, არამედ ანალიზდება. XX საუკუნის ლიტერატურა ინტელექტუალიზმისაკენ გადაიხარა. ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობა, მცირე ფაქტობრივი მონაცემები, ჭვრეტითა და განცდით დაგროვილი ინფორმაცია უნდა აისახოს ტოლფასოვანი სტრუქტურებით. „ცნობიერების ნაკადი“ ეპოქის ტკივილებმა აღმოაცენა. ის არ გავრცელებულა ვინმეს ფორმალისტური თუ იდეოლოგიური ახირებით. „ფინეგანის ქელები“ – ეს არის ურჩხული, რომელიც ხელოვნებას განადგურებით ემუქრება. „ცნობიერების ნაკადის“ უნივერსალიზება მავნებელია, მაგრამ მისი ზომიერი გამოყენება არა თუ სასარგებლოა, არამედ – აუცილებელიც. თანამედროვე მოქალაქის დუნე და აწეწილი ფსიქიკა სწორედ შინაგანი მონოლოგით ჰპოვებს მოდელირების ადექვატურ ფორმას. მაგრამ აქ კომუნიკაციის პრობლემაც წამოინევა: ნაწარმოების გაგება თავსამტვრევი რატომ უნდა გახდეს? ის კი უდავოა, რომ ეპოქას სჭირდება შესაბამის ფორმებში გამჟღავნება.

სტრ, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ლიტერატურაშიც ინვესს რევოლუციას. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ლიტერატურა დაკარგავს პროგრესულ ხასიათს. ამიტომ მწერალი უფრო და უფრო ღრმავდება ინდივიდუალურ ფსიქიკაში. ინდივიდუალიზმი მოხსნილია, ვინაიდან ფსიქიკა მოიცავს ყოველივე გარეგანად არსებულს. შინაგანი რეალიზმი ამოატივტივებს ცნობიერებაში მიმალულ ნივთებს. გარედან შიგნით ჩაბრუნება შეიძლება განისაზღვროს როგორც ვერტიკალური ჰორიზონტალობა.

კლასიკური ხელოვნება იყო ჰორიზონტალური, გაშლილი რეალურ დროსა და სივრცეში. იქმნებოდა რეალობის შემოქმედებითი ასლი. რენესანსის მხატვრობა ბრწყინვალედ განასახიერებდა ამ თვისებებს. სურათი ჟღერდა, როგორც ამაღლებული სინამდვილე. ფერწერა იძლეოდა ახალ თვისობრიობას, რეალობაზე უფრო მშვენიერსა და მაღლა მდგომს. ყოველივე შინაგანი გარეგნულად ვლინდებოდა. XX საუკუნემ შეცვალა მდგომარეობა – ხელოვნება დღეს ავტორის ცნობიერებაში ჩაიძირა. უნდა გამოჩნდეს მანამდე უცნობი და უსაზღვრო სიღრმე. მიკროსკოპული დაკვირვება ნაირგვარი თეორიებით ხორციელდება. მათ ჭეშმარიტებას მნიშვნელობა არცა აქვს, თუ ამ გზით მიიღება არნახული მშვენიერება. რამდენადმე მართლდება მშვენიერი ტყუილის კრედო. ლიტერატურა განუხრელად ესწრაფვის ფილოსოფიურობასაც. ეს ვერტიკალური ლტოლვა იერთებს ტრადიციულ ჰორიზონტალობას. ავტორის ცნობიერება მიკროკოსმოსია. ისიც იმ თვისებებს მოიცავს, რასაც – მთელი მსოფლიო. ჭიქა წყალი თუ წვეთი წყალი ერთნაირი ნაერთებისაგან შედგება. გამოხატვის ხარისხი კი უკვე წმინდა ინდივიდუალური მოვლენაა. ის განისაზღვრება შემოქმედის აზროვნების ენერგიით. პ. პიკასო თუნდაც იმიტომ არის ეპოქის პირველი მხატვარი, რომ მან ამღვრეულ სინამდვილეს გამოუძებნა ისეთივე ზუსტი ფორმები, როგორიც რენესანსის ხანას – ლეონარდო და ვინჩი თუ რაფაელმა.

ინტელექტუალური ხელოვნების საწყისები კლასიკაში არის განტოტვილი. უძველეს დროში ის წარმოიდგინებოდა როგორც სამეცნიერო პოეზია (უპანიშადები, რამაიანა, გილგამეშის ეპოსი, ლუკრეციუსის „საგანთა ბუნებისათვის“...). შემდეგ, ტრანსფორმირების გზით, ჰპოვა მრავალგვარი განვითარება. ს. მალარმე ქმნის ჰერმეტულ ლირიკას, ვ. ხლემბნიკოვი ცდილობს მხატვრულობის მათემატიკურ გამოხატვას, მარინეტი იწყებს პოეზიის მექანიზირებას, ვ. ბრიუსოვი მეცნიერულად სრულქმნილ სალექსო სტრუქტურებს გვთავაზობს და ა.შ.

მოდერნიზტებმა ხელოვნებაში ჭარბად შემოუშვეს მითოსი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, გამოიმუშავეს მოკლენათა გაანალიზების სუბიექტური და სკრუპულოზური მეთოდი, მისტიციზმით შეფერილი.

ავანგარდისტებმა მათ მანქანა და ცნობიერების ავტომატიზმი არჩიეს.

7. გუტენბერგის გალაქტიკა

მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის უმაგალითო განვითარებამ გამოიწვია კოლოსალური დიფერენცირება; ენათმეცნიერებაშიც კი წარმოიშვა მრავალი ახალი, ურთიერთსაპირისპირო დარგი. თანამედროვე მეთოდებით გაშუქდა კულტურის ისტორია. დადგა თეორიების, ჰიპოთეზების, ვარაუდების ზღვა. გუტენბერგის გენიამ კაცობრიობას წარმოუდგენელი სამსახური გაუწია. XX საუკუნის დამდეგიდან დასავლეთ ეროვნებაში, 60-იანი წლებიდან ჩვენში – ნიგნებისა და პრესის ნიაღვარმა არნახული გაქანება ჰპოვა. ბეჭდვის გაიოლებამ გზა გაუხსნა ხალხურისტულ ლიტერატურას. ძველ დროში არსებობდა ბუნებრივი კონკურენცია. თუ ნიგნი არ ვარგოდა, მას არავინ გადაწერდა. გრაფომანის ნაწვალები მილიონებს არ გასტანჯავდა. მაგრამ გუტენბერგმა ყველას თანაბრად მისცა საშუალება საკუთარი ოცნების მასებისთვის თავზე მოსახვევად. ერთგვარი პრივილეგიით ის აღიჭურვა, ვისაც ბეჭდვის საქმე აბარია. გარდა ამისა, ურიცხვ მასალაში ჭირს ჭეშმარიტად ფასეულის არათუ გამორჩევა, არამედ მიგნებაც. ჟურნალების, გაზეთების, აღმანახების, ნიგნების კორიანტელი აბნევს ადამიანს. მარტო პოეზიის განვითარებისთვისაც კი ჭირს თვალის მიდევნება. ამ პროცესმა წარმოშვა სპეციალიზების აუცილებლობა. მაგრამ სპეციალიზებას მეორე სენი მოსდევს: იკარგება ზოგადი თვალსაზრისი, ვერ ხერხდება შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა, რითაც შეერთდება ცალკეული დარგების მიღწევები. სინთეზირება მეტწილად მეცნიერული ზერელობის გამომხატველია. მარტო გერმანულად ერთ წელიწადში იცემა, თურმე, 2000–მდე ახალი რომანი. „ბუდენბროკები“ თ. მანის სიცოცხლეში 1200–ჯერ დაბეჭდილა. ო. შპენგლერის „დასავლეთის დასასრული“ მხოლოდ პირველ სამ წელიწადში თითქმის 50–ჯერ გამოვიდა. აშშ-ში ისტამბება 500–მდე კათოლიკური გაზეთი და ა. შ. „ღვთაებრივი კომედია“ გერმანელებმა 40–ჯერ თარგმნეს, ხოლო ფრანგებმა 500–ჯერ გამოსცეს „დონ კიხოტი“. ამ გრანდიოზულ მარათონში გამარჯვება ფანტასტიკური მოვლენაა. ცხადია, არც ერთი ქართული ნიგნი არ ქცეულა მასობრივი გამოცემის საგნად. ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ „ვეფხისტყაოსნის“, „დიდოსტატის მარჯვენის“, „გვადი ბიგვას“, „კოლხეთის ცისკრის“ დასავლურ გამოცემებს, მაგრამ მათი პოპულარობის არე, როგორც ჩანს, უმნიშვნელოა. ევროპის ბაზარზე ქართული ნიგნი საცოდავად გამოიყურება. დღეს ლამის მოდად იქცეს, ყოველ აკადე-

მიკოსს მივაკეროთ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის ტიტული. ეს უბრალოდ თავის მოტყუებაა. საჭიროა მოვლენებს რეალურად შევხედოთ. დიახაც სამწუხაროა, რომ ქართული კულტურა ჯერჯერობით ვერაა სათანადოდ დაფასებული, მაგრამ ქადილით, რომ შოთა და გალაკტიონი მსოფლიოს უდიდესი პოეტები არიან, არაფერი გამოვა. საოცარია, რომ ჩვენ არათუ ხარისხით, პროდუქციის მოცულობითაც კი თითქმის არა გვყავს მწერალი, რომელიც შეიძლება დიდ ევროპელ შემოქმედს გვერდით დაუყენოთ. თითო-ოროლა კარგი რომანით, გნებავთ შედეგით, შეუძლებელია გუტენბერგის გალაქტიკაში ყურადღების მიზიდვა. გვჭირდება ზოგადი ფონის შექმნაც, გვჭირდება კვარცხლბეკებიც – ძეგლების აღსამართავად.

წიგნის გამასობრივებამ და გაიაფებამ შეანელა ინტერესი ქალაქდზე აღბეჭდილი ფიქრებისადმი. თანაც, ლიტერატურას დაემუქრა ხელოვნების ტექნიციზებული დარგები, რომელთა გავრცელება, მარტივი და ეფექტური საკომუნიკაციო საშუალებების გამო, გეომეტრიული პროგრესით იზრდება.

8. ხელოვნების ტექნიკური დარგები

სტრ—მ შექმნა ხელოვნების სინთეზური დარგები. ყოფა—ცხოვრებაში გაბატონდა ტექნიკური ესთეტიკა. დიზაინი იჭერს ვრცელ ადგილს. დიზაინერი მოდელიორია ყოველდღიური, ცხოვრებისეული ნივთებისა. მხატვარი—კონსტრუქტორი ესთეტიკურ ფორმებს ანიჭებს თანამედროვე საგნებს. ტრადიციული თარგმანი ემყარებოდა ორი ენის ცოდნას, მწერლის პირად გემოვნებას, განათლებას... დღეს მანქანები ცვლიან ადამიანებს. მანქანური თარგმანები, წინასწარ დაპროგრამებული ინფორმაციის შესაბამისად, იძლევიან დუბლიკატებს. ამ მხრივ პრობლემურია მხატვრული თარგმანის შესაძლებლობა. მეცნიერული ტექსტის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე ემყარება აზრობრივ სიზუსტეს. ესთეტიკური ფენომენის გადათარგმნა გულისხმობს ინდივიდუალურ აღმავრენას, შემოქმედებით თავისუფლებას, პიროვნული ვნებების გამოვლენას. მანქანები მკაცრი რაციონალიზმით მოქმედებენ. ამიტომ ტექსტი ჰკარგავს პოეტურ სინატიფეს, გრაციას, სილამაზეს. მომავალშიც, ალბათ, საეჭვოა ამ ნაკლოვანებათა თანმიმდევრული გამოსწორება.

ტელევიზორმა ადამიანი მოსწყვიტა არა მხოლოდ წიგნს. მაყურე-

ბელი ნელ–ნელა ეცლება, წარმოიდგინეთ, კინოსაც კი. მოქმედებს ორმხრივი ტენდენცია: ა) ვითარდება და სრულიყოფა სატელევიზიო პროგრამები; ბ) სულ უფრო მცირდება თავისუფალი დრო. სამსახურიდან მობრუნებული ადამიანი არჩევს ტელევიზორის ეკრანთან ჯდომას, ვიდრე ბინიდან გასვლას. ტელევიზიამ ნელ–ნელა დაიმორჩილა ხალხის ცნობიერება. მან რადიოც კი გამოთიშა. პიროვნება ჩაიკეტა თავისთავში. ტელევიზორი ერთ–ერთი მძლავრი ფაქტორია ინდივიდუალისტური განდგომისა. ირღვევა ადრეული მჭიდრო კონტაქტები. ადამიანი ადამიანს ეთიშება. ტელევიზორიც, როგორც სტრ–ის ყოველი პროდუქტი, ერთდროულად არის სასარგებლო და მავნებელი. ცისფერი ეკრანი ხელს უწყობს აზროვნების ატროფიას, ზერელობას, ფაქტებისადმი გულგრილ მიმართებას. ტელევიზორმა ფერადოვნებაც შეიძინა. გაჩნდა ტელესპექტაკლი და ტელეთეატრი. ხელოვნება, ცხოვრება და მეცნიერება პოპულარული ფორმით წარმოსდგა ტელევიზორის ეკრანიდან. ხალხში ფართოდ მკვიდრდება სატელევიზიო ფილმები. მაგალითად, ცნობილია, რაოდენი გამოხმაურება მოჰყვა „გაზაფხულის ჩვიდმეტ გაელვებას“.

თვით კინო მთლიანად ემყარება ტექნიკის მიღწევებს. მისი ევოლუციის სურათი ერთგვარი დემონსტრირებაა სტრ–ის პერიპეტიებისა. მუნჯი კინოდან ს. ეიზენშტეინის „ინტელექტუალური კინოს“ თეორიამდე ან ფ. ფელინის „ცნობიერების ნაკადის“ ფილმებამდე განვლილი გზა თითქოს მიკროისტორიაა კაცობრიობისა. ტექნიკური საშუალებების მოსალოდნელი განვითარება კინოს წინაშე გადაშლის ჯერეთ უცნობ ფურცლებს.

რენესანსის მხატვრობის ანალოგიას იძლევა ფერადი ფოტოგრაფია. ფოტოხელოვნებამ შექმნა ილუზიური და ფენოვანი სურათები, რომლის ტექნიკას მხატვრის ყალბი ვერ აითვისებს. დღეს ფერწერასა და ფერადფოტოგრაფიას შორის განმსგავსების ძლიერი პათოსი სუფევს. მხატვრები გვთავაზობენ სიმბოლურ, დეფორმირებულ სინამდვილეს, უარყოფენ პირდაპირულ სიზუსტეს, არჩევენ რთულ პირობითობას, ხოლო საგნის ადექვატური, გარეგნული აღქმა მიაჩნიათ ფერადი ფოტოგრაფიის სპეციფიკად. იმპრესიონიზმიდან მოკიდებული სულ უფრო ბუნდოვანდება, რთულდება, სიმბოლურდება ფერწერა. საერთოდ – სტრ–მ დაშალა სიტყვა ლიტერატურაში, ფერი – მხატვრობაში, ბგერა – მუსიკაში, ხოლო მათი სინთეზი მთლიან მათემატიზებას დაუმორჩილა.

კიბერნეტიკულ მანქანებს ძალუძთ ლექსები შექმნან პუშკინისა თუ ბოდლერის მანერით, შეადგინონ ნოტები რახმანინოვის თუ შოპენის მუსიკისა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათემატიკური დაპროგრამირება შეცვლის მხატვრულ შემოქმედებას. ერთი რამ ცხადია: ადამიანის გვერდით გაჩნდა და იზრდება მოაზროვნე მანქანა. მას სული თავად ადამიანმა შთაბერა, როგორც ადამს – ღმერთმა. ჩამოდგა რობოტების განთიადი. მანქანა განურჩეველია მომხმარებლისადმი: ის ადრესატს როდი გულისხმობს. ხელოვნების ტექნიკური დარგები ჯერჯერობით მაინც სუსტად გამოიყურება. მაგალითად, გროსმანისტერს ვერ შეცვლის მოჭადრაკე მანქანა. ადამიანური აზრის ჯიუტი ნება იბრძვის მის გასაუკეთესებლად. ძველი არქიტექტურა ხელოვნების დარგია. მშენებლების გასაგნებული ხატებაა ანტიკური თუ შუასაუკუნეების ტაძრები, კათედრალები, გრანდიოზული შენობები. თანამედროვე არქიტექტურა ტექნიკური საშუალებებით ქმნის მასობრივ კვარტალებს, პროსპექტებს, სახლებს. მინა და ალუმინი, ბეტონი და რკინა ცვლის საოცარ ჩუქურთმებს, დიდებულ კოლონებს, ჰაეროვან დარბაზებს, კონუსურ და ხახვისთავიან გუმბათებს, ზღაპრულ ფრესკებს. დღევანდელი გამალებული მშენებლობის ტემპებს სწორედ ასეთი არქიტექტურა შეეფერება. ჩინური კედელი საუკუნეები შენდებოდა. საუკუნეები დასჭირდა ეგვიპტური პირამიდების აგებას. მარადისობის წინაშე აღიმართა ღვთაებრივი მონუმენტები. ანტიკურ ხანაში შეიქმნა მსოფლიოს შვიდი საოცრება. მაგრამ დღეს არ არის დრო უსასრულო ლოდინისა. ეპოქის ნერვიული მაჯისცემა მოელის პრობლემების გადაჭრას. ამიტომ მძიმე, მდიდრული და ფერადი სტილი იცვლება სიმსუბუქითა და სიმარტივით. სამაგიეროდ, ცათამბჯენები მსოფლიოს მორიგი საოცრებაა. თუ ვენეციის ან რომის ხუროთმოძღვრება, პირველყოვლისა, ხელოვნების ნიმუშია, ნიუ-ორკის ემპაიერი ტექნიკური აზრის ტრიუმფია.

ამრიგად, ხელოვნების ტექნიკური დარგები ესთეტიკურად მარტივდება, ხოლო მეცნიერულად სირთულის გამომხატველია. თვით ხელოვნება კი როგორც აზრობრივად, ისე სტილურად ეძიებს ურთულეს და უზოგადეს სტრუქტურებს, თუმცა არსებობს მასობრივი გამარტივების მძლავრი ტენდენციაც, როგორც რეაქცია გართულებული გარემოსა და კომუნიკაციებისადმი, როგორც პირველქმნილი ბუნებრიობის ნვდომია.

9. ილუზიების ფაბრიკა

თანამედროვე ლიტერატურამ ამოსწია ინტუიციური აზროვნების პრინციპი. ინტელექტის როლი გარეგნულად დომინირებს რომანში. პოეზიის სპეციფიკა სხვაგვარია. გონება გმირავს ემოციებს. ინტუიცია სასიცოცხლო ძალების გამომხატველი, სიცოცხლისკენ მიმართული საარსებო უნარია. პოეზიაში ფარული, იმპულსური კომპლექსები წამიერად ამოხეთქავენ. ავტორი კონტროლიორია ინდივიდუალური ცნობიერების მოძრაობისა. როცა სქემები ბოჭავენ ხელოვანს, ეს ნიშანია ინტელექტის მიერ ინტუიციის გაძევებისა. აზროვნება ავტომატურად არის მომართული. როგორც მეტყველება არის მაშინაღური პროცესი, როცა აზრები და სიტყვები არაცნობიერად ჯგუფდებიან, ისე პოეზიაც ემორჩილება ინტუიციურ სახეთქმნადობას. ინტუიცია დღემდე რჩება ამოუცნობი. შესაბამისად ბოლომდე გაუხსნელია მხატვრული აზროვნების მექანიზმი. აქ ბევრი რამ დადგენილია. მაგრამ სპეციფიკური ნიშნები მაინც მოუხელთებელია. როცა დაიძლევა ეს ამოცანა, უკვე შესაძლებელი გახდება ავტომატური მანქანების ზუსტი დაპროგრამირება. როცა გაიხსნება საიდუმლო შედეგების წარმოქმნელი შემოქმედებითი პროცესისა, იგივე ოპერაციას წარმატებით გაიმეორებს რობოტი.

მსგავსი გარემო წარმოშობს ტიპოლოგიურ მთლიანობას. სტრ ლიტერატურებს უბიძგებს დაახლოებისაკენ. მხატვრულ ფორმათა დევალვაცია დღეს მსოფლიო მასშტაბით გრძელდება. რთული საკომუნიკაციო კავშირი, მსგავსი ტექნიკური პირობები აღმოაცენებს მსგავს ტენდენციებს. მაგრამ იდეოლოგიური ფაქტორი არის მძლავრი შემაკავებელი ძალა. ამიტომ ღებულობს განსხვავებულ ფორმასა და შინაარსს სტრ-ის სოციოლოგიური ასპექტები კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში.

დასავლურ ლიტერატურაში გამოიყოფა ერთიანი სტრუქტურული მოდელები, ისევე როგორც სსრკ ხალხთა ლიტერატურებში.

ორი დაპირისპირებული სამყარო იძლევა შეხვედრის მრავალ საერთო წერტილსაც. ეს შეეხება სტილურ თავისებურებებს. მაგრამ სხვადასხვა მსოფლმხედველობა საგნების მიმართ აყალიბებს დამოუკიდებელ თვალსაზრისს. სტილური სიახლოვე საჭიროა და სასარგებლო. მას ვერც ვერავინ გაექცევა. სტრ სობს ჩინურ კედლებს, მაგრამ ეს არ მოასწავებს, რომ შემოქმედებითი ლაბორატორია ილუზიების

ფაბრიკად იქცეს. სტანდარტების საფრთხე არსებობს. დღეს ხშირია მოდების ერთგვარი ცენტრალიზება. ცივილიზებული კაცობრიობა შობს და სპობს საერთაშორისო მოდებს. ეს შეეხება ცნობიერებისა თუ ყოფიერების ყოველ სფეროს. მოდების პერიოდული მონაცვლეობა ლიტერატურაშიც გრძელდება. მხატვრულ აზროვნებას უნდა ახლდეს მარადიული სიახლის შეგრძნება. უარყოფის უარყოფა ნიშნავს განვითარებას, ეს დიალექტიკური პრინციპია. მოდა მუდამ სტანდარტულ ერთფეროვნებამდე აღწევს, რაც მისი უარყოფით მთავრდება. ტრაფარეტების საფრთხე ხელოვნებაში იყო და იქნება, მაგრამ დუბლიკატების შექმნა მარტოოდენ კიბერნეტიკული მანქანების ხვედრია. როგორც თოვლის ერთი ფიფქის სტრუქტურა არ ჰგავს მეორისას, ისე ხელოვნების ქვეშარიტი ნაწარმოებები ერთმანეთის ასლებად ვერ იქცევიან.

აქ დგას პრობლემა თვით შედეგის შექმნისა, რომ თითქოს ტექნიციზმი რომანტიკის მოსპობით ჰკლავს სულს, კულტურას, შთაგონებას, ეს ყალბი წარმოდგენაა. კვდება იდილიური, პატრიარქალური, პირველქმნილი მომხიბვლელობა, მაგრამ იბადება ახალი რომანტიკა, ჩნდება ახალი ცეცხლი, შთაგონება კოსმოსური გაფრენებისა, ადამიანური აზრის უძლეველობისა, სულის მარადიული სინორჩისა. მოდერნიზდება ტრადიციული ატრიბუტები. ხელოვნება ამ ცვლილებების, გაქრობის, შექმნის და განადგურების ნერვიული მატრიანია.

10. დროის ბიუჯეტი

ტექნიციზების უსასრულობამ, წარმოების კომპლექსურმა ავტომატიზებამ, ინფორმაციის ნიაღვარმა, გართულებულმა კომუნიკაციამ ადამიანი დროისაგან განძარცვა. ყოველდღიური წვრილმანებით გაფანტვა, ანტიჰეროიკული პათოსი ნელ-ნელა ახურდავებს სასიცოცხლო მიზნებს. განსაკუთრებული სიმწვავეით წამოიჭრა დროის პრობლემა. თავისუფალი დროის რაციონალური გადანაწილება არ არის იოლი საქმე. ეს უბრალო მოქალაქისათვის იმდენად მტკივნეული როდია, მაგრამ წარმოუდგენლად მძიმეა ხელოვანისა თუ მეცნიერის მდგომარეობა. შემოქმედს წმინდა ფიზიკური შესაძლებლობაც კი არ გააჩნია ინფორმაციის საჭირო ოდენობით შეწოვისა, დასისტემებასა და გაანალიზებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ შემოქმედი ხომ

მოქალაქეც არის! ის ვერც იქნება კარჩაკეტილი, ინდივიდუალისტი, მარტოხელა. საზოგადოებისაგან იზოლირება აბსურდია. ადამიანი ამ ხაზითაც რობოტს ედარება. ამიტომ არის გასაგები ზოგიერთი ხელოვანის განმარტოება, თვითგვემა, თვითშენიშვნა მშვენიერების კულტისათვის. სპეციალური სოციოლოგიური შესწავლის საგანია დროის ბიუჯეტი. სტრ–ის განუხრელი განვითარება ამ პრობლემას უფრო მწვავედ განგვაცდევინებს, წარმოქმნის მრავალ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას.

გაჩნდა კიდევ ერთი წინააღმდეგობა ლიტერატურასა და მკითხველს შორის. თანამედროვე მკითხველი კლასიკისკენ ისწრაფვის, არჩევს იკითხოს ტრადიციული ნაწარმოები. ამასთანავე მტკივნეულად გრძნობს სადღეისო საკითხებს. მას უნდა ყოველდღიურობის პასუხი ჰპოვოს ლიტერატურაშიც. ხელოვნება მარტო გართობის, დასვენების, ტკბობის მიზნით არ იკითხება, თუმცა თუ სიამოვნების, ესთეტიკური აღქმის მომენტი მოიხსნა, პროფესიონალ მკითხველს არც აინტერესებს ნაწარმოები. მაგრამ ლიტერატურაში გამოვლენა სტრ–ს სოციოლოგიური შედეგებისა შლის პირობითობათა ახალ ზღვარს. ნოვატორული ქმნილების აღქმას სჭირდება გარკვეული პერიოდი, შეიმჩნევა, შეგუება, პროპაგანდა. საამისო დრო ნაკლებ არსებობს. ახლა საგნებთან კონტაქტი საძნელოა. ხელოვნების ტექნიკური დარგები პოეტური კულტურის საშინელ კონკურენტებად გამოჩნდნენ. ასეთ დროს ლიტერატურა მკითხველისათვის რა უნდა იყოს – ტკბობის თუ შესწავლის საგანი? მაგალითად, თანამედროვე პოეზია მთლიანად მიდის ინტელექტუალიზების გზით. ავანგარდისტული ხელოვნება, დღევანდელი ფილოსოფიის სახეობანი და საერთოდ მეცნიერება იმდენად რთულია და ღრმა, რომ ინფორმაციის კორიანტელში გახვეულ ადამიანს დრო აღარ რჩება უახლეს ცთომილთა დასაკვირვებლად. დეტექტივის მასობრივი გავრცელება ამ მოტივმაც გამოიწვია. საერთოდ ჭირს თანამედროვე მკითხველის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა გაზრდა, თუმცა ეს მისი ერუდიციის მისამართით არ ითქმის.

11. ელიტარული და მასობრივი კულტურები

ბურჟუაზიულ სამყაროში ხელოვნება განიყო ორ ჯგუფად – ერთს უწოდებენ ელიტარულ კულტურას, მეორეს – მასობრივს. სტრ–ის

კომპლექსურმა შედეგებმა აღძრა ორი განსხვავებული ნაკადი სულიერ ფასეულობათა. თვით დასავლეთის თეორეტიკოსები ვერ იძლევიან ზუსტ განსაზღვრას, თუ რას უნდა ნიშნავდეს „ელიტარული“ ან „მასობრივი“. მაგრამ ისინი წარმოდგენას გვიქმნიან კაპიტალიზმის ქაოსურ ცნობიერებაზე. მასობრივი კულტურა აკმაყოფილებს ფართო მასების გემოვნებას, სულიერ მოთხოვნილებას. მრავალტირაჟიანი, იაფფასიანი ლიტერატურა, კინო, რადიო, ტელევიზია, გრამოფონის ფირფიტები, მაგნიტოფონის ფირები, მსუბუქი საესტრადო სიმღერები, პორნოგრაფიული და საშინელებათა ფილმები პასუხობენ მრავალმილიონიანი აუდიტორიის მისწრაფებებს. მასა ცდილობს ყოველდღიური გასართობი ეძებოს ხელოვნებაში. მარადიული ღირებულების აღქმას, დაფასებას სჭირდება გემოვნების განვრთნა, ცოდნის განსაზღვრული მარაგი. ხალხის ფართო ფენები საამისოდ არ არიან მომზადებული; არც სურვილი გააჩნიათ. მათთვის ხელოვნებას ევალება წამიერი კმაყოფილების აღძვრა. ამიტომ იქმნება სტანდარტული ფილმები, რომლებიც აღსავსეა სენსაციური და ფანტასტიკური ელემენტებით. იცემა ურიცხვი პოპულარული ჟურნალი და გაზეთი. უმაღლეს დონეზეა ასული ფერადი ფოტოგრაფია. ფერადი ბეჭდვის ტექნიკა, მასალის გადანაწილების მსუბუქი სტილი, პასუხობენ მასის წარმავალ მოთხოვნილებას. მასობრივ კულტურაში ბატონობს სულიერი შტამპი. ზოგადი სტერეოტიპებით აისახება ინდუსტრიული საზოგადოება. ის ექვემდებარება ფართო ფენების გემოვნებას. როგორც კი გაჩნდება ახალი მოთხოვნილებანი, ინფორმაციის არხები შესაბამისად მოდერნიზდებიან. მასობრივი კულტურა არ არის მყარი მოვლენა. მის გარშემო სწრაფად წარმოიშობა ტოტალური აჟიოტაჟი და ასევე უცებ ქრება. მისი ამინდის განმსაზღვრელია მასების მდგომარეობა და მისწრაფება. მასობრივმა ხელოვნებამ შექმნა საკუთარი მითოსი, რომლის გმირები არიან – ბიზნესმენი, ზეკაცი, განგსტერი, კოვბოი, ჯაშუში. ცალკეული ნაწარმოებები გარკვეულ პერიოდში ჩრდილავენ ჭეშმარიტ შედეგებსაც. დიდი ლიტერატურა მოკრძალებით ელოდება ადგილს მზის ქვეშ. მაგრამ მათი გავრცელების პერიოდი ფრიად ხანმოკლეა. დღეს განსაკუთრებით პოპულარულია ი. ფლემინგის რომანები ჯეიმს ბონდის შესახებ. ამ სახელის ირგვლივ იქმნება გუტენბერგის გალაქტიკის ახალი სისტემა. ჯეიმს ბონდები სერიულად იწარმოება, ბუნებრივ ხელოვნებას ცვლის ტექნიკური ხელოვნება, რომელიც ფარებზე აჰყავთ. ერზაციული ლიტერატურა მასების

დასათრგუნავად, მისი ყურადღების მაქსიმალური კონცენტრირებისათვის, – ემყარება პორნოგრაფიას, ფსიქოპათოლოგიას, სენსაციურ ამბებს, პოლიტიკური თემატიკის ხალტურას...

მაგრამ ბურჟუაზიული სამყარო გვანვდის ე. წ. „ელიტარულ“ კულტურასაც. აქ ცნობიერება იწმინდება ყოველდღიური ბანალობისაგან. ესთეტიკური სული მარადისობას ეჭიდება. ინერება ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები. ელიტარული კულტურა გაბატონებული კლასების იდეოლოგიური ნაყოფიცაა. ის იქმნება რჩეულთათვის. ყველას არც ძალუძს, მითუმეტეს კაპიტალისტურ სამყაროში, ჩანვდეს ინტელექტუალურ ხელოვნებას. მხოლოდ რაფინირებული გონება ეზიარება მის სიკეთეს. ლიტერატურის ჯუნგლებისაგან განსხვავებით მწვერვალები სიცივეს გამოსცემენ. აქ ერთეულები ამოაღწევენ, რათა ახლო შეხედონ ზეცას და შორეთს მიანვდინონ მზერა. ელიტარული კულტურა იძლევა ტონს ესთეტიკური გემოვნების მსვლელობისა. იგი არავისზე არ არის დამოკიდებული. არც არავის ემორჩილება. ზელიტერატურა თვითონ შლის და ქმნის ახალ კანონებს. მისი გამძლეობა ფრიად მდგრადია. მასებისათვის ის რჩება უქრობ შუქურად. თუ მასობრივი კულტურის ვარსკვლავები დავინყების ბინდში იძირებიან, ელიტარული კულტურის ბაირახტრები ნელ–ნელა ხდებიან ხალხის ალამდარები. მათი აღიარება ფრიად რთული და მძიმე პროცესია. დღეს რჩეულთა ლიტერატურის კერპები არიან ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი, ფრ. კაფკა, ს. ბეკეტი, ე. იონესკო, უ. ფოლკნერი, თ. ს. ელიოტი, ჟ. პ. სარტრი... ელიტარული კულტურა უკანასკნელ პერიოდში მასობრივად დაანვა ანტიხელოვნების თეორიას. ის გართულია საკუთარი ზოგადი, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური პრობლემატიკის ჩამოყალიბებით, სტილური ექსპერიმენტებით. ამ დროს წიგნის ბაზარზე ბრუნავს ჯოჯოხეთური ქარიშხალი. დეტექტივი, სამეცნიერო ფანტასტიკა, უტილიტარული პროდუქცია ძირავს დიდ ლიტერატურას ხალტურიზმის ჭაობში. „ახალი მგრძნობელობა“, „სექსის რევოლუცია“, „ტექნიკური ადამიანი“ ამოუნურავ საექსპლოატაციო მასალას იძლევა. როცა უჭირთ ელიტარული კულტურის კორიფეებს, გაუნიონ კონკურენცია ერზაცლიტერატურის ბიზნესს, გასაგებია რარიგ მძიმეა წარსულის ჭეშმარიტი ოსტატების ხვედრი.

მასობრივი და ელიტარული კულტურები გამოჰყოფენ შემაერთებელ რგოლს. ეს არის გარდამავალი ზონა. მას აკუთვნებენ ხელოვანთ, რომელთაც აქვთ ერთდროული პრეტენზია, რომ იყვნენ მასის საყვა-

რელი მწერლები, ამავე დროს – უკვდავების ბინადარნი. ეს ერთგვარად ბედნიერი და რისკიანი გზაა. ასეთ შუალედურ მწერლად დღეს ითვლება, მაგალითად, ვლ. ნაბოკოვი – „ლოლიტას“ ავტორი.

12. ატროფირებული ფორმები

სტრ–მ კომპლექსური ზემოქმედებით გამოიწვია ლიტერატურის ფორმების ატროფია. ეს იყო ლიტერატურულად და საზოგადოებრივად მტკივნეული და ძვირად ღირებული პროცესი. რომანში ნელ–ნელა გაქრა ტრადიციული სტრუქტურები. მისი რღვევა XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან დაიწყო. შემდეგ მოდერნისტებმა და ავანგარდისტებმა მოიტანეს კომპარული სტილი. „დაკარგული დროის ძიება“, „ულისე“, „ფინეგანის ქელეხი“, „ხმაური და მრისხანება“, „აბსურდის თეატრი“, ფრანგული „ანტირომანი“ შლიან ფაბულის პოეტიკას, სიუჟეტურ ინტრიგებს. ბატონდება განსჯითი მანერა, რეფლექსები, ქვეცნობიერი მოტივები, ცნობიერების ნაკადი. „ომი და მშვიდობის“ ტიპის რომანი დღეს დასავლეთში არ იქმნება. წმინდა ეპიკური ჟანრი გადაგვარდა ანუ მოდერნიზდა. მოდერნისტებმა მწვავედ შეიგრძნეს დისჰარმონიული სამყაროს სისასტიკე. უკიდურესი ექსპერიმენტები რჩება ექსპერიმენტებად. ხელოვნების ისტორიაში მათ მიეზღვის საკადრისი, მაგრამ პრაქტიკული მნიშვნელობა ფრიად იზღუდება. ობიექტურად უნდა შეფასდეს ინტელექტუალური სინდისი და ხელოვანის კეთილშობილება. მოდერნისტების შემოქმედებითა თავგანწირვამ გახსნა მრავალი წყაროსთვალ მხატვრული აზროვნებისა (მაგ. „ცნობიერების ნაკადი“, მითოსი და მითისქმნალობა და ა. შ.).

ადრე რეალიზმის დიდოსტატები შემოქმედებითად იყენებდნენ მოდერნისტების მიერ დამუშავებულ სტილურ ფორმებს (ლ. არაგონი, ბ. ბრეხტი, ი. ბეხერი, კ. გამსახურდია...). ამიტომ დღესაც საჭიროა ათვისება ავანგარდისტული კულტურის დადებითი ნიშნებისა. ეს პერმანენტული პროცესია და ამჯერადაც აშკარად შესამჩნევი.

ღირსია დაკარგა ტრადიციული ატრიბუტები – რითმა, მეტრი, სტროფი. იგი დაუბრუნდა პირველსაწყისს. დასავლეთში რითმიანი ლექსი ანაქრონიზმია. ჩვენშიც ძლიერდება ვერლიბრისა და ვერბლანის ციებ–ცხელება. ლექსი ხდება ანტიმუსიკალური, ინტელექტუალური. საბოლოოდ ხუნდება ის ფორმები, რის მისაღწევადაც

პოეზიას საუკუნეები დასჭირდა. ლექსი ელტვის იმის გამოხატვას, რაც სპეციფიკურია და აუცილებელი. დღეს იცვლება და იქმნება აზროვნების ახალი ტიპები. ადრე სრულიყოფოდა ლექსთწყობის სახე და სალექსო ფორმა. თანამედროვე პოეზია საბოლოოდ სპობს ეპიკურ ჟანრს. წმინდა ფაბულა კარგახანია დავინწყებას მიეცა. თითქმის არც იწერება ეპიკური პოემები. სტრ არ იძლევა საზრდოს კლასიკური წყობის პოემების შესაქმნელად, რომელთაც სჭიროდა ჰეროიკული, მითოლოგიზებული, რომანტიკული მასალა. ემპირიზმი აუფასურებს პოემის სახეს. ყოველდღიურობა პროზის სფეროა. მისი ნაძალადევი გაპოეტურება მარცხით მთავრდება. არ არის სავალდებულო მოთხრობების გალექსვა. ამიტომ თანამედროვე ლირიკული პოემა კლასიკასთან მიმართებით არის ანტიპოემა, თანამედროვე ვერლიბრი – ანტილექსი.

დღევანდელი სალიტერატურო ფორმები ატროფირებულია კლასიკასთან მიმართებით. პოეტიკას მცირე ყურადღება ეთმობა. მწერლობამ ჩამოიფერთხა თეატრალური ნიღბები და წმინდა სახით წარუდგა საზოგადოებას, მაგრამ მისი ნამდვილი სახე იმდენად გაუცხოვდა, რომ პირველქმნილ სისპეტაკესთან დაბრუნება გაუგებარი აღმოჩნდა. ლიტერატურა, როგორც დღევანდელი ადამიანი, შეელია ფიზიკური აქტივობის გამომჟღავნებას; ლიტერატურა, როგორც დღევანდელი ადამიანი, გახდა უფრო ნერვიული, დაძაბული, ფსიქოლოგიური, ჭკრეტიით...

18. „წმინდა ხელოვნება“ დღეს

თანამედროვე სიტუაციამ მოხსნა „წმინდა ხელოვნების“ თეორია. წარსულს ჩაბარდა სიტყვის ვირტუოზობა, მუსიკის კულტი, არტისტული და მსუბუქი მშვენიერება. სიმბოლისტების ფერადი და ამღერებული სტილი ელტვოდა მიდმურის მიწვდენას. ფრაზების ირაციონალური მოძრაობა გამოსცემდა უცხო შარავანდედს. რჩეულთა ხელოვნება უმღეროდა უფაქიზეს განცდებს. მოდერნიზმი (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი...) წმინდა არისტოკრატიული მოვლენაა. სიტყვათა ესთეტიკური იერარქია მისი პრინციპი იყო. ცალკეული თემები ლამის აიკრძალა. ბატონობდა არისტოკრატიული გარემო და თვალსაზრისი. ეს ცხოვრებისეული ლოგიკის ნაყოფი იყო.

ექსპლოატატორთა კლასი ქმნიდა შესაბამის ლიტერატურას. საზოგადოებრივი წყობა ნაწარმოების სტრუქტურაშიც მჟღავნდებოდა. მაგრამ სოციალისტურმა რევოლუციებმა, ტექნიკის შემოტევამ, ურბანისტულმა აფეთქებამ, მასობრივმა განათლებამ მოსპო არისტოკრატიული პრივილეგიები: კულტურის სათავეში დადგა ინტელიგენტი. მისთვის დარღვეულია არისტოკრატისათვის ნიშნეული ფიზიკური და გონებრივი თანაფარდობა. კაცობრიობა სულ უფრო და უფრო ინტელექტუალური პრობლემებით ერთობა. სასიცოცხლო ინსტინქტი ემყარება ფიზიკურ ძალას, ემოციებს. ამიტომ არის კონფლიქტი შემოქმედებით სანყისსა და ცხოვრებას შორის. ინტელიგენტი მოაზროვნე არსებაა, მაგრამ არა ჰარმონიული. შესაბამისად თანამედროვე ხელოვნება აღბეჭდილია ინტელიგენტურობის ნიშნით: ნამოინია ინტელექტის კულტი, აზროვნება. დაიჩრდილა ოსტატობის სინატიფე, სტილური ელვარება, მაქსიმალური რაფინირების სურვილი, ფორმათა კანონიკურობისაკენ სწრაფვა. დაირღვა სიტყვათა ესთეტიკური იერარქია. სტრ—მ კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნა ე. წ. ანტიხელოვნება. საყოველთაოდაა ცნობილი ფრანგული „ანტირომანის“ თეორია და პრაქტიკა (ალენ რობ გრიე, მიშელ ბიუტორი, კლოდ სიმონი, ნატალი საროტი...). ანტიხელოვნება ფაქტიურად უარყოფს მოდერნიზმის მონაპოვრებს. „ელიტარული“ კულტურა არის „წმინდა ხელოვნების“ დღევანდელი ვარიანტი. მაგრამ თვით „წმინდა ხელოვნება“ უკვე არ არსებობს. ზეკაცი, რომანტიკა, არტისტიზმი, უფაქიზესი სიმბოლოები, რაფინირება მისი განუყრელი ატრიბუტები იყო. დღეს არსებობის განცდის ინტელექტუალური გააზრებაა უმთავრესი. ადამიანი მარტოვდება ცათამბჯენებს შორის. ამიტომ ის ბევრს ფიქრობს უჩინარ, ზოგჯერ საჩოთირო მოტივებზე. აქტივისტური ნიცშეანელობა იცვლება პასივისტური ეგზისტენციალიზმით.

ასე ენაცვლება მოდერნიზმს ავანგარდიზმი.

14. პოეზიის კრიზისი

დღეს მსოფლიო მაშსტაბით დაცემულია ლექსის ხვედრითი წონა. პოეზია ნაკლებად იყიდება. ხელოვნების სხვა ეფექტური ხერხებით შეჯავშნული დარგები მას უნუგეშოდ ავინროებენ. მსოფლიო უზარმაზარ ქარხანას დაემგვანა. აქ დიახაც ენატრებათ ბულბულის გალო-

ბა, მაგრამ მოსმენა ჭირს. ყველა ეპოქაში იმარჯვებდა ლექსი, როცა ქმნიდა პოემას, ეპოპეას. ამჟამად უკვე აღარ ინერება ვრცელი ეპიკური ტილოები: ლირიკული პოემის ნაირგვარი კონსტრუქციები იქცევენ ყურადღებას. ამიტომ ეცემა პოეტის პოპულარობა. თანამედროვე კულტურა ანტიმუსიკალური ფენომენია. ჩვენს თვალწინ მოკვდა მგოსნის ცნება (ცხადია, ქართულმა ლიტერატურამ ეს ფაქტი მოვგიანებით აირეკლა). არსებობს პოეტი ოთარ ჭილაძე, მაგრამ უხერხულია მას ვუნოდოთ მგოსანი. მოხდა დიფერენცირება: პოეტი და მგოსანი არასრულფასოვანი სინონიმებია. ინტელიგენტური კულტურა არ ეწევა მუსიკის იმიტაციას, თუმცა მისი სტრუქტურა და სააზროვნო ფორმა მახლობელია.

ლექსმა დაკარგა მკითხველი, პროზის მრავალტირაჟიანი გამოცემები სწრაფად საღდება. პოეზიას კი შერჩევით ყიდულობენ. ეს თითქოს კარგია, თითქოს გაიზარდა მკითხველის გემოვნება და ინტერესი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის: იგივე მკითხველი განურჩეველია პროზის მიმართ. ხოლო ლექსი უფრო ფაქიზი და ძნელად მისაწვდომი ფენომენია, ვიდრე პროზა. სულ ამაოდ უწოდებენ დღევანდელ საქართველოს პოეზიის ქვეყანას. რამდენიმე პოეტის მეტ-ნაკლები პოპულარობა არაფერს ნიშნავს. გარდა ამისა, არც მათ გარშემო იქმნება ფურორი. პოეტსა და მასას შორის კონტაქტი ფრიად შესუსტებულია. თანაც, რატომღაც, არ არსებობს ჭეშმარიტი გმირის მოთხოვნა. ბურჟუაზიული დასავლეთი ზედაპირზე ამოისვრის რამდენიმე ავტორს, რომლებიც ჭეკა-ჭუხილად ევლინებიან მსოფლიოს. აჟიოტაჟი და ველური გახელება მათ სახეებს მკვიდრად აღბეჭდავს ხალხის ცნობიერებაში. დაუშვებელია ესთეტიკური თანასწორობის პრინციპი. ლიტერატურას ქმნის რამდენიმე ათეული კაცი. სწორედ მათი პროპაგანდის გაძლიერება გეჭირდება, ამ დროს მოთხოვნა იმისა, რომ ყოველი მწერალი გამოიყვანონ რადიოთი, ტელევიზიით, მისცენ აუდიტორია და სცენა – გააშუქონ მათი შემოქმედება – სისულელეა. ჩვენ იმდენი ფორმალური გმირი გვყავს, რომ ხალხი დაიღალა. მას უკვე აღარც აინტერესებს, რომელია ყალბი, რომელი – ჭეშმარიტი. თანამედროვე მკითხველი არ არის პროფესიონალი. პროფესიონალური ლიტერატურა კი ამგვარ მკითხველს საჭიროებს. სტრ-ის რთული სოციოლოგიური შედეგები აღვივებენ განშორების ტენდენციას პოეზიასა და მასებს შორის. ცხოვრების გარეგნულად მშვიდი, შინაგანად ნერვიული და დაძაბული მსვლელობა, ერთნაირ და მსგავს

სტრუქტურებს ბადებს პოეზიაშიც. დეტექტივით გატაცება სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ მკითხველი არაა განწყობილი დიდი და მკაცრი ხელოვნების მისაღებად.

პოეზიის კრიზისი უწყვეტი და გლობალური მოვლენაა. ახალი და მრავალგვარი ფორმები აზნევს მკითხველს. ის შეჩვეულია ერთ ფერს, ერთიან მოდას, სტილურ მსგავსებას. მკითხველისათვის მისაღებია ტრადიციის ინერცია, ვინაიდან ტრადიცია ათვისებულია. ანგარიში უნდა გაენიოს არა მხოლოდ პოეტს, არამედ მკითხველსაც და ბოლოს – კითხვის კულტურასაც ისევ სჭირდება ათვისება და შესწავლა, როგორც წერისას.

15. მითოსის გამოხმობა

მიბრუნება მითებისაკენ – ეს არის რეაქცია, ტექნიციზმის საპირისპირო. ტყვიისფერი ზეცით გულმოკლული მეოცნებე ეტრფის შორეულ სილაჟვარდეს. კაცობრიობა იხსენებს თავის ბავშვობას. ბუნებრივი ბუნება პოეტური ზმანებითაა გარემოცული. ჯვიმს ჯოისი და თომას მანი გვიზიარებენ მარადიულ სინედლეს მითოსისას. მათი პრინციპები ეპოქის მხატვრულ პოსტულატებად იქცნენ: შემოქმედის ნებამ აღადგინა ჩაფერფლილი საუკუნეები. წარსული და თანამედროვეობა გაერთდა.

ჩვენს თვალწინ გრძელდება ხელოვნების ფორმათა დევალვაცია. ხუნდება მარადისობის ცეცხლოვანი ოცნება. ინფორმაციის მოზღვაება ფიტავს ესთეტიკურ განცდას. იქმნება და ირღვევა უახლესი კონცეფციები. მათი ორიგინალობა განიზომება სპეციალიზებითა და მოდურობით. მაგრამ ვერც ერთი მოდური და ვინრო მოვლენა განადგურებას ვერ აიცილებს. თანამედროვე ოცნება ინტელექტის პრიმატით შეიბოჭა: ნიცშესეზური ვულკანური ტემპერამენტი შეცვალა განსჯის ურთულესმა რეფლექსიებმა. ჰაეროვანი და ნატიფი სახეები ხელოვნებიდან თითქმის განიდევნა. მძიმე და მღვრიე ინტელექტუალიზმი, როგორც პროდუქტი დღევანდელობის ცნობიერებისა, დაეფულა ესთეტიკურ სულს. მშვენიერება ახალი ნიღბით შეიმოსა. შეიძლება ეს არ იყოს მაცნე აღმასვლისა, მაგრამ ეპოქის დაძახილს ვერავინ გაექცევა. ეგებ თვალს უფრო უხაროდეს ხილვა ანტიკური თუ გოთური არქიტექტურისა, ვიდრე თანამედროვე ცათამბჯენთა,

მაგრამ სინამდვილე თხოულობს გამოხატვის ადექვატურ ფორმას. არსებობს ზოგადი ტენდენცია, რომელიც არაცნობიერად წარმართავს ხელოვანის ნებას. ახალი მასალა ეურჩება კონსერვატიულ გემოვნებას, მითუმეტეს – როცა გვეძლევა ანტიესთეტიზმის ნიშნით. ცივილიზაციის რომანტიკა ნაყოფია გასაგნებული ინტელექტისა, ამდენად – დაცილებული სასიცოცხლო ბუნებრივი ძალებისაგან.

XXX

პიროვნება, როგორც გამოცანა

ცათამბჯენების ჩრდილში ადამიანი უნებლიედ განმარტოვდა: ზეცისკენ აჭრილმა ტექნიკურმა ოცნებამ თითქოს დააჩიავა. ის უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩაუფიქრდა სამყაროში არსებობის ფასს. ურბანული და ტექნიზებული გარემო თავისთავად არის ახალი სააზროვნო მომენტების აღმძვრელი, ხოლო მასში მოქცეული პიროვნების ფსიქიკა მოიცავს მრავალგვარ უცნაურობას. ადამიანი სულ უფრო თავისუფლდება ფიზიკური დატვირთვისაგან. იქმნება მასობრივი კომფორტი. ბურჟუაზიული სამყარო მომეტებულად ამძაფრებს ინდივიდის ტრაგიზმს. სტრ, თავისი მრავალმხრივი ზემოქმედებით, ცვლის ადამიანის ცნობიერებას, ხოლო როცა მას დაერთვის სოციალური თუ ეროვნული უთანასწორობა, – გამოუვალი სიტუაცია წარმოიშობა. ფილოსოფია და ხელოვნება პიროვნების მიერ ინსტინქტურად ნაგრძნობს აძლევს ვრცელ განმარტებას. თითქოს საყოველთაო მოვლენაა სულის კრიზისი. ჯერ კიდევ ს. კირკეგორი და ფრ. ნიცშე სწავლობდნენ პიროვნების ადგილს, რაობას და ღირებულებას. მათ ფასეულად მხოლოდ ადამიანური სიცოცხლე მიიჩნიეს, როგორც არსებობის უმაღლესი ფორმა. ტრადიციული ფილოსოფია აანალიზებდა ობიექტურ სამყაროს, სუბიექტი განიხილებოდა მასთან მიმართებით. საზოგადოებრივი ვითარება არ იძლეოდა მოტივს ადამიანის პიროვნებით შემოსარკალავად. მერმე ცივილიზაციამ დაჩრდილა კულტურა და კრიზისის პირველი ნიშნებიც გაჩნდა. ბურჟუაზიულმა სამყარომ გამოძებნა საგნების კორიანტელში ჩაკარგული ინდივიდი. დაიწყო ძიება სუბიექტის სუბიექტურობისა; ლიტერატურაც შესაბამისად შეიცვალა, კრიტიკული რეალიზმის ზუსტი მეთოდი ადგილს უთმობს „სწეული საუკუნის“

მოდერნულ სკოლებს, რომლებმაც ადამიანი კიდეც გააფეტიშეს და კიდეც გაამასხრეს. პიროვნების პატივმოყვარეობა კიდეც ერთხელ შეილახა. მას თვალთაგან ჩამოგლიჯეს ფერადი ფარდა და აჩვენეს, რომ საცოდავი და უმწეო არსებაა: ჯერ კოპერნიკმა დაასრულა რელიგიური რომანტიზმის ეპოქა, როცა გააშარჟა ამქვეყნიური ღვთაებრივი წესრიგი. მერმე დარვინმა ადამიანს წინაპარი აღმოუჩინა. გარეგანი და შინაგანი ტკბილი ბურუსი გაიფანტა. ტრანსცენდენტური ძალების იმედი ამოიწურა. ბოლოს ფროიდმა ადამიანი წარმოადგინა, როგორც ველური ინსტინქტებით შეპყრობილი ცხოველი. მკაცრად განიყო არსებობა და არსება. ფილოსოფია და ხელოვნება, ეპოქის შესაბამისად, ხსნის ადამიანის სულის ფარულ ნიუანსებს. მეცნიერების უსასრულო განვითარებამ მოსპო რელიგიისადმი ერთგულება. დაიკარგა რწმენის მოტივი, დაიკარგა ტრადიციული შიში უნივერსის წინაშე. ინდივიდი თითქოს განთავისუფლდა თავისი ზეციური მეურვისაგან. ნიციში ამტკიცებდა, რომ ადამიანის სულში ღმერთი მოკვდა. ინდივიდებს გზა გაეხსნათ. ბედისაგან რჩეული ზეკაცი თვითონ უნდა დაეუფლოს ძალაუფლებას და აამოძრაოს მიძინებული სისხლი. მაგრამ გრანდიოზული ტექნიკური მიღწევების მხილველი და ამთვისებული ადამიანი უნებურად შეკრთა, განმარტოვდა. მას დასჩემდა მიდრეკილება იზოლირებისაკენ. სტრანს-ის ბოზოქარი სვლა სპობს განკერძობას, ინდივიდუალობას, ის მასობრიობის, კოლექტიურობის ნიშნით მოქმედებს. ადამიანი ესწრაფვის საკუთარი სახის გამოკვეთას, მასიდან გამოყოფას, დამოუკიდებლობის დასაბუთებას, რაც წარმოშობს ინსტინქტურ შიშს, ძრწოლას, მარტოობას, აღმოცენებს მრავალ პიროვნულ ნაკლსა და საჩოთირო მოტივებს. ფიქრებში გართული ინდივიდი უფრო თავისთავს უკვირდება, ვიდრე სხვათა.

სიცოცხლე ყოველთვის იყო ერთგვარად ტრაგედიული. მაგრამ ძველი ჰეროიკა, დრამატიზმი, აქტივიზმი დღეს იცვლება პასივიზმით, ინერტულობით, მშრალი განსჯით. ახლებურად განიცდება მარადიული მისწრაფება გაუკვდავებისაკენ, ვინაიდან ყოველნაირი ზებუნებრივი ძალა ეფემერული გამოდგა. ძველი სამყარო სიზმრებით ნაქსოვი ქვეყანა ყოფილა. თანამედროვე ვითარება კი პროზაული ურთიერთობის სცენაა. ეგზისტენციალიზმი სწორედ შექმნილმა სიტუაციამ წარმოშვა. ის შეეცადა პასუხი გაეცა დაბნეული ადამიანის მიერ წამოსროლილ კითხვებზე. სიცოცხლის განცდის ადგილი დაიკავა არსებობის განცდამ. პიროვნება ისწრაფვის უკვე არა სხვათა დასათრგუნად, გარე ელე-

მენტების დასამორჩილებლად, არამედ თავისი არსებობის დასადგენად. მას აინტერესებს თავისი თავი ისეთი, როგორც არის. ნიციშეს ზეკაცი და შტირნერის ერთადერთი მებრძოლი ინდივიდუალისტები იყვნენ. დღეს ბრძოლა ჭვრეტამ შეცვალა. აქ ბუნება არის ადამიანის ნაწილი. უნდა გაირკვეს მისთვის სამყაროში არსებობის ფასი და სახე. ნისლიდან შობილი პიროვნება ერთბაშად ცდილობს „მე–ს“ საგულდაგულო შინაგან განსაზღვრას, რითაც გაცნობიერდება გარეგანი რეალობაც. გულუბრყვილობა გზას გაუხსნის მკაცრ რაციონალიზმს. მაგრამ გონება ანტივიტალური ძალაა. ის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ენერგიაა. შურით გამოხატული სულის შიმშილი დასტურია ვიტალური სანყისების დაზრობისა. მას საარსებო წყაროს ირაციონალური აძლევდა, რომელიც თანდათან რაციონალურში გადმოვიდა. ადამიანი გაითანგა მარადიული სიკეთის ძიებით. ის სულში ჰპოვებს საყრდენ წერტილს; ძიება მარტოობასაც გულისხმობს, რომლის გამძაფრება კომმარულს ხდის ცხოვრებას. მარტოობის ძრწოლა – ეს ურბანისტული გარემოს პროდუქტია, რომლის გადალახვას ცდილობენ ხელოვნება და ფილოსოფია, სიყვარული და მეგობრობა... ადამიანი ემონება თავის მიერ გამოგონილ პირობებს, ნივთთა სამყაროს. ეს უკვე სანყისია თავისი თავის დაკარგვისა და მანქანებისადმი დამორჩილებისა. ტექნიციზმი – მაქსიმალური დემოკრატიია, ადამიანის ბუნებაში კი მუდამ არის მიჩქმალული ეგოისტური, ინდივიდუალისტური, პირადული მოტივები, რომლებიც აღმოაცენებენ მათ შორის მტრობას. ატომური ომის საფრთხე მიაშიტ ადამიანსაც ეჭვით განაწყობს ინტელექტისა და გამალეზული ტექნიციზებისადმი. სტრ–ის პრობლემების შეცნობა, დროისა და სივრცის გაუთვალისწინებლად, მართლაც მოგვაქცევს არარაობის ნათელ ღამეში. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მიმდინარე პროცესი არის გრძელვადიანი, თანდათანობითი, რომელსაც ფსიქიკა გარდაქმნით ეგუება. შპენგლერის თქმით, ტყეები ქალაღდებად იქცნენ და ცივილიზაციამ მოინელა კულტურა. ღმერთის არარსებობის ეპოქაში მიზანი თვით ადამიანებმა უნდა განისაზღვრონ. მაგ., როცა მწერალი წერს წიგნს, მისთვის მიზანი ნათელია, ან – როცა ხელოსანი ამზადებს დანას. ასევე ღმერთისათვის ადამიანის მიზანი განსაზღვრული იყო. მაგრამ საზღვარმორღვეული, პირადი წარმოდგენებით დაფლეთილი მსოფლიო ღმერთს განუდგა. ამიტომ ადამიანმა თავად უნდა დაადგინოს სამყაროში თავისი არსებობის ღირებულება. თუ აქტივისტებს სამყარო მიაჩნდათ, როგორც ნაღვლი და გარდამავალი თასი, დღეს

პასიური თაობა მოსახვეჭად კი არ არსებობს, არამედ – არსებულის გასაშიფრად. ჰიპური მოძრაობა მკვეთრი დემონსტრირებაა დღევანდელი ლობის უმოქმედო სახისა.

ლიტერატურა, განსაკუთრებით XX საუკუნეში, ჭარბად სესხულობს იდეებს ფილოსოფიისაგან. მან მიიღო მეტნაკლები კორექტივით, სიცოცხლის ფილოსოფიით, მარქსიზმით, ფენომენოლოგიით, პერსონალიზმით თუ ეგზისტენციალიზმით ახსნილი ადამიანის მოდელი. ბურჟუაზიული სამყარო ტრაგიკულად წარმოაჩენს პიროვნებას. რა თქმა უნდა, ჩვენი სინამდვილე სხვაგვარ შედეგებს გვაცნობს. მაგრამ ურბანიზება, სტრ, ადამიანის ზოგადი სტრუქტურა ყველგან გვაძლევს ნათესაურ სურათს, რომელიც გამოხატულია კონკრეტული საგნებითა და ნიშნებით.

„ეპოქა და სტილის პრობლემა“, თბ., 1976.

„ H_2SO_4 “-დან „მემარცხენეობა“

ავანგარდიზმის ესთეტიკა

„ბნელი ხარო, მეუბნებოდნენ, ჩემი საუბარი კი ზღვას ეხებოდა“, – სენ ჟონ პერსის ეს ნათქვამი უნდა გავიხსენოთ, როცა სიტყვას დავძრავთ ავანგარდიზმზე. იგი ჩვენთვის უცხოა, უცნაური და იდუმალი, ისევე ვრცელი და გამოუცნობი, როგორც რომანტიკოსთა მთვარე და მოდერნიზმის მელანქოლია. მაგრამ ეს ორი ტერმინი თუ ბავშვობიდან ახლავს ჩვენს ფანტაზიას, ავანგარდი ახალი დროის პაროლია, ჯერ კიდევ რომ ვერ მოასწრო დამკვიდრება, თუმცა დიდი ხანია შლის და არღვევს სიზმრების, ოცნების ქვეყანას, ძველ რომანტიკას, სევდასა და ნაღველს, სიყვარულსა და სიძულვილს ნამდვილი რეალობის, ყოველდღიური ყოფის სახელით.

თუ სიმბოლისტი (და იმპრესიონისტიც) „მთვარის მიჯნური“ იყო, ღამის კულტს ეტრფოდა, გვახვევდა სევდასა და მელანქოლიას, გვხიზლავდა ფერების ცისარტყელით, მოზეიმე სიტყვით, მკაცრი ფორმით, ავანგარდისტი ძველი სამყაროს უარმყოფელია, ლაინერის ფრთებით მქროლავი, მჭვრეტელი და მჩხრეკელი. იგი გემბანიდან ყრის იმ ქანდაკებებს, რომელთაც წინაპართა ჩვენთა მზერა შეეზარდა. კუბისტი და ფუტურისტი გეომეტრიული ხაზების მეხოტბეა, ინტუიციის წილ ინტელექტის მაღიდებელი; თუ ნეორომანტიკოსი ძველ ფორმათა, განცდათა და შეხედულებათა უაღრესი დახვეწით ჰარმონიას ელტვოდა, ავანგარდისტი ქაოსის მხატვარია, ქაოსიდან ახალი წესრიგის აღმდგენი.

საერთოდ მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის წყალგამყოფია რომანტიკისადმი მიმართება. რომანტიკა, როგორც ჩვენ გვესმის ხოლმე, ყოველი ამაღლებული, დრამატული, ტრაგიკული განცდის თანამდევია მოვლენაა. იგი ღამის, მთვარის, სიყვარულისა და მელანქოლიის სამყაროში იშვა, როგორც გლოვა დაკარგულზე ან როგორც მომავლისკენ წარმტაცი ძალა. რომანტიკა სულის სინაზეს ამეტყველებდა, ღვთაების ხატი გადაჰქონდა სიტყვის, ფერის, ჰანგის საუფლოში.

მაგრამ ავანგარდისტებმა წმინდა პანთეონს ილუზიური საბურველი უხეში ხელით ჩამოჰგლიჯეს, აკრძალეს ცრემლი და სევდა: სულს შეენაცვლა გონება, მთვარეს – ელექტრონი, სიყვარულს – სექსი,

შთაგონებას – გათვლა, ადამიანს – მანქანა, წესრიგს – ქაოსი, ლოგიკურ მეტყველებას – დარღვეული სინტაქსი, ფსიქიკური ავტომატიზმი, ასოციაციური ნაკადი, ბავშვის მეტყველება, ზაუმი.

დაიმსხვრა მშობლიური ენა, დაირღვა ფერი და მელოდია, რომელთა სრულქმნისათვის მოაზროვნეთა სული და სისხლი დაიშრიტა. ძველი ჩუქურთმების ნანგრევებზე უცხო ანსამბლი წამოიმართა, რომლის სახელია ანტი, უღმერთო დროის შესატყვისი, ტექნიკური გონის მოიმედე, ნაკლებად ჰუმანური, უფრო მეტად ურჩხული, მაგრამ მაინც ადამიანურ ძალთა ტრიუმფის მაცნე.

გმირი წარსულის ტალღებში ჩაიძირა. ახლა მისი მემკვიდრეა უჩინარი მარტოსული, ეჭვით, ფიქრით, ცინიზმით, ნევროზით შეპყრობილი ან ფოლადისებრი ნებისყოფით აღსავსე, მავთულის ნერვებიანი პიროვნება. იცვლება და ირღვევა სულიერი ორიენტირები. იწყება არაფრის ძიება, სულის სიღრმეში ხეტიალი, არაცნობიერი ფსიქიკის ქაოსის დაღაგება. ჰეროიკული სიტყვა კვდება და უმითოდ ყოფნის კომმარს აქარვებს პაროდია, ირონია, გროტესკი, აბსურდული ყოფა. გაუფასურებული და ფხვიერი აზრი გვთავაზობს აბსტრაქტულ ფიგურებს, ალოგიკურ და შავ იუმორს, საგნების რეესტრს, ცნობიერების მღვრიე დინებას.

ეს დეკადანსის ნაგვიანევი ექოა, სიმახინჯის ესთეტიკის ვარიაცია. ხოლო ძველი ჰეროიკა იქცევა სუპერმენად, რკინის პიროვნებად, რობოტში გარდასულ სიცოცხლედ, რომელსაც სული არ სჭირდება – საკმარისია მხოლოდ ძალა.

საერთოდ ყოველი ახალი ძველის წიაღში ისახება და სიახლე არის ფარულ ნიშან-თვისებათა და მიდრეკილებათა სისტემად წარმოდგენა, დროის ნიღბებით თამაში, ახალი იდეებისათვის თავგანწირვა და წინ გაჭრა, ჯერ ართქმულის გამოთქმა, რასაც ლაშქრის ავანგარდი ეწოდება კიდევ. მაგრამ ადამიანის ჯიუტი და დაუცხრომელი აზრი ვერ ისვენებს, აწყდება ფორმისა და სანუთროს კედლებს, იმარჯვებს, ეცემა და მარცხდება. და ეს არის ადამიანური არსებობის ფასი და გამართლება, თუმცა ყოველი სიახლე არ არის წინსვლა, ძველზე უფრო გამძლე და მშვენიერი. მაგრამ სიტყვა დროის ფერისცვალების ფიქსატორია და ის იმდენად იქნება ძლიერი და მძაფრი, რამდენადაც შეხვდება ერთმანეთს ძალმოსილი ხელოვანი და მილიონების უნართა სახეცვლილი, ათას ჭრილობით დასერილი და ათას ფერთა მოზაიკით მოელვარე სამყარო.

ამიტომ ყოველი ბრძოლა რომანტიკის, წესრიგისა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბოლოს მაინც მთავრდება ახალი რომანტიკის, წესრიგისა და ჭეშმარიტების პოვნით, აღიარებითა და დაცვით, რომელიც ძველს ჰგავს და არცა ჰგავს, როგორც მამა—შვილს.

ავანგარდისტიკისათვის ეს არის აზრის საფუძველზე გაშლილი, ინტელექტის მიერ შემაგრებული ცნებები, ამ ცნებებით გართობა. ეს არის ტრადიციის ახალ სარკეში გარდატეხა, ახალი აზრით დატვირთვა და დროის მიერ უარყოფილი სამოსელის გადაგდება, ამავე დროს — მომავალი ნიჰილიზმის მოლოდინი.

ასე ხდებოდა უცხოეთში, ცათამბჯენების ჩრდილში თუ ბებერი სენის ნაპირებზე, სადაც ფრთაასხმული ფანტაზია ეხლებოდა ჰადესსა და ვარსკვლავებს. ხოლო ქართველი ხელოვანი პატიმარს გავდა, რომელიც ოთხკედელს შორის მოქცეული, სარკმლიდან უმზერდა ზეცას. მას არ ეცალა ბუნდოვანი და უცნაური, მასისათვის უცხო ფიგურისა და სიტყვისათვის. მაგრამ სულის ანტენები იჭერდნენ ატმსოფეროს იდუმალ რხევას და „გაზაფხულის როშარები“ ხელს უწვდიდნენ სიტყვის ტანჯულ კონსტრუქტორებს.

A. მოდერნიზმი და „H₂SO₄“

დიქტატორობის უფლება, პირველობის პალმა, – აი რას ესწრაფოდა ყოველი ლიტერატურული ჯგუფი ოციან წლებში. არც ე. წ. ფუტურისტები ყოფილან გამონაკლისი. მათ პირველსავე მანიფესტში „საქართველო – ფენიქსი“, რომელიც 1922 წლის 7 მაისს გამოიცა (პოეზიის დღესთან დაკავშირებით), უარყოფილია წარსული მომავლის სახელით, თითქოს მყოფადი მანიფესტის ავტორებიდან იწყება („*უარყოფთ რაც ჩვენ უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება*“) და მათ უნდა შექმნან ელექტრონის და მანქანის საუკუნის შესატყვისი ურბანული ხელოვნება.

ვერ მოდერნიზმს ვერ შესჩვეოდა ქართველი მკითხველი და უკვე მის დასამხოზად ირაზმებოდნენ ჭაბუკი ავანგარდისტები.

„*საქართველო – ფენიქსს*“ ხელს აწერენ – *ნიკოლ თავდგირიძე* (ნიკოლოზ ჩაჩავა, ს. ს.), *აკაკი ბელიაშვილი*, *დავით გაჩეჩილაძე*, *ბესარიონ ჟღენტი*, *სიმონ ჩიქოვანი*, *გრიგოლ ორაგველიძე*, *პოლ ნოზაძე*, *ალექსანდრე ვაბესკირია*, *მზია ერისთავი* (მანიფესტის სახელწოდების გამო ახლადმოვლენილი ჯგუფის წევრებს თავდაპირველად „*ფენიქსელებს*“ ეძახდნენ).

ცხადია, „*დიქტატორობის მანიას*“ ჰქონდა თავისი საფუძველი. იგი სათავეს იღებდა პოლიტიკური ატმოსფეროდან, პოლიტიკური პარტიების ისტორიიდან. როგორც დაუნდობლად, სასტიკად ებრძოდა ერთი პარტია მეორეს ჰეგემონიის მოსაპოვებლად, ისევე ლიტერატურული ჯგუფები ლაშობდნენ თავიანთი დიქტატურის დამყარებას ხელოვნების ფრონტზე. გარდა ამისა, ჯგუფის ცნება მხოლოდ განკერძოების, გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მაუწყებელი როდი იყო. მას ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური კრედო და იდეალი და ამდენად – ახალ პარტიულ ორგანიზაციად გაფორმების შესაძლებლობა (მდრ – ვლ. მაიაკოვსკის „*კომფუტი*“).

მანიფესტში, რომელიც სიმბოლისტური სტილის გავლენითაა დაწერილი, თითქმის არაფერია ნათქვამი სოციალიზმთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან მიმართებაზე. სამაგიეროდ ქართველი ხალხი გამოცხადებულია „*მსოფლიოს მესხიად*“ (იტალიური ფუტურიზმის ანალოგიით).

1922 წლის 23 აპრილს, თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში, გაიმართა ე. წ. ქართველი ფუტურისტების პირველი საღამო (1923 წლის 2 თებერვალს ასეთივე საღამო ჩაატარეს ხელოვანთა სასახლეში).¹ ამ

თარიღს ისინი განადიდებდნენ და ადარებდნენ იაპონიის მიწისძვრას, თავიანთ გამოსვლებსა და ნაწერებს მიიჩნევდნენ რევოლუციურ მოვლენად, თუმცა არსებითად ეს იყო ავანტიურა, ევროპულ-რუსული მოძრაობის გამოძახილი. თავდაპირველად ისინი შეგნებულად შეებრძოლნენ კულტურას, მაგრამ სწორედ კულტურის კომპასით მივიდნენ სულის რადიუსამდე.²

ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრდა აზრი, თითქოს „ H_2SO_4 “ მხოლოდ ჟურნალის სახელწოდება იყო. ეს ასე არ გახლავთ. „ H_2SO_4 “ ერქვა ჯგუფს, რომელმაც გააერთიანა დადაიზმის, კონსტრუქტივიზმის და ფუტურიზმის პრინციპები და თავისი თავი გამოაცხადა სოციალისტური რევოლუციის ერთადერთ ხელოვნებად (ლათ. Futurum – მომავალი).

მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

*„ქართულმა პოეზიამ იცის ერთი სკოლა, ამ სიტყვის მართებული გაგებით და ეს არის „ H_2SO_4 “ (ბ. ჟღენტი, *ორატორი ლაპარაკობს, „დროული“*, 1926, №3).*

ბ. გორდეზიანი ყველგან მსჯელობს „ H_2SO_4 “-ის საბჭოზე, „პრაქტიკაზე“, „ძირებზე“ და სტატიასაც დევიზად აწერს – „ H_2SO_4 “ (სამი სანახაობა, *„დროული“*, 1925, №1).

„ H_2SO_4 “-ს ორგანიზაციას უწოდებს ნ. ჩაჩავა ერთ-ერთ პირად ბართშიც კი (*„ლიტერატურის მატთანე“*, 1986, გვ. 126).

გაზეთი „დროული“ (№3) აცხადებს, რომ 8 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში ტარდება „ H_2SO_4 “-ის მესამე საჯარო სხდომა. ამავე გაზეთის პირველ ნომერს აწერია „ H_2SO_4 “-ის საბჭოს *ორკვირეული ორგანო*“.

ჟურნალ „ლიტერატურა და სხვას“ უძღვის ემბლემა „ H_2SO_4 “. ზედმეტია მსჯელობა თავად ამ სახელწოდებით გამოცემულ ჟურნალზე.

ერთი სიტყვით, „ H_2SO_4 “ ისეთივე მეტაფორული სახელია, როგორც „ცისფერი ყანები“, ოღონდ ანტირომანტიკული (მკითხველს შევახსენებთ, რომ „ H_2SO_4 “ გოგირდმჟავას ქიმიური ფორმულაა).

საინტერესოა, რომ „დროულის“ მეორე და მესამე ნომრებს აწერია *„მემარცხენე ფრონტის ყოველკვირეული ლიტერატურული ორგანო“*, ე. ი. „ H_2SO_4 “ შეცვალა *„მემარცხენეობამ“*, რითაც ჯგუფი დასცილდა პირველსაფუძვლებს და პროლეტარული მწერლობისაკენ გადაიხარა, ე. ი. თითქოს უარყო ავანგარდიზმი და სცადა რეალიზმის მიწაზე დამკვიდრება (რუსი ფუტურისტების მსგავსად). შემდეგ ბლოკიც შექმნა პროლეტარულ მწერლებთან.

„ცისფერი ყანნები“ იყო მოდერნისტული მოძრაობა, სიმბოლიზმის პრიმატი ალბექდილი, ხოლო „ H_2SO_4 “ – ავანგარდისტული, რომელშიც წამყვანი აღმოჩნდა ფუტურიზმი (ზოგჯერ „ H_2SO_4 “ „ქერძაფად“ იხსენიება; ხოლო პირველ მანიფესტში ნათქვამია: „ჩვენ ვინამეთ სიტყვა დინამიური, ქეზაფივით რომ სწავას საოპერაციო სხეულს“).

როგორც ითქვა, მოდერნიზმსა და ავანგარდიზმს ერთმანეთისაგან განასხვავებთ რომანტიზმისადმი მიმართება. ამ მთავარ წყალგამყოფ ნიშან-თვისებაზეა აგებული მთელი მათი თეორია და პრაქტიკა, ესთეტიკა და პოეტიკა (გავიხსენოთ სიმონ ჩიქოვანი – „დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი“). როგორც ბ. პასტერნაკი მიუთითებდა, თანამედროვე პოეზია გამოვიდა სიმბოლიზმიდან ან მასთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა.

„ H_2SO_4 “-ის საბჭომ 1922–1928 წლებში გამოსცა მანიფესტი, სამი ჟურნალი და ერთი გაზეთი. შესაბამისად – ეს წლები უნდა ჩაითვალოს ამ ჯგუფის არსებობის თარიღად. შემდეგ იგი დაიშალა, რადგან აღარ გააჩნდა საკუთარი პრესა და თანდათან შეერწყა ერთიან ლიტერატურულ პროცესს, თუმცა გენეტიკური წარმომავლობა ყოველთვის საცნაური იყო.

ასე მოხდა ავანგარდიზმის ტრანსფორმაცია რეალიზმად, მიუხედავად ცალკეული სპეციფიკური ნიშნების შენარჩუნებისა.

ქართველი ავანგარდისტების ნაწერები (ოღონდ არა უკიდურესად ექსპერიმენტული) სისტემატურად იბეჭდებოდა „მნათობის“ და „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე.

1924 წლის 25 მაისს გამოვიდა „ H_2SO_4 “; ალბათ ყველაზე უცნაური ქართული ჟურნალი, გაუგებარი ლექსებით, უჩვეულო თეორიული სტატიებით, კუბისტური და კონსტრუქტივისტული სურათებით, ნაირგვარი და არეული შრიფტით. ერთ–ერთი მთავარი სპეციფიკა გახლავთ აზროვნება შრიფტის, საღებავის და ტექსტის გრაფიკული სქემის მეშვეობითაც, რაც სათავეს იღებს ფ. მარინეტის „ტიპოგრაფიული რევოლუციის“ იდეიდან.

ჟურნალი გამოსცა „ H_2SO_4 “-ის საბჭომ, რომლის წევრები იყვნენ – ბენო გორდებუანი, ნიოგოლ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პავლო ნოზაძე, ჟანგო ლოღობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი.

მონტაჟი და გარეკანის გაფორმება ეკუთვნოდა ირაკლი გამრეკელს, რომლის არაერთი კუბისტური სურათის რეპროდუქციას მასში ჩართული.

1924–1925 წლებით თარიღდება „ლიტერატურა და სხვა“ (რედაქტორი ნიკოლოზ ჩაჩავა). ყდა და კომპოზიცია – კირილე ზდანევიჩისა.

ჟურნალი ძირითადად ჩვეულებრივი შრიფტითაა დაბეჭდილი და საერთოდ შრიფტული საღებავი–მორტალი, გრაფიკული სქემები, ფიგურული ლექსები თანდათან შემცირდა.

1925 წლის 5 დეკემბერს გამოვიდა გაზეთი „დროული“ (რედაქტორი ჟანგო ლოლობერიძე). დაიბეჭდა კიდევ ორი ნომერი (1926 წელს) და „დროულმა“ არსებობა შეწყვიტა. გაზეთი იუწყებოდა, რომ გამოვიდოდა ჟურნალი „ზერო“ ჟ. ლოლობერიძის რედაქტორობით. მაგრამ ასეთი ჟურნალი ჩვენთვის უცნობია (სხვათა შორის, „ H_2SO_4 “-იც პირდებოდა მკითხველს, რომ 1924 წლის 9 ივლისისათვის გამოვიდოდა გაზეთი „O“. „ზერო“ იტალიურად ნულს ნიშნავს).

სამაგიეროდ 1927 წლის აპრილში იცემა „მემარცხენეობა“ (რომლის ნათლია ყოფილა ბ. გორდეზიანი). პირველ ნომერს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია: ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა, მეორეს, რომელიც 1928 წლის ზაფხულში დაბეჭდილა – რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი. ჟურნალის ფურცლებზე გამოჩნდნენ ახალი თანამშრომლებიც: სიმონ დოლიძე, სტიფანე კასრაძე, აკაკი განერელია, დავით კაკაბაძე, ლეო ესაკია, მიხეილ კალატოზიშვილი, ნუცა ლოლობერიძე, ლევან ასათიანი, ვარლამ ჟურული, სერგეი ტრეტიაკოვი (ვლ. მაიაკოვსკის შემდეგ რედაქტორობდა „ნოვი ლეფს“).

ყდის გაფორმება ეკუთვნოდა ირ. გამრეკელს.

ამრიგად, ე. ნ. ქართველ ფუტურისტთა (ანუ ავანგარდისტთა) ორგანოები ასეთი თანმიმდევრობით გამოიცა – „ H_2SO_4 “, „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“ და „მემარცხენეობა“. ეს უნდა გავითვალისწინოთ, რათა თვალი გავადევნოთ ჯგუფის ევოლუციას 1922–1928 წლებში – „ H_2SO_4 “-დან (ე. ი. ავანგარდიზმიდან) „მემარცხენეობამდე“ (ე. ი. რეალიზმთან მიახლოებამდე).

რომ არა „ცისფერი ყანწები“, საეჭვოა გაჩენილიყო „ H_2SO_4 “, რადგან მეორე იყო პირველის რეაქცია, მისი უარყოფა. „ცისფერყანწელთა“ ნეორომანტიკული, სიმბოლისტური სული, ფორმის არტისტიზმი, სტილის კლასიკური ჰარმონია თავისი თავის ამონურვის წინაშე იდგა.

ევროპის და რუსეთის ანალოგიით ჩვენშიც დაიწყო ანტირომანტიკული მოძრაობა. სიმეტრიას უნდა მოჰყოლოდა ასიმეტრია, დისციპლინას – ქაოსი, ესთეტიკას – ანტიესთეტიკა, სულს – გონება, ავადმყოფობას – სიჯანსაღე. მოდერნიზმის დაძლევიტ წარმოიშვა

ავანგარდიზმი ანუ ანტირომანტიზმი. ახალი ხელოვნება ძველთან დისკუსიაში გამოიწრთო და გაიზარდა, თუმცა სანყისები მასში ჰქონდა. მაგ., „ცისფერყანწელთა“ პირველთქმა საკმაოდ იყო დავალებული ფუტურისტული მანიფესტებით, რაც „ H_2SO_4 “-ელეზმა მიუთითეს კიდევც.

ჯერ კიდევ 1914–1916 წლების პრესის ფურცლებზე ფუტურიზმზე წერილებს ბექდავდნენ მიხეილ წულუკიძე, ვასილ წერეთელი, დავით კასრაძე, გერონტი ქიქოძე და უარყოფდნენ მას.

„ცისფერყანწელებს“ თავდაპირველად ფუტურისტებსაც უწოდებდნენ. პ. იაშვილი ერთ–ერთ ადრეულ მოხსენებაში მსჯელობდა „ცისფერი ყანწების“ ფუტურიზმთან მიმართებაზე (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916, №75).

სხვათაშორის, მარინეტიმ სიმბოლისტებს ფუტურისტების ინტელექტუალური მამები უწოდა. შემდეგ ტ. ტაბიძე დადაიზმისაკენ გადაიხარა და ამ ტიპის ლექსების ციკლი შეთხზა, თარგმნა დადაისტები და მათი მანიფესტები. დადაისტურ ლექსებს წერდნენ რაჟდენ გვეტაძე და გრიგოლ ცეცხლაძეც. „ცისფერი ყანწები“ იყო არა მხოლოდ ლიტერატურული მიმართულება (სიმბოლისტები სხვებიც იყვნენ, მაგ., გ. ტაბიძე და ტ. გრანელი), არამედ სკოლაც, რომელსაც აერთიანებდა ზიარი ესთეტიკური პრინციპები, იდეები, ცხოვრების წესი, ერთმანეთისადმი ფანატიკური სიყვარული.

ასეთივე სკოლა აღმოჩნდა „ H_2SO_4 “, თუმცა აქ სტილური თუ იდეური სიჭრელე თვალში საცემი იყო. ისინიც, „ცისფერყანწელთა დარად, ერთმანეთს განადიდებდნენ (შდრ., აგრეთვე, „ცისფერი ორდენის“ „კოლაუ“ და „პაოლო“, „ H_2SO_4 “-ის „ნიკოლ“ და „პოლ“, „ნიოგოლ“ და „პავლო“), ესწრაფოდნენ ქართული კულტურის რადიკალურ განახლებას, ურბანული პრინციპების დამკვიდრებას კლასიკისა და თანამედროვეთა უარყოფით. ამ მხრივ წინამორბედებს გადააჭარბეს და ნიჰილისტებად მოველინენ პარნასს. ამგვარი სულისკვეთება „ტერორად“ მონათლეს (შდრ. – დ. ბურლიუკის, ა. კრუჩიონისის, ვლ. მაიაკოვსკის და ვ. ხლებნიკოვის მოწოდება – „*Бросить Пушкина, Достоевского, Толстого и проч. и проч. с Порохода современности*“³) და იგი პირველ რიგში გამოეცხადა „ცისფერყანწელებს“.

„ H_2SO_4 “-ს წინ უძღოდა „ზაუმნიკების კომპანია 41⁰“, „ფუტურისტების სინდიკატი“, „*футурсеучище*“, რომლებიც რუსმა ფუტურისტებმა 1917–1918 წლებში თბილისში ჩამოაყალიბეს (ა. კრუჩიონისი, ი. ტერენტიევი, ი. ზდანევიჩი, კ. ზდანევიჩი, ვ. კამენსკი...). მათ გამოსცეს

არაერთი წიგნი, ჩაატარეს საღამოები, წაიკითხეს ლექციები (დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: ი. ტერენტიევი – „*Замная поэзия и поэзия вообще*“, „*О живописном футуризме*“, „*Об италянском футуризме*“, „*Лорнет Доди Булюка*“, „*О театре в тупике*“, ა. კრუჩინიხი – „*Слово как таковое*“, „*Азеф-Иуда-Хлебников*“, „*Облако в штанах*“, „*О новом языке*“, „*Апокалипсис (черт) и речетворцы*“, „*О безумии в искусстве*“, „*Поэт-мертвец А. Блок*“, „*История русского футуризма*“, კ. ზდანევიჩი – „*Теория Фрейда и замная поэзия*“, ი. ზდანევიჩი – „*Крученных и душа его носа*“ და ა. შ. იხ. „*APS*“, 1918, №1).

შესაძლოა „41⁰“–თან სიახლოვით აიხსნას ტ. ტაბიძის, რ. გვეტაძის (შდრ – „*ვირების მესია*“ და ი. ზდანოვიჩის „*ვირისმხილება*“) და გრ. ცეცხლაძის დადათი გატაცება („*მეოცნებე ნიამორებში*“ დაიბეჭდა ვ. კამენსკისადმი მიძღვნილი გრ. რობაქიძის ლექსიც – 1920, №4).

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ როგორც სიმბოლიზმის, ისე ფუტურისმის მანიფესტი დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ (პირველი ეკუთვნოდა ჟან მორეასს – 1886 წლის 18 სექტემბერი, მეორე ფილიპო ტომაზო მარინეტის – 1909 წლის 20 თებერვალი).

„*ფუტურისმის მანიფესტი*“ დაწერილია ნიცშეანური პათეტიკით. ავტორი მოგვაგონებს ზარატუსტრას, რომლის თხრობაში ჩართულია თერთმეტპუნქტიანი დეკლარაცია.⁴ 1912 წელს კი დააკონკრეტა თავისი თვალთახედვა „*ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკურ მანიფესტში*“. შემდეგ გამოქვეყნდა უ. ბოჩონის „*ფუტურისტული სკულპტურა*“ (1912) და ჯ. ბალისა და შ. დეპეროს „*სამყაროს ფუტურისტული რეკონსტრუქცია*“ (1915).

ამათ მოჰყვა შესაბამისი მანიფესტები სხვადასხვა ქვეყანაში.

XX საუკუნის დასაწყისი რევოლუციური სულის აპოთეოზის ხანა იყო. ირღვეოდა ძველი ქვეყანა, ტრადიციები, ნორმები. მსოფლიო ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ამბოხებული, ელექტრონად ქცეული ფიქრი მიწად ვერ ეტეოდა. იდეები, ქვეყნები, კლასები ერთმანეთს ეჯახებოდნენ. სამყაროს ტოტალური განახლების ქარიშხალმა გადაუარა. თითქოს ყველაფერი თავიდან იწყებოდა და ნამდვილი ხელოვნების ლიბოც ახლად იკვრებოდა. ვ. ლენინი – პოლიტიკაში, ა. აინშტაინი – მეცნიერებაში, ჩ. ჩაპლინი – კინემატოგრაფში, პ. პიკასო – ფერწერაში, ა. შონბერგი – მუსიკაში, თ. ს. ელიოტი – პოეზიაში, ჯ. ჯოისი – პროზაში მომავლის კულტურისა და ადამიანთა ურთიერთობის მოდელს ქმნიდნენ.

მათგან განსხვავებით ფ. მარინეტიმ მოინდომა მხატვრული აზროვ-


ალამიანი-ნივთი 

5

ახალი დიარამა

ფ

ქალაქი



დადიანი-უშუშური სემიფორი
ტექნიკა-მანქანა ვ.ზ.

მოკრაობა

ოფსიბგერა = minus
337 : 4 მილიმეტრი

ქუჩაგვერა = დაურულეგელი
337 მილიმეტრი

ისტორიობგერა =

სისუვა ღირებულება
,, ,, პროდუქტი

პოლიტიკური მოვლემის კანონიკა.

უწინ იყო მუზა.

ეხლა არის ტეხნიკა.

იყო პოეზია-კეთილშობილება.

არის ავანტიურა.

იხილეთ ნიოგოდ ჩაჩვას წიგნი
"მისტეკი და კომბინაცია"
(სოფიად და პრაქტიკა) (გეო., ვე)



ჟურნალი „H₂SO₄“

ნების წესის ძირეული შეცვლა (არა მხოლოდ ცალკეული ჟანრისა, სისტემისა და ფორმისა), ე. ი. იმ ცნობიერებისა, რომელიც 40 ათასი წელი ყალიბდებოდა – მოყოლებული Homo sapiens–ის გაჩენის დროიდან და რომელიც ადამიანს მემკვიდრეობით გადმოეცა.⁵

აქედანვე იღებს სათავეს რევოლუციისა და ომის კულტი, რომელთა მეშვეობით გონება–მოტორი და ფოლადი – სხეული გარდაქმნიდა ადამიანსა და სამყაროს.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ დანუწციო ომში მოხალისედ წავიდა – დაკარგა ცალი თვალი; მარინეტი იყო ყველა ომში კორესპონდენტად (გარდა ესპანეთისა). მუსოლინიც მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, რის გამოც გაირიცხა სოციალისტური პარტიიდან.

მარინეტის შეიძლება ეწოდოს „იდეების გენერატორი“, რომელმაც საწყისი მისცა არაერთ მიმართულებას ხელოვნებაში ან ზეგავლენა მოახდინა მათზე (ფუტურიზმი, კუბიზმი, ორფიზმი, დადაიზმი, სიმულტანიზმი, ზენიტიზმი, ლუჩიზმი, ვორტიციზმი, კონსტრუქტივიზმი, იმპუჩინიზმი, ულტრაიზმი...) და ამას თავადაც სიამაყით აღნიშნავდა.

მანვე დიდი როლი შეასრულა იტალიის ფაშისტურ მოძრაობაში.

როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, არც ფუტურიზმი ყოფილა ორთოდოქსული, ერთგვაროვანი. ყველა ქვეყანაში იგი ნაციონალური ფორმით შეიმოსა, რაც გამოიწვია მასალამ, გარემომ, სულისკვეთებამ („*Мой белый божественный мозг я отдал, Россия, тебе*“, – წერდა სიკვდილისწინ ველიმირ ხლუბნიკოვი).

რუსეთში ადრევე შეაღწია ფუტურიზმმა. აქაც გაჩნდა რამდენიმე განტოტება, რომელთაგან ყველაზე მთავარია ი. სვეერიანინის ეგოფუტურიზმი (მაღე დაიშალა), ბურლიუკების, ვლ. მაიაკოვსკის, ვ. კამენსკის, ვ. ხლუბნიკოვის, ა. კრუჩინინის კუბოფუტურიზმი (მასვე უწოდებდნენ „*Будетлян*“-ს – ვ. ხლუბნიკოვის წინადადებით, „გილეას“ – ჰეროდოტეს მიხედვით – ბურლიუკების გამო), ბ. პასტერნაკისა და ნ. ასევეის ცენტრიფუგა.

ფუტურიზმი საკმაოდ გავრცელდა უკრაინულ ლიტერატურაშიც (მ. სემენკო, მ. ბაჟანი...).

გერმანიაში იგი იქცა დინამიზმად, დიდ ბრიტანეთში – ვორტიციზმად.

ფილიპო მარინეტი და ტრისტან ტცარა საქართველოში „ციხფერყანწელებმა“ და „41⁰“-მა შემოიყვანეს. ამ სახელებს გაჰყვნენ 19–20 წლის ჭაბუკები და მათ ფანტაზიას რუსული და ევროპული ავანგარდიზმის ელექტრული ციკლონი დაეძგერა.

B. „ H_2SO_4 “-ის თეორიული თვალსაზრისი

1. ჟურნალი „ H_2SO_4 “

„ H_2SO_4 “ ძირითადად დეკლარაციებისა და თეორიული სტატიების კრებულია. თეორიული ნააზრევის სიჭარბეს პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. ავტორებს უნდა აეხსნათ, განემარტათ და გაემართლებინათ თავიანთი უცნაური შემოქმედება, რათა სრულ გაუგებრობად ან სისულელედ არ ჩაეთვალოს. ამას ისინი მშვენივრად გრძნობდნენ. თუმცა მზერა მომავლისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ეტყობა, მკითხველი და დამფასებელი თანამედროვეთა შორისაც სჭირდებოდათ. მართალია, მათი მსჯელობა ხშირად ბუნდოვანია, ექსცენტრული და ალოგიკური, მაგრამ სწორედ ასე იგებს მკითხველი, რომ ამ მოძრაობას ჰქონდა ნანამძღვრები და შემთხვევით არ გაჩენილა.

„ H_2SO_4 “-ის საბჭოს წევრები ევროპულ მასალას მიმოიხილავენ, მაგრამ რუსული გზით, რუსული კულტურის მეშვეობით. მათი შეხედულებანი არაორიგინალურია, სააზროვნო ფორმები დასახელებიც ნასესხებია (მაგ. დადაისტი რიბემონ დესენი პარიზში სცემდა ჟურნალს – „ $O_4 H_2$ “)⁶.

ჩვენში ხდებოდა ერთი პარადოქსი: საუკუნეების მანძილზე ქართული მწერლობა წინ ისწრაფოდა სხვათა შთავგონებით, სხვათა მიერ აღძრული იმპულსებით. უცხოური, ეპიგონური თანდათან მშობლიურად აღიქმებოდა. შემოტანილი არსებულს უხორცდებოდა და ტრადიციის ნაწილად ფორმდებოდა მომავალი თაობის თვალში. დღეისათვის მართლაც უცხო და მიუღებელი ხვალისთვის დასაყრდენი, ბიძგი და სანყისი ხდებოდა.

ასე იქცა ფუტურისტულ–დადაისტური იმპორტი ნაციონალურ სანყისად 70–80–იანი წლების ჩვენი მწერლობის ერთი ტენდენციისა, რაც ირონიულ–პაროდულ ნაკადად მოინათლა.

„ H_2SO_4 “-ის წევრები განიხილავდნენ ხელოვნების პრობლემას. განსაკუთრებით აინტერესებდათ ტექნიზებული დარგები, კერძოდ – კინო და ამიტომაც მთლიანი კულტურის ელექტრიზებას მოითხოვდნენ (მდრ. გ. ტაბიძე – „ახლა იწყება ლექსის უკუღმა ელექტროფიკაცია“). როგორც ვნახავთ, მათი ნააზრევი ეკლექტურია, ხშირად წი-

ნააღმდეგობრივი და ქაოსური, არალიტერატურული და მიუღებელი. მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით საგულისხმო, როგორც ცალკეულ თვალსაჩინო ხელოვანთა სიჭაბუკის ქარიშხალი.

ჟურნალ „ H_2SO_4 “–ს უძღვის შესავალი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართული ხელოვნება დაშორდა თანამედროვეობას. ამიტომ უარსაყოფია ყველა სკოლა და ჯგუფი. თანაბრად მიუღებელია „ცისფერი ყანები“, პროლეტარული პოეტები, ხომალდელები, ილიონელები და სხვა ძველი მწერლები, რადგან ისინი ქადაგებდნენ „მშვენიერ ტყუილს“ (იგულისხმებიან არჩილ ჯორჯაძე და მისი მიმდევრები), ოთახის შარჟულ რომანტიკას, ხოლო „აღმშენებლობის სიმავრეს“ ვერაფერი გაუგეს.

რევოლუციამ მოსპო ძველი ქვეყანა, ძველი რომანტიკა, შექმნილი ფეოდალური და ბურჟუაზიული აზროვნების მიერ. შესაბამისად – ახალმა ხელოვნებამ უარი უნდა თქვას ძველ ესთეტიკასა და ხერხებზე. იგი იქნება თანამედროვე მასალის კინემატოგრაფიული გადაღება და ორგანიზება. კომუნისტური პარტია აშენებს ახალ საზოგადოებას და ამ პროცესში მონაწილეობს ხელოვანი, როგორც რეჟისორი, რომელიც ახდენს მასის მოძრაობის ორგანიზებას სტრუქტურის ყალიბში.

აქედან – კონსტრუქტივიზმის და ფუტურიზმის აუცილებლობა.

რედაქცია მოითხოვს, რომ ხელოვნებასა და სახელმწიფოს შორის იყოს ორგანული კავშირი. მთავარია ფსიქიკის რევოლუცია, მოძრაობის პროცესი, რაც გაგებულება, როგორც თავისებური დადა. დეკლარაციაში უარყოფილია იტალიურ ფუტურიზმთან კავშირი, რადგან იგი თავისი ბუნებით არისტოკრატიულია, ფრანგული ექსტრემიზმი სალონურია და ფორმალისტური, ხოლო დადა რევოლუციურია, მაგრამ დეკადენტური (ზოგჯერ მას „ომის დეზერტირს“, კოსმოპოლიტურ ხელოვნებას უწოდებდნენ და მართლაც – იგი ნარმოიშვა შვეიცარიაში, დამწყები იყო ფრანგულ–ენოვანი პოეტი რუმინელი ებრაელი ტრისტან ტცარა – სამი როშენშტოკი).

„ H_2SO_4 “ აღნიშნავს, რომ იგი ენათესავება რუსულ ფუტურიზმს, მაგრამ მხოლოდ იდეოლოგიისადმი მიმართებით.

დასკვნა ასეთია:

„ჩვენი დადა, ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი იხსნება სრული რევოლუციონური და კომუნისტური აღმშენებლობითი საწყისით. ახალი ინდუსტრიალიზმი, ორგანიზაცია მასიური მოძრაობის და საერთოდ სსსრ“.

დასასრულ კი მსხვილი, შავი შრიფტით დაბეჭდილია, რომ ქართულ

ხელოვნებაში მხოლოდ „ H_2SO_4 “–ს აქვს დიქტატურის უფლება“.

„ H_2SO_4 “–ის ერთ–ერთი ლიდერი და უკიდურესი ექსპერიმენტატორი იყო ნიოგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა („ H_2SO_4 “–ის ჯგუფიდან მხოლოდ იგი აირჩიეს 1926 წელს ხელოვნების მთავარი კომიტეტის წევრად, რომლის თავმჯდომარე იყო კ. მაყაშვილი).

ჟურნალში დაბეჭდილია აფორიზმების კრებული (ალბათ ასე თუ მოინათლება ავტორის უჩვეულო სტილი), რომელიც უარყოფაა წარსულისა და თანამედროვე ხელოვნებისა. ნ. ჩაჩავასათვის „პოეზია+პოეტი=0“. ამერიკანიზმი მისთვის მაშინალოგიაა. აქედან გამომდინარე – თუ გეოგრაფია გამოირიცხება (და მას გამოირიცხავს კიდევაც ავტორი), შეიძლება მივიღოთ ფორმულა „საქართველო=ამერიკა“ (იმჟამად „ამერიკანიზმი“ „ტექნიციზმის“, „ინდუსტრიის“ სინონიმად იყო გაგებული).

შემდეგ იწყება ქართული რომანტიკის დაშლა. პოეზია მიიჩნეოდა რითმოლოგიად, რაც არსებითად იყო „ქლიბაძის სტილი“. მას ახასიათებდა „ცრემლები, მისტიკა, ფერუმარული, ქინაქინა, სარკე, მამლუიშვილობა“... ხოლო პოეტი იყო „მთვარე, ბერგანდეგილი, წმინდანი“ (უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი დაცინვით წერს – „პოეტი“). პაროდირების მიზნით მოხმობილია ილიას, ვალერიან გაფრინდაშვილისა და აკაკი წერეთლის სტრიქონები, რომელთაც ახლდათ ზეციერისადმი ვედრება და სასიმღერო ჰანგები. „ურემი, გულუბრყვილობა და ლექსი“ – აი, „ნავტალინიანი ისტორიის“ ოცნება, ხოლო სწეულება – ეპილეფსია, მალარია, დიზენტერია.

ჩამოთვლილია რომანტიკული სკოლები – დეკადენტიზმი, აკმეიზმი, იმაჟინიზმი, ექსპრესიონიზმი. კუროზულად მიიჩნევა ის, რომ იმაჟინიზმი პირველყოფილ ადამიანთა დარად აზროვნებს სახეებით, ხოლო ექსპრესიონიზმი დაბრუნებაა მიწასთან და რობინზონ კრუზოს იდეოლოგიასთან. ამ მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს იძლევა ქიმიური რეცეპტი, რომლის ფორმულებში გაიხრწნება ძველი ტკბილხმოვანი რომანტიზმი და ჩნდება „ H_2SO_4 “–ის სუნი ჰაერში. მისი მეშვეობით დამკვიდრდება ახალი ხელოვნება, რომელიც დიაგრამად არის წარმოსახული. იგი დაეყრდნობა დადაიზმს, როგორც „სამხედრო ტაქტიკას“, კუბიზმს, კონსტრუქტივიზმსა და სუპრემატიზმს. ამავე რკალშია მოქცეული „ H_2SO_4 “, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ჩანაფიქრის მიხედვით იყო არა მხოლოდ ჯგუფი ან სკოლა, არამედ ახალი სინთეტური მიმდინარეობაც.

ძველ მუზას შეცვლის ტექნიკა, „ღირებულებას“ – „პროდუქტი“, კეთილშობილებას – ავანტიურა. სამყარო აღიქმება, როგორც მილიმეტრებით განზომილი ოჯახიბგერა, ქუჩაბგერა, ისტორიაბგერა (იქვე დახატულია გრამოფონი). ამის შემდეგ იწყება ძველი სიტყვების ქიმიური დაშლა, რაც „ლიგვოტექნიკადაა“ წოდებული. სიტყვის მონტაჟის, სიტყვის ინდუსტრიის აღმნიშვნელი ტერმინია „როშვა“. ხოლო როშარი „ლიგვოქიმიკოსია“, ახალი დროის ესთეტი. პოეზიასა და შთაგონებას ცვლის „როშვა“, „პოეტს“ – „როშარი“ (შდრ: – ს. ჩიქოვანი – „ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე, მე ვარ მისი გაზაფხული როშარი“), რომელიც ფორმულით ასე აღინიშნება – „ინერცია+მონტაჟიორი=როშვა“.

ეს ახალი დროის შემოქმედების ფორმულაა. ხოლო ძველი „პოეზია – პოიეტი“ უდრიდა სიძის გიტარას მიმატებული გარმონი. ამ ექსკურსების შემდეგ ნოიგოლ ჩაჩავა ასკვნის, რომ „პოეზია+პოიეტი=0“.

მეორე, თუ შეიძლება ეწოდოს „სტატია“ – არის „სიტყვის ინჟინერია“, რომელშიც ნ. ჩაჩავა გვიხსნის, რომ სიტყვის ინჟინერი არის რეჟისორი, რომ სიტყვა იქცევა ტელეგრაფის ენად (გავიხსენოთ დ. ბურლიუკი), ფორმულებად, რომ, აქედან გამომდინარე, შემოდის მათემატიკის ცნება (იტალიელ ფუტურისტთა ორიენტირი), ხოლო რეჟისორი უნდა აზროვნებდეს კინემატიკის ენაზე. შესაბამისად ითხოვება ასეთი ტერმინიც – „ოპტიოაკუსტიკა“, ე. ი. ხედვითი ბგერა. ტრადიციული გრამატიკული ნორმები უარიყოფა, უარიყოფა ზმნა, როგორც მოქმედების აღმნიშვნელი. იქვე დახატულია გრამატიკის დიაგრამა – შავი ოთხკუთხედი, ე. ი. ის უკვე დამარხულია და მას ავტორი ნიშნისმოგებით ბრანწს უჩვენებს.

ამრიგად, ძველი ესთეტიკის მსხვრევის შემდეგ იშლება მისი საფუძველიც – ენა. ავტორი არღვევს დისკურსიული აზროვნების წესს, მეტყველებს ფორმულებით, ნაწყვეტ–ნაწყვეტი ფრაზებით, სიტყვათა უჩვეულო თანმიმდევრობით, გრაფიკული სურათებით, ნაირგვარი შრიფტის მოშველიებით, რათა შექმნას „ოპტიოაკუსტიკისა“ და „ლიგვოტექნიკის“ ეფექტი. აქ ავტორი მართლაც ჰგავს რეჟისორს თუ კონსტრუქტორს, რომელმაც ხატვაც უნდა იცოდეს.

აქ უნდა მოვიგონოთ ფ. ტ. მარინეტის „ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკური მანიფესტი“ (1912). ავტორის მოთხოვნით, უნდა დაირღვეს ტრადიციული სინტაქსი, უარიყოს ზედსართავი სახელი, ზმნიზედა, პუნქტუაცია. სიტყვა უნდა შეცვალოს მათემატიკურმა ფორმულამ. არსებით სახელს უნდა ჰქონდეს ორეული – ანალოგიის

მიხედვით, მაგ., „Женщина – реишь, толпа – прибои, площадь – воронка, дверь – краны“. უნდა მოისპოს „მე“ ლიტერატურაში, საერთოდ ფსიქოლოგია. არაა აუცილებელი, რომ ხელოვანი იყოს გასაგებობი. სახეების კატეგორიის სანაცვლოდ საჭიროა ანალოგიების ჯაჭვი.

ავტორი უნდობლობას უცხადებს გონებას, „ღვთაებრივი ინტუიციის“ სასარგებლოდ (აქედან – დადაიზმის საწყისი იდეა). თუმცა ამავე მანიფესტის „დამატებაში“ იგი მოითხოვს გონებისა და ინტუიციის მორიგებას, მეორის პრიმატით.

მარინეტის ოცნება იყო ადამიანი მექანიკური სათადარიგო ნაწილებით, რაც კაცობრიობას სიკვდილს ააცილებდა!⁷

პავლო ნოზაძესა და ჟანგო ლოლობერიძეს არ იცნობს თანამედროვე მკითხველი. არადა, მათ საკმაო პროპაგანდა გაუწიეს ავანგარდიზმის თეორიასა და პრაქტიკას. საგულისხმოა, რომ 1926 წელს, ქართველ მწერალთა პირველმა ყრილობამ „H₂SO₄“ – ელთავან საბჭოს წევრებად ეს ორი მწერალი აირჩია. ჟ. ლოლობერიძე მწერალთა კავშირის მდივანიც იყო (ჟანგო–ჟანგო–რკინისა და ფოლადის ასოციაცია).

ორივე მათგანი, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანადგომისა, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს (პავლო ნოზაძე იყო რუსთველოლოგ ვიქტორ ნოზაძის ძმა).

პავლო ნოზაძის „ტრაქტატი დაწერილი პოეზიისათვის“ თანამედროვე უცხოურ მწერლობასთან კამათია. ავტორი მეტყველებს დეკლარაციის, მანიფესტის ენით, საკმაოდ ცუდი ქართულით, უფრო ზუსტად – დადაისტური კაკაფონიით. ამიტომ მსჯელობა ხშირად ლოგიკას მოკლებულია. იგი საუბრობს მრავალ პრობლემაზე, მაგრამ არა გულდასმით ან სიღრმეთა წვდომით, არამედ გადარბენით, უჩვეულო სათაურების მოხმობით („მანიფესტი 3“, „ტრაქტატი 1“, „რომანი 2“, „განთიადი 1“...), რომელთა მეშვეობითაც უნდა დავაკვირდეთ აზრის ცვალებადობას. პ. ნოზაძე არ ინდობს ფუტურისმის მამას – მარინეტის და მას არქმევს „სტამბის ჯამბაზს“, ხოლო გატაცებას – „მანქანების რომანტიკას“, რაც „საეჭვო სუნს აყენებს პოეზიაში“, თუმცა ერთი გვერდის შემდეგ „მაფარკა ფუტურისტს“ უწოდებს „დიდ წიგნს“ და იხსენებს დანუნციოს აზრს მარინეტიზე.

ასევე უარყოფითად არის ავტორი განწყობილი რუსი ფუტურისტებისადმი (ტერენტიევი, რემეტნიკოვი, „Лед“, კრუჩინინი). ხოლო ბალზაკსა და ილია ჭავჭავაძეს სავსებით უდიერად იხსენიებს (კონტექსტი – „გავირთხებულნი, გათმებულნი და განვერულვამებულნი მოღვაწენი“).

„ H_2SO_4 “ –ისათვის მისაღები ყოფილა მხოლოდ დადა და „41“.

დასახელებულია კოკტო, აპოლინერი, სანდრარი, მარინეტი და მათი ავტორიტეტით გამასხრებულია სიმბოლისტები, რომლებმაც ამონურეს თავიანთი თავი და ახლა ამაოდ ლაყბობენ. არც რუსი ფუტურისტებია დავინყებული. ამჯერად მათდამი ხოტბაა აღვლენილი (კრუჩინონიხი, მაიაკოვსკი....). ისევ ჩნდება დევიზი: „ჩვენ უარვეყოფთ ნარსულს“. მაგრამ დაუვიწყარია „ფეხები ვან გოგის, ღორი კრუჩინონიხის, რეჟისორი მეიერხოლდის, ქანდაკება ხლებნიკოვის, ჭამა ტ. ტცარასი, ნაცრისფერი თიკანი ხალხური შემოქმედების“, როგორც ნამდვილი პოეზიის ფაქტები. არაერთხელაა დასახელებული „41“, ხან როგორც წინამორბედი და ნიმუში, ხან კიდევ – როგორც სკოლა. ხოლო ყანწლების შემოქმედება შეფასებულია „განმეორებად“, „წყალმანკობად“, ორშაურიან პოეზიად.

ჟანგო ღოღობერიძე განიხილავს პოეზიაზე კინემატოგრაფიის გავლენის საკითხს (სტატია – „მზადება, რომელიც მობრუნებულ შემოქმედებაში უდრის საზომს, დაბრუნებულ შემოქმედებაში – 3–ს და ინერება“).

ახალი დროის ხელოვნებამ – კინომ ფართო გავრცელება ჰპოვა. არ იყო შემთხვევითი, რომ მას ყურადღება მიაქცია „ H_2SO_4 “–მა. პოეზიის მოდელირება კინოს ანუ ტექნიკის ენაზე – აი, ამ სტატიის მიზანი. ავტორი ადგენს თეორიას, ასაბუთებს მაგალითებით, ეძიებს წინაპრებს, არკვევს მოძრაობის, დეტალის, ხედვისა და ხმის მნიშვნელობას, რაც კინოს დინამიკური ენაა და იწოდება „დაბრუნებულ მოქმედებად“.

არსებითად ავტორი აერთებს რამდენიმე სკოლას, თანამოკალმეთა დარად. მაგრამ გამოყოფს სპეციფიკურ ნიშნებს, რომელთა სინთეზი უნდა მოხდეს ახალ ხელოვნებაში. ესენია: ფუტურისტული – მოძრავი მასალა, სისწრაფე, განივთება, მანქანის რიტმი, პროტესტი; კონსტრუქტივისტული – გამიზნული მასალა, ეკონომიკა, პროდუქტი, სიუჟეტის მოძრაობა, ტერორი; დადაისტური – ქაოსური მასალა, გამიზნული დალაგება, საგნების კომბინაცია, მოძრაობის ყესტი, ტერორი.

კინემატოგრაფის სიმბოლო იმჟამად იყო ჩარლი ჩაპლინი, ხოლო ფუტურიზმისა – მარინეტი. ამიტომ, ჟ. ღოღობერიძის აზრით, მარინეტის ელექტრონის მთვარეს უნდა დაეხუროს ჩაპლინის „კოტელოკი“. ეს იქნება პოეზიის კინემატოგრაფიზება, სიტყვის ამეტყველება ტექნიკის, მანქანის, ელექტრონის ენაზე. „რიტმით ავადყოფობა“ უნდა შეცვალოს ტერორმა, მუსიკა – მოძრაობამ, სინტაქსი – სიტყ-

ვების თავისუფალმა განლაგებამ. საჭიროა „ენის გადახალისება“, რასაც რუსულ ლიტერატურაში ეწოდება „ზაუმ“. მოხმობილია ცალკეული ავტორიტეტები (კრუჩონიხი, ასეევი, მაიაკოვსკი, ერენბურგი, პასტერნაკი, ელენსი, სანდრარი, ხლებნიკოვი, კოცტო, მარინეტი), რომელთა შეხედულების შერევით წარმოიშობა ახალი სტილური მოზაიკა.

სიმონ ჩიქოვანი 21 წლისა იყო, როცა „ H_2SO_4 “ გამოიცა. მაგრამ მის სტატიებსა და ლექსებში საგრძნობია ენერგია და ერუდიცია, რაც თავდაპირველად სხვათა უარყოფისაკენ იყო მიმართული. დამკვიდრების პროცესში ეს დასაშვებია, მაგრამ, რასაკვირველია, გაუმართლებელია პოეზიის წმინდანების ხელალებით ძაგება. უნდა ითქვას, რომ ს. ჩიქოვანი თავიდანვე ჩანს, როგორც ავანგარდიზმის იდეოლოგი. ეტყობა, ამას მაინცდამაინც ვერ ეგუებოდნენ (იგი ვერ მოხვდა იმ ხუთ დელეგატს შორის, რომელიც „ H_2SO_4 “–მა წარგზავნა საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე). თანამოკალმენი დიდად აფასებდნენ, თვლიდნენ ნ. ჩაჩავასთან ერთად ფუტურისტულ ლექსის მეტრად, მაგრამ ზოგჯერ აკრიტიკებდნენ კიდეც.

„მემარცხენეობის“ ბოლო ნომერი გამოიცა ს. ჩიქოვანის რედაქტორობით, რაც უკვე მის ერთპიროვნულ ლიდერობას ნიშნავდა. სწორედ იგი იყო ინიციატორი, რომ „ H_2SO_4 “–ის ავანგარდისტული ჯგუფი რეალიზმისაკენ მობრუნებულიყო.

„ H_2SO_4 “–ის ფურცლებზე სიმონ ჩიქოვანმა ორი წერილი გამოაქვეყნა – „პროექტი ახალი კრეისერის. ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების“ და „ H_2SO_4 “ პოეზიის პარალიტიკებს“.


„მობრუნებული შემოქმედება“, როგორც ვიცით, მეთოდად გაიაზრა ჟ. ლოლობერიძემ. მიუხედავად ამისა, იგი ერთობ ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. ალბათ ამას თუ გრძნობდა ს. ჩიქოვანი, როცა მას ისევ მიმართა და ხელახლა წარმოგვიდგინა: მართალია, არც მისი მსჯელობაა ნათელი, მაგრამ თანამოკალმეთა კრედოს კი გვიხასიათებს. ს. ჩიქოვანისათვის მარინეტი კოლუმბია, რომელმაც აღმოაჩინა და იგრძნო „მექანიკური ქვეყანა“ – მას განსაზღვრავს საგანი და ნივთი. (შდრ. – „ლექსების“ „предмет“ და „вещь“). ღვთაებრივ ცვლის კომფორტი. საგანმა შეიძინა უტილიტარობა და აკრობატიკა, რითაც იქცა ნივთად, ხოლო ნივთმა რელიგია მოსპო.

დადა, წარმოებითი ფუტურიზმი, კონსტრუქტივიზმი ერთმანეთს შეერწყა. ქრონოლოგიურ შეცდომადაა მიჩნეული, რომ დადაიზმი


განო გორდუზიანი მხატვრობა.

წ ა ი კ ი თ ხ ე მ თ:

ბიბლიოგრაფია
მათი ვინც არ არის
მხატვარი




ნივთი თოცოვრათიულად დასატული



არის ავთმეუთობა

რომელსაც ვებრძვით როგორც



გადამღებ სენს

რ ჩ ი უ ლ ი:

ხ ე ზ ა ხ
პ ი კ ა ს ო
ბ ო ჩ ჩ ო ნ ი
მ ა ლ ე ვ ი ჩ
კ ა ნ დ ი ნ ს კ ი
გ რ ო ს ს
რ ო დ რ ე ნ კ ო
კ ო კ ტ ო

ი ზ მ ე:

ი მ პ რ ე ს ხ ი ო ნ ი ზ მ ი
კ უ ბ ი ზ მ ი
ფ უ ტ უ რ ი ზ მ ი
ლ უ ჩ ი ზ მ ი
ს უ პ რ ე მ ა ტ ი ზ მ ი
კ უ ა ნ ტ ი ლ ი ზ მ ი
კ ო ნ ს ტ რ უ კ ტ ა ვ ი ზ

ღ კ

D a D a

27

ფურნალი „H₂SO₄“

ფუტურიზმის შემდეგ იშვა. დადას ევალეზა ფსიქიკის განმენდა რომანტიზმის შხამისაგან. იგი პირდაპირი მნიშვნელობით ხის სათამაშო ცხენია, გადატანით – ბავშვის ლულული. დადაისტებმა მოსპეს ჩვეულებრივი მეტყველება, შეადგინეს აფრიკული ლექსიკონი, რათა დასულიყვენ ბავშვის გულბრყვილო ცნობიერებამდე. ასეთივე ცდაა ალექსეი კრუჩონისის „Займы“ (იგი იშველიებდა გერმანულ, თათრულ, კავკასიურ ენებს, ქმნიდა ახალ სიტყვებს. სიტყვათქმნადობას ეწოდა „გაუცნობიერებელი ექსპერიმენტული ლაბორატორია“), რომლის საწყისია მარინეტის შეხედულება ტრადიციული სინტაქსის „სასაცილო ამოებაზე“.

მართებულია შენიშვნა, რომ ფუტურიზმი „სხეულის ნაწილივით ატარებს დადას“. დადა აუცილებელია, რათა აინგრეს ძველი ფსიქიკა და პოეზია. იგი სოციალისტური რევოლუციის პარალელური მოძრაობაა (დადაიზმსაც „მემარცხენე“ ხელოვნებას უწოდებდნენ). დღევანდელი მისი მიზანია ნივთების შექმნა, რადგან თავად „ხელოვნებას არ აქვს მიზანი“. ასევე აუცილებელია კონსტრუქტივიზმი, რადგან იტალიელთა მანქანებით აღტაცება საკმარისი როდია. საჭიროა სტრუქტურის ძიება, როგორც ხელოვნებისა, ისე სინამდვილისა და ფსიქიკისა.

იქვე შედარება – „მაიაკოვსკი დგას მოსკოვივით“ და დევიზი, რომ პოეზია არის ნივთი, მისი კონსტრუქცია და დინამიკა. ნივთის თვისებებაა მყარობა და მოძრაობა, რაც პოეზიაში გრაფიკით ვლინდება. მისტიკას ცვლის გეომეტრია, ქალაქის თეორემა. ფსიქოლოგიზმი რჩება, მაგრამ დრამატიზმი უნდა მოისპოს, როგორც რომანტიზმის კუთვნილება („ლეფელთა“ აზრით, პოეტი არის გეომეტრი და არა ფსიქოლოგი).

ს. ჩიქოვანი თვლის, რომ მთავარია ფსიქიკის კონსტრუირება. უმოძრაო მინის ბურთი საგანია, ამოძრავებული – ნივთი, რაც ბადებს რიტმს. ავტორის მეტყველება ნელ–ნელა გადადის მათემატიკურ განსჯაში:

„ფაქტიდან ცხადი არის პოეზიის საჭიროება, როგორც უტილიტარული მოვლენის. ამის შემდეგ წარმოდგება ფორმულიროვკა მთელი ნათქვამი პოეზია ნივთი ფორმულა: 1–2 მოძრაობის რგოლი X ღერძი და Y მინის ბურთი a პლანეტა უდრის 1 ორბიტის გარშემო მოძრაობის დროს ის აკეთებს მოძრაობის ორს ფორმას: მოძრაობას ღერძის გარშემო და ორბიტის გარშემო, მინის ბურთი რჩება 1, მოძრაობის

ფორმა 2, აქედან 1–2. მოძრაობის მეორე რგოლის გაკვეთის შემდეგ, რჩება მინის ბურთი კიდე ერთი მინის ბურთის მოძრაობა ორბიტის გარშემო 2 და ღერძის გარშემო 2 და ღერძის გარშემო მრავალი რგოლებით“.

მეორე წერილში, რომელსაც აქვს ქვესათაური „კრეტილების ქარხანა“. ს. ჩიქოვანი მსჯელობს თანამედროვე ქართველ პოეტებზე. პირველი უარყოფის საგანია „ცისფერი ყანწები“, როგორც „მასხრული სკოლა“. მისი სარდალი იწოდება „მალარიის დეგენერატად“, ხოლო სიახლე – „შეტრუსული ფარშევანგების რევოლუციად“, მაგრამ ეს ფრინველები „ბალმონტისა და ბრიუსოვის კასტრალურ ზოოლოგიურ ბაღიდან“ ყოფილან მოპარული.

ავტორის აზრით, ხარფუხი და ავლაბარი დამარცხდა და გაიმარჯვა იმერულმა სუფრამ.

ტიტე ტაბიძე – „მოგონების არხივია“, რობაქიძე – „კარდონის მუშია“, შანშიაშვილი – ფურცელაძისა და ქვარიანის ისტორიების გამართმავი, გამსახურდია – რობაქიძე – „ექსპრესიონისტული დრამებით სახელის სპეკულიანტი“, კ. ნადირაძის „ავზნიანი ქალაქი“ კომბოსტოს გემოვნება“, პ. იაშვილი „მმაჩის ბიუროს დამაარსებელია პოეზიაში“, ხოლო ლ. გუდიაშვილი – „კინტოების დირიჟორი“ (ლ. გუდიაშვილი 1918 წელს იყო „ფუტურისტების სინდიკატის“, შემდეგ – „Футурсеучнаџе“ – ს წევრი. მონაწილეობდა მოსკოველი ფუტურისტების სურათების გამოფენაში).

ავტორის აზრით, „ცისფერყანწელებმა“ მეთოდის სიახლე სონეტით ამოწურეს. ჯერ ლილინებდნენ, შემდეგ აყროყინდნენ, ეფარებოდნენ გ. ტაბიძის კაბასა და ი. გრიშაშვილის აბანოს; „როგორც პოეტი – იაშვილი უდრის თავაძეს, ტიტე ტაბიძე – საშა აბაშელს, გრიგოლ რობაქიძე – გამსახურდიას, ვ. გაფრინდაშვილი – ციყვს, რომელიც სარკეში ზის და რომლის ამოყვანაზედაც ის ოცნებობს“.

განსაკუთრებული დაცინვის ობიექტია ტ. ტაბიძე (მაგ., „ტაბიძის მტყვევლება არის ბალალაიკის სტილი. ტიტეს არა აქვს სმენა. ქალდეს მისტიკა და ირონია ერთად დიზინტერეის დროს თუ მოთავსდება. შეიძლება აქ ზოგიერთისთვის რეზინის მილიც იყოს საჭირო“).

ავტორი ქართულ ხელოვნებაში არსებულ სიტუაციას – „ანტი–სანიტარულ მდგომარეობად“ მიიჩნევს და გვთავაზობს ჰაერის დასანმენდ რეცეპტს – „ H_2SO_4 “–ს.

ქართული კულტურის განახლებას ყოველთვის იწყებდა პოეტი.

ტრადიციული ლექსი იყო თავდასხმის პირველი ობიექტი. მისი რღვევით ფერი ეცვლებოდა სამყაროს. ისახებოდა ახალი, ბუნდოვანი კონტურები. ლექსი ინტუიციური ქმნადობის ნაყოფია, რომელშიც ოდესღაც იყო კონდენსირებული სიტყვა, მუსიკა, მოძრაობა. შემდეგ იგი აფეთქდა, დაიშალა და დაიფანტა სხვადასხვა სახეებად. მაგრამ პიროვნება ინტუიციურად ესწრაფვის სამყაროსთან პირველადი კონტაქტის აღდგენას. იგი ისევე ატარებს სულში სამყაროს ხატს, როგორც ორსული ქალი – ნაყოფს.

ლექსის „ქიმიური დაშლის“ შემდეგ დადგა მხატვრობისა და თეატრის ჯერი. მაგრამ აქაც პრაქტიკას წინ უსწრებდა თეორია, მოქმედებას – განცხადება, ე. ი. „ H_2SO_4 “-ელები ჯერ სხვადასხვა წყაროთა მეშვეობით ადგენდნენ კონცეფციას და შემდეგ ცდილობდნენ მის რეალიზებას.

ბენო გორდეზიანი (შემდეგში ქართული შრიფტის კონსტრუქტორი) გვაცნობს მხატვრობის ახალ თეორიას. მისთვის „ნივთი ფოტოგრაფიულად დახატული არის ავადმყოფობა“ (წინადადების შუაში ჩახატულია ოვალი, ალბათ თვალის, როგორც ხედვითი ორგანოს სიმბოლო). სანიმუშო „რჩეულ“ მხატვრებად მიჩნეულია სეზანი, პიკასო, ბოჩონი, მალევიჩი, კანდინსკი, გროსი, კოკტო, როდჩენკო (მას ეკუთვნოდა ჟურნალ „ლეფის“ ყდის გაფორმება და მონტაჟი), „იზმებად“ – იმპრესიონიზმი, კუბიზმი, ლუჩიზმი, სუპრემატიზმი, პუანტილიზმი, კონსტრუქტივიზმი და DaDa (დაბეჭდილია ცალკე, გამოყოფით, მსხვილი შრიფტით).

როგორც ვხედავთ, მხატვრის იდეალი და ორიენტირი ნათელია. შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, სიტყვათა მინიშნებით იგი გადადის ქართულ მასალასა და გარემოზე, მოიხსენიებს ფიროსმანს, გუდიაშვილს, კაკაბაძეს. დაბეჭდილია სამივე ერთად, მსხვილი შრიფტით, რასაც ახლავს განსაზღვრება – ძველი თბილისი, კავკასიონი, განიერი შარვალი, მონასტრების ფოტოგრაფიული ფრესკები.

რადგანაც ავტორმა მხატვრობაში ფოტოგრაფიულობა ავადმყოფობად მიიჩნია, არც ესენი იმსახურებენ შეწყალებას. სამაგიეროდ ჰყავს „ H_2SO_4 “-ს ორი ოსტატი – ირ. გამრეკელი და ბ. გორდეზიანი (დაბეჭდილია იმავე შრიფტით), რომლებიც მოდიან ქალაქიდან, ქუჩის მოძრაობიდან, თუჯის ადამიანის დაჭიმული ძარღვებით (შდრ. – ვ. ხლებნიკოვის ქუჩის ხმა და სიმღერა, „ლეფის“ მონოდება – ხელოვნება გასულიყო ქუჩებსა და მოედნებზე, შთაგონებულიყო დინამოთი და მოტორით).

ინგრევა ყალიბი, ხაზები ამტკრევენ ხაზებს, ფერები ერწყმიან ერთმანეთს და იბადება უჩვეულო, ჯერარნახული სამყარო.

ბ. გორდეზიანის აზრით, მხატვრობაში უნდა შეიჭრას ინჟინერია, რითაც მოხდება ნივთის გასაგნება და საგნის განივთება. ეს კი ახალი შეგრძნობის დასტურია. გაკეთებას შეცვლის ხედვა (ალბათ, იგულისხმება ჭვრეტა) და რამდენადაც ეს მოხერხდება, მხატვარი იმდენად გამოავლენს ეროვნულ პოტენციას.

რაკი „ H_2SO_4 “ –ის ორივე ოსტატი ხედვის (ჭვრეტის) ორგანიზატორია, ისინი აცხადებენ მხატვრობაში თავიანთ „დიქტატურას“. ამის შემდეგ ბ. გორდეზიანი გვთავაზობს „ტვინის ფორმულას“, რაც არის სქემურად გამოსახული „პლანეტი სამკუთხედით“ – ოთხი სამკუთხედი და მათ შორის რომბი. რომბი უდრის მსოფლიო ქალაქს. პირველი ორი სამკუთხედის ფუძეა „მინასთან დაბრუნება“, „სოფელი“, „ველურრი“, ხოლო მესამე – მეოთხისა – „რელიგია“, „ქალაქი“, „კულტურა“. სამკუთხედთა წვეროებზე განლაგებულია „ტრაგედია“ და „ცივილიზაცია“.

აი ამ სქემაში იკითხება ინდივიდის ცნობიერებაში არეკლილი სამყარო. მას ბუკოლიკური სახელი ჰქვია – „ნებიერი სანახაობა“, როგორც ერთდროული ირონია და პაროდია (როგორც ვნახავთ – „სანახაობა“ არის ცირკი, ე. ი. ავტორი ჟონგლიორობს).

ბ. გორდეზიანი აღნიშნავს, რომ „ H_2SO_4 “ –ს დაუარსებია „სიტყვის ლაბორატორია“ და „სამხატვრო დაზგა“, რომელთა ნიმუშებს ვეცნობით ჟურნალის ფურცლებზე. იგი წერს, რომ ქართულ კონსტრუქტივიზმსა და წარმოებით ფუტურიზმს (შდრ. –“ლეფის“ „производственники“) დაუმუშავებელი დახვდა როგორც ქართული ანბანის გრაფიკულობა, ისე სიტყვის მთელი ბუხჰალტერია (ეს შენიშვნა სავსებით სწორი იყო ანბანის მიმართ).

შემდეგ ავტორი გვაცნობს ქართული ანბანის, სიტყვის, შრიფტის კონსტრუქციებს, გრაფიკულ სქემებს.

ბ. გორდეზიანის დასკვნით, „ნაბეჭდის კითხვას ახალისებს შრიფტი და დახარჯული ენერჯიის სიმცირე (უმთავრესად მხედველობითი). ქართული შრიფტი ერთნაირია და მოსაწყენი“. მას ხალხური თქმა მიაჩნია სიტყვის საწყისად, მაგრამ თვლის, რომ მრავალი ქართული სიტყვა მნივნობრულია და საჭიროა მეტი სიახლოვე სალაპარაკო მეტყველებასთან. ამიტომ აღადგენს მკვდარ ასოებს, შემოაქვს ზოგი ახალიც (პროექტი ეკუთვნის სიმონ ჩიქოვანს), რომელთა მოტანა ვერ

ხერხდება ტექნიკური მიზეზის გამო. ასევე ყურადღება ექცევა ასოების განლაგებას ხაზზე, მათ მოხაზულობას (გავიხსენოთ ისევ მარინეტის „ტიპოგრაფიული რევოლუციის“ პრინციპი).

ბ. გორდეზიანის მსჯელობას კომენტარებს ურთავენ ს. ჩიქოვანი და ნ. ჩაჩავა. ს. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ახლადშემოტანილი ასობგერა დგას ქართულ ღ–სა და რუსულ ჟ–ს შორის, აგრეთვე – ქართულ ყ–სა და ლ–ს შორის. იგი ჩარჩენილა მეგრულ, სვანურ და მთიულურ მეტყველებაში. ხოლო გავრცელებული ყოფილა „ქვის ეპოქაში“. იგი დაუღუპავს „ფეოდალურ გაშლილი ეზოებისა და ცაცხვების რომანტიკას“. მაგრამ მისი ჟღერა მოისმის „ავტომობილის სირენაში“. ხოლო ძ და ჟ ადრეც იყო ჩვენს ალფაბეტში, მაგრამ ბ. გორდეზიანმა შეუცვალა გრაფიკა და სავსებით ქართული სახე მიანიჭა მათ.

ნ. ჩაჩავა გვთავაზობს ქართული ანბანის ერთგვარ ფილოსოფიურ გააზრებას. იგი ანბანს მიიჩნევს ოპტიკა+აკუსტიკად. მაგრამ „რუსულმა აკუსტიკამ მოსპო ქართული მრავლოვანი ხმები“. მისი წარმოდგენით, ქართული ანბანი კლავიატურაა. დახასიათებულია ცალკეული ბგერების (გ, ქ, დ, თ, ბ, ფ) ტონი, სიმაღლე და სიდაბლე, წარმოთქმის დროს დახარჯული დრო და ენერგია; შემოაქვს ერთ–ერთი მოკლე ხმოვანი, რომელიც ჟღერს მეგრულ მეტყველებაში.

დროისა და სივრცის ეკონომიისათვის (რომლის პრაქტიკული რეალიზებაა ეს კომენტარიც) საჭიროა ახალი გრაფიკა, მონათესავე ასოების ჩამოყალიბება, ქალაქის ბგერების რეკონსტრუქცია, რადგან ქალაქი ახალი ნივთების სამყაროა, რაც განისაზღვრება მეტყველებით, ენით. ქართულ ენას კი არ გააჩნია მრავალი, დროის შესაფერი სიტყვა. ამიტომ საჭიროა სიტყვათქმნადობა. იქვე მაგალითებიცაა დასახელებული – Poete – როშარი, Цирк –ხედეირა (სანახაობა), Небоскреб – ცამდიარი.

სიტყვათქმნადობის პრინციპიც რუსი ფუტურისტებისაგან ისესხა „H₂SO₄“ –მა. „ზაუმის“ აღმოჩენა, როგორც მარინეტის ერთ–ერთი იდეის ხორცმესხმა, ეკუთვნოდა ალექსეი კრუჩიონისს – „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტს“. ხოლო ველიმირ ხლენიკოვი – „დედამინის ბურთის თავმჯდომარე“ და „ახალი პოეტური მატერიკების კოლუმბი“ (ვლ. მაიაკოვსკი) – ქმნიდა პირველყოფილ სლავურ ენობრივ უტოპიას, ახდენდა არქაული აზროვნების სტილიზებას, ისწრაფოდა ფოლკლორული და მითოლოგიური მასალისაკენ. ხოლო მათზე დაყრდნობით ავითარებდა დროის რიცხვითი სიმბოლიკის თეორიას⁸, რაც

საბოლოოდ სიტყვაში კოდირებულ ბედისწერამდე მიდიოდა (შდრ. – თეორიული სტატიები – „Учитель и ученик. О словах, городах и народах“ (1912), „Наша основа. 3. Математическое понимание истории. Гамма будетлянина“ (1920)⁹, „Слово о числе и наоборот“ (1922), „Закон поколений“ (1915)¹⁰.

ნიკოლოზ შენგელაიამ (ისევე როგორც ირ. გამრეკელმა) ყურადღება მიაპყრო ცირკის პრობლემას („ქართული ცირკი“). რადგან თეატრი „ნიღბების ნიღბია“, ამდენად – რომანტიული და სინამდვილეს დაშორებული. ხოლო ნამდვილი ხელოვნება ცხოვრების ორგანიზატორი უნდა იყოს. ამ ფუნქციას იტვირთებს ცირკი, ოღონდ არა ტრადიციული, არამედ მეიერჰოლდისეზური – „გაუმჯობესებული ცირკი“ (შდრ. – მარინეტის აღტაცება მუზიკ-ჰოლით).

ავტორი იხსენებს გ. ტაბიძის ნიღბების ფილოსოფიას, რითაც იგი სიმბოლიზმის ეროვნულ საწყისებს ეძებდა. ამგვარი მტკიცება გაუგებრობადაა მიჩნეული. მაგრამ არსებითად ნ. შენგელაია სარგებლობს ამავე ხერხით და იგი გადააქვს ცირკზე, რომელიც კლავს ძველ თეატრს. ხალხური შემოქმედება, ქორეოგრაფია და ჯამბაზობა ყველაზე ახლო დგას ცირკთან, რომლის თანამედროვე სახე კუბისტურად უნდა იქნეს გაგებული.

ავტორის აზრით, საჭიროა ჯირითი, ხანჯლებით თამაში, საზანდარი, შაირობა ქალაქურ ყაიდაზე მოდერნიზდეს, იქცეს ეს ყოველივე მანქანურ მოძრაობად. ირ. გამრეკელს წარმოდგენილი ჰქონდა ცირკის ახალი პროექტი. ნ. ჩაჩავამ, როგორც ვიცით, იგი „ხედვირად“ მონათლა. აქედან სრულიად აშკარაა, რომ „ H_2SO_4 “ დაინტერესებული იყო ქართული ცირკის პრობლემითაც, რომლის არსი იქნებოდა ხმაურის, ქარხნების სიმფონიის, მასის, კლოუნადის, აკრობატიკის კონსტრუქციული სინთეზი.

ასე იქცეოდა იგი რეალობის ნამდვილ სახე-ნიღბად.

შალვა ალხაზიშვილი კინოხელოვნების მეხოტბე იყო. ავტორის აზრით, თეატრი წარმოდგენაა, კინო – ცხოვრება, ხოლო ნამდვილი ხელოვნება უდრის ცხოვრებას, ისევე როგორც ცხოვრება – ხელოვნებას. სიცრუეა, თითქოს თეატრი კრიზისს განიცდიდეს – იგი კვდება. კინო სინამდვილის კონსტრუქტორია, რომელიც ძლევს დრო-სივრცეს. იგი ცოცხალი კონკრეტობაა. მისი აქტიორი შემოქმედაა, თეატრისა – „უბრალო გადამღები“. ყველა ხელოვნება იყო ნაციონალური მოვლენა. ხოლო კინო ინტერნაციონალურია. ბრალს სდებენ კინოს,

რომ იგი „დიდი მუნჯია“, რომ იგი თეატრალური პანტომიმია, მაგრამ მომავალი ხელოვნება იქნება უსიტყვო, რომელსაც ეყოლება ერთი აქტიორი – მასა და რომელშიც იქნება შესტი და ცეკვა.

ამიტომ ყოველი ხელოვნება ყბედობად დარჩება, თუ არ მოხდა მისი გაკინემატოგრაფება. სიტყვის იდეას ცვლის სიჩუმის იდეა. კინომ მოძრაობა სიტყვისაგან გაანთავისუფლა, რაც მტკიცდება ჩარლი ჩაპლინის გენიალობით.

შ. ალხაზიშვილის აზრით, „თეატრი არის ლეში, ხელოვნების შუაგზაზე გაშლართული“. ამიტომ უნდა მოხდეს თეატრების ლიკვიდაცია (იხ. სტატია „კინო“).

შ. ალხაზიშვილი ბექდავს სპეციალურ წერილსაც – „თეატრი აბსურდი“, რომელშიც კიდევ უფრო აზუსტებს თვალსაზრისს: ქართულმა თეატრალობამ 1850 წლის 2 იანვარს უღალატა თავის თავს. დაიწყო ერისთავ-ანტონოვ-ცაგარლების „ყოფა-ცხოვრების გამოფენა“. გაბატონდა ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ზოოლოგია, მუზეუმი, ფეტვიშიმი, კრეტინიშიმი (მარინეტის აზრით, იტალია უნდა განთავისუფლებულიყო „პროფესორების, არქეოლოგების, ვიდეების და ანტიკვარების განგრენისაგან“. ხოლო მუზეუმი სასაფლაოს აგონებდა). კ. მარჯანიშვილის დადგმები მონათლულია, როგორც „ეკლეკტიკური ნახერხი“ და „თეატრალური შანტაჟი“, მიერპოლდისა და ტაიროვის სუროგატი.

ქართული თეატრის კრიტიკის შემდეგ უარიყოფა ყოველგვარი „იზმი“, რითაც გაიჟღინთა როგორც უცხოური, ისე ჩვენი დრამატურგია. ერთადერთი სალამი ეკუთვნის ვსევილოდ მიეერპოლდს, რომლის გზა ბალაგანიდან იწყება. მას მოაქვს XX საუკუნის დინამიკა და ტექნიკა. ავტორის მტკიცებით, თეატრი არ არის წიგნი, ოთახი, სარკე, სკოლა, ტაძარი ან კლინიკა. თეატრი არის აბსურდი, ცირკი, ბალაგანი, რომელსაც არ სჭირდება მხატვარი და პოეტი. საკმარისია მხოლოდ სცენარი. რჩება შესტი და მიმიკა, მოძრაობა და მოქმედება, რიტმი, კარნავალი; ემატება კლოუნი, ჟონგლიორი, აკრობატი. მხატვარს შეცვლის ინჟინერი.

ასეთი თეატრისათვის რეჟისორიც ზედმეტი ყოფილა და მაცურებელიც (ალბათ ძველი გაგებით). ბუფონადაა უმაღლესი რანგის ტრაგედია და არა მისტერია. სცენა იქცევა სტადიონად, სადაც აქტიორების დოლია გამართული. აბსურდის თეატრის იდეალები არიან ჩარლი ჩაპლინი და ჟან კოკტო.

ასე მოხდება თეატრის კინემატოგრაფიზება, უფრო სწორად – იქცევა ცირკად.

ასე რომ, შ. ალხაზიშვილის „თეატრი აბსურდი“ იგივეა, რაც ნ. შენგელაიას „ქართული ცირკი“. მაგრამ თუ პირველი მხოლოდ უცხოეთისაკენ იყურება, მეორე თავის შეხედულებათა გამართლებას ცდილობს ეროვნული მასალით (სხვათა შორის, ცნება „თეატრი აბსურდი“ მექანიკური გამოთქმაა და არაფერი აქვს საერთო თანამედროვე ე. წ. „აბსურდის თეატრთან“).

კინოს აპოლოგიას უკვალოდ არ ჩაუვლია. მართალია, ხელოვნების „კინემატოგრაფიზება“ ვერ მოხერხდა, მაგრამ „ H_2SO_4 “-ის სკოლიდან გამოვიდა კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, რომელმაც ჯერ კიდევ 1928 წელს გადაიღო „ელისო“. ამავე ჯგუფს დაუკავშირდა მ. კალატოზიშვილის, ლ. ესაკიას, ს. დოლიძის სახელები (ს. დოლიძე „მემარცხენეობის“ წევრიც იყო).

ს. ჩიქოვანი მ. კალატოზიშვილთან ერთად იყო უმჯულში, როცა იგი „ჯიმ შვანტეს“ იღებდა (ს. ჩიქოვანი, ერთი თვე სვანეთში, „ქართული მწერლობა“, 1930, №№ 1–2, 3–4).

2. ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“

„სიმონი გვებრძვის მანიფესტებით“, – ოხუნჯობდა პაოლო იაშვილი. იტალიელ ფუტურისტებზე ხუმრობდნენ, რომ მათ ლექსებზე მეტი დეკლარაციები დანერეს“¹¹. რუსი ფუტურისტებიც დიდი ხალისით თხზავდნენ მანიფესტებს. „ H_2SO_4 “-ელები უფრო თეორიებს ადგენდნენ და განმარტავდნენ იმას, რაც მომავალში უნდა დაენერათ. დაპირებებსაც უხვად არიგებდნენ. ჩანაფიქრი უკვე აღსრულებულად მიაჩნდათ, ფიქრში არსებული სტატიები და ლექსები – დანერილად და მათ შესახებ თავიანთი პრესის ფურცლებზე მკითხველებს აუწყებდნენ (მაგ., ს. ჩიქოვანი უთითებდა, რომ მზად ჰქონდა ნიგნი ვ. ხლებნიკოვზე; ნ. ჩაჩავას მოჰქონდა ციტატები არარსებული ნიგნებიდან – „მისტიკა და კომბინაცია“, „ქართული სული ნატვრითი კილოში“; პ. ნოზაძე მკითხველს ჰპირდებოდა, რომ მალე დაბეჭდავდა ნაშრომს „თითონ დადა“; 1924 წლის 9 ივლისს უნდა გამოსულიყო გაზეთი „0“, ხოლო აგვისტოში – „ H_2SO_4 “-ის მეორე ნომერი; 23 ოქტომბერს გა-

იმართებოდა ირაკლი გამრეკელისა და ბენო გორდეზიანის „სურათების დემონსტრაცია №1“ (იხ. H_2SO_4).

ამ ჟურნალში მონაწილეობენ, აგრეთვე დემნა შენგელაია და ბესარიონ ჟღენტი. არ დაბეჭდილან – ჟანგო ლოლობერიძე და ბენო გორდეზიანი (იმჟამად თბილისში არ იმყოფებოდნენ).

რა თქმა უნდა, „ლიტერატურა და სხვა“ ექსცენტრული ჟურნალია. მაგრამ „ H_2SO_4 “–ისგან განსხვავებით ყველა ასპექტში საგრძნობია მეტი ზომიერება (თუკი ამგვარ პოზიციას ზომიერება დაერქმევა).

ბიძინა აბულაძე ისევ უბრუნდება საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე პოეზია („უფრო მეტი მობრუნებულ ფოკუსში“). იგი მიმოიხილავს ტექნიკის, ამერიკანიზმის პრობლემას, რამაც დაამარცხა ძველი იდილია და გზა გაუხსნა ინტერნაციონალურ ენას, ყველასათვის მისაღებსა და გასაგებს. სიტყვა და ასო ერთიანდება. ასო გამომხატველია ბგერა – ქუჩა – მოძრაობისა, ე. ი. დროის რიტმი და ინერცია ბადაებს ბგერათა ახალ კომბინაციას, შესაბამისად – ახალ სიტყვებს. მაგრამ რადგან მათ აღძრავს მსგავსი გარემო – ინტერნაციონალური ლირებულებაც ექნებათ.

მაგალითად მოხმობილია ქართული „ვაი“, რომელიც წამოცდება ელექტრონდაკრულ ადამიანს. ეს მწარე ამოძახილი ყველასათვის საერთო იქნება, შესაძლოა, ერთნაირადაც გამოითქვას.

იკარგება ზოგი ძველი ბგერა, რომელსაც აღარ გამოსცემს ახალი გარემო. საჭიროა აზროვნების ეკონომიის პრინციპიც, რასაც აღიარებდა მარინეტი (რომელსაც „კოლუმბს“ უწოდებს ავტორი). ტრანსფორმაციის ჟამს ყველაზე მახლობელი, მყარი დასაყრდენი შეიძლება იყოს ხალხური პოეზია. იგი უფრო გამძლეა, ვიდრე ჰომეროსი, „ღვთაებრივი კომედია“ და „ფაუსტი“. ეს იგრძნო ველიმირ ხლებნიკოვმა და ეს იყო ნოვატორული მოქმედება. დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ სასიმღერო მუსიკას, რაც გზაა ინტერნაციონალიზმისაკენ. ამ მხრივ საყურადღებონი არიან ბესიკი და ვაჟა ფშაველა.

ბ. აბულაძის აზრით, ასეთ გზას ვერ მიაგნეს ა. კრუჩინიხმა და ი. ზდანევიჩმა. ისინი იქცნენ „იგორის ლაშქრობის“ პლაგიატებად, ისევე როგორც ბლოკი თავის „თორმეტში“ – ხლებნიკოვისა. ადამიანი უნდა გაექცეს ნივთის დიქტატურას, რაც დროებით წარმოშობს საგნისადმი რელიგიურ მისტიციზმს, მაგრამ საბოლოოდ მიგვიყვანს ინტერნაციონალურ პოეზიამდე (ბიძინა აბულაძე, პროფესორ ილია აბულაძის

ძმა, 1931 წელს გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, 1937 წელს კი დააპატიმრეს და გადაასახლეს).

შალვა ალხაზიშვილი კიდევ ერთხელ ანგარიშს უსწორებს ძველ პოეზიას („პოეზია net plus ultra“), რომელიც „აყროლდა გრანდიოზულ სასაფლაოზე“. ავტორი წუხს, რომ ჯერ არავის აუშენებია „პოეზიის მძორისთვის კრემატორიუმი“. საქართველო ოდითგანვე განთქმული ყოფილა „პოეზიის დეზენტერიით“. იგი ახალ ხელოვანს ადარებს ბანდიტს, ტერორისტს, შარაგზის ავაზაკს: სიყვარული „სქესობრივ ემოციათ“ ქცეულა, „მთვარე ონანიზმისაგან დაცლილა“, ამური ჩექმისმწმენდელი გამხდარა. ხოლო სანტიმენტალიზმისათვის დარჩენილა მხოლოდ „ფეხსადგილი“.

შ. ალხაზიშვილის აზრით, არსებობს ორი დიდი თარიღი – 1920 წლის 5 თებერვალი პარიზში და 1923 წლის 23 მარტი თბილისში. „რევოლუციამ მოიტანა ახალი ვაგება“. იგი უსასრულოდ გრძელდება და მსოფლიოს მოედება. სიტყვა ჯერ ხმაა, მერე შინაარსი. აქედან – ზაუმის გამართლება. ავტორისათვის სიტყვა „ოფლი“ უფრო ლამაზი ყოფილა, ვიდრე „ვარდი“ (მარინეტის ასოციაცია: „Жар, исходящий от куска дерева или железа, нас волнует больше, чем улыбка и слезы женщины“).

მისთვის თანამედროვე პოეტი არის ყოველდღიური დინამიური გაზეთი, აკრობატი, ჟონგლიორი, ეკვილიბრისტი, მკვლევარი და არა მეოცნებე (კოკტოს ანალოგიით). რადგან ცხოვრება ქაოსია, პოეტი არის ამ ქაოსის კონსტრუქტორი. ამიტომ არის „ექსპრესიონიზმი ლიმონათის იარლიკი“.

ბესარიონ ჟღენტი ჯერ მსჯელობს მწერლობის თეორიულ საკითხებზე. შემდეგ განიხილავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ეხება პოეტიკას, მის როლს შემოქმედისათვის და შენიშნავს, რომ რუსეთში მოღვაწეობს არაერთი კარგი სპეციალისტი (ეიხენბაუმი, ტომაშევსკი, ჟირმუნსკი). მაგრამ მათი ნაშრომები, რომლებშიც დამუშავდა ლექსის თეორია, არაფერში არგია შემოქმედს. პოეტიკა და კრიტიკა მხოლოდ ლიტერატურულ სკოლებს შორის ბრძოლის იარაღია.

შემდეგ წამოჭრილია ფორმისა და შინაარსის პრობლემა და აღიარებულია მათი განუთიშველობა, ერთიანობა. ცალკეა გამოყოფილი პასეიზმისა და ფუტურიზმის ურთიერთმიმართება, ღმერთისა და ნივთის ანტინომია, ნივთის პრობლემა, რაც არის შემოქმედების მიზანი, როგორც „დინამიური ელემენტი მშენებლობითი მოძრაობისა“.

აქედან – ახალი ხელოვნება ანტიფსიქოლოგიური მოვლენაა. ავტორი შენიშნავს, რომ თემა და სიუჟეტი შემოქმედების იმპულსია. იგი იცავს რეალიზმს, მაგრამ მემარცხენეობის გაგებით, ე. ი. არგუმენტირებისას ემყარება კუბიზმს, სუბრემატიზმს, კონსტრუქტივიზმს, ფუტურიზმს. საინტერესოა ცალკეული მოსაზრებანი (მაგ., *„რაც წინ მიდის კაცობრიობა, მით უფრო იზრდება ასოციაციური, წარმოდგენითი პოტენცია“*) და საერთოდ ამ სტატიის შესავალი, თეორიული ნაწილი ამჟღავნებს ავტორის ლიტერატურულ ერუდიციას, ზომიერებას, მსჯელობის კულტურას.

შემდეგი განხილულია *„ცისფერი ყანწები“*. იცვლება მსჯელობის ტონი. კრიტიკოსი მიმართავს *„H₂SO₄“* – ისათვის ჩვეულ ვულგარულ ტერმინოლოგიას. ბ. ჟღენტს *„ცისფერი ყანწები“* დასავლური და რუსული ლიტერატურის ეპიგონად მიაჩნია, თვლის, რომ სიმბოლიზმი ისევეა საარქივო მასალა, როგორც რომანტიზმი და ნატურალიზმი. ამ სკოლის ერთადერთ ღირსებად მთარგმნელობა მიაჩნია (რაც უდრის გადამღერებას). მაგრამ ახლა ესეც არ ძალუძთ. კრიტიკოსი *„ცისფერ-ყანწებს“* *„ლიტერატურულ შმორს“* უწოდებს.

სწორადაა შენიშნული, რომ *„ცისფერი ყანწების“* პირველ ნომერში ერთმანეთშია არეული სიმბოლისტური და ფუტურისტული ლოზუნგები. *„ცისფერი ორდენის“* თეორეტიკოსებად მიჩნეული არიან გრ. რობაქიძე და ტ. ტაბიძე. კრიტიკოსის აზრით, გრ. რობაქიძე მსჯელობს ახლად გამოსული წიგნის ან ჟურნალის გავლენით. ამიტომაც გახდა კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული დეკლარაციების ეპიგონი.

გრ. რობაქიძეს არ გააჩნია მყარი აზროვნება, დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა. იგი *„პოეტი-ფილოსოფოსია“*. პირველად გატაცებული იყო ი. გრიშაშვილის პოეზიით. შემდეგ ყალბი პათოსი და ცრუ-კლასიკური რიტორიკა დასჩემდა. ბოლოს პრიმიტივის პოეტიკა და *„მინასთან დაბრუნების“* თეორია აინტერესებს; ტ. ტაბიძე სულ *„შესავლებს“* წერს და საკითხის გამორკვევას მომავლისათვის გვპირდება; თავიდან ამტკიცებდა ქართული ფსიქიკისა და სიმბოლისტური მსოფლმხედველობის იდენტივობას, შემდეგ ფუტურიზმისაკენ გადაიხარა. ახლა კი დადას აკავშირებს *„ცისფერ ყანწებთან“*, ახდენს წარსულის კულტივირებას, გატაცებულია ქალდეას მისტიკით, მალარიის, ტუბერკულოზისა და შხამის პოეზიით.

ასევე რამდენიმე სიტყვით არიან დახასიათებული პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე. მართალია,

ბ. ჟღენტის მსჯელობა ნიჰილისტურია და ზედმეტად მკაცრი, ახლავს შეურაცხმყოფელი ტონი (მაგ., გ. ლეონიძის მისამართით). მაგრამ სწორ დაკვირვებებსაც შეიცავს (მაგ., ვ. გაფრინდაშვილის ლირიკის სპეციფიკა, ბალმონტის ზეგავლენა პ. იაშვილზე). კრიტიკოსი მიუღებლად მიიჩნევს ამ სკოლას, როგორც დეკადენტურს, რელიგიურს, ფსიქოლოგიურსა და ინდივიდუალისტურს.

ბ. ჟღენტი ეხება პროლეტარულ პოეზიასაც. მაგრამ უარყოფს, თითქოს იგი სკოლა იყოს, რადგან უპირისპირდება მთელს ბურჟუაზიულ კულტურას, რომელიც რამდენიმე ათეულ სკოლას შეიცავს.

კრიტიკოსის აზრით, პროლეტარული კულტურაც ასევე უნდა იყოფოდეს ცალკეულ მიმდინარეობებად, ე. ი. მას არასწორად მიაჩნია მხოლოდ იდეოლოგიური ნიშნით დეფინიცია და განმსაზღვრელად თვლის ლიტერატურულ სპეციფიკას. მაგ., რუსი პროლეტარული პოეტები სხვადასხვა სკოლის გავლენას განიცდიან. მათ მხოლოდ სოციალისტური მრწამსი აერთიანებთ. ეს კი ავტორის აზრით, პოეზიისათვის არ კმარა, ხოლო საქართველოში პროლეტარული პოეზია „არ არსებობს“. ამიტომ თავს იკავებს მათი წევრების დახასიათებისაგან. ზოგადად კი აღნიშნავს, რომ ისინი უმღერიან სოფელსა და პრიმიტივს. პროლეტარიატი კი ქალაქის პირმშოა, მისი ფსიქიკაც ურბანულია.

აქედან – ახალი ხელოვნებაც უნდა იყოს ურბანული. ბ. ჟღენტს ფსევდონიმი „*ეული*“, როგორც ინდივიდუალიზმის, სკეპტიციზმის გამოვლენა, შეუთავსებლად მიაჩნია პროლეტარიატის კოლექტივიზმთან, ისევე როგორც „*ვაკელი*“ – ურბანულ გარემოსთან („*ვაკე*“ – სოფლური გარემოს ასოციაცია).

სიმონ ჩიქოვანი კრიტიკულად განეწყო თანამოაკალმეებისადმი („*ახალი ხელოვნების ფაქტები*“). ალბათ ამიტომაც რედაქციამ მისი სტატია დისკუსიის წესით დაბეჭდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „*H₂SO₄*“-ის წევრებს არ ჰქონდათ ერთნაირი შეხედულებანი. მათ გააჩნდათ ბევრი ზიარი პრინციპი, განსაკუთრებით ეს ეხებოდა მიმართებას წარსულისადმი, რევოლუციისა, ინდუსტრიისა და ლიტერატურული სკოლებისადმი, მაგრამ ცალკეული წევრი ავითარებდა საკუთარ თვალსაზრისსაც.

მაგ., ნ. ჩაჩავა წერს: „*არაფერს დავეძებ მაზოლი რომ არ მქონდეს ფეხზე გაჩენილი*“; თითქოს მას ეპაექრება პ. ნოზაძე: იგი ჩამოთვლის პოეზიის ფაქტებს და ასკვნის: „*აქ არის საჭირო გაგება და გულწრფე-*

ლობა რომ არ ინუნუნო მახოლის ტკივილზე“; ბ. ჟღენტი და ნ. ჩაჩავა აღიარებენ ქართული თეატრის არსებობას, შ. ალხაზიშვილი უარყოფს; ბ. გორდეზიანი მესიანისტია, შ. ალხაზიშვილი – კოსმოპოლიტი; დ. შენგელია ლირიკას უარყოფს, ს. ჩიქოვანი – ბელეტრისტიკას; ს. ჩიქოვანი ქმნის პრიმიტივის პოეტიკას, ბ; ჟღენტს პრიმიტივი მიუღებლად მიაჩნია; ს. ჩიქოვანი წერს ფუტურისტულ და კონსტრუქტივისტულ ლექსებს, ჟ. ლოლობერიძე დადაისტია, ი. გამრეკელი – კუბისტი, ბ. გორდეზიანი – კონსტრუქტივისტი („ლენინის დასაფლავების დღე“, „ტფილისი“) და სუპრემატისტი („ცოლიანი პოეტი“, როგორც პ. ნოზაძის სტატიიდან ირკვევა, ი. ტერენტიევის პორტრეტი)...

სიმონ ჩიქოვანი „ H_2SO_4 “ –ს უწოდებს „ახალ კონსტრუქტივიზმს“, რომელმაც უნდა შექმნას რევოლუციის შესაბამისი ფსიქიკა. პოეტის აზრით, დადა უეჭველად არის „ H_2SO_4 “ –ის ერთი პოლუსი, როგორც არა მხოლოდ ტერორი, არამედ როგორც „მოძრაობის აშენების“ მეთოდი.

დადას არ ეთანხმება ბ. გორდეზიანის, პ. ნოზაძის, ნ. ჩაჩავას მსჯელობანი. მაგ., ს. ჩიქოვანისათვის უმართებულოა ნ. ჩაჩავას დებულება, რომ თითქოს დადა იყოს „ფუტურიზმის სამხედრო ტაქტიკა“. იგი „ H_2SO_4 “ –ის მეტყველების საწყისად ხალხურ ენას მიიჩნევს და ნიმუშად ასახელებს თავის, ნ. ჩაჩავას, ნ. შენგელიას და პ. ნოზაძის ლექსებს. ხალხური მეტყველება იწვევს პრიმიტივის განცდას. პრიმიტივი გვაახლოებს ბავშვის ფსიქიკასთან, ე. ი. დადასთან.

შემდეგ ავტორი გამოჰყოფს ფუტურიზმის ორ პერიოდს. ესენია – მარინეტის მაშინერია და ხლებნიკოვის პრიმიტივიზმი. ნივთი არის საგანი, რომელსაც აქვს მასა, ვრცეულობა, მოხაზულობა, დანიშნულება. ნივთები მოძრაობენ და ერთმანეთს უკავშირდებიან, რაც ქმნის რიტმსა და რეალობის დეკორაციას. ნივთი „უტილიტარული რაობაა“ და მონაწილეობს წარმოებით პროცესში.

შემდეგ მსჯელობა შეეხება ნივთის ორიენტაციას და მასთან მიმართებით კრიტიკულად იხსენიებიან ტროცკი, ერენბურგი, ჩუჟაკი, ლეფი. აქვე იგი მსჯელობს „ H_2SO_4 “ –ის ნევრების ლაბორატორიულ აღმოჩენებზე, ახალ სიტყვებსა და სისტემაზე, რათა შეიცვალოს ქართული ლექსის სტრუქტურა და აკუსტიკა, როგორც უცხოურიდან გადმოღებული, ვინაიდან სიმბოლისტების მეთოდი ეპოქის რიტმმა მოსპო.

ლექსის დეკადანსის დასაძლევად ს. ჩიქოვანი მოუხმობს ხალხურ

პოეზიას, როგორც მეტყველების ძირსა და სათავეს. ამის შედეგად შეთხზულა ნ. ჩაჩავას „მზე მახეული – გზა ნაკუდარი“, რომელზეც „ქართული შეიძლება არაფერი არ დაწერილა“(!), აღნიშნავს პოეტი. ასევე სანიმუშოდ მიაჩნია მას ნ. ჩაჩავას „სანტიმენტალური შელოცვა“ – ბგერათა ფსიქოლოგიის „მონუმენტი“.

განხილულია ყ. ლოლობერიძის ლექსები, რომლებშიც პოეტი ხედავს ნივთების დინამიკას და აკრობატიკას. ნივთის მოძრაობა აღმოაჩენს სივრცეს – „ცხენის სირბილიდან ქუჩა დაიბადა“. ამას მოსდევს ბუნდოვანი მსჯელობა რიტმის ცენტრსა და მოქმედება-მოძრაობის კანონებზე, სხეულების აკრობატიკასა და ფსიქიკის კინემატოგრაფიაზე.

ნ. ჩაჩავას წერილი „ბგერითი ორიენტაციის საკითხი“ დაწერილია ლოზუნგების ენით, ნაირგვარი გრაფიკით. ძველ პოეზიას, ავტორის აზრით, ქმნიდა სქესობრიობა და ცრემლები. შემდეგ პოეტი სონეტებით და ტრიოლეტებით ფილოსოფოსობდა, ეძებდა ღმერთს, მის როლსა და ადგილს. რომანტიკამ არ იცის ნივთი, ორგანიზაცია, ნორმა, ეკონომია. ამიტომ გაჩნდა მანიფესტი ველურობისაკენ. აქედანვე იშვა ახალი რომანტიზმის მოთხოვნა, რაც „მანქანებისაგან შეშინებულ ნევრასტენიკების“ მოგონილია, რადგან ისინი ეძებენ ესთეტიკურ ალკოჰოლს, ეძებენ ირეალურ სიტყვას. მისი უტილიტარობა კი ყველას მიავიწყდა.

ამან წარმოშვა უსასრულო დრო-სივრცე და მიღმური რეალობა. საჭირო იყო ქალაქი, მისი ორგანიზაცია, სივრცე-დროის ეკონომია, რათა ყველაფერი თავის ადგილას დალაგებულიყო. ქალაქის სპეციფიკაა ნივთი და უტილიტარობა, მოძრაობა. მოძრაობა დევნის მისტიციზმს. ამის შემდეგ მ. ჩაჩავა ბევრსა და ბუნდოვნად მსჯელობს „ნივთების აგებასა“ და „მატერიალის გადახალისებაზე“, რაც არსებითად არის ცნებათა საღებო-მორტალე, ტერმინების სიუხვით სიღრმის აღმოჩენის ილუზია.

ავტორისათვის პოეზია არის „უტილიტარული საქმიანობა“ და არა ზემოთაგონების ნაყოფი. ბგერა ცხადდება პოეზიის მასალად, რაც ერთის მხრივ თუ ლირიზმს აღვივებს, მეორეს მხრივ – კრიპტოგრაფიამდე მიდის („41“). ბგერის ორგანიზების ნიმუშად დასახელებულია ვ. ხლუბნიკოვი, რომელიც ეძებს სიტყვის ძირს, ემყარება ხალხურ მეტყველებას (პრიმიტივის). ნ. ჩაჩავა მოითხოვს შელოცვების, გამოცანების, ხალხური ლექსის ბგერათა კონსტრუქციის ათვისებას, სადაც

ბგერას მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე განმარტებას, შინაარსს. პრიმიტივის ათვისების მაგალითად ასახელებს თავის რამდენიმე ლექსს, ს. ჩიქოვანის „ხაბოსა“ და „მეკამერების ურმულს“.

დემნა შენგელაიამაც შეუტია ლირიკას („Comentaria de bello Galico“), ოღონდ პროზის პოზიციიდან. მისი აზრით, ლირიკის სეზონი გათავდა. დადგა მანქანებისა და ეპოსის დრო. ლექსის კომმარი დიდხანს აწვა საქართველოს, მაგრამ იგი „გადატყდა ხერხემალში“. ლექსი გამოთავყვანდა სონეტებში, პროზა – მინიატურებში (აქ ავტორი აღიარებს თავის ცოდვასაც). ამ მხრივ ტრაგიკული ფიგურაა ს. ცირეკიძე, რომელმაც პროზა მინიატურამდე დაიყვანა, მინიატურა – სათაურამდე. პროზას სჭირდება ბასრი თვალი, ერუდიცია, ინტელექტი, რაც პოეტებს არ გააჩნიათ. იგი მოუწოდებს თანამოკალმეთ, რომ მიუბრუნდნენ ხალხურ მასალას (როგორც ს. ჩიქოვანი და ნ. ჩაჩავა), დიალექტიზმებსა და პროვინციალიზმებს, რადგან მოისპო პოეტთა არისტოკრატიული კასტა.

ხელოვნება უნდა დაუახლოვდეს ფიზიოლოგიას და სტიქიას. ამის რეალიზაციად მიიჩნევს იგი თავის „სანავარდოსა“ და პ. ნოზაძის რომანს „დღე და ღამე რევოლუციის“.

ჟურნალის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებშიც, რომლებიც ეძღვნება „ხელოვნების დროშასა“ და „მნათობის“ 1924 წლის ნომრებს, ისევე გრძელდება „ცისფერყანწელთა“ კრიტიკა (გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. ნადირაძე, ვ. გაფრინდაშვილი), რომელთა საპირისპიროდ დასახელებული არიან ნ. ჩაჩავა და პ. ნოზაძე.

„მნათობის“ ღირებულების განმსაზღვრელი ყოფილა მის ფურცლებზე დაბეჭდილი „ H_2SO_4 “-ის საბჭოს წევრები (პროზა – დ. შენგელია, პ. ნოზაძე, ა. ბელიაშვილი). განხილულია „სანავარდოს“ მიმართება ანდრეი ბელის პროზასთან. აღნიშნულია, რომ ამ რომანის საწყისია პრიმიტივი, ხოლო პრობლემა – დეგენერაცია. „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მიჩნეულია „საბულვარო სენსაციად“, „ჯონ რიდი“ – გალექსილ ბიოგრაფიად. კრიტიკულად მოიხსენიება ს. ჩიქოვანის წერილი „სასწრაფო განმარტება ჟურნალ „ H_2SO_4 “ გამოსვლას“¹². მაგრამ იქვე არაერთი ეპითეტია დახარჯული მისი ლექსებისა და აზროვნების შესამკობად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორ მიმოხილვაში დასახელებულია პოზიტიური მაგალითებიც (გრ. რობაქიძის ესეე „ანატოლ ფრანსი“, კ. ჭიჭინაძის თარგმანები).

როგორც ვიცით, სხვა დროს „ H_2SO_4 “-ის წევრები გუნდრუკს უკ-

მევდნენ მხოლოდ თანაგუნდელებს. დითირამბები არც ამ წერილშია აღვლენილი, მაგრამ ზომიერებისადმი მიდრეკილება შეინიშნება.

3. გაზეთი „დროული“

„დროულის“ პირველ ნომერს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია, მეორესა და მესამეს – ჟანგო ლოლობერიძე. მაგრამ მეორე ნომერში მითითებულია, რომ „დროული“ გამოვიდა ნ. ჩაჩავას „ხელმძღვანელობით“.

როგორც ითქვა, მეორე ნომრიდან „დროული“ არის არა „ H_2SO_4 “ – ის, არამედ „მემარცხენე ფრონტის“ ორგანო („ Лев “ – ის ანალოგიით). ჯგუფმა ოფიციალურად შეიცვალა სახელწოდება (თუმცა იგი თავის თავს ყოველთვის „მემარცხენეს“ უწოდებდა). ამ ცვლილებებს არსებითი გარდატეხა არ მოჰყოლია. ეს უფრო სურვილი იყო, სწრაფვის ორიენტირი, რითაც კიდევ უფრო ხაზი გაესვა ჯგუფის იდეოლოგიურ პოზიციას (შდრ. – „გილეა“ და „ლეფი“).

ნ. ჩაჩავა საგანგებოდ განმარტავს, თუ რატომია გაუგებარი ფუტურისტული ლექსი („ლიტერატურული კალიმახიზმი“). ეს პრობლემა, ცხადია, ადრევე წამოიჭრა და მასზე პასუხის გაცემა აუცილებელი იყო. ავტორის აზრით, მკითხველსა და ხელოვანს შორის საჭიროა შუამავალი, კომენტატორი, განმმარტებელი, ამხსნელი, ვინაიდან ხელოვნება წინ უსწრებს დროს, მიუძღვის მასებს. ამდენად მათ შორის ვერ იქნება იგივეობა.

ანალოგიისათვის მოხმობილია მარქსის „კაპიტალი“, რომელსაც ქარხნის მუშა ვერ გაიგებს, მაგრამ მის მსოფლმხედველობას კი გამოხატავს (შედარება ნასესხებია „ლეფისაგან“). დაისვა ლიტერატურის ეროვნულობის პრობლემა, რასაც „ H_2SO_4 “ – ის ზოგიერთი წევრი უარყოფდა.

ნ. ჩაჩავას აზრით, ქართულმა პოეზიამ ეროვნული ხაზი უნდა გამოხატოს. ამიტომ თვლის, რომ „ვაჟა-ფშაველას შემდეგ ქართული პოეზია ასცდა ეროვნულ ნიადაგს და მირაჟებისა და სარკის პოეზიამ... ქართული სიტყვა დეკადანსამდე მიიყვანა“ (იგულისხმება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება).

ბ. გორდეზიანი ესეისტურ ასპექტში განიხილავს „დადას“ („სამი სახაობა“), როგორც „ყველგან და ყველგანგანში გამართლებულს“. „დადას“ იგი უკავშირებს „ზერეალიზმს“ (სიურრეალიზმი) და კიდევ ერ-

თხელ ანგარიშს უსწორებს სიმბოლისტურ სულისკვეთებას. შემდეგ ავითარებს მესიანისტურ თვალსაზრისს (გავიხსენოთ (1922 წლის მანიფესტი), რომ „ხელოვნების ცენტრი“ გაივლის „ H_2SO_4 “-ის „კანიბალ გულში“, რომ თბილისის პირველობას ჯერ საქართველო გაიგებს. აქ ისევ დაისმის წინაპრებისა და ტრადიციების საკითხი, რასაც ესოდენ გულმოდგინედ უარყოფდნენ „ H_2SO_4 “-ის ფურცლებზე.

ავტორის აზრით, „ H_2SO_4 “-ის ძირი ვაჟა-ფშაველა ყოფილა, ხოლო ქართული მწერლობის მაგისტრალი ასეა წარმოდგენილი – რუსთაველი, არჩილი, გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა. აქვე გაკენლილია რუსი ფუტურისტები (ხლებნიკოვი, კრუჩონიხი, ტერენტიევი).

ს. ჩიქოვანი შეეცადა XIX-XX საუკუნის ქართული პოეზიის გააზრებას, რათა ობიექტურად აღედგინა წარსულის სურათი, ეჩვენებინა, ვინ რა გააკეთა („ქართული ლიტერატურის კლასიფიკაციისათვის“). მან სათანადო ყურადღება მიაქცია ალ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, საერთოდ რომანტიკოსებს, ილიას, აკაკისა და ვაჟას, თანამედროვე პოეტებს, განსაკუთრებით – ი. გრიშაშვილს, ს. შანშიაშვილსა და ა. აბაშელს. მაგრამ ისევ უარყო სიმბოლისტები, „*ცის ფერყანწელები*“.

სტატია ვრცელია და ბუნდოვანი, ძნელად აღსაქმელი. ავტორი ეხება პოეტის ვიწრო საკითხებსაც, ქართული სიტყვის განახლების პრობლემას, ცალკეული მგოსნების დამსახურებას. წერილი, წინააღმდეგ ჩანაფიქრისა, ზედმეტად ტენდენციურია და სუბიექტური (მაგ., საერთოდ არ იხსენიება გ. ტაბიძე). საინტერესოა ცალკეული შენიშვნები ზოგიერთი პოეტის წარმომავლობასა და სპეციფიკაზე (მაგ., ალ. აბაშელზე, ი. გრიშაშვილზე), რაც შემდეგში კრიტიკამ მიივიწყა. ს. ჩიქოვანი გამოჰყოფს პოეტების ოთხ ჯგუფს – გრიშაშვილ-შანშიაშვილის თაობას, დემოკრატიულ პოეტებს, სიმბოლისტებსა და ფუტურისტებს, უარყოფს პროლეტარულ პოეზიას, როგორც ლიტერატურულ ფაქტს, რადგან მას არც თემატურად, არც ლექსის თვალსაზრისით საყურადღებო არაფერი მოუტანია (როგორც ითქვა, ასევე ფიქრობდა ბ. ჟღენტი).

განსხვავებით ფუტურისტების სხვა წერილთაგან, ეს არის ცდა წარსულის გამოცდილების გააზრებისა, შემოქმედებითი ათვისებისა და დაძლევისა, ნაცვლად ტოტალური უარყოფისა.

ს. ჩიქოვანი მხატვრობასაც შეეხო („დავით კაკაბაძე თანამედროვე მხატვრობაზე“). იგი თვლის, რომ ევროპული კუბიზმი ბუნებრივად შემოიტანა ჩვენში დ. კაკაბაძემ. ამიტომ მისი მემარცხენეობა გამართ-

ლებულია. მაგრამ იმასაც შენიშნავს, რომ გადაამეტებით ერთგულობს „ფრანგულ ტრადიციას“. პოეტი განიხილავს მხატვრის თეორიულ შეხედულებებს და ფიქრობს, რომ რუსულ ხელოვნებაში არ არსებობს კონსტრუქტიულობა, თუმცა ტერმინი კი გავრცელდა. ს. ჩიქოვანის აზრით, დ. კაკაბაძე ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომელიც გაცილებით ადრე შეიმუშავა მემარცხენე ფრონტმა.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ამ სტატიას აკლია სინათლე, ჭირს აზრის გამოტანა, თუ რას ედავება პოეტი გამოჩენილ მხატვარს, რომლის ტალანტსაც იგი აღიარებს.

ტაქტილიზმის საკითხს სპეციალურად შეეხო დემნა შენგელაია („ტაქტილიზმი“). მაგრამ, მარინეტისაგან განსხვავებით, მასში რეალური განცდები და ნივთები მოიაზრა. ნაწარმოებს, სიტყვას ისევე უნდა ვეხებოდეთ და ვგრძნობდეთ, როგორც სკამს, ლოგინს, კედელს.

ავტორის რწმენით, ტაქტილიზმი, პირველ ყოვლისა – შეხებაა. იგი თვლის, რომ „ H_2SO_4 “ თანამედროვე ლიტერატურის მთლიანი უარყოფაა, შემდეგ უნდა გაჩენილიყო ახალი მეთოდები. ერთ–ერთ ასეთ სიახლედ იგი მიიჩნევს ტაქტილიზმს, რომელიც შეცვლიდა, აგრეთვე, რუსულ „ზაუშს“. ახალი მეთოდით დაწერილად ესახება თავისი რომანი „ტფილისი“ და ს. ჩიქოვანის პოემა „ფიქრები მტკვრის პირას“ (სათაური ეკუთვნის დ. შენგელაიას).

ავტორის მხატვრული თვალსაზრისის გასარკვევად საინტერესოა აღინიშნოს, რომ წერილში იხსენიებიან ფროიდი, ბელი, შკლოვსკი, ფალოსის კულტი, სამეგრელოს წარმართობა...

„ტაქტილიზმიც“ ფ. მარინეტიმ გამოიგონა და იგი „ნაკლებად ადამიანური“ უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა, რომ ვ. ბახტაძემ დ. შენგელაია არ ჩათვალა ფუტურისტად. იგი მიიჩნია სიმბოლისტად – ა. ბელისა და ბ. პილნიაკის ტრადიციების ამთვისებლად, რამაც მემარცხენეთა გულისწყრომა გამოიწვია („სანავარდოს“ გამოქვეყნების შემდეგ „ცისფერყანწლებს“ უნდოდათ იგი თავიანთი ჯგუფის წევრი ყოფილიყო). დაინერა საპასუხო წერილი („პრესის მაგიერ“, „დროული“, №3), რომელშიც ხაზი გაესვა რუს და ქართველ ფუტურისტებთან „სანავარდოსა“ და „ტფილისის“ ავტორის ნათესაობას.

გაზეთი „დროული“ გამოეხმაურა ს. ესენინის დალუპვას. დაიბეჭდა პავლო ნოზაძის ვრცელი სტატია და დიდი რუსი პოეტის პორტრეტი, რომელზეც ირ. გამრეკელს მიუხატავს გაანჩხლებული კატა.

უნდა ითქვას, რომ წერილი დაწერილია დიდი გზნებით, სიყვარულით, ცოდნით. ეს თითქოს მოულოდნელიც იყო, რადგან ესენინს ავტორი მიიჩნევს რომანტიკოსად, იმაჟინისტად, რუსული და ევროპული კულტურის ღირსეულ მემკვიდრედ, ე. ი. აქვს ყველა ის ნიშან-თვისება, რომელთაც ასე სასტიკად უსწორდებოდა „ H_2SO_4 “. ეტყობა, თავად პოეტის ბიოგრაფია, ტრაგიკული დასასრული („განყვეტილი კისერი“) აღმოჩნდა შემარყვეველი.

პ. ნოზაძე უხვად იშველიებს ბიოგრაფიულ დეტალებს, ლიტერატურულ პარალელებს, წერს ხატოვნად, მეტაფორული ენით. თვით ეს სტატია არის ნიმუში რომანტიკული აღტკინებისა. იგი მოგვაგონებს ტ. ტაბიძის ანთებულ ესსეებს:

„თითქოს ის ყოფილიყო ბიბლიური პოხილი ძე იაკობისა, რომელმაც გადასერა მთელი ეგვიპტე „კბენითა ცხენის ტერფისა“. ეს გახლენილი ღმერთი მოედო რუსეთს ტოლსტოის ჯაჭვჩამოკიდებულ გლეხივით, როგორც ეპილეპსია ხლებნიკოვის სიცილის, როგორც ბლოკის მონგოლის ამონვდილი ხმალი, როგორც ვიარქესლავ ივანოვის მზე და ბრიუსოვის ის დემონი, რომელიც მუდამ ჩვენთან რჩება და ტოპოგრაფიულ კომისიას კიდევ ბევრი შრომა დასჭირდება, რომ აღმოაჩინონ ის შეშლილი ველი, სადაც ესენინმა, როგორც პოეზიის ციკლონმა გადაიარა“.

გავიდა დრო და „ H_2SO_4 “–მა, აღიარა ქართული თეატრის არსებობა. ნ. ჩაჩავას აზრით, „დურუჯმა“ შექმნა ახალი ეპოქა ქართული თეატრის ისტორიაში“ („დურუჯი“, №3); ბ. ჟღენტმა სპექტაკლი „ჰამლეტი“ მიიჩნია „ქართული დრამის უეტყველ გამარჯვებად“ („ჰამლეტი ქართულ სცენაზე“, იქვე) და უარყო დებულება, თითქოს „კინო კლავდეს თეატრს“;

ისიც უარყო, თითქოს „ H_2SO_4 “–ს გაეფეტიშებინოს კინემატოგრაფი და მანქანა. მისი აზრით, ხელოვნება, უბრალოდ, უნდა ყოფილიყო ინდუსტრიული ყოფის, „მატერიალური მშენებლობის“ ამსახველი. იმასაც შენიშნავს, რომ წაიშალა ზღვარი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის. რადგან მოხდა რევოლუცია რეალობაში, ის უნდა გადმოვიდეს კულტურაშიც. ამიტომ აყენებს თეზისს – „მთავარია მოახდინოთ რევოლუცია და არა ილაპარაკოთ ან სწეროთ მასზე“. იგი მსჯელობს ლიტერატურის ინტერნაციონალიზმზე, მაგრამ აღნიშნავს, რომ „ H_2SO_4 “–მა დაუბრუნა ქართული შემოქმედება „ეროვნულ ნიადაგს“(!).

ამის მაგალითად ბ. ჟღენტს მიაჩნია ს. ჩიქოვანის პოემა „ფიქრები

მტკვრის პირას“ – პოლემიკა კლასიკასთან („თეორიები და ფაქტები“, №2).

კრიტიკოსი მსჯელობს თანამედროვე პოემასა და რომანზე და მათ უქონლობას ხსნის მწერლების პოტენციით. ორივე ფორმის რესტავრაციას უკავშირებს „ H_2SO_4 “-ის ჯგუფს (რომანი – დ. შენგელაია, პ. ნოზაძე, ა. ბელიაშვილი, პოემა – ს. ჩიქოვანი). შემდეგ უფრო კონკრეტულად ეხება პოემას, აღნიშნავს მის ლირიკულობას, ინტონაციურ თავისებურებას, მუსიკალობას და, აგრეთვე – ტაქტილობას, რაც გულისხმობს „შეხებით შეგრძნებას“.

ამ პოემას დაუკავშირდა ს. ჩიქოვანის ერთ–ერთი ბოლო თხზულებაც – „განჯის დღიური“. შეიმჩნევა ცალკეული სტრიქონების განმეორებაც (მაგ., „თქვენს სავარძლებზე ზის პოეზია, თქვენს სავარძლებზე ზის გაზაფხული“).

4. ჟურნალი „მემარცხენობა“

„ H_2SO_4 “ არ ყოფილა მხოლოდ ლიტერატურული გაერთიანება. იგი მთლიანი ხელოვნების განახლების პაროლით გამოდიოდა. ამიტომ იყვნენ მისი წევრები პოეტები, პროზაიკოსები, მხატვრები, კინორეჟისორები, კრიტიკოსები. ეს ხაზი გააგრძელა „მემარცხენობამაც“, რომელიც თავისი არსით ისევ ავანგარდისტული იყო, მაგრამ ცდილობდა რეალიზმთან შეგუებას, ძველი იდეებისაგან განთავისუფლებას ტრანსფორმაციის გზით და არა უეცარი უარყოფით.

პირველი ნომრის მეთაურ ნერილში აღნიშნულია, რომ ერთიანდება მემარცხენე ფრონტი. მასში შედიან ფუტურისტები კონსტრუქტივისტები, მემარცხენე პოეტები, ბელეტრისტები, მხატვრები, კინორეჟისორები, რომლებიც იბრძვიან აღმშენებლობითი პრინციპების დასამკვიდრებლად, თანამედროვე ადამიანის გაგების ჩამოყალიბებისათვის.

სინანულითაა აღნიშნული, რომ, მიუხედავად სიმბოლისტებისადმი გამოცხადებული ტერორისა, ისინი მაინც ახდენენ ზეგავლენას პროცესზე. მათ ისევ ამოისუნთქეს და პროლეტარული პოეტებიც კი დაიმორჩილეს. „გამოცოცხლდა ტაბიძეების დეგენერატული ისტერიკა და იაშვილის ბოშური სიმღერები“ (რუსული ფუტურიზმიც ანალოგიურად იყო განწყობილი სიმბოლისტებისადმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაიაკოვსკიმ აღ. ბლოკს რუსულ პოეზიაში „მთელი ეპოქის

შემქმნელი“ უწოდა). ისიცაა ნათქვამი, რომ მემარცხენე ფრონტი ამ სამი წლის მანძილზე შესამჩნევად განმტკიცდა და გაძლიერდა, ხოლო პრინციპები ფართოდ გავრცელდა.

მეორე ნომრის წინასიტყვაობაში, რომელიც ალბათ ეკუთვნის რედაქტორს – სიმონ ჩიქოვანს, ხაზგასმულია, რომ მემარცხენეობა უარყოფს ხელოვნების შინაგან კლასიფიკაციას (პოეზია, პროზა, დრამა), ცდილობს ემოციური ზემოქმედება შეცვალოს გონებრივი ზეგავლენით, გაარკვიოს თანამედროვე ცხოვრების საჭიროებანი და ტენდენციები, გამოკვეთოს კომუნისტური კულტურისადმი საზოგადოების მიმართება. ამით იგი უპირისპირდება მემარჯვენე მწერლებს, რომელთა ძალას, სხვათა შორის, მიუხედავად ამდენი ბრძოლისა და კრიტიკისა, მემარცხენეები მაინც აღიარებენ (ტერმინები „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“, ცხადია, პოლიტიკიდანაა ნასესხები და არაფერი აქვს საერთო ლიტერატურის სპეციფიკასთან).

ბესარიონ ჟღენტი მსჯელობს მემარცხენე მწერლების პრობლემატიკაზე („მემარცხენეობის საზღვრები“). აღარ იხსენიებიან ავანგარდიზმის ლიდერები. მისი აზრით, თანამედროვე რევოლუციური ხელოვნება ვერ შეითვისებს წარსულის ესთეტიკურ ტრადიციებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს უარყოფას. ბ. ჟღენტი ცდილობს მოარიგოს განვითარების დიალექტიკა ავანგარდისტულ თვალსაზრისთან. აღიარებს წარსულის ხელოვნების მნიშვნელობასა და ღირებულებას, მაგრამ რადგან მუდმივად იცვლება მხატვრული აზროვნება, თანამედროვე პრინციპულად ახალი უნდა იყოს. ამიტომ მიუღებელია რესტავრაცია, დაბრუნება პრიმიტივისაკენ (ამ პუნქტში იგი უპირისპირდება თანამოკალმეთ).

კრიტიკოსის აზრით, რევოლუციაზე წერა სრულიადაც არ ნიშნავს რევოლუციას ხელოვნებაში (ვლ. მაიაკოვსკის ასოციაცია – „*Можно не писать о войне, но надо писать войною*“¹⁴). იგი მოითხოვს სოციალური ფუნქციის გაძლიერებას, რითაც ხელოვნება გახდება ცხოვრების მშენებელი და ორგანიზატორი. ბ. ჟღენტი აღიარებს, რომ მემარცხენეობის თეორიული სისტემა წარმოშობით არაქართულია, მაგრამ მთავარია პრაქტიკა. პრაქტიკულად კი მემარცხენე მწერლები, დეკადენტებისაგან განსხვავებით, ავლენენ სპეციფიკურ ქართულ ბუნებას. ალბათ ამითაც აიხსნება მიბრუნება ხალხური შემოქმედებისაკენ.

კრიტიკოსის დასკვნით, „მემარცხენეობა ახალი კულტურის ფუძეა“.

ბ. ჟღენტი თვლის, რომ მემარცხენეობამ გადალახა ლიტერატურ-

რის საზღვრები და კულტურულ-საზოგადოებრივ მოძრაობად იქცა („*დღევანდელი დირექტივები*“). იგი ისევე აგრძელებს ბრძოლას „აკადემიური მწერლობის“, „ცისფერი ყანების“, „არიფიონის“, პროლეტარული მწერლობის წინააღმდეგ. აქვე შემოდის ახალი შტრიხი – კრიტიკოსი არ უარყოფს ცალკეული მწერლების დამსახურებას, „ისტორიულ ღირებულებას“. მაგრამ მათ სწორედ ისტორიის კუთვნილებად თვლის, რომლებიც უკან ეზიდებიან დღევანდელიობას.

ერთი სიტყვით, მათ გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ახლა ასპარეზი უნდა დაუთმონ ახალ ძალას.

ავტორის აზრით, კლასიკოსებისაგან უნდა ვისწავლოთ ერთი რამ: ისევე ბუნებრივად ავსახოთ ჩვენი დრო და ამოცანები, როგორც ეს მათ შეძლეს. კრიტიკოსს ზედმეტად მიაჩნია „ახალი ადამიანის“ ძიება, რადგან ჯერ უნდა მომზადდეს პირობები მის წარმოსაშობად. შემდეგ ხაზს უსვამს ხელოვნების უტილიტარულ, გამოყენებით ფუნქციას. გაკრიტიკებულია ქართული თეატრი, ხოლო კინო მიჩნეულია ყველაზე თანამედროვე ხელოვნებად, რომელიც არაა დატვირთული წარსული ტრადიციებით.

ს. ჩიქოვანი თანდათან სცილდება „ნივთების“ თეორიას (რაც H_2SO_4 – ელემბა კუბოფუტურისტებისაგან შეითვისეს), უფრო ზუსტად – მას ურთავს ფსიქიკის სტრუქტურას, აყენებს ადამიანის, პიროვნების პრობლემას. ეს უკვე განსხვავებული ხედვა იყო, რადგან არა მხოლოდ ნივთებს, სამყაროს, სოციალურ ატმოსფეროს ეცვალა ფერი, არამედ გაჩნდა ახალი ადამიანიც და საერთოდ – ყველაფერი ფასსა და ღირებულებას იძენს ადამიანის ცნებასთან მიმართებით. ს. ჩიქოვანმა არაერთ წერილში აღნიშნა ამისი აუცილებლობა, როგორც აღმშენებლობითი პროცესის წამყვანი ფიგურისა.

ახალი ფსიქიკის კონსტრუირება – აი პოეტის მიზანი („*ახალი ყოფა და ახალი პოეზია*“). ს. ჩიქოვანი იხსენებს „*მერანს*“, „*ბედი ქართლისას*“, „*აჩრდილს*“, ე. ი. უკვე აღიარებს წინაპართა შემოქმედებას. მიიჩნევს, რომ როგორც XIX საუკუნემ შექმნა ადამიანის ხატი, ასევე უნდა მოიქცეს დღევანდელიობაც (ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო დაკვირვება: „*ილიას მყინვარი არ უყვარდა, მაგრამ მის პოეზიას მყინვარი არ შორდება*“).

პოეტი თვლის, რომ პროპაგანდის, ნივთების სამყაროს, წარმოებითი ხელოვნების ცენტრში უნდა დადგეს თანამედროვე ფსიქიკის ადამიანი.

შალვა ალხაზიშვილი მხატვრობის პრობლემას უბრუნდება („მემარცხენე მხატვრობის პერსპექტივები“), რომლის ცენტრად ოდესღაც პარიზი მიაჩნდათ. დღეს მას დაემატა ბერლინი და მოსკოვი. უარყოფილია კლასიციზმის, კუბიზმის ღირსება და სიცოცხლისუნარიანობა. ავტორის აზრით, პიკასოს სკოლა არ შეუქმნია. იგი ლაბორატორიული სტილის მხატვარია, ცივი, მშრალი, გონებისმიერი, გრძნობასა და აღმაფრენას მოკლებული. კუბიზმისაგან გადარჩა ანალიტიკური მეთოდი. ასევე დაძლეულია ექსპრესიონიზმი – ომებისა და რევოლუციის ავადმყოფობის შედეგი გერმანიაში. ფრანგ მხატვართაგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია ფერნან ლეჟე. იგი გვიჩვენებს, რომ „თანამედროვე მხატვრობის გზა არის კონსტრუქციული კინემატიზმის გზა“. აქ, როგორც ვხედავთ, ისევ თავს იჩენს ხელოვნების კინემატოგრაფიზების პრინციპი.

ინჟინერია, ტექნიკა, ინდუსტრია მიჩნეულია კონსტრუქციულ მოვლენებად, რომელთაც ყველაზე სრულად ასახავს დემოკრატიული, მასისათვის მისაწვდომი, უნივერსალური კინოხელოვნება. შემდეგ მოტანილია გროსის დევიზი: „ჩაპლინი ამარცხებს რემბრანდტს“, ე. ი. კინომ დაძლია მხატვრობა, როგორც თავის დროზე – ძველი მხატვრობა ფოტოგრაფიამ. ამიტომ, ავტორის აზრით, დღევანდელი მხატვრობა უნდა „გაითქვიფოს ინდუსტრიაში“ ან გახდეს წარმოებითი“ (შდრ. – ნ. ჩუჟაკის შეხედულებები, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედეს „ლეფზე“¹⁵), ე. ი., იგივე, რასაც დღეს დიზაინი ეწოდება. წარმოებითი, მემარცხენე მხატვრობის ცენტრია მოსკოვი, საქართველოში კი მსგავსი მოვლენა არ არსებობს. უარყოფილია გუდიაშვილი და ფიროსმანი (თუმცა ფიროსმანი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკუმადაა მიჩნეული). დადებითად ხასიათდებიან მიხეილ გოცირიძე და ირაკლი გამრეკელი.

შ. ალხაზიშვილის აზრით, ნივთი და მხატვრული ნივთი სხვადასხვა ცნებებია. ამიტომ ხელოვნება არ არის „ანარეკლი“ ან „სარკე“ („ახალი ხელოვნების კვალიფიკაცია“). ის არც ცხოვრების შემეცნებაა, როგორც თვლიდა ვორონსკი, არამედ – „მხატვრული აღმშენებლობა“, მუდმივ კონტაქტში მყოფი სოციალისტურ სინამდვილესთან. ტექნიკა ისევე ინტერნაციონალურია, როგორც კომინტერნი. თანამედროვე ყოფის საფუძველია ტექნიკა, ე. ი. ხელოვნებაც ინტერნაციონალური უნდა იყოს, უნდა დატოვოს ნაციონალური ფარგლები. შემდეგ მოცემულია რეცეპტი, რომ ხელოვნება უნდა შეუერთდეს წარმოებას,

გახდეს უტილიტარული, რითაც იგი მოახდენს თვითლიკვიდაციას. შეიძლება დარჩეს კინო, მუსიკა და არქიტექტურა. მასალა ებრძვის მასალას, ფორმა – ფორმას, ნივთი იცვლება, მოძრაობს, რასაც მიყვაროთ ხელოვნების კრიზისამდე.

განსაკუთრებით საგულისხმოა დავით კაკაბაძის სტატია „*დღევანდელი ჩვენი არქიტექტურა*“, როგორც დიდი მხატვრის თეორიული აზროვნების ნიმუში. მართალია, იგი ერთობ მცირე მოცულობისაა, მაგრამ არაერთ საინტერესო დაკვირვებას შეიცავს. იმჟამად დ. კაკაბაძე კუბისტი იყო (ორი სურათი იქვეა დაბეჭდილი), მაგრამ აღიარებდა, რომ ხელოვნება სინამდვილიდან უნდა აღმოცენდეს. ჩანს, მას ეს „*აღმოცენების*“ პროცესი, აღქმა, გააზრება ესმოდა განსხვავებულად. ამავე დროს, მხატვარი მოითხოვს აქტუალობას, ფორმისა და შინაარსის შესაბამისობას. შემდეგ მსჯელობს არქიტექტურაზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს პრაქტიკულ მოთხოვნას, მაგრამ ესთეტიკურ რიც იყოს. ამ მხრივ იგი მიუღებლად მიიჩნევს თანამედროვე ქართულ არქიტექტურას, რომელმაც, ვითომდა ნაციონალიზმის დაცვის მოტივით, გადმოიტანა „*საეკლესიო კედლების გარეგნული ორნამენტაცია, კამაროები, ვიწრო ფანჯრები და სვეტები*“, ე. ი. ძველის მექანიკური აღდგენა გაასალა ეროვნულ მოვლენად. იგი აღიარებს, რომ ასეთი ხელოვნება კარგი იყო თავისი დროისათვის. ფორმა ყოველთვის დაკავშირებულია „*ამშენებლობის აზრთან*“.

ამდენად – თანამედროვე არქიტექტურა უნდა იყოს არა ორნამენტული, არამედ – კონსტრუქციული, რომლის ფორმა გამომდინარეობს დანიშნულებიდან, მასალიდან და შეეფარდება ბუნებრივ პირობებს.

დრომ დაადასტურა დ. კაკაბაძის თვალსაზრისი.

დავით კაკაბაძე ჯერ კიდევ 1919 წელს აკრიტიკებდა „ფუტურისტ“ პაბლო პიკასოს¹⁶, აუცილებლად მიაჩნდა „*რომანტიული მეთოდის*“ შეცვლა „*კლასიკური მეთოდით*“. მართალია, დიდ ინტერესს იჩენდა ძველი მხატვრობისა, რენესანსისა და პრიმიტივისადმი, მაგრამ მის სურათებში უფრო ჩანს გეომეტრიული ფიგურები, მათემატიკური ჰარმონია, ვიდრე რეალურ საგანთა ფერადების წესრიგი. დ. კაკაბაძე იყო პირველი ქართველი ავანგარდისტი ხელოვანი, რომელიც წინ უსწრებს „*H₂SO₄*“-ს, რაც მთავარია, არა მხოლოდ თეორიული სტატიებით, არამედ – ბრწყინვალე შემოქმედებითი პრაქტიკით.

დ. კაკაბაძე თანამშრომლობდა „*H₂SO₄*“-ელთა პრესაში, თუმცა მათი ჯგუფის წევრი არ ყოფილა. ჩანს, საჭიროდ ცნეს ავტორიტეტის

მოშველიება, თანაც ისეთისა, რომელმაც მათზე გაცილებით ადრე და უკეთ გამოავლინა ახალი ხელოვნების არსი.

„ H_2SO_4 “-ის ჟურნალების ფურცლებზე დაიბეჭდა დ. კაკაბაძის, ირ. გამრეკელის, ბ. გორდეზიანისა და მ. გოცირიძის კუბისტურ-აბსტრაქციონისტული ნახატების შავ-თეთრი რეპროდუქციები, მ. კალატოზიშვილისა და ნ. ლოლობერიძის, ნ. შენგელაიას, ლ. ესაკიას, ს. დოლიძის კინოფილმების კადრთა ფოტოსურათები, როგორც რეკლამა, რათა მემარცხენე ფრონტის ავანგარდიზმი არ დარჩენილიყო მხოლოდ ლიტერატურულ მოვლენად.

„დავით კაკაბაძის მხატვრობა“ – ასე ჰქვია შალვა აღმაშენებლის ერთ წერილს, რომელშიც მას „პოსტ-კუბისტურ მოვლენას“ უწოდებს; ხაზგასმულია სტილური სიახლოვე პაბლო პიკასოსთან.

ოციან წლებში, მას შემდეგ, რაც „სანავარდო“ დაიბეჭდა, ერთბაშად გახმაურდა დ. შენგელაიას სახელი. „სანავარდო“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ წიგნში პირველად დაისვა პრობლემები, რომლებიც სხვადასხვაგვარად გაიშალა ოციანი წლების ქართულ პროზაში. მართალია, „სანავარდო“ მოდური გავლენების კვალსაც საკმაოდ ატარებს, მაგრამ დანერვილია უაღრესად მძაფრი სტილით, ჩინებულადაა სტილიზებული ქართული გარემო და ასევე კარგად არის დამორჩილებული ენის ფენომენი. ეს რომანი სინთეზია ქართული ტრადიციებისა და რუსული მოდერნისა, მაგრამ ფრიად ორიგინალური, უჩვეულოდ პოეტური, ამავე დროს – ეპიკური, რომელშიც ხატვა აზროვნების საშუალებაა. ამიტომაც უძღვნა დ. შენგელაიას საგანგებო ესსე სრულიად ახალგაზრდა აკაკი განერელიამ (მაშინ იგი 18 წლისა იყო).

ა. განერელია „ H_2SO_4 “-ის გამარჯვებად მიიჩნევს დ. შენგელაიას, პ. ნოზაძის, ა. ბელიაშვილის პროზას. იგი უარყოფს ბრალდებას, რომ თითქოს „სანავარდოს“ ავტორი სიმბოლისტი ან ნატურალისტი იყოს. მისი აზრით, სიმბოლისტური აბსტრაქციისაკენ არ მიდის დ. შენგელაიას გზა, რომელსაც იგი დოსტოევსკისთან უფრო აახლოებს, ვიდრე ანდრეი ბელისთან ან ბორის პილნიაკთან. მაგრამ ა. განერელია არ გამორიცხავს მწერლის ნათესაობას ზოგიერთ ექსპრესიონისტთან.

ერთ გარემოებას უნდა გავსვას ხაზი: მართალია, დ. შენგელაია იყო „ H_2SO_4 “-ის წევრი, მაგრამ მის ნაწერებში არაფერია ფუტურისტული ან კონსტრუქტივისტული, მითუმეტეს – დადაისტური. ამას გრძნობენ თანამოსაგრენი. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ დ. შენგელაიას

პრაქტიკა „მისაღება“ „ H_2SO_4 “ –ისათვის, რომ იგი ამ ფრონტის „გამ-
მაგრებელია“. ამასვე წერს ა. განერელია, რომელსაც დ. შენგელაია,
როგორც „ტფილისის“ ავტორი, „დიდ პროზაიკად“ მიაჩნია. კარგადაა
შენიშნული ქართული პროზის რამდენიმე ხაზი – წმინდა რეალისტურ-
რი (მ. ჯავახიშვილი), მისტიკურ–ექსპრესიონისტული (კ. გამსახურ-
დია), სიმბოლისტურ–მეტაფიზიკური (გრ. რობაქიძე) და ტაქტილური
(დ. შენგელაია).

აკაკი განერელიას ადრევე აღეძრა ინტერესი პოეტიკისადმი. ამი-
სი დასტურია სტატია „ახალი ლექსალობის შესახებ“. იგი თეორიული
ხასიათისაა, მაგრამ კონკრეტულ მასალასაც უხვად შეიცავს. ავტო-
რი იზიარებს მწერლობის ერთი ნაწილის ნიჰილისტურ შეხედულებას,
რომ ლირიკა მოკვდა, რაც გამოიწვია ურბანიზაციის შემოტევამ. იგი
აღიარებს, რომ ლირიკის ფორმა ქართულ პოეზიაში სიმბოლიზმით
დასრულდა. გამოყოფილია გრ. რობაქიძე, როგორც ელიპსიური კონ-
სტრუქციის დამკანონებელი. ვ. გაფრინდაშვილის უკიდურესი პერსო-
ნალიზმი მიჩნეულია ფორმის კონტრრევოლუციად.

აკ. განერელია უარყოფს ლირიზმს, რაც რომანტიზმის კუთვნი-
ლებად მიაჩნდათ და არა ლექსს (გავიხსენოთ ს. ჩიქოვანი – „ქუსლი
დავადგი სიყვარულის ხატს, კლასიკურ გმირებს, ეპიურ ტილოს, მე
თვით დავახრჩობ ბუღბუღიანის ნაჭლექებ ხმას“), რომლის ორ სა-
ხეს იგი კიდევაც გამოჰყოფს – თხრობითსა და აღწერითს, ეძებს რო-
გორც მათ წინაპრებს, ისე მიმდევრებს ქართულ და რუსულ არეალ-
ში, მიმართავს ექსკურსს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში.
განსაკუთრებით ვრცლად ახასიათებს სიმონ ჩიქოვანს, რომელმაც
ავტორის აზრით, პათეტიკა ახალი კონსტრუქციით გაშალა, გაარღ-
ვია ლექსის თვითმიზნური ესთეტიკა, დაუახლოვდა სასაუბრო მეტყ-
ველებას.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ „ოპოიაზი“, რომელიც თავიდან-
ვე ფუტურიზმთან იყო დაკავშირებული. რუსი ფორმალისტები (ვ.
შკლოვსკი, ლ. იაკუბინსკი, ბ. ეიხენბაუმი, ი. ტინიანოვი, რ. იაკობსო-
ნი, ბ. ვინოკური, ვ. ჟირმუნსკი, ბ. ტომაშევესკი...) უარყოფდნენ განწ-
ყობილებებსა და შთაბეჭდილებებზე დამყარებულ იმპრესიონისტულ
და სიმბოლისტურ კრიტიკას, ესწრაფოდნენ ლიტერატურის შინაგანი
არსის ამოცნობას, სწავლობდნენ მხატვრული აზროვნების, ჟანრე-
ბის, სიუჟეტის სტრუქტურას, მაგრამ განსაკუთრებით აინტერესებ-
დათ სალექსო ენის პრობლემა. ისინი ისევე იყვნენ ავანგარდისტები

ლიტერატურის მეცნიერებაში, როგორც ვთქვათ, ვ. ხლებნიკოვი, ვლ. მაიაკოვსკი ან ბ. პასტერნაკი – მხატვრულ აზროვნებაში.

რუსული ფორმალიზმის იდეები რომან იაკობსონმა ევროპასა და ამერიკაში გადაიტანა, აქცია ისინი თანამედროვე სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ სანყისად.

ზაუმი, ბნელი, გაუგებარი მეტყველება ჭარბ ადგილს იჭერს „ H_2SO_4 “ –ის პრაქტიკაში. ბუნებრივია ამ ფაქტს სჭირდებოდა საგანებო ახსნა და აი, ლევან ასათიანი, რომელმაც „*ცის ფერი ყანწებიდან*“ „*მემარცხენე ფრონტისაკენ*“ გადაინაცვლა, გვთავაზობს თეორიულ გამართლებას („*პოეზია და ზაუმი*“). იგი თვლის, რომ „ზაუმი“ არის ყოველგვარი მნიშვნელობისაგან დაცლილი სიტყვა, ცარიელი ბგერები, იგივე, რაც სულხან-საბას „*ლიტონი*“. იგი მიჩნეულია წმინდა რუსული ფუტურიზმის გამოვლინებად.

ავტორი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ 1913 წელს „*ფუტურისტული სიტყვის იეზუიტმა*“ ალექსეი კრუჩიონიხმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ამტკიცებდა, რომ საჭიროა პოეტს საერთო ენასთან ერთად ჰქონდეს ინდივიდუალური ენა, მარად ნორჩი და ცვალებადი სამყაროს შესატყვისი კონკრეტული არსისაგან დაცლილი¹⁷.

ა. კრუჩიონიხისა და ვ. ხლებნიკოვის პოეზია იყო მორიგი სკანდალი, რომელთა მიერ შემოღებული ბგერა-თქმების ექო გადმოსწვდა საქართველოს. ბუნებრივია, ლ. ასათიანი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ზაუმს ქართულ სამყაროშიც აქვს საწყისი¹⁸. იგი არკვევს ბგერის, სიტყვის ჟღერადობის მნიშვნელობას, რადგან, ვ. შკლოვსკის აზრით, ლექსის ამოთქმას წინ უსწრებს მუსიკა, ბგერითი ლაქები, რაც არის ზაუმი.

სტატიაში მოტანილია არაერთი ბუნდოვანი, გაუგებარი სიტყვის მაგალითი (ჰამსუნი, გორკი, გონჩაროვი, ი. ჭავჭავაძე, გ. ტაბიძე). მაგრამ საგანგებო ყურადღება ექცევა ხალხურ პოეზიას, გამოცანებსა და შელოცვებს, რომლებშიც არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი ტაეპებია გაუგებარი და მხოლოდ ფონეტიკით, ჟღერადობით ერთიანდება, თუმცა გამოყენებითი ფუნქცია კი აქვთ დაკისრებული. მაგ., დევისა და ქაჯის შელოცვა:

*„ედენიენთა ლაილე შამათე,
ედენია იავი ეგრამათე,
ეგრესიმ იოსი ერივანე
და იონა იოსავე“.*

ჩანს, ასეთი მეტყველება უძველეს დროში შემოიღეს ქურუმებმა, რათა უცხო და გაუგებარ სიტყვებს ჰქონოდათ მაგიური ზემოქმედების, მორწმუნესთან დაფარული ღვთაებრივი ძალის მიახლების ილუზია. სიტყვების ნისლში იმალებოდა უმაღლესი სიკეთე, რომლის შთაგონებით ჰკურნავდნენ ავადმყოფს.

ამდენად – შელოცვა იყო სტიქიური ფსიქოთერაპია, საუკუნეთა ბნელ წიაღში გაჩენილი და ფორმირებული, რომლისადმი რწმენა თაობიდან თაობას სისხლივით გადაეცემოდა. ამიტომაც ჰქონდა ეფექტი.

ცხადია, ფუტურისტულ ზაუმსა და ხალხურ ბნელმეტყველებას შორის არ არსებობს გენეტიკური კავშირი. ეს უფრო ტიპოლოგიური პარალელებია. მაგრამ ფაქტების მოტანა მაინც საინტერესოა. ამით ნათელი ხდება, რომ ყოველგვარ სიახლეს შეიძლება ანალოგია ტრადიციაში მოეძებნოს, რომ ადამიანი ვერაფერს იტყვის ისეთს, რაც ოდესღაც არ თქმულა და არ დანერვილა.

განსაკუთრებით საინტერესოა მიხეილ კალატოზიშვილის (მომავალი ავტორი ფილმებისა – „მიფრინავენ წეროები“ და „წითელი კარავი“) სტატია – „კინო–მასალის ჩვენების მეთოდები“. ავტორი ძველ ხელოვნებას უპირისპირებს კინოს, რომელიც ტექნიკიდან ამოდის. იგი აყენებს გამოსახულების პრობლემას, რომლის საფუძვლად მიჩნეულია გეომეტრიული ოპტიკა და კადრის სივრცობრივი კომპოზიცია. ცალკეა გარჩეული სინათლე, როგორც სტილისტური ხერხი, აგრეთვე – კადრის ხედვითი კუთხე – რაკურსი.

„მემარცხენეობის“ კინემატოგრაფიით გატაცების კიდევ რამდენიმე ფაქტი – დაიბეჭდა ნ. შენგელიას, ს. დოლიძის, ს. ტრეტიაკოვის, მ. კალატოზიშვილისა და ნ. ლოლობერიძის განმარტებანი კონკრეტულ კინოსურათებზე.

ჟურნალს დაერთო ბ. გორდეზიანის განცხადება „ჟურნალ „მემარცხენეობას“ – რედაქციას“, რაც მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი აღნიშნავს, რომ არ მონანილებს ამ ჟურნალში (თუმცა გარეკანზე დაბეჭდილ თანამშრომელთა სიაში იხსენიება). მიზეზად ის მიაჩნია, რომ მასში დაბეჭდილი მასალები არ გამოხატავენ „ H_2SO_4 “-ის საბჭოს მემარცხენეობის გავებას“.

და მართლაც, როცა ჟურნალს ვეცნობით, აშკარაა, რომ იგი საგრძნობლად დაუახლოვდა სინამდვილეს, რეალიზმს, ბუნებრივ ენას, შესაბამისად – ნაწილობრივ დაშორდა ავანგარდისტულ ხელოვნებას,

ზაუმს, ნიჰილიზმს, უფრო ზუსტად – ჯგუფმა სცადა ავანგარდიზმისა და რეალიზმის ზომიერი სინთეზირება.

უფრო ადრე ბ. გორდეზიანი, რომელიც ორთოდოქსულ პოზიციაზე დარჩა, თავს დაესხა კოლეგებს („მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში“, „ქართული მწერლობა“, 1927, №5). მას მკაცრი პასუხი გასცა ბ. ჟღენტმა („მემარცხენეობის „რევიზორი“, იქვე, №6–7). ამ ფაქტის გამოძახილია ს. ჩიქოვანის სიტყვები – „ბებერ კრეტინებს უთანაგრძნობს გორდეზიანი და ხშირად გვლანძღავს გაზეთიდან რეცენზიებით“.

ქართული „მემარცხენეობა“ კარგა ხანს იყო ჰერმეტიული მოვლენა (საინტერესოა, რომ 1924, 1926 და 1927 წლებში თბილისში ჩამოვიდა ვლ. მაიაკოვსკი, შეხვდა „ H_2SO_4 “-ელებსაც, მაგრამ ეს ფაქტი არ აისახა მათი პრესის ფურცლებზე). მხოლოდ ს. ჩიქოვანის ინიციატივით შეძლო მან დაკავშირება რუს, უკრაინულ და ბელორუს კოლეგებთან.

ამრიგად, „ H_2SO_4 “ და „მემარცხენეობა“ (ანუ „ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტი“) ერთი ჯგუფის ორი სხვადასხვა ეტაპია, მისი ევოლუციის გამომხატველი, ხოლო საფუძველი – მარინეტი, კუბოფუტურიზმი, „41⁰⁰“, „ლეფი“ კონსტრუქტივიზმი, ფრანგული და ქართული დადა, ოქტომბრის რევოლუცია, მიზანი – კომუნისტური იდეალები-სადმი სამსახური.

ისმის კითხვა: რა ჰქონდა საერთო სოციალისტურ რევოლუციასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან ფუტურისტულ ხელოვნებას, საერთოდ – ავანგარდიზმს?

ფუტურისტები ავლებდნენ მექანიკურ პარალელს, რომ როგორც დაიმსხვრა ძველი სამყარო, ისევე უნდა დაინგრეს ძველი კულტურაც, ნაყოფი ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოებისა. თითქოს ისინიც რევოლუციონერები იყვნენ. მაგრამ ყველა რევოლუცია როდია სოციალისტური. გარდა ამისა, ახალი სისტემა ძველის პროგრესული იდეებიდან ამოიზარდა. მას ყველაფერი როდი უარუყვია, როგორც ეს ესმოდა არაერთ პროლეტკულტელს. თითქოს რევოლუციურ საზოგადოებას, პროლეტარიატის დიქტატურას სწორად ურბანულ-ავანგარდისტული, ე. ი. რევოლუციური ხელოვნება შეესაბამებოდა, როგორც ნახტომი მყოფადისაკენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ისინი სხვადასხვა ფესვებით იკვებებოდნენ.

სხვათა შორის, არც ჰიტლერულმა გერმანიამ მიიღო მოდერნიზმი და ავანგარდიზმი, თუმცა იგი იტალიის მეგობარი ქვეყანა იყო, იმ

იტალიისა, რომელსაც მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ჰყავდა ფილიპო მარინეტი. ა. როზენბერგმა „აერო მხატვრობას“ „კულტურ-ბოლშევიზმი“ უწოდა.

მოდერნიზმი იყო არისტოკრატიული, მრავალსაუკუნოვანი კულტურის სახეცვლილება და განახლება, კლასიკური ჰარმონიის ზემო, სინატიფისა და მშვენიერების აპოთეოზი, რომანტიკული სულის აზვირთება. მაგრამ დრო იცვალა და ურბანულ-ინტელიგენტურმა გარემომ შესაბამისი ხელოვნება წარმოქმნა, მიმართული რომანტიზმის წინააღმდეგ, უარყოფელი მოდერნისტული სკოლებისა.

ძველთან მიმართებით ეს იყო ანტიხელოვნება, რომელშიც სულის პრიმატი გონებით შეიცვალა. ავანგარდიზმი იმდენად ასცილდა რეალურ ენას, მასების ფსიქიკას, შეცნობისათვის იმდენ პირობითობას მოუხმო, რომ ხალხისათვის გაუგებარი გახდა. ავანგარდისტი ხელოვანი აღარ იყო მასების ხმა. მათ შორის ანტაგონიზმი გაჩნდა, როგორც სულსა და გონებას, ოცნებასა და ფიქრს, ინტუიციასა და ინტელექტს შორის. ხელოვანი და ხალხი სხვადასხვა ენაზე მეტყველებდნენ. მათ სულ უფრო და უფრო ნაკლები სატკივარი აკავშირებდათ.

მოდერნიზმი მართლაც იყო უმაღლესად რაფინირებული ხელოვნება, ოლიმპზე მდგარი ჩირაღდანი, კულტურის ორიენტირი. მაგრამ ავანგარდიზმიდან მოყოლებული ნაპრალი უფსკრულად იქცა. ადრე შემოქმედის განზე განდგომა არტისტული ჟესტი იყო. ახლა იგი თავისი ენით, იდეებით, აზროვნების წესით მართლაც გაღმა მხარეს დარჩა და დეკლარაციული განცხადება სრულიად ზედმეტი გახდა. მხოლოდ განგებისაგან რჩეულთ, თითო-ოროლა ხელოვანთ შეეძლოთ აქაც ყურადღების მიქცევა, რომ ამ სიშორეზეც შესამჩნევი ყოფილიყვნენ. მაგრამ მათი შეყვარება მაინც ძნელი იყო. ასეთი ხელოვანი, თუნდაც დიდი მასშტაბისა, არ სჭირდებოდა ახლად გაღვიძებულ ქვეყანას, რომელიც სიბნელიდან გამოდიოდა. იგი ნათელ, კეთილ მეგზურებს ეძებდა, ვინც ცხოვრებას კი არ ჭვრეტდა, არამედ – თავად იყო ცხოვრება, აღსავსე ტკივილით, რწმენით, სიყვარულით.

ავანგარდისტები (მოდერნისტების დარად) ბუნტარული სულის შემოქმედნი იყვნენ – სწყუროდათ რევოლუცია, ძველის ნგრევა, ახლის, უჩვეულოსა და არნახულის დამკვიდრება. მათთვის მოძრაობა, თავადაც პროცესი იყო ყველაფერი. ამიტომ აღმოჩნდნენ მოპირისპირე იდეოლოგიების პოლუსებზე, არათუ აღმოჩნდნენ – მათი კულტურის ლიდერებიც გახდნენ.

ერთი ძირიდან ორი ძალა ამოიზარდა. მათ აწმყო თიშავდათ, მაგრამ აერთებდათ წარსული. ფუტურისმის მოწინააღმდეგენი თვლიდნენ, რომ „*Маяковский был бы в Италии Маринетти, Маринетти был в России Маяковский. Футуризм – это сильное взрывчатое вещество – коим может пользоваться кто угодно. Это усовершенствованная гаубица, которая стреляет в какую угодно сторону*“.

რუსი ფუტურისტები მართლაც უნდობლად იყვნენ განწყობილი მარინეტისადმი და ბოლოს მტრადაც გამოაცხადეს. მიუთითებდნენ, რომ მათთვის მთავარია რსფსრ, ელექტროფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია, იტალიელი ფუტურისტებისათვის – ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი. პირველნი ომს უარყოფდნენ, მეორენი – კაცობრიობის ჰიგიენად მიიჩნევდნენ. „ლეფელები“ აღნიშნავდნენ, რომ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს საერთო ძირი აქვთ, მაგრამ ამით მათი იგივეობა არ დასტურდება¹⁹.

„მემარცხენეებად“ იწოდებოდნენ, აგრეთვე, კუბისტები და კონსტრუქტივისტები, დადაისტები და სიურრერალისტები. კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ: პ. პიკასო, ტ. ტცარა, ა. ბრეტონი, ფ. ლეჟე, ლ. არაგონი, პ. ელუარი...

ვლადიმერ ლენინს არ უყვარდა ფუტურისტები, არც მაიაკოვსკზე იყო დიდი აზრისა. რევოლუციის ბელადი წინადადებას იძლეოდა – წელიწადში ორჯერ დაებეჭდათ ფუტურისტები, „*არაუმეტეს 1.500 ეგზემპლარისა*“. ლევ ტროცკიც კრიტიკულად იყო განწყობილი მათდამი, კრუჩინონისა და ხლებნიკოვს პოეტებად არცა თვლიდა, მაიაკოვსკისადმი გამოთქვამდა არაერთ შენიშვნას, თუმცა წერდა, რომ მაიაკოვსკის ერთი ფეხი უდგას მონბლანზე, მეორე – იალბუზზე („*ლიტერატურა და რევოლუცია*“).

ვ. მაიაკოვსკის პოეზიის კანონიზება დაიწყო 1935 წლიდან, მას შემდეგ, რაც იგი იოსებ სტალინმა „*ჩვენი ეპოქის უნიჭიერეს პოეტად*“ გამოაცხადა. მაგრამ ეს შეფასება არც ფუტურისმს, არც სხვა რომელიმე ავანგარდისტულ მიმართულებას არ ეხებოდა.

C. „ H_2SO_4 “-ის ჰომეიზის მოდელი

ავანგარდისტული ხელოვნება მრავალმხრივ საგულისხმოა მოვლენაა, განსაკუთრებით დღეს – სტრ–ის ეპოქაში, თუმცა მისი ნიმუშების გაცნობა უფრო გონებაზე მოქმედებს, ვიდრე სულზე. ავანგარდიზმი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ტოტალურმა ცივილიზაციამ მიაღწიოს გავლენა შეამცირა და იგი ლოგიკურით გააძლიერა, ოცნებას უფრო მეტად დაერთო ფიქრი და განჯა, ბუნებრივ ბუნებას – რეკონსტრუირებული გარემო (საინტერესოა გავიხსენოთ ტ. ჭანტურიას პოემა „მანქანა“ ანუ უარყოფა თემისა „ცხენი“. კატასტროფაში დაღუპული გრძ 75–73 ხსოვნას“).

ცნებითმა აზროვნებამ თანდათან დაიპყრო ადამიანი და შეასუსტა ხატოვანი აზროვნების ძალა, მნიშვნელობა და მოცულობა. არადა – ადამიანისათვის სწორედ ეს არის სასიცოცხლო, თანდაყოლილი, სტიქიური, ბარბაროსული პერიოდიდან შემონახული. ხოლო მეორე – Homo sapiens–ის დროში გაჩენილი, მეორეული, ინტელექტისმიერი. მათი ურთიერთმიმართება ბუნებრივია – ხან სინთეზი, ხანაც – კონფლიქტი. ავანგარდიზმი მომეტებულად ენდო ამ მეორეულ სანყისს (თუმცა ინტუიციურის გამორიცხვა შეუძლებელია, რამდენიც უნდა ვეცადოთ). მან ლოგიკურ კომბინაციად გაიაზრა ტექსტი, შეეცადა თხზვის მოუხელთებელი ფენომენის ამოცნობას, შექმნის მექანიზმის დამორჩილებას, შთაგონების გათვლით შეცვლას.

გონების როლის, ანალიტიკური ნაკადის გაძლიერებამ ტექსტს შესძინა მეცნიერული ინფორმაცია, რაციონალიზმი, შესაბამისად – შენეღდა ემოცია, უფრო სწორად – გრძნობა აღიძვრება გააზრების, შეცნობის შემდეგ. ამის მეშვეობით ტექსტი უზვ მასალას იძლევა განსჯისათვის, თითქოს ხელოვანი იმიტომ ქმნის, რომ კომენტატორს რაც შეიძლება მეტის თქმის საშუალება მისცეს. ეს მაშინ, როცა ბევრი კლასიკური შედეგრი ასახსნელადაც ძნელია – ხელიდან გისხლტება, თითქოს მხოლოდ უნდა შეიგრძნო და განიცადო.

ავანგარდისტული ხელოვნება რთული და მრავალმხრივი განსჯისათვის განგვანყობს (ამიტომ წარმოშვა მან სპეციფიკური ამხსნელი მეთოდებიც, მაგ., სტრუქტურალიზმი).

იგი თავისთავადაც საინტერესოა, უბრალო ნიმუშიც კი რალაც ასპექტით საყურადღებო. მაგრამ არა უეჭველად კარგი, მომხიბვლელი, რომელიც გიყვარს და შენი სიცოცხლის თანამდევნი ხდება. ავანგარ-

დიზმი სიყვარულს არც მოითხოვს. იგი რიდით და პატივისცემით განგვანყოფს ადამიანის ინტელექტისადმი. პატივისცემას კი, ცხადია, უფრო მეტი იმსახურებს, ვიდრე სიყვარულს.

ამიტომ ავანგარდისტული ხელოვნება ერთმანეთისაგან განასხვავებს „კარგსა“ და „საინტერესოს“. საინტერესო არ ნიშნავს, რომ იგი სრულფასოვანია და ღირებული, მაგრამ ყურადღებას უექველად იქცევს.

1. ლექსი, როგორც ყოველდღიური პროზა

„ H_2SO_4 “-ის პოეტების ერთ-ერთი სპეციფიკაა ენობრივი, სტილური და პუნქტუაციური დაუდევრობა. ისინი განზრახ ეკიდებიან სალექსო ფორმებს ტლანქად, წერენ თავისუფალი ლექსით, ნარევი შრიფტით, სარგებლობენ არა ზუსტი რითმებით, არამედ – დისონანსებით, ასონანსებითა და კონსონანსებით (ს. ჩიქოვანი – გარეკონ – გორკი, ცენტრიდან – მტრედებით, ცილინდრით – დრო, რომანი – როზგვიით, მადლობელს – დილამდე, იშოვიდით – შორიდან). თუმცა ზოგჯერ კეთილხმოვან, ზუსტ რითმებსაც ჩაურთავენ. ამას ახლავს მოულოდნელობის ეფექტი. ამდენად – მათი პრაქტიკისათვის გამართლებულია. თითქოს ცდილობენ პოეტური მეტყველების გამინიერებას, ყოფითი მასალით გამდიდრებას, მაგრამ ზაუმი, სახეთქმნადობა და დამსხვრეული ტრადიციული ნორმები ბუნდოვანების ნისლით ბურავენ საგნებს.

„ H_2SO_4 “-ის ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსებში საერთოდ უარყოფილია კლასიკური ლექსი, რომლის სანაცვლოდ მოხმობილია ვერლიბრი, როგორც რითმისა და მეტრისადმი რეაქცია.

მართალია, ახალგაზრდა ავანგარდისტების ვერლიბრი მეტწილად მოკლებულია გამოკვეთილ, სტიქიურ რიტმს და თითქოს პროზად აღიქმება. მაგრამ პროზისაგან განასხვავებს მეტაფორული აზროვნება, სენსაციური, ექსტრავაგანტური სახეებისაკენ სწრაფვა („ყურძენმა მიირთვა კაცობრიობა“ – ბ. გორდეზიანი; „პირდაპირ ქუჩის გასწვრივ თოხივით ჩანდა ბეჭების დღესასწაული“ – პ. ნოზაძე; „ჟანგომ თქვენ სახეზე აღმოაჩინა სავარძელი სავარძელში წვალებით ჩაჯდება ძროხა“ – ჟ. ლოლობერიძე; „როგორც ყვირილით დაბერილი ბულვარის ყბები იდგნენ სახლები სოველ პრობკებივით“ – ბ. აბულაძე; „ველოდით მერცხლებს იპოდრომზე როგორც კანცლერებს“ – ს. ჩიქოვანი;

„თქვენ ხართ უძლევი გასტრონომიის ვიტრინებში ღორის თავივით“ – ნ. შენგელაია). ხოლო შემდეგ იწყება ტრადიციის „რესტავრირება“, უარყოფილი ფორმებისადმი მიბრუნება.

ნატიფი ფრაზის ადგილს იჭერს უხეში გამოთქმა. ჭარბად შემოდის ურბანული გარემოს, ტექნიციზმის ამსახველი სპეციფიკური ლექსიკა („ელექტროს შადრევანი“, „მოტორი“, „აეროპლანები“, „ფოლადის კუნთები“, „ცეცხლის ცეპელინი“, „ტელეფონი“, „ბატონ–ბეტონი“, „ავტომობილი“, „დებეტი კრედიტი“, „პროსპექტი“, „ეკრანი“, „ტრესტი“, „ფაბრიკანტები“, „ტროტუარი“, „ტრანსპორტი“...), რომელსაც მოაქვს შესაბამისი განწყობილება და რიტმი.

რომანტიკული პათოსის წილ იწყება ცნებების, საგნების, სახელების გამინიერება, მათ შემოეცლებათ შარავანდედი. მაგრამ ჭარბი ნიჰილიზმი აბსურდამდე მიდის („საკადის და სტოლიპინის უღვაშები ერთმანეთს ჰგავდნენ“ – ა. ბელიაშვილი; „გიორგი ლაშა იყო დიდი მონარქი რადგან ერთ ზაქს სჭამდა“ – პ. ნოზაძე; „დასავლეთ ევროპის ცხენების ყრილობა“ – ჟ. ლოლობერიძე; „ისმინეთ ყველამ რომ საქართველო არის ქოთანი, სააკაძე და მენისქვილე“ – ბ. გორდეზიანი; „დღეს ოხრახუშის სახელია მაკედონელი“ – ბ. აბულაძე), რაც დადასტურის მსოფლგანცდის თვისებაა (იხ. „იდიოტიზმის აპოლოგია“).

ერთი სიტყვით, ჩვენს თვალწინ იხატება კლასიკური ლექსის სტრუქტურისა და ჰარმონიის რღვევის პროცესი, რომლის შედეგია „შავი პოეზია“ – ტლანქი, ხორკლიანი, მძიმე, ხანაც – მჩატე, როგორც ყოველდღიური პროზა.

ასეთ ორიენტაციას ჰქონდა გამართლებაც. პოეზიას უნდა მოეხდინა ახალსივრცეთა ანექსია, გაენია ტრადიციით დასაზღვრული ჰორიზონტი, რათა ყოფილიყო არა მხოლოდ რეალობის, არამედ – მომავალ დღეთა მჭვრეტელიც.

„ომი კაცობრიობის ჰიგიენა“ (მდრ. – ს. ჩიქოვანი – „ომები აზრი – ომი ექიმი“), „კუნთების პარადი“, „მოვკლათ მთვარის შუქი“, „პისტოლეთის გასროლა“, „ელექტრული ლექსები“, „მოტორების სიმღერა“, „ფოლადის ბულბული“ – სერავდა სივრცეს ფუტურისტული პაროლები და მათი ჟღერა ქართველ ავანგარდისტებსაც ესმოდათ.

„ H_2SO_4 “-ელები თავდაპირველად უფრო მარინეტის მიმდევრები იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც „მემარცხენეებად“ იქცნენ, მათი ორიენტირი გახდა ფუტურისტ–ლექსელთა ჯგუფი, განსაკუთრებით – ვლ. მაიაკოვსკი, რომელიც თანამოკალმეთ მოუწოდებდა:

„Бросьте!
Бросьте!
Забудьте,
Плюньте
И на рифмы,
И на арии,
И на розовый куст,
И на прочие мелехлюндии
Из арсеналов искусств.“

მოითხოვდა, რომ დინამიკით აეფეთქებინათ ალექსანდრე ნეველის ძეგლი, ცეცხლისათვის მიეცათ ზამთრის სასახლე – ეს მაკარონის ფაბრიკა, ტყვიებით დაეცხრილათ მუზეუმები.

ავანგარდიზმმა ქართულ პოეზიას შესძინა სიმონ ჩიქოვანი. ამიტომ იგია მოქცეული ჩვენი ყურადღების ცენტრში. გარდა ამისა, მან ყველაზე კარგად შეძლო „ H_2SO_4 “-ის თეორიული თვალსაზრისის პრაქტიკული ხორცშესხმა.

შეიძლება ითქვას, სტილის თვალსაზრისით ს. ჩიქოვანი მოგვიანებით იყო კონსტრუქტივისტი, ვიდრე სიჭაბუკის წლებში. მაშინ იგი სწავლობდა ლექსის წერას, შეგნებულად ებრძოდა ლირიზმს, სევდას, მელანქოლიას, ბურუსს. ისწრაფოდა უხეში და მღვრიე ცხოვრებისაკენ, ყოფითი მასალისაკენ, რომლის ამეტყველება უფრო ძნელი იყო სიმბოლისტურ–რომანტიკული სინატიფით, დახვეწილი ენით.

ამიტომ წერდა იგი: „*დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი*“. უნებურად იმსხვერეოდა მშობლიური ენაც. პოეტის სიტყვა ხორკლიანი იყო, არა მხოლოდ პროზაული, არამედ, არცთუ იშვიათად – ცუდი მეტყველების ნიმუშიც. „*ჩემს მძიმე ლექსებს, მძიმეთ ნაამბობს*“, შენიშნავდა პოეტი. ხოლო თავის სიტყვაზე ამბობდა, „*ლოზუნგად ქმინავო*“. კონსტრუქტივისტი პოეტების, მაგ., ილია სელვინსკის დარად, ს. ჩიქოვანიც მიმართავდა ჟარგონს. ეს თუნდაც იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ინდუსტრია არ არსებობს მუშათა კლასის გარეშე. პროლეტარიატის მეტყველებისათვის უცხოა არისტოკრატიული სინატიფე, რაც პოეტმა ასე გამოთქვა: „*მუშას არ უყვარს ბულბული, არც ბულბულს უყვარს მუშის ხმა*“.

ს. ჩიქოვანს თავიდანვე ჰქონდა უჩვეულო სახეებით აზროვნების უნარი და რაციონალიზმისაკენ მიდრეკილება. იგი მოვიდა პოეზიაში და ააყირავა ძველი საგნები, დაარღვია დეკორაციები, რათა შეექმნა

ნივთთა ახალი კომბინაცია. ეს უცებ ვერ მოხერხდა. გავიდა დრო და მან შეძლო ენის, სალექსო რიტმის, სახეობრივი აზროვნების მოწესრიგება, გახდა მართლაც რაციონალისტი, ხედვის პოეტი, სინამდვილის ვნებიანი მჭვრეტელი. გათვლის პრინციპი გამდიდრდა და შეივსო ლირიზმით, რომელიც იყო რეალურ საგანთა განსჯითა და გააზრებით, მათი ფერადების ხილვით წარმოქმნილი.

ამიტომ პოეტის ემოცია სპეციფიკურია და მას სრულად განიცდის ის, ვინც წიგნებზე აღიზარდა, ნაზიარებია კულტურას.

ერთი სიტყვით, ს. ჩიქოვანის ემოცია ინტელექტუალურია და იგი პასუხობს ინტელიგენტის მოთხოვნებს. მისი ლექსი ტრიბუნადან კი არ უნდა მოვისმინოთ, არამედ ვიკითხოთ ვინრო წრეში, ან ჩუმად, თვალთ, როგორც ხან ჩვენთა ფიქრთა გაგრძელება და დასრულება, ხან კიდევ – როგორც დასაბამი.

ს. ჩიქოვანის ლექსის კონსტრუქცია ავანგარდისტულ პერიოდში ჩამოყალიბდა. შემდეგ იგი დაიხვეწა, დაზუსტდა, შეივსო ახალი განცდებითა და აზრებით. მაგრამ სისტემა, აზროვნების წესი თითქმის უცვლელი დარჩა. იგი, როგორც პირველმოდელი, საგანგებო ყურადღების ღირსია, რადგან მისი კვლევით დადგინდება როგორც გენეტიკური, ისე ტიპოლოგიური არეალი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას აზრის პრიმატს (ფუტურისტული „ზაუმის“ დროსაც).

1929–1930 წლებში იწერება ლექსების ციკლი „მთაო, გადმიშვი“, სვანეთსა და ხევსურეთში მოგზაურობის დღიური, რომლითაც მკვიდრდება რეალიზმი ს. ჩიქოვანის პოეზიაში.

ვერც ერთი ჭეშმარიტი პოეტი ვერ ჩაეტევა რომელიმე მიმართულების ან სტილის რკალში, ვერ იქნება თეორიის (თუნდაც საკუთარი იყოს იგი) პედანტური აღმსრულებელი, რადგან შემოქმედია და ქმნის პროცესში სტიქია მაინც თავისას გაიტანს.

არც სიმონ ჩიქოვანი ყოფილა ორთოდოქსი ფუტურისტი ან კონსტრუქტივისტი.

2. ინდუსტრიისა და პრიმიტივის ანტინომია

„თითქოს გვალვაში ლიანდაგზე გალობს ბულბული“, – წერდა ჭაბუკი სიმონ ჩიქოვანი და ასე აკავშირებდა წარსულის რომანტიკას ურბანულ დროსთან.

ფუტურისტული პოეზია აერთებს ორ დაპირისპირებულ სფეროს – ინდუსტრიასა და პრიმიტივს. თითქოს ეს მოულოდნელი იყო (მარინეტის პირველი მანიფესტის XI პუნქტი ინდუსტრიის ხოტბას მიეძღვნა), რკინის, ელექტრონის, მანქანის აპოლოგეტი როგორ მიუბრუნდა სოფლურ ყოფას, ბუნების იდილიას. მაგრამ ეტყობა, ფუტურისტებმა იგრძნეს, რომ სამყარო სრულიადაც არ არის მხოლოდ მექანიკური ქვეყანა და მინის ძახილი მათ სულშიც დაირეკა. ალბათ საერთო ატმოსფერომ – წარსულისკენ უკუქცევის ტანდენციამაც იქონია ზეგავლენა. ხოლო დადაისტური ბავშვის ლელლული და იდიოტიზმის აპოლოგია მაინც ადამიანურობის სინაკლებით, მისი შევსების ცდად აღიქმებოდა, ოღონდ ეს „ადამიანური“, ცხადია, ტრადიციული არ იყო და არც უნდა ყოფილიყო.

„რა არის დღეს საერთოდ ადამიანი? ის წისქვილია ფიროსმანის თუ მოტორია ფუტურისტების?“ – კითხულობდა სიმონ ჩიქოვანი. *„წისქვილი“* და *„მოტორი“* ორი სამყაროს სიმბოლოა. პირველია პრიმიტივი, მეორე – ინდუსტრია. პოეტის მსოფლგანცდა მართლაც გაორებული იყო, უფრო სწორად – გაორება ბადებდა დრამატიზმს, როგორც ენერჯიას: იგი განადიდებდა ქალაქს, ტექნიციზმს, მუშათა კლასს, მაგრამ მთვარესაც ვერ ელეოდა:

„პოეტებში მემამბოხე და ურბანელი ჩემს უნებურათ ვინახავ მთვარეს, მთვარეს ავადმყოფს, ნაცრის ფიფქიანს“; თავადაც გრძნობდა, რომ ასეთი დაპირისპირება მტკივნეული იყო: *„მეუბნებიან – სამშობლოში მოტორებმა ბარათაშვილის მერანი მოკლეს“.*

გულის სიღრმეში მაინც ცოცხლობდა იმ გარემოს სიყვარული, რომელშიც აღიზარდა. იგი ვერ წარხოცა ვერც მარინეტიმ, ვერც *„ლეფმა“*, ვერც ელექტრონის ელვამ, რადგან სტიქიური, თანდაყოლილი გრძნობა იყო. ამიტომ უნებურად აღმოხდებოდა–ხოლმე: *„ჩემი ნატურაა მეგრული ფაცხა“*, *„მე მეჩვენება, რომ ოთახთან მოდის სოფელი სახე ნაპოზი მივეკრები“...*

ამ მონატრებამ დაანერინა *„ქარბორია“*, *„მეკამეჩეების ურმული“*, *„ცირა“*, *„სანაპირო სიმღერა „ხაბო“*, *„მორდუ“*, *„სიღუ“...*

გონებით იყო ნათქვამი ასეთი სტრიქონები: *„ქალაქი იბრძვის, კვდება სოფელი“*; *„მე ფულადით გამოვიტალე“*; *„მარს ზე რადიო დაჰკრავს კამერტონს“*, ხოლო გულს სდევდა, როგორც ნოსტალგია და მოგონება, კოლხური ღამე, ნისლი, ქარის ზუზუნი, სიდუს კვილი, ზღვის გუგუნნი...

ს. ჩიქოვანის ადრეული ლექსების ერთი ნაწილი ფუტურისტულია

და ენათესავება ვ. ხლებნიკოვისა და ა. კრუჩინიხის პოეზიას. მაგრამ სწორედ მათ მსგავსად ცდილობს ნაციონალური მასალის გააზრებას, ქართული სიტყვის სიღრმეში შეჭრას, კოლორიტის დაცვას. „*იმპორტული მეთოდი*“ მან გააქართულა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

პოეტი ორკესტრულ ლექსებად აღადგენს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, მენსიერებას ხმებად რომ შემორჩენია. მათ არქაულობის ელფერიც დაჰკრავთ, ბუნდოვანი სიტყვები ნისლივით ახვევიათ და როცა კარგად გავიზრებთ – მელანქოლიურ განწყობილებასაც აღგვიძრავენ (რასაც ასე ჯიუტად უარყოფდნენ ფუტურიზმის იდეოლოგები).

განსაკუთრებული სიმწვავით და, ამავე დროს, პოეტური ძალით განიცდება ს. ჩიქოვანის ლირიკაში კოლხური გარემო, საქართველოს წარსული, ნათესავ-მეგობართა ბედი, რაც იმისი დასტურია, რომ, მიუხედავად აზრის პრიმატისა, ხედვა-ჭვრეტის ქადაგებისა, შთაგონება-გათვლის პრინციპისა, ინდუსტრიული და სოციალისტური ყოფის აპოლოგიისა, მას სულისა და სისხლის გენეალოგია ამეტყველებდა, რაც არაცნობიერად წარმართავდა გულსა და ფიქრს, ე. ი. ვლინდებოდა ღრმა პიროვნული საწყისი.

ს. ჩიქოვანს აკლდა ლირიკოსის ტემპერამენტი, მუსიკალობა. იქნებ ამიტომაც აღმოჩნდა ესოდენ მახლობელი ფუტურისტული „ზაუმ“. ეტყობა, მას ჰქონდა ძლიერი შინაგანი მოთხოვნილება სიახლეთა პოვნისა, სწრაფვის იმპულსი, რევოლუციურ-ბუნტარული სული; როგორც პრაქტიკოს რევოლუციონერს, დაავიანდა, ან იქნება სულაც გვიან გაელვიდა „*ფასეულობათა გადაფასების*“ ჟინი.

ერთი რამ ცხადია, იგი შემთხვევით არ მისულა „*H₂SO₄*“-მდე. მისი სულის იეროგლიფი სწორედ ამ ჯგუფის მიერ მოხმობილი და ნასესხები თეორიებით იშიფრებოდა.

პოეტის მძაფრი, მაძიებელი ფიქრი სიტყვის სფეროში მოექცა, სიტყვაში სცადა დაეცხრო ლტოლვა გარემოს გარდაქმნისა. ამიტომ ყოველთვის აყენებდა კითხვას – რა ფორმით, როგორი სტილით უნდა ამეტყველებულიყო ახალი დრო და პიროვნება. მასში თავიდანვე მძლავრობდა ინტელექტის, გონების პრიმატი. ეს იყო თანდაყოლილი თვისება, რომელიც ვერ შეიცვლებოდა. ამიტომაც გახდა რაციონალური პოეზიის ლიდერი, რომლის სიღრმე, სირთულე, რიტმული კონფიგურაცია გ. ტაბიძის უმაღლესად არტისტული, მუსიკალური ლირიკის საპირისპირო მდინარეება აღმოჩნდა.

ს. ჩიქოვანი იყო ერთადერთი პოეტი, გ. ტაბიძის სიცოცხლეში რომ შექმნა არასიმბოლისტურ საწყისებზე აღმოცენებული დიდი ვნებებით დამუხტული, ინტელიგენტის ფიქრის შესატყვისი პოეზია, რომელმაც საწყისი მისცა ე. წ. ინტელექტუალურ ნაკადს (ო. ჭილაძე და „ცნობიერების ნაკადის“ პოეზია, ვერლიბრისტების თაობა და ა. შ.).

იგი ინტუიციურად აღმოჩნდა ტიპოლოგიური პარალელი თ. ს. ელიოტის შემოქმედებისა, რომელშიც აისახა XX საუკუნის მოაზროვნე ადამიანთა ფსიქიკა და ცნობიერება. მართალია, ს. ჩიქოვანმაც დაიწყო რომანტიზმის უარყოფით („*მე რომანტიზმზე წავიკითხავ ბოლო „რეკვიემს“*“). მაგრამ საბოლოოდ მას მაინც ვერ გაექცა. ოღონდ ახლად დამკვიდრებული რომანტიკა იყო არა მთვარისა და ზმანებათა, არამედ ფიქრისა და გონებისა.

როგორც ჩანს, მთელი ხელოვნების ისტორია არის რომანტიკული აღმაფრენის ნაირგვარი ტრანსფორმაცია. რაც უნდა გაურბოდეს ხელოვანი მას, ბოლოს მაინც დაუბრუნდება, როგორც ცისკენ გატყორცნილი ისარი – მიწას.

ავანგარდისტული პრესის ფურცლებზე ნიკოლოზ შენგელაიას არაერთი ლექსი გამოქვეყნდა. მათგან საყურადღებოა სვანური ციკლი („*მონადირე*“, „*მზის ჩასვლა*“ და „*ბიმურზოლა*“). ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა ახალი სიმბოლიკური ერთეულები – ბეთქილი, თვეთნოლდი, ლილეო, დალი, ლატფარი. განსაკუთრებით კარგი ლექსია „*ბიმურზოლა*“ (როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა ლ. ასათიანმა).

ჩანს, პრიმიტივის ქადაგებამ, ნ. ჩაჩავასა და ს. ჩიქოვანის მიერ მეგრული კოლორიტის მოდელირებამ, ნ. შენგელაიას უბიძგა ანალოგიური მასალისაკენ და მან სვანურ გარემოს მიმართა (შეიძლება კინოფილმი „*ელისოც*“ ამავე ტენდენციის ნაყოფი იყოს).

ორიენტირი სწორი აღმოჩნდა და სვანეთის თემა ერთბაშად პოპულარული გახდა (მ. კალატოზიშვილი, ს. ჩიქოვანი, შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი, ა. ბელიაშვილი, კ. გამსახურდია, რ. მარგიანი, მ. გელოვანი). მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კიდევ უფრო ადრეული სიგნალი იყო ემუხვარის სისხლით შეღებილი მარუხის მწვერვალი (დ. შენგელიას „*გურამ ბარამანდია*“).

დავით გაჩეჩილაძე, რომელიც ხელს აწერს „*საქართველო – ფენიქს*“, მაგრამ ავანგარდისტული პრესის ფურცლებზე ჩანს მხოლოდ 1926 წლიდან (გაზეთი „*დროული*“), თავდაპირველად ქალაქურ ლანდშაფტს გვთავაზობს, ინდუსტრიული გარემოს რიტმს გადმოგვცემს

(„ყოველდღიური ტფილისი“, „დროული“, №2, „ქუსლი ქალაქისკენ“, იქვე, №3), ზაუმურ ნაკადსაც საკმაოდ ჭარბად იშველიებს:

ან რა გითხრა მტკვარო ტუმბო და ბიდარო
მტკვარო ხევა, ხის ხურგებად მოგორავო,
შენ წამოდექ, ცა ფანჯრებით გამოდარო.
გულ სარკეში რომ დაარწო მთავორები.

თუმცა პოეტი გატაცებულია „ბუნგე ქალაქით“, „მავთულ ზუზუნითა“ და „ცრემლების ზეინკალობით“, ლექსებში იჭრება ლირიკული სტრიქონები, პრიმიტივის ანარეკლი, როგორც მონატრება: „მოსვა ზაფხული ჭიქებიდან მწვანე წყალივით“, „პატარა გოგო პემეგებით როგორ ამოიღებს ვარსკვლავებს ციდან“...

ბ. აბულაძისათვის სოფელი „მაჯა-დაცლილი“ და „გულ-გამომშრალია“, ლირიკა – „უხერხემლო“ და „საბრალო დედა“. ამიტომ აღარ ახსენებს „ბებერ წისქვილს“ („უბოდიშო მიმართვა ლირიკას“, „დროული“, №1). ხოლო დადაისტური პოეზია (ყ. ლოლობერიძე, პ. ნოზაძე, ა. ბელიაშვილი, ბ. აბულაძე, ბ. გორდეზიანი) მთლიანად ინტელექტუალური ცნობიერების დაშლასა და გაუფასურებაზეა აგებული. იგი მხოლოდ ურბანული წარმოდგენებით, ინდუსტრიული საზოგადოების პაროდირებით და ცინიკური აღქმით საზრდოობს.

ქართველ ავანგარდისტებს გაუჭირდათ ინდუსტრიული ქალაქის, ურბანული გარემოსა და ფსიქიკის წარმოსახვა და გააზრება. ისინი არ აღზრდილან (არც ცხოვრობდნენ) ცივილიზაციის ცენტრებში. სოფლიდან მოვიდნენ ქალაქში, რომელიც სრულიადაც არ იყო ისეთი, როგორადაც წარმოდგენდნენ (პარიზის, ბერლინის, ნიუ-იორკის თუ მოსკოვის ანალოგიით). ურბანული სამყაროს ხატი, რიტმი, ლექსიკა, მსოფლგანცდა მათ წიგნებიდან, სურათებიდან, კინოფილმებიდან შეითვისეს და ქალაქის მოდელი გონებით შეთხზეს. ხოლო წარსული და სოფელი სტიქიურად იყო მოცემული ახალგაზრდა ბუნტარების ფიქრსა და ოცნებაში.

ამიტომ ლოგიკური აღმოჩნდა ანტინომია – „ინდუსტრია“ და „პრიმიტივი“, რომლისგანაც გამოიკვეთა სიმონ ჩიქოვანის პოეტური ხატეზი.

3. ოქტომბრის მარში

„ H_2SO_4 “, „ლეფელთა“ მსგავსად, აღიარებდა პროლეტარულ ხელოვნებას. ამის გამოხატულება იყო თუნდაც ჟურნალი „დარიალი“ (1925), რომელშიც დაიბეჭდნენ მხოლოდ ავანგარდისტები და პროლეტარული მწერლები (რედკოლეგიის წევრები „ H_2SO_4 “-იდან იყვნენ ბ. ჟღენტი და ვ. ჟურული).

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთ სწორ გამომხატველად, როგორც არაერთხელ ითქვა, თავიანთი თავი მიაჩნდათ. ამის დამტკიცებას ცდილობდნენ არა მხოლოდ რევოლუციურ ფორმათა ძიებით, უახლეს შეხედულებათა პროპაგანდით, არამედ – აქტუალური მასალის მოდელირებითაც, უხეში ენით, ტლანქი სტილით.

ფუტურისტული ლექსი საამისოდ ყოველთვის ვერ გამოდგებოდა. ხოლო რევოლუციის თემის გაშლა დადასტურ ასპექტში უეჭველად მიიღებდა კომიკურ ელფერს. ამიტომ ასეთი ტიპის ლექსებში ცალკეული პაროლებითა და ლოზუნგებით ივარგლებოდნენ. სამაგიეროდ კონსტრუქტივიზმი, მისი მკაცრი, ურბანული ყოფის სტილი, აზროვნების ლოგიკური სისტემა, პუბლიცისტური სიმძაფრე უფრო აღმოჩნდა თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი.

ცხადია, პოეტებს თვალწინ ედგა „ლეფის“ მაგალითი, რომელმაც დაარღვია ტრადიციული ეტიკეტი, გააუქმა თემის, მასალის, სტილის, სიტყვების იერარქია და სცადა ანტიპოეტური სივრცის ანექსია.

„ H_2SO_4 “-ში არა, მაგრამ თანდათან ქართველი ავანგარდისტები მიუბრუნდნენ სინამდვილეს, რომელსაც ადრე აბსტრაქტულად აღიქვამდნენ. იწერება ახალი დროით შთაგონებული სტრიქონები – „შავი ნაბდებით, ცხენის ხაზებით, ძმა ყაზახები: ისროდნენ ველებს... ისროდნენ დონს და ვოლგის ნაპირებს“ (ს. ჩიქოვანი), „ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის“ (ბ. აბულაძე), „ნუ გესიზმრებათ რესპუბლიკა თეთრი ცხენითა“ (ვ. ჟურული).

მაიაკოვსკისებურია ვარლამ ჟურულის „პატრიოტიზმის დასასრული“ („მემარცხენეობა“, №2), მიმართული ქართველი ემიგრანტების წინააღმდეგ, ნ. ჩაჩავას „თეზისები პოეტებს მსოფლიო მდგომარეობის შესახებ“ (მნათობი, 1924, №5), ს. ჩიქოვანის „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე“ – პოლემიკური ლექსი.

ავტორი თითქოს მართლაც ტრიბუნაზე დგას და ხან მრისხანედ მიმართავს აუდიტორიას, ხანაც – სიძულვილით („გასივებული ლირიკო-

სიც მცონარ კრავივით აყვირებულა შარდის ტალღით ამოგდებული. გელეიშვილი სდუმს ნაგავში გომართელივით“; „ვერსად იშოვნეს რედაქციის დიდი კამოდი ჯავახიშვილის ნაჯღაბნების დასამარხავი“); ბ. აბულაძეც თანდათან იმარჯვებს ლექსს, როგორც ბრძოლის იარაღს – „ბრძანება საბჭოთა თავდაცვისათვის“, „საარაკო ბრძოლა წყალდიდობასთან ხაშურში და ლენინაკანში“. შდრ – ს. ჩიქოვანი – „მე მინდა ახლა იარაღად ლექსიც გამოდგეს“.

ცხადია, აქ ისევ მაიაკოვსკი გაგვახსენდება – „შენ, ჩემო ლექსო, ისე მოკვდი, ვით ჯარისკაცი“...

ვლ. მაიაკოვსკის პოპულარობა თანდათან იზრდებოდა. იგი ხდებოდა საბჭოთა პოეზიის ლიდერი. ცოცხალი აღარ იყვნენ ბლოკი, გუმილიოვი, ხლებნიკოვი, ესენინი. „შარველიანი ღრუბლის“ ავტორი ლექსით, დეკლამაციით, თეორიული გამოსვლებით, ყურნალით, პლაკატით ებრძოდა ბურჟუაზიულ–მემჩანურ ატმოსფეროს და სიცოცხლე, როგორც ზვარაკი, მიჰქონდა რევოლუციის დასაცავად.

გ. ტაბიძის რემინისცენციით, ნ. შენგელაიას სიტყვაც მოწოდებად ჟღერდა: „დროშები, დროშები, დროშები წითელი, წითელზე ფერდაფერ იარარ“! ახდენდა უბრანული ყოფის სტილიზებას – „ელექტრონო, რადიო, პროპელერო“. ლექსში შემოჰყავდა ახალი დროის მშენებელი – „მუშმა, მუშმა, მუშმა“, „მუშის მუშტი ურო“. ვლ. მაიაკოვსკის მარშისებური მუსიკაც იჭრებოდა სტრიქონებში – „მარცხენა... რიგრიგით მარდად. მარცხენა... მარცხენა ამარცხებს“. მაგრამ არც „ H_2SO_4 “-ის „ორკესტრული ლექსალობა“ იყო დავინყებული – „ასეთი მხარეთი მდარეთი გარეტდით კარეტით პარიტეტი. პოეზია ასეთი – ამდენი პოეტი“ („მოხსენება პირველი“, „ H_2SO_4 “).

„ეიფელს დაემუქრა კომინტერნი“, წერდა ბ. აბულაძე („მოგზაურობა“, „ H_2SO_4 “); „მე მინდა ეიფელის კოშკზე ფრიალებდეს წითელი დროშა“, „კოსმიურ სივრცეს გაანათებს ალი კომინტერნის“ – უფრო შორს მიდიოდა შ. ალხაზიშვილი („ამერიკული დუელი“, „ H_2SO_4 “).

პერმანენტული რევოლუციის იდეა, რომელსაც ქადაგებდა ლ. ტროცკი, იმჟამად ფართოდ იყო გავრცელებული და ეს სტრიქონებიც მათი ილუსტრაციაა.

განსაკუთრებით საინტერესოა ს. ჩიქოვანის პოზიცია, მისი აფორისტული ლოზუნგები, როგორც კრედო ქართველი ავანგარდისტებისა, ყველაზე ნათლად და მკვეთრად გამოთქმული:

„დედავ მერნმუნე, სამშობლოში მე ვარ მართალი, მაგრამ ჩემს სიტ-

ყვას ჯერ სახალხოდ არ იჯერებენ“, „მე მინდა სულის და ხასიათის ძირეულად გადმობრუნება“, „დროების ზღვაში კომუნის პოლიუსს ჩვენ ვერ მივაღწევთ, როგორც ნობილე“ (!), „მუდამ ვამბობდი, ნივთი ავაგოთ, რათ გვინდა ლექსში სულის ზეობა“, „იბრძოდეს ლექსი ხუთწლედებში გამუდმებულად, როგორც დამკვრელი და მოქალაქე“, „ქუსლი დავადგი სიყვარულის ხატს, კლასიკურ გმირებს, ეპიკურ ტილოს, მე თვით დავახრჩობ ბულბულიანის ნაჭლექებ ხმას და ჩემ ძველ ტკივილს მე თვით გავხდი დღეს სასაცილოდ“, „ამ საუკუნის მე ვარ საყვირი“, „გაუქმდებიან როგორც ერები ჩვენი გრძნობები და ნიღაბები“(!).

ცალკეულ ლექსთა სათაურები გვაგონებს ვლ. მაიაკოვსკის მოიერიშე, ყოველდღიურ პროზაში შეჭრილ ლირიკას:

„სიმონ ჩიქოვანი გასაწყვეტ თოკზე“, „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“, „მუშათა კლუბი საფრთხეშია“, „ბიუროკრატის შესახებ“, „ბრძოლა რომანტიზმთან“, „ჩემი სიტყვა მემარცხენეობის დისპუტზე“, „მონოდებისთვის“, „მონოდება თავდაცვისათვის“, „ემიგრაციის მწერლებს“, „პოეტის საქმე“.

ვლ. მაიაკოვსკი, რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი უპირველესი მესიტყვე, თავის ჟურნალების ფურცლებზეც იცავდა ფუტურიზმისა და კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. ბუნებრივია, რომ მან ზეგავლენა მოახდინა ქართველ ავანგარდისტებზეც (უფრო ორიენტაციის თვალსაზრისით).

ს. ჩიქოვანი თითქოს ცდილობდა ვლ. მაიაკოვსკის პათოსის, პუბლიცისტურობის ათვისებას („მაიაკოვსკი – დიდი სარდალი“, წერდა იგი). ლექსების ციკლს „ფუტურიზმი და რევოლუცია“ („მხოლოდ ლექსები“, ტფ., 1930) ეპიგრაფად წარუმიძღვარა მაიაკოვსკის სტრიქონები. მაგრამ ლექსები, რომლებიც მსგავსი სტილით დაინერა, ხელოვნურია და ეფექტს მოკლებული, რადენობითაც – საკმაოდ ცოტა. ზოგი მათგანი შემდეგ ავტორმა გადამუშავა და დახვეწა (შდრ. – ილია სელვინსკი).

ახლა, როცა ვკითხულობთ პირველად და რედაქტირებულ ტექსტებს, სრულიად აშკარაა თუ როგორ გაუმჯობესდა ისინი. ს. ჩიქოვანი მართლაც იყო დიდი ოსტატი, რომელსაც შეეძლო ლექსზე ხანგრძლივი მუშაობით სრულყო იგი. თითქმის ყოველი დაბრუნება სიჭაბუკის ნაწერებთან წარმატებით მთავრდებოდა (განსხვავებით ს. ჩიქოვანისაგან, დ. შენგელაია თავის თხზულებათა წახდენის ოსტატი უფრო იყო, ვიდრე გაუკეთესებისა).

ოცდაათიანი წლებიდან რუს პოეტთაგან ს. ჩიქოვანისათვის ყველაზე მახლობელი აღმოჩნდა ბორის პასტერნაკი.

ს. ჩიქოვანის ავანგარდისტულ ლექსებში არაერთგზის იხსენიება „მარქსიზმი“, „ლენინი“, „ლენინიზმი“, „კომუნიზმი“, „ტროცკი“, „ბუხარინი“, „გორკი“, „მაიაკოვსკი“. ლექსიკაც ატარებს თავისთავად ინფორმაციას და იგი კიდევ უფრო აკონკრეტებს ავტორის პოზიციასა და განწყობილებას.

მაიაკოვსკისებური ორატორული პათეტიკა გასდევს ბესარიონ ჟღენტის ლექსებსაც („ქერძაფი“, „დროული“, №2, „ნამდვილი გული“, იქვე, №3; „პლასტო პოემა“, „ლიტერატურა და სხვა“).

4. ფუტურისტული ბგერათჭვრეტა

„ H_2SO_4 “–ის პოეზიაში შეიძლება გამოიყოს სამი ნაკადი – ფუტურისტული, დადაისტური და კონსტრუქტივისტული.

ჩვენ ხშირად ვამბობთ – „ანტილექსი“, „ანტიპოემა“, „ანტირომანი“ – იგულისხმება ტრადიციასთან მიმართებით როგორც მკვეთრად ნოვატორული მოვლენა, ნახტომისებური განვითარების შედეგი.

დრო გაივლის და სიახლენი ტრადიციას შეეზრდება, მის ნაწილად გაფორმდება, იქცევა ევოლუციის ერთ–ერთ ეტაპად. მაგრამ ფუტურიზმი თითქოს წასულის წილ მართლაც ცდილობდა ანტიხელოვნების დაფუძნებას, რადგან მარადიული ორიენტირი – ადამიანი, ადამიანის ფსიქიკა უარყო, შეცვალა იგი მანქანითა და მანქანური ცნობიერებით.

იმ დროს, როდესაც ნეორომანტიკულმა და მოდერნისტულმა სკოლებმა დაიპყრეს პარნასი, გავრცელდა ფრ. ნიცშეს ზეკაცის კულტი, ა. ბერგსონის ინტუიტივიზმი, ზ. ფროიდის ფსიქონალიზი და Homo sapiens უკუიქცა პირველსათავისაკენ, ფუტურიზმმა აბსოლუტური გონება და მისი ნაყოფი – ტექნიკა გამოაცხადა იდეალად, რომელსაც არც სული აქვს და არც ნერვები.

ხელოვნების განადამიანების კონცეფიციასთან ფუტურისტები მიიყვანა კინემატოგრაფმა, კუბისტურმა მხატვრობამ, ე. ზოლას, ე. ვერჰარნის, უ. უიტმენის, ო. მირბოს ლიტერატურული ტრადიციების ცალმხრივმა განვითარებამ და არა მხოლოდ ტექნიკური აზრის პროგრესმა. ფუტურიზმი იყო უფრო თეორიული მოძღვრება, ხელოვნების ორიენტირი და ამით საგრძნობი იმპულსი მისცა მომავლის კულტურას (იგი

ჰგავდა ლაშქრის ავანგარდს, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა).

ცალკეული პრინციპების ზომიერი გაშლა და ტრადიციებთან შერწყმა საინტერესო აღმოჩნდა. ხელოვნება გახდა უფრო რაციონალური, ნაკლებად რომანტიკული, ცივილიზაციის სულისკვეთების გამომხატველი, ინტელიგენტის ცნობიერების შესატყვისი (არაფერს ვამბობთ ტექნიკურ ესთეტიკაზე, სინამდვილის მხატვრულ მოდელირებაზე).

ფუტურისტული ლექსები უნერიათ ნ. ჩაჩავას, ს. ჩიქოვანს, ა. ბელიაშვილს („K15-75.10“, „ H_2SO_4 “), ნ. შენგელაიას („*მოხსენება პირველი*“, „ H_2SO_4 “), დ. გაჩეჩილაძეს („*ქუსლი ქალაქისკენ*“, „*დროული*“, №3). ბ. აბულაძეს („*ხობბა*“ *ფრ*“, „*დროული*“, №3).

მათგან ყველაზე შორს ნავიდა აკაკი ბელიაშვილი. მან ერთ-ერთ ლექსში სიტყვები ციფრებითა და ფორმულებით შეცვალა, საერთოდ ზედმეტად მიიჩნია ენა, როგორც კომუნიკაციისა და ექსპრესიის საშუალება და ნაწერი მათეტიკურ გამოკვლევას დაამგვანა.

სიტყვის ქმნადობით, ბგერათჭვრეტით იყვნენ გატაცებული ნიკოლოზ ჩაჩავა და სიმონ ჩიქოვანი, ზოგჯერ – ნიკოლოზ შენგელაია, ვარლამ ჟურული და დავით გაჩეჩილაძე.

ნ. ჩაჩავას ქაოსური, ტელეგრაფის სტილით ნაწერიდან (ჟურნალი „ H_2SO_4 “), რომელიც მოიცავს მჯელობას, მეტაფორულ სახეს, ნახატს და უჩვეულო ფიგურებად ლაგდება, შეიძლება გამოიყოს ოთხი „ლექსი“ – „*აჯაფსანდალი*“, „*სენტიმენტალიკის შელოცვა*“, „*ხედვირა*“, „*ჩჰშიავადამაია*“.

მათი გააზრება შეუძლებელია ფიგურების, სქემებისა და შრიფტების კომბინაციის გარეშე. ამიტომ ციტირებას მნიშვნელობა არა აქვს. იგი დედნის სპეციფიკას ოდნავადაც ვერ გადმოგცემს (ჩვენს მსჯელობას აზრი აქვს მხოლოდ იმ მკითხველისათვის, ვისაც „ H_2SO_4 “ გადაუფურცლავს).

ავტორი გვართობს, უფრო სწორად, ცდილობს გაგვაოცოს და ასე შექმნას ეფექტი, დაფუძნებული ანტიესთეტიკურ ხერხებზე. ასეთი ლექსი მართლაც „*აჯაფსანდალია*“, გაუგებარი, ბუნდოვანი, რომელიც, როგორც სანაგვე ყუთი, იტევს უამრავ უვარგის საგანს, რაც ამჯერად ანტიპოეტურობის სინონიმია. თითქოს ჩვენ დამსხვრეული ქალაქის ნანგრევებში მივაბიჯებთ. არეულია რითმები. სკანდალი უკავშირდება აჯაფსანდალს, სულეა – დაორსულებას, ცხელი – ცხენსა და უცხოელს. პოეტი, როგორც ვიცით, რომარია, რომელიც „*როშკებს*“ გვთავაზობს.

ამჯერად იგი თავად ნიოგოლ ჩაჩავაა. მაგრამ იგი „უტიფარია“, ე. ი. პოეზიაში „მოულოდნელი კაცი“, რომელიც ეძებს შედარების უცნაურ ანუ ანტიპოეტურ მოდუსს. ცალკეული ბგერები ინვევენ სიტყვებს, რომელთა ჯაჭვი ინსტინქტური აზრია, ხშირად ალოგიკური და ბუნდოვანი:

„ტფილისი ვახედნო როგორც ცხენი, აქ დადის უცხოელი ცხელი. ცხელია ეს ამბავი“ (საყრდენი – „ცხ“, ე. წ. ჰარმონიულ ბგერათა კომპლექსი).

„სენტიმენტალიკის შელოცვას“ უძღვის უზარმაზარი ასო „შ“. ლექსი თითქოს აფიშაა, მოფენილი გაუგებარი სიტყვებით, რომლებიც აღძრავენ შელოცვის ბუნდოვანებას და იდუმალებას, ცხადია, პაროდული თვალსაზრისით. აქაც ფიგურული სქემის გარეშე ლექსი ვერ აღიქმება. ასოები ერთდროულად იწყებენ და ამთავრებენ რამდენიმე სიტყვას, რომელთაც აერთებთ ბგერების ჟღერადობა (*„ოდისებერი ოდისებელი ბერიელა“, „ზოლი ზოლზოლაიდა“, „კბილი ამოსული ქალი ორსული“*).

კიდევ უფრო გაუგებარია *„ხედვირა“* (ე. ი. ცირკი), ხოლო *„ჩჰშიაგადამაია“, „ზაუმისა“* და პლაკატის სინთეზი, კინომონტაჟის პრინციპზეა აგებული. თუ, ერთის მხრივ, იქმნება ასეთი აკუსტიკური ეფექტი – *„იერი-დაბარი იერი ყაბარახე რახალი ხალიბა ხარაბადინი“*, მეორეს მხრივ – იჭრება ლოზუნგი – *„დაიჯერეთ რევოლუციაა“*, ან კიდევ – ანტიპოეტური შედარება – *„გემრიელია ჩემი თავი, როგორც ტკბილისკვერი“*.

ლექსი დაწერილია კინოლენტის იმიტაციით, რომელიც ჩვენს თვალწინ მოძრაობს, მოაქვს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები ანუ საგნები – ფირზე აღბეჭდილი სინამდვილის ნაფლეთები.

ნ. ჩაჩავას ფუტურისტული ლექსები გვახსენებს ცნობილ აზრს, რომ მხატვრული სახე ფორმულით ვერ შეიცვლება, რადგან თავად მასალა, როგორც ფსიქიკიდან ამოსული საგნის სიტყვად მოდელირება, მარად ცვალებადია.

შემდეგ დაირღვა ნ. ჩაჩავას ექსტრავაგანტური სტილი, ზაუმიც უფრო ზომიერი და კეთილხმოვანი გახდა. *„ლიტერატურა და სხვა“* გვთავაზობს პოეტის ორკესტრული ლექსების ციკლს, რომელსაც არ აკლია ბუნდოვანება, მაგრამ ნაკითხვა შეიძლება. მეტწილად მათი გაშიფრვა ვერ ხერხდება, უფრო სწორად – არაფერია გასაშიფრი. რაც უნდა ვეცადოთ, ჩავწვდეთ პირველსაწყისს, რომელიც ასეთი სტილით გამოვლინდა და გაიშალა, აზრს, ამბავს ვერ მივაგნებთ და ხელთ

გვრჩება ფონეტიკური ასოციაციებით შეკრებილი სიტყვა-საგნები.

ისინი ჟღერენ, ხმაურობენ, მოძრაობენ, მაგრამ მათ მიღმა სიცარიელე ილანდება. შეიძლება ამას თავადაც გრძნობდა პოეტი. ამიტომ წერდა მოკლე, ერთ-ორ სტროფიან ლექსებს. მაგ., ლექსი „ხელხვაკი“:

*ტარო უდარო
ტარო უტარო.
ბლერი და სკიპიდარი
ტარო ნასიმიდარი.
ან კიდევ – „ხისმანდური“:
ხვალი
უტირალუ
ინგი
მონალინგი
არჩა
ხაბალარჩა.*

ამგვარ ზაუმს, ბგერათშეთანხმებას, აზრი, როგორც მიზანი, აკლდა. იგი არ იყო მიმართული იდუმალის შესაცნობად ან გადმოსაცემად. პოეტმა ფორმა აითვისა, მაგრამ სათქმელი არ ჰქონდა (ეს მომავალმა უფრო აჩვენა) და ამიტომ გარეგნულ სამოსელს შერჩა.

ზოგჯერ ასეთ ექსპერიმენტს რაღაც ეფექტიც ჰქონდა, როცა უნებლიეთ ვლინდებოდა ლირიზმი. თანხმოვანების განმეორება, გართმული სიტყვები, მეტრი სტიქიურად აღძრავდნენ ემოციას, როგორც მუსიკის ბგერები.

გავიხსენოთ „შანდი და შრომანა“:

*შარდალს შორდება ძილი
ძილდინა გაგულისდა
დღიური ქანდაძილი
მთვარეზე გასულის და
გოგონა მოგონა ხანძარი...*

გაივლის კიდევ მცირე ხანი და „მემარცხენეობის“ ფურცლებზე დაიბეჭდება ნიკოლოზ ჩაჩავას სავსებით ჩვეულებრივი, ტრადიციული ლექსები („ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ“, „თოლიგეს სიმღერა“, „ლაპარაკი შოფერთან პოეტების გასაგონად“), რაც იმისი ნიშანი იქნება, რომ „რევოლუცია“ დაასრულა, მაგრამ ფუტურისტულმა ვარჯიშმა თითქმის უკვალოდ ჩაიარა. ცალკეული სტროფები დამწყები პოეტის ნაწერს მოგვაგონებს („შოფერო, შენ ჯანს მითხარ რა უძავს, მთები

არა აქვს ფეხით სავლელი. ტფილისიდან თუ შორს ძევს ძაუგი, მანძილი ხომ გაქვს შენ განსწავლილი“).

სხვაგვარი იყო ს. ჩიქოვანის პოეზიის ავანგარდისტული პერიოდი, სხვაგვარადვე წარიმართა მისი გზა.

ფუტურისტულ ლექსებში (მათ. კ. გამსახურდია „ეპიგონობის ციკლს“ უწოდებდა) ს. ჩიქოვანი უარყოფს პუნქტუაციას, მეტრს, ლოგიკურ მეტყველებას.

„მე ფუტურიზმი, ბრძოლა, კივილი“, – აი პოეტის ლოზუნგი.

ავილოთ ლექსი „სანაპირო სიმღერა „ხაბო“ (H_2SO_4), ს. ჩიქოვანის ერთ–ერთი პირველი ნაწარმოები. მისი აზრობრივი საწყისია სიტყვა „ხაბო“ (მდინარის ნაპირი, მეგრულად – უფსკრული), რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. ეს ლექსი ისევე ბნელია და იდუმალი, როგორც უფსკრული, რომელშიც გადაიჩეხა ძველი პოეზია („პოეზია ჩვენ დავლენეთ ბორკილებივით“ – აცხადებდა ჭაბუკი პოეტი).

შიშის შეგრძნება, თრთოლვა და ფრუანტელი მოაქვთ სიტყვებს: „ზარიო ზარიო ზარიო რერო“, თითქოს ბედისწერის ზარი რეკავს. სიტყვები ანუ საგნები – „ხრეში“, „მეკობრეები“, „ხიფათი“, „კლდეებს ციცარის“, „ღრუბელი ორმო“, „ურემი“, „კუბრი“, „ვერაგული“, „ნიჩბები“, „ტალღები“ ჩვენ წინაშე შლიან მწუხარე სურათს: მიდის მდინარის პირას ურემი. ბნელი ღამეა ირგვლივ და იგი წყალში ეშვება. ასეთ ტრაგიკულ ამბავს გადმოგცემს ლექსი. მაგრამ პოეტი სულაც არ ცდილობს რეალისტურად აღწეროს ან რომანტიკული ჰეროიზმით გვაგრძნობინოს დრამატული წუთები.

ჩვენ თვითონ სტრიქონებს შორის უნდა ვეძიოთ პირველსაწყისი ფაქტი, რომელმაც შეძრა პოეტის არსება. რადგან „სიტყვა“, როგორც ვიცით H_2SO_4 –ისათვის არის იგივე „საგანი“ და არა სიმბოლური ნიშანი ან სამოსელი, ჩვენ მათ ვაგროვებთ, ვკრებთ, როგორც მიწიერ სიგნალებს, რომლებმაც ფლერადობით, ორკესტრივობით უნდა გადმოგვცენ და გვაგრძნობინონ უბედურება. ბუნებრივი ენა გადადის „ზაუმში“. ბგერები ინვევენ ბგერებს. „ხაბოს“ მოსდევს „ხარბი“, „ხორავი“, „ხრეში“, „ხარდინგი“. მაგრამ არ იხსენიება „ხარი“. იგი ჩვენს ცნობიერებაში აკუსტიკური ხატებით შემოდის. ლექსი ემგვანება სიმფონიას, რომელშიც საგნები ფლერენ და ლაპარაკობენ სამყაროს ენით, ე. ი. ბატონობს ხმაური, შრიალი, სისინი, არა ადამიანთა ენა, არამედ – ბუნების იდუმალი მეტყველება (გავიხსენოთ „მიბაძვა ხეების შრიალს“).

ხ, ლ, ბ, გ, ზ, – აი სტიქიის მიერ მოგვრილი თანხმომავანი ბგერები, რომლებიც სიტყვად ქცევას ლამობენ. ლექსი – ორკესტრი გვაგრძნობინებს ჯერ ხიფათის მოახლოებას („*მეკობრეების ხიფათს აბრუებს ხაბო ხარები აბრეშუმის ხორაგი ხაბო რაგუ ხრეში ხარდინგი ხაბო*“). შემდეგ ურემი ვარდება მდინარეში, ტალღები იგრაგნებიან, მძლავრობს სტიქია („*გურაგელი მორგვი ბორგვი ვერაგული გურაგელი ქუფური მორბო კუბრი გურაგელი შორი შური გვიმბრა იმბრო*“).

შემდეგ წყნარდება ყოველივე, აღარ არიან ხარები, მეურმე, ურემი. ჟღერს მხოლოდ ქორო: „*ხიფათი ხაბოს ორბები ხაბოს ხარდინგი ხაბოს ზორომი ზორომი ღრუბლებს ანღრეულს კლდეებს ციცაბოს*“.

თითქოს ამავე ლექსის ვარიაციაა „*მეკამერების ურმული*“ („*ლიტერატურა და სხვა*“), ისეთივე ორკესტრულობა, ბგერებით აღძრული სიტყვა-საგნები (ფუტურისტული ტერმინოლოგიით – „*ნივთები*“), იდუმალების სამოსელი.

ცხადია, ასეთი „*ურმული*“ არ არსებობს. პოეტი ამ სიმღერას ახლებურად თხზავს. შემოაქვს მეგრული სიტყვები („*დო*“, „*თხომური*“, „*მოტობა*“), იღებს ბუნებრივ ენას („*სიმინდს დაღერლილს*“, „*კოპიტის მამალი კამერებს მიყვის*“), ბგერათა ასოციაციებით ხლართავს ჯერ გამოუთქმელ სიტყვათა ქსელს, ურთავს რითმებს (კამერებს – აბეჩებს, ნაბიჭარს – ზღარბი ჭამს), რათა ასე აღვიქვათ ნისქვილიდან მობრუნებული მეკამერეების ურმული, ურმის ზოზინი, ენგურის ჭალები, ღამის სიბნელე.

მაგრამ ერთია ორკესტრირება, ხალხური სიმღერის სტილიზება, მეორე – თავად შინაარსის, სიუჟეტის პოვნა, საამისოდ კი უნდა გამოეყოთ ცალკეული სიტყვა-საგნები („*ღერლილს მოროშინლს, სიმინდს დაღერლილს*“, „*ზიზურერო-რო, დო ზირურე*“, „*აბედი ურმების*“, „*მუხების რკო, ენგურის ირემი, ენგურის ორბები*“, „*ძაღლები კამერებს უყეფენ*“, „*მამალი კამერებს მიყვის*“), რომლებიც თანმიმდევრულადაა განლაგებული.

ერთი წუთით უნდა დავივიწყოთ ორკესტრული სიტყვები, ვწვდეთ ძირეულ მინიერ სანყისებს, რაც მიგვიყვანს კონკრეტულ საგნებთან. ასე აღდგება ის მასალა, რომელმაც პოეტი შთააგონა. ერთი სიტყვით, ერთმანეთისაგან უნდა გავთიშოთ რეალური და გამოგონილი.

მას შემდეგ, რაც შიფრი გაიხსნება, იდუმალი პირველშრე გაცნობიერდება, შეგვიძლია დავურთოთ ორკესტრული ორნამენტურა და ერთ მთლიანობად აღვიქვათ ლექსი. იგი, პირველ ყოვლისა, სმენი-

თი ასოციაციებით აღძრული ხილვადობაა. სურათს კი არ ვხედავთ, არამედ – ჟღერადობით განვიცდით. რიტმული ჟღერადობა (და არა მელოდიურობა) ჩვენს სმენასა და მეხსიერებაში აღადგენს იმ ბუნებრივ ლანდშაფტს, რომელშიც ნივთები ხმებად ქცეულან და სივრცეში მოძრაობენ. მაგრამ ასეთი ლექსი არ ეფუძნება კლასიკურ მუსიკის ჰარმონიას. იგი მისი რღვევა და უარყოფაა, შეგნებული, უხეში სტილიზება გარემოს ხმაურისა, არა დახვეწა და დანმენდა, სინატიფე და სიფაქიზე.

ამიტომაც გვახსენებს ავანგარდისტულ მუსიკას, რომელშიც ტონალობას ცვლის ატონალობა, ჰარმონიას – დასჰარმონია. მათ ხომ აერთებდათ შორეული სანყისი, პირველდედა, საიდანაც სხვადასხვა მიმართულებით წამოვიდნენ.

ალბათ ს. ჩიქოვანის ფუტურისტულ ლექსთაგან ყველაზე ცნობილია „ცირა“ („ლიტერატურა და სხვა“). პირველნაბეჭდში მას ეწოდება „პრიმიტივი სიმღერის მასალა“, რითაც ეხმიანება ცნობილ თეორიას, რაც ზემოთ ვახსენეთ (სხვათაშორის, ეს ლექსი ბრწყინვალედ წაიკითხა პოეტის სალამოზე ს. ჭიაურელმა და წუთიერად ყველას აგრძნობინა მისი დიდი ძალა). ალიტერირებულია ბ და ც ბგერა. ისევ უნდა ვეძიოთ პირველადი იმპულსის აღმძვრელი სიტყვები, როგორც ლექსის კოდი ანუ სქემა. ესენია – „ცირა“, „ბადე“, „ცა“, „ხიდბოგირი“, „მდინარის პირას ცხენების მოცდა“, „რომ მიყევხარ გაბუტული“.

ჯერ მაქსიმალურად უნდა გამოიყოს ბუნებრივი სიტყვები ზაუმი-საგან, რათა შინაარსი გავიგოთ. ბ ბგერის ალიტერაცია უკავშირდება ბადეს. ქალი ჩაიმუხლება მდინარის პირას: „ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს“ – თითქოს კუბისტური სურათი – შინაგანის გამოტანა და გარეგნულის დეფორმირება (შდრ – როგორ დაინახავს ფრაუ შოშას სხეულს რენტგენში თომას მანის ჰანს კასტორპი) და წყალში ბადეს აგდებს („აიდა, ბაიდებს აიდო ბაიდებს“, „შორს ბაიდით გადაფრინდი“, „უდე ბუდე უდევეს ბადე“), რაც იწვევს ფრინველების გადმოფრენის, ობობების სმენა-ხილვად ასოციაციას (ბადე – ობობას ქსელი).

ც ბგერის ალიტერაცია წარმოსდგება ცირასგან (მეგრ. – ქალიშვილი) და უერთდება ცას, რომელიც თავის მხრივ, აღძრავს სიტყვა-საგნების მთელს გამას („ცაკუთხური“, „ცაკუთხედი“, „ცისბოკონი“, „ცისადგამი“).

ასე ვიგებთ, რომ ქალი ცისფერთვალაა. მაგრამ ალიტერაცია გრძელდება, ჩვენს წინაშე ქალის პორტრეტი სულს იდგამს. იგი ნაბ-

როგორც დეპეშო შესაპურობი, კვამლის **ბულ გული**

ღმერთებს გაუგზავნეთ, კომკავშირის რაკეტებით წვერებ მებრუნ-
სულს.

ის ჩაეპარა მოგზაურის გახსნილ ჩემოდანს
და გამბურავით ხომალდებში გახდა მატრასი. ■
იქ უმოწმობით ლებულობდენ წინეთ გიორტეს ■
ესლა დიდებით გაუსწართ მავგენს უნიტას.
თქვენი ქვევრი გავს ფრანგულ დეკადანს
აიღეთ ხმა! შეხამებაში ექსპრესები უნდა კიოდეს
და სადგურებში აგროვებდენ მარკანეციტ შემასკულ ნეგრებს ■
ველოდით მერცხლებს იპოდრომზე როგორც კანცლერებს
რომ უფლებებისთვის კვლავ ებრძოლათ ჩვენში ფრინველებს ■
და ცილინდრივით რომ დაეადგი ცირკულების წვერზე კვარტალი ■
შრიალი შორს

შარები რუმ ■
როგორც ტრიბუნაზე რუპორი ტროცკის
გოგირდის გულით საპროტესტოთ დადგა ქალაქი ■
და გასაფრენი ბურთების ქერქში
დაღვარა ბორჩში—მზემ აგებულმა კომისის შამფურზე ■
მარსზე რადიო დაპკრავს კამერტონს
ქუხლის ლურსმნებზე ვგარძნობ ვადმოცემას.

აგტირდება კუხო დედის რძე
ავეტრალიერ მუშების ბიკეით ■
ევეანი ბორბლებს—რეზინის რაფა
და იუნკერის კარბირი კერძოთ.
ავეტრალიერ ცირკებში ბოკსი,
არტლეკინებში კოზირი რეკავს ■
მაიმუნები ლეკავენ რკინებს—სურთ გამოგვიდგენ ძველი **დროვებით**

დრო გვაქვს პლაკატებით გავაწითლოთ ორრგი ჩიკაგო
ისერის თანჯრები შრაპნელებით და კირბებით სიმონ ჩიკოვანს ■
ღრუბლების ბატებს—სუფრაფისტებს ცის მოედნების
ბრძანება ქონდეთ ამ ბრძოლებში სისხლი დაღვარონ ■
ზურგიდან ვაგებ ლიანდაგებს დარტყმით. ზებელოს.

მისდევს პროსპექტი როსკიპების გრადუსები, ცეცხლის ცეპელინს
და მოტორების ელექტრონის გამგებ მაკრატლებს,
მხტუნავ აივნებს კაბინეტთან გრაფის მტრედებით,
რეგისტრატორებს ნახშირების, კურორტების გამხდარ ლეგალებს,
ბიბაბოების კონტრბანდებს, ბანდეროლით გამძღარ მაკლერებს ■
ბურთაშის ბურღი—რევოლიუციის შტამპი დაერტყეს ■

აღფავიეტებთან შეტაკება შაროშარების
ბუზივით მოსჩანს კუნძულები—გრაფიკაში საგნების ჯადე.
ცეკვლინ **ბობბრ**—ჩიკაგოების ექსკურსანტი ფერფლის მოტორი ■
დავასრულოთ რიტორიკა ■
კოპერატივი როშარების „**ბუტა**“

36

ჟურნალი "H₂SO₄"

ლისფერთმიანია, გრძელწარბა („*ცირა წარბი, ცირა წაბლი წარბენი-ლი*“), „*თხელი, როგორც ჩაფარი*“ და კატასავით მოქნილი („*ცირა ციბა*“ – „*ციბას*“ მეგრულად კატას ეძახიან). ცირა მდინარის ტალღებს აყოლებს თვალს და მზერა ზღვისკენ გარბის („*სცურავს ზღვაში ცამებუ-ლი გემებს მოაქვს იალქანზე ცაბოკონი*“). ჰორიზონტი ცას უერთდება („*ცისბოკონებს გამოხედე*“). ბადე ისევ ირხევა წყალზე („*უდევეს ბადეობობამდე*“). მაგრამ მდინარე ცირასათვის თევზს არ იმეტებს („*გამო-გული შორს ბაიდებს, რომ მიყევხარ გაბუტული*“). გულდანყვეტილი ქალი ისევ წყალში აგდებს ბადეს და რეფრენი ხელახლა მეორდება, ისევ თავიდან იწყება ცდა და ლოდინი.

მას შემდეგ, რაც ამოიხსნება სიუჟეტი, შინაარსი, ხელახლა ვუბრუნ-დებით ტექსტს და ამჯერად ვკითხულობთ როგორც ლექსს, რომელსაც ანალოგიათა ჯაჭვით და ბგერითი ასოციაციებით თხზავენ და რომლის ორკესტრულ ჟღერადობას დირიჟორობენ ც და ბ თანხმოვნები.

გავიხსენოთ კიდევ ერთი სპეციფიკური ნაწარმოები – „*გული – სა-გულე და გადაგულება*“ („*დროული*“, №1).

მას ლექსი აღარც პირობითად არ დაერქმევა. იგი აგებულია „*გულ*“ ფუძიანი სიტყვების დაჯგუფებაზე, ზაუმის დართვით: „*გულზე – გულ-ხეობა. გულხევა – გულწყრობა გულწყრო გულიდაგული – გულქვა გამწყრალი ააგულო საგულეა მიგულე ეგოულო გამომშრალგულო – ეგულო*“ და ა. შ., რომელთაც აერთებთ რამდენიმე ზმნა. სიტყვები მეტწილად ეპითეტებია. ისინი ხაზს უსვამენ გულის თვისებებს, მდგო-მარეობას. მაგრამ ამასთანავე ფუძისეული სიტყვა განუწყვეტლივ მეორდება, თითქოს გულივით ძგერს და მისი რიტმი გასდევს ტექსტს პირველიდან ბოლო სტრიქონამდე.

და მინც – იგი უფრო მეცნიერული კვლევის შედეგია, ვიდრე ოცნე-ბისა და შთაგონებისა.

ამდენად – ავტორის ძიება საინტერესოა, მაგრამ არა გრძნობის, ემოციის აღმძვრელი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ს. ჩიქოვანის „*გულ*“ ფუძის შემცველ სიტყვათა დაჯგუფება წინ უსწრებს არნ. ჩიქოვაძასა და ალ. ფრანგოშვილის ცდებს – მისი მეშვეობით დაედგინათ ქართუ-ლი ფსიქიკის, ხასიათისა და ტემპერამენტის სპეციფიკა.

აქ ისევ უნდა გავიხსენოთ რუსი „*ზაუმნიკები*“. მათ ლექსებში ნე-ოლოგიზმებს და საერთოდ სიტყვებს იწვევს ცალკეული ბგერის მკვეთრი (არა უსათუოდ კეთილხმოვანი) ალიტერირება, რასაც სიტ-ყვის მუსიკას ანუ ორკესტრირებას უწოდებენ. სტიქიურად ჩნდება

შიდა თუ გარე რითმებიც, რომლებიც ასოციაციურად აღძრავენ ახალ სიტყვებს:

*В недрах дикий гудрон гудит –
ГУ-ГУ-ГУР...
Гудет земля, зудит земля...
Зудезем... зудезем.*

(ა. კრუჩონიხი).

ლექსის სანყისია „გ“, „დ“, „ზ“ ბგერების განმეორება და მონაცვლეობა, „*зуд*“, და „*зуд*“ ძირებიდან წამოქმნილი ლექსიკა (გავიხსენოთ ა. კრუჩონიხის ე. წ. „*Сдвигология*“²⁰).

ერთი ძირის სიტყვების ვარიაციას ხშირად მიმართავს ვ. ხლებნიკოვი – მათემატიკოსი, ლინგვისტი და პოეტი-ექსპერიმენტატორი²¹:

*Смейво, Смейво,
Усмей, осмей, смешики, смешики,
Смеюнчики, смеюнчики,
О, рассмейтесь смехачи!
О, засмейтесь мехачи!*

(ამ ლექსს ეხება ჟ. დოლობერიძე „*H₂SO₄*“-ის ფურცლებზე).

ვლ. მაიაკოვსკი, რომელმაც ხლებნიკოვის პოეზიისაგან თავი დავალებულად მიიჩნია, ხოლო კრუჩონიხს უწოდა „*Бука русской литературы*“, ანალოგიური ხერხითაც აღწევდა სიტყვის ორკესტრულ ჟღერადობას:

*Жаром
Жженьем
Железом
Свехом –
Жар
Жги
Режь
Рушь („150.000.000“)*

ვ. ხლებნიკოვის აზრით, ზაუმი იყო მომავალი მსოფლიო ენა და მხოლოდ მას შეეძლო ხალხების გაერთიანება, ხოლო ა. კრუჩონიხი აყენებდა კითხვას – ზაუმი მომავლის ენაა თუ წარსულისა (ბარბაროსობა, პრიმიტივი)²².

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიმართება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, რომელსაც ახალგაზრდა პოეტმა არაერთი ლექსით

მიმართა. გარდა ამისა, ცალკეული ლექსებით გაეხმაურა სხვა კლასიკოსებსაც (უნდა ითქვას – წარუმატებლად). საკმარისია სათაურების დასახელებაც: „სევანის ანუ გოგჩის ტბა“, „ბულბულიანი“, „საიდუმლო ბარათი“, „მყინვარი“ (სამი ლექსი).

მიბაძვა, გაჯიბრება, კამათი, – აი მათი თემა.

აქ ერთდროულად ისახება ორი ხაზი – უარყოფისა და მიღებისა. შეიძლება იმიტომ მიმართავს ნ. ბარათაშვილს ასე ხშირად, რომ იგი ყველაზე დიდი ქართველი რომანტიკოსია, რომლისგანაც იღებს სათავეს შემდეგი ხანის სევდის, ფიქრისა და ოცნების პოეზია.

ჩანს, ს. ჩიქოვანს იგი მიაჩნდა მოდერნისტთა, განსაკუთრებით – სიმბოლისტთა წინამორბედად. მაგრამ თავადვე ცდილობდა ისე აესახა დღევანდელი გარემო და ადამიანი, როგორც ეს საუკუნის წინათ ნ. ბარათაშვილმა შეძლო, რათა ძველი რომანტიკა ახლით შეცვლილიყო.

გარდა ამისა, ს. ჩიქოვანის ტემპერამენტისა და სტილისათვის მახლობელი იყო. ნ. ბარათაშვილის ინტელექტუალიზმი, ცნობიერების პოეზია, არამუსიკალური ლექსი. განა ტყუილად წერდა იგი: „და შენი სისხლი ჩემს ძარღვში რომ დგას შთამომავლობას მე დავუმტკიცებ“.

სიკვდილის წინაც თვალდაშრეტილ პოეტს თავზე ბარათაშვილის აჩრდილი ედგა, მის ტანჯულ სიცოცხლეზე ფიქრი აწვალებდა.

საგულისხმოა „ქარბორია“ („მემარცხენეობა“, №1), როგორც ქროლვის მოტივის ახლებური გააზრება, ფუტურისტულ ასპექტში დანახული მერანის თემა. ლექსი მთლიანად დაქტილურ რიტმს ეფუძნება:

ფაფარი, ფუნჯირი ფარდული, ორველი ცხენების.

გაფრინდი, მერანო, მერგილი, შორიდან მინდორს და ნალიებს!

*გქონოდეს, ულაცო, ფეხბურთში სიმაგრე, და მჭედლის ცხონება –
ადრინდე გაფრინდი, გაშორდი რიჟრაჟს და გზას მოინანიებ.*

პოეტი იყენებს ნაკლულ რითმებს (ცხენების – ცხონება, ადინა – მოდენის, ებიონს – ბებია, აუგი – დაუგებს). როგორც ვიცით, ს. ჩიქოვანის პირველი ლექსები რითმის უარყოფაცაა. ამჯერად იგი ღებულობს რითმას, მაგრამ არა ტრადიციულს, არამედ – მოდერნისტულს, რაც იმას ნიშნავს, რომ თანდათან ლექსში ბრუნდება რითმა. ხოლო რაც შეეხება ნაკლულ ფორმებს, ეს შეგნებულადაც არის სტილიზებული. ამ ტენდენციას მემკვიდრეც გამოუჩნდა. მაგ., ლია სტურუას არაერთი ლექსი ემყარება ასონანსებს, დისონანსებს და კონსონანსებს.

„მე ვარ მერანი“, წერდა ფ. ლოლობერიძე. ხოლო ბ. აბულაძე ქროლვის მოტივს უკავშირებდა ქორის ფრენას („ხოტბა „ფრ“, „დროული“,

№3), რომელსაც ელექტრონი აედევნა. ლექსი ორკესტრირებულია, მაგრამ „ზაუმის“ გარეშე:

*ღრუბლის ბუმ-ბუმებს და ქარის ბორბალს
ცის უნავირი, ცხენის თოქალთო
შორს გადმორეკენ ღრუბლის შოლტებით
ცისფერ ტილოზე ჩიტებს დანაფრთხობს.
აფრინდი ქორო!*

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილმა, „მერანის“ თემამ საკმაო იმ-პულსი მისცა ქართველ ავანგარდისტებსაც.

ს. ჩიქოვანის ადრეული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისე-ბაა ანტიფსიქოლოგიზმი (თუმცა თავად აღნიშნავდა, რომ უარყოფდა არა ფსიქოლოგიზმს, არამედ – დრამატიზმს). იგი საგნების განლაგე-ბით, ნივთების აჟღერებითაა გატაცებული, რომლებიც გარს აკრავს ადამიანს, ზემოქმედებს მასზე, უცვლის ფიქრსა და მიმართულებას, მაგრამ თავად სუბიექტსა და მის არსზე არაფერს გვეუბნება.

ადამიანი ასეთ დროს ჩანს გარეგნულად, როგორც კონსტრუქცია, როგორც მექანიზმი. მისი ნუხილი, სულის განგაში, სიხარული, ვნე-ბა, ოცნება ყურადღების მიღმა რჩება („*კიბერნეტიკის მამა*“ ნ. ვინერი მანქანასა და მოაზროვნე არსებას განასხვავებდა ფანტაზიის უნა-რით, რაც ახლის შექმნის წყაროდ მიაჩნდა).

პიროვნება თითქოს ერთი გრანდიოზული მანქანის ქანჭიკია, რო-მელსაც სამყარო ჰქვია. ასეთ ლექსს იდეა, იდეის განვითარება, აზ-რის დომინანტი განსაზღვრავს. მაგრამ აკლია სულის სიღბო, სითბო, სინაზე, ერთი სიტყვით ის, რასაც „*ადამიანური*“, „*ჰუმანური*“ ეწოდება („*მექანიზმია ჩემთვის ყველა ადამიანი*“, წერდა პოეტი). ლექსის ფსი-ქოლოგიური ნიუანსირება შეცვალა ლოგიკურმა განსჯამ, ორატო-რულმა პათოსმა, რაც ასე აუცილებელი იყო აგიტაციურ-პროპაგან-დისტული პოეზიისათვის.

იქნებ იმიტომაც უბრუნდებოდა ასე ხშირად დ. გურამიშვილისა და ნ. ბარათაშვილის ლანდებს, რომ მის პოეზიას აკლდა სევდა და ნალ-ველი, როგორც ადამიანური არსებობის ყველაზე ბუნებრივი ხვედრი („*ხომ დაილუბა სამშობლოში ბარათაშვილი – დე, დაიკვილოს ჩიქოვან-მა ცივ აკვანიდან*“), რამაც საბოლოოდ ფსიქოლოგიზმის აღიარებამდე მიიყვანა, თუმცა ლოგიკური აზროვნების სტილიც შეინარჩუნა.

ანტიფსიქოლოგიზმი ნათლად გამოვლინდა, აგრეთვე, ორატორუ-ლი ტიპის ლექსებში, რომლებითაც ს. ჩიქოვანი ვლადიმერ მაიაკოვს-

კის ენათესავება (მიუხედავად არაერთი გაცხადებებისა, ს. ჩიქოვანი-სათვის დადა მახლობელი არ ყოფილა).

5. იდიოტიზმის აპოლოგია

მას შემდეგ, რაც დაიწყო რღვევა ლექსის კლასიკურმა ჰარმონიამ, აზრსაც გაუჩნდა ბზარი. პოეზია ყველა მიმართულებით ისწრაფოდა, ყოველგვარი მასალის დამორჩილებას ცდილობდა – არისტოკრატიული სალონები და ჭუჭყიანი ქუჩა, ჯანმრთელი სული და სნეული ფსიქიკა, რითმის კულტი და ვერლიბრი, რელიგია და უღმერთობა, ადამიანი და მანქანა, რაფინირება და მსხვერვეა. ლიტერატურა ციებ-ცხელებამ მოიცვა. თითქმის ყოველი პოეტი სკოლის შექმნის, მხატვრული აღმოჩენის, გუნდის ლიდერობის მანამ შეიპყრო. ასე გაჩნდა დადაიზმიც, როგორც უცხო კუნძული, პოეზიის რუკაზე.

თვლიან, რომ მისი საწყისი იყო კუბიზმი და ფუტურბიზმი.

უკვე ითქვა, რომ დადა ბავშვის სათამაშო ხის ცხენს ნიშნავს (ლექსიკონის გადაფურცვლისას მასზე სრულიად შემთხვევით შეჩერდნენ ტცარა, იულზენბეკი და არპი. თარიღი – 1916 წლის 8 თებერვალი. სხვათაშორის, ტრისტან ტცარა მაშინ ოცი წლისა არც იყო).

თითქოს პოეტი უნდა დასულიყო ბავშვის ფსიქიკამდე და მისებრ ელულლულა. აქ უეჭველად იყო ნაპოვნი სწორი ნიუანსი – მიამიტობა ემოციის თანმხლებია, საპირისპირო ლოგიკური ცნებისა. ბავშვის ფსიქიკა სწორედ ყველაზე ახლოა წინაპართა სამყაროსა და სიცოცხლის იდუმალებასთან, ბუნებრივი, უშუალო, გულუბრყვილო. მაგრამ დადას მიზანი არ იყო ბავშვის ფსიქიკის წარმოდგენა, არამედ – ლოგიკური ცნობიერების ბავშვური ამეტყველება, ე. ი. მკაცრი, ცხოვრებისეული მასალის მიამიტური სტილიზება, რამაც წარმოშვა ირონიის, არასერიოზულობის ეფექტი.

პიროვნება ავლენს დიდ ცოდნას, გადმოგვცემს არაბავშვურ მასალას, ცნებებს, ტერმინებს, მაგრამ თითქოს შეგნებულად თავს ისულელებს, იდიოტს ემგვანება. დადაისტური ლექსი ამ გათიშვის ნაყოფია, ეს მისი მთავარი სტილური ხერხია, რითაც სხვებისაგან განირჩევა. იგი არაა იუმორი, სატირა ან სარკაზმი, შეგნებულადაც არაფერს ბაძავს, ინტელექტუალობაც საგრძნობია, მაგრამ მთლად არც ჭკვიანურია, თუმცა მახვილ დაკვირვებებსაც შეიცავს.

ასე რომ, დადა დგას ლოგიკური ჭვრეტისა და პოეტური უშუალო-ბის ზღვარზე. იგი მოგვაგონებს იმ წიგნიერი ადამიანის მეტყველე-ბას, რომელსაც განსჯის უნარმა უღალატა, ოცნებას რომ კარგა ხანია თავი მიანება, მაგრამ ფხიზელი მოაზროვნეც ველარ გახდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ავლებენ პარალელს დადაიზმსა და კიბერნე-ტიკულ პოეზიას შორის²³.

ასეთი სტილი უკვე თავისთავად არის შებოჭილი, გამაღიზიანებე-ლი, როგორც ერთი, ისიც ხელოვნურად შექმნილი, ფსიქიკური მდგო-მარეობის უსასრულო ვარირება. იგი სულის ირონიულ-ცინიკური მოძრაობის არაცნობიერი ფიქსირებაა, საიდანაც წარმოსდგა სიურ-რეალიზმის „ფსიქიკური ავტომატიზმი“, მოტივირებული ა. ბერგსო-ნის ინტუიტივიზმითა და ზ. ფროიდის ფსიქოანალიზით (რომელსაც ანდრე ბრეტონი, როგორც ექიმი, კარგად იცნობდა). მაგრამ ერთი რამ ცხადია – დადაისტური ლექსის ავტორი განათლებული პიროვნებაა. იგი თამაშობს კულტურით, მისი მეშვეობით ერთობა, რასაც საბო-ლოოდ მოჰყვება ნიჰილიზმი და ცინიზმი. მათი აღიარება ადამიანურ არსებობას აბსურდად წარმოგვიდგენს, სიცოცხლისათვის ბრძოლას – აზრდაკარგულად.

ყველაფერს ერთი მნიშვნელობა დაესმის საყოველთაო არარაობის წინაშე. ასეთი პესიმიზმი აღარაა ტრაგიკული, აღარ იძლევა ენერ-გიას²⁴.

ა. ბრეტონის აზრით, „*კუბიზმი იყო ფერწერის სკოლა, ფუტურისმი – პოლიტიკური მოძრაობა, ხოლო დადაიზმი არის სულის განსაზღე-რული მდგომარეობა*“. დადას ერთ-ერთ მანიფესტში ნათქვამია: „*წარ-სულის მოსპობა არის დადა, მომავლის მოსპობა არის დადა, მესხიერე-ბის მოსპობა არის დადა... აბსოლუტური, უდავო რწმენა ყოველგვარ სტიქიურ, უშუალო სურვილს*“.

მსოფლიო სისხლისღვრით თავმოებურებული, განამებული თაობის ხმა მოგვესმის ლუი არაგონის სტრიქონებიდან: „*არ გვჭირდება არც მხატვრობა, არც ლიტერატორები, არც სკულპტორები, არც რელი-გია, არც რესპუბლიკელები, არც როიალისტები, არც იმპერიალისტე-ბი, არც ანარქისტები, არც სოციალისტები, არც ბოლშევიკები, არც პოლიტიკა, არც პროლეტარიატი, არც დემოკრატები, არც არმია, არც პოლიცია, არც სამშობლო – კმარა ყველა ეს სისულელე. არ გვინდა არაფერი, მეტი არაფერი. არაფერი, არაფერი, არაფერი*“.

1923 წლისათვის დადა სიურრეალიზმში გადაიზარდა, რომლის ლი-

დერები იყვნენ ა. ბრეტონი, ლ. არაგონი, ფ. სუპო (ობიექტური მიზეზების გამო ეს არ მოხდა საქართველოში).

დადაისტური ლექსები უწერიან პ. ნოზაძეს, ყ. ლოლობერიძეს, ა. ბელიაშვილს, ნ. შენგელაიას, ბ. გორდეზიანს („DADA“; ; „ბენო გორდეზიანი ასე ფიქრობს ლიტერატურაზე“, „დროული“, №2), ბ. აბულაძეს („მოგზაურობა“, „ H_2SO_4 “; „მელანხოლია“, „ლიტერატურა და სხვა“), შ. ალხაზიშვილს („ამერიკანული დუელი“, „ H_2SO_4 “, „100“, „ლიტერატურა და სხვა“).

ზოგი მათგანი დაბეჭდილია ფუტურისტული „ტიპოგრაფიული რეკლამაციის“ პრინციპით.

ლექსის სტრუქტურასთან ერთად ირღვევა არსიც. „გულმოსულმა შეყლაპეთ თოლხო გაზაფხული“, ურჩევს მკითხველებს ბ. აბულაძე; ა. ბელიაშვილისათვის ირონია სანებელია, რომლითაც აფასებს იგი თავის პოეტობას. ირონია მეტწილ ნარმართულია საკუთარი პერსონისაკენ: „ვარ ნაღდი როგორც იაგორას სასწორზე აწონილი გვირვანქა ხურმა და ცხვირი მაქვს გენერალ ბავრაციონისა, რომელმაც იგრძნო ნაპოლეონის სიმორე თავის ცხვირით“; შ. ალხაზიშვილისათვის მთვარე ნიკოლოზია, რომელიც შავ სახრჩობელაზე ჰკიდია; ბ. გორდეზიანი ლექსებს წერს წამნამებით, ხოლო ცხოვრებას ყნოსავს ჯიბიდან. მას ორი რამ აწუხებს – ლექსი და საკუთარი თავი.

პავლო ნოზაძის „დადა და ქინძისთავი“ („ H_2SO_4 “) დაწერილია თავისუფალი ლექსით, პუნქტუაციის გარშე, რათა ასე წაეხატა ერთმანეთს გროტესკული, ცინიკური ასოციაციები, ქინძისთავზე ფიქრით აღძრული, ქინძისთავზე წამოცმული, რადგან იგი ახსენებს ჩაპლინს, სუპოს, კრუჩონისს.

სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან, შეიძლება ითქვას, არცნობიერი იმპულსებით, რომელთა გააზრება შეუძლებელი ჩანს. დღევანდელი მკითხველისათვის ეს არის ფრაზების დომხალი, რომლის მხატვრული გამართლება შეიძლებოდა თუ მათგან გამოსხივებული ენერგია ჩვენ ემოციურად განგვანყობდა, ფიქრს ალგვიძრავდა, ჩავგითრევდა თავის მდინარებაში. ამ ქაოსს მაშინ ჩვენვე მივანიჭებდით წესრიგს, გავიზრებდით საკუთარი სულიერი ღელვის კვალობაზე. ცივი საგნების ნაკადი იშლება და იფანტება. მარტოოდენ ფორმალობა აქაც მარცხის მომტანია. ხოლო სტრიქონების მიღმა გახედვა, სიღრმეში წვდომა ფუჭია, რადგან სიცარიელეში ვეშვებით:

მე შემოვხაზე ბრწყინვალე გეგმა ქუჩის
ორჭოფობა საკაზმავათ არ გამოდგება
იმედი დაიკარგებოდა შიკრიკის კვალში
შევიტანეთ სასახლეში სადაც ყველა ნაცნობი იყო
მხეცი აყანყალდა
ოთხი ფეხით
ფაშვით ბუზივით
და მოგვახსენა დეკლარაცია.

ასევე უნდა შეფასდეს „პატრიოტიზმი“ და „მელანხოლია მეცამეტე-
ჯერ“.

„ H_2SO_4 “-ის ფურცლებზე დაიბეჭდა ჟანგო ლოღობერიძის დადაის-
ტური ლექსების მთელი ციკლი („პირდაპირ შებრუნებულათ“, „ჟანგო
დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“, „თეორიები“, „კანტორა“, „კომ-
პოზიცია მე–ბოდის“).

მართალია, იგი ვერ ჯობნის ტ. ტაბიძისა და გრ.ცეცხლადის ანალო-
გიურ ყაიდის ნაწერებს, მაგრამ მაინც საგულისხმოა. ხუთივე ლექ-
სი ვერლიბრია, რითმებისა და მეტრისაგან თავისუფალი. ავტორი
გვაოცებს ექსცენტრული სახეებით („გაიკეთეთ გული პამიდორის“,
„ჰაერს ვავხადეთ ტყავი“, „გულზე დამადვით ტყავის უნავირი“, „ვარ
აღელვებული როგორც დილით ძროხის ნაჭერი“). მართლაც წერს პირ-
დაპირ და შებრუნებულად, რომელშიც სხვადასხვა საგნები ლაგდება
ასოციაციებით. დაცილებული სიბრტყეები ერთმანეთს წამიერად ერ-
წყმის ისე, რომ ლოგიკური კავშირი მაქსიმალურად დაირღვეს.

ალოგიზმი იწვევს ირონიასა და ლიმილს – იმედის, მოლოდინის
გაცრუების გამო. კადრების ცვალება, ერთმანეთზე უეცარი წაფენა
გვაძლევს სინამდვილის აჩონჩხილ სურათს, კუბისტური ნახატის ანა-
ლოგიურს („თუ ხბო მაკლია ტროტუარზე არ იზრდება კარგი ბალახი
ამერიკაში მიყვარს ტიპ–ტოპ და ორი ბოძით მივემგზავრები ჩემი კბი-
ლის ამოსათხრელად“).

აი, ჟანგო მიაბიჯებს ქუჩაში. მას ებრძვიან თამბაქოს ტრესტი, დამ-
ფუძნებელი კრება. ჟანგოს კი უნდა გახსნას საპნის ქარხანა. ამიტომ
შეშინებული ხალხი ხეზე არბის. იგი იღებს კათხას, რათა „პროსპექტის
მუნუქს“ თავი ახადოს და კათხაში ჩანუროს. ხეებზე ძვლები დარჩნენ.
ალარც ისინი აპირებენ ჩამოსვლას. შემდეგ უნდა გახსნას ყავის ტრეს-
ტი, სტამბა და მოინვიოს „დასავლეთ ევროპის ცხენების ყრილობა“.
ჟანგო ჩანს ყველგან და ყველაფერში. „შაქრის სურვილით კავკასიონს

მოჭამა თავი“. მაინც დაუცხრომლად აშენებს და ფაბრიკანტებს აგინებს.

ლექსის სათაურია „*ჟანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია*“. მასალა უკვე სათაურშივეა დაგეგმილი. მაგრამ ლექსის სიუჟეტი, პოეტის აზროვნება ამკარად ავადმყოფურია, არა ხელოვნურად ჰიპერტროფირებული. ავტორი ვერ თამაშობს ინტელექტუალური დებილის თუ შიზოფრენიკის როლს, ამჟღავნებს მხოლოდ თავის დარღვეულ, პათოლოგიურ ცნობიერებას.

შემდეგ ლექსში („*თეორიები*“) კიდევ უფრო ღრმავდება კომმარული წარმოსახვა („*ფეხები გულში უწყვია ქალწულებივით ნივთებში არის სისხლი თევზების მატარებლის*“, „*მოჭრილი ხელით უნდა მოიხოცონ ცხვირი შეუშვირეთ სახეები წყალსადენს ჟანგომ თქვენ სახეზე აღმოაჩინა სავარძელი სავარძელში წვალეებით ჩაჯდება ძროხა*“), რეალობასა და ნორმალობას დაცილებულია. თითქოს ავადმყოფურ ფანტაზიას უნდა ახლდეს მეტი სიმწვავე, სიღრმე, განწირული ტონი, დაღუპვის შეგრძნება, მაგრამ დადა ანტიდრამატული მოვლენაა. იგი სათავეს იღებს მაინც ცნობიერებიდან და არა ფსიქიკიდან.

ამდენად ავტორს საგნების გარეგნული სახე, ხაზი აინტერესებს და არა თვისება. საგნები თითქოს აგურია, რომლებითაც უნდა აიგოს ლექსის შენობა. პოეტი ემგვანება შეშლილ ინჟინერს, რომელიც სამყაროს გარდაქმნის მანიამ აიტანა, მაგრამ ვერ აგებს მთლიან კონსტრუქციას და ცალკეული ექსტრავაგანტური სახეებით იფარგლება.

ჟ. ლოლობერიძეს ძალუძს ცალკეული დეტალის უჩვეულო რაკურსში დანახვა (თუმცა პოეტურობას მოკლებულია). მაგრამ საგნებს ველარ აკავშირებს. ისინი ცალ–ცალკე გარბიან, თავიანთთვის ჟღერენ და უწესრიგო ხმაურის ეფექტს ქმნიან, შეგნებულად რომ გვაღიზიანებენ.

ხაზგასმული ორიგინალობა სულისათვის მიუღებელია, რადგან მასში ვერ მკვიდრდება, მას ვერ იმორჩილებს.

ასეთი მანერა ხელოვნურობის გამოვლენაა, თითქოს რობოტი წერდეს ელექტრულ ლექსებს, რომლებიც სიტყვათა მექანიკური ჯამია („*წვრილი კუდი დაახველებს*“, „*ხმამ ყელში ნახევრად ჩაითრია ტროტუარი*“, „*თვალეებიდან გამორბოდა სწორი ხაზით ხე–ტყის მასალა*“, „*კატებმა ჩაიცვეს პესიმიზმის კოსტიუმები*“, „*შეგვატყობინეს რომ ჩვენა ვართ ჩექმის ყელეები*“). ავტორს მხოლოდ ქალაღზე გადააქვს გონებაში მოთარეშე სიტყვები, შერჩევის, დახვეწის, გააზრების გარე-

შე, ცნობიერების ველზე გადავლილი მღვრიე სინამდვილის ნაკადი, რებუსად და იეროგლიფად აღქმული.

აქ ისევ წამოიჭრება ხელოვანის პათოლოგიური ცნობიერების პრობლემა, რაც ჩ. ლომბროზოს შემდეგ ერთხანს ფართოდ გავრცელდა. მაგრამ „გენიალობა და შეშლილობა“ დაიწერა მანამ, სანამ დამკვიდრდებოდა მოდერნიზმი და ავანგარდიზმი. XX საუკუნის ხელოვნების არაერთი ნიმუში მოგვაგონებს შიზოფრენიკთა და პარონოიდთა ნააზრევს²⁵. ხოლო მრავალი შემოქმედი ნევროპათად მიიჩნევა. თითქოს გადაინია ნორმალობის ზღვარი და ათვისებულ იქნა ცნობიერების ადრე უარყოფილი ველი.

ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ – სტრესული სიტუაციები, დაძაბული ურთიერთობანი, რომელთაც იწვევს ურბანიზმი, ცივილიზაციის ბობოქარი ტემპი, მაღლა სწევს სულის ტემპერატურას, წარმოშობს ფსიქონევროზთა გამას.

შეშლილობა ველურობისა და პირველყოფილობის აღდგენაა, არაცნობიერის და ცნობიერის დიფუზია, ხოლო ქმნადობა, თხზვა, აგრეთვე, სულის სიღრმეში დაძირვა – სასიცოცხლო ძალთა განცდა, უძველეს ინსტინქტთა საუფლოსკენ უკუქცევა, მიახლოება საკუთარი და კაცობრიობის ბავშვობასთან.

მოძრაობა უკვალოდ არ იკარგება. მას მუდამ აქვს გამოძახილი. არც დადაიზმი გადაგებულა უმემკვიდრეოდ, სხვათა შორის – არც საქართველოში.

დადაიზმი ხელახლა აღორძინდა 70–80–იანი წლების ქართულ მწერლობაში და ფუტურისტული ელემენტების დართვით, რეალისტურით თვალთახედვის, სიფხიზლის შენარჩუნებით ირონიულ–პაროდიულ ნაკადად გაფორმდა (ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახიძე, მ. მაჭავარიანი, მ. ფოცხიშვილი, გ. დოჩანაშვილი, ნ. ბართაია, თ. წივნივაძე). მან მოიტანა ცინიზმისა და ნიჰილიზმის საკმაო დოზაც.

მართალია, ასეთი სტილითა და მსოფლგანცდით შედეგები არ დაწერილა, მაგრამ მათ ლიტერატურული ცენზორისა და ტერორისტის ფუნქცია შეასრულეს, დაუპირისპირდნენ ისევ რომანტიკულ ესთეტიკას, ცხოვრებისეულ მანკიერებას, სულის ბალასტს, რათა ახალი ხელოვნებისათვის გზა გაეწმინდათ (ასენიზატორის ფუნქცია). მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოვნების ყველა ჟანრი, ყველა სტილი გაჩნდა მხოლოდ ერთი მიზნით – მაქსიმალურად გამოავლინოს აზრიანი ემოცია.

6. კონსტრუქტივისტული თეორემა

კონსტრუქტივიზმიც სათავეს იღებს ფუტურზიზმისა და კუბიზმისაგან, მაგრამ რეალიზმისაკენ არის მიმართული. ამიტომ იგი თითქოს მათი მაერთებელი რგოლია, შესაბამისად – მასში სამივე მათგანის სტილია შერწყმული. კონსტრუქტივიზმი ხელოვნების მოდელირებაა ტექნიკის პრინციპების მიხედვით და ამდენად ინდუსტრიული საზოგადოების სულს, პათოსსა და ტენდენციას ავლენს.

კონსტრუქტივიზმის საპროგრამო მანიფესტში, რომელსაც ხელს აწერენ როდრიგო და სტეპანოვა, ნათქვამია: „ძირს ხელოვნება, გაუმარჯოს ტექნიკას“; „ძირს მხატვრული ტრადიციები, გაუმარჯოს ტექნიკოს–კონსტრუქტივისტს“; „ძირს ხელოვნება, რომელიც მხოლოდ ადამიანის უმწეობის ნიღაბია“. მაგრამ ტექნიკა ზუსტ მეცნიერებათა პირმშოა და ამიტომაც კონსტრუქტივიზმი რაციონალისტური მოვლენაა. მისთვის მიუღებელია სიმბოლისტურ–რომანტიკული ილუზია, ქიშკრა, ზმანება. ნივთი, საგანი, რეალური გარემო, მათი ხაზები, სტრუქტურა, ფერები – აი მისი მიზეზი და მიზანი.

ვლ. მაიაკოვსკი თავის თავს ფაბრიკას ეძახდა, გულს – მოტორს, ე. ი. ადამიანს წარმოიდგენდა როგორც მანქანას.

ძველ ხელოვანს თანდათან ცვლის ინჟინერი და რეჟისორი, უფრო ზუსტად – მასალის კონსტრუქტორი, რომელიც გონებით, ცნობიერის დონეზე ქმნის კონკრეტულ მოდელს, ქმნილებას, თხზულებას. მისთვის ემოციურია ის, რაც ფუნქციურია, ხოლო ყოველი დეტალისათვის აზრის მინიჭება მოითხოვს სიზუსტეს, მათემატიკურ გათვლას, კომპიუტერულ გაანგარიშებას. ამიტომაც სტილს ცვლის კონსტრუქცია, პოეზიაში შემოდის პროზა, გრაფიკული ნიშნები, ყოფითი უხეში ენა, ჟარგონი, როგორც კოლაჟი, დიალექტიზმები, საერთაშორისო სიტყვები. ნეორომანტიკულ არტისტიზმსა და რაფინირებას ცვლის სინამდვილის მღვრიე ნაკადი²⁶.

აღნიშნავენ, რომ კონსტრუქტივიზმმა დიდ წარმატებას არქიტექტურაში მიაღწია (გავიხსენოთ ლე კორბუზიე). მაგრამ ოციანი წლების საბჭოთა პოეზიასაც საგრძნობი კვალი დაამჩნია.

როგორ „ლევის“, ისე „ H_2SO_4 “-ის აზრით, შემოქმედი არის სინამდვილის რეჟისორი ანუ კონსტრუქტორი, რომელიც სრულიადაც არ იზღუდება ხელოვნებაში მასალის ორგანიზებით. გამოდის ამ სფეროდან და ცდილობს გარემოს გარდაქმნას ანუ ესთეტიზებას, ინდუსტრიული ყოფისა და ადა-

მიანური ურთიერთობის მოწესრიგებას, მოდელირებას კომუნისტური თვალთახედვით, მანქანური სიზუსტით, მათემატიკური ჰარმონიით.

სრულიად აშკარაა, რომ ახალი ტიპის ხელოვანი მასების ლიდერი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ფაქტიურად თავის თავზე აელო უფრო მეტი, ვიდრე პარტიულ ხელმძღვანელს. ამავე ფუნქციისაკენ მიისწრაფოდა „რაპკიც“, ოღონდ ნაკლები კულტურითა და მეტი ვულგარიზმით. ამ ტენდენციის გამოვლენაა ისიც, რომ 1919 წელს ვ. მაიაკოვსკიმ მოინდომა „კომფუტის“ პარტიულ ორგანიზაციად რეგისტრირება.

ამიტომ ცხადდებოდა ფუტურისმი „სახელმწიფო ხელოვნებად“ და ქართველი ავანგარდისტებიც მოითხოვდნენ „დიქტატურის უფლებას“.

ის, რაც ვერ მოხერხდა საბჭოთა კავშირში, ნაწილობრივ განხორციელდა იტალიაში: იქ ფუტურისტებმა 1918 წელს ჩამოაყალიბეს პოლიტიკური პარტია, დაუახლოვდნენ ბენიტო მუსოლინის და გახდნენ მისი მეხოტბენი, უახლოესი თანამდგომი (თვით „დუჩეს“ ზოგჯერ „პოლიტიკურ ფუტურისტს“ უწოდებენ). და მაინც მუსოლინიმ ფუტურისმი სახელმწიფო ხელოვნებად არ გამოაცხადა!

შემოქმედება ყოველთვის ოცნება და გლოვია მასზე, რაც ავტორს ეწადა და ვერ მიაღწია. იგი თითქოს ცხოვრებისაგან უარყოფილია (ან ასე ეჩვენება), რომელიც სიტყვას, ფერს, ბგერას შეეფარა, რათა ილუზიური ქვეყნის მბრძანებელი ყოფილიყო.

ხელოვანს წარმოშობს კონფლიქტი სურვილსა და შედეგს შორის, მისგან აღძრული ტკივილების ნაირგვარი სახეცვლილება. მაგრამ ფუტურისტ-კონსტრუქტივისტმა ხელოვანმა ეს არ იკმარა, რეალობაში გადაიჭრა და მისი გარდაქმნა მოინდომა.

ავანგარდისტს ახსოვდა ფ. მარინეტის პირველი მანიფესტის მემვიდე პუნქტი: „სილამაზე არ არსებობს ბრძოლის გარეშე, არც შედეგურები იქმნება აგრესიის გარეშე. პოეზია უნდა იყოს სასტიკი შეტევა უცნობ ძალთა წინააღმდეგ“...

„უცნობი ძალა“ ყველამ თავისებურად წარმოიდგინა და გაიაზრა.

კონსტრუქტივიზმი მხოლოდ კონკრეტული მასალის ხელოვნება როდი იყო. იგი აბსტრაქციასაც საკმაოდ გულისხმობდა, რომლისკენაც უბიძგებდა ნაცრისფერი ინტეგრალი. გადავიკითხოთ ბ. ჟღენტის ოთხნაწილიანი „პლასტო პოემა“ („ლიტერატურა და სხვა“). მართალია, იგი დადასტურ იდიოტიზმსაც შეიცავს და ლირიკულ სტრიქონებსაც („მცირე მარტო მე – როგორც სციოდა ჟანდარკს ან სავონარულას

კოცონზე მიკრულს ფრჩხილით და თმებით“). მაგრამ უფრო მეტად შეიცავს განყენებულ სახეებს, რომელთა საგნობრივი წარმოდგენა და ერთმანეთთან დაკავშირება ჭირს („გვეჭირა ძვლებზე საქართველო, როგორც ბრაუნინგი და ვუმიზნებდით. ბერინგზე მკვრივი გაყინული ჩვენი შუბლები უშენდნენ ღრუბლებს უზღაგვესი მზის დუბლიორებს ვიდეი, როგორც ძეკატომბა გიგანტური ავანტიურის ფეხადგმული დებიუტანტები. იყო კიოსკი – ბალერინა. გაბრწყინებული ტრაპეზივით. ის ეხლაც ბრუნავს დარკინული და მოარული“).

ბ. ჟღენცის ლექსების აბსტრაქტული ნაკადი პათეტიკური და ორატორული ტონალობით იშლება. იგი თითქოს აუდიტორიას მიმართავს. ამიტომ „მეს“ ცვლის „ჩვენ“. საგრძნობია ურბანული განწყობილება, მკვეთრი სახეობრივი აზროვნება: „ვიმღეროთ ძვლებით, ფრჩხილებით, ნესტოებით, ჩვენ სინესტეში ხომ ღრუბლებიც ვერ გვედრებიან“, „რომ ახლა დავცხრი და თანაბრად მეამბოროება ვომბორის ყინვა და დამწვარი პოხიერება“, „ეხლა გული დანაზუედაც კი დაეგება“, „მკერდები გვედგა ჩვენ ვერდენივით“, „ღამეები გადვიყარო თმებზე ფერფლივით“.

ბიძინა აბულაძის „ტფილისის მზეზე“ კონსტრუქტივიზმისა და დაღიზმის ნაერთია. თუმცა ამჯერად ორივე ცნება პირობითია. ავტორი შლის ასოციაციათა ქსელს, ერთი შეხედვით – ბუნდოვანს, მაგრამ აგებულების თვალსაზრისით ლოგიკურს. კონსტრუქციის სიზუსტეს არღვევს დადასტურებული მსოფლგანცდა, რაც პოეტს აიძულებს ილაპარაკოს ურთიერთსაპირისპირო აზრებით („ვაფურთხებ ტფილისს, ასე ვერაგს და ვიგინდარას“; „ჰოი, ტფილისო, მოვალ შენთან შენი ბახალა და მონინებით ჩამოგართმევ კოჟრიან ხელებს“). ლექსს გასდევს მომწოდებლური პათოსი, პუბლიცისტური ვნებიანობა, ესეისტური ნაკადი (ბ. აბულაძე მალე ჩამოსცილდა პოეზიას და მთარგმნელობით მუშაობას მიჰყო ხელი).

ს. ჩიქოვანის ლექსებში ხშირია ტლანქი და უხეში ფიგურები („ირგვლივ გონებით ასახსნელი საკითხებია“, „თითქოს შრომა მაქვს მე ოფლივით გამოშვებული“, „კლუბის სიღრმეში დავგასვენევი“, „დახავსებული აზრების ფოკვი ჩაძირულიყო წლებში ტომრობით“, „როგორც წყურვილი, ჩემო მერანო, ისე გვინდა ჩვენი ვალახვა“), ზოგჯერ კიდევ – ძლიერი, მაგრამ აბსტრაქტული, ე. ი. აკრობატული სურათები („სულ მცირე აზრიც გაჩენილი, როგორც ცინდალი დაჯდეს თქვენ გზაზე და მოგვედოს, როგორც სახადი“, „ლუდის ბოთლების პროპკე-

ბიდან ამორბის გორკი“, „ხალხს ასტრონომი შეადარებს ვარსკვლავების მცურავ კალიებს“).

აბსტრაქტულ ხედვამდე მივყავართ შეცნობას, საგნის გააზრების წყურვილსა და პათოსს, რომლის დროს მრავალი შთაბეჭდილება ერთმანეთს ეკეცება და იქცევა ერთ კრიპტოგრამულ კადრად. ასეთი კადრების სინთეზი რებუსული მეტყველებაა, რომელსაც სჭირდება სპეციალური გაშიფვრა, ისევე როგორც, ვთქვათ, კუბისტურ სურათს. ხელოვანი იმდენად ღრმად იჭრება საგნის არსში, რომ საგრძნობლად სცილდება კომუნიკაციის დონეს და მონაპოვარი – ნაგრძნობი და განცდილი, მოელის დამატებით კომენტატორს.

ასე ჩნდება შემოქმედსა და მკითხველს შორის შუამავლის, ე. ი. კრიტიკოსის აუცილებლობა.

ს. ჩიქოვანის ცალკეული სახეები აბსტრაქტულია, ხოლო კონსტრუქცია – ლოგიკური, არა თხზვის პროცესში სტიქიურად წარმოქმნილი, არამედ წინასწარ მოფიქრებული. მაგ., პოეტი თუ ერთის მხრივ ამბობს – „*მუზებისა და მუზეუმის მოკვდეს მღერანი*“, მეორეს მხრივ დასძენს – „*ხმელთა ბებერო მოტორებო, ჩემი სალამი*“. ამგვარი დაპირისპირების მოდელი ადრევეა მოფიქრებული და შემდეგ – პოეტურ სტრიქონებად ქცეული.

გავიხსენოთ ლექსი „*წვიმების ქვეშ*“ – პოემიდან „*ჩემი დანაშაული*“ („*მემარცხენეობა*“, №1), რომელიც მოგონებაა, თუ როგორ მოუსწრო წვიმამ პოეტს სატრფოსთან ერთად „*მთანმინდის ვაღმა*“. სიუჟეტი თავისთავად მარტივია. მაგრამ გარკვეულ ამბავს გადმოსცემს, რომლიდანაც სათავეს იღებს ასოციაცია და რომელიც ერთიან ყალიბში აქცევს ფიქრთა მდინარებას.

ლექსი შეიცავს უხვ ინფორმაციას. ყოველი სტრიქონი ახალი მასალის შემომტანია, ახალი სიბრტყის ათვისების სიგნალია („*შორს მოტეხილი ხე ბავშვივით ყვირის, მუხლებში შიში. ჰკრთი და ჰკანკალებ. წვიმის თმებიდან ჩვენ მოვიგონებთ დანესტილ ტირილს და ჰყრიან შტოებს ქარბუჩები დაკლაქნილები*“). მაგრამ მოძრაობს არა საგნების ქარიშხალი (როგორც, ვთქვათ, გ. ტაბიძის ეფემერების რკალში), რომელიც ფსიქიკის მღელვარების ამეტყველებაა, არამედ – სათქმელი იტოტება, ივსება და მიემართება ა წერტილიდან ბ–საკენ. წრეხაზის გარშემო ტრიალს ცვლის მოქმედების განვითარება, ასოციაციურ კომპოზიციას – ლოგიკური კონსტრუქცია, ხოლო სიუჟეტი მეტაფორულად იშლება.

ლექსში „მთანმინდა“ რომ არ იხსენიებოდეს, გვეგონება კოლხური წვიმა ესხურება მიდამოს და ნესტი ძვალრბილში ატანს „ნეკრესები-ვით“.

სიმონ ჩიქოვანის მზერა მიმართულია შიგნიდან გარეთ – კონკრეტული საგნებისაკენ, რომელთა ამოძრავება და სიხშირე გადადის სწორედ აბსტრაქციაში. მაგრამ მეტწილ იგი ახერხებს მათს ხილვადობას.

საგნების დინამიკას, მოქმედებაში ჩვენებას ავანგარდისტები ნივთად ქცევას არქმევდნენ, ე. ი. ისინი იძენდნენ მანქანის თვისებას. კონსტრუქტივისტული ლექსი ასეთ სწრაფვას ანიჭებდა ლოგიკურ ფორმასა და კომპოზიციას, წესრიგსა და დისციპლინას. პოეტი აკვირდება საგნების ფერსა და ხაზს, რომელთა კონფიგურაცია არის ლექსის სტრუქტურა.

გადავხედოთ კიდევ ერთ ლექსს – „წინა დღეები, მოსკოვი“ („ლიტერატურა და სხვა“). გ. ტაბიძემ ჩვენი ყურადღება მიაპყრო რევოლუციურ პეტროგრადს. ს. ჩიქოვანმა მოსკოვი არჩია. ქალაქი დანახულია გრაფიკის სახით, როგორც ჰ. პოეტი თითქმის მთლიანად შენიღბულია. იგი ახდენს საგნების დემონსტრირებას, მაგრამ არა კონკრეტული განლაგების, არამედ აბსტრაგირების კვალობაზე, რათა მღელვარე მოვლენების არსს ჩასწვდეს („სივრცეები გადმღერა ბრბომ და ბელურამ“, „მირბის და მირბის ტროტუარი ჩექმის ქუსლებით“, „და შემოიტანს ფარაჯებში ტროცკი რევლამენტს“, „მუშებს უყვარდა მანქანების ლირიკაში თოვლი უმანკო“). ჩვენთვის უცნობია ავტორის სულიერი მდგომარეობა, განცდები, ფიქრები. იგი მხოლოდ ფიქსატორია, ნივთების მხილველი და აღმრიცხველი. ინფორმაციის სიუხვე, კადრების კონდენსირება, ჭვრეტის ინტენსივობა – აი ამ ლექსის თვისება, რითაც ანალოგიურია კუბისტური სურათისა. სამაგიეროდ ავტორის პიროვნება იხსნება ხედვის ექსტაზით, საგანთა დინამიკით, რითაც სულის ფირზე წარუშლელად აღიბეჭდა წარმოსახული გარემო.

კონსტრუქტივიზმი ფუტურისტული იდეების გონივრული, ზომიერი ანუ რეალისტური მოდელირებაა, არსებითად – რაციონალური ხელოვნების ახალი სახე, რომელშიც შეერთდა რევოლუციური პათეტიკა და ურბანული მსოფლგაგება. ხოლო განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლექსის ცნობიერ გააზრებას, აგებულებას, სიტყვის ფუნქციას. საინტერესოა, გავიხსენოთ, რომ ვლ. მაიაკოვსკიმ არა მხოლოდ თვითონ იქონია ზეგავლენა ილია სელვინსკის პოეზიაზე,

არამედ – თავადაც აითვისა მისი ზოგიერთი სახე თუ ხერხი²⁷. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ს. ჩიქოვანმა საბჭოთა პოეტური ეპოსის ერთ–ერთ მწვერვალად მიიჩნია „ულიალაევშინა“ (ე. ბაგრიცკის „ფიქრები ათანასეზე“–სა და ა. ტვარდოვსკის „ვასილი ტიორკინთან“ ერთად).

კონსტრუქტივისტულ პოემებად შეიძლება ჩაითვალოს ს. ჩიქოვანის „ფიქრები მტკვრის პირას“ და „ბედი რესპუბლიკა“, რომელთაც ფაბულა არ გააჩნიათ, მაგრამ მთლიანობა ენიჭებათ ერთი იდეის ვარიაციული განსჯით, კონკრეტულ მასალაზე აღძრული ფიქრებით.

როგორც ითქვა, ყველა კონცეფცია, თეორია, სტილი თუ ჟანრი გაჩნდა მხოლოდ ერთი მიზნით – დაინეროს შედეგრი, შეიქმნას ადამიანის სულისა და ფიქრის ძეგლი. მახვილი აზრი, ზუსტი რითმა თუ უეცარი მეტაფორა ფუჭია თუ ტექსტი, როგორც სისტიმა, არ არის ერთიანი, თუ იგი არ ცოცხლობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ დაისმის კითხვა – ბოლოს და ბოლოს რა შეიქმნა ავანგარდისტულ პოეზიაში ისეთი, რაც გაუძღვება დროის მდინარებას? რაც ღირდა ამდენ ხმაურად?

პირველ ყოვლისა, ეს არის ორიენტაცია, ცალკეული იდეები, მსოფლგანცდა, აზროვნების სტილი, რაც ყველაზე ძლიერად და სრულად გამოვლინდა ს. ჩიქოვანის როგორც ავანგარდისტულ, ისე რეალისტურ პოეზიაში. მან ოციან წლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი ლექსი შექმნა: ერთის მხრივ – „ცირა“, „ქარბორია“, „მეკამერების ურმული“, „სანაპირო სიმღერა „ხაბო“ და „სიდეუ“ („ბნელი ღამეა“ და „ის მოიტაცეს“), რომლებიც ავტორს არ შეუსწორებია, მეორეს მხრივ – „გამოთხოვება“, „მგზავრის სიმღერა“, „მიძღვნა უკანასკნელს“ (ახალი ვარიანტით – „მეორე მიძღვნა“), „გამოთხოვება სიყმანვილესთან“, „ორი ავადმყოფი“, „წვიმების ქვეშ“, „კავკასიონიდან ტაგანროგამდე“, „მოსკოვი“ (მოსკოვი დიდი), „მიძღვნა ახალ პოეტებს“, „სოფელი მაგონდება ქალაქში“, „რევოლუციურ მინდვრების შესახებ“, „წინა დღეები. მოსკოვი“, „სიმონ ჩიქოვანის ნახტომი“ (ახალი ვარიანტით – „აღსარება“), რომლებიც პოეტმა შემდეგ საგრძნობლად დახვეწა.

ამ ლექსებს არ ექცევა სათანადო ყურადღება ან ირონიით ახსენებენ ხოლმე, როგორც ჭაბუკი პოეტის ახირებას. მიზეზი ალბათ არის მკითხველთა და კრიტიკოსთა ჭარბი ტრადიციონალიზმი და კიდევ ის, რომ სიმონ ჩიქოვანს ისინი 1930 წლის შემდეგ ნაკლებად შეჰქონდა თავის წიგნებში.

კარგი ლექსების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ, აგრეთვე, დ. გაჩეჩილაძის „ყოველდღიური ტფილისი“ და „ქუსლი ქალაქისკენ“,

ნ. ჩაჩავას „შანდი და შროშანი“; ვ. ჟურულის „პატრიოტიზმის დასასრული“; ნ. შენგელაიას „ბიძურზოლა“; ბ. ჟღენტის „ნამდვილი გული“. ცალკეული საინტერესო სახეები მოეპოვებათ ჟ. ლოლობერიძეს, პ. ნოზაძეს, ბ. აბულაძეს და ა. ბელიაშვილს.

ასეთია „ H_2SO_4 “-ის „ტერორის“ და ექსცენტრიზმის პოზიტიური ნაყოფი პოეზიაში. მას უნდა დაემატოს ტ. ტაბიძის და გრ. ცეცხლაძის რამდენიმე დადასტურებული ლექსი და ჩვენ ხელთ გვექნება რჩეულ ნიმუშთა ინდექსი ოციანი წლები ქართული ავანგარდისტული პოეზიისა.

* * *

ფ. მარინეტისათვის ფუტურიზმი იყო „მომავლის დინამიკური ლიტერატურა“. ელექტრონის გული, მოტორების გუგუნის, თვითმფრინავების ხმაური, რკინა და ასფალტი თითქოს ახალ ხედვას, სინტაქსსა და მგრძნობელობას აყალიბებდა. ძველ სიტყვათა კავშირს ცვლიდა საგნების უშუალო ხილვა, მათი კინემატოგრაფიული სიჩქარე და განლაგება. მაგრამ ის, რაც შეძლო პოეზიამ, ვერ მოხერხდა პროზაში.

მარინეტის „მაფარკა ფუტურისტი“ და „ბრძოლა ტრიპოლთან“ ვერ გაუტოლდა მხატვრული სიტყვის შედეგებს. ფუტურისტული პროზა მკვდარი ექსპერიმენტი აღმოჩნდა. მაგრამ მისმა მოდელირებამ კიდევ ერთ მიმართულებას მისცა სტიმული – იქცა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის ერთ-ერთ საწყისად (მაგ., ჯ. ჯოსისის პროზა).

გავიხსენოთ მარინეტის თხრობის სტილი: „1, 2, 3, 4, 5 სექუნდი ზარბაზნები ალყა გამოშვიგნული დუმილი აკორდი ცამ–ცუმ იმავე წუთს ეხო, ეხო, ეხო სულ ეხო დავეუფლოთ ჩქარა დავაქუცმაცოთ უსაზღვრო სიშორეში ჯანდაბისაკენ ცენტრში 50–კილომეტრიანი კარტეჩი ხტომა 2–3 6–8 უკუთქმა გირები დარტყმა მუშტის დარტყმა თავის დარტყმა ბატარეა სრული სწრაფვა ძალა ბობოქრობა რეგულირება საათების თარეში ბედი ისე მდაბალი მნიშვნელოვანი ამკარა სიზანტე ტეკუნით კითხვა საოცარი შემოქმედებები ძლიერ ახალგაზრდანი ძლიერ აღტაცებულნი კრინი ბრძოლა ფურია განგაში ცოტა–ცოტა კიმ–კიმ ფურია ფლიგ ქისმონი ტოებზე ჟღერა ბატალიონი კრაკ კრაკ ნელა რიცხვი $\frac{3}{4}$ მარიცა ოფიცრების ყვირილი ჩხუბი ჩქარა კამ იქ ბუმ პამ პამ აქ იქ შორს ირგვლივ ძლიერ მაღლა ყურადღება ეშმაკმა წაილოს თავზე ეშმაკი ალი ალი ალი“²⁸.

ცხადია, ვერც საქართველოში შეიქმნა ფუტურისტული პროზა (ერთადერთი სუსტი ცდა – ნ. ჩაჩავას ტელეგრაფის სტილით დაწერილი

მოთხრობა „ინციდენტები“ – „ლიტერატურა და სხვა“). მართალია, „ H_2SO_4 “-ელები იყვნენ დემნა შენგელაია, პავლო ნოზაძე და აკაკი ბელიაშვილი, მაგრამ მათი თეორიული ქადაგება და პრაქტიკა ერთმანეთს საგრძნობლად დასცილდა.

დ. შენგელაია იყო ერთადერთი დასრულებული ოსტატი „ H_2SO_4 “-ის ნევრთა შორის, რომლის თხზულებანი მაშინვე აღიარეს. „სანავარდო. დიდი უჟმური“ (1924) და „გურამ ბარამანდია“ (1925) ქართული პროზის უეჭველი მიღწევაა. საინტერესოა „ტფილისიც“ (1927). ავანგარდისტებს ხელს აძლევდათ დ. შენგელაიას (იგი არ მონაწილეობდა ჟურნალ „ H_2SO_4 “-ში) ავტორიტეტით თავიანთი პოზიციის გამყარება და ამას აღნიშნავდნენ კიდევ. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ პრიმიტივის.

მართლაც – დ. შენგელაია ჩინებულად ფლობდა მასალას, ხალხურ მეტყველებას, იცავდა ეთნოგრაფიულ კოლორიტს. მაგრამ, როგორც ოცნან წლებშივე ითქვა, დ. შენგელაიას პროზის სათავე იყო სიმბოლიზმი, შთამაგონებელი მწერლები – გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ა. ბელი და ბ. პილნიაკი (დ. შენგელაიამ თარგმნა და 1925 წლის „მნათობში“ დაბეჭდა ბორის პილნიაკის რომანი „შიშველი წელი“ – „Голый год“). მისი ნაწერების ემოციურობა, მუსიკალობა, მელანქოლია, ავადმყოფური მოტივები, არტისტიზმი, სწრაფვა პოეტურობისაკენ – არ იყო მისაღები ავანგარდიზმისათვის. დ. შენგელაიას „ცისფერი ყანების“ ნევრობა უფრო შეშვენოდა, ვიდრე „ H_2SO_4 “-ისა (სხვათა შორის – ამავე წლებში მან მიუძღვნა თითქმის ლექსად დაწერილი მელანქოლიური ესე სიმბოლისტ გალაკტიონ ტაბიძეს).

ა. ბელიაშვილის „ავადმყოფი რასსა“ (ფრაგმენტი რომანიდან) დ. შენგელაიას გავლენითაა დაწერილი და როგორც სათაურიდანაც ჩანს – საკმაოდ დეკადენტურიც („მემარცხენეობა“). ხოლო „ცხრა ცენტრი“ („მნათობი“, 1924, №№5,7-8) თარგმანს ჰგავს. არც მასალაა ქართული.

ბ. პოზაძის რომანი „დღე და ღამე რევოლუციის“ („მნათობი“, 1924, №№ 6, 7-8) ძირითადად რეალისტური თხზულებაა. მასალა და იდეა უკვე სათაურშივეა განსაზღვრული. ავტორს შემოაქვს შერეული შრიფტი, იშველიებს ტელეგრაფის სტილს, რათა რომანს გარეგნულად მაინც მიანიჭოს ავანგარდისტული იერი; „ბ. ა“-ს (ბ. აბულაძე) იგი მიაჩნდა „სიუჟეტის კონსტრუქტივიზმის“ ნიმუშად.

დრო გავიდა. დაცხრა ფუტურისტულ-დადაისტური აჟიოტაჟი²⁹. დაიშალა „ციცფერი ორდენიც“. დაირღვა არაერთი სკოლა და მიმართულება. მაგრამ ავანგარდისტული სული ხელოვნებამ შემოინახა. იგი გამოვლინდა ახალი თეორიებითა და ლიტერატურული პრაქტიკით (ჩვენში – ნი-იანი წლებიდან), თუმცა არა ძველებური გატაცებითა და ტოტალური მასშტაბით. მაგრამ ტრადიციასთან ზომიერ სინთეზს არანაკლები წარმატება მოჰყვა (ო. ოთარ ჩხეიძის რომანები, ო. ჭილაძის პოეზია და პროზა, გ. დოჩანაშვილის პროზა, ტ. ჭანტურის პოეზია, რ. სტურუას თეატრი, თ. აბულაძისა და ო. იოსელიანის კინოფილმები...).

ინდუსტრიული ყოფისა და საზოგადოების ატრიბუტები, რომლებიც ყალიბდებოდა ამ საუკუნის გარიჟრაჟზე, ჩვენი არსებობის, ჩვენი ცხოვრების ნორმად და სტილად იქცა. გავრცელდა საერთაშორისო მოდელები სინამდვილესა და აზროვნებაში, რამაც გაამწვავა საპირისპირო ტენდენცია – სწრაფვა უძველესი, არქაული ფორმებისაკენ, მშობლიურობის, ნაციონალობის განცდა.

ადრე პოეტები და მხატვრები დროს ასწრებდნენ, ნაოცნებარი რეალობად წარმოედგინათ. ახლა ეს დრო დადგა და იგი უეჭველად წარმოშობს თავის დიდ ხელოვნებას, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან ჰომეროსი და პიკასო, რუსთაველი და მარინეტი...

შენიშვნები

1. გაზ. „ტრიბუნა“, 1923, №404. „ H_2SO_4 “-ის გამომცემამდე დაიბეჭდა ამ ჯგუფის არაერთი წერილი: ბ. ჟღენტი, „პოეზიის დღე“, „ტრიბუნა“, 1923, №466, 11. V. ავტორს ვრიგოლ რობაქიძე პლაგიატად გამოჰყავდა. პასუხი – გრ. რობაქიძე, წერილი რედაქციის მიმართ, იქვე, №467. ტ. ტაბიძემ გააკრიტიკა ახალგაზრდა „ფენიქსელები“ – „41. დირექტორი ტერენტიევი“, „რუბიკონი“, 1923, №11. პასუხი – ნიკ. შენგელაია, ქართველი ფუტურისტების ლანძღვა ტერენტიევის მისამართით, „ტრიბუნა“, 1923, 21.VI, №501 (მალე ნ. შენგელაიამ უარჰყო ამ წერილის ავტორობა – წერილები რედაქციის მიმართ, იქვე, 28. VII, №507); ბ. გორდებიანი „ცისფერყანწელებთან“ ერთად გააკრიტიკა ექსპრესიონიზმიც – „ H_2SO_4 “- რკალი პირველი, „ტრიბუნა“, 1923, 5. VII, №507. კ. გამსახურდიას ადრევე მოუვიდა კონფლიქტი „ფენიქსელებთან“ – მცირე განმარტება, გაზ. „ლომისი“, 1922, 17. XII.

ბ. გორდებიანი, ს. ჩიქოვანი, პ. ნოზაძე, ბ. ჟღენტი, ისევე როგორც მათი რუსი კოლეგები, დაბა-ქალაქებში კითხულობდნენ ლექციებს ფუტურიზმზე („ტრიბუნა“, 1923, 5.VII, №513). „ H_2SO_4 “-ის ფორმირების დროს დაიბეჭდა სხვა კრიტიკული სტატიებიც – შ. რადიანი, ფუტურიზმი, ჟურნ. „მომავალი“, 1923, №№2,3,5. კლ. ქიქოძე, დადაიზმი, იქვე, 1923, №9–10. N. Kunike, თანამედროვე კონსტრუქტივიზმი, „ხომლი“, 1923, 21. IX, №4. პ. მირიანაშვილი, ქართველი ფუტურისტების აღსარება, „ტრიბუნა“, 1923, 31. III, №434 და სხვ. შდრ – გრ. რობაქიძის „ფალესტრა“.

რ. ი., დადაიზმი, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, 1922, №1. ვ. ბახტაძე, უნიჭო კლოუნები, „კომ.“, 1923, 2 ივნისი.

2. ტ. ტაბიძე, ირონია და ცინიზმი, „მეოცნებე ნიამორები“, 1923, №9; მისივე, დადაიზმი და ცისფერი ყანწები, იქვე, №10. 1982 წელს ვენეციაში გამოიცა ავტორთა კოლექტივის ფუნდამენტური ნაშრომი – „ავანგარდიზმი თბილისში“ (რედაქტორები ლუიჯი მაგაროტო, მარციო მარცადურო, ჯიოვანი პავანი კესა), რომელშიც „ცისფერყანწელები“ მიჩნეულია ავანგარდისტებად. განხილულია ჟურნალი „ H_2SO_4 “-იც, მაგრამ იგი ძირითადად ეძღვნება რუსი აკმეისტების, ფუტურისტებისა და დადაისტების თბილისში მოღვაწეობის პერიოდს, გვაცნობს იმ ატმოსფეროს, რომელმაც წარმოშვა „ H_2SO_4 “-ის სკოლა (იხ. რეცენზია – ა. ვანერელია, ბ. ბრეგვაძე, ე. კვიციანიშვილი, მ. ქურდი-

ანი, „ავანგარდიზმი თბილისში“, „მნათობი“, 1984, №6, გვ. 169–176).

3. Пощечина общественному вкусу. М., изд. Г. Кузмина. 1912-1913.
4. Манифесты итальянского футуризма, пер. В. Шершеневича, М. 1914, с 5-16.
5. Н. Дубинин, что такое человек? М., 1983.
6. С. Ромов, От дада к сюрреализму, „Вестник иностранной литературы“, 1929, №3, с. 185.
7. Манифесты..., с. 36-42, 43-46.
8. Р. Дуганов, Поэт, история, природа, „Вопр. лит-ры“, 1985, №10.
- Е. Арензон, К пониманию Хлебникова, იქვე.
9. В. Хлебников, Собр. произв., т. V, Л., 1933.
10. „Вопр. лит-ры“, 1985, №10, с. 169-190.
11. მ. ქურდიანი, საუკუნის დასაწყისი, „ცისკარი“, 1982, №5.
12. „მნათობი“, 1924, №4, გვ. 212–221.
13. ვ. ფრიჩე, დასავლეთის ლიტერატურის უმთავრესი მიმდინარეობანი ომის შემდეგ. „მნათობი“, 1924, №2.
14. В. Маяковский. Полн. собр. соч. в 13-ти томах, т. I, с. 301.
15. В. Перцов, Маяковский. Жизнь и творчество, т. 2 М., 1976, с. 266.
16. დ. კაკაბაძე, ხელოვნება და სივრცე, თბ., 1982, გვ. 52–54.
17. А. Крученых, Фактура слова. М., 1923.
18. საგრძნობია სიახლოვე ბ. არვატოვის სტატიასთან – „Речеторство (по поводу „заумной“ поэзии)“, „леф“ 1923, №2.
19. М. Левидов, О футуризме, „Леф“, 1923, №2.
20. А. Крученых, Сдвигология русского стиха. М., 1923.
21. საწყისი თანხონისა და მისგან წარმოქმნილი სიტყვათა ბუდის თეორიული გააზრება: იხ. В. Хлебников, Наша основа, § 2, Заумный язык, წიგნი: Собр. произв., т. V, Л., 1933, с 234- 236.
22. А. Крученых. Фонетика театра. М., 1925, с. 42.
23. С. Завадский, Теория и практика „машинного искусства“, წიგნი: „Искусство и научно-технический прогресс“, М., 1973, с. 401-402.
24. დადაიზმზე ქართულ ლიტერატურაში იხ. მ. ქურდიანი, ავანგარდისტული მანიფესტები, წიგნი: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, თბ., 1980, გვ. 214–220.

25. *Э. Вачнадзе*, К вопросу сходства патологического художества с современным декадентским искусством, წიგნში: „Бессознательное“, II, Тბ., 1978, с. 671-676.

26. „Искусство и носители их художники, должны войти в производство“, მოითხოვდა *ვლადიმერ მაიაკოვსკის* ჟურნალი „ლეფი“ (1923, №2 ს. 102).

27. *О. Резник*, Жизнь в поэзии. Творчество И. Сельвинского. 1980, с., 69-70.

28. წიგნიდან: *მ. კვესელავა*, ფაუსტური პარადიგმები, II, თბ., 1961, გვ. 437.

29. 80–იანი წლების იტალიაში ისევ გაჩნდა ფუტურისტული ბუმი. ყურადღება მიექცა ტრიადას – *დანუნციო – მარინეტი – მუსოლინი* (Ц. Кин, Большая игра, „Вопр. литературы“, 1987, N1).

*ჟურნალი „ცისკარი“, 1986 წ., №№ 10, 11, 12.
ჟურნალი „Литературная Грузия“, 2002, №1-6.*

უხამსი მწერლობა — მიზეზთა შედეგი

ნებისმიერ ეპოქაში მოაზროვნეთა და მკვლევართა მეცნიერული ინტერესების სიმძიმის ცენტრს წარმოადგენდა მიზეზობრიობა. ცხადია, ბუნებაში მოქმედებს მიზეზობრიობის კანონები და თუ მოქმედებს, რა ზომით, რა მოცულობით იჩენს თავს სამყაროში. სამყაროში, სადაც ინტერესთა და დაკვირვებათა ცენტრი თვით ადამიანია.

მიზეზობრიობას (სუბიექტურსა და ობიექტურს), როგორც რეალობას, თუ ადრეული საუკუნეებისათვის სივრცობრივი აზროვნების პლანში წარმოადგენდნენ (თეოლოგია, ფილოსოფია...), ბოლო, ჩვენთვის შედარებით უფრო კარგად ნაცნობი საუკუნეების მეცნიერებათათვის (ფსიქოლოგია, ფიზიკა...), მაკრო სამყაროს გამოკვლევები უფრო მიკროსკოპულ დაკვირვებათა ფოკუსში მოექცა. თუ ადრეულ საუკუნეებში სამყაროს (და მასში ადამიანის) შესწავლა ჰორიზონტალური განლაგების იყო, ბოლო საუკუნეებისათვის მოაზროვნეთა დაკვირვებებმა უფრო ვერტიკალური სახე მიიღო. მიზეზობრიობის პრობლემას კარგა ხანია განიხილავს ფიზიკა. მეცნიერული კვლევის მეთოდებს კვანტურ ფიზიკაში იყენებენ, რაც ახალი მოვლენა როდია. მაგალითისათვის გახლეჩილი ატომიც სამარისია, რომელიც უსასრულობამდე შეიძლება დაიყოს სივრცეში...

„სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია, ცნობიერად თუ არა-ცნობიერად, ლიტერატურაშიც ინვესტრირდება რევოლუციას. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ლიტერატურა დაკარგავს პროგრესულ ხასიათს. ამიტომ მწერალი უფრო და უფრო ღრმავდება ინდივიდუალურ ფსიქიკაში... გარედან შიგნით ჩაბრუნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვერტიკალური ჰორიზონტალობა. კლასიკური ხელოვნება იყო ჰორიზონტალური, გაშლილი რეალურ დროსა და სივრცეში.... იქმნებოდა რეალობის შემოქმედებითი ასლი. რენესანსის მხატვრობა ბრწყინვალედ განასახიერებდა ამ თვისებებს... XX საუკუნემ შეცვალა მდგომარეობა, ხელოვნება ავტორის ცნობიერებაში ჩაიძირა“ (ს.სიგუა, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“, 1994).

მიზეზობრიობის არსებობა გარესამყაროში და საკუთრივ ადამიანში მარადიულია. მაღლობა ღმერთს, გონიერი არსება ყოველთვის

სწორებას იღებდა შედეგებზე (ცხოველთა სამყაროშიც კი, ზოგადად ყველა ცოცხალ სისტემაში ინსტინქტური შედეგობრიობა წარმმართველი), რომელიც გარდაუვალობის მოუცილებლობით თანმდევი, ან მუდამ წინმხვედრია. ბუნებრივია, ნებისმიერი მიზეზი ადამიანისაგან მოითხოვს შედეგთა მეტ-ნაკლებ გათვლას. ყველაზე გამარტივებული, ცდისეული ფაქტების დახვეწილი ინტერპრეტაციის წყალობით, ჩვენი წინაპრები ყოველთვის შედეგობრივ აზროვნებას გვიღვივებდნენ და ასე გვიკვალავდნენ მომავალს. ყველაზე სადა მაგალითად „თხა და ვენახი“ მეგულება, სადაც ყველა (მიზეზ-შედეგობრივი) ეფექტი ჯამდება.

შემოქმედებით ადამიანში არსებული ნებისმიერი სახის მდგომარეობა გამოძახილს ჰპოვებს გარესამყაროსთან, რომელიც ჩვენდა უნებურად, ბუნებრივია, აღმქმელის აზროვნებას მოიცავს. შემოქმედი ვერასოდეს ვერ წარმოსდგება სამყაროში ცალკე, განყენებულ „მონოლოგად“. მას ისე, როგორც არავის, ესაჭიროება აღმქმელი. XXI ს-ის დასაწყისშივე აღმქმელი აღმოჩნდა ტლანქი, აგრესიული და უხამსი შემოქმედის პირისპირ. ვულგარიზმი ყოფით, ცხოვრებისეულ დამოკიდებულებათა გარდა, სამწუხაროდ, შეეხო მარადიულ ღირებულებებსაც, ასევე მოიცვა ხელოვნების თითქმის ყველა სფერო. „თანამედროვე გართულებული ცხოვრება ხელოვნების ტრადიციულ ფორმებს ნაკლებად ეგუება. ეს პროცესი ბუნებრივია და ლოგიკური, ხოლო რამდენად კარგი — სხვა საკითხია“ (ს. სიგუა, „ავანგარდიზმი“).

ჩემთვის, კვლევის პროცესში, მთავარია მკვლევართა ინტერესების სიმძიმის ცენტრმა (მცირე ხნით მაინც) ლიტერატურაში არსებულ ვულგარიზმებზე გადმონაცვლოს, რომელიც სოციუმში მოქმედ სიახლეთა უშუალო გამოხატულებაა.

მეტყველება და აზროვნება ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესებია. „როდესაც ინდივიდს უჩნდება აზრის წინაგანცდა, ინტუიტიურად იწყებს სიტყვების ძიებას, წინადადებათა აგებას. იშველიებს შინაგან მეტყველებას, რომელიც გამოუთქმელად გამოიყენება. როგორც ცნობილია, შინაგანი მეტყველება არ სცილდება სუბიექტის შინა სამყაროს“ (ს. სიგუა, „ავანგარდიზმი“). კაცობრიული

შედეგობრივი გამოცდილებით, შემოქმედთა მხატვრული ხერხები შინაგანი სამყაროს გამოვლენისათვისაა გამიზნული.

„ტყნაურთმეტყველება“ (დ. ბარბაქაძე), რომელმაც ქართულ მწერლობაში XXI ს-ის დასაწყისშივე იჩინა თავი (და ახალგაზრდა „მოაზროვნეთა“ მიერ დღემდე უბოდიშოდ განაგრძობს ყიჟინას ქართველ „ლიტერატორთა“ გარკვეულ ნაწილთან), თვით ლიტერატურული აზროვნების შინაგანი პრინციპებითვე უნდა გაიმიჯნოს მწერლობისაგან.

„ყოველი ეპოქა სამყაროს ახლებური ქვრეცის საგნად აცხადებს... განმაახლებელი ძალაც ყოველთვის ახალგაზრდობაა... მოდერნიზმი და ავანგარდიზმი თანამედროვე მწერლობის საფუძველია... ახალ ლიტერატურას ქმნის ახალი ტიპის შემოქმედი“ (ს. სიგუა, ავანგარდიზმი). უხამსი „მწერლობის“ გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ახალგაზრდა მწერლების ნაწილს სურს შექმნას მკითხველის ახალი ტიპი: მიმდინარეობს აღმქმელის ცნობიერებაში მანამდე არსებული იერსახეების მსხვრევა. მაგალითად, მოდერნისტებმაც და ავანგარდისტებმაც შეცვალეს ძველი ესთეტიკა, მსოფლგანცდა, მაგრამ არა ვულგარიზმებით, ან უხამსობებით, — პირიქით.

რადგან მწერლობაში (ხელოვნებაში, პედაგოგიკაში) ვულგარიზმები, სამწუხაროდ უწყვეტი, პროგრესირებადი რეალობაა, კვლავ ჯიუტად განვაგრძობთ გამოსავალი გზების ძიებას, საუბრებს, რისთვისაც საჭირობოროტო საკითხთა გარკვევა ამჯერად ვთხოვეთ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ სოსო სიგუას, რომლის კვლევის ძირითადი სფერო XX ს-ის ლიტერატურა, მოდერნიზმ-ავანგარდიზმისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის პრობლემებია.

— ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულია სამწუხარო შეურაცხყოფა საკუთარი დედის (მამის) გინებით: „ჩემი დედა...“, „მამაჩემის (ეს, ის) ვიყოს“-ს სახით, რამაც XXI ს-ის დასაწყისისათვის უკვე ლიტერატურაშიც იჩინა თავი. მაგალითისათვის საკმარისია არამარტო ლ. ბულაძისეული თამარის სახე XXI ს-ის ქართულ „მწერლობაში“, ან, დ. ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“, არამედ უახლესი ქართული მწერლობის ის მოზღვავებული ნაკადი, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

ბატონო სოსო, ჩვენს სამყაროში არსებობს მიზეზთა და შედეგთა გარდაუვალი მწკრივი... თქვენი აზრით, რა სახის მიზეზებს უნდა განეხირობებინა გააზრებულ და შეგნებულ ფრაზებად საკუთარი დედის (მამის) ვერბალური შეურაცხყოფა, რომელმაც მოიცვა ერის, როგორც ლინგვისტური მეტყველება, ასევე სასმენი ველი, თან ისე განზოგადდა, რომ ლიტერატურულ მონაცემებადაც კი მოგვეწოდება?

— ტელესივრცეში, პრესაში, ლიტერატურაში, ჩვენს სოციალურ გავრცელებულ ბილნსიტყვაობა, ვულგარიზმები თუ ყოველგვარი პათოლოგიის სახე გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებულ ნიჰილიზმში, რაც სოციალოლოგიურ პრობლემათა რიგს უფრო მიეკუთვნება. როდესაც სახელმწიფო ძლიერია და უფროსილდება მოქალაქეთა სულიერ თუ სოციალურ ცხოვრებას, სახელმწიფო ენას, ზნეობას, კულტურას, მაშინ ერიც მტკიცედ გრძნობს თავს. ხოლო, როდესაც ქვეყანა მიემართება დაშლის გზით, მაშინ იმსხვრევა იდეალები, ეცემა ენა, ზნეობა, იკარგება რწმენა ადამიანისა ქვეყნისადმი, ბატონდება ალვირახსნილობა, რომელიც ჰპოვებს კიდევ თავის გამოხატულებას სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ, ლიტერატურაში. გრ. ორბელიანი ამბობდა „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს“, რაც სწორი არ არის. ენა არ წახდება თუ სახელმწიფო ძლიერია. მაგალითად, ლათინური ენა გადაშენდა მაშინ, ანუ ცოცხალი მეტყველება ლათინური უკვე აღარ იყო, რაც დაემხო რომის იმპერიას. იგი იქცა ექიმთა და მწიგნობართა ენად. ასევე მოკვდა ძველი ბერძნული ენა, როდესაც დაემხო ათენი და ელადა. ძველი ბერძნული ცალკე ენად შერჩა მსოფლიო კულტურას, ბიზანტიური სხვა ენად, ხოლო ახალი ბერძნული სულ სხვა ენად. სწორედ იმ სახელმწიფოებრივ-მმართველობითმა კატაკლიზმებმა, რომელიც გამოიარა ბერძენმა ერმა, უშუალო გამოხატულება ჰპოვა ენაში. იგივე ითქმის, მაგალითად, ძველ, შუა საუკუნეთა და ახალი სომხური ენების შესახებ, რაც ამ ერის ტრაგედიებს ასახავს.

— ფსიქოლოგები თვლიან, რომ დედათა (მამათა) თაობიდან მომავალი თაობის გამოყოფის პროცესი არის ერთობ მტკივნეული. თაობათა აგრესიული დაპირისპირებაც, გნებავთ ყოფით დონეზე და გნებავთ ხელოვნებაში, თაობათა ამ გამოყოფის პროცესიდან მომდინარეობს.

თქვენი აზრით, რატომ გამოხატავს ნაწილი ახალგაზრდებისა თავიანთ სათქმელს ასე აგრესიულად? მაგალითისათვის მოვიყვანდი დ. ბარბაქაძის „ტროფობა წამებულთა“-ს. რას უნდა გამოენჯია მსგავსი მდგომარეობა, წინა თაობასთან თუნდაც დაპირისპირების მიზეზით, რომ ასე, ერთი ხელის მოსმით, მოაცამტვერა ავტორმა ყველა და ყველაფერი?

— არ მივიჩნევ აგრესიად. სხვა არაფერია, ვიდრე უმწეობით გამოწვეული ნიჰილიზმისა და დეპრესიის გამოვლენა. ეს გახლავთ ძალადაკარგული თაობის პასიური პროტესტი. აგრესია არსებობს მეომრის, რომელიც სახელმწიფოს დაპყრობის მომასწავებელია; აგრესია ქალის დამორჩილებისა, რომელიც ნაყოფის, სიცოცხლის მომცემია; მოქანდაკისათვის ქვის დამორჩილებისა, მწერლისათვის კალმის დამორჩილებისა, ანუ ის, რაც შექმნას ემსახურება. ქართული უახლესი „მწერლობის“ მონაცემები მხოლოდ სუსტი ეგოს მაჩვენებელია, რომელიც ესაზღვრება დეპრესიას. უხამსი მწერლობა არც ესთეტიკური თვალსაზრისით არის საინტერესო. მაგალითად, XXს-ის 20-იან წლებში მოსულ ახალ თაობას უწოდებენ „დაკარგულ თაობას“. დაკარგულნი არა შემოქმედებითი თვალსაზრისით (პირიქით ამ პერიოდმა დიდი მწერლები შესძინა ერებს), არამედ I-მა მსოფლიო ომმა მათ იდეალები დაუშსხვრია, რის გამოც ისინი დეპრესიამ მოიცვა. უფრო ადრე კი XIXს-ში დეკადენტური ლიტერატურა არსებობდა. „დეკადანსი“ დაცემას ნიშნავს, მაგრამ შემოქმედთა მიერ დაცემა იდეალად კი არ იყო გამოხატული, პირიქით, ამ თაობის ტრაგედიად იწოდებოდა. სწორედ ეს ტრაგედია გამოხატეს მათ ლექსის ფორმით, რომანის ფორმით, თუ სხვა ჟანრის სახით. მიკროსკოპული დაკვირვება სულაც არაა საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე, სახელმწიფოს მიერ მონვდილი წამახალისებელი პროგრამებით, პიროვნული დაცემა ქცეულია ახალი თაობის ღირსებად. როგორც ცნობილია, ღირსების დაცემა იწვევს სქესთა აღრევას — გაერთმნიშვნელებას. ყოველივე გათვლილია ღირსების დევალვაციაზე, სულიერი ორიენტირების დაკარგვაზე, რაც თანამედროვე მსოფლიოს პრობლემაცაა. აკი შეეცადნენ კიდევ ევროპელთა კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანით ჰომოსექსუალიზმისათვის კანონიკურობის მინიჭებას. ღირებულებათა დევალვაცია იწვევს არათუ სახელმწიფოთა, ან

იმპერიათა დაშლას, ერების გაქრობასაც კი. საქართველოს გადამთიელ, გარე მმართველთა გათვლით, უნდა ვიფიქროთ არა ჩვენი ქვეყნის მომავალზე (ჩვენს მომავალზე ისინი იფიქრებენ), არამედ უნდა მივყვეთ დინებას. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ის აგრესიული, პროტესტული ძალა, რომელიც მეომარს ახასიათებს, პირიქით, შემგუებლურნი, დამყოლნი, უმწეონი. ამიტომაც უსახავენ აღმქმელს იდეალად ამგვარ „ლიტერატურულ“ პერსონაჟებს. არაჰეროიკული საქციელი ვლინდება ენობრივ გარსშიც. ენობრივი გამოვლენაა სწორედ ის, რაც ხდება დღეს ქართულ ლიტერატურაში. ამიტომ შემოჰყავთ ავტორებს მწერლობაში ისეთი პერსონაჟები, როგორსაც ვერცერთი მშობელი საკუთარ შვილს ნიშუშად ვერ დაუსახავს.

—*“ინდივიდი სტიქიურად ელტვის ორიგინალობას... შემოქმედი უმეტესად თავის თავს სამყაროს ცენტრადაც კი მიიჩნევს”* (ს.ს). *„მწერალთა“ ამოცანა მკითხველზე ერთგვარი შოკის მოგვრა იყო და ამ ტიპის „მწერლებს“ საზოგადოებაზე მოულოდნელობის ეფექტი, მართლაც გამოუვიდათ. მაგალითისათვის საკმარისია ლ. ბულაძისეული თამარის სახე XXI საუკუნისათვის. საინტერესო იქნება მიზეზობრივობის თქვენეული, როგორც ლიტერატორის შეფასება, მით უფრო, როცა არსებობს ალბათობა ბულაძისეული თამარის სახე დარჩეს ლიტერატურის ისტორიას...*

— ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, ლაშა ბულაძე რომ არ გამოჰყავდეთ ტელევიზიით — არავინ მის წიგნებს არ წაიკითხავს. სწორედ ამას ეწოდება საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ძალდატანების ერთ-ერთი ფორმა. რაც შეეხება მათ მიერ გამოწვეულ შოკს, არ განეკუთვნება ლიტერატურის სფეროს და არ არის ლიტერატურულ-ესთეტიკური შოკი. ისე, ისიც შოკი იქნება ჩვენი საუბრისას კარი გაიღოს და შიშველი ქალბატონი ან მამაკაცი შემოვიდეს, მაგრამ ამ ფაქტს ვერც ესთეტიკურს და ვერც კულტურულს ვერ მივაკუთნებთ. შოკი უნდა თავსდებოდეს კულტურის სფეროში, რომელიც აღმქმელისაგან აღიქმება კულტურულ მოვლენად, ხოლო ანტიადამიანურ და ანტიკულტურულ მოვლენას ლიტერატურულ ხელოვნებას ვერ მივაკუთნებთ. მსგავსი სახის ნაწერი დარჩება, ერთის მხრივ, სოციოლოგიურ ფაქტად საზოგადოებაში და ფსიქოლოგიურ

ფაქტად, თვით ინდივიდში, რაც საინტერესოდ შეიძლება მიიჩნიოს სოციოლოგმა ან ფსიქოლოგმა. ვერც ბულაძე, ვერც ბურჭულაძე და ვერცერთი უხამს ენაზე მოაზროვნე მწერალი თაობებს ვერ გაუძღვება ისე, როგორც რუსთაველი ან დანტი. დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ დგას თანამედროვე იტალიური ენა. მან შეუქმნა თანამედროვე იტალიურ მეტყველებას საფუძველი. როგორც ნესტანი, ტარიელი, თინათინი და ავთანდილი იყო მისაბაძი თაობებისათვის ისე მათი ავადმყოფი პერსონაჟები ვერ გახდებიან თაობათათვის, წინამძღოლნი. საბედნიეროდ, არცერთ მათგანს ამ მასშტაბის ტალანტი არ გააჩნია. სულიერი დაცემა მოდურია ახალგაზრდებში, რომელიც ვლინდება მეტყველებაში, ამა თუ იმ ლიტერატურის ჟანრისა და ფორმისადმი გატაცებაში (მაგალითად 60-იან წლებში მოდაში იყო ჰემინგუეის სტილი, ყველა მასავით წერდა — მოკლე ფრაზებით, დიალოგებით და ა.შ.). როგორც ნესი, ვერცერთი მოდური და ვინრო მოვლენა განადგურებას ვერ აიცილებს.

დღეს ცნობიერების წარმართველია ტელევიზია. ტელევიზიას განსაზღვრავს სახელმწიფო, სახელმწიფოს კი განსაზღვრავს უცხო ცნობიერება, აგრესიული გლობალიზმი. ყველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული. ვფიქრობ, ეს ავადმყოფური ნაკადი ჩვენს ლიტერატურაში აქამდეც ჩაკვდებოდა, რომ არ ჰქონდეს სახელმწიფო მხარდაჭერა. იქნება ეს ტელე-სივრცის, გამომცემლობების, პრესის, გრანტებისა თუ მათი პროპაგანდის სახით. მაგალითად, ტელეეკრანებზე ჭეშმარიტ მწერალს კი არ გამოიყვანენ, — მწერლის სახელწოდების მქონე უნიჭოს. ჭეშმარიტ მეცნიერს კი არ წარმოუდგენენ ხალხს, არამედ — სუროგატს, რათა თვალსა და ხელს შუა მოხდეს მეცნიერებისა და მწერლობის გაუფასურება. მიზანი: ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოსამსახურე ერი და არა შემოქმედი.

— *იცვლება და ირღვევა სულიერი ორიენტირები, სულს შეენაცვლა გონება, სიყვარულს — სექსი, ადამიანს — მანქანა... ბატონო სოსო, როგორც თქვენ ბრძანებთ „მხატვრული სტილი დაიქანცა ტრადიციული სქემების განუწყვეტელი ვარირებით“. იქნებ ვულგარიზმები ავანგარდული აუცილებლობაა ლიტერატურული სიახლისათვის?*

— რა თქმა უნდა, ადამიანის ფსიქიკა-განწყობილება ცვალებადია,

შესაბამისად ლიტერატურაშიც არ შეიძლება, სულ მოდერნისტული, ან იმპრესიონისტული სტილით მკითხველისთვის თავის მობეზრება. მაგრამ ნებისმიერი ცვალებადობა არ უნდა გასცდეს კულტურის სფეროებს. ცნობილია, მოჭიდავეთა შებრძოლება მხოლოდ ხალიჩაზე შემოსაზღვრულ რკალში უნდა წარიმართოს. ზღვარგადასულებს მაშინვე აჩერებს მსაჯის სიგნალი. უნესო ორთაბრძოლაშიც კი, რომელიც ჩვენი აგრესიული ეპოქისათვის დამახასიათებელი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა, სავალდებულო წესები სრულდება. ყველა სხვა შემთხვევაში ნებისმიერი სახის ასპარეზი სცილდება კულტურის ნორმებს.

— Modern - ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ახლისა და უჩვეულოს შექმნას, წარსულის სახეცვლას, თანამედროვე იერის მინიჭებას... ხოლო, Modern გერმანულად გახრწნასაც ნიშნავს. ბატონო სოსო, სიტყვიერ ხელოვნებაში აშვებულობა და სიტყვის შეუკავებლობა, რამდენად წარმოადგენს ლიტერატურას, ან რამდენად შეიძლება განიხილებოდეს ლიტერატურულ სიახლედ?

— თანამედროვე ხელოვნებას რატომღაც უწოდებენ პოსტმოდერნისტულს. ჩემი ღრმა რწმენით, უხამსი მწერლობის მონაცემები წარმოადგენს ვულგარულ ნატურალიზმს. ტერმინოლოგიურადაც კი მას არანაირი კავშირი არა აქვს პოსტმოდერნიზმთან. მოდერნისტები იყვნენ არისტოკრატიული ხელოვნების შემქმნელები. მაგალითად, გალაკტიონი, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. ბალმონტი, ალ. ბლოკი, რილკე გერმანულ ლიტერატურაში, ფრანგულ ლიტერატურაში ვერლენი, ბოდლერი, მალარმე... ისინი იყვნენ სიტყვის არისტოკრატები. „პოსტ“ ნიშნავს შემდგომს. მოდერნისტების შემდეგ იყვნენ პოსტმოდერნისტები, იმპრესიონიზმის შემდეგ პოსტიმპრესიონისტული მიმდინარეობა იშვა. უხამს ენაზე მოსაუბრე „მწერლებს“ რატომღაც სურთ თავიანთი თავი იმ დიდი კულტურის მემკვიდრეებად წარმოაჩინონ, არადა, არანაირი საერთო მათთან არა აქვთ. მაგალითად, ევროპაში ემილ ზოლა ადამიანის ბიოლოგიურ არსებას, ქალსა და მამაკაცს შორის ინტიმურ კავშირს ნატურალისტური სიზუსტით ასახავდა, რასაც მოდერნისტულს ვერ ვუწოდებთ. ექიმი გინეკოლოგიც წერს დეტალური სიზუსტით

სამედიცინო სახელმძღვანელოებში, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვუნოდებთ პორნოგრაფიას, რადგან მას თავისი დანიშნულება აქვს. საკმარისია გინეკოლოგის ცოდნა გამოსცდეს მეცნიერულ საზღვრებს, დაერქმევა ვულგარიზმი. რა პროცესებიც მიმდინარეობს დღეს ხელოვნებაში, კერძოდ, ლიტერატურაში არის მხოლოდ და მხოლოდ ნატურალისტური ვულგარიზმი.

— *კარგად მესმის, დღესდღეობით „ორნამენტული ფრაზა ღიმილის მომგვრელია...“ (ს.ს.). და მაინც, „მოჭრილი მუჭური“-ს.. (მ. მიქელაძე, 2009წ.) აღწერა ევფემიზმთა მოშველიებითაც ხომ არის შესაძლებელი? ბატონო სოსო, ქართულ უახლეს „მწერლობაში“ დამკვიდრებული უხამსობანი შეიძლება აღქმულ იქნას სიმახინჯის ესთეტიკის ვარიაციად?*

— სიმახინჯე არის, მაგრამ ესთეტიკა არა, არც მისი ვარიაცია. მიუხედავად კვაზიმოდოს ან ფრიდემანის ფიზიკური სიმახინჯისა, არც ავტორი და არც აღმქმელი მას არ ღებულობს როგორც საძულველს. სიმახინჯის ასახვამ მისი საზიზღრობა კი არ უნდა გაგრძნობინოს, ან ავტორის მიერ უსუსური განცდების წარმოსახვა პერსონაჟის მიმართ ზიზღს კი არა, თანაგრძნობას უნდა იწვევდეს. ვერცერთი აღმქმელი ვერ დასახავს იდეალად „ნეტავ ჩემი შვილი ასეთი იყოსო...“. თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ მთავარი პერსონაჟი ადრიან ლევერკიუნი გენიალური კომპოზიტორი ახალგაზრდობაში დაავადდა სიფილისით. ავტორის მიერ ნაჩვენებია, ეს დაავადება თუ როგორ გადადის გენიალობასა და შეშლილობაში. აღწერილია სიფილისის სტადიები თუ როგორ არღვევს მის სხეულს, ნერვულ სისტემას, ტვინის უჯრედებს და ამ რღვევის პროცესში, როგორ წარმოიშვება გენიალური განათება, რომელიც კატასტროფით მთავრდება. თომას მანს მოცემული აქვს ავადმყოფურისა და გენიალურის მონაცვლეობა სააზროვნო თემად, თორემ, რამდენი სიფილისით სწეული ყოფილა ან იქნება – უმნიშვნელოა.

— *მანამდე, ლომბროზოსაც ხომ აქვს განხილული გენიალობა და შეშლილობა?*

— ლომბროზოს თეორიით, გენიალობა ყოველთვის შეიცავს ავადმყოფურს, ანუ გენიალობა არის შეშლილობა. მისი თეორიის მიხედვით

მნიშვნელოვანია და ტალანტის განვითარებაზე მოქმედებს ფსიქიკურ-ნერვული ტრავმები, განცდები, რომლებიც გადასულია ფსიქო-ნერვულ სისტემაში, მაგალითად, სამშობლოსადმი გრძნობა იქნება, ქალისადმი სიყვარული თუ მისი დაკარგვა, რომელიც ფსიქო-ნერვულ სისტემას ისე შეეხება, რომ აუცილებლად გადავა მხოლოდ აზროვნების სფეროში. ვინ მოთვლის მსოფლიოს რამდენი ფსიქიურად დაავადებული ჰყოლია, რომელიც გენიალობას სულაც არ ნიშნავს.

— *ბატონო სოსო, ბურჭულაძის ნაწერები გენიალობად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ნიჭიერი ავადმყოფის ხედვად შეიძლება ჩაითვალოს?*

— ზაზა ბურჭულაძე უხამსი ენით მოაზროვნეთაგან, შედარებით უფრო ნიჭიერია. მე ვთვლი, რომ ის არის ნიჭიერი ავადმყოფი. თუმცა, არც ისეთი ავადმყოფია, როგორც იავადებს თავს.

— *თქვენი აზრით, რაში შეიძლება დასჭირდეს მწერლობაში დამკვიდრების მოსურნე ადამიანს ავადმყოფის როლის თამაში?*

— ერთგვარი ორიგინალმანიაც არის, თან მისი და მისთანანის ნაწერები თანხმოვანებაში მოდის საქართველოს დღევანდელ სახელმწიფოებრივ ცნობიერებასთან. იგი ჯდება იმ სააზროვნო რკალში, რომელიც ხელს აძლევს სახელმწიფოს და პირიქით. აუცილებლად უნდა ითქვას, სახელმწიფოს არ აწყობს ჰუმანისტური და გმირული ლიტერატურა სულ უბრალო მიზეზის გამო, შემოქმედი რომ არ იყოს შემწინააღმდეგებელი, არამედ მიმყოლი. ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მოდელით, მოქალაქე სურს აღზარდოს მონად. დღეს სხვადასხვა კულტურების მცოდნე ინტელიგენცია სახელმწიფო მმართველობას არ სჭირდება, ზედმეტი ბალასტია. მიმდინარეობს ქვეყნის, ხალხის ამერიკანიზაცია, რომელსაც ახალი კულტურის შემოსვლად ნათლავენ. ამისათვის სახელმწიფოს სჭირდება დამყოლი შემოქმედი და, შესაბამისად, აღმქმელი. ამ ენით მოაზროვნე „მწერლებმა“ უნდა შეძლონ საზოგადოების ზედმინვენითი დამორჩილება. ისინი ქმნიან მკითხველის ახალ ტიპს. საინტერესოა რა ხერხებით? ცოდნით? ინტელექტუალიზმით? — არა, დემორალიზაციით: მამაკაცის განკაცებით, მამობის სურვილის აღმოფხვრით, ხოლო ქალში დედის

სახისა და დედობის სურვილის მოსრევით. ამიტომაც სჭირდებათ ბურჭულაძესა და მისთანანებს ავადმყოფური პერსონაჟები. მაგალითად, გალაკტიონის, კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის ლიტერატურა არ შეესაბამება დღევანდელ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. უხამსი მწერლები მიჰყვებიან სახელმწიფოს გარედან შემოსულ ინსტრუქციებს, დინამიკას. შესაცვლელია, როგორც ქალის, ისე მამაკაცის ტიპი. აუცილებელია სექსი სახეცვლილი და ა.შ.. არადა საკმარისია შემოქმედმა შემოიტანოს რეალობა აზროვნების ჭრილში და ადამიანურ ტრაგედიად გაიაზროს, რალა თქმა უნდა, შეიქმნება ლიტერატურა. იდენტური პროცესები მიმდინარეობს განათლების სისტემაშიც. საქართველოში დღეს უნივერსიტეტი აღარ არსებობს, ის თავისი დატვირთვით არის, მაქსიმუმ, კოლეჯის დონეზე. გერმანული სიღრმისეული სწავლა-აღზრდის სისტემა დღევანდელმა ქართულმა სახელმწიფოებრივმა ცნობიერებამ გამიზნულად დაანგრია. დაუკვირდით, სანაცვლოდ შემოიტანა მსუბუქი, ზედაპირული განათლება, რომელიც ძირითადად მოიცავს ინგლისურსა და კომპიუტერულ ერუდიციას. სხვათაშორის, ზედაპირული განათლება გათვლილია უშუალოდ ქალთა სოციალურ ჯგუფზე, რომელიც სჭირდებათ მსუბუქი განათლების მქონე „კულტურულ“ მეძავებად, რომელთათვისაც საკმარისია ზედაპირული განათლება. ალბათ დამეთანხმებით, ღრმა ინტელექტუალის, ესთეტიკური აზროვნებისა და არისტოკრატიული სულის ქალბატონის დაყოლიება ნებისმიერ საკითხში ძალზე ძნელია. ყოველივე რას ისახავს მიზნად? — სექსის კულტს, ოღონდ არა მაღალი ღირებულების (რაც იცის მსოფლიო კულტურებმა), არამედ მხოლოდ გარყვნილების მნიშვნელობით.

— ფროიდმა უძველესი მითების საფუძველზე წარმოაჩინა არაცნობიერი ფსიქიკა, რომლის ბირთვად მიიჩნია ინცესტი და მამის მკვლელობა — „ოიდიპოსის კომპლექსი“. ფროიდის თეორიის საფუძველზე, „ინცესტი ძალაუფლების სიმბოლიკაა, გზა მშობელი დედის დაუფლებიდან მშობელი მინის დაუფლებამდე...“ ბატონო სოსო, მშობელი დედის დაუფლების გაუცნობიერებელი წარმოჩენა (მაგალითად ზ. ბურჭულაძის შემოქმედებაში „...დე, პირში აიღებ?...“) ხომ არ გამოხატავს მიწებდაკარგული, ნიადაგგამოცლილი ქართველი

„მწერლისათვის“ მშობელი მიწის ქვეცნობიერი დაუფლების ჟინს?

— ფროიდი გამოყენებული მაქვს კონკრეტულ ნაწარმოებთა მიმართ, მაგალითად, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასა“ და „დიონისოს ღიმილში“, რომლებიც ასახავდნენ ფსიქონალიზის ზეგავლენას. ჩვენ ამ დონეზე რომ განვიხილოთ უხამსი აზროვნების „მწერლები“, ისინი უნდა ჩავთვალოთ, სულ მცირე, სერიოზულ მოაზროვნეებად. რამდენი შიზოფრენიკი საავადმყოფოში ან მის გარეთ რამდენ სისულელეს იტყვის, არ მოეძებნება რაიმე სახის აზრობრივი გამართლება. რაც შეეხება დედისა და სამშობლოს დაუფლებას, ამის მაგალითად, მეტაფორად მეცნიერებს მოჰყავთ იულიუს კეისარი. მას, როდესაც ჯარები დაძრა რომის დასაპყრობად, ეკრძალებოდა რუბიკონს აქეთ ჯარების გადმოყვანა, რადგან ამბობებოდ ალიქმებოდა. იგი რამდენიმე დღე დარჩა რუბიკონს მიღმა გალების ტერიტორიაზე და ფიქრობდა, შეჭრილიყო თუ არა რომში. ერთ ღამეს ესიზმრა, რომ დედის სარეცელს იზიარებდა. იგი სიზმარმა შეზარა, როდესაც მეხსიერებაში სიზმარი აღიდგინა, იმწუთშივე გასცა რომისკენ დაძვრის ბრძანება. შემდეგ კეისრის ისტორია მოგეხსენებათ... კეისარმა დედის სარეცელის გაყოფა აღიქვა როგორც დედასამშობლოს ხელყოფა, რისი მეტაფორაც არის ეს ისტორია. ინცესტის ნაირსახედ ფსიქოლოგებს კიდევ მრავალი სხვა მაგალითი მოჰყავთ. ხელოვნების ყველა ჟანრი, ყველა სტილი გაჩნდა მხოლოდ ერთი მიზნით — მაქსიმალურად გამოაჩინოს აზრიანი ემოცია. დედასთან ურთიერთობა, ან მამის მკვლელობა შესაძლოა ხდებოდა, ან მოხდეს კიდევ, მაგრამ მსგავს ფაქტებს ხომ ვერ განვიხილავთ აზროვნების, ან ესთეტიკურ პლანში? ადამიანის ესა თუ ის ავადმყოფური გამოვლენა საინტერესო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სააზროვნო კონტექსტში განიხილება. მხოლოდ დრამატურგის გენიალობამ შემოიტანა ოიდიპოსის თავგადასავალი როგორც პრობლემა ზნეობრიობის სფეროში და ტრაგიკულად დაანახა აღმქმელს, თუ რა შეიძლება დაემართოს ბედისწერის რკალში მოქცეულ ადამიანს. სხვაგვარად უზნეობის ასახვა ხელოვანმა მიზნად რატომ უნდა დაისახოს? პორნოგრაფია, დანაშაულებანი, პათოლოგიური იერსახეები, სხვადასხვა სახის სნეულებანი არსებობდა

და იარსებებს, რაც კაცობრიობა იყო და იქნება, მაგრამ პათოლოგიათა ესთეტიკურ იდეალად დასახვა სხვა არის და პათოლოგიის როგორც ავადმყოფობის განხილვა — სულ სხვა. კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილი, მისი არსებობის მანძილზე ცდილობს, რომ ადამიანი იყოს უკეთესი. შესაძლოა მშობელს ჰყავდეს უზნეო, ან ავადმყოფი შვილი, მაგრამ მას კი არ ახარებს,-მშობლის ტრაგედიაა. ცალკეულ ხელმოცარულთა უნიჭო ნააზრევი წარმოადგენს მათ შემოქმედებით იმპოტენციურ მდგომარეობას, რომელიც მყარადაა გამჯდარი დღევანდელი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მოდელში.

„მოდერნისტები პოლიტიკას ხელოვნებისათვის ზედმეტ ტვირთად მიიჩნევდნენ...“ (ს.ს). როცა რუსეთი ხელმეორედ აჩოქებდა საქართველოს, ქართველი პოეტი ტილს უძღვნიდა სონეტს... XXI საუკუნის დასაწყისისათვის „შემოქმედებითი“ სინამდვილე ბევრად ამაზრუნია: განსხვავებული აზროვნების „მწერლებმა“ „აღმოიყარნეს ყვერ-ფალოსნი...“, „მხიარული ყლებითა და მოკისკისე მუტლებითა“ (დ. ბარბაქაძე, 2000წ.) და „ყლებზე წითელიბანტით...“ (ზ. ბურჭულაძე, 2010წ.) შეუდგნენ რუსეთის მიერ, მესამედ წამოჩოქილ საქართველოს გზებს... ბატონო სოსო, ვის ნიხლქვეშაც არ უნდა აღმოჩნდეს საქართველო, განალიტერატურული პრინციპებითვე არ უნდა გაიმიჯნოს ლიტერატურიდან მსგავსი ესთეტიკა და პოეტიკა, ან რა ხერხებით?

— ამ სახის ნაწერები არ განეკუთვნება ლიტერატურულ ხელოვნებას. მხოლოდ იმ უმწეობის, უილაჯობის გამოსხატულებაა, რომელსაც ახლავს ცინიზმი, დეპრესია და ნიჰილიზმი. არაცნობიერი პროცესი, რა თქმა უნდა, წარმართავს შემოქმედებას. არაცნობიერს ყველა ადამიანი ატარებს, როგორც ინსტინქტებს, როგორც ლტოლვას, მიდრეკილებებს. მსგავსი ნაწერები არ წარმოადგენს შემოქმედებით პოტენციას, მხოლოდ გადაგვარების, დეგრადაციის გამოსხატულებაა. უხამსი ენით აზროვნება ლიტერატურული აზროვნებისათვის ღირებული რომ ყოფილიყო, მათზე ბევრად ვაჟკაცები იყვნენ გენიოსები. მაგალითად, ბაირონი ულამაზეს კაცად ითვლებოდა, თან ყველა სიკეთესთან ერთად უამრავი ლამაზმანი ქალბატონით განებივრებულს დაასწრებდნენ მსგავსის შექმნას? ბევრად უფრო მძაფრად, უფრო პორნოგრაფიულადაც ვინ მოთვლის რამდენი

გენიოსი შეძლებდა იგივეს, უხამსი ენით აზროვნება ესთეტიკურად წარმმართველი რომ ყოფილიყო.

კ. გამსახურდიას სიტყვებს რომ დავესესხოთ, „როდესაც ერი კარგავს პოლიტიკურ თავისუფლებას, მან უნდა გაამაგროს კულტურის ფრონტი...“, რასაც, ცხადია, ვულგარიზმთა „სასატკბილობით“ ვერ მოვიპოვებთ. ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში, მან საერთოდ ამოაგდო რუსეთი ლიტერატურის იმპერიიდან და ორიენტირად გამოაცხადა დასავლეთი – გერმანია და საფრანგეთი...

ვინც აგრესიული გლობალიზაციის ინსტრუქციებით მართავს დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას, ზედმინწვნიტ აქვს შედეგი გათვლილი: უნდა დაინგრეს სულიერების ციტადელი — რელიგია და კულტურა. კულტურაში ყველგან და ყოველთვის აზროვნების წარმმართველი ძალა ლიტერატურაა. დაუკვირდით, მოხდა მუსიკის პროფანაცია (შებლაღვა). ყველა ის პროცესი, რომელზეც თქვენ ამახვილებთ ყურადღებას, პირველ რიგში ლიტერატორთა ზრუნვის საგანია. 2004 წელს, ჩემი რედაქტორობით, „მწერლის გაზეთმა“ უკომენტაროდ სამი ნომერი დაუთმო მხოლოდ მათ ციტატებს, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია თვით ამ ენით მოაზროვნე მწერლებში, ვისი ციტატებიც იყო მოყვანილი. წუხილი და დიდი ინტერესი გამოიჩინა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემაც. ჩვენი ბრძოლა იმით დასრულდა, რომ გაზეთს მოუხსნეს დაფინანსება. ქალბატონმა ნინომაც ზურგი შეგვაქცია და შევრჩით უდიდეს პრობლემასთან მარტონი, პირისპირ, რაც მხოლოდ იმის მანიშნებელი იყო, რომ ჩვენ ამ ტენდენციის წინააღმდეგ ხმა არ უნდა ამოგველო.

ყველაფრის მიუხედავად, რაც უნდა გადაგვხვდეს, მაინც ყველაზე დიდი იმედი მაქვს ქართველი ქალის, რომელიც ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. ქართველი კაცისათვის ქალის კულტი განმსაზღვრელია, რაც ჩვენს ქვეყანაში იქმნებოდა ყოველდღე მინდა მარიამის, წმინდა ნინოს, თამარისა და ქეთევან ნამებულის სახეებით. ქართველი მამაკაცი ქალს ყოველთვის თვლიდა იდეალად და მისი ღირსების დაცვას — მოვალეობად. შესაქმნელად ქალის მრავალი სახე იქმნებოდა (მსუბუქი ყოფა-ქცევის, ტრაგიკული და ა.შ.) ხელოვნებაში, მაგრამ როგორც იდეალი, დედა და სატრფო ყოველთვის იყო ქართველი

კაცის აზროვნებისათვის წმინდა, სანიმუშო. ისტორიულადაც ყველაზე მძიმე პერიოდებში ქვეყნის ღირსების გადამრჩენი იყო ქართველი ქალი. ოციოდე წლის წინაც, როდესაც მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს ზვიად გამსახურდიას კანონიერი ეროვნული მთავრობა, ყველაზე უფრო პატრიოტული ნაწილი ქალთა საზოგადოება აღმოჩნდა, რომელმაც ყველაზე მეტი იბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. დღეს, როდესაც კაცის ღირსებას თვით კაცი უთხრის ძირს და მიჰყავს დალუპვისაკენ, ისევ ქართველი ქალი ააღორძინებს.

ქალი არის დედა, რომელსაც სურს ჰყავდეს ვაჟი არა ისეთი, როგორ პერსონაჟებსაც უხამსი ენით მოაზროვნე „მწერლები“ ხატავენ, არამედ, – როგორი მამაკაციც წარმოუდგენია თავის არსებაში.

— ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა ანდროგენულ აზროვნებაში წარმოშობს აქტიური ტიპის ქალის ქვეცნობიერ აგრესიას (რაც შემოქმედთა მიერ გამოიხატება კიდევ ანდროგენულ ქალთა სახეების შექმნით). მაგალითად, ჰეგელისათვის „მეცნიერი ქალი — ულვაშებიანი ქალია“, ცნობილია ტიციან ტაბიძის „მადონა აფთარი“, XX საუკუნის 70-იან წლებში, ევროპაში ფემინიზმის ბუმის ხანაში ავანგარდისტი პოლაკი ქმნის „ულვაშებიანი ჯოკონდას“ სახეს, რომ არაფერი ვთქვათ დემონურ ქალთა არქეტიპებზე, რაც სხვა არაფერია თუ არა გააქტიურებული ფემინური აზროვნების გაიგივება დემონურ ძალებთან.

ბატონო სოსო, ჩვენს თანამედროვეობაში ფემინური სამყაროს გააქტიურებული ეპოქით ხომ არ არის გამონვეული ქართველ შემოქმედში ის აგრესია, რასაც ყოფითი და შემოქმედებითი სახით ასე უხამსად გვთავაზობს?

— ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ჰგავს საქანელას, აინონა-დაინონას. როდესაც კაცის ფუნქციები ქვეითდება, ქალი აქტიურდება. ძველ დროში მსგავსი საკითხი არც მოიაზრებოდა, რადგან ქალი სავსებით ემორჩილებოდა მამაკაცის ნებას. მოგვწონს თუ არა, განგებამ გადაუნანილა ფუნქციები ორივე სქესს. ქალს ვერ დავავალდებულებთ, რომ იარაღით დაიცვას სამშობლო, დაწეროს „ვეფხისტყაოსანი“, ჩამოაყალიბოს ფარდობითობის თეორია, შექმნას

სარაკეტო სისტემა და ა.შ. სამაგიეროდ, უკლებლივ ყველა გენიოსს შობს დედა. არცერთ კაცს არ სურს მისი გათხოვილი ქალიშვილი იხილოს დაჩაგრულ მდგომარეობაში. ისევე, როგორც არცერთ ვაჟს არ უნდა მის დედას შეურაცხყოფდნენ. ამ ორ სქესს შორის უდაოდ არსებობს მამაკაცის პრიმატი. ვფიქრობ, ქალისათვის არაბუნებრივი მდგომარეობა სწორედ ის გახლავთ, როცა ხდება ფუნქციათა აღრევა. ქალი იძულებულია ორმაგად გააქტიურდეს და გაითავისოს მამაკაცის ფუნქციებიც, რითიც ეკარგება ქალურობა, შესაბამისად ელახება ღირსებები.

—*ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, მსგავსი სახის ნაწერები ხომ არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემათა ნაწილს: მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მოხსნა კაცის ძალის (პრიმატის) უპირატესობა; კლონირება, გნებავთ ხელოვნური ჩასახვა, როგორც მოვლენა ამკარა უარყოფაა მამაკაცისა; სოციალური დაუსაქმებლობით გამოწვეული უფუნქციობა მამაკაცს სტატიკურ მდგომარეობაში აქცევს... შემოქმედი ალღოთი ხომ არ გრძნობს, რაშიც იყო უპირატესი, ცხოვრების ახალი წესებით თანდათან ეცლება ხელიდან. პასუხად აგრესიულ, უხამსობას ხომ არ გვთავაზობს იმ გამოხატულებით, რასაც შემოქმედებდა ასაღებს და მწერლობას არქმევს?*

—თქვენს ჩამონათვალს, მართლაც, ვერავარიდებთ თვალს. აშკარაა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაციის პროცესი ჩვენს დროში არსებულ ცვლილებათა ხელშემწყობია. გაიზარდა ქალის ასპარეზი. ამ დროს, ქალის შეგნებაც ისაა, რომ ალღო უნდა აუღოს თანამედროვე რეალობას და გაისიგრძეგანოს, რომ მამაკაცის პასიურ მდგომარეობაში მოქცევა გარემოებითია ანუ მისი სტატიკურობიდან სულაც არ მომდინარეობს. სხვათა შორის, არსებობს კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი — კვების საკითხი. მოგეხსენებათ, ძველ დროში, მამაკაცთა სოციალური ჯგუფი ძირითადად იკვებებოდა ნანადირევით, რაც ნიშნავს იმას, რომ საკვებს მოიპოვებდა მოქმედებით, ბრძოლით. მამაკაცთა პოპულაციისათვის დამახასიათებელი ცხოვრების ეს წესი უშუალო კავშირშია მამაკაცური, შემტევი, აგრესიული ინსტიქტების აუცილებელ განვითარებასთან (მხოლოდ სექსს არ ვგულისხმობ, ეს თავისთავად...), ზოგადად

შექმნასთან, დამორჩილებასთან, წინააღმდეგობის აუცილებელ გადალახვასთან, ძალის გამოვლენასთან, რაც ბუნებრივია, აქტივობის გარეშე ვერ მიიღწევა. მაგალითად, ძველ რომში ქურუმებს, გარდა ქალთან კონტაქტისა, ეკრძალებოდათ სისხლის შეხედვაც კი. სისხლი, ხორცი, ცხენი, მახვილი და ა.შ. კაცში აძლიერებს აგრესიულ ენერგიებს. ერთი დღე, თუნდაც კვირა, ვერაფერს ვერ დააკლებს კაცს, მაგრამ როდესაც ბავშვობიდან ძალაგამოცლილი ენერგიით იკვებები, ბუნებრივად ხდები ძალაგამოცლილი ენერგიის მატარებელი. მამაკაცის განკაცების პროცესში კვება ძალიან დიდ როლს ასრულებს, მით უფრო უცხოეთიდან შემოსული შეუმონმბელი საკვები რა და რა სახის კონცენტრატების მომცველია – ვინ იცის. რაც შეეხება სულიერ ცხოვრებას, ლიტერატურულ ხელოვნებაში აგრესია ნიშნავს სიტყვის დამორჩილებას და არა აშვებულობას, რაც მხოლოდ პოეტთა, გენიოსთა ხვედრია. თუ შექმნიან მათ მიერ შემოთავაზებული ხერხებით ღირებულ ლიტერატურას, სულ სხვა საკითხია. ზოგჯერ ცხარე სიტყვა სიცოცხლის უნარს სძენს, მაგალითად, სუფრას — ხალისი შეაქვს, მაგრამ ვულგარულ ფრაზებს ყველაზე დიდი გემოვნება სჭირდება. მათ მიერ შემოთავაზებული ნაწერები განეკუთვნება არა ხელოვნებას, არამედ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პრობლემათა სფეროს. რამდენადაც სოციოლოგია და ფსიქოლოგია ლიტერატურაში იჭრება, ამდენად ვმსჯელობთ ამგვარ საკითხებზე, თორემ, მათ მიერ შემოთავაზებულ პროდუქციას ვერ გადავაქცევთ ლიტერატურული განსჯის საგნად.

*ესაუბრა თამთა ცეცაძე
ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“
2012, 10 აგვისტო*

დაგეგმვა

პირველი ნიგონისათვის –
„კულტურის გენეზისი“

გვარ-ტომი და ფუძე-ენა

ადამიანთა მცირე ჯგუფი აყალიბებს რელიგიას, ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, მეცნიერებას, ფილოსოფიას. მათ ჰყავთ წინამორბედები, რომლებიც ამზადებენ ინტელექტუალურ ატმოსფეროს. მათ მიჰყვება უამრავი მიმბაძველი და მიმდევარი, მათ გადააქვთ კულტურა თაობიდან თაობაში.

ადამიანთა მცირე ჯგუფი ჰყავდა კორტესს, როცა მექსიკა დაიპყრო; 122 ინგლისელი პურიტანელი ჩავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში 1620 წელს, რომელთა ერთიანობისა და რწმენის იდეა დაიცვეს და განავრცეს შთამომავლებმა.

ქრისტეს 12 მოციქული ჰყავდა, მაგრამ მისი იდეა 2000 წელია ცოცხლობს და ჰყავს აურაცხელი მიმდევარი, წმინდანი და წამებული.

12 ძე ჰყავდა ბიბლიურ იაკობს, რომელთაგან წარმოსდგა ისრაელის 12 ტომი.

ასეთ მიკრო წრეში არის კონდენსირებული ენერგია, როგორც კვერცხში ჩანასახი, რომლიდანაც მოდის სიცოცხლე.

მცირე ჯგუფი ქმნის სახელმწიფოსა და კონტრკულტურას, რომელსაც ელის უნივერსალიზება. იგი უმცირესი ქმედების პრინციპით, იზოლირებული აგრესიულ ძალთაგან, აყალიბებს თავის წრესა და წარმოდგენებს; რაც უფრო მტკიცეა და მონოლითური, იმდენად აქვს გაშლის პერსპექტივა.

ამ მცირე ჯგუფს ჰყავს ლიდერი. ის არის ძალისა და იდეების გენერატორი, როგორც ქრისტე, მუჰამედი, ჩინგის ხანი, ნაპოლეონი, ჰიტლერი თუ სტალინი. იგი კრავს და აერთიანებს ამ ჯგუფის ინტერესებს.

ასეთივე პრინციპით ხდებოდა უძველეს დროში გვარ-ტომისა და ფუძე-ენის კრისტალიზება. მაგ., გამყრელიძე-ივანოვის თეორიის თანახმად, პრაინდოევროპელთა მიგრაცია წინააზიიდან ბალკანეთისა, ცენტრალური აზიისა და ინდოეთის ნახევარკუნძულისაკენ, შემდეგ – ვოლგისა და დნეპრის გავლით ევროპისაკენ.

ენათმეცნიერთა წარმოდგენით, საუკუნეების მანძილზე, ვრცელ არეალში მოქმედებდა ფუძე-ენა, რომლის დაშლას მოჰყვა ენათა ჯგუფების წარმოქმნა.

ზოგი სულაც ფანტასტიკას გვთავაზობს, რომ თითქოს 100.000 წლის წინათ არსებულა—პრაენა, რომელიც 15.000 წლის წინათ რამდენიმე ოჯახად გაყოფილა!

არ ეჭვობენ თუ როგორ უნდა ემეტყველათ ველურებს 80.000 წელი ერთი ენით მთელს მსოფლიოში!

ეს თვალსაზრისი ემყარება მონოცენტრისტულ კონცეფციას, რომ თითქოს დედამიწის ერთი ნერტილში გაჩნდა ადამიანი და შემდეგ მისი შთამომავლები გადავიდნენ სხვადასხვა კონტინენტზე; ნავიდნენ და წაიღეს პრაენაც, რაც პრობლემის მითოსურ—რელიგიურ ახსნას ჰგავს. ეს რომც ვირწმუნოთ, 80.000 წელი ენა მაინც შეიცვლებოდა, მითუმეტეს, რომ ადამიანის ბიოლოგიური სრულქმნა გრძელდებოდა.

ასე რომ ფუძე—ენის საკითხი უკავშირდება ანთროპოლოგიას, კერძოდ — მონოცენტრიზმსა და პოლიცენტრიზმს, ნეანდერტალური ადამიანური ფაზისა და პრე—საპიენსის თეორიებს, ე. ი. ჰომო საპიენსი არის ერთი ტიპის ჰომინიდის — შიმპანზეს ევოლუციის შედეგი თუ არსებობდა მრავალი შტო, რომელთაგან ზოგი გადაშენდა ან ერთმანეთს შეენაცვლა და შეეზარდა.

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ევროპის, აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა სამი რასა — ევროპეიდი (თეთრი), ნეგროიდი (შავი) და მონგოლოიდი (ყვითელი). მათ შიგნით კი იყო მრავალი შტო (როგორც დღეს ერებია), რომელთაგან ზოგის განვითარება დაკონსერვდა, ზოგი — გაძლიერდა და გაიშალა. გამოიყო ახალი სახეობებიც.

ადამიანის ევოლუცია არ უნდა ყოფილიყო სწორხაზოვანი განვითარება, მუდმივი აღმასვლა და სრულყოფა.

ნეანდერტალელის ტიპის ადამიანის გარდა შეიძლება არსებულებულიყო სხვა სახის ადამიანებიც. ამას ადასტურებს ჩინეთში ახლად აღმოჩენილი ე.წ. „წითელი ირმის ადამიანის“ ძვალთა ფრაგმენტებიც, რომლის ასაკია მხოლოდ 14.500 წელი. ზოგი თვლის, რომ ნეანდერტალელი არც ყოფილა *Homo sapiens*-ის წინაპარი.

თეორიებს თავი რომც დავანებოთ, ისედაც ცხადი უნდა იყოს, რომ დიდ გეოგრაფიულ არეალში, როცა ტომები იზოლირებულად ცხოვრობენ, როცა არ არსებობს გამაერთიანებელი ფაქტორები — სახელმწიფო, ეკლესია, დამწერლობა, გზა — ენა ვერც ერთგვარი და ვერც უცვლელი ვერ იქნებოდა.

ამიტომ დარჩება ფუძე-ენა და პრა-ენა სიმბოლურ ცნებებად თუ არ შეიცვალა მათი სტატიკური გაგება, თუ არ გავიაზრეთ წარმომშობი პროცესები.

საწყისი წერტილი, საწყისი ბიძგი აქვს ყველაფერს, ყოველ მოვლენას.

ასეთი საწყისი უნდა ყოფილიყო ენობრივი ბირთვი, როგორც კვერცხუჯრედი, რომელიც ჰქონდა ერთ, სისხლით ნათესავ კლანს და გადადიოდა ფრატრიებსა და ტომზე.

მაგრამ ამეტყველების პროცესი სხვადასხვა ჯოგსა და გვარ-ტომში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და სხვადასხვა დროს იწყებოდა.

მას საფუძვლად ედო ბიოლოგიური ტრანსფორმაცია, თავის ტვინის სტრუქტურისა და ენის გენის ფორმირება, აფექტების, შიშისა და აგრესიის მუდმივი ზემოქმედება.

შორისდებულთა მსგავსი ერთმარცვლიანი ბგერები უნდა ყოფილიყო პირველადი კომუნიკაცია, როგორც ჩვილ ბავშვებში, აფექტურად აღმოთქმული და სხეულის მოძრაობით, ჟესტ-მიმიკით გამკვეთრებული.

კომუნიკაციას იწვევდა შინაგანი ექსპრესია, შინაგანი ღელვის განმუხტვის მოთხოვნილება.

ამდენად არის ამეტყველების პროცესი ბიოლოგიური პრობლემა, რომელიც გადავიდა ინტელექტუალურ სფეროში, ისევე როგორც ბგერა, რომელსაც ფიზიკა სწავლობს.

ენობრივი ბირთვები, პროტო-ენები, მინიმალურ ლექსიკასა და გრამატიკულ პრაფორმებს რომ შეიცავდა, უამრავ ტომს ჰქონდა.

ისინი სამივე კონტინენტზე იყვნენ გაფანტულნი.

პროტო-ენების განვითარებულმა რელიქტებმა მოაღწია ისტორიულ პერიოდამდე (მაგ., ალბანური ითვლიდა 26 ენას) და თანამედროვეობამდე (მაგ. დადესტნელებს 28 ენა აქვთ).

ავსტრალიურ ტომები XVIII საუკუნის ბოლოს 500-მდე ენას ითვლიდნენ. ასევე მრავალი ენა ჰქონდათ ამერიკელ ინდიელებს.

ამჟამად მსოფლიოში 5.000-მდე სხვადასხვა დონის ენაა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნით კულტურულად ჩამორჩენილ ხალხებსა და ტომებს.

პროტო-ენების გამსხვილება და გავრცელება ტომების ასიმილირებას ან განყვეტას უკავშირდება, ეს პროცესი – ომებს, ომები კი – ტექნიკის გაჩენას, შუბსა და მშვილდისარს, ბრინჯაოს ცულებსა და მახვილებს.

ომი ახალი დროის მოვლენაა. ომებით იწყება ცივილიზაციის პროგ-

რესი და კულტურის განვითარება, რადგან ეს არის როგორც გამოცდილების ათვისება, ისე ძალთა მაქსიმალური გამოვლენა და კონცენტრირება, პირველადი ბარბაროსული ინტეგრირება.

ტომის სათავეში, როგორც ვიცით, ყველგან დედა იდგა, რომლის ტოტემ-გვარი შვილებს გადაეცემოდა, რადგან სექსა და ბავშვის დაბადებას ერთმანეთთან ვერ აკავშირებდნენ.

დედის პრიმატი შემორჩა ქართულ ენას – „დიასახლისი“, „გუთნის-დედა“, „დედაბოძი“, „დედამინა“, „ვაი, დედა“...

ომებმა წამოსწია ქურუმ-ბელადის – მეომარი ლიდერის როლი, რომელიც ტომს იცავდა და სარჩოც მოჰქონდა.

დედის გვარი თანდათან მამის გვარით შეიცვალა, რაც ნიშნავდა ძალის აღიარებას.

ამავდროულად ტოტემის ადგილს იკავებენ ღმერთები, გასაგები ხდება მამის როლიც. თუმცა ინერციით კვლავაც დიდხანს რჩება ქალის უპირატესი ნიშნებიც (მაგ., ეგვიპტის ფარაონის ტახტი გადადიოდა ქალის ხაზით, რის გამოც ძმა დას ირთავდა).

ინცესტის ტაბუირება ნიშნავდა ტომის, კლანის ფარგლებიდან გასვლას, უცნობი სივრცის მოხილვას, სხვა ტომთან ადგილობრივ კავშირს, ქალთა მოტაცებას თუ თხოვას.

ასე იქმნებოდა ფრატრიები – ტომთა კავშირები, რაც სისხლისღვრის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ამიტომ აიგივებდნენ სიყვარულს სიკვდილთან, ბრძოლასა და სისხლისღვრასთან. წარმოქმნილი შუილი, სანადირო სივრცე, ფრატრიების გავრცობა და გადაადგილება ინვევდა ტომთა შეჯახებებს, კონფლიქტებს, რასაც ბელადი უძლოდა – ძლიერი მამაკაცი.

გამარჯვებული თუ ბუნების კატაკლიზმებს გადარჩენილი ტომი იმორჩილებდა და იერთებდა დამარცხებულ, დასუსტებულ ტომებს, სპობდა ან გადმოჰყავდა თავის ენაზე, თავად მსხვილდებოდა და იკავებდა ახალ-ახალ ტერიტორიას, განავრცობდა ოიკუმენს, ამრავლებდა თავის მოდგმას, რომლის განშტოებები ჯერ დიალექტურად, შემდეგ დროთა მანძილზე, ისტორიულ ვითარებათა შესაბამისად, ენებად იქცეოდნენ.

ტომთა ასიმილირება ბუნებრივი, შედარებით უმტკივნეულო პროცესიც იყო, როცა იქმნებოდა ფრატრიები, როცა ერთი ტომის ვაჟებს კოლექტიურად მოჰყავდათ მეორე ტომის ქალები, ან როცა მეჯოგე ტომები გადადიოდნენ ერთიდან მეორე ადგილზე, იცვლიდნენ საძოვრებს, მუდმივად თუ სეზონურად.

მაგრამ როცა ველურთა მასა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, უამრავ საქონელთან ერთად მოდიოდა, დამხვედურებთან შეტაკება გარდაუვალი იყო.

ისინი ეძებდნენ უკეთეს საძოვრებს, უკეთეს მიწას, წყალს, თბილ ჰავას. გვარ-ტომი იყოფოდა შიდაკონფლიქტების გამოც, რასაც ინვევდა ბრძოლა მდედრისა და სარჩოსათვის, ბრძოლა ლიდერობისათვის.

დამარცხებული თავს აფარებდა მთებს, უდაბნოებს, ცინულეთს, სუსხსა და სიცივეს. მტერს აქეთკენ გული არ მოუწევდა, აქ თავისათვის სასარგებლოს ვერაფერს იპოვიდა.

შემდეგ, როცა ძლიერდებოდნენ ცინულეთის ბინადარნი, ახლა ისინი ეშვებოდნენ თბილი და მწვანე სივრცისაკენ. ასე შეიჭრნენ ინდოევროპელთა წინაპრები ინდოეთის ნახევარკუნძულზე, ძველი ბერძნები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძველი გერმანელები – რომის მპერიასში, ალტაელი თურქები და მონღოლები – შუა აზიასა და მცირე-აზიასში.

ის ტომები, რომლებიც ჩარჩნენ ცინულეთში, ვერც განვითარდნენ (მაგ., ციმბირული ტომები).

ასეთი მიგრაცია, სისხლიანი ადგილმონაცვლეობა იყო პირველადი ინტეგრაცია, რაც პერიოდულად მეორდებოდა ჰომინიდების ისტორიასში.

ასე იკვრებოდა სისხლით ნათესავ გვართა და ტომთა კავშირი, რაც მსგავს, ნათესაურ ენობრივ წრესაც წარმოქმნიდა.

პროტო-ენები ლაბიალური იყო, ადვილად იცვლიდა მყიფე სტრუქტურას, ვიდრე ტოტემისა და ტაბუს სახელით ქურუმი და ბელადი არ შეიტანდნენ წესრიგს ველურთა შორის.

ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ძალადობით, ძალით, წევრთა ეგოისტური ინტერესების დათრგუნვით, რასაც თანდათან ქურუმ-ბელადები სისტემური წარმოდგენების სახეს აძლევდნენ. ასე თავსაც უკეთ იცავდნენ და განსაზღვრავდნენ წევრთა უფლება-მოვალეობებს, რათა დაძლეულიყო შინა კონფლიქტი.

როგორც ვთქვით, ენას ცვლიდა ტომთა შეჯახება: მარცხი თუ ძლევა – სწრაფად, მშვიდი არსებობა – თანდათან.

მძაფრი პროცესები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იშლება და ენაში იჭრება როგორც სემანტიკა, როცა საგანი თუ მოქმედება სიტყვის გარსში ვერ ეტევა, გასდრეკს მას და ინვევს ფორმის ტრანსფორმაციას.

ეს არის შინაგანი პოტენციალის განვითარება, შინაგანი კანონ-

ზომიერების არაცნობიერი გამოვლენა, რომლის მექანიზმი უამრავი მაგალითით აქვთ ახსნილი თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვს.

ლექსიკის სიმცირე და გრამატიკული ლაბიალობა, მარტივი ფორმები აიოლებდა შერწყმას, გაქრობას, ახალი ენის ფორმირებას. დროთა მანძილზე იკარგებოდა წარმომავლობის კვალი ან რამდენიმე პლასტი შეეზრდებოდა ერთმანეთს. ამიტომ ის, რაც ჩანს, რისი მიგნებაც შეიძლება, არ სცილდება რამდენიმე ათასწლეულს. დროის ბარბაროსულ სრბოლაში ჩნდებოდა და ქრებოდა უამრავი პროტო-ენა, ვიდრე სახელმწიფოებრივი გაერთიანებები და მათი წინამორბედი პირველადი კულტურები, ცივილიზაციური ნიშნები ჩარჩოში არ მოაქცევდა რღვევა-შექმნის პროცესს.

აქ იგივე განმეორდა, რაც ადრევე მოხდა რწმენა-წარმოდგენების ფორმირების პროცესში, რომელიც დაიწყო საგანთა სახელდებით, მათი სულებად აღქმით და ბგერადი ფიქსირებით, რომელთაგან გამოიყო სიმბოლური წარმომშობი ძალა – ტოტემი ანუ მთავარი სული, რომელიც ჰქონდა მცენარეს თუ ცხოველს. მრავალსულიანობა კი გადავიდა მრავალღმერთიანობაში. შემდეგ გამოიყო მთავარი ღმერთი, ბოლოს კი დარჩა მხოლოდ ერთი ღმერთი.

რელიგიურ წარმოდგენებს აწესრიგებდა ქურუმი, ხოლო ენას და ურთიერთობებს – ქურუმ-ბელადის აგრესიული მოქმედება.

დაპყრობითი ბრძოლებით ბელადი ავრცობდა თავის მცირე ოიკუმენს, შთამომავლებს გადაჰქონდათ მეტყველება ვინრო, ნაცნობი გარემოდან უცხო და ვრცელ ველებსა და მთებზე.

ერთი ტომის მეტყველება იქცეოდა სხვა მრავალი ტომის ენად, თუმცა თავადაც იცვლიდა ლექსიკასა და ფორმებს, როგორც მინაში ჩაგდებული ერთი მარცვალი იქცევა მრავალმარცვლიან მცენარედ.

ასე რომ ათასეული და ათიათასეული წლები ერთი, ენათა კონსერვატიული ოჯახი ვერ იარსებებდა, ვერც დიდ მანძილზე იქნებოდა განფენილი, რომც ჰქონოდა რელიგიური და სახელმწიფოებრივი სალტეები.

ვრცელ გეოგრაფიულ არეალსა და დროის ლოკალში ყოველი ენა იშლება დიალექტებად, დიალექტები – ენებად ყალიბდება თუ არ წარმოიშვა მათი ისევ ერთად შემკრები ძალა, თუნდაც ჰქონდეთ ნათესაური წარმომავლობა (მაგ. ინდოევროპელები).

ამიტომ იქნებ სჯობდეს ვთქვათ ენობრივი ბირთვი, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა ერთ გვარსა და ტომს. ასეთი ენობრივი ბირთვი

უამრავი იარსებებდა, პერიოდულად რომ ტომებთან ერთად ჩნდებოდა და ქრებოდა.

მათგან მხოლოდ რამდენიმეს ენერა გადარჩენა და გამრავლება, როგორც ეს ხდება ბრძოლის ველად ქცეულ სამყაროში, ანდა იმ უამრავ რკოს შორის, მუხის ტოტებიდან რომ ცვივა და მხოლოდ რამდენიმე აღმოცენდება.

ენობრივი ბირთვის გაშლა ისევე დაედო საფუძვლად ენას, როგორც ინდუისტური პრაჯაპათი – სიცოცხლეს.

ასახელებენ 30–ზე მეტ ქართველურ ტომს, რომელთა სახელები დააფიქსირეს ძველი დროის წარწერებმა და ისტორიკოსებმა. მაგრამ რამდენი ჩაიკარგა ისტორიის წყვიდადში – არავინ იცის.

ეს 30 ტომიც მონათესავენი იყვნენ, იცვლიდნენ სახელებს, საზღვრებს, განფენის არეს, წეს–ჩვეულებებს, რაც ენაში აირეკლებოდა.

გვარ–ტომის წარმატება და გამარჯვება, დემოგრაფიული ექსპანსია უზრუნველყოფდა მისი ენის გავრცელებას. ახლა იგი იქცეოდა ფუძენად და ყლაპავდა სუსტი ტომების ენებს. შეიძლებოდა ეს დროებითი მოვლენაც ყოფილიყო, შემდეგ კი იგი შეეცვალა სხვა გვარ–ტომს.

განმეორდებოდა იგივე პროცესი.

ასე გორგალივით ბრუნავდა სიტყვათა ლაშქარი, იღუპებოდა და აღდგებოდა. როგორც ტაძრის კედელში ქვები, ისე რჩებოდა ენის შრეში ასიმილირებული სიტყვების კვალი. ხოლო ენობრივი განტოტვა, ახალი ენებისა და დიალექტების წარმოქმნა იყო ბირთვის გაშლა, თესლის აღმოცენება ანუ გვარტომის დიფერენცირება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ძალადობრივად თუ ნებაყოფლობით იქმნებოდა ტომთა კავშირები, ისინი საუკუნეების მანძილზე სტიქიურად აყალიბებდნენ საერთო ენას თუ ერთმანეთისათვის გასაგებ მეტყველებას. ეს იყო სტიქიური კომპრომისი, სტიქიური ინტეგრაცია.

შემდეგ, როცა ეს ერთობა მიგრაციით ან სხვა ტომებთან შეჯახებით იშლებოდა, ირღვეოდა ახლად შექმნილი მყიფე ენობრივი სიახლოვეც. სხვადასხვა მიმართულებით გაფანტული, შერეული ტომები ქმნიდნენ განსხვავებულ მეტყველებას.

ასე უნდა მომხდარიყო ფუძე–ენის ფორმირება.

მაგ., ინდო–ევროპული ენების გავრცელების გეოგრაფია – ეს არის ერთი ძლიერი ტომის მიერ სწრაფი თუ თანდათანობითი

გადაადგილებით სხვა ტომთა ასიმილირება ან ცარიელი სივრცის ათვისება, რომელსაც შემდეგ სამშობლო დაერქვა.

სადაც სივრცე ვიწროა და შეზღუდული, როგორც არის კავკასიაში, მესოპოტამიაში ან ბალკანეთზე, იქ ძლიერია კონკურენცია, ზეგავლენა, ჰეგემონის ცვალებადობა.

იქ ლიდერ ტომს არ ჰქონდა ახალი მიწების ათვისების პერსპექტივა. ამიტომ ის იცავდა მოპოვებულს და წინ ვერ იწევდა. აგრესიის შენელება კი იწვევდა დასუსტებას და მას იოლად იმორჩილებდა ახალი ველური თუ ბარბაროსული ძალა, რაც პერიოდულად მეორდებოდა პრეისტორიასა და ისტორიაში.

როგორც ვთქვით, იოლი იყო მცირე ლექსიკისა და სანყისი გრამატიკული ფორმების მქონე ენების ახლებური მოდელირება.

ასე უნდა მომხდარიყო, მაგ., მტკვარ-არაქსის მატერიალურად ერთიან კულტურაში (ძვ. წ. 3.200–2.200), რომელიც მოიცავდა ამიერკავკასიას, წინა აზიას, ანატოლიის ნაწილსა და გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

ფუძე-ენა შეიძლებოდა არსებულიყო შეზღუდულ, ვიწრო სივრცე-დროის ლოკალში.

ასე უნდა გამოყოფილიყო მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელ ტომებში ხურიტული, მუშქურ-ქართველური (ქართული, სვანური, კოლხური), ხათური (ქაშქური → ქაშაგური → აფხაზურ-ადიღეური) და ინდოევროპულ-ნესიტური ენები, გეოგრაფიული ურთიერთდაცვილების მიხედვით, რასაც მოჰყვა მათი სხვადასხვა მიმართულებით გავრცელება.

ამ ენებზე მეტყველი ტომები (შეიძლება იყვნენ სხვა ენებზე მეტყველი ტომებიც, რომლებიც ადრევე გაქრნენ) ერთმანეთს უფრო დასცილდნენ და დამოუკიდებელი სახე მიიღეს.

მაგრამ თავიდან მაინც ერთი-გვარტომი უნდა ყოფილიყო კულტურის დამწყები, რომელიც აითვისეს და განავითარეს სხვა გვარ-ტომებმა.

ფუძე-ენაც ეკუთვნის ერთ მცირე გვარ-ტომს, რომელსაც თავისი შორეული წარსული და ჯოგური ცხოვრებიდან წამოყოლილი ლექსიკაც ჰქონდა.

გვარ-ტომიც არ იყო უცვლელი, იგი ემორჩილებოდა ტოტემის და ტაბუს კოდექსს, ინცესტის შიშს, რის გამოც ხან ნებაყოფლობით, ხან ძალადობით შემოჰყავდათ სხვა ტომის ქალები. ასე გაჰყავდათ სხვა ტომელებსაც მათი ქალები.

ეს არღვევდა ტომის ჩაკეტილ წრეს, აახლოებდა და ანათესავებდა მეზობელ ტომებთან. მაგრამ კონფლიქტის სათავეც ხდებოდა.

ასეთი ინტეგრირება დღევანდელი გლობალიზაციის პრაფორმაა.

ქალების მოტაცება, ისევე როგორც ცხვრის ფარის ან საქონლის ჯოგის წასხმა, მომავალი ომების მიზეზი იყო. ომებს მოსდევდა ბარბაროსული სისასტიკით სახელმწიფოებრივი ინტეგრაცია (შდრ – ბრძოლა მშვენიერი ელენესათვის ჰომეროსის „ილიადაში“) და გენეტიკური მუტაცია.

არქეტიპს კი ნადირობაში ხედავენ, როცა ცხოველთა დევნა შეიცვალა ადამიანთა – უცხო და უცნაურ ადამიანთა დევნით.

პროტო-ენების სიმრავლეც სიახლოვისა და სისხლის ფაქტორებით მიდის ინტეგრირებისაკენ. შემდეგ ეს ინტეგრირებული მოდელი ანუ ფუძე-ენა სივრცეში მოსახლეობის გამრავლების მიხედვით იშლება: ინტეგრირებას მოსდევს დიფერენცირება.

ფუძე-ენა შეიძლება არსებობდეს დროის მცირე მონაკვეთში, დიფერენცირება კი უსასრულოდ გრძელდება, გრძელდება დღესაც, ისევე როგორც ინტეგრირება.

ასევე მოხდა ტომების გამსხვილება, სახელმწიფოს წარმოქმნა, შემდეგ – დაშლა, შერწყმა და კვლავ წარმოქმნა.

2011, ოქტომბერი

ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საწყისები

ქართული ეთნოსი, ქართული კულტურა, მათი პირველადი ფორმები სათავეს იღებს ძვ. წ. III ათასწლეულიდან, ამიერკავკასიის ტერიტორიიდან.

საქართველოს თანამედროვე თუ ისტორიულ ტერიტორიაზე ნაპოვნ უძველესი ადამიან-მაიმუნის ნაშთებს, პალეოლითის, ნეოლითის, მეზოლითის და ენეოლითის არქეოლოგიურ საგნებსა და იარაღებს ვერც ქართველთა, ვერც სხვა რომელიმე ერის წინაპრებს ვერ მივაკუთვნებთ.

შელის, აშელის, მუსტიეს თუ ორინიაკის კულტურის ეპოქები კაცთა მოდემის საერთო წარსულია, რომლის ერთგვარობიდან 5–6 ათასი წლის წინათ დაიწყო ცალ-ცალკე მობინადრე ველური თუ ბარბაროსი ტომების შერწყმა, შესაბამისად – ტომთა ენების ინტეგრირება.

ჩვენი წინაპრებისათვის ასეთი საწყისი ფუძე იყო მტკვარ-არაქსის მატერიალური კულტურა. იგი მოიცავდა ამიერკავკასიასა და წინააზიას (გარდა შავიზღვისპირეთისა), დღევანდელი ირანის ჩრდილო-დასავლეთს, ჩრდილო კავკასიას (ძვ. წ. 3.200–2.200 წ. წ.).

მისი შემქმნელები არიან, როგორც მიიჩნევა მეცნიერთა უმრავლესი ნაწილი, ძირითადად იბერიელ-კავკასიური, ნაწილობრივ – ინდოევროპული ტომები. მაგრამ არ ამოდიან ადგილობრივი ნეოლითური კულტურიდან (ბორის კუფტინი).

მატერიალური ერთიანობა არ ნიშნავს გენეტიკურ ერთიანობას. მაგრამ უძველეს დროში სწორედ სისხლით ნათესავ ტომებს უნდა ჰქონოდათ კავშირები, რასაც მოსდევდა მატერიალური ერთგვარობაც.

უძველეს დროში ყველა ტომი თავის პროტო-ენაზე მეტყველებდა (სიმონ ჯანაშია). ამ ენებს სიმყარე არ ჰქონდა და სწრაფად იცვლებოდა. ლექსიკური ფონდიც უაღრესად მცირე იყო.

ბევრი ტომი გაქრა, შეერწყა ერთმანეთს და მათი ენებიც გადაშენდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ხალხებს ერთი ენა არ ექნებოდათ. მაგრამ ინტეგრაციის პროცესში ალბათ გამოუმუშავდათ ერთიანი ენობრივი ბაზისი: პროტო-ენები ერთმანეთს შეეზარდა.

III ათასწლეულში ჯერ არ არის ფორმირებული ქართული, სვანური და კოლხური ტომები. ისინი არ გამოყოფილან ნათესავ ტომთა სიმრავლიდან, შესაბამისად – არც ენები იქნებოდა გამოკვეთილი (თამაზ გამყრელიძე).

ამ დროს უკვე დაძრულია პრაინდოევროპული ტომები წინააზიიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით.

ენობრივი ერთობა თავდაპირველად ყალიბდება გარკვეულ წრესა და დონეზე, მოდის გვარ–ტომიდან, შემდეგ კი განიშლება.

ასე რომ პირველადი სიმრავლე იცვლება ინტეგრირებით, შემდეგ ისევ იწყება დიფერენცირება (სიმრავლიდან – ერთობისაკენ, ერთობიდან – სიმრავლისაკენ).

ჯერ სახელმწიფოებრიობა არ არსებობს, შესაბამისად – არც ომებია. ლოკალური კონფლიქტები საერთო წონასწორობას ვერ არღვევენ. ამ პერიოდში ომებს იწვევს მხოლოდ ტომების მიგრაცია. რაღაც მიზეზით საკუთარი საცხოვრისიდან აყრილი ნათესავი ტომები ეძებენ უკეთეს გარემოსა და მიწას, ან – გაურბიან მათთან მომდგარ მიგრაციის ტალღას (მაგ., აქადები შეიჭრნენ შუმერში, ებრაელები – ქანაანის მიწაზე, აქაველები, დორიელები და ეოლიელები – ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხეთები – ხათების ქვეყანაში, ვედეები – ინდოეთის ნახევარკუნძულზე, სკვითები და კიმერიელები – ამიერკავკასიაში...).

ისინი მკვიდრდებიან ახალ მიწაზე.

X X X

მტკვარ–არაქსის კულტურის ტომებს აქვთ ერთიანი სახის მოხატული კერამიკა, იყენებენ ბრინჯაოს იარაღებს, თაყვანს სცემენ ნაყოფიერების ღვთებას, რომელსაც ქალის სახე აქვს.

ამ კულტურის შემოქმედი ხალხი ერთგვაროვანი ჩანს – ეწვეიან ბინადარ ცხოვრებას, არიან მინათმოქმედნი, ხელოსნები, მჭედლები, მეთუნეები, მიწის დასამუშავებლად იყენებენ პირუტყვს, მისდევენ მესაქონლეობას.

კავკასიაც ის ადგილია, სადაც მიდიოდა მაიმუნის გაადამიანების პროცესი, სადაც უძველესი დროიდანვე იცნობდნენ ჯვარსა და სვასტიკას, კულტურულ მცენარეებს, მოიშინაურეს ცხვარი და ძაღლი, ცხოვრობდნენ ალიზით ნაგებ მრგვალ სახლებში, აგებდნენ მეგალითურ ციხე–დარბაზებს.

აქაც ყოფილა გავრცელებული მენჭირები (ქვის სვეტები) და „ვეშაპები“ (მინაში ჩარჭობილი ქვის სალოცავი თევზები).

მტკვარ-არაქსის კულტურის ნიაღში ყალიბდება იბერიულ-კავკასიური ენობრივი ბირთვი, მაგრამ ამავე ნიაღში დაიწყო დიფერენცირებაც.

რალაც უცნობი მიზეზის გამო, როგორც ეს ხდებოდა ამერიკელ ინდიელებში, III ათასწლეულის შუაწლებში ძირითადი მასა ტოვებს წინაპართა სამოსახლოებს, მიდიან დასავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთით (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ეს იყო პირველი დიდი გაფანტვა, სწრაფვა ახალი მიწებისაკენ, უცნობი სივრცისაკენ.

საერთოდ – ენის კვდომა ან მკვეთრი, რადიკალური სახეცვლა უკავშირდება ისტორიულ პროცესებს – მარცხსა და დაცემას ან ნებაყოფლობით მიგრაციას, ხალხთა განტოტვას, ურთიერთიზოლირებას.

შეიძლება იბერიულ-კავკასიელთა მიგრაციის მიზეზი იყო გამრავლების ტემპი, ან ტომობრივი ინტეგრირება, რომელთაც უკვე ჰქონდათ სხვადასხვა ენა:

1. ხურიტული – მისგან განვითარდა ურარტული → ალბანური → ნახურ-დაღესტნური;

2. მუშქურ – ქართველური – მისგან გამოდის ჯერ მოსოხურ-მესხური (ქართული), შემდეგ – სვანური და კოლხური;

3. ხათური – მისი შემდგომი ეტაპებია ქასქური → ქაშაგური → აფხაზურ-ადიღეური;

4. ინდოევროპულ-ნესიტური – აქედან გამოდის ლუვიური და ხეთური, ხეთურიდან-ლიდიური.

შეიძლება ამ ნაკადის ერთი ნაწილი, რომლის ფორმირება შემდეგ მოხდა კოლხთა სახელით, გადასულიყო ეგეიდაში. მათი მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ პელაზგები, ეტრუსკები (რისმაგ გორდეზიანი), იბერები და ბასკები.

ეს თეორია, რომელიც ევროპელი მეცნიერებისა და ნიკო მარისაგან მოდიოდა, ერთხან ჩვენში დაამკვიდრა სიმონ ჯანაშიას ავტორიტეტმა.

ბოლოს მისი რეანიმაცია სცადა ზვიად გამსახურდიამ.

დღეს კი ისეა შეცვლილი ვითარება, რომ ჩვენთა წინაპართა კვალი არათუ ბალკანეთზე, აპენინებზე და პირენეებზე, ლამის მცირე აზიაშიც დაიკარგოს, ლამის ჩრდილო კავკასიური ენებიც ჩამოგვაცილონ.

XXX

კავკასიაში დარჩენილი ქართველური, ხურიტული და ინდო-ევროპული ტომები ქმნიან ახალ, თრიალეთურ კულტურას (ძვ. წ. 2000–1500 წ. წ.).

იგი არ გადასულა დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სამხრეთით კი წვდებოდა თანამედროვე არარატის ველსა და ყარსის მიდამოებს, როგორც აღნიშნავს არქეოლოგი ბორის კუფტინი, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების აღმომჩენი.

ამ დროიდან განსაკუთრებით აქტიურობენ ხურიტული ტომები, რაც გრძელდება ძვ. წ. VI საუკუნემდე.

ისინი იმორჩილებენ ასურეთს, აარსებენ ხურიტების სამეფოს, მითანს, შემდეგ – დიაოხსა და ურარტუს...

ქართველური და ხათური ტომები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ხურიტებთან.

ეს იყო უძველესი იბერიულ-კავკასიური ერთობა.

ხურიტული ტომები სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობდნენ. მაგ., ხეთასა და კოლხაში. ხურიტულია კოლხას დედაქალაქის სახელი ილდამუსა, სუფიქსი – ხი, რომელიც სადაურობას აღნიშნავდა (გიორგი მელიქიშვილი).

იგი აითვისეს ქართველურმა ტომებმა (კოლხი, სომეხი, მესხი, ზაბახა, კახი, ტაოხი) და ბევრს ქართულიც კი ჰგონია.

შეიძლება IV-III ათასწლეულებში სწორედ ხურიტებს გამოეყვნენ ქართველური და ხათური ტომები, შესაბამისად – ენებიც.

თრიალეთური ტომები ამზადებდნენ ერთგვაროვან პრიალა კერამიკას, მიცვალებულს წვავდნენ, ფერფლს ჭურჭელში ყრიდნენ, შეწირულებთან ერთად ათავსებდნენ ურნებზე და ასე ქვაყრილებში მარხავდნენ.

კრემაციას ძველი დროის სხვა მრავალი ხალხიც მიმართავდა (მაგ., სემიტები, ინდოელები, ბერძნები, გერმანელები).

ამ მხრივ თრიალეთელებიც ისე იქცევიან, როგორც ხეთები. ასევე იყო გავრცელებული მიცვალებულის ორჯერადი დამარხვა – ჯერ ჰაერზე, ხეზე დაკიდებდნენ, შემდეგ, როცა გვამი გაიხრწნებოდა და ხორცი შემოეცლებოდა, ძვლებს ქვევრში ყრიდნენ (მაგ., ირანში, ანატოლიაში, კოლხეთში).

ასე მარხავენ შვილის მიერ მოკლულ მოხუც კაც ზვამბაიას კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“.

მიცვალებულს ყორღანებშიც მარხავდნენ, რასაც კოლხები დიხა-გუძუბას ეძახდნენ.

ასეთი საფლავები სხვადასხვა ზომისა იყო, ალბათ ქურუმი და ბელადი უფრო დიდ ადგილს იკავებდა. მაგ., ერთ ყორღანს უჭირავს მთელი ჰექტარი მიწა, აქედან დასაკრძალავ დარბაზს – 160 კვ. მ.

თრიალეთის კულტურა ცხენს არ იცნობს, არც რკინას. სიტყვა „თრიალეთიც“ არაქართულია – მოდის ერთ-ერთი კიმერიული ტომის სახელწოდებისაგან.

ამ კულტურის დაშლის მიზეზიც იყო შემქნელთა მიგრაცია, მეორე ტალღა, რომელმაც საწყისი მისცა დღევანდელი ეთნოსების ჩამოყალიბებას.

მათი შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ კოლხური, მუშქური (მესხური და ტაბალური) და ხათური ტომები, სამი ენობრივი ბირთვი.

X X X

სუსტი ან არარსებული ცენტრალიზების გამო, ტომთა გაერთიანებაშიც მრავალ ტომს თავისი განსხვავებული მეტყველება ჰქონდა.

მსოფლიოში დღეისათვის ითვლიან 5.000–მდე ენას (ზოგი მეტს, ზოგი – ნაკლებს). მათგან განვითარებულია მხოლოდ რამდენიმე ათეული ენა, რომელსაც სიმტკიცეს ანიჭებს სახელმწიფო, ლიტერატურა და ეკლესია.

ძველ დროში კი, როცა არ არსებობდა სახელმწიფო სტრუქტურა, სუსტი იყო ყოველი კულტურული და ცივილიზაციური წარმონაქმნი, კონკრეტული ენაც სუსტი იყო და ლაბიალური და მხოლოდ ადამიანთა ვინრო წრეს აკავშირებდა.

ენათა სიმრავლიდან ის გამოიყოფოდა, რომლის მატარებელ ტომსაც შეეძლო სხვა ტომთა დამორჩილება ან მათში უსისხლოდ შეღწევის უნარი ჰქონდა.

თრიალეთის კულტურის შემდეგ ვრცელდება კოლხური კულტურა (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან I ათასწლეულის I ნახევრამდე). იგი გადადის ჩრდილო კავკასიაშიც.

აკად. ბორის კუფტინის აზრით, აღწევდა მცხეთამდე და დღევანდელ სამაჩაბლომდეც კი.

როგორც ვთქვით, მანამდე ათასი წლის წინათაც აღმოსავლეთიდან, მტკვარ–არაქსის კულტურის არეალიდან, წავიდნენ ქოროხის აუზისაკენ, მცირე აზიისაკენ, შორეული დასავლეთისაკენ.

მაგრამ ამჯერად მობრუნდა მიგრაციის ტალღა და კოლხები დაუბ-

რუნდნენ წინაპართა მიწას. კოლხური ტოპონიმები და მცენარის სახელები შემორჩა თბილისში (მაგ., ვერე, დილომი), ფშავ-ხევსურეთში (მაგ., ჭითახევი, ხუნნი), დუშეთში (მაგ., ჟინვალი), კახეთში (მაგ., ჯიმასყურე), თუშეთში (მაგ., სოფ. დოჭუ), სამაჩაბლოში (სოფლები – სკვირეთი, დოდოთი, ყბა), არა მხოლოდ აჭარასა, მესხეთსა და ბორჯომის ხეობაში (სიტყვა ბორჯომიც კოლხურია, უკავშირდება თევზის სახელს – ღორჯოს და მოდის სიტყვა ღვარჯალიდან, რაც ლალად ცურვას, რხევით მოძრაობას ნიშნავს).

X X X

ქართველური ტომების კონსოლიდირებისა და სახელმწიფოთა პირველადი ფორმების წარმოქმნისათვის დიდი მნიშვნელობა იქონია მეზობელი ქვეყნების, კერძოდ – მითანისა (XVI-XII ს.ს.) და ხეთას (XIX-XIII) დაცემამ და დაშლამ, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ ისინი, თუ მთლიანად არა, დიდი ნაწილი მაინც.

ხეთების სამეფო მდებარეობდა ანატოლიაში.

იგი წარმოიშვა ქალაქ-სახელმწიფოების შერწყმით XVIII საუკუნეში. ადგილობრივი ხათები არც სემიტები იყვნენ, არც ინდო-ევროპელები. მაგრამ თანდათან შემოვიდნენ ინდოევროპელი ნესიტები და მათი ტერიტორია უსისხლოდ დაიკავეს, დემოგრაფიულად აითვისეს.

ხალხები და ენები ერთმანეთს შეერწყმა და წარმოიშვა ნესურ-ქანესური ანუ ხეთური ენა.

ნესიტებმა ისევე მიიღეს ხეთების სახელი, როგორც არაბებმა – ეგვიპტისა.

ნესიტების ხეთებისაგან გასარჩევად შემოიღეს ტერმინი – ხათური (პროტო-ხეთური).

ხეთებს ზოგი ანთროპოლოგიურად ბალკანურ ტიპს მიაკუთვნებს, ზოგი – ევროაფრიკულს.

ხათების ენას მიიჩნევენ იბერიულ-კავკასიური ენების, კერძოდ – აფხაზურ-ადიღეურის მონათესავედ. იგი არსებობდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული ქართული, კოლხური და სვანური ენები.

ხათების ის ტომები, რომელთაც შეინარჩუნეს თავის თავადობა, ქაშქების სახელითაა ცნობილი (შემდეგში ქაშაგები).

ხეთების მეფის ტიტული იყო თაბარნა, დედოფლისა –თავანანა, უზენაესი ღვთაება – მზის ღმერთქალი, დედაქალაქი – ხათუსა.

ხეთები საბოლოოდ დამარცხდნენ ძვ. წ. 1200 წელს „ზღვის ხალხებთან“, ალბათ ბერძნებთან ბრძოლაში და სხვა ხალხებში აღირივნენ.

ძველ დროშიც მნიშვნელოვანი იყო მეზობლობის, ურთიერთობისა და მეტოქეობის ფაქტორები, ოღონდ დროში იყო განვლილი.

პროცესი შენელებულ კადრებს ჰგავდა.

მითანის დედაქალაქი იყო ვაშუქანი, მოსახლეობა – ხურიტული, მდებარეობდა შუამდინარეთის ზემო წელში.

იგი დაამარცხეს ხეთებმა და დაანგრიეს ვაშუქანი. შეიჭრნენ ასურელებიც (გიორგი მელიქიშვილი).

XII საუკუნეში მითანი დაიშალა. შემდეგ ხურიტებმა შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ.

ხურიტები ცხოვრობდნენ ხეთების სამეფოშიც. მათ ეკავათ დღევანდელი ქართლი და კახეთი.

მას შემდეგ, რაც დასუსტდნენ ხეთები და მითანელები, რაც შემოვიდა ცხენი და დაიწყეს რკინის წრთობა, ხალხებს მიეცათ სწრაფი გადაადგილებისა და ეფექტური ბრძოლის საშუალება.

რკინა უფრო ბასრი იყო, ვიდრე ბრინჯაო.

ახლა უკვე თავდაცვა გახდა აუცილებელი. ეს უპატრონოდ დარჩენილ ტომებს აიძულებდა ეფიქრათ ერთიანობაზე. ქურუმ-ბელადი თავის ძალასა და წარმოდგენებს ავრცელებდა და გარშემო იკრებდა უმწეო ხალხებს.

XII საუკუნიდან ასე სტიქიურად მოხდა კოლხური ტომების კონსოლიდირება. ისინი ცხოვრობდნენ ქოროხის აუზსა და ჭაობიან შავიზღვისპირეთში.

მათ ადრეულად ჩამოუყალიბდათ ერთიანი სახის მატერიალური კულტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ექნებოდათ ქართველური ფუძე – ენისაგან განსხვავებული მეტყველება.

სვანური კი მაშინ უნდა გამოყოფილიყო, როცა დაიშალა თრიალეთის კულტურა, ე. ი. ძვ. წ. XV საუკუნეში.

გლოტოპრონოლოგიური მეთოდი (ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვლილების ერთნაირი სიჩქარე ყველა ენაში) არ ითვალისწინებს ისტორიულ პროცესებს, ერების შეჯახებას, რაც აჩქარებს დროს, ენათა არევასა და შერწყმას, დაშლასა და განცალკევებას.

ქოროხის აუზის ხალხებს კილხებს ეძახდნენ ასურელები, კოლხებს – ხურიტები და ბერძნები. თავად კი, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ გამაერთიანებელი სახელი და ტომთა სახელებით იფარგლებოდნენ.

კოლხების დედაქალაქი იყო ილდამუსა, რკინის წარმოების ცენტრი. შემდეგ ამ გეოგრაფიულ პუნქტს კოლხური სახელი დაერქვა – არტანუჯი (ნიკო მარი).

ილდამუსა ხურიტების დაარსებული უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ითქვა, ეს სიტყვა ხურიტულია.

მითანის სახელმწიფოდან XII საუკუნეში გამოდის დიაოხი, რომლის მოსახლენი იყვნენ ქართველური და ხურიტული ტომები.

მდებარეობდა არზრუმისა და ევფრატის სათავეების რაიონში (გიორგი მელიქიშვილი).

დიაოხს (დაიაენს) ებრძოდნენ ასურელები და ურარტუელები, მტრობდნენ კოლხებიც.

768 წელს ურარტუ საბოლოოდ ამარცხებს დიაოხს და ამის შემდეგ დიაოხი არენიდან ქრება.

დამარცხებულის ტერიტორიას ინანილებენ კოლხები და ურარტუელები.

ახლა მათ შორის იწყება ბრძოლები, რადგან ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ. მომდევნო საუკუნეებში ამ გაერთიანების ტერიტორიის ერთი ნაწილი ტაოხის სახელით ხდება ცნობილი, სადაც უკვე მომხდარი იყო ხურიტების ასიმილირება. მაგრამ დარჩა ხურიტული წარმომავლობის ტოპონიმები.

ტაოხის გავრცობა იყო იბერია, ქართველთა სამეფო (იბერია უკავშირდება ირანულ მგლის სახელს).

VIII საუკუნიდან ბერძნები გადმოდიან შავი ზღვიდან, აარსებენ სავაჭრო ფაქტორიებსა და ახალშენებს.

ამ დროს უნდა ელაშქრათ არგონავტებს კოლხეთში, რომლის მეფე იყო ბერძენი აიეტი, მზის ღმერთის ჰელიოსის ძე, რომელსაც სამკვიდრო ჰქონდა საბერძნეთში, კორინთოში.

ზოგი ვარაუდით, იგი იყო პელაზგი. ამავე ხანებში ითხზება პრომეთე-ამირანის მითი.

XII საუკუნიდან მცირეაზიის აღმოსავლეთით ყალიბდება კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ხეთების ცენტრების სიახლოვეს.

მას ასურელები მუშქების ქვეყანას ეძახდნენ, ბერძნები – ფრიგიას. დედაქალაქი იყო მაზაკა.

არც ეს სიტყვაა ქართველური (შდრ – მაზაკვალი// მზაკვარი).

საინტერესოა, რომ სვანები თავიანთ თავს უწოდებენ მუშუანს. იმი-

ტომ, რომ ისინი იყვნენ მუშქების განაყოფი ტომები, რომლებიც ჯერ კოლხეთში დაემკვიდრნენ, შემდეგ მიგრაციის ახალმა ტალღამ თოვლიანი მთებისკენ გახიზნა.

IX საუკუნიდან, ბალკანეთიდან შემოდინ ინდოევროპელი ფრიგიელები. ისინიც ისევე უსისხლოდ დაეუფლნენ ამ ტერიტორიას, როგორც ნესიტები ხათების მიწას.

ამიტომ ქვეყანას მიეცა სახელად ფრიგია.

მუშქების სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოიქმნა კიდევ ერთი, ქართველური ტომების – ტაბალების (ტიბარენების) გაერთიანება (IX-VII ს.ს.), რაც ტბას, წყალს უნდა უკავშირდებოდეს.

ასურეთის ერთ-ერთი მეფის წარწერაში ნახსენებია ტაბალების 24 მეფე (ბელადი).

ამ ხანებში იხსენიება სხვა მრავალი ქართველური ტომიც (ტარიელ ფუტკარაძე), მაგრამ ისინი ან ამ სამეფოთა შემადგენლობაში შედიოდნენ, ან თუ ცალკე იყვნენ – არ ეკავათ ვრცელი ტერიტორია. შეიძლება ზოგ მათგანს სახელი ეცვლებოდა ან მეზობელი ტომები სხვადასხვა სახელს არქმევდნენ. მათ ექნებოდათ განსხვავებული მეტყველებაც, რაც დრომ წაშალა.

X X X

VIII საუკუნის 20-იან წლებში ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ინდოევროპელმა სკვითებმა და კიმერიელებმა გაანადგურეს ძველი კოლხეთის სამეფო, დაამარცხეს ურარტუ, 676 წელს მოსპეს მუშქების სამეფო-ფრიგია, დაშალეს ტაბალები, დალაშქრეს მთელი კავკასია და წინა აზია და ეგვიპტეს მიაღწენ.

შემდეგ ისინი დასახლდნენ დამარცხებული ხალხების ცალკეულ მიწებზე და შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ამ დროიდან მკვიდრებიან ჰაიკების (სომხების) ადგილზე ინდოევროპელი არმენები, რომელთაც ქართველები ისევ სომხებს ვუნდობდით, თუმცა სომხები იყვნენ იბერიულ-კავკასიური ტომები (ნიკო მარის აზრით, ქართველური, სხვათა აზრით – ხურიტული).

ფრიგია გახდა ლიდიის ქვეშევრდომი. მუშქების დიდი ნაწილი კი წავიდა აღმოსავლეთით, წინაპართა მიწისაკენ, მიაღწიეს მტკვრისა და არაგვის შესართავს, იქ დააარსეს ქალაქი მცხეთა (VI ს.) და მოახდინეს ვაინახთა (ჩეჩენ-ინგუშთა) წინაპრების ასიმილირება.

ამიტომაც ეძახიან დალესტნელები ქართველებს მოსოქს, რაც არის

იგივე მუშქი (მესხი). ანატოლიის მესხების ლოკალიზება მოხდა კაპადოკიაში. სულხან-საბას განმარტებით, მოსოქ არის „ფიცხელი მშვილდოსანი“, ე. ი. კარგი მეომარი.

მესხური ტომები გაჰყვეს და ერთმანეთს დააცილეს კოლხებმა (როგორც შემდეგ პირიქით მოხდა). კაპადოკიასა და პონტოში კიდევ მრავალ წელს იქნევდნენ ხმალს ქართველური ტომები, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ტრაპიზონსა და ხოფას შორის და შენარჩუნებული აქვთ უძველესი ენაც.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევამ შეცვალა ამიერკავკასიასა და მცირეაზიაში ქვეყნებისა და ხალხების ბედი, შეცვალა ანთროპოლოგიურადაც – დოლიკოცეფალი ბრახიცეფალი გახდა.

კოლხები გაიფანტნენ ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ. ზოგი მუშქების კვალს გაჰყვა დღევანდელი მესხეთისა და ქართლის ტერიტორიისაკენ, ისევ პირველსაცხოვრისისაკენ.

ჭაობიანი ზღვისპირეთი დაიკავეს ანატოლიიდან გამოძევებულმა აფხაზ–ადიღეველთა და სვანთა წინაპრებმა.

კოლხებმა დააარსეს ახალი დედაქალაქი – ვანი, შეძლეს ერთიანობის შენარჩუნება, მაგრამ XIX სატრაპიის სახით მოექცნენ ირანის იმპერიაში, სხვა ქართველურ ტომებთან ერთად.

ისინი ყოველწლიურად აქემენიადებს უხდიდნენ 300 ვერცხლის ტალანტს, ხუთ წელიწადში ერთხელ უგზავნიდნენ 100–100 რჩეულ ქალვაჟს.

მონები გაჰყავდათ ბერძნებსაც, რომელთაც განავითარეს ახალშენები (მაგ., ფაზისი, დიოსკურია, გიენოსი, პიტიუნტი).

შავიზღვის სანაპირო დაფარული იყო მათი ფაქტორიებითა და პოლისებით, ავრცელებდნენ თავიანთ ნაწარმს, ფულს – ტეტრადრაქმას (რომლის მიბაძვით კოლხებიც ჭრიდნენ „კოლხურ თეთრს“), ენას, კულტურას, პოლითეისტურ რელიგიას.

ფაზისში აპოლონის ტაძარიც კი მდგარა.

ამ პერიოდს ზოგი კოლხეთის აღმავალ პერიოდად თვლის. მაგრამ კოლხეთის ახალ სამეფოს რეალურად ბერძნები და ირანელები მართავდნენ. ოლონდ შეწყდა შემოსევები და ბარბაროსთა თარეში, ეკონომიურად ხალხმა სული მოითქვა, გავრცელდა ელინური კულტურა, ბერძნული ენა.

კოლხეთის დარად იბერიაც ხარკს აძლევდა ირანს, რომელმაც დაიკავა ამიერკავკასია, მცირე აზია, შუამდინარეთი და ეგვიპტე.

ქართველი მოლაშქრენიც მონაწილეობდნენ V საუკუნის ცნობილ ომებში ბერძენთა წინააღმდეგ.

ირანმა შეცვალა მუშქების მიერ მცირეაზიიდან წამოყოლილი ღმერთები და ცხოვრების წესი. ხეთური არმა ირანული აჭურამაზდა გახდა. არც ამ დროისათვის არსებობს ქართველური ტომების გამაერთიანებელი სახელი. იგი საკმაოდ გვიან გაჩნდა. ასევე არ არსებობს ერთიანი ენა, ერთიანი რელიგია.

მთლიანობის ცნება არც ჩვენი შორეული წინაპრების, არც უცხოელების წარმოდგენაში არ იყო.

ისინი ხედავდნენ იმ რეალობას, რასაც ჩვენ ნაწილებად ვღებულობთ და დღევანდელი თვალთახედვით, ჩვენი აღქმის წერტილიდან ვაერთიანებთ.

ამ ნაწილებს სხვადასხვა სახელები ერქვათ – კოლხა, დიაოხი, მუშქების სამეფო, ტაბალების სამეფო, იბერია...

მათ შიგნით კი იყო ტომობრივი დანაწევრება. ერთი მხრივ, ბერძნებსა და ირანელებს შემოჰქონდათ უფრო მაღალი კულტურა და ცივილიზაცია, ვიდრე ჰქონდათ ადგილობრივ ტომებს, მეორე მხრივ – ეს ამუხრუჭებდა ხალხთა აქტივობას, რადგან ქურუმები უცხო რელიგიების მსახური აღმოჩნდნენ. არისტოკრატიათა სამაგალითოდ მიიჩნია მათი ენა და ცხოვრების წესი, ხოლო ადგილობრივი ღმერთები და მეტყველება კულტურული ცენტრებიდან და ტაძრებიდან განდევნეს.

ქრისტიანობის მიღებამდე ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის შესაქმნელად არც მოთხოვნილება, არც პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია არ არსებობდა.

ჩამოდგა ოთხასწლეული ბნელი პერიოდი სკვითებისა და კიმერიელების შემოსევიდან ძვ. წ. 284 წლამდე, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელმა არ დაამსხვრია ირანის იმპერია და ფარნავაზ მეფემ არ დაიწყო განთავისუფლებულ ქართველურ ტომთა შემოკრება, მათი საცხოვრისების გაერთიანება, რომელთა სათავეში ჩააყენა ცისა და ომის შეჯავშნული ღმერთი არმაზი, ხეთური თუ ირანული სამყაროდან წამოსული.

2011, ოქტომბერი

სარჩევი

კულტურა და გლობალიზაცია

დრო და კულტურა	17
<i>კულტურა და მასის ინტერესები</i>	5
<i>კონცენტრირებული სივრცე – დრო</i>	8
<i>ტექნიკური პროგრესი – გლობალიზაციის საფუძველი</i>	11
I. გლობალიზაციის მოდელები: ერთიანი მსოფლიო	17
<i>ინტეგრირება და გლობალიზაცია</i>	18
<i>რელიგიური მოდელი</i>	20
<i>იმპერიული მოდელი</i>	23
<i>იდეოლოგიური მოდელი</i>	24
<i>ტექნიკურ-ეკონომიკური მოდელი</i>	32
<i>ენა – ბარიერი</i>	37
<i>სემიოტიკა – სიმბოლურ – ნიშნადი ენა</i>	41
II. სახელმწიფოს ტრანსფორმაცია:	
დემოკრატია და უნიფიცირება	44
<i>სახელმწიფო მანქანა</i>	44
<i>სახელმწიფო და ომი</i>	48
<i>დეცენტრალიზება</i>	51
<i>საერთაშორისო ორგანიზაციები და სუვერენიტეტი</i>	53
<i>ფედერაცია და სუვერენიტეტი</i>	56
<i>სეპარატიზმი – გლობალიზაციის მოკავშირე</i>	59
<i>მიგრანტთა ნაკადები</i>	63
<i>სიმბოლური საზღვრები</i>	66
<i>ტრანსნაციონალური პრობლემები</i>	70
<i>ტრანსნაციონალური სახელმწიფოსაკენ</i>	74
III. საზოგადოების რეფორმირება: უსისხლო რეპოლუცია	
<i>ახალი მენტალიტეტი</i>	77
<i>ადამიანის უფლებები</i>	81
<i>რადიკალიზმი და ტოლერანტობა</i>	84
<i>ნაციონალიზმი – გლობალიზაციის მტერი</i>	89

ოჯახი და გენდერი	92
სექსუალური რევოლუცია	97
განათლების სისტემის უნიფიცირება	101
ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება	104
პროგრამირება და ზომბირება	105
კანონის უზენაესობა	109

IV. კულტურის გლობალიზაცია:

ელექტრონული ბალატიკა	111
ტექნიკა და ფანტაზია	111
მასმედია, როგორც ობობას ქსელი	115
პოპ-მუსიკა და შოუ-ბიზნესი	119
ნეო-ნატურალიზმი და ნეო-ავანგარდიზმი	123
ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი	128
ღირებულებათა კოლაფსი	131
მესამე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა	134

დამატებანი

ეპოქა და სტილის პრობლემა

(მონოგრაფიიდან – „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“)	138
1. კულტურა და ეპოქის რიტმი	138
2. ტექნიციზმის ესთეტიკა	141
3. მომავლის ნაადრევი დაწყება	143
4. ინტელექტუალური ბაზისი	144
5. სტრუქტურალისტური ანექსია	145
6. ვერტიკალური ჰორიზონტალობა	147
7. გუტენბერგის გალაქტიკა	151
8. ხელოვნების ტექნიკური დარგები	152
9. ილუზიების ფაბრიკა	155
10. დროის ბიუჯეტი	156
11. ელიტარული და მასობრივი კულტურები	157
12. ატროფირებული ფორმები	160
18. „წმინდა ხელოვნება“ დღეს	161

14. პოეზიის კრიზისი	162
15. მითოსის გამომშობა	164
პიროვნება, როგორც გამოცანა	165

„H₂SO₄“-დან „მემარცხენეობამდე“

ავანგარდიზმის ესთეტიკა	169
------------------------	-----

A. მოდერნიზმი და „H ₂ SO ₄ “	172
B. „H ₂ SO ₄ “-ის თეორიული თვალსაზრისი	180
1. ჟურნალი „H ₂ SO ₄ “	180
2. ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“	195
3. გაზეთი „დროული“	203
4. ჟურნალი „მემარცხენეობა“	207
C. „H ₂ SO ₄ “-ის აოჯიის მოდელი	219
1. ლექსი, როგორც ყოველდღიური პროზა	220
2. ინდუსტრიისა და პრიმიტივის ანტინომია	223
3. ოქტომბრის მარში	228
4. ფუტურისტული ბგერათჭვრეტა	231
5. იდიოტიზმის აპოლოგია	243
6. კონსტრუქტივისტული თეორემა	249
შენიშვნები	258

**დამატება პირველი ნიგნისათვის
„კულტურის გენეზისი“**

გვარ-ტომი და ფუძე-ენა	279
ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის საწყისები	290

ნიგნი აინყო და დაკაბადონდა შპს „პრეპრინტში“
დაიბეჭდა შპს გამომცემლობა „კოლორში“

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი
ოპერატორი: ციური ბროძელი



გლობალიზების პროცესში უნდა დაფინანსოთ
და განვასხვავოთ ორი მიმართულება:

ერთი, რომელიც ბუნებრივია და ხელა
მიმდინარეობს, მეორე, რომელიც ხელთვნურად
არის დაჩქარებული, იდეოლოგიურად
მოტივირებული და ორგანიზებული.

ამ შეუქცევად მართონში ყველა ქვეყანა,
ყველა ქვეყნის კულტურა ეძებს თავის ადგილს,
რათა არ ჩაიკარგოს და მოდერნიზებით
შეინარჩუნოს ნაციონალური მთღუსი.

